საქართველო ... აჯაღლო ... ისი – შიგ ჩასმ ... ფახში
25 – 31 აგვისტო
№34 (713)
... სი 1,50 ლარი
www.tbiliselebi.ge



გვ. 78

რა სასწაულებს აკეთებს ნანა ნებიერიძის ოქროს თევზი კიკი და რატომ ვერ გაყიდა მან შვილიშვილები

გვ. 14

როდის ველარ აკონტროლებს ნერვულ სისტემას ანრი ჯოხაძე და რატომ გადაწყვიტა მან საკუთარი ცხოვრებიდან ადამიანების გარკვეული კატეგორიის გაქრობა

გვ. 18

რატომ იწერს ჯვარს გიო გაბუნია ყველა რელიგიის მიხედვით და რით გაუმასპინძლდა ბუდისტი მღვდელი მას კატმანდუში

გვ. 23

ვისთვის იყო ნინო დავთაძე ქალი-ვიაგრა, რა პირობას უყენებს იდეალურ მამაკაცებს და ვინ ანებივრებს მას სიყვარულით, ყურადღებითა და ლამაზი სიტყვებით



გვ. 82

როგორ ითანხმებს კულტურის პალატა ვარსკვლავებს საქართველოში ჩამოსაყვანად და რა ურთიერთობა აქვს დათო ოქიტაშვილს ალა პუგაჩოვასა და ვალერი მელაძესთან



როგორ გათხოვდა ნუკა კაციტაძე მომავალი მეუღლის გაცნობიდან სამ დღეში და რატომ დაინგრა მისი ოჯახი 13 წლის შემდეგ

გვ. 70



გვ. 75

რატომ არ დაიხურა ავთო ხურციძემ ასპარეზობისას ცნობილი ბრენდების ქუდები და რაზე თქვა უარი მიზანთან ახლოს მისულმა



გვ. 17

როგორ გახდა რუსუდან გორდეზიანი პირველი ქართველი გოგონა, რომელმაც სარფიდან ფოთამდე 73 კილომეტრი 25 საათში გადაცურა

## მძაფრსიუჟეტიანი სასიყვარულო რომანი გაგრძელებით




ჟურნალ „თბილისელებთან" ერთად – ფასი 3 ლარი

# გილოცავთ მარიამობას!




## მერცის სპეციალური დრაჟე - ვიტამინების, მიკროელემენტების და პროტეინების უნიკალური კომბინაცია გლუვი კანის, მბრწყინავი თმისა და მტკიცე ფრჩხილების შესანარჩუნებლად

მერცის სპეციალური დრაჟე შექმნილია გლუვი კანის, მბზინვარე თმისა და მტკიცე ფრჩხილების შესანარჩუნებლად. იგი წარმოადგენს ვიტამინების, მიკროელემენტების და პროტეინების უნიკალურ კომბინაციას, რომელიც შეიცავს თითოეულ კომპონენტს ისეთი დოზით, რაც აუცილებელია ჯანმრთელი კანის, ფრჩხილების და თმის ზრდისთვის, ორგანიზმის ბუნებრივი ბიოლოგიური პროცესებისთვის.

მზის ულტრაიისფერი გამოსხივება, მარილიანი ზღვის წყალი ან ქლორიანი წყალი აზიანებს კანს, თმას და ფრჩხილებს. კანი ხდება მშრალი, ნაკლებად ელასტიური, დანაოჭებული, თმა - მტვრევადი, დაზიანებული, აღინიშნება ინტენსიური თმისცვენა, ფრჩხილები - მყიფე, მტვრევადი, ნელა იზრდება.

მერცის სპეციალური დრაჟე აღადგენს კანის, თმის და ფრჩხილის უჯრედებს, უზრუნველყოფს მათ სიმტკიცეს და იცავს დაზიანებისგან, უნარჩუნებს კანს სინოტივეს, ელასტიურობას და სიგლუვეს, ხელს უწყობს თმის და ფრჩხილების ზრდას, ამცირებს თმის ცვენას.

# ს ა რ ჩ ე ვ ი


საქართველოს რომელ რეგიონებში იწყება გაუდაბნოების პროცესი, რატომ შემცირდა 3-ჯერ მარცვლეულის მოსავალი და რატომ აწუხებს გვალვა არტეზიულ წყლებზე მდგარ კახეთს ........ 6

რა გენეტიკური კავშირებია ქართველებსა და ჩრდილოეთ კავკასიელებს შორის, რატომ არის უნიკალური ბაგრატიონების ჰაპლოჯგუფი და რომელი ხალხების სინთეზის შედეგად ჩამოყალიბდა რუსი ერი ........ 8

რატომ შეიტანა საკუთარი ფერწერული ნამუშევრები ქონებრივ დეკლარაციაში დიასპორის სახელმწიფო მინისტრმა გელა დუმბაძემ ........ 9

რატომ ურჩევნიათ ქართველებს უკრაინაში თავის გამოჩენა საკუთარ ტერიტორიაზე გამაგრებულ ოკუპანტებთან შებრძოლებას ........ 10

როგორ გადაურჩა შალვა ოგბაიძე სახლიდან გაგდებას და რას შეელია ის საღამოობით ........ 12

როდის ვეღარ აკონტროლებს ნერვულ სისტემას ანრი ჯოხაძე და რატომ გადაწყვიტა მან საკუთარი ცხოვრებიდან ადამიანების გარკვეული კატეგორიის გაქრობა ........ 14

რამდენიმე საინტერესო ფაქტი კოფეინის შესახებ ........ 15

რა აზრის არის ალეკო ელისაშვილი განცხადებაზე „ქართველობას გვართმევენ“ და საიდან მოდის ჩვენი პრობლემები ........ 16

როგორ იცავდნენ შავ ზღვაში დელფინები რუსუდან გორდეზიანს დღისით და ღამით და როგორ გახდა ის პირველი ქართველი გოგონა, რომელმაც სარფიდან ფოთამდე 73 კილომეტრი 25 საათის განმავლობაში გადაცურა ........ 17

როდის იწყებს სხვადასხვა ენაზე ლაპარაკს ერთ დროს ერთმანეთზე შეყვარებული ცოლ-ქმარი ........ 20

ვინ ეძებს მამას უკრაინიდან საქართველოში და რა მიზეზით სურს უკრაინელ ქალს თავისი ნახევარძმების ნახვა ........ 21

ვინ დაადო ბანკის ვალები და დაუმონტაჟა სახლში მოსასმენი აპარატურა მურაზ მურვანიძეს ........ 22

ვისთვის იყო ნინო ღავთაძე ქალი-ვიაგრა, რა პირობას უყენებს იდეალურ მამაკაცებს და ვინ ანებივრებს მას სიყვარულით, ყურადღებითა და ლამაზი სიტყვებით ........ 23

როდის მიეწოდება ადამიანს ცოდვა სიკეთის სახით და რა არ ეპატიება მას არც ამ და არც იმ ცხოვრებაში ........ 24

მოძღვარი გვირჩევს ........ 25

ექიმის რჩევები ........ 29

დაქორწინდება თუ არა 77 წლის მსახიობი – გრიგოლ წიტაიშვილი და როგორ აღმოჩნდა საყვარელი გოგონა მისი და ........ 30

რაზე მიგვანიშნებს ქვეცნობიერი გულის უეცარი აჩქარებით და რაზე მეტყველებს ადამიანის ქცევასა თუ მდგომარეობაში გარკვეული ცვლილებები ........ 32

კოსმეტოლოგის რჩევები ........ 34

ინტიმური საუბრები ........ 35

რომელი ადგილებია ჩვენს დედაქალაქში ბიოლოგიურად საშიში და როგორ ავიცილოთ მათგან გამოწვეული სავალალო შედეგები ........ 36

როგორ იქცეოდა სტალინი მეგობრებთან ქეიფის დროს და უყვარდა თუ არა მას საქართველო ........ 37

შეკითხვა ასტროლოგს ........ 41

კვირის დღეების ასტროპროგნოზი ........ 49

როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები ........ 50

ადვოკატი გირჩევთ ........ 54

ვეტერინარის რჩევები ........ 55

კაცობრიობის გადასარჩენად ........ 56

საშიში ცოლი ........ 59

მაფიის შვილობილი ........ 60

რის გამო დააპატიმრეს 11-ჯერ ქართველი ქალი და რატომ ეკრძალებათ ქალებს კანონიერი ქურდობა ........ 64

სიძე-სიდედრის ოჯახური კონფლიქტის სისხლიანი დასასრული – სიძე და დაჭრილი ცოლისდა გისოსებს მიღმა ერთად მოხვდნენ ........ 65

ვინ დაპატიჟა ვიქტორია პლეშაკოვა ბილ კლინტონის ქალიშვილის ქორწილში და როგორ გახდა ქართველი გოგონა ცნობილი ბრენდების სახე ........ 71

როგორ აღმოვუჩინოთ პირველადი დახმარება სიცხისგან დაუძლურებულ და გონებადაკარგულ ადამიანს და რომელი დაავადებები მწვავდება ამ პერიოდში ........ 72

რატომ გადაწყვიტა კაცად გადაკეთებულმა ქართველმა ქალმა წლების შემდეგ ცოლის საქართველოში ჩამოყვანა და რისი ეშინია მას ........ 73

რატომ ვერ ბრუნდება გიგა კვენეტაძე საქართველოში და რა სიახლეს უმზადებს ის რუს და ქართველ მსმენელებს ........ 74

რატომ შეასწავლა ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი მაკედონელმა თავის შვილებს ქართული ენა ........ 76

როგორ ექცეოდნენ მსხვერპლად შესაწირ ადამიანს ძველ საბერძნეთში ........ 77

როდიდან ჩნდებიან საქართველოს ტერიტორიაზე ოსები, ქისტები, აფხაზები, სომხები და რა იყო მათი ჩამოსახლების რეალური მიზეზი ........ 80

როგორ ქმნის ადამიანი სახლში აურას და როგორ მოქმედებს ის ჩვენს ბედ-იღბალზე ........ 81

რატომ სცემა მიშა ქორქიამ გულშემატკივარი და რა საჩუქარი მიართვეს ზურა დოიჯაშვილს კონცერტზე ბებიებმა ........ 86



## ყურადღება!

**ავტორიზებული კოლეჯი**
**„ დ ა ს ტ ა ქ ა რ ი “**
**აცხადებს მიღებას**

**დასაქმების პერსპექტივით, ახალი სტანდარტით შემუშავებულ პროგრამებზე:**

1. **კბილის ტექნიკოსი (ერთწლიანი)**
2. **ექთნის თანაშემწე (წელიწადნახევარი)**

**ანონსი:**

1. **ფარმაცევტის თანაშემწე (ორწლიანი)**
2. **ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი (ექვსი თვე. შესაძლებელია შეღავათები)**

**მისამართი: თბილისი, უზნაძის ქ. №78**
**ტელ: 2-961678; 599 761-000**



## წიგნი, რომელსაც ველოდით

**გიყვართ სასიყვარულო რომანები?**

**უმეტესობას უყვარს, დანარჩენებს უყვართ დეტექტივები.**

**იცით, ბოლო ქართული სასიყვარულო რომანი როდის დაიწერა?**

**გასულ საუკუნეში...**

**მაგრამ, ასე იყო გუშინდლამდე!**

**დღეიდან ქართველ მკითხველს აქვს „ალიხანი და ნინა“ – პირველი ქართული თანამედროვე მძაფრსიუჟეტიანი სასიყვარულო რომანი.**

**...ეს ნამდვილი სიყვარულის ამბავი ჩვენს დროში მოხდა. რომანი-სერიალი მძაფრი დეტექტიური სიუჟეტით, ოჯახური საგა, ისტორია ბიზნესიმპერიებსა და საერთაშორისო კრიმინალზე...**




**„ალიხანი და ნინა“ – ეს არის მოგზაურობა თავბრუდამხვევი სიყვარულის ლაბირინთებში, მაღალმხატვრული გასართობი ლიტერატურა, რომელიც ერთი ამოსუნთქვით იკითხება.**

**ყოველ ორ თვეში იხილავთ მომდევნო ტომს.**

**უფრო მეტი „ალიხანისა და ნინას“ შესახებ**
**facebook / ალიხანი და ნინა**

# ძველებურად მადააშლილები

## გაქცეულები და წაქცეულები

თითქოს **ჩრდილოეთი არ გვეყოფოდა აღმართში ქვის დასაწევად**, რომ **იმავე პერსპექტივამ სამხრეთიდანაც შემოგვიტია**: კერძოდ, გაირკვა, რომ **ჩვენი მეზობელი თურქეთის** (რომლისგანაც ავიც ბლომად გვახსოვს და ბოლო 20 წელიწადში – ცოტა-ცოტა კარგიც) **ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა,** სახელდობრ, **ნაპრემიერალმა** ბ-ნმა **ერდოღანმა, პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე აჰმედ დავითოღლუს კანდიდატურა დაასახელა.**



ცნობილია, რომ ბ-ნი **აჰმედი მოვალეობის შესრულებას** ბ-ნი **რეჯებ ტაიპის ინაუგურაციის შემდეგ, ანუ 28 აგვისტოდან** შეუდგება. ჩვენ, ბუნებრივია, **არავინ გვეკითხება არც თურქეთის საკადრო პოლიტიკას** და არც თურქეთის **აწ უკვე პრეზიდენტის სამოხელეო გემოვნების განსასჯელად გვეპატიჟებიან**, თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ ბ-ნი **დავითოღლუ აქამომდე თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობას ასრულებდა** და სწორედ **მის ბაგეებს ეკუთვნის მოსაზრება ნეოოსმალური იმპერიის აღდგენის შესახებ** (მომყავს ციტატა მისი ორიოდე წლის წინანდელი გამოსვლიდან: „გასული საუკუნე ის ფურცელია, რომელიც ჩვენ უკვე გადავფურცლეთ. ახლა ჩვენ ვხდებით ქვეყანა, რომელიც დაამყარებს ახალ კავშირებს სარაევოსა და ბენღაზთან, სარაევოსა და ბათუმთან. ამჯერად ჩვენ ამას გავაკეთებთ მშვიდობინი გზებით და ახლა ამაშია ჩვენი ძალა. არავისთან ვიომებთ. საზღვრებსაც პატივს ვცემთ. დღეს ისინი სხვა ქვეყნები არიან, მაგრამ 110 წლის წინათ ოსმალეთის იმპერიის ნაწილები იყვნენ. ამ განცხადებით გამოვიწვევთ კრიტიკის ქარცეცხლს და დაგვადანაშაულებენ ნეოოსმალიზმში, მაგრამ მაშინ მათ, ვინც ევროპა გააერთიანა, რატომ არ უწოდებენ ნეორომაელებს?!)“, **შექმნილ ვითარებაზე ზედგამოჭრილია: საითაც გავიქეცი, იქითაც წავიქეცი** (იმედია, დასავლეთისკენ გაჭრის მცდელობა მაინც დაგვირგვინდება წარმატებით) –

# სანქციებით მოარშიყენი

## არ გინდოდათ რძე და ყველი, ანუ კალმახი და ორაგული?!

**მართალია,** რფ-მ აშშ-ის, ევროკავშირის, კანადის, ნორვეგიისა და ავსტრალიის მიერ დაწესებულ სანქციებს თავისი დაუპირისპირა **და საკუთარ ტერიტორიაზე** ზემოჩამოთვლილ ქვეყნებში წარმოებული პროდუქციის შეტანა აკრძალა, **თუმცა** ერთი გადახვევით – **ის წარმოებები, რომლებიც ემბარგოგამოცხადებულ ქვეყნებს რფ-ში აქვთ გახსნილი, კვლავ წარმატებით განაგრძობენ საქმიანობას (ანუ, როგორც ჩანს,** პრ. პუტინი ემბარგოთი ტექნოლოგიური ინვესტიციების მიზიდვას გეგმავს).



**თუმცა, სავარაუდოდ, რაკი აღმოჩნდა, რომ** საკუთარი და მოკავშირეების რესურსებით თავს, მაინცდამაინც ძლომამდე ვერ გამოიკვებავენ, **გასულ კვირას შევიტყვეთ, რომ** რფ-ის ხელისუფლებამ სანქციების სიიდან რამდენიმე საკვები პროდუქტი ამოიღო –

**სახელდობრ: აქამომდე დაწესებული ემბარგო გაუქმდა** ულაქტოზო რძეზე, ორაგულზე, კალმახზე, სათესლე კარტოფილზე, ჰიბრიდულ სიმინდზე, ხახვსა და ბიოლოგიურად აქტიურ დანამატებზე. **ეს** სასურსათო უკანდახევა კი თავისი ხელმოწერით პრ.-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა დაამოწმა.

**უფრო მეტიც, იმასაც უბნობენ, რომ** დაემბარგოებულთა მიერ წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას რფ-ში ბელორუსისა და ყაზახეთის გავლით შეიტანენ. **თუმცა, როგორც რუსეთის მთავრობის წევრები შენიშნავენ,** ბელორუსსსა და ყაზახეთში რუსეთში გასაგზავნ პროდუქციას გადაამუშავებენ; **ასევე, პრ.-მინისტრმა მედვედევმა ვიცე-პრემიერ დვორკოვიჩს პროდუქტების ფასების მატებისგან დავის გაკონტროლებაც დაავალა.**

**ზედაც, ამ უკანასკნელმა ისიც შენიშნა, რომ** ამ გადაწყვეტილებით ბელორუსი და ყაზახეთი ფრიად იხეირებენ, **ხოლო, რაკი** ვის, თუ არა ჩვენ, მოგვეხსენება, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისთვის სხვათა, **თუნდაც, მოკავშირეების** ბედნიერებაზე ზრუნვა უცხოა **(„ჯერ თავო და თავოო“),** აშკარაა, ყაზახეთი და ბელორუსი პარტნიორისგან რაღაც ფარცაკს უნდა ელოდონ**!**

# „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს!“

## „წასვლა სჯობს წარმავალისა“

**ჯერჯერობით კვლავ** ვერ გაგვირკვევია, რით გააუმჯობესა „სი თი პარკმა“ პარკირების პრობლემა დედაქალაქში **და** არის თუ არა ადეკვატური ავტომფლობელების მიერ მისთვის გადახდილი თანხები**, იმას გარდა,** რამდენად კანონიერი და გონივრულია დედაქალაქის მერიასა და ამ კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულება **(ან კი როგორ გავარკვევდით, როდესაც დღემდე „საიდუმლოდ“ გრიფდადებულია?!).**

**ვერ გავარკვიეთ, მაგრამ,** ის კი შევიტყვეთ, რომ კომპანია „სი თი პარკი“ თბილისიდან წასვლას არ აპირებს **(ან კი რატომ უნდა წავიდეს სად ქკუაზე მყოფი ადამიანი, როდესაც ფულს მუქთად შოულობს?!). ეს** „სასიხარულო“ ამბავი დედაქალაქის მთავრობის წევრებთან შეხვედრაზე კომპანიის გენერალურმა მენეჯერმა ბენი ლაჰავიმ გვაუწყა.

**საკრებულოს წევრ ბ-ნი** ელისაშვილის მოწოდებაზე: რაც მოიპარეთ, შეირგეთ და თავი დაგვანებეთო, **„სი თი პარკის“** გენმენეჯერმა დარბაისლურად უპასუხა**: გმადლობთ რჩევისთვის, მაგრამ ჩვენ თბილისის დატოვებას არ ვაპირებთ.** ჩვენ გვაქვს ხელშეკრულება და გავაგრძელებთ ნაკისრი ვალდებულების შესრულებასო.

**უფრო მეტიც,** ვერც პრეტენზიებს მივიღებთ, რამეთუ პირნათლად ვასრულებთ ვალდებულებებსო **(ბუნებრივია, ბ-ნ** ლაჰავის კავშირი „რამეთუ“ არ გამოუყენებია, **მაგრამ მისი** ნათქვამის არსი ზუსტად გადმოგეცით**). ხოლო,** რაკი ხელშეკრულება დაგრიფულია, ჩვენ, აბა, ვინ გვეტყვის, რა იკისრეს?!

**და საქმეს ისეთი პირი უჩანს (თუ გენმენეჯერის შემართებით ვიმსჯელებთ),** აქეთ არ გვაკისრებინონ, ხელს რად გვიშლით ტკბილი ლუკმის მონელებაშიო?! –


ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თებუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com

# ვენესუელური ნოუ-ჰაუ

## „ძმა ძმისთვისაო, სანქციების დღისთვისაო“

მართალია, რფ-ის ტერიტორიაზე ორაგულის, კალმახისა და თვით სათესლე კარტოფილის ბედი გარკვეულია, მაგრამ, რაკი სუსტი რგოლები კვლავაც რჩება შიდა სასურსათო ბაზრის მომარაგებაში, მათ დახმარების ხელი პაკისტანმაც გაუწოდა.

ეს უკანასკნელი მზადაა, რომ სრულად ჩაანაცვლოს ავსტრალია რფ-ისთვის ცხვრის ხორცის მიწოდებაში („ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო“). ამის შესახებ ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე განაცხადა პაკისტანის ელჩმა რფ-ში „როსსელხოზნადზორის“ ხელმძღვანელთან შეხვედრისას! –



დიპლომატი ირწმუნება, რომ პაკისტანს იმაზე მეტი ცხვრის ხორცის მიწოდებაც კი ძალუძს, რაც ავსტრალიას აქამომდე შეჰქონდა! ასე, მაგალითად, 2013 წლის განმავლობაში ავსტრალიას დიდ რუსეთში სულ რაღაც 26,7 მილიონი აშშ დოლარის შეუტანია. უფრო მეტიც, პაკისტანი მზადაა, რძისა და თევზეულის შემოტანასაც მოჰკიდოს მეგობრული ხელი და ციტრუსისა და კარტოფილის მოწოდებაც კი გაზარდონ!

ჩვენ არ ვიცით, დააპურებს თუ არა მეგობართა მცდელობები ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს, თუმცა ის კი უკვე ცნობილია, რომ რფ-ისა და ჩვენებური სეპარატისტების მეგობარი ვენესუელის პირველკაცმა ნიკოლას მადურომ უკვე გამოსცა ბრძანება ვენესუელის სასურსათო მაღაზიებში თითის ანაბეჭდების სკანერების სისტემის შესაქმნელად, რის წყალობითაც, მომავალი წლიდან ვენესუელელებს სურსათის შეძენა მხოლოდ თითის ანაბეჭდების დატოვების შემდეგ შეეძლებათ (ამ მეთოდით ვენესუელის ხელისუფლება კორუფციის, კონტრაბანდისა და პროდუქციის დეფიციტის დამარცხებას ცდილობს).

ხოლო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩამოთვლილი სამივე მანკიერება არც რფ-სთვისაა უცხო ხილი, ვფიქრობ, მოკავშირე-თანამოაზრე ვენესუელა მათ ამ გამოცდილების გაზიარებას არ დაამადლის.

# ჩინებისთვის მებრძოლები

## ანუ ჩამოლაბორანტებული

თუმცა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია და, ერთს ვინ ჩივის, ამ მცირე ზომის საქართველოს 70 000 კვადრატულ კილომეტრზე უკვე სამი პრეზიდენტი გვყავს (და მერე რა, რომ მათგან ორი – რფ-ის მიერ მხოლოდ-აღიარებული?!), დიდი ცილაობაა მთავარსარდლის უფლებამოსილებებსა და რაობაზე.



მოქმედი კონსტიტუციით, მთავარსარდალი პრეზიდენტია, ის ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანებული შტაბის უფროსებს და ეს უკანასკნელებიც სწორედ მის წინაშე არიან ანგარიშვალდებლები, მაგრამ სულ ახლახან თავდაცვის სამინისტრომ ცვლილებების პაკეტი შეიმუშავა, რის მიხედვითაც, საქართველოს პრეზიდენტს მთავარსარდლის უფლებამოსილება უნდა შეეზღუდოს.

ცვლილებების მიხედვით, პრეზიდენტმა აღარ უნდა დაამტკიცოს გაერთიანებული შტაბის დებულება, შტაბის ხელმძღვანელი კი ანგარიშვალდებული იქნება არა პრეზიდენტის, არამედ – თავდაცვის სამინისტროს წინაშე. ამას გარდა, ცვლილებებით, პრეზიდენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მთელი რიგი უფლებამოსილებები მთავრობის კომპეტენციაში უნდა გადავიდეს.

მინისტრი ალასანია განმარტავს, რომ პრეზიდენტის, როგორც მთავარსარდლის ფუნქცია, გარანტირებული იქნება. არ დავმალავ, პირადად მე, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს, ის მირჩევნია, ჩემი ქვეყანა გარანტირებულად იყოს მთლიანი, თუმცა, თუ ამ სტატუსისთვის ამტყდარ ვნებათაღელვებს გავიხსენებთ, ვითომ დიდგორის მაგვარის გადახდა აქვთ გუმანში და იმიტომაც ეცილებიან ერთმანეთს უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქციებში?! –

გვერდები მოამზადა
ნინო ხაჩიძემ

# ჯიბესავსე ანცები

## ანუ ფუნტი სტერლინგებია ჩემი გამხარებელი

საპრეზიდენტო კოსტიუმებით გამოწვეული სიხარულნარევი აღშფოთება ვერ მოგვენელებინა (სიხარულნარევი, ვინაიდან, ტყემლით, ანუ ქიშმირით მაინც სულ სხვაა; აღშფოთება კი, რადგან, რაკი ჩვენი ფულითაა ნაყიდი, განა ჩვენ ვერ გავიბრწყინებდით ჩაკოსტუმებულები რომელიმე კოსმეტიკურ პროცედურაზე?!), როცა გავარკვიეთ, რომ 14 ივლისს ნახელისუფლარ და პარლამენტის ნათავმჯდომარალ ბ-ნ ბაქრაძესა და მის „ჰერმესის“ სამეთვალყურეო საბჭოში დასაქმებულ მეუღლეს ერთ-ერთ ბრიტანულ ბანკში ანგარიში დაუხურავთ, ეს ფაქტი კი იმ ანგარიშზე დარიცხული თანხის ოდენობის გამო მოხვდა საზოგადოების ყურადღების ცენტრში.



ან კი როგორ არ მოხვდებოდა, როდესაც საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმარავლესობას 261 757 გირვანქა სტერლინგი არათუ რეალში, სიზმარშიც არ უნახავს. –

თუმცა ძაღლის თავის ძიებას არა იმდენად თანხის ოდენობაში (როგორც მოგვიანებით განმარტა ბ-ნმა ბაქრაძემ, თანხა სიმამრმა მაჩუქაო), არამედ – კანონში შეუდგნენ. კერძოდ, ამ ჩვენი მოქმედი კანონმდებლობით, მოხელე და პოლიტიკოსი ვალდებულია, წარადგინოს ქონებრივი და ფინანსური დეკლარაციები ბოლო თეთრამდე, ანუ პირნათლად გაასაჯაროოს ყველა თავისი ქონება, უძრავ-მოძრავი და შემოსავალ-გასავალიც, თავის ნაღდ ფულიან-საბანკო ანგარიშებიანად.

ხოლო, რაკი ზემომოტანილი ფაქტი ბ-ნ ბაქრაძეს თავის დეკლარაციაში არ აუსახავს, ამ ფაქტს ჩვენი მშობლიური არასამთავრობო სექტორიც გამოეხმაურა და ასეთ შემთხვევებში კანონის მოთხოვნები გაიხსენა. სახელდობრ, ამის ჩამდენს (აი, იმ ჩინოვნიკს, რომელიც დამალავს, რომ „ვალუტაა მისი გამხარებელი“), ეკისრება ჯარიმა ან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა 20-დან 200 საათამდე და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. თუმცა, მაგალითად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ იქვე დასძენს, რომ გამოსაკვლევია, როგორ გახდა ეს კონფიდენციალური ინფორმაცია საჯარო და სამართალდამცველებს გამსაჯაროებლის გამოვლენა-დასჯისკენ მოუწოდებს (ანუ არც მწვადს წვავს და არც – შამფურს?!).



თუ გავითვალისწინებთ, რომ ბ-ნი ბაქრაძე არ უნდა იყოს (არც არის) არც პირველი და არც უკანასკნელი პატიოსანი გვამი, ვინც გულდაგულ მალავს რეალურ ქონებასა და შემოსავლებს, შესაძლოა (თუ ხელისუფლება მტკიცედ მოჰკიდებს ხელს ასეთ ანცთა გამოვლენას), საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაო აღარ დაგვრჩეს ჩვენი ჩინოვნიკ-რჩეულების ფართო და სავსე ჯიბეების გადამკიდე. –


ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**კლიმატოლოგების თქმით, გლობალური დათბობის შედეგად ზაფხული უფრო ცხელი გახდა, ზამთარი – უფრო ცივი, გაზაფხულის ხანგრძლივობა შემცირდა და ამ პერიოდში უფრო აგრილდა, ერთადერთი შემოდგომა გახანგრძლივდა და გათბა. ამ ყოველივემ კი პრობლემები არა მხოლოდ ადამიანებს, მცენარეებსაც შეუქმნა, რადგან ამა თუ იმ რეგიონში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულმა კლიმატურმა პირობებმა ცვლილება განიცადა. რა გავლენა მოახდინა, ზოგადად, დედამიწის, კონკრეტულად, საქართველოს მოსავლიანობაზე კლიმატის ცვლილებამ და რა გართულებები ელით დედამიწელებს სურსათის ნაკლებობის თვალსაზრისით. გასულ კვირას სოფლის მეურნეობის მინისტრმა შემოგვჩივლა, გვალვა ბუნებრივი მოვლენაა და მის წინაშე უძლურები ვართო. თუმცა, როგორც სპეციალისტები განმარტავენ, უძლურება არაფერ შუაშია, საკმაოდ შემძლეები ვართ, სურვილისა და ცოდნის ეფექტიანად გამოყენების შემთხვევაში. თემას მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორთან, სოფლის მეურნეობის აკადემიის ეროვნულ კოორდინატორთან აგროეკოლოგიის დარგში თამაზ თურმანიძესთან ერთად მიმოვიხილავთ.**

# საქართველოს რომელ რეგიონებში იწყება გაუდაბნოების პროცესი, რატომ შემცირდა 3-ჯერ მარცვლეულის მოსავალი და რატომ აწუხებს გვალვა არტეზიულ წყლებზე მდგარ კახეთს

**– რა გავლენა მოახდინა კლიმატის ცვლილებამ დედამიწის განვითარების ჩვეულ პირობებზე?**

– მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის განმავლობაში სტიქიური უბედურებების რიცხვმა 3-ჯერ გადააჭარბა იმავე მაჩვენებლებს 1960-ან წლებში, ეკონომიკურმა დანაკარგებმა კი იმავე პერიოდში 8-ჯერ მოიმატა. სურსათის მსოფლიო დღეს, რომელიც აღინიშნება ყოველი წლის ოქტომბრის ბოლო ოთხშაბათს, მსოფლიოს ყურადღება გამახვილებულია სტიქიური უბედურებების ტრაგიკულ შედეგებსა და მათი თავიდან აცილების საშუალებებზე. სტიქია ზემოქმედებს მიწისძვრებით, ქარიშხლებით და ყველაზე მეტად, დამთანგველი სიცხეებით, რის გამოც ათასობით ადამიანი იღუპება. საგულისხმოა, რომ ეს თავს ატყდება არა მხოლოდ განვითარებად ქვეყნებს. მცხუნვარე ზაფხულმა 2003 წელს თითქმის 35 000 ევროპელის სიცოცხლე შეიწირა, მხოლოდ საფრანგეთში კი 15 000 ადამიანი დაიღუპა. გამოკვლევების შედეგებმა საგანგაშო ტენდენციები გამოავლინა: კაცობრიობას სულ უფრო ხშირად უწევს სტიქიასთან შეხება. თუკი 1995-1998 წლებში მსოფლიოში, საშუალოდ, 428 მიწისძვრა ხდებოდა, 1999-2003 წლებში ეს ციფრი 707-მდე, ანუ თითქმის ორჯერ გაიზარდა. 2004 წელი უპრეცედენტო იყო და ბუნებრივი კატასტროფების მიერ გამოწვეულმა ზარალმა 150 მილიარდი დოლარი შეადგინა, ამ მონაცემში არ შედის იმავე წლის 26 დეკემბრის ცნობილი მიწისძვრის შედეგები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

**– თუკი კლიმატური ცვლილებები არის ბუნებაში ადამიანის ჩარევის შედეგი, მიწისძვრების გაორმაგება შეიძლება ჩავთვალოთ ადამიანის გარემოზე ზემოქმედების შედეგად?**

– მაგალითად მოვიტანე, თორემ კლიმატის ცვლილებასთან უშუალო კავშირში არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ მიწისძვრების რაოდენობაც გაიზარდა. თუმცა ყველაზე დიდ საფრთხეს კაცობრიობას უქმნის სულ უფრო მზარდი გვალვები, წყალდიდობები, ქარიშხლები... საქმე ის არის, რომ დღეს ჯერჯერობით არ გვაქვს რეგიონული ლოკალური და გრძელვადიანი სეზონური პროგნოზები აღნიშნული მოვლენების შესახებ და არ არის შემუშავებული შესაბამისი ადრეული გაფრთხილებების სისტემა. ამასთან, შესამუშავებელია ახალი მიდგომები კლიმატის ცვლილების შედეგად სამომავლო საშიშროებების თავიდან ასაცილებლად, მათი ნეგატიური ზემოქმედების შესარბილებლად.

**– კონკრეტულად საქართველოზე როგორ აისახა კლიმატის ზოგადი ცვლილება?**

– კლიმატური ცვლილებები, უპირველესად, საფრთხეს უქმნის ჩვენი ქვეყნის აგროსექტორს, ეს ეხება ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ქვეყანაში გახშირებულ სტიქიურ მოვლენებს: გვალვებს, თავსხმა წვიმებს, წყალმოვარდნებს, ღვარცოფებს, მეწყრებსა და ასე შემდეგ. მაგალითად, ბოლო 5 წელიწადში სამჯერ განმეორდა კატასტროფული გვალვა: 2010, 1012 და 2014, ანუ მიმდინარე წელს. ძლიერი გვალვები აღინიშნა აგრეთვე 2002 და 2006 წლებში. ამის გამო გარდაბნისა და დედოფლისწყაროს რაიონებში დაწყებულია გაუდაბნოების პროცესები. ყოველივე ეს ამძიმებს ისედაც კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ სოფლის მეურნეობას და მოითხოვს ახალი ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებას ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების სფეროში.

**– რა არის ჩვენი ძირითადი პრობლემა, როგორც კლიმატური ცვლილების შედეგი?**



**თითქოს პარადოქსულია, მაგრამ გლობალური დათბობის კვალობაზე, ყინვები ძლიერდება და ამ ყინვებისგან მოსავლის დაცვაა საჭირო**

– გვალვა, როგორც გავრცელებული ექსტრემალური მოვლენა მოითხოვს საფუძვლიან შესწავლას. როდესაც ქვეყნის ხელისუფლება და ადგილობრივი ორგანოები სათანადოდ არ აფასებენ გვალვის შედეგებს, გვალვით მოყენებული ზარალი ბევრად მეტია მოსამზადებელ ღონისძიებებზე გაწეულ ხარჯებზე, ხოლო სასურსათო უშიშროების სფეროში გამოწვეული შედეგები მძიმე ტვირთად აწვება მოსახლეობას. ამის თვალსაჩინო მაგალითია 2006, 2010 და 2012 წლის კატასტროფული გვალვები საქართველოში და მთლიანად სამხრეთ კავკასიაში, რისგან გამოწვეულმა ზარალმაც საქართველოში შეადგინა მთლიანი შიგა პროდუქტის 6-პროცენტამდე. მრავალწლიანი, ისტორიული მონაცემებით, საქართველოში ძლიერი, კატასტროფული გვალვები მეორდებოდა ყოველ ათ წელიწადში ერთხელ, უკანასკნელ ათ წელიწადში კი იგი განმეორდა 4-ჯერ, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ კლიმატური დათბობის მიმდინარე და მოსალოდნელ პირობებში გვალვების სიხშირე და სიმძაფრე, ალბათ, კიდევ უფრო მოიმატებს. ეს კიდევ უფრო მეტ პრობლემას შეუქმნის არა მარტო სოფლის მეურნეობას, არამედ – ჰიდროენერგეტიკას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ელექტროენერგიის 80 პროცენტს გამოიმუშავებს და, რაც მთავარია, ადამიანთა ჯანმრთელობას. მაგალითად, საქართველოში გასული საუკუნის 80-ანი წლების ბოლოს ფუნქციონირებდა 182 ჰიდროლოგიური სადგური, ხოლო 2000 წლისათვის დარჩა მხოლოდ 72, ახლა უფრო ნაკლებია, რამაც საგრნობლად გააუარესა წყლის მონიტორინგი. აგრარული პროფილის სამეცნიერო დაწესებულებების გაუქმებამ კი გააუარესა მეცნიერ-მუშაკთა მიერ გვალვის საწინააღმდეგო ეფექტიანი ღონისძიებების გატარება და ფერმერთა კონსულტირება.

**– სარწყავი სისტემის მოწესრიგებით და თუ გავითალისწინებთ, რომ ჩვენ ბევრი არტეზიული წყლები გვაქვს, მათ შორის, კახეთშიც, გვალვასთან გამკლავება სავსებით რეალურია?**

– რა თქმა უნდა. გვალვის დროს ნალექები მცირდება, ზედაპირული ჩამონადენიც, მაგრამ არის მიწისქვეშა წყლის რესურსი, რის გამოყენებაც უკეთესად შეიძლება და რასაც ვერ ვაკეთებთ სხვადასხვა მიზეზის გამო. მთავრობა არ იყო მომზადებული გვალვისთვის. ინფორმაციის დეფიციტის გამო მთავრობა მივიდა დასკვნამდე, რომ ძლიერმა გვალვამ მოიცვა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველო, ამიტომ მხოლოდ მათ გაეწიათ დახმარება, ამ დროს კი დასავლეთ საქართველოშიც საკმაოდ მძიმე გვალვები და მოსავლის დანაკარგები იყო. მიუხედავად 2010, 2012 წლების კატასრტოფული გვალვებისა, 2014 წლის ზაფხული ჯერ არ დამთავრებულა, ამიტომ მონაცემი არ გვაქვს, ქვეყანაში არ შემუშავებულა გრძელვადიანი გვალვებისაგან გამოწვეული ზარალის შემცირებისა და თავიდან აცილების პროგრამა.

**– ჩვენი სოფლის მეურნეობა ამჟამად არსებული მდგომარეობით ვერ უზრუნველყოფს სრულად ჩვენი მოსახლეობის გამოკვებას, თუმცა აქვს 8-10 მილიონი ადამიანის გამოკვების პოტენციალი. გვა-**

## გილოცავთ!

საქართველოს დამსახურებული პედაგოგის, ღირსების ორდენის კავალერის თამარ ხაფავას ღვაწლი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში დიდი ხანია გაცდა მშობლიურ მეშვიდე სკოლას... 50 წელი სკოლაში! საქმე, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობით ემსახურეთ! მადლობას გიხდით იმ სიყვარულისთვის, რაც თქვენ უამრავ თაობას გაატანეთ ჩვენი სკოლის კედლებიდან... მადლობას გიხდით იმ გულისხმიერებისთვის, რასაც თქვენ არასდროს იშურებდით კოლეგების მიმართ... დაბადების დღეს გილოცავთ! ჯანმრთელობას და სიცოცხლეს გისურვებთ!



**მე-7 საჯარო სკოლის პედაგოგები**

დაიბრუნეთ ჩვეული სილაღე და თავდაჯერებულობა




ტერბიზილი® კრემი
ტერბინაფინი

ეფექტური → სწრაფი → საიმედო და უსაფრთხო

**ტერბიზილის კრემი** – შექმნილი სპეციალურად კანის სოკოვანი დაავადებების სამკურნალოდ, სულ რაღაც **1-2 კვირაში** ახდენს ტერფის სოკოსგან სრულ განკურნებას და იცავს კანს განმეორებითი ეპიზოდების განვითარებისაგან ხანგრძლივი დროით.
**გამოყენების წესი:** წინასწარ გასუფთავებულ და მშრალი კანის დაზიანებულ უბნებზე წაისვით ტერბიზილი კრემის თხელი ფენა 1-2 ჯერ დღეში.

- უზრუნველყოფს განკურნების მაღალ პროცენტს.
- ანადგურებს კანის სოკოს ყველა ძირითად გამომწვევს.
- ახდენს სრულ განკურნებას (ტერფის სოკოს დროს 1-2 კვირაში).
- დაგიცავთ რეციდივის განვითარებისაგან.

*იკითხეთ აფთიაქებში*

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას.
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ღსს "გედეონ რიხტერი"-ს (უნგრეთი) წარმომადგენლობა საქართველოში.
მის.: თბილისი, კანდელაკის №8, ტელ/ფაქსი: 237-11-00; 237-71-00


**ლვების ზემოქმედების შედეგად რამდენჯერ შემცირდა და შემცირდება მოსავლიანობა, თუ პრევენციული ღონისძიებები არ დაისახა?**

– ამის პროგნოზირების მეთოდები არის შემუშავებული. თვითრეკლამასავით გამოდის, მაგრამ ქართველმა მეცნიერებმა შეიმუშავეს კატასტროფული გვალვების სეზონური პროგნოზირების მეთოდები. პროგნოზები შედგენილი იყო ყველა გვალვიანი წლისთვის, რომლებიც ჩამოვთვალე, მათ შორის, წლევანდელისთვისაც. შეიძლება, ჩვენი სისუსტის ბრალიცაა, მაგრამ ეს ინფორმაცია მთავრობას არ მიეწოდებოდა ოპერატიულად და არ ქვეყნდებოდა შესაბამისი რეაგირებისთვის. ამასთან, დამუშავებულია წამყვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების, უპირველესად, მარცვლეულის მოსავლიანობის პროგნოზები და შეიძლება მათი გამოყენება. იმედი ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში ამას მიექცევა ყურადღება.

**– და რას ამბობს პროგნოზი?**

– მოსავლის პროგნოზი არ დგება, ეს უნდა შეადგინოს სამინისტრომ. თუმცა მეცნიერულად ეს საკითხი შესწავლილია, მხოლოდ უფრო მეტი გააქტიურებაა საჭირო მეტი შედეგის მისაღებად. ფაქტობრივი მონაცემებიც გვაქვს: თითქმის 2-3-ჯერ შემცირდა მარცვლეულის მოსავალი.

**– რომელ კულტურებს შეეხო ყველაზე მეტად გვალვა თუ ყველას განურჩევლად?**

– ძირითადად ეხება მარცვლეულ კულტურებს და ძალიან ცუდი მდგომარეობა გვაქვს სათიბებისა და საძოვრების მხრივ, წელს კატასტროფული სიტუაციაა – არ ვიცი, როგორ გადაიტანს ამ ზამთარს ჩვენი საქონელი.

**– ბალახი გახმა და იმიტომ?**

– დიახ, გადამხმარია ბალახი და თივა ძალიან გაძვირდა. მთიანი რაიონებიდან შემოდის, სადაც ნალექები უფრო იყო, მაგრამ დაბლობებში გვალვამ გადაწვა მინდვრები.

**– ხილსა და ბოსტნეულზე როგორ მოქმედებს გვალვა?**

– ბოსტნეული საქართველოში, ძირითადად, სარწყავ მიწებზეა, ამიტომ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა: გარდაბნის, მარნეულის რაიონებში, ანუ ქვემო ქართლი, ძირითადად, მტკვრის წყლით ირწყვება. მეორე რაიონი ბოსტნეულის წარმოების თვალსაზრისით, არის იმერეთი – იქ გვალვები არის, მაგრამ არა ისეთი სიმძაფრით, როგორც აღმოსავლეთში, ამიტომ ასეთი კატასტროფული მდგომარეობა არ არის, თუმცა გარკვეული სიძნელეები იქაც იქმნება. რაც შეეხება ხილს: იქ, სადაც სარწყავ მიწებზეა ხილის ბაღები, მოსავალს არ შესტყობია გვალვა. ტელევიზიით ხშირად ჩივიან მევენახეები, რომ ვაზი ხმება, გულახდილად უნდა გითხრათ, რომ ეს ცოტა გადაჭარბებულია. ჩემი თავდაპირველი პროფესია არის მევენახეობა, ვაზს მძლავრი ფესვთა სისტემა აქვს, 2 და მეტ მეტრზე და ერთი ზაფხულის გვალვა ვერ გაახმობს, მაგრამ მოსავალზე, რა თქმა უნდა, მოქმედებს.

**– გარდა გვალვისა, რა აუარესებს ჩვენი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხსა და მოსავლიანობას?**

– გარდა გვალვისა, არის სტიქიური მოვლენა სეტყვა. როგორც წესი, გვალვიან წლებში, ანუ ცხელ ზაფხულებში ხშირდება სეტყვის შემთხვევები.

**– გამოდის, რაც გვალვას გადაურჩება, იმას გაანადგურებს სეტყვა.**

– დიახ. თუმცა არის საუბრები, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო აპირებს სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარების შეძენას. თავის დროზე სეტყვის სამსახური ძალიან მაღალ დონეზე იდგა საქართველოში. ქართველ მეცნიერებს შემუშავებული ჰქონდათ შესაბამისი მეთოდები, იყო დანადგარებიც, რომლებიც, როგორც ვიცი, შემდეგ თავდაცვის სამინისტროს გადაეცა. მოიშალა შემდეგ ეს ყველაფერი, მაგრამ ახლა თითქოს დაიძრა ეს საქმე, რაც აუცილებელია. აღმოსავლეთ საქართველოში და, განსაკუთრებით, კახეთში სეტყვა ერთ-ერთი ყველაზე მძიმე სტიქიური მოვლენაა გვალვის შემდეგ.

**– ზამთარი უფრო ცივი გახდა კლიმატური ცვლილებების გამო, ესეც ხომ ახდენს გავლენას მოსავალზე?**

– თითქოს პარადოქსულია, მაგრამ გლობალური დათბობის კვალობაზე, ყინვები ძლიერდება და ამ ყინვებისგან მოსავლის დაცვაა საჭირო. ეს საკმაოდ სერიოზული საკითხია. ერთი რამ შეიმიძლია ვთქვა, მაქვს დამუშავებული ზამთრის ყინვების გრძელვადიანი პროგნოზი. შევადგინე გასულ შემოდგომაზე და აგრეთვე, ორი წლით ადრეც. შემიძლია ოქტომბრის ბოლოს ვთქვა, იქნება თუ არა მოსალოდნელი ზამთარი მკაცრი. ამ საკითხსაც უნდა მიეხედოს, რადგან არსებობს ძლიერი ყინვებისგან დაცვის მეთოდებიც.

**– თქვით, რომ საქართველოში მარცვლეულის მოსავალი 2-3-ჯერ შემცირდა კლიმატური ცვლილებების გამო, მსოფლიოში როგორი ტენდენციაა?**

– იგივე ტენდენციაა აბსოლუტურად.

**ნინო ხაჩიძე**


**ქირავდება!**

კეთილმოწყობილი 4-ოთახიანი ბინა ბათუმის ცენტრში, ზღვასთან ახლოს. უწყვეტი ცხელი და ცივი წყლით, ბუნებრივი აირით, კონდენციონერით.

*ტელეფონი 599 51 41 21.*

**დნმ-ის კოდი არის ის გასაღები, რომელიც თითოეული ადამიანის წარსულსაც დეტალურად ასახავს და თუ მთლიანად არა, მისი მომავლის მნიშვნელოვან ნაწილსაც განსაზღვრავს. იმის მიუხედავად, რომ ეროვნებას აყალიბებს კულტურა, მენტალიტეტი, ღირებულებათა სისტემა და ასე შემდეგ, ჩვენს დნმ-ს შემონახული აქვს ინფორმაცია თვით იმ პირველი არსების შესახებ, რომლის წყალობითაც ჩვენ აქ და ამ დროს მოვევლინეთ ქვეყნიერებას. დღეს მსოფლიოში აქტიურად მიმდინარეობს გენეტიკური კვლევები, რაც, საბოლოოდ, არა მხოლოდ ბევრ კითხვას მოჰფენს ნათელს, არამედ, შესაძლოა, მრავალი პოლიტიკურ-ისტორიული დავებიც გადაჭრას. ამ კვლევებში ქართველებიც იღებენ მონაწილეობას და უკვე დადგენილია ის ძირითადი ჰაპლოჯგუფები, რომლებიც ქართველებისთვისაა დამახასიათებელი. რა გენეტიკურ კოდს ინახავს ჩვენი ორგანიზმი, ვისი შთამომავლები ვართ, რა კვალი დატოვა ჩვენს დნმ-ზე უამრავმა დამპყრობმა, როგორ შეერწყა ერთმანეთს მრავალი ტომი ერთ ქართველ ეთნოსად? ამ შეკითხვებზე პასუხების მიღებაში ამერიკული Family tree DNA პროექტის ქართული გენეტიკური პროექტის თანაადმინისტრატორი კახა სახლთუხუცესი დაგვეხმარება.**

# რა გენეტიკური კავშირებია ქართველებსა და ჩრდილოეთ კავკასიელებს შორის, რატომ არის უნიკალური ბაგრატიონების ჰაპლოჯგუფი და რომელი ხალხების სინთეზის შედეგად ჩამოყალიბდა რუსი ერი

**– როდის დაიწყო და რა მიზანს ემსახურებოდა ეს გენეტიკური კვლევები?**

– კვლევები, დაახლოებით, 10-12 წლის წინათ დაიწყო და თავდაპირველად, მხოლოდ მეცნიერული საფუძველი ჰქონდა, რადგან თითოეული ადამიანის ტესტირება ძალიან ძვირი ჯდებოდა, მაგრამ 2004 წლიდან დაიწყო ტესტების კომერციულად გაყიდვა. თავადაც დავინტერესდი ამ საკითხით და 2005 წელს პირადად შევუკვეთე ტესტი ჩემთვის, შემდეგ უკვე დავუკავშირდი ამ ლაბორატორიის ხელმძღვანელებს, დავაარსეთ კავკასიის და შემდეგ საქართველოს პროექტი, რომელიც აერთიანებს ქართველ და კავკასიელ ტესტირებულ ადამიანებს.

**– ამ პროექტის მიზანი თავდაპირველად სამეცნიერო იყოო. რა იყო ეს სამეცნიერო მიზანი, გაერკვიათ დედამიწის მოსახლეობის წარმომავლობა?**

– ასეთი კვლევები გასული საუკუნის 70-ანი წლებიდან დაიწყო და ცდილობდნენ, დაედგინათ მსოფლიოს სხვადასხვა პოპულაციის წარმომავლობა და მათი ურთიერთკავშირი. თავიდან ძირითადად იკვლევდნენ სისხლის ანალიზით. შემდეგ, როდესაც საშუალება გაჩნდა დნმ-ის კვლევის, რადგან დნმ-ის მეშვეობით უფრო ადვილი და ინფორმაციულია შთამომავლობის ხეების წარმოქმნის ნახვა, დაიწყო მუშაობა დნმ-ზე. დნმ-ის ანალიზით გვაქვს საშუალება, გავიგოთ ადამიანის წარმომავლობა მოყოლებული ათეულ ათასობით წლის წინათ ჩვენს დრომდე. იკვლევენ Y ქრომოსომას, რომელიც მამიდან ვაჟიშვილს უცვლელად გადაეცემა და მოჰყვება ათასწლეულების განმავლობაში.

**– ქალების დნმ-ის ანალიზი რა ინფორმაციას გვაძლევს?**

– არსებობს მიტოქონდრიული დნმ, რომელსაც დედა გადასცემს როგორც ქალიშვილს, ისე ვაჟიშვილს, მაგრამ ვაჟიშვილი შემდეგ თავის შვილებს ველარ გადასცემს, ქალიშვილი კი აგრძელებს. არსებობს ქალის ხაზებზე შედგენილი გენეალოგიური ხეებიც, მაგრამ მისი დინამიკა ცოტა სხვანაირია და ამიტომ წარმომავლობის გათვალისწინებისთვის ჯერჯერობით ნაკლებად გამოიყენება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მამიდან შვილზე გვარებიც გადადის და ამიტომ გენეალოგიური თვალსაზრისით უფრო ადვილია Y ქრომოსომის გამოკვლევა, რადგან ევროპაში გვარები უკვე რვაასი წელია არსებობს, ჩვენთანაც ასეა და ამ შედეგების ისტორიული წყაროებით დამოწმებაც შეიძლება. ქალები გვარს იცვლიან, თავიანთ შვილებს არ გადასცემენ და ამ მხრივ ძნელია მათი მონაცემის გამოყენება. სხვათა შორის, ქალის მიტოქონდრიული ქრომოსომის გამოკვლევა უფრო ძვირიც ჯდება. როდესაც კვლევა გაიაფდება და შედარებით ხელმისაწვდომი გახდება, მაშინ უფრო გამოიყენებენ, ალბათ.

**– არ მომეწონა, ცოტა დაჩაგრულები ვყოფილვართ ქალები და ჩვენი ქრომოსომები. მაგალითად, ებრაელებთან ეროვნება გადადის ქალის ხაზით. იქ რას იკვლევენ, მაინც მამაკაცის Y ქრომოსომას?**

– ყველაზე კარგად ებრაელი ეთნოსია გამოკვლეული, უზარმაზარი დიასპორა ჰყავთ, დაინტერესებაც დიდია, მეცნიერულადაც იკვლევენ და პირადადაც. მათში აღმოჩნდა საინტერესო მონაცემი, რომ აშქენაზები 4 ქალის შთამომავლები არიან, რომლებიც, დაახლოებით, 2 000 წლის წინათ ცხოვრობდნენ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მაშინ სხვა ებრაელი ქალები არ იყვნენ, უბრალოდ ნიშნავს, რომ იმ 4 ქალის შთამომავალმა მოაღწია დღემდე და დღევანდელი აშქენაზი ებრაელები არიან 4 ქალის შთამომავლები, რომლებიც 2 000 წლის შინათ ცხოვრობდნენ.

**– ქართველების შემთხვევაში, რადგან ჩვენ მამაკაცებს ვიკვლევთ, ქალის კვალი ამიტომ არ ჩანს? თორემ ქალის საწყისი საკმაოდ ძლიერია ჩვენს მითოლოგიაში, ზღაპრებში, არქეტიპში.**

– მეტნაკლებად მაინც გამოკვლეულია ქალები. პირადად მე გამოვიკვლიე დედაჩემის ხაზი და, დაახლოებით, 20-მდე სხვა ქართველმაც. ირკვევა, რომ ჩვენი დედების ხაზი მომდინარეობს ანატოლია-კავკასიიდან. ასევე, არის X ჰაპლოჯგუფი, რომელიც გავრცელებულია მთელ მსოფლიოში, მაგრამ ამოუცნობია, საიდან გავრცელდა. ის გამოკვლეულ ბევრ ქართველ ქალსაც აღმოაჩნდა.



აშქენაზი ებრაელები 4 ქალის შთამომავლები არიან, რომლებიც, დაახლოებით, 2 000 წლის წინათ ცხოვრობდნენ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მაშინ სხვა ებრაელი ქალები არ იყვნენ, უბრალოდ ნიშნავს, რომ იმ 4 ქალის შთამომავალმა მოაღწია დღემდე

**– დღევანდელი ქართველები ვისი შთამომავლები ვართ? ვინ არის ის პირველი მამაკაცი თუ მამაკაცები, რომელთა გენებმა დღევანდელობამდე მოაღწია?**

**აფხაზებთან. ფაქტობრივად, იდენტურები ვართ ავტოსომური დნმ-ის ხაზით, მამაკაცების ქრომოსომებითაც იდენტურები ვართ, რომ აიღოთ ბრმა ტესტი, ვერ მიხვდებით, ქართველია თუ აფხაზი**

– ქართველებს შორის, ძირითადად, გავრცელებულია რამდენიმე ჰაპლოჯგუფი, ჰაპლოჯგუფი არის გენების ერთობლიობა, რომლებიც პირობითადაა დაჯგუფებული და ერთი კონკრეტული ადამიანიდან მოდის რამდენიმე ათეული ათასობით წლების წინათ. ქართველებს შორის გამოიკვეთა რამდენიმე დომინანტი ჰაპლოჯგუფი და მათ შორის ყველაზე ძველს პირობითად ეწოდება G2a, რომელიც, დაახლოებით, 12 000 წლის წინანდელია და როგორც ჩანს, ეს იყო პირველი მამაკაცი, რომელმაც ანატოლიიდან მოაღწია კავკასიაში და პირველი დამკვიდრდა აქ. ჯერჯერობით არ ვიცით, რა ენაზე ლაპარაკობდნენ, ვინ იყვნენ. ამას გაარკვევს არქეოლოგიური კვლევები. ამის შემდეგ მოდის R1b1a2 ჰაპლოჯგუფი, ასევე, გავრცელებულია G2a3b ჰაპლოჯგუფი, G2a1a, J2*. ესენი არიან დომინანტი და უძველესი ჰაპლოჯგუფები. როდესაც გენეალოგიურ ხეს ადგენენ, ჩვენ ცალკე შტოზე ვხვდებით. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ ყველა ეს ჰაპლოჯგუფი ძალიან ადრე მოვიდა კავკასიაში და შემდგომ ქართველების ეთნოგენეზში მიიღო მონაწილეობა. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ G2 არის პროტოქართველი, მაგრამ, რადგან ცხოვრობდნენ კავკასიის ტერიტორიაზე მრავალი ათასი წლის განმავლობაში, სწორედ მათ მიიღეს მონაწილეობა ქართველების, როგორც ერის ჩამოყალიბების პროცესში. ამას გარდა არის კიდევ რამდენიმე მინორული ჰაპლოჯგუფი.

**– მინორული?**

– ნაკლებად გავრცელებული, მაგრამ ისტორიულ დროში მოსული. მაგალითად, ჩემი ჰაპლოჯგუფი, რომელიც, სავარაუდოდ, მესხებთან ერთად მოვიდა, დაახლოებით, 2 800 წლის წინათ, იმიტომ რომ ბალკანური წარმომავლობისაა, ასევე, არის L1b ჰაპლოჯგუფი, გავრცელებული ლაზებში, რომელიც, ასევე, გვხვდება მეგრელებსა და სვანებში. და გვაქვს უნიკალური შემთხვევა, არის ჰაპლოჯგუფი, რომელიც მხოლოდ ერთი გვარის წარმომადგენლებს აქვს. ეს საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი გვარია – ბაგრატიონების ჰაპლოჯგუფი. ბაგრატიონები შეადგენენ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე არქაულ შტოს და მათი ნათესავი მსოფლიოში ჯერჯერობით არავინ ჩანს.

**– ბაგრატუნები არიან გამოკვლეულები?**

– სამწუხაროდ, ისინი არ შემორჩენილან, ჩვენ გვაქვს კავშირი სომეხ მეცნიერებთანაც, ვკითხეთ მათ ამის შესახებ და დღეს ვინც იჩემებს სომეხ ბაგრატუნობას, ის თვითმარქვიააო. ბაგრატუნების ხაზი მეთვრამეტე საუკუნეში გაწყდა. ერთადერთი იმედი არის ნაშთების გამოკვლევა. აპირებენ და იმედია, მომავალ წელს მაინც იქნება შედეგი.

**– და ბოლოს და ბოლოს, გადაიჭრება ეს დავა.**

# რატომ შეიტანა საკუთარი ფერწერული ნამუშევრები ქონებრივ დეკლარაციაში დიასპორის სახელმწიფო მინისტრმა გელა დუმბაძემ

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გელა დუმბაძე 1965 წელსაა დაბადებული თბილისში. დაამთავრა თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1989 წელს) და მისი შრომითი ბიოგრაფიაც 1989 წელს დაიწყო: 1996 წლამდე იყო თავის მიერვე ჩამოყალიბებული საბავშვო ესთეტიკურ-საგანმანათლებლო სასწავლებლის დირექტორი. მინიჭებული აქვს უმაღლესი კატეგორიის პედაგოგის წოდება. შემდეგ სპეციალობა შეიცვალა და 1999-2001 წლებში სწავლობდა დიპლომატიურ აკადემიაში. 1998 წლიდან 1999-მდე იყო საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის პირველი მდივანი, 1999-2000 წლებში – სამინისტროს პრესცენტრის მრჩეველი; 2000 წელს დაწინაურდა და 2001 წლამდე საგარეო პოლიტიკური ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ იმუშავა. 2001 წელს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მრჩევლად დაინიშნა, 2005 წელს კი – კულტურული მემკვიდრეობისა და დიასპორასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსად (2007 წლამდე). იმავე წელს რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოს მრჩევლად გადაიყვანეს, 2009 წელს – უკრაინაში საქართველოს საელჩოს უფროს მრჩევლად, 2013 წელს – უზბეკეთისა და ტაჯიკეთის რესპუბლიკებში საქართველოს ელჩის მოვალეობის შემსრულებელი გახდა, 2014 წლის ივნისში დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილედ გადაიყვანეს, ივლისში კი სახმინისტრის პორტფელიც ჩააბარეს. მინიჭებული აქვს უფროსი მრჩევლის დიპლომატიური რანგი; თუმცა, პარალელურად, ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდა: არის ავტორი ნოველების კრებულების – „ყვითელი ტროლეიბუსი“ და „მე – მორბენალი“. 2002 წელს აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოს ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრში დაიდგა მისი პიესა „ღამის სტუმარი“, ხოლო 2012 წლის ივნისში კიევის გალერეა Artholl-ში ბ-ნი დუმბაძის ფერწერული ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენაც გაიმართა.



გელა დუმბაძის მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 2001 წლით თარიღდება, რომელიც მან საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის რანგში შეავსო. ოჯახის წევრებად მიუთითა მეუღლე – ირინა სულთანიშვილი და 1988 წელს დაბადებული ქალიშვილი – სალომე. ოჯახის ერთადერთი საკუთრება იყო საცხოვრებელი ბინა თბილისში, რომელიც ბ-ნ დუმბაძეს ეკუთვნოდა. მისი მეუღლე იმ პერიოდში კომპიუტერული ფირმა „ივერსის“ კონსულტანტი იყო. დეკლარაციაში მითითებული არ არის მათი შემოსავლები.

ბ-ნი დუმბაძის ბოლო დეკლარაცია 2014 წლით თარიღდება, რომელიც მან სახმინისტრის მოადგილის ამპლუაში შეავსო და ოჯახის წევრად მიუთითა მხოლოდ მეუღლე. რაც შეეხება უძრავ ქონებას: გელა დუმბაძის საკუთრებაა საცხოვრებელი ბინა თბილისში, ძოწენიძის ქუჩაზე (90 კვ.მ.), მიწის ნაკვეთი მუხათწყაროში (600 კვ.მ.), აგარაკი ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზენობანში (150 კვ.მ.), ოღონდ მხოლოდ მესამედი; ირინა სულთანიშვილს კი ეკუთვნის სხვენი – მდებარე თბილისში, ყაზბეგის 41-ში (78 კვ.მ.) და იმავე მისამართზე მდებარე ბინის მესამედი (საერთო ფართობი 100 კვ.მ.).

ამას გარდა, გელა დუმბაძის საკუთრებაა პირადი ფერწერული ნამუშევრები: „მიყვარს ვაშლი“, „მსხლები“, „მისტიური ფანჯრები“, „სამბა“, „გემის გასეირნება“, „უცნობი ევა“, „მეტალურგიული ქარხნის დამლაგებლები“, „წითელი პარასკევი“, „მოსამართლე“.

ასევე, „თი ბი სი ბანკში“ გახსნილ ანაბრებზე გელა დუმბაძე ინახავს, შესაბამისად, 2 771 აშშ დოლარსა და 700 ლარს, ხოლო მისი მეუღლე – 1 300 აშშ დოლარს.

2013 წლის განმავლობაში ბ-ნმა დუმბაძემ, როგორც უკრაინაში საქართველოს საელჩოსა და უზბეკეთში საქართველოს საელჩოს დიპლომატმა 37 500 აშშ დოლარი მიიღო.

2013 წელს მან 57 500 აშშ დოლარად გაყიდა საცხოვრებელი ბინა და იმავე წელსვე 60 000 აშშ დოლარად იყიდა სხვა საცხოვრებელი ბინა.

**ნინო ხაჩიძე**

---

– აშკარაა, რომ ბაგრატიონები მოსულები არიან, არავინ იცის, ძველი ებრაელები იყვნენ თუ ძველი პართიელები.

**– სეპარტისტი და ჩრდილო ოსებიც აქტიურობენ, რომ ბაგრატიონები იყვნენ ოსები. თუმცა ისინი ლამის მთელი საქართველოს მოსახლეობას მიიჩნევენ ოსებად. რას ამბობს გენეტიკური კვლევა?**

– ბაგრატიონების შემთხვევაში, დავით სოსლანიდან მომდინარე ბაგრატიონებს არანაირი კავშირი არ აქვთ ოსებთან. რამდენიმე ასეული ოსია გამოკვლეული, მათი ყველა საგვარეულოდან, ყველა თემიდან და ერთსაც კი არ აღმოაჩნდა ეს ჰაპლოჯგუფი. თუმცა არათუ ოსებს, ჩეჩნებსა და ჩერქეზებს შორის, ქართველებს შორისაც კი. ეს უნიკალური ჰაპლოჯგუფია.

**– ბაგრატიონები გასაგებია, მაგრამ თუ არის გენეტიკური სხვაობა თავადურ და გლეხურ გვარებს შორის, მათ ერთი და იგივე ჰაპლოჯგუფები აქვთ თუ განსხვავებული?**

– თავადური გვარების გამოკვლევა უფრო ინფორმაციულია, რადგან შესაძლებელია ისტორიულ წყაროებთან შედარება. თუმცა განსხვავებული, უნიკალური ჰაპლოჯგუფი არ იკვეთება თავადურ საგვარეულო შტოებში.

**– ესე იგი, ცისფესისხლიანები მხოლოდ ბაგრატიონები გამოდიან. სომხების, აზერბაიჯანელების, ჩრდილო კავკასიელების დომინანტი ჰაპლოჯგუფები სადაურია?**

– კავკასიაში ყველაზე კარგად შესწავლილები არიან სომხები, იმიტომ რომ მათი პროექტი ძალიან ძლიერია, დაფინანსებაც დიდი აქვთ და თავად სომხეთშიც აქვთ ლაბორატორია, სადაც უკვე 3 000-მდე ადამიანი გამოიკვლიეს. დასტურდება, რომ მათ შორის არის ხალხი, რაც ისტორიული წყაროებითაც ცნობილია, რომლებიც ცხოვრობდნენ კავკასიაში და, ასევე, არის ხალხი, რომლებიც მოვიდნენ შედარებით გვიან და რომლებმაც, სავარაუდოდ, მოიტანეს სომხური ენა. სომხებს შორის არიან ურარტუელების შთამომავლებიც და არმენების შთამომავლებიც, რომლებიც, სავარაუდოდ, ბალკანეთიდან მოვიდნენ. რაც შეეხება ჩეჩნებსა და ინგუშებს: ისინიც ძალიან დიდი ინტერესით იკვლევენ თავიანთ წარმომავლობას ყველა თავიანთი თემის მიხედვით და საინტერესო მონაცემებიცაა: არის კავშირები იმ ჯგუფებთან, რომლებიც ნამდვილად კავკასიურია – ხევსურებთან, ფშაველებთან და ზოგადად ქართველებთან; ასევე, მათ შორის არის ჯგუფები, რომლებიც, სავარაუდოდ, პაკისტანიდან, ირანიდან მოვიდნენ ათასი წლის წინათ. ჩერქეზები და აფხაზები შედარებით ნაკლებად არიან გამოკვლეულები. თუმცა ჩვენ გამოვიკვლიეთ ანჩაბაძეები და ისინი ადიღური წარმომავლობის აღმოჩნდნენ; რაც შეეხება ჩაჩბებს, ანუ შერვაშიძეებს, სავარაუდოდ, დასტურდება ისტორიული გადმოცემა მათი სპარსული წარმომავლობის შესახებ. აზერბაიჯანელები ნაკლებად არიან გამოკვლეულები. ვინც ჩაიტარა კვლევა, მათ შორის არიან კავკასიური წარმოშობისაც და თურქმენულისაც, რომლებიც, სავარაუდოდ, შუა აზიიდან მოვიდნენ. თურქები საკმაოდ კარგად არიან გამოკვლეულები. მათი ძირითადი მოსახლეობა ანატოლიიდანაა და 10-15 პროცენტი არიან ისინი, რომლებიც ოსმალებთან ერთად მოვიდნენ შუა აზიიდან 1 000-1 500 წლის წინათ.

**– რუსები საიდან მოვიდნენ?**

– რუსების მნიშვნელოვანი ნაწილი მართლაც ფინო-უნგრული ხალხის შთამომავალი გამოვიდა გენეტიკური თვალსაზრისითაც. არის ზოგად სლავური ნაწილი ფინო-უნგრული, რუსების ეთნოგენეზი მოხდა მოსული სლავებისა და ადგილობრივი ფინო-უნგრელების შერწყმით, რასაც ეს კვლევები ადასტურებს. ისიც დადასტურდა, რომ ურიურიკები მართლაც სკანდინაველები იყვნენ. საქართველოში უნიკალური შემთხვევაა გირგვილიანების გვარი, ჯდება ანგლოსაქსურ ქვეჯგუფში. თუმცა არავინ იცის, როგორ მოხვდა და როდის.

**– ჩვენ ვისთან გვაქვს ყველაზე ახლო გენეტიკური კავშირი?**

– აფხაზებთან. ფაქტობრივად, იდენტურები ვართ ავტოსომური დნმ-ის ხაზით, მამაკაცების ქრომოსომებითაც იდენტურები ვართ, მაგრამ აფხაზების ადიღებთან კავშირი იმის მიმანიშნებელია, რომ მათი ნაწილი მოვიდა ჩრდილოეთიდან და დღევანდელი აფხაზები არიან მცირეოდენი მოსული ხალხისა და ადგილობრივი მოსახლეობის შერევის შედეგად. რომ აიღოთ ბრმა ტესტი, ვერ მიხვდებით, ქართველია თუ აფხაზი.

**– ჩვენ არაერთი დამპყრობელი გადავიტანეთ და ომი გულისხმობდა გაუპატიურებებსაც. იკითხება ჩვენს დნმ-ში არაბების, მონღოლების, სპარსელების, თურქების კვალი?**

– საოცარია, მაგრამ არანაირი კვალი არ ჩანს. ცნობილია მონღოლების კვალი, ანუ მათი ჰაპლოჯგუფი, რომელიც გვხვდება აზერბაიჯანელებში, მაგრამ ქართველებში ერთიც არ არის, არც თურქების. შესაძლოა, როგორც გადმოცემები ამბობს, გაუპატიურების შემთხვევაში ქართველი ქალები თავს იკლავდნენ ან თუ ამის შედეგად ბიჭი იბადებოდა, თითქოს მასაც კლავდნენ. ასეა თუ ისე, კვალი არ ჩანს წამლადაც კი. კვლევები გრძელდება და რაც მეტი ადამიანი მიიღებს მასში მონაწილეობას, მით მეტ ინფორმაციას მივიღებთ ჩვენი წარმომავლობის შესახებ.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094

დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან
ზარი ფასიანია

# რატომ ურჩევნიათ ქართველებს უკრაინაში თავის გამოჩენა საკუთარ ტერიტორიაზე გამაგრებულ ოკუპანტებთან შებრძოლებას

*თუმცა ჩვენი ქვეყნის გვარიანი ნაწილი ოკუპირებულია და ოკუპანტები ისე საფუძვლიანად გამაგრდნენ, ჩექმებზე ეტყობათ, წასვლას არც აპირებენ (არაფერს ვიტყვი 2008 წლის აგვისტოს ომისა და მაშინ რფ-ის პრეზიდენტის, დ. მედვედევის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარების შემდეგ, მაშინ ხალხის რჩეული ეკა ხერხეულიძის უკვე კლასიკად ქცეულ გამონათქვამზე – ასე ახლოს არასდროს ვყოფილვართ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან, როგორც მას შემდეგ, რაც რფ-მ ცნო ჩვენი სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობაო), რომ ახალი ინიციატივის შესახებ შევიტყვეთ: თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი* **დავით მაყიშვილი** *უკრაინაში წასვლის მსურველი მოხალისეების შეკრებისა და მობილიზაციის პროცესშია და მიაჩნია, რომ თვით დასავლეთის სამხედრო პასიურობის ფონზეც კი, ქართულ-უკრაინული ძალებით რუსეთის დამარცხება შესაძლებელია. თუმცა ცოცხალ ინტერვიუს არ დათანხმდა და შეკითხვებზე პასუხების მხოლოდ წერილობით გაცემას დაჰყაბულდა. მიზეზი შემდეგნაირად ახსნა: „ჩვენ, სამხედროები, ოპერაციის დაგეგმვის დროს, ნებისმიერ საკითხზე ვგეგმავთ სამ სავარაუდო სამოქმედო გეგმას და მერე სამიდან ვორგეიმის მეშვეობით საუკუთესოს ვარჩევთ. თქვენს შეკითხვებსაც ამ პრინციპით მივუდგები“. ბუნებრივია, მე იქვე გავიხსენე, რომ 2008 წლის ომში, სამწუხაროდ, ერთი, ისიც საკმაოდ უხეირო გეგმის გარდა, არაფერი გაგვაჩნდა და ამ მეთოდის გამოყენება იქ უფრო უპრიანი იქნებოდა-მეთქი, თუმცა ეს უკვე სხვა საუბრის თემაა. ამჯერად უკრაინისთვის მოხალისეების შეგროვების თემაზე ვისაუბრებთ.*

**– დავით, რას გულისხმობს თქვენი ინიციატივა და საიდან მოგივიდათ ეს იდეა?**

– ჩვენი ინიციატივა არის გამოხმაურება ბაჩო ახალაიას ინიციატივაზე, გვერდში დავუდგეთ უკრაინის სახელმწიფოს ამ რთულ პერიოდში. ეს დახმარება გულისხმობს: პირველი – იმ მოხალისეების შეკრებას, ვისაც აქვს სურვილი და შესაძლებლობა, უკრაინის შეიარაღებულ ძალებთან ერთად მიიღოს მონაწილეობა ბრძოლებში, იმ შემთხვევაში, თუ რუსული რეგულარული არმია შეიჭრება უკრაინის ტერიტორიაზე; მეორე – მხარდამჭერ ოპერაციებს, რომლებიც მოიცავს ჰუმანიტარულ და სამედიცინო ოპერაციებსაც.

**– თუ გავითვალისწინებთ, რომ სამხედრო კონფრონტაციას თავს არიდებენ თვით „ნატო“ და ევროკავშირი, ისეთი ტიპის ინიციატივამ, რასაც თქვენ გამოთქვამთ, არ ფიქრობთ, რომ, შეიძლება, ზიანი მიაყენოს საქართველოს უსაფრთხოებას?**


კიდევ ერთხელ გავიმეორებ: თუ დღეს მოხდა უკრაინის დამარცხება, შემდეგი ვიქნებით ჩვენ და ეს გარდაუვალი იქნება

– თქვენთვის ცნობილია, რომ მეხუთე პუნქტის თანახმად, „ნატო“ ვალდებულია, გაუწიოს დახმარება მის წევრ ქვეყნებს; შესაბამისად, „ნატოს“ არც უფლება და არც ვალდებულება არ გააჩნია, ცალმხრივად ჩაერთოს უკრაინაში მიმდინარე პროცესებში სამხედრო თვალსაზრისით, რადგან დღესდღეობით არც უკრაინა და არც საქართველო არ არიან „ნატოს“ წევრი ქვეყნები. დღეს უკრაინაში წყდება საქართველოს უსაფრთხოების ბედიც და მე მართებულად მიმაჩნია ჩვენი მხრიდან უკრაინის დახმარება, რადგან დღეს ჩვენ საერთო მტერი გვყავს რუსეთის სახით.

**– ვინ გამოგეხმაურათ, რამდენმა ადამიანმა გამოთქვა სურვილი უკრაინაში საბრძოლველად წასვლის და არის თუ არა მხოლოდ სურვილი საკმარისი სამხედრო დახმარების აღმოსაჩენად?**

– კონკრეტული ციფრის თქმა რთულია, ზარები, უბრალოდ, არ წყდება. ამ რამდენიმე დღის განმავლობაში მოულოდნელად ბევრი მსურველი აღმოჩნდა და უკვე ასს გადააჭარბა, სურვილს გამოთქვამენ ყოფილი სამხედროები, პოლიციის თანამშრომლები და სამოქალაქო პირები, რომელთა შემართება და პატრიოტული სულისკვეთება მისასალმებელია და დასაფასებელი.

**– ცოტა უცნაურად არ გეჩვენებათ, როდესაც ჩვენი ტერიტორიების საკმაოდ დიდი ნაწილია ოკუპირებული, დღიდან ოკუპაციისა, მსგავსი ტიპის მოხალისეთა რაზმები არ შექმნილა ჩვენთან, რომ, თუნდაც, დისკომფორტი შეექმნა ოკუპანტებისათვის და, უცებ, ასეთი ენთუზიაზმი, რაგინდ მეგობრული, მაგრამ მაინც სხვა ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაციის წინააღმდეგ?**

– საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია ყველაზე მტკივნეულია ჩემთვის, როგორც სამხედროსთვის და როგორც რიგითი ქართველისათვის. ბაჩო ახალაიას მინისტრობის დროს ჩვენ აქტიურად და მთელი შემართებით განვიხილავდით ყველა შესაძლო ვარიანტს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის კუთხით. აქტიურად დავიწყეთ ტერიტორიული რეზერვის შექმნა მთლიანი ქვეყნის მასშტაბით, რაც წარმატებით ხორციელდებოდა და ძალიან ეფექტიანი იქნებოდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისთვის. ამ რეზერვის შექმნის პერიოდში გავითვალისწინეთ ყველა ის ხარვეზი, რაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს რეზერვის უმოქმედობამ გამოიწვია. სამწუხაროდ, დღეს ეს პროექტი შეჩერებულია ჩემთვის გაურკვეველი მიზეზების გამო. რაც შეეხება ენთუზიაზმს, მინდა გითხრათ, რომ დღეს საქართველოში საკმაოდ ბევრი პატრიოტია, რომლებსაც მიაჩნიათ რომ, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ რუსეთის წინააღმდეგ, ეს ბრძოლა უკრაინაშია და თუ ამ ბრძოლამ გაგრძელება პოვა საქართველოში, ჩვენ აქაც მხარდამხარ დავდგებით ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების გვერდით.

**– მეტი რა გაგრძელება უნდა პოვოს – ტერიტორიები უკვე ოკუპირებულია. რადგან სიტყვამ 2008 წელი მოიტანა, დარწმუნებული ვარ, 2008 წელს რომ არ ეჩქარა საქართველოს იმჟამინდელ ხელისუფლებას და, დღევანდელ ვითარებას, როდესაც დასავლეთი მეტ-ნაკლებად აქტიურია რუსეთის წინააღმდეგ, შევხვედროდით 2008 წლის აგვისტომდე არსებული მდგომარეობით: როდესაც ჩვენ ვაკონტროლებდით ახალგორს, დიდი ლიახვის ხეობასა და კოდორის ხეობას და არც ერთი ჩვენი სეპარატისტული რეგიონი არ იყო აღიარებული რუსეთის მიერ, გაცილებით მომგებიან მდგომარეობაში ვიქნებოდით პოლიტიკურად. არ მეთანხმებით?**

– მაშინდელი მთავრობის დაუღალავმა შრომამ „ნატოსა“ და ევროკავშირში ინტეგრაციის მიზნით, გამოიწვია მომენტალური აგრესია რუსეთის მხრიდან, რასაც მოჰყვა 2008 წლის აგვისტოს ომი. ჩემი

## გიზო გურგენიძის გახსენება

*... ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვინც წყლისა და სულისგან არ იშვება, ვერ შევა ღვთის სასუფეველში.*

*ხორცისგან შობილი ხორცია და სულისგან შობილი სულია...*

*ქარი ქრის, სადაც მოისურვებს. მისი ხმა გვესმის, მაგრამ არ იცი, საიდან მოდის და სად მიდის. ასევეა ყველა, ვინც სულისგან არის შობილი.*

*რათა არც ერთი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე.*

**იოანეს სახარება**



ორმოცი დღე ბევრიც არის და ცოტაც. ცოტა – მისთვის, ვინც უფლისკენ სავალ გრძელ გზას შესდგომია; ბევრია – ამ გზაზე შედგომილის ახლობლებისთვის, ბევრი და ტკივილით, მონატრებით სავსე.

ყველას შენი დიდი კაცობის, გულითადობის, სიქველის იმედი ჰქონდა. ყველას ტკივილი გტკიოდა, ცდილობდი, ყველასთვის გაგეწია დახმარება და ეს უდიდეს სიამოვნებას გგვრიდა. წახვედი, მაგრამ შენი კეთილი საქმეები შენს შვილებს დახვდება წინ და სულ სიკეთის გზებით ატარებს.

ყველას ძალიან დაგვაკლდი და, შეუძლებელია, ეს ტკივილი ოდესმე მოშუშდეს. შენისთანები ასე ნაადრევად არ უნდა ტოვებდნენ ამქვეყნიურ ცხოვრებას, რადგან უამრავი ადამიანისთვის ხსნა და შვება იყავი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული!

**მეგობრები**

შეფასებით, როგორც იმ მოვლენების უშუალო მონაწილე, არ ვიტყოდი, რომ მაშინდელმა მთავრობამ იჩქარა, ეს სამხედრო ოპერაციები არ დაწყებულა 2008 წლის 8 აგვისტოს, ის გაცილებით ადრე დაიწყო, მთელი ივლისის თვეში ცხინვალის მხრიდან ხორციელდებოდა საარტილერიო წერტილოვანი დაბომბვები ჩვენი სამშვიდობო ბატალიონების პოზიციებზე, ასევე, მიმდებარე ქართული დასახლებული პუნქტების მიმართულებითაც, რასაც, შესაბამისად, უკვე მასირებული სახე მიეცა, 5-6 აგვისტოს, უკვე სოფელ ავნევის მიმართულებაზე, ჩვენ გვყავდა დაღუპული ქართული სამშვიდობო ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეები.

**– ოფიციალური მონაცემით – 7 აგვისტოს, დღისით, თუმცა ეს არ ცვლის საქმის არსს. მაგრამ, რაც მთავარია, ეს მონაცემი, რატომღაც, ვერ მოხვდა ევროკავშირის კომისიასთან, რომელიც 2009 წელს შეიქმნა.**

– 6 აგვისტოს უკვე რუსეთის მხრიდან შემოდიოდა 58-ე არმიის სამხედრო კოლონები და ყველასათვის უკვე ნათელი იყო, რომ მზადდებოდა ფართომასშტაბიანი საომარი ოპერაცია რუსეთის მხრიდან, რასაც მოჰყვებოდა საქართველოს სრული ანექსია და მაშინდელი მთავრობის დამხობა, რითაც წერტილი დაესმებოდა ჩვენი ქვეყნის სწრაფვას ევროპისაკენ. მანამდე არსებულ ვითარებას ცხინვალის რეგიონში ევროპა მხოლოდ შეშფოთების გამოხატვით აფასებდა. საბოლოოდ, აგვისტოს ომმა ევროპა და ევროპის პირველი პირები დაარწმუნა იმაში, რომ რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებდა როგორც აგრესორი და დამპყრობელი ქვეყანა, რაც კიდევ ერთხელ თვალნათელი გახდა მათთვის დღეს მიმდინარე უკრაინის მოვლენებში. ასე რომ, როგორც 1989 წლის 9 აპრილის თავდადება ქართველი ერისა გახდა საწინდარი საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისა, ასევე, აგვისტოს ხუთდღიანმა ომმა, აუხილა თვალი ევროპას რუსეთის, როგორც ოკუპანტი და აგრესორი ქვეყნის წარმოჩენაში.

**– საბჭოთა კავშირს გამოეყო ყველა მოკავშირე რესპუბლიკა, ყოველგვარი 9 აპრილების გარეშე და არც ჩვენს ხარჯზე დასავლეთის თვალების ახელა მგონია დიდად მისასალმებელი საქმე. მაგრამ, იმ ფონზე, როდესაც საფრანგეთის მთავრობამ არ შეაჩერა რუსეთისთვის „მისტრალების“ მიყიდვის საკითხი, თვით ეკონომიკური სანქციებიც კი არ ეხება გიგანტ დასავლურ ფირმებს – ისინი წარმატებით განაგრძობენ ფუნქციონირებას რუსულ ბაზარზე და მილიარდობით მოგების მიღებას. ასევე, როდესაც ცნობილია, რომ „ნატოს“ ძალები არ არიან მზად სწრაფი რეაგირებისათვის, ფიქრობთ, რომ თქვენი ინიციატივა არ დააზარალებს საქართველოს, იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი დანაყვის ძალა ყოველთვის ექნება რუსეთს?**

– დღევანდელ უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე, როდესაც დასავლეთის ქვეყნები ხმამაღალ განცხადებებს აკეთებენ სანქციების გამკაცრებისა და რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების გადახედვაზე, მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ დასავლეთი საერთოდ არ იცნობს მოწინააღმდეგეს, ანუ რუსეთს. არ იცის მისი ფსიქოლოგია, არც მისი წარსული და ახლანდელი განვითარების დონე. დასავლეთი გარკვეულ წინააღმდეგობას გამოხატავს, გადახედოს თავის წარსულს და წარსულში დაშვებულ შეცდომებს; მის უმოქმედობას 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში, რამაც რუსეთს თავის დროზე დაუსჯელობის გამო, მისცა ყირიმის ოკუპაციის საშუალება და დღევანდელი მოვლენების განვითარება სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში. ყოველივე ამის გამო, დასავლეთი ვერ იგებს მოწინააღმდეგის ახლანდელ ქმედებებს, ვერ პოულობს სწრაფ გამოსავალს მის წინააღმდეგ. ეს მიდგომა დღევანდელ რუსეთს ფასდაუდებელ სამსახურს უწევს და მას შეუზღუდავი პოლიტიკური ინიციატივის შანსს და იმის საშუალებას აძლევს, აირჩიოს სასურველი ტაქტიკა, თავდასხმის დრო და ადგილი. სრულიად მცდარია პოზიცია, რომ რუსეთისთვის დაყვავება გამოიწვევს იმას, რომ მოხდება საქართველოს დეოკუპაცია და რუსეთი თავისუფლად სუნთქვის საშუალებას მოგვცემს. ამას ჩვენს ქვეყანაში ბოლო ორი წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენებიც მოწმობს. ჩვენი ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს კონსტრუქციული დიალოგის ფონზე ურთიერთობის დათბობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რუსეთი აგრძელებს თავის აგრესიულ და დამპყრობლურ პოლიტიკას. ერთი ცხადია და, დროა, ყველა ქართველმა გაითავისოს ის, რომ, რაც უფრო დამთმობი ვიქნებით რუსეთთან, მით უფრო მალე გავხდებით ჯერ დამონებული და შემდეგ მთლიანად დაპყრობილი.

**დღევანდელ უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე, მრჩება შთაბეჭდილება, რომ დასავლეთი საერთოდ არ იცნობს მოწინააღმდეგეს, ანუ რუსეთს. არ იცის მისი ფსიქოლოგია, არც მისი წარსული და ახლანდელი განვითარების დონე**

**– მით უმეტეს, როდესაც, როგორც თქვენ ამბობთ, დასავლეთის ქმედებები არასაკმარისია, პირდაპირ ვიტყვი, ფიქრობთ, რომ კიდევ ერთხელ უნდა გავრისკოთ ჩვენი ქვეყნის ბედით? იმას ამბობთ, რომ ჩვენ, ანუ, რაც ჩვენგან დარჩა 2008 წლის აგვისტოს შემდეგ და უკრაინა, ანუ, რაც მისგან დარჩა ყირიმის ანექსიის შემდეგ, მოვერევით რუსეთს მოხალისეებით დასავლეთის პასიურობის ფონზე?**

– კიდევ ერთხელ გავიმეორებ: თუ დღეს მოხდა უკრაინის დამარცხება, შემდეგი ვიქნებით ჩვენ, ეს გარდაუვალი იქნება და მაშინ უკვე დიდი იქნება რისკი იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის ბედი უკეთესობისკენ ველარ გადავწყვიტოთ.

**ნინო ხაჩიძე**

ა ქ ც ი ა
სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ცენტრ
„ანტროპოსში“
უ ფ ა ს ო დ
გულსისხლძარღვთა სისტემის გამოკვლევა კომპიუტერულ-დიაგნოსტიკური სისტემა „ანტროპოსის“ მეშვეობით.
დისპანსერულ მეთვალყურეობაზე აყვანა.
დაკვირვება თქვენს ჯანმრთელობაზე მთელი წლის განმავლობაში.
გამოკვლევაზე ჩაწერა ხდება წინასწარ
ჩვენ ყოველთვის მზად ვართ დაგეხმაროთ!
ინფორმაციისთვის დარეკეთ: 2 74 61 00: 5 71 74 61 00.
მისამართი: თბილისი, მეტრო „ისანთან“, ნავთლუღის ჩიხი №9.

მსოფლიოში ცნობილი, უძლიერესი პარაფსიქოლოგი – კოლხი წინასწარმეტყველი

*კოლხი ნათია ბავშვობიდან ხალხური მედიცინით კურნავს ხალხს. მას შეუძლია გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა, დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების გაცემა. ის გამოირჩევა მომავლის განჭვრეტის უნიკალური უნარით, რაც საკუთარ თავზე გამოვცადე და არაერთხელ.*



**ეკა ა-ძე** *(35 წლის):* ცხოვრებაში ყველაფერი მქონდა, მშობლებმა განათლებაც მომცეს, სახლიც მიყიდეს, სამსახურიც კარგი მქონდა. თუმცა, 33 წლამდე გაუთხოვარი დავრჩი, ვერა და ვერ ავაწყვე პირადი ცხოვრება; ხშირად ქორწილამდე მისული ურთიერთობა ჩაშლილა. თურმე, საგვარეულო წყევლა ყოფილა ყველაფრის მიზეზი, ამაში მას მერე დავრწმუნდი, რაც მივედი ქალბატონ ნათიასთან და ბედიც გამეხსნა – ერთი წლის მერე ჩემს თანამშრომელს გავყევი ცოლად. ახლა ბიჭს ველოდებით. ბედნიერი ოჯახი გვაქვს. ულრმესი მადლობა ამ ღვთისნიერ ქალბატონს.

**მარინა დ-ძე** *(46 წლის, თბილისი):* ყოველთვის ბევრი თაყვანისმცემელი მყავდა, მაგრამ ვერ ვთხოვდებოდი, მას შემდეგ, რაც დაქალმა მიმიყვანა ნათიასთან, მან წამიკითხა ლოცვები, აურა გამისუფთავა, ბედიც გამეხსნა და ერთ წელიწადში გავთხოვდი. გამიკეთა დამცავი თილისმა, რომელიც მუდმივია. ახლა 2 შვილის დედა ვარ. ულრმესი მადლობა მას.

**გიორგი მ-ია** *(62 წლის, საგარეჯო):* 3 წლის წინ დავქვრივდი, დარდმა ბოლო მომიღო, ჩამივარდა აწყობილი ბიზნესი. შვილები ამერიკაში მყავს. შემთხვევით „თბილისელებში“ ვნახე კოლხი ნათიას სტატია და მაშინვე მოვედი. შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ ნელ-ნელა მისი ლოცვის შემდეგ ფეხზე წამოვდექი, ჩემს ასაკში ცოლი შევირთე, ბიზნესიც ავაწყვე... დიდ მადლობას ვუხდი მას.

**ნანა ჯ-შვილი** *(29 წლის, თბილისი):* ნაღველი მაწუხებდა, ჯანმრთელობის პრობლემას ოჯახურიც დაემატა, ქმარმა მიმატოვა – 20 წლის გოგონას გამო. დავრჩი 2 შვილით უმუშევარი, ცარიელ-ტარიელი. დაქალმა მიმიყვანა კოლხ ნათიასთან და როგორც კი თილისმა გამიკეთა, მას მერე დაიწყო პრობლემებმა მოგვარება, ქმარიც მალევე დამიბრუნდა *(იცინის).* ახლა ნიუ-იორკში ვარ და აქედან ვუკავშირდები ხოლმე ნათიას, როცა დახმარება მჭირდება.

*ანონიმურობა დაცულია.*

ტელ: 599-98-74-25; 514-45-18-81
Skype bulvarzelioni

**შალვა ოგბაიძე თბილისის საკრებულოში „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს" კვოტით მოხვდა. ქართული ავტოსპორტის ცნობილი სახისთვის ეს დებიუტი არ იყო – სხვა ვითარებაში, მაგრამ, ისევ საკრებულოში, მეორე წრეზე წავიდა. ამბობს, რომ ქართულ პოლიტიკას, რომელსაც ცხოვრება ათეული წლების წინ დაუკავშირა, წესები არ აქვს – პოლიტიკაშიც მიაგნო იმ ექსტრემს, რაც საკუთარი პროფესიის წყალობით არასდროს აკლდა, რისთვისაც კვლავ აქტიური სამზადისი დაიწყო – პოლიტიკამ ვერ შეიწირა მთავარი საქმე, რომლისთვისაც ბოლო რამდენიმე თვეში 16 კილოგრამიც კი გაიღო.**

# როგორ გადაურჩა შალვა ოგბაიძე სახლიდან გაგდებას და რას შეელია ის სადამოობით

**– ბატონო შალვა, როგორ მოირგეთ დეპუტატის ამპლუა?**

– საკრებულოს დეპუტატი პირველად არ ვარ, შესაბამისად, ეს ამპლუა უცხო არ არის ჩემთვის. მე ვიყავი 2002 წლის მოწვევის საკრებულოს დეპუტატი „მწვანეთა პარტიიდან", ამას გარდა, ნამუშევარი ვარ თბილისის აღმასრულებელ ხელისუფლებაში. სოხუმის დაცემის შემდეგ, მე და ჩემი მეგობრები ჭუბერის გზით გადმოვედით. თბილისში ჩამოსვლიდან მეორე დღეს კი დავინიშნე ვიცე-მერად სოციალურ საკითხებში და ორწელიწად-ნახევარი ვიმუშავე ამ პოზიციაზე, ასე რომ, ის პრობლემატიკა, რაც ქალაქის მართვას ახლავს, ჩემთვის კარგადაა ცნობილი.

**– თუმცა, მაშინ სხვა პოლიტიკური რეალობა იყო, დღეს თბილისის საკრებულოს მძიმე პოლიტიკური კულისები აქვს.**

– რა თქმა უნდა, მაშინ სხვა გარემოებები იყო, ახლა კი სხვა გარემოებებია. არჩევნებამდე ბრძოლისა და მწვავე პოლიტიკური კონკურენციის მესმის, მაგრამ, როცა საკრებულოში მოხვდები, უნდა გაგიჩნდეს თმენის ვალდებულება, იფიქრო მოსახლეობის ინტერესების დაცვაზე და არ აყვე პირადი ურთიერთობის გარკვევას. ხანდახან ძნელია იმ მოწინააღმდეგესთან ურთიერთობა, რომელმაც შენი ცხოვრება დაანგრია და ამას ვიტყვი „ნაციონალურ მოძრაობაზე", მაგრამ, მე მაქვს თმენის ვალდებულება და პიროვნულ დონეზე დაპირისპირებას ვერ დავიწყებ. თბილისის საკრებულო სულ ახლახან შეუდგა მუშაობას. მე ძალიან სულსწრაფი ადამიანი ვარ, პირველივე დღიდან მინდოდა საქმეში ჩართვა და, საკრებულოს შეკრებიდან ერთი თვის შემდეგ, უკმაყოფილო ვარ როგორც საკუთარი თავით, ასევე, საკრებულოს მუშაობით. ამ ერთ თვეში ძალიან ბევრი საქმის წინ წაგდება შეიძლებოდა, მაგრამ, ჯერჯერობით, დანიშვნებისა და ახალი გუნდის დაკომპლექტების პერიოდია. შეიძლებოდა დაწყებულიყო მუშაობა იმ მასშტაბური მშენებლობების წინააღმდეგ, რაც აზიანებს ჩვენს ქალაქს, მაგალითად გამოდგება ის უსისტემო მშენებლობა და ბაკქანალია, რაც ხდება სპორტის სასახლის გარშემო. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამისთვის არავის სცალია.



ერეკლე მეფემ ჩემი წინაპარი ხმლით დააჯილდოვა და „პირადი მცველის" ჟინი ჩემშიც იღვიძებს ხოლმე

**– პარტიის ლიდერთან დღეს ახალი პოზიციიდან როგორ თანამშრომლობთ? და როგორია თქვენი ურთიერთობა ოფიციალურ ფორმატს მიღმა?**

– ნინო ბურჯანაძისგან მე მაქვს სრული კარტბლანში, ჩვენი ურთიერთობა აგებულია სრულ ნდობაზე. ჩვენ უკვე ბევრი წელი გვაკავშირებს ერთმანეთთან და ჩვენ შორის კარგი მეგობრული ურთიერთობაა. მეც დედისერთა ვარ, ქალბატონ ნინოსაც არ ჰყავს და-ძმა და, ერთხელ თქვა, ძმა რომ მყოლოდა, ალბათ, ისე ვცემდი პატივს, როგორც ბატონ შალვასო, რაც ჩემთვის დიდი კომპლიმენტი იყო. მე მას დავყვებოდი საპრეზიდენტო არჩევნების დროს რეგიონებში, შეხვედრებზე, ყოველთვის მის გვერდით ვიყავი. ხშირად მახსენდებოდა ხოლმე ერთი ისტორია, რომელიც ჩემს გვარს ეხება და ცხონებული ალექსი ჭინჭარაულისგან მაქვს მოსმენილი: თურმე ოგბაიძეები ასპინძის ომში მონაწილეობდნენ, სამას არაგველს შორის იყვნენ. შემდგომ ერეკლემ ხმალი აჩუქა ჩემს წინაპარს, გიორგი ოგბაიძეს. მეფეებს პირად მცველებად მთიულები ჰყავდათ, მათ შორის – ოგბაიძეები. ეს, ეტყობა, გენეტიკურია: როდესაც რეგიონებში დავდიოდით, როდესაც ქვებს გვესროდნენ და ნინო ბურჯანაძეზე პირდაპირი ნადირობა მიდიოდა, იმ პერიოდში ჩემში წინაპრების გენებმა გაიღვიძა და ხანდახან მართლაც პირადი მცველი მეგონა ხოლმე თავი *(იცინის).*

> **ორი უკიდურესობა მაქვს: კაცი ან მიყვარს, ან არ მიყვარს, „ისე რა" არ არსებობს ჩემთვის**

**– თბილისის საკრებულოდან ჯერჯერობით მხოლოდ ორი ფრაქციის – „ნაციონალებისა" და „ოცნების" და ერთი მაჟორიტარის „ხმა" გვესმის; სად ხართ დანარჩენები, ხომ არ იჩაგრებით პოლიტიკურ კონკურენციაში?**

– ჩემი დაჩაგვრა არც ისე იოლია, ეს მიხეილ სააკაშვილმაც კი ვერ მოახერხა. არ არსებობს სხდომა, რომელსაც ჩვენ გარკვეულ ტონს არ ვაძლევდეთ, მაგრამ, მედიას მაინც ასე აქვს განაწილებული: ერთი – „ოცნებიდან," ერთი – „ნაციონალური მოძრაობიდან" და, ერთიც – ვიღაც. ეს, ალბათ, გემოვნების საკითხიცაა და ამის გადაწყვეტასაც დრო სჭირდება. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მეტი გავაკეთოთ ხალხისთვის და შეფასებას ხალხი თავად გააკეთებს, თუნდაც საარჩევნო ყუთებთან. მე ავტომობილისტი ვარ, ჩემი კვლევის სფერო – გამონაბოლქვის ზემოქმედება და საჰაერო აუზის გაჯანსაღება – პირდაპირ უკავშირდებოდა „მწვანეთა პარტიის" საქმიანობას. მერე დაიწყო ჩემი და ზურაბ ჟვანიას მეგობრობა, რაც მის გარდაცვალებამდე გრძელდებოდა. ამის შემდეგ ჩემთვის დამთავრდა პოლიტიკა – ვიცოდი, რომ პირდაპირ იყო გამოცხადებული ჩემი დევნა და ვიყავი ეგრეთ წოდებულ „შავ სიაში". მე ვიბლოკებოდი ყველგან, მაშინაც კი, როცა პოპულარიზაციას ვუწევდი უსაფრთხო მოძრაობას; როცა შევწყვიტეთ ახალგაზრდების არასანქცირებული რბოლა და ვეცადეთ, ისინი გადაგვენაცვლებინა რუსთავში. მიხეილ სააკაშვილის ბიძამ გადაწყვიტა, დაჰპატრონებოდა საავტომობილო ფედერაციას და ასე დაიწყო მკვეთრი დაპირისპირება. რაც ბოლო წლებში დატრიალდა ჩემს თავს, ეს ყველამ კარგად იცის. სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკას წესები არ გააჩნია, ეს არის ბრძოლა წესების გარეშე. ჩემი გამოცდილება არის ასახული ჩემს თავზე: შრამებზე, ნატყვიარებზე, წართმეულ ქონებაზე, დევნილ შვილზე, რომელიც ახლა ოჯახთან ერთად პოლიტიკური დევნილის სტატუსით ცხოვრობს გერმანიაში – ეს არის საბრძოლო „იარები," რამაც დიდი გამოცდილება მომიტანა, ანუ, ამ მხრივ „მძიმეწონიანი" ვარ *(იცინის).*

**– თუმცა, სპორტული ილეთების პრეზენტაცია ჯერ არ დაწყებულა ჩვენს საკრებულოში.**

– მე ვისურვებდი, ჩვენი საკრებულო იყოს ის საკრებულო, სადაც საქმე არ მივა სპორტის სხვადასხვა სახეობის გამოყენებამდე. მოგეხსენებათ, ძალაუფლება რყვნის ადამიანს, აბსოლუტური ძალაუფლება კი აბსოლუტურად რყვნის. მე ვისურვებდი, რომ „ქართული ოცნება" არ გამონაციონალდეს, არ დაემართოს მათ ის, რაც მათ წინამორბედებს დაემართათ ამ მხრივ. ერთ თვეში მკვეთრად არ ჩანს ეს ნიშნები, თუმცა, რამდენიმე შემთხვევაში, მათ შორის, მოადგილეებისა და კომისიების ხელმძღვანელებთან დაკავშირებით, ეს მაინც გამოჩნდა. არაა, ბატონო, პრობლემა, გააკეთონ საქმე, რომ ხალხმა იხეიროს. ამაზე ერთი კახური ანეკდოტი მახსენდება: კახელი ფერად ტელევიზორს იყიდის. მეზობელი ეკითხება: მიხო, რა კარგი ტელევიზორია, რა მარკისააო? – ოღონდ გაამართლოს და მამაჩემის სახელს დავარქმევო, უპასუხა მიხომ. ასე რომ, ოღონდ „ქართულმა ოცნებამ"


**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"**

***შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს***

***ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში***

„მაცნე" – 214-39-06;

„პლანეტა" – 251-75-21;

„ელვასერვისი" – 238-80-02;

„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;

„ჯეომედია" – 295-51-70;

ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

გაამართლოს ამომრჩეველის იმედები და, მე თავს ბედნიერად ვიგრძნობ.

**– დარჩენილიყავით, ბატონო, ავტოსპორტში – ადრენალინი იქაც ბევრი იყო, სამაგიეროდ, ამ მძიმე კულისებს გადაურჩებოდით.**

– ჰო, ადრენალინი არც ჩვენს პოლიტიკას აკლია. მე ცხოვრებაშიც ისეთი ექსტრემალი ვარ, როგორც სპორტში. წლებმა ცოტა კი შემირბილა ეს თვისება, მაგრამ, მაინც ორი უკიდურესობა მაქვს: კაცი ან მიყვარს, ან არ მიყვარს, „ისე რა" არ არსებობს ჩემთვის. და, ვინ თქვა, რომ ავტოსპორტს ჩამოვშორდი? ავტომრბოლელი მაშინ კვდება, როცა შეჯიბრებაზე გამოსვლის ოცნებას შეწყვეტს. მაშინ, როცა უკვე აღარ გამოვდიოდი, დღედაღამ სულ შეჯიბრებები მელანდებოდა. მე გახლავართ ძველი, ნამდვილი, საქართველოს საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი და, გულით რომ მოინდომოს ვინმემ, ვერც ჩამომაშორებს; უფრო მეტიც, გადავწყვიტე, ფიზიკურად დავუბრუნდე ავტოსპორტს – მე თვითონაც გამოვიდე შეჯიბრებაზე. ამაზე უკვე ვიზრუნე და რამდენიმე თვეში 16 კილოგრამი დავიკელი.

**– უგულავას დიეტას ხომ არ იცავთ?**

– არა, დღეს შალვა ოგბაიძის დიეტა უფრო მოდურია, ვიდრე უგულავასი, თუმცა, ეს არცაა დიეტა, ესაა დაბალანსებული კვება, რომელიც ჩემეული რეცეპტით მიმდინარეობს. სააზლობლო წრეში ჩემი რეცეპტი ძალიან პოპულარულია. დიდი ხანია, უარი ვთქვი სალამოობით უზარმაზარი ტაფის „გასუფთავებაზე." ბევრ რამეს შეველიე, რადგან, ვფიქრობ, რომ, ადამიანმა, მით უმეტეს – სპორტსმენმა, რომელსაც აქვს სურვილი, გამოვიდეს სპორტულ ასპარეზზე, პატივი უნდა სცეს საკუთარ თავსა და მაყურებელს. მინდა, კარგად მოვემზადო და გამოვიდე წრიულ შეჯიბრებაზე, რისთვისაც, მინიმუმ, საჭიროა, შევიძინო მანქანა.

**– ძველ, ნამდვილ საქართველოს საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტს მანქანა არ ჰყავს?**

– საკუთარი მანქანა დიდი ხანია არ მყავს – მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილმა გაგვიყიდა სადილერო კომპანია, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელიც მე ვიყავი. ახლა დავდივარ ელექტრომობილით, რომელიც იაპონიის მთავრობამ აჩუქა საქართველოს მთავრობას პრომოუშენისა და ექსპერიმენტისთვის. მე მოვხვდი ტესტირების პროგრამაში და, როგორც ამ საქმის ექსპერტი, ვცდი ამ მანქანას. დაახლოებით რვა თვეა, ელექტრომობილით ვსარგებლობ და თითქმის მიჭირს ბენზინიან მანქანაზე გადაჯდომა, თუმცა, შეჯიბრებაზე გამოსვლისთვის ნამდვილად მომიწევს ავტომანქანის შეძენა. ვიყიდი იაფი კლასის მანქანას და თვითონ მოვამზადებ სტარტზე დასადგომად. ავტოსპორტსმენები ერთმანეთს „შერეკილებს" ვეძახით – ნორმალური ადამიანი, რასაც შოულობს, საკუთარი ცხოვრების გალამაზებისთვის ხარჯავს – იმისთვის, რომ წავიდეს, დაისვენოს და ნახოს რამე; ავტოსპორტსმენი კი კრედიტს იმისთვის იღებს, რომ მანქანა გააკეთოს. ავტოსპორტი არის უძირო ორმო: 1 500 დოლარი გაქვს? – არ გენანება მანქანისთვის; მილიონი გაქვს? – ისიც მანქანას უნდა დაახარჯო. ავტოსპორტსმენთა ცოლებმა რომ იცოდნენ, ამ მანქანებზე რამდენი გვაქვს დახარჯული, სახლში არ შეგვიშვებდნენ *(იცინის).*

**– თქვენი შვილი გერმანიაში ცხოვრობს პოლიტიკური დევნილის სტატუსით. ხშირად ჩადიხართ მასთან?**

– რა თქმა უნდა. ბოლო ათ წელიწადში ჩემმა ოჯახმა იმდენი გადაიტანა, უფრო შევიკარით და გავერთიანდით. მეუღლე და ჩემი შვილი, ლევანი, გვერდიდან არ მცილდებიან. წელიწადში ორჯერ ვახერხებ გერმანიაში ჩასვლას. ვიცი, ეს ცოტაა შვილებთან და შვილიშვილებთან ურთიერთობისთვის, მაგრამ, რას ვიზამთ. ახლა ძალიან ვგულშემატკივრობ ჩემს შვილიშვილს, შალვა ოგბაიძეს, რომელიც ბერლინის საფეხბურთო კლუბის ფეხბურთელია – შალვა გუნდის კაპიტანია და გუნდმა მასზე გადააწყო თამაშის სტილი. ის მოხვდა გერმანიის საფეხბურთო ფედერაციის ნიჭიერთა გუნდის შემადგენლობაში, რაც ძალიან მახარებს.

**– ოთხი-ხუთი თვის წინ, ახალ ფარულ ჩანაწერებში მაინდამაინც თქვენ მოყევით. კიდევ გისმენენ?**

– როცა გესმის ტელეფონზე ჩხაკუნი და დანამდვილებით იცი, რომ გისმენენ, არაა ცხოვრება იოლი. ამ ფარულ ჩანაწერებში მესამე ფიგურა ისევ მე ვიყავი. სამწუხარო ისაა, რომ არავის დავუკითხივარ, არავის დაუსვამს შეკითხვები. არადა, იმ საუბარში არაფერი იყო, ჩვეულებრივი შეხვედრის ორგანიზებას ვგეგმავდი ორგანიზაციის წარმომადგენელთან. ვილაცა რომ ჯიბეში ხელს ჩაგიყოფს, ასეთი გრძნობა მქონდა. ეს რომ უკანონობაა, ყველამ ხომ ვიცით? ხომ შეიძლება რეაგირება? ასე რომ, ჩემთვის ეს კოშმარი ამ ნაწილში ისევ გრძელდება. ადამიანი ასე ითხოვდეს პროკურატურაში დაბარებას, გინახავთ? მე სხვა სამართლებრივი მეთოდი არ ვიცი; მეორე არის „ქუჩის სამართალი," რომლის ასაკიდანაც მე დიდი ხნის წინ გამოვედი, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ავჭალაში, ძარხანა „ცენტროლიტის" დასახლებაში ვცხოვრობდი, სადაც საკუთარი თავისა და სიმართლის დასაცავად ბევრი ფათერაკიც იყო, მაგრამ, ახლა ზუსტად ვიცი, რომ ეს გზა ყველა მამაკაცმა უნდა გაიაროს.

**თამუნა ნიჟარაძე**


**ისწავლე „პროფესიონალი-2010-ში" – ჩვენი გამოცდილება და პროფესიონალიზმი, თქვენი წარმატების საწინდარია**

**შეუერთდით ჩვენთან მომზადებული წარმატებული აბიტურიენტების სიას და გახდით სტუდენტები**

სასწავლო ცენტრი „პროფესიონალი–2010" აცხადებს მოსწავლეების მიღებას ერთიანი ეროვნული და საატესტატო გამოცდებისთვის მოსამზადებლად ყველა საგანში. ინგლისურის B2 დონე დოქტურანტურაში ჩაბარების მსურველთათვის; TOEFL, SAT; სასწავლო ცენტრი „პროფესიონალი–2010," ასევე აცხადებს იმ აბიტურიენტების მიღებას 30-პროცენტიანი ფასდაკლებით, რომლებიც 2014 წლის ეროვნულ გამოცდებზე ჩაიჭრნენ. ჩვენი პროფესიონალი მასწავლებლები იღებენ ამ გამოწვევას, პასუხს აგებენ თქვენს სწორ და სათანადო მომზადებაზე, რათა შეძლოთ და 2015 წლის ეროვნულ გამოცდებზე მიიღოთ მაღალი ქულები, შეუერთდეთ ჩვენთან მომზადებული წარმატებული აბიტურიენტების სიას და გახდეთ სტუდენტები. „პროფესიონალი – 2010-ში" შეგიქმნით ერთიანი ეროვნული გამოცდების იდენტურ გარემოს, გასწავლით, როგორ ჩაეტიოთ თითოეული გამოცდისთვის გამოყოფილ დროში, როგორ დაძლიოთ გამოცდის შიში, შეეჩვევით საგამოცდო გარემოს. პროფესიონალი პედაგოგები შეამოწმებენ თქვენს ნამუშევარს და აგიხსნიან ყველა შეცდომას. დაგანახვებთ, თუ რა საკითხში გჭირდებათ მეტი მუშაობა, დაგეხმარებით სასურველი სასწავლებლებისა და პროფესიების შერჩევასა და მათ სწორად ჩაწერაში. რეგისტრაციისას, ტესტირების შედეგების ფონზე, ზუსტად განვსაზღვრავთ თქვენს შესაძლებლობებს, რის შედეგადაც სტუდენტობა გარანტირებულია. ისწავლე „პროფესიონალი-2010-ში, ჩვენი გამოცდილება და პროფესიონალიზმი, თქვენი წარმატების საწინდარია! დაგვიკავშირდი და გახდი წარმატებული!

***საბუთები მიიღება 25 აგვისტოდან, სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.***

**მისამართი: თბილისი, ჭოველიძის №5 (მეტრო „რუსთაველთან"); დიღმის მასივი, რობაქიძის №7, (მაიაკოვსკის ძეგლის პირდაპირ, „ცენტრ-პოინტის" მწვანე კორპუსის პირველი სართული). ასევე, იხსნება ფილიალი საბურთალოზე. ტელეფონის ნომრები: 2307113, 555634801.**



**ქართულ-ამერიკულ საინჟინრო დიზაინერულ კომპანია S-CAD Group Education-ს ესაჭიროება IT სპეციალისტი სრულ განაკვეთზე. სპეციალისტის მოვალეობებში შედის: კომპიუტერების ტექნიკური გამართვა, ოპერატიული სისტემების დაყენება-გადაყენება, ქსელის მუშაობის და გამართულობის უზრუნველყოფა, პროგრამების დაყენება, საჭიროების შემთხვევაში სერვერის გადატვირთვა. კომპიუტერების შეკეთება და სხვა ქსელთან, ინტერნეტთან ან კომპიუტერებთან დაკავშირებული ყოველდღიური საქმიანობა. ანაზღაურება დამოკიდებულია გამოცდილებაზე.**

**შერჩევა მოხდება კონკურსით, ყოველ ხუთშაბათს, 15 სექტემბრამდე.**

**ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**2-93-55-51, 574-61-44-55.**



**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

**ცხელი ზაფხულის მიუხედავად, ანრი ჯოხაძე უმეტეს დროს მაინც საქმეში ატარებს, რადგან, როგორც თავად ამბობს, დიდხანს უსაქმურად ყოფნა და დასვენება არ უყვარს. არც იმ ადამიანებივით წუწუნებს, ზამთარში სიცივით რომ არიან უკმაყოფილოები, ზაფხულში კი – სიცხით. ახლო მომავალში ანრი ნიკო გომელაურის ლექსზე დაწერილ სიმღერაზე კლიპის გადაღებას გეგმავს.**

# როდის ველარ აკონტროლებს ნერვულ სისტემას ანრი ჯოხაძე და რატომ გადაწყვიტა მან საკუთარი ცხოვრებიდან ადამიანების გარკვეული კატეგორიის გაქრობა

**ანრი ჯოხაძე:** არ ვჩერდები იქ, სადაც სიცხეა, შესაბამისად, საწუწუნოდ არც მაქვს საქმე. ადამიანი უნდა მიხვდე და შეეგუო იმას, რომ ზამთარში ცივა, ზაფხულში – ცხელა, სხვანაირად ვერ იქნება. უბრალოდ, მე ზამთარ-ზაფხულ სწორ თავშესაფარს ვეძებ და, შესაბამისად, არც მაქვს პრობლემა. უკვე იმ ასაკში ვარ, რომ თვითონ უნდა შევიქმნა თავშესაფარი, თან – ნებისმიერ ადგილას; წავიდე იქ, სადაც მსიამოვნებს ყოფნა. ირგვლივ ის ადამიანები არიან, რომლებთან ყოფნაც მსიამოვნებს და რომლებთანაც კომფორტულად ვგრძნობ თავს, ბევრ პოზიტივს ვიღებ და გავცემ მათთვის. ბოლო ორი წელია, დავამუღამე და ყველას ვურჩევ, რომ გააქრონ ის ადამიანები თავიანთი ცხოვრებიდან, რომლებსაც დისონანსი შემოაქვთ რაღაც სახით. მერე ეს ისე აისახებოდა ჩვენზე, ანუ, მათზე ვინც არ ვართ ურთიერთობებში აგრესიულები, რომ მგრუზავდა. ამიტომ, მაქსიმალურად ვცდილობ, მათთან ურთიერთობა მინიმუმამდე დავიყვანო და, ისინიც, სავარაუდოდ, ხვდებიან, რომ მათთან ურთიერთობა არ მსიამოვნებს მათი გაუთავებელი ფსევდოდრამატული ცხოვრებით, რასაც თავად იგონებენ. არიან ადამიანები, რომლებსაც მე „მინუსზე დაგეგმარებულებს“ ვეძახი, ისინი ყველაფერში არაპოზიტიურს, აგრესიულს ხედავენ და ამას საშინლად გამოვყავარ წყობიდან. ეს, შეიძლება, ერთი შეხედვით არ მეჩნევა, მაგრამ, ჩემმა ახლობლებმა იციან, რომ ასეთი კატეგორიის ხალხი მაცოფებს: სულ მოღრუბრულები რომ დადიან და ყველაფერში უარყოფითს ხედავენ.



დედაჩემი იყო „მეხი“, სახლში მამაჩემის კულტი შექმნა

**– შენ როგორი ადამიანი ხარ?**

– საქმიანი ადამიანი ვარ: უსაქმური და საქმიანი. მუდმივად ჩემი საქმით ვარ დაკავებული, მუდმივად მინდა, სიახლე შემოვიტანო ჩემს ცხოვრებასა თუ შემოქმედებაში და ეს პოზიტიურად აისახება ჩემზე. თუ ადამიანები მიდრეკილები ვართ იმისკენ, რომ ჩვენს ცხოვრებაში მუდმივად ხდებოდეს „აბდეითები“, რა თქმა უნდა, ეს უარყოფითს არაფერს მოგვიტანს. ჩემთან საქმიანი ცხოვრების რიტმი უფრო ჭარბობს. რასაც საზოგადოება დასვენებას ეძახის – ჩაალაგეს ჩემოდნები, წავიდნენ, აიშხლართნენ მერე მთელი თვე და ისვენებენ – ვაკვირდები და ვერ ვხვდები: რას ისვენებენ, რა არის ეს დასვენება. ხუთი დღე ვიყავი ბათუმში წასული და, სანამ თბილისში ჩამოვიდოდი, კინაღამ გადავდექი ჭკუიდან, გავრეკე.

**– უსაქმურობის გარდა, რა იწვევს შენი სულიერი მდგომარეობის შერყევას?**

– ძალიან გაწონასწორებული ვარ და, როცა ვბრაზდები, უნდა იცოდეთ, რომ მე მინდა და ვბრაზდები. თუმცა, ზოგჯერ სერიოზულადაც მაბრაზებენ. ადამიანებს იშვიათად ვეხები ხელით, რადგან, ვფიქრობ, რომ, შემიძლია, მაქსიმალურად ავიცილო თავიდან კონფლიქტი დიპლომატიური გზით. მაგრამ, თუ ხელით შეხებაზე მიდგება საქმე, დარწმუნებული იყავი, მართალი ვარ. როდის შეიძლება ადამიანი ხელით შეხებაზე გადავიდეს? როდესაც ის დამცირებულად, შეურაცხყოფილად გრძნობს თავს, ოღონდ, დაუმსახურებლად, უკვე ველარ აკონტროლებ შენს ნერვულ სისტემას.

**– საზოგადოების დიდ ნაწილს, იმას, ვინც მხოლოდ ტელევიზორიდან გიცნობს, უდარდელი ადამიანი ჰგონიხარ.**

– საზოგადოებას საკუთარ თავს ვაწვდი ისეთი სახით, როგორიც მათ უნდათ, რომ დამინახონ. ხანდახან ეს სულ არ გამომდის, მაგრამ, მაინც ვცდილობ. უდარდელი არავინ არის დედამიწის ზურგზე, უბრალოდ, მე მათ ჩემს პრობლემებს არ ვახვევ თავზე.

**– თუმცა, როგორც ყველას, შენც გაქვს პრობლემები, არაერთი რთული პერიოდის გადატანა მოგიწია, თუნდაც ბავშვობაში... მახსოვს, ერთხელ მითხარი: მე პატიმრის შვილი ვარ, მამაჩემმა შვიდწელიწადნახევარი გაატარა ციხეში და კარგად ვიცი, ეს რას ნიშნავს, როგორი რთულია... ჩვენ, დედმამიშვილებმა, მთელი ჩვენი ბავშვობა „სვიდანიებზე“ გავატარეთ.**

– როდესაც მამა დაიჭირეს, მაშინ ერთი წლის ვიყავი, რეალურად, მამა არც მახსოვდა, ის მერე, უკვე ციხეში გავიცანი და ამის შემდეგ უფრო მოხდა სხვა რაღაცეები. დედაჩემი იყო „მეხი“, სახლში მამის კულტს აყალიბებდა. თუ გავაბრაზებდით, მივიდოდა დენის ჩამრთველთან, ჩააქრობდა შუქს და ვითომ მამას გადასცემდა სიგნალს: ომ-არ, ბავშვები მაბრაზებენო, – და მერე ისევ აანთებდა შუქს. ეს იყო ჩვენთვის სიკვდილი: გვეგონა, მამამ ციხეში გაიგო, რომ ჩვენ რუსიკოს ვაბრაზებთ და მაშინვე მივჩმორდებოდით ხოლმე. მამასთან ურთიერთობიდან ბევრი რამ მახსოვს კარგად: მახსოვს, 3-4 წლისანები ვიყავით მე და ჩემი ძმა, როდესაც კოლონიაში მივედით და, მამაჩემი რომ ჩაეხუტა დედაჩემს, იცი, ეს რა იყო?!. ძალიან ვიეჭვიანე, დედას კალთა მოვაგლიჯეთ, რომ იქიდან წამოვეყვანეთ. საშინელი პროტესტი გაგვიჩნდა, ჩვეულებრივი ფსიქოზი დაგვემართა. მერე დედამ აგვიხსნა, რომ ის ჩვენი მამა იყო, მშობელი. ჭკვიანი ბავშვები ვიყავით და ყველაფერი სწორად გავიგეთ. თან, მაგდა უფროსია და მისი მაგალითი მამასთან მიმართებაში ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ამან კიდევ უფრო გაგვიადვილა შემდეგში მამასთან ურთიერთობა. ხანდახან ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მუდმივად რთულ პერიოდში ვცხოვრობ. არ ვიცი, ეს ჩემი ფარული მდგომარეობაა, კომპლექსები თუ სხვა რამ, მაგრამ, მგონია, რომ სულ რთულ მდგომარეობაში მიწევს ყოფნა. მუდმივად ბრძოლის რეჟიმში ხარ ადამიანი.

**ხუთი დღე ვიყავი ბათუმში წასული და, სანამ თბილისში ჩამოვიდოდი, კინაღამ გადავდექი ჭკუიდან, ლამის გავრეკე**

**– ჩვენს თაობას ძალიან ბევრი სირთულის, კატაკლიზმების გადატანა მოგვიწია. ეს არ იყო ადვილი და ჩვენს ქვეცნობიერში დღემდე ბევრი რამ არის დალექილი.**

– გეთანხმები და მიმაჩნია, რომ ამით ჩვენმა თაობამ ბევრი რამ ისწავლა. ის თაობა, რომელმაც არ გამოიარა, არ იგრძნო ცხოვრების ეს მკაცრი დარტყმები და საშინელებები, რაც ჩვენმა თაობამ 90-იან წლებში გადაიტანა, მერე ამ წლების მსხვერპლი გახდა. ჩვენ ირგვლივ არიან ადამიანები, რომლებიც საბჭოთა რეჟიმის დროს აღიზარდნენ; მათ, ფაქტობრივად, არ იცოდნენ ცხოვრების ანი და ბანი და ამ საშინელი პერიოდის მსხვერპლი გახდნენ, რადგან, არ ეყოთ ძალა და ენერგია, რაღაცეებს გამკლავებოდნენ. ჩვენ უფრო მომზადებული შევხვდით ყველაფერს. ჩვენ ვართ თაობა, რომელსაც, ჯვალოს ტომარა რომ გადააცვა, მაინც მოვიხდენთ, დავამტკიცებთ, რომ კარგი ტიპები ვართ; საველე პირობებშიც შეგვიძლია, თუნდაც, კარიერის გაკეთება, სხვადასხვა სფეროში წარმატების მიღწევა და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ხანდახან რომ აპროტესტებენ – გამოცდაზე „უნარებია“ ჩასაბარებელიო... უნარები არ არის ის, რასაც ჩვენ 90-იანი წლებიდან ვაბარებთ და არაერთხელ მოგვიწია ჩაბარება.

**– რის მიმართ გაქვს განსაკუთრებული შიში?**

– ხოჭოების მეშინია და, რა თქმა უნდა, უახლოესი ადამიანების დაკარგვის, თუმცა, ეს ყველას აქვს; კიდევ სიმაღლის, ოღონდ, პარაშუტით გადმოხტომის ან ფრენის კი არა, სიმაღლიდან გადმოხედვის მეშინია. მაგრამ, ანძაზე არ გადავიღე კლიპი ჩემს ძმასთან ერთად?! ერთი სიკვდილი გავათავე, 5 კილოგრამი დავტოვე იქ, მაგრამ, რა მექნა?!

**– რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში?**

– არაფერი, უბრალოდ, ზაფხულში კარგი თავგადასავლები მქონდა. მე მიყვარს სასიამოვნო, რომანტიკული თავგადასავლები. თუმცა, ეს მხოლოდ კურორტზე არ ხდება. „კაზანტიპზეც“ რისთვის მიდის ხალხი?!

**– ხომ არ მიდიხარ?**

– არა, მე როცა მინდა, მაშინ მოვიწყობ „კაზანტიპს“, მოვიწვევ იმას, ვისაც მინდა და რა რაოდენობითაც მინდა, თან, ჩავრთავ საუკეთესო ელექტრონულ მუსიკას.

**– „ფეისბუქში” გავრცელდა ინფორმაცია, რომ ავარიაში მოყევი.**

– დავამტვირე მანქანა და ვაკეთებინებ. ბიძაშვილის ავტომობილთან გადავიღე ფოტო და მაშინვე დაწერეს: ახალი იყიდაო. თან, ნომერზე უწერია „ჯოხაძე“, თეთრი „X6“-ია, ბევრს გაუხარდა, ბევრმა კი გააპროტესტა, რად უნდა ამას მანქანაო – 10-ათასიანი ნომერიც კი შეშურდათ...

**ნათია უტიაშვილი**

# რამდენიმე საინტერესო ფაქტი კოფეინის შესახებ

დღის განმავლობაში რამდენ ფინჯან ყავას მიირთმევთ? ზაფხულში მიღებული ყავის რაოდენობა, სავარაუდოდ, მატულობს – ცივი ყავის ხარჯზე: ყინულებით და ცოტა ვანილის ნაყინით დამზადებული ცივი ყავა ხომ ბევრი ჩვენგანის ერთ-ერთი საყვარელი, გამაგრილებელი სასმელია ცხელ დღეებში. თუმცა, ალბათ, ძალიან ცოტამ თუ იცის კოფეინის შესახებ რამდენიმე საინტერესო დეტალი.

დავიწყოთ იმით, რომ კოფეინი დადებითად აისახება მოკლევადიან და ხანგრძლივ მეხსიერებაზე. ჩატარებული კვლევების შედეგად შეიძლება იმის თქმა, რომ დღის განმავლობაში 300-400 მილიგრამი (ერთი ფინჯანი ყავა საშუალოდ 95-225 მილიგრამ კოფეინს შეიცავს, რაც დამოკიდებულია ყავის კონკრეტულ სახეობაზე) კოფეინის მიღება კოგნიტური უკუპროცესებისა და ალცჰაიმერის დაავადების პრევენციაში დაგვეხმარება. თუმცა ალცჰაიმერზე საუბრისას ერთი მნიშვნელოვანი რამ უნდა გავითვალისწინოთ: ძილის ნორმალური რეჟიმი აუცილებელია ალცჰაიმერის განვითარების რისკების შესამცირებლად. ამიტომაც, თუ კოფეინისადმი ჩემ მსგავსად სენსიტიური ხართ და მას თქვენზე გამომაფხიზლებელი ეფექტი აქვს, საღამოს საათებში თავი შეიკავეთ მისი მიღებისგან.

კოფეინს დადებითად შეუძლია, იმოქმედოს თქვენს ფიზიკურ შესაძლებლობებზე. თუ ვარჯიშამდე ერთი საათით ადრე მცირე რაოდენობით კოფეინს მიიღებთ, მეტი ენერგიაც გექნებათ და ვარჯიშის დროს დახარჯული ძალისხმევა თქვენი ორგანიზმისთვის გაცილებით მსუბუქად აღსაქმელი იქნება.

საინტერესო იყო იმის აღმოჩენა, რომ „ესპრესო” არცთუ ისეთი სუპერსასმელია კოფეინის შემცველობით, როგორც ჩვენ გვგონია. თუ ექიმ-დიეტოლოგებს დავუჯერებთ, „ესპრესოს” ერთი ციცქნა ფინჯანი (სათითის ზომა რომაა) 40-70 მილიგრამამდე კოფეინს შეიცავს – გაცილებით ნაკლებს, ვიდრე სტანდარტული ყავა.

არ ვიცი, სად რა ამოგიკითხავთ, მაგრამ, სინამდვილეში, კოფეინი არ იწვევს ორგანიზმის გაუწყლოვანებას – ამას ამტკიცებენ ექიმები. მართალია, კოფეინს შარდმდენი ეფექტი გააჩნია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამის გამო ორგანიზმის გაუწყლოება მოხდება. თუმცა, ზომიერების დაცვა აქაც საჭიროა და არც ის უნდა დაგავიწყდეთ, რომ წყლის მიღება ორგანიზმში წყლის ბალანსის შესანარჩუნებლად ერთგვარი „ოქროს სტანდარტია“.

ხომ გახსოვთ „ოქროს წესი“ – 2 ლიტრი „ბაკურიანი“ დღის განმავლობაში!

**ნინო მდივანი**



**ამბობს, ქვეყანას მაშინ ეშველება, როცა საქართველოში ჩინოვნიკობა და სახელმწიფო სამსახური დიდი თავის ტკივილი იქნება, ხოლო ჩვენი ხელისუფალნი თუ ძლიერნი ამა ქვეყნისანი, ფიქრიანი სახეებით, გადაღლილები ივლიან... ზოგი ფეხით, ზოგიც ველოსიპედით. ყოველ შემთხვევაში, არა ბიუჯეტის ხარჯზე ნაყიდი, ბოლო მოდელის „ჯიპებით“...**

**ალეკო ელისაშვილი დარწმუნებულია, რომ არჩევნებში ქართველების ერთმა ძალიან კარგმა თვისებამ – ახლობლისადმი თანადგომამ გაამარჯვებინა. თუმცა, იმასაც ხედავს, საით მივყავართ უამრავ მანკიერ ჩვევას... შეძენილს თუ თანდაყოლილს...**

# რა აზრის არის ალეკო ელისაშვილი განცხადებაზე „ქართველობას გვართმევენ“ და საიდან მოდის ჩვენი პრობლემები

**ალეკო ელისაშვილი:** ქართველობა არ არის მხოლოდ ეთნიკურობა. ჩემ გარშემო არის რამდენიმე ეთნიკურად არაქართველი, რომელიც ამ ქვეყნის სიყვარულში ათეულობით ეთნიკურ ქართველს აჯობებს და მტკვარში ჩარეცხავს.

**– ძალიან ბევრი კარგი თვისება დაკარგეს ქართველებმა და განსაკუთრებით მამაკაცებმა...**

– სულ ვამბობ, რომ მხოლოდ შარვლის ჩაცმა არ არის კაცობა და ქართველი ქალები გაცილებით მაგრები არიან. 2008 წლის ომის დროსაც საქართველოსთვის თვალანთებული და შემართული ქალები უფრო მეტნი მხვდებოდნენ, ვიდრე მამაკაცები. ვისურვებდი, რა თქმა უნდა, პირიქით ყოფილიყო, მაგრამ სიმართლე ასეა და რა ვქნა. გაჭირვებაშიც ქართველი ქალები უფრო მაგრად დგანან, უფრო ყოჩაღები არიან და საქმის კეთებაც კარგად შეუძლიათ. მივესალმები ქალების გააქტიურებას და უფრო მეტი მათგანის მოსვლას პოლიტიკაში. თუმცა, ზოგიერთი ქალი საერთოდ რომ არ იყოს პოლიტიკაში, აჯობებს.

**– მართლა ასეთი ცუდები ვართ?**

– გვაქვს ძალიან ცუდი და კარგი თვისებებიც. ძალიან გაგვაფუჭა სამოცდაათწლიანმა საბჭოთა პერიოდმა. გაგვაზარმაცა და რაც ყველაზე ცუდია, საკუთრების განცდა დაგვაკარგვინა. სამწუხაროდ, დღეს ჩვენი საკუთრება შემოისაზღვრება მხოლოდ ჩვენი ბინით და მის ზღურბლს იქით, საერთოდ აღარაფერი გვაინტერესებს. სახლებს დავკანკალებთ, ვასუფთავებთ... სადარბაზო, ლიფტი, ქუჩა ფეხებზე გვკიდია. არ გვაქვს იმის განცდა, რომ ქალაქიც და ქვეყანაც ჩვენია და ისევე უნდა გავუფრთხილდეთ, როგორც საკუთარ ნივთს, ქონებას. აქედან მოდის ის, რომ ყველა ლიფტი აყროლებულია და ვინც ამას აკეთებს, ელემენტარულს ვერ ხვდება, რომ ისეც ის და მისი ოჯახის წევრები დადიან ამ ლიფტით. სადარბაზოებიც ანალოგიურ მდგომარეობაშია, ძეგლებიც და ნაგვის ბუდედ არის ქვეყანა გადაქცეული. ამას აკეთებს ხალხი. მერე ამ ხალხიდან ზოგიერთები მიდიან მთავრობაში და ფიქრობენ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში რომ ფულია, ის უნდა აილონ და ფლანგონ. მიირთვან ციცინი მწვადი, ისეირნონ ძვირფასი მანქანებით და მოიწყონ კომფორტი. ეს არის საბჭოური, „კაზიონი“ ცნობიერების შედეგი. როცა საერთო, საბჭოთა საკუთრება არაფერში გვანაღვლებდა და ამ ინერციით მივდივართ დღესაც. ძალიან მძიმედ არის საქმე. იმის მაგივრად, რომ თითოეულ კაპიკს დავკანკალებდეთ და მიზნობრივად ვხარჯავდეთ, როცა ვამბობ – სახელმწიფო მოხელეების „ჯიპებით“ სიარული უაზროდ ფულის ფლანგვაა-მეთქი, ზოგიერთები ამას პოპულიზმს ეძახიან. მენტალობის პრობლემაა ის, რომ ჩინოვნიკს უფრორს სახელმწიფო მანქანაზე უარის თქმა და ამით ფულის დაზოგვა. მანქანით სიარული საკუთარი სტატუსის გამოსაკვეთად უნდათ. არ შეუძლიათ თქვენ, მე, დეპუტატი, უარს ვამბობ მანქანაზე... იყოს მანქანები საჭიროების მიხედვით. საქმის კეთება, ფუფუნებაზე უარის თქმით იწყება. სამსახურებრივი ავტოპარკით რომ ისარგებლონ და შეწყდეს ეს „გულაობა“, დრო არ მოვიდა? უნდა იყოს ჩინოვნიკობა ძალიან დიდი თავის ტკივილი, რომ ადამიანი იქითკენ კომფორტისა და კარგი ცხოვრებისთვის არ გარბოდეს. აკეთოს ბიზნესი, იშოვოს ფული და იყოს „კაი ტიპი“. მინისტრობაზე აღარ უნდა ოცნებობდეს ქართველი. შრომისა და ბევრი ფიქრისგან თვალებჩასიებულ მინისტრებს უნდა ხედავდეს ხალხი და არა გარუჯულებსა და გაბრწყინებულებს. „გასვეცკებული“ ჩინოვნიკებით და სახელმწიფო მოხელეებით ბადალი არ გვყავს ქართველებს. იმიტომ რომ, როგორც კომუნისტების დროს იშოვებოდა, ახლაც იშოვება მინისტრობა-თავმჯდომარეობაში ფული.



მინისტრობაზე აღარ უნდა ოცნებობდეს ქართველი. შრომისა და ბევრი ფიქრისგან თვალებჩასიებულ მინისტრებს უნდა ხედავდეს ხალხი და არა გარუჯულ-გაბრწყინებულებს

## სულ ვამბობ, რომ ქართველი ქალები უფრო მაგრები არიან

კიდევ ერთი, სერიოზული პრობლემა გვჭირს ქართველებს – გრძელვადიანი ხედვა გვიჭირს. დღეს და ხვალ გვინდა ყველაფერი. როგორ და რანაირად, ამაზე არ ვფიქრობთ. როგორც საქმეში, ისე პირად ცხოვრებაში გრძელვადიანად უნდა შევხედოთ საკუთარ მომავალს. გვჭირდება ბევრი და მიზანდასახული შრომა. დღეს რომ ევროკავშირში გვინდა და ხვალ თუ არა ზეგ – „ნატოში“, ეგრე არ არის. ამდენი წელი გენერალური გეგმა არ ჰქონდა თბილისს. შეიძლებოდა, ქალაქს განვითარების გეგმა არ ჰქონოდა?!

**– მგონი, ქართველობის გაგებაც გაუკუღმართებული გვაქვს. ძალიან მოდური გახდა ყვირილი: „ქართველობას გვართმევენ!“**

– ვინ უნდა წაგვართვას ქართველობა ან შვილებს ვინ უნდა წაართვას. მე ვეზრდი მათ. ანტიდისკრიმინაციულ კანონზე ყველა აღშფოთებული იყო და დარწმუნებული ვარ, ოთხმოცდაათმა პროცენტმა საერთოდ არ იცის, შიგ რა წერია. ეს ჩვენი ქართველობაც რა არის, მოდი, კარგად გავიაზროთ. თუ ის არის ქართველობა, ნაგავი პირდაპირ აივნიდან ვყაროთ და სიგარეტის, ნაყინის ქაღალდი ქუჩაში მოვისროლოთ; ან კიდევ, კულტურული მემკვიდრეობა ფეხებზე დავიკიდოთ – ეს ჩემთვის ქართველობა არ არის. ვფიქრობ, ყველაფერ ამის „ბუდე“ ჩვენი გაუნათლებლობაა.

კარგი თვისებებიც გვაქვს – ეს არის ადამიანური ურთიერთობები. როცა იცი, თუ რამე პრობლემა შეგექმნა, შენი მეგობარი, ახლობელი გვერდით დაგიდგება. მე არჩევნები ჩემი მეგობრებითა და ახლობლებით მოვიგე. ჩემს შტაბში ხელფასს არავინ იღებდა. არ სჯერათ ეს. ხალხი ჩემ გარშემო ისე დაირაზმა, თხუთმეტი ათასი ლარი შევაგროვეთ და ამით მოვიგეთ არჩევნები. ეს იყო პლაკატების, ბილბორდებისა და ოფისის ფული... ჰო, კიდევ ლობიანებისა და ხაჭაპურების. ზედნადებით ვყიდულობდით ხოლმე (**იცინის**). ეს არის ჩვენი ძალა – ადამიანური, თბილი ურთიერთობები. სტუმარმასპინძლობის წესებიც ძალიან მომწონს. ფული რომ შეიძლება, არ გქონდეს და მაინც პატივი სცე სტუმარს. შემიძლია, თამამად ვთქვა, მატერიალური თვალსაზრისით ვარ ღარიბი, მაგრამ ადამიანური ურთიერთობებით – უმდიდრესი. უფროსი მეგობარი მყავს, ჩემი ქვისლის მამაა. ხშირად გვისაუბრია იმაზე, თუ რა დაგვემართა ქართველებს. რომ ნახა, რა ფაციფუცი იყო ატეხილი ჩემ გარშემო, მითხრა: ძალიან სკეპტიკურად ვიყავი უკვე განწყობილი და ამ სიტუაციამ საქართველო ხელახლა შემაყვარაო. ამან მომცა ძალა, ახლაც რომ დღის ცხენივით დავრბივარ. ჩემ გარშემო უამრავია ისეთი ადამიანი, რომელიც სრულიად უანგაროდ დამიდგა გვერდით.

**ნინო წულუკიძე**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# როგორ იცავდნენ შავ ზღვაში დელფინები რუსუდან გორდეზიანს დღისით და ღამით და როგორ გახდა ის პირველი ქართველი გოგონა, რომელმაც სარფიდან ფოთამდე 73 კილომეტრი 25 საათის განმავლობაში გადაცურა

*„ეს გაცურვა მე და ბატონმა ჯუმბერ ლეჟავამ ერთად დავგეგმეთ და მივუძღვენი აფხაზეთისა და აგვისტოს ომებში დაღუპულ გმირებს; ასევე ყველა იმ ადამიანს, ვინც სამშობლოს იცავდა და საქართველო დღემდე მოგვიტანა... და, რა თქმა უნდა, ბატონი ჯუმბერის ხსოვნას – ის იყო ჩემი წინამძღვარი, ადამიანი, რომელმაც მაჩვენა გზა, რომელსაც მარათონული ცურვა ჰქვია. ჩემი მხრიდან, ეს იყო პატივისცემისა და მადლიერების გამოხატვა ჩვენი გმირების მიმართ. მიმაჩნია, რომ ყველაზე ძლიერი და უანგარო სიყვარული – ეს სამშობლოს სიყვარულია... ყველაზე ამაღლებული საქციელია, როდესაც საკუთარ სიცოცხლეს თმობ იმისთვის, რომ დაიცვა ის, ვინც საკუთარ თავზე მეტად გიყვარს – ხალხი და ქვეყანა. სამშობლოს სიყვარული მხოლოდ სამშობლოში შეიძლება ისწავლო – მათნაირი გმირებისგან. პატივი უნდა ვცეთ იმას, რისაც მათ სჯეროდათ და სწამდათ – უკვდავებასა და მარადიულობას. სამშობლო რომ გვიყვარდეს, ერთმანეთი უნდა გვიყვარდეს. სხვა არაფერი რჩება ამქვეყნად, ყველაფერი იშლება, იკარგება, იძირება... სიყვარული კი სინათლეს ჰგავს, სიბნელეში შეჭრილ სინათლეს, ყველა სინათლე კი ზეციდან მოდის...“ – ეს სიტყვები* **რუსუდან გორდეზიანს** *ეკუთვნის, რომელმაც სულ ახალახან ცურვაში ახალი რეკორდი დაამყარა: სარფიდან ფოთამდე 73 კილომეტრი 25 საათსა და 15 წუთში გადაცურა და ახლო მომავალში კიდევ არაერთი რეკორდის დამყარებას აპირებს.*

**რუსუდან გორდეზიანი:** 3 წლის ასაკიდან ვცურავ, წყლის სიყვარული ბავშვობიდან მქონდა. მერე, როდესაც გავიზარდე, მივხვდი, შორ დისტანციაზეც შემეძლო ცურვა, მაგრამ არ ვიცოდი, ეს ვინმეს თუ აინტერესებდა... ზღვაში თავგადასავლები და ხიფათი მიყვარს და არაერთი ყოფილა. ოთხი-ხუთი წლის წინ შტორმი იყო, ზღვას დიდი ბალონი მიქონდა. ვიფიქრე, შევალ და გამოვიტანმეთქი. მივრბივარ და უკან მსუქანი მაშველი მომდევს ყვირილით: ამოდი, ამოდიო, მე კი ვითომ არ მესმოდა. ბოლოს ხელი ჩაიქნია – რაც გინდა, ის გიქნიაო. გავცურე და, მერე რომ გამოვედი ნაპირზე, ფეხი დავადგი სილას, ამ დროს ტალღამ გადამიარა თავზე და ქვიშაში დამმარხა. ერთხელ ჩემი მეგობარი გოგონა შევიყვანე ზღვაში. ცურვა არ იცოდა, კამერაში ჩავსვი, ტალღას ვარტყამდი და თან დინებას მივყვებოდით. ამ დროს მაშველები მოვიდნენ: რას აკეთებთ, ხომ არ გაგიჟდითო. რა უნდა მეთქვა, ვუთხარი, ტალღებმა შემოგვიტყუეს-მეთქი, თან ჩემი მეგობარი მსახიობობდა – ვითომ მართლა ტალღებმა შეგვიტყუეს. მაშველმა მითხრა: მალიბუს მოჰკიდე ხელიო. არ მინდა-მეთქი. ბოლოს მოვკიდე, ჩემი მეგობარი მეორე მხრიდან აწვებოდა და ისე დაიღალა მაშველი, ველარ სუნთქავდა. ვუთხარი: ჟილეტი გაიხადე, მომეცი და შენ მოჰკიდე მალიბუს ხელი-მეთქი. ნაპირზე რომ გავედით, ხელწერილები დაგვაწერინეს. მადლობა გადავუხადეთ, რომ „გადაგვარჩინეს“.

**– პირველი რეკორდი საცურაო აუზში დაამყარე.**

– პირველად საცურაო აუზ „ოლიმპიკში“ დავამყარე რეკორდი. 24 საათის განმავლობაში 47 კილომეტრი ვიცურე. ბატონმა ჯუმბერ ლეჟავამ მკითხა: რამდენი საათი შეგიძლია იცუროო. რა ვიცი, ერთი დღე, ორი, სამიმეთქი. მაშინ, აუზზე ვცადოთო. კახი კახიაშვილს დაუკავშირდა, რომელიც ჩაერთო ამ საქმეში. მადლობა მინდა გადავუხადო საცურაო აუზ „ტონუსის“ ხელმძღვანელობას, სადაც ვვარჯიშობდი. მაშინ გავიცანი ბატონი ბეგლარიც, რომელიც სულ ჩემ გვერდით იყო. ასეთ დროს თანადგომა ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემთან ერთად გაათენა ღამე და ახლაც სულ კატერში იჯდა და ყველაზე მეტად მედგა გვერდში.



**რუსუდანი: „მინდა, მსოფლიო რეკორდი დავამყარო, 250 კილომეტრი გავცურო – კაცებში არსებული რეკორდი 235 კილომეტრია და, მინდა, 15 კილომეტრით გადავაჭარბო“**

**ბეგლარ ელბაქიძე (ადამიანი-ამფიბია, რეკორდსმენი):** მე მისი ბოლომდე მჯეროდა. საცურაო აუზში კომისიაში ვიყავი და უკვე ვიცოდი მისი შესაძლებლობები. მისით მე კი არა, მთელმა ქვეყანამ უნდა იამაყოს. მისი წარმატების შესახებ უკვე ორასმა ქვეყანამ გაიგო და კიდევ ბევრმა უნდა შეიტყოს.

**რუსუდანი:** აუზში ცურვისას ერთადერთი სირთულე ის იყო, რომ ჯვარი მეკიდა და ცურვისას ყელი გამიჭრა; კიდევ, საცურაო კოსტიუმმა დამიზიანა კანი.

**ბატონი ბეგლარი:** სარფში, როგორც კი რუსუდანი ჩავუშვით წყალში, სამ კილომეტრში შევამჩნიეთ ჯერ ერთი დელფინი, შემდეგ მეორე. არაფერი ვუთხარით, რომ არ შეშინებოდა. მთელი დღის განმავლობაში, დაახლოებით 20 კილომეტრზე დაჰყვებოდნენ დელფინები: ერთი – წინ, მეორე – უკან. 73 კილომეტრი რომ გაცურა, რეკორდი დაამყარა, 13 კილომეტრით გადაამეტა არსებულ რეკორდს, საქართველოში პირველი გოგონა გახდა, რომელმაც ასეთი რამ გააკეთა, გემზე ავიყვანეთ, ამ დროს, 30-ზე მეტმა დელფინმა გემის გარშემო ჰაერში დაიწყო ხტომა. 73 კილომეტრი სდიეს, ხელიც კი არ შეუშლიათ, გვერდში მოჰყვებოდნენ, თითქოს იცავდნენ და ბოლოს ჰაერში დაიწყეს ხტომა. ბევრგან ვარ ნამყოფი, ექვსი-შვიდი წელია, თურქეთის სახელით გამოვდივარ შეჯიბრებებზე, დელფინებიც ბევრი შემხვედრია, მაგრამ, ასეთი სასწაული არსად მინახავს... მე მთელი ცურვის განმავლობაში კატერით დავყვებოდი. ჭამის დრო რომ მოვიდოდა, ანუ, როცა ცხელი შოკოლადი უნდა მიმეცა, რუსუდანს ჰქონდა უფლება მოსულიყო ჩემთან და კატერზე დაედო ხელი. თავი მოიკლა და 73 კილომეტრი ისე გაიარა, თითი ვერ დავადებინე კატერზე.

**რუსუდანი:** თავიდან მინდოდა, სარფიდან ანაკლიამდე გამეცურა 113 კილომეტრი. წინა დღეს ერთ-ერთმა მონაზონმა მითხრა: უფლისგან მოვლენილი მადლი სამი რამით იზომება: მშობლის, სამშობლოსა და ღმერთისადმი სიყვარულით. რადგან ეს სამშობლოს სახელით ხდება, აუცილებლად შეძლებო. როგორც აღვნიშნე, ეს ბატონ ჯუმბერ ლეჟავასთან ერთად დავგეგმე. ჩემი მწვრთნელები იყვნენ ბატონი ჯუმბერი და გიორგი აბზიანიძე. ბატონი ჯუმბერის გარდაცვალების შემდეგ 20 დღე არ მივარჯიშია, აღარ ვფიქრობდი ამაზე. მაგრამ, საბოლოოდ, გადავწყვიტე, გამეკეთებინა და ქართველი გმირებისთვის მიმეძღვნა. მინდა, მადლობა გადავუხადო შინაგან საქმეთა სამინისტროს, მომსახურების სააგენტოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სპორტულ კლუბ MIA Force-ს – მათი ეგიდით ჩატარდა ეს გადაცურვა. დაახლოებით ერთი კვირით ადრე დაიგეგმა ყველაფერი. 5 დღით ადრე წავედი ურეკში, გარუჯვა ვერ მოვასწარი, დავიწვი, კანი გადამძვრა და ცურვის დროს ძალიან მეწვოდა, მაწუხებდა, თან, მარილიანი წყალი მედებოდა.

**ბატონი ბეგლარი:** მარშრუტი წინასწარ იყო დაწერილი: წინ გემი მიდიოდა და მას მიჰყვებოდა რუსიკო, ჩვენ კი კატერით მივყვებოდით. განაცხადში იყო ასე: რუსიკოს უნდა გადაეცურა 60 კილომეტრიდან 100 კილომეტრამდე. 60 კილომეტრი აუცილებელი იყო, რადგან ასეთი იყო წინა რეკორდი. რომ შევხედე და უკვე 73 კილომეტრი ქონდა გაცურული, 13 კილომეტრით იყო წინ, აღარ მინდოდა, მეწვალებინა, თან, ძალიან იყო და-

**(გაგრძელება 36-ე გვერდზე)**

## მილოცვა ლალი აბაშიძეს



ლალიკო! გილოცავთ კიდევ ერთი წლით გაახალგაზრდავებას: მოგემატოს მრავალი ხალისიანი, ღიმილიანი, პირმცინარი და ბედნიერი წელი. შენ ხარ ჩვენი სიცოცხლის საწყისი, ცხოვრების ბურჯი, ჩვენი გულები შენით ხალისობს და სამყაროსაც შენი გადმოსახედიდან ვუყურებთ. ყოველთვის იყავი და იქნები ჩვენი კანდელი; ლოცვასავით წინ მიგვიძღვის შენი შეგონება და დარიგებანი; შენ შეგვაყვარე დღევანდელი დღე და ხვალინდელ დღეზე ტკბილი ოცნება. მადლობას ვწირავთ უფალს, რომ ასეთი ტკბილი, თბილი, მხიარული და ლამაზი დედა გვაჩუქა. სულ შენ გეკუთვნის, თუ რამ მადლობა და სიყვარული დავიმსახურეთ. უზომოდ გვიყვარხარ, ლალიკო. დაე, ყოველთვის შეუდრეკელი, მამაცური და ვაჟკაცური სული იყოს შენი თანმდევი. დიდხანს იყავი ასეთი ხალისიანი და გულკეთილი, ჩვენო იმედო და ტკბილო არსებავ! როცა შენ ხარ ჩვენ გვერდით, შენი შვილები ცის კიდეს ადვილად ვეხებით, სიყვარულს ნაირფერი ფერებით ვხატავთ, წვიმაც კაპკაპით სალებავისებრ ილვენთება, მზესაც განსაკუთრებული სიმხურვალე აქვს... არ მოგვაკლო შენი ყოფნით გამოწვეული სიამოვნება კიდევ მრავალი წელი!

**შენი შვილები**

**„მოგზაურობა" გიო გაბუნიასთან ერთად არც ისე ადვილია – იმის მიუხედავად, რომ კომუნიკაბელური და სიტყვაუხვია, რესპონდენტის როლის მორგება უჭირს. თუმცა, ეს არაა პრობლემა – სამაგიეროდ, გადაცემის წამყვანისა და ავტორის როლშია, როგორც თევზი წყალში. მისგან მოგზაური ათეული წლების წინ დადგა. ბოლო წლებში მასშტაბი გაზარდა და უკვე იმდენ ქვეყანაში მოხვდა, სათვალავიც აერია. მოკლედ, დღეს ჩვენი რესპონდენტი, ყველაზე გამოცდილი მოგზაური გიო გაბუნიაა, მოგზაური ხან კომპასით, ხან – უკომპასოდ, რომელიც იმ ემოციებს გვიმხელს, რაც ყველა გზას ახლავს.**

# რატომ იწერს ჯვარს გიო გაბუნია ყველა რელიგიის მიხედვით და რით გაუმასპინძლდა ბუდისტი მღვდელი მას კატმანდუში

**გიო გაბუნია:** წინა ცხოვრებაში გიო გაბუნია ტაილანდელი მეძავი იყო და გემებს ელოდებოდა... ტროპიკები, ზღვა, ქვიშა – ესეც ხომ მოგზაურობის ამბავია. პროფესიით მსახიობი ვარ, თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ჩვენი ჯგუფი მოზარდ მაყურებელთა თეატრში გაგვამწესეს. ისე მოხდა, რომ ერთი წლის თავზე, მაინცდამაინც სპექტაკლის პრემიერაზე დაიგეგმა მოგზაურობა. მე, რა თქმა უნდა, არჩევანი გავაკეთე მოგზაურობაზე, პრემიერა „გადავაგდე" და ასე დავასრულე მსახიობის კარიერა თეატრში. ერთი წლის შემდეგ მეგობრებმა დათო ლოლაძემ და გია მანჯგალაძემ ჯაზ-კლუბი გახსნეს, მთავარ ადმინისტრატორად დავიწყე მუშაობა. ასე ერქვა ჩემს პოზიციას, თუმცა მეც ამ კლუბის ერთ-ერთი თანამფლობელი ვიყავი. წარმოიდგინეთ 90-იანი წლების თბილისი, სიბნელე. იმ დროს კლუბი იყო ერთადერთი ნათელი წერტილი, სადაც შეიძლებოდა, დროის გატარება, ხარისხიანი მუსიკის მოსმენა. მე გავაგრძელე „ქლაბერობა". 2001 წელს გავხსენი კლუბი „ნოა-ნოა", რომელმაც 5-6 წელი იარსება. აღმაფრენებიც მქონდა და დაცემებიც, როგორც ბევრს ჩემი თაობიდან. იმ პერიოდში თბილისში ბიზნესის პატრონს ყველანაირ ადამიანთან გქონდა შეხება, ეს გზა მეც გავიარე. შემდეგ იყო პერიოდი, რომელიც გამოვტოვე, მერე კი დავუბრუნდი ჩემს ძირძველ პროფესიას, მსახიობობას – ესპანელების მიერ გაკეთებულ პროექტში „ჩაიკა", მთავარი როლი შევასრულე. ფილმი საკმაოდ წარმატებული გამოვიდა და რამდენიმე ფესტივალზე მთავარი პრიზებიც აიღო.

**– როდის და როგორ გახდი „მოგზაური"?**

– ძნელი სათქმელია. როცა ვაკვირდები, ვხვდები, რომ ეს გენეტიკურიცაა. მამაც მოგზაური იყო, ბაბუაც, რომელიც ანძებს აშენებდა და სულ სადღაც იყო. მამაჩემი იახტსმენი გახლდათ და სულ დადიოდა. მახსოვს, მოლოდინის განცდა, როგორ ველოდი ხოლმე მშობლების დაბრუნებას. ეს ცუდიც იყო და კარგიც, რადგან მოლოდინი ბოლოს საჩუქრების ჩამოტანით მთავრდებოდა. მამა ძალიან საინტერესოდ მზრდიდა. წიგნის წაკითხვას დაიწყებდა და საინტერესო ადგილზე გამიწყვეტდა. შეიძლება ითქვას, მოგზაურობა კითხვით დავიწყე – ჰიკლბერი ფინთან ერთად მოვიარე მისისიპი. წიგნებიდან ძირითადად მოგზაურობის სცენები მიზიდავდა. ახლის აღმოჩენის ჟინი, ალბათ, ყველა ადამიანშია. გზა სულ სხვა რამეა, გზაში დროის აღქმა იცვლება, იცვლები შენც და სხვანაირი ხდები. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაიწყო ჩემი ეგრეთ წოდებული ათასმანეთიანი „პაეზდკები", მერე იყო 90-იანი წლების შეხება ევროპასთან. დადგა დრო და საკლუბო ცხოვრებამ ძალიან დამღალა. ამას რაღაც ასაკში აქვს ხიბლი. როცა საქმე სიამოვნებას აღარ განიჭებს და მარტო კომერციას წარმოადგენს, ჩემთვის იმ საქმეს ინტერესი ეკარგება. ვცდილობდი, გამეკეთებინა რამე. იმ პერიოდში ბევრი თავისუფალი დრო მქონდა. ძალიან მიყვარდა ნადირობა და თევზაობა, ბიძაჩემს ბავშვობიდან დავყავდი სათევზაოდ და სანადიროდ. ავდექი და პირველ არხზე გავაკეთე გადაცემა „საფარი", რაშიც ძალიან დამეხმარა ჩემი მეგობარი კიკალა (გიორგი კიკალეიშვილი). ესეც მოგზაურობა იყო, მაგრამ მცირემასშტაბიანი. არ მინდოდა, თევზაობასა და ნადირობაზე ჩავციკლულიყავი, ახალ პროექტზე დავიწყე ფიქრი და აქედან დაიწყო ყველაფერი – „საფარს" მოჰყვა „მოგზაურობა გიო გაბუნიასთან ერთად" და შემიძლია ვთქვა, აქ ვიპოვე ჩემი თავი!

**– წელიწადზე მეტია, ამ გადაცემას აკეთებ, მოიარე ძალიან ბევრი ქვეყანა, მაყურებელს აჩვენე არაერთი ულამაზესი კადრი მსოფლიოს ცნობილი ადგილებიდან. როგორ არჩევ ქვეყანას, მგონია, რომ გლობუსს ატრიალებ და სადაც მოხვდება, იქ მიდიხარ?**

– გლობუსი მაქვს, მთლად უკომპასოდ არ დავდივარ. ამ წელიწადნახევარში საკმაოდ ბევრი ვიმოგზაურე. ვნახე უამრავი მაგარი ქვეყანა. მოვიარე ევროპა, მარტო სკანდინავია დამრჩა. ვფიქრობ, ყველაზე მაგარი ჩემთვის მაინც აღმოჩნდა აღმოსავლეთი, რაც სულ მაინტერესებდა. ადრე ეს ვერ შევძელი, მაქსიმუმი იყო შუა აზია. მოვიარე ნეპალი, ინდოეთი, ბანგლადეში, ბუტანი. ვიცი, რომ აუცილებლად მოვხვდები ამომავალი მზის ქვეყანაში. იმის მიუხედავად, რომ ახლა უკვე საქმიან რეჟიმში მიწევს ყოფნა, მაინც იგივე დოზის სიამოვნებას ვიღებ ყველა მოგზაურობიდან, როგორც ადრე იყო. როცა მქონდა პროექტი „საფარი", ყოველთვის მრჩებოდა დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. ალბათ, გამოცდილებამ მოიტანა, რომ ახლა უკვე გამომდის გავაკეთო საქმე და თან, სიამოვნება მივიღო.



თემურ ლენგის მავზოლეუმშიც მაქვს ჯვარი დაწერილი

**– ყველაზე რთული გზა სად გაიარე? ექსტრემი და ფათერაკები ხომ, ალბათ, შენი მოგზაურობის მუდმივი ნაწილია.**

– ფიზიკურად კარგად ვარ. ჯანი ეტყობა, გენეტიკურად მომდგავს. თავგადასავალი, ხიფათი, ფათერაკი ხომ ჩვეულებრივი რამ არის, ამას თავისი ხიბლი აქვს მოგზაურობის დროს. პატარა იახტით შტორმშიც მოვყოლილვარ და მთაში დამკარგვია გზაც. ევროპელებში ყველაზე პოპულარული მარშრუტია ნეპალი – გოა. ამ გზას გადიან ძირითადად დაბალბიუჯეტიანი მოგზაურები, ახალგაზრდები. მეც ეს გზა ავირჩიე. ოთხი დღე ვიარეთ ავტობუსით, შვიდი დღე მატარებლით, არა და არ თავდებოდა ეს გზა. ეს იყო ძალიან რთული და მძიმე, 30 კილო შევწირე ამ გზას *(იცინის).* სულ მაინტერესებდა ბუდიზმი, მე არ მახასიათებს ფუნდამენტალიზმი არც ჩემს რელიგიაში, და არც სხვაში – ყველა რელიგიას ბროშურის დონეზე ვეცნობოდი, მაგრამ ბუდიზმი და მასთან დაკავშირებული რიტუალები სულ იყო ჩემი ინტერესის საგანი. ეს ყველაფერი განვიცადე საკუთარ თავზე. მე და ზინკამ ჯვარი დავიწერეთ ნეპალში, იქაურ ბუდასტუპაში. პატივისცემის ნიშნად, მღვდელი სუპით გაგვიმასპინძლდა. ვხუმრობდი, ყველა კონფესიის მიხედვით უნდა დავიწერო ჯვარი-მეთქი და ასეც გამოვიდა. თემურ ლენგის მავზოლეუმშიც მაქვს ჯვარი დაწერილი მუსულმანური წესების დაცვით. ერთადერთი, იუდაიზმი დამრჩა და ალბათ, ამასაც მოვახერხებთ მე და ჩემი მეუღლე.

ნეპალი ჩემი უსაყვარლესი ქვეყანაა, კატმანდუ არის ჯადოსნური ქალაქი. როგორც კი იქ მოხვდები, ამას მაშინვე გრძნობ. შეთქმულებების თეორიების არ მჯერა, მაგრამ კატმანდუში მართლაც სულ სხვა სამყაროა, სულ სხვანაირია დრო. იქ უკვე ხუთჯერ მოვხვდი, ხომ არსებობს მოსაზრება, ქალაქი, რომელიც მოგეწონა, მეორედ აღარ უნდა ნახოო. ეს მცდარია და ალბათ, იმათი მოგონილია, ვისაც იქ მეორედ ჩასვლის თავი არ აქვს. კატმანდუდან ცოტა ზევით თუ ახვალთ, იქიდან ევერესტიც მოჩანს, მართლაც საოცარი მხარეა. იმ დისკომფორტების მიუხედავად, რაც კატმანდუში საკმაოდ ბევრია, იქაურობას მაინც ენით აღუწერელი ხიბლი აქვს. მე მყავს მეგობრები, რომელთაც უყვართ მოგზაურობა, მაგრამ ისეთ ადგილებს ვერ აიტანდნენ, სადაც მე ბევრჯერ ვყოფილვარ. მწერები, სიღარიბე, ჰავა – უამრავი რამაა, რაც ყველა მოგზაურობას ართულებს. თუმცა, მე მაინც ეს ეგზოტიკა მიზიდავს, დავარცხნილი გლამურით ვერავინ გამაკვირვებს.

**– როგორია პროფესიონალი მოგზაურის სამზადისი მოგზაურობის დაწყების წინ?**

– ძალიან მიყვარს ექსპრომტი, ახლა მაგალითად, აგვისტოს ბოლოს ევროპის ტურნეს ვიწყებ, მაგრამ ჯერ არ ვიცი, საიდან დავიწყებ. ექვსი გადაცემა უნდა ჩამოვიტანო, მაგრამ დღეს ჯერ კიდევ არ ვიცი, სად დავიწყებ და სად დავამთავრებ. სამზადისი არის რიტუალი, წინასწარ ტკბობა იწყება ბილეთების დაჯავშნიდან. მეხს-

**(გაგრძელება 35-ე გვერდზე)**

**დიზაინერ ანუკა ქებურიას ყველა კარგად იცნობს. ის პოპულარული და აქტუალურია. მასთან საუბარი მოდის სფეროში იმ სიახლეებით დავიწყეთ, რაც გასათვალისწინებელი და მისაღებია ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელსაც სურს, ზაფხულის ცხელ დღეებში ლამაზად, პრაქტიკულად და რაც მთავარია, მოდურად გამოიყურებოდეს.**

# მისდევენ თუ არა მოდას ქართველები და რა რჩევებს აძლევს მათ დიზაინერი ანუკა ქებურია

– მოდის ტენდენციების გათვალისწინებით, წლევანდელ ზაფხულში აქტუალურია მკვეთრი ფერები – რაც შეიძლება, მეტი ფერადოვნება. გარუჯულ სხეულსაც ძალიან უხდება მკვეთრი ფერები, მაგალითად: ყვითელი, სტაფილოსფერი... რაც შეეხება პრინტებს, რომლებიც ასევე, მოდურია, წელს, ყველანაირი ფლორა, ფაუნა, ძალიან აქტუალურია.

**– რაც შეეხება ფეხსაცმელს.**

– წელს პირველად გავაკეთე სანდლები, რომელიც ზემოდან მოქარგულია თვლებით, ქვებით და საკმაოდ ფერადია. ჩემს კოლექციებში ყოველთვის ჭარბობს მუქი ფერი. მე თვითონ ძალიან მიყვარს შავი, მაგრამ ზაფხულში მაინც ფერადოვნება გამოვიყენე. ცისფერი საკმაოდ ტენდენციურია წელს. სანდლები ცისფერი ქვებითაც გავაწყვე, რომლებიც ძალიან ჰგავს ზღვის კენჭებს. რა თქმა უნდა, ეს დამუშავებული ქვებია.

**– ფეხსაცმლის როგორი ფორმებია ამ ზაფხულს მოდაში?**

– რა თქმა უნდა, ყოველდღიურად, ზღვაზე მაინც, უფრო პრაქტიკულია დაბალ ძირზე ეგრეთ წოდებული სანდლები. მაგრამ, როცა სადმე მივდივართ, საღამოსთვის მაინც ქუსლიანი ფეხსაცმელი რჩება აქტუალურად. მოდაშია პლატფორმა, რომელიც განსაკუთრებულად კომფორტულს ხდის ქუსლიან ფეხსაცმელს. აქაც ფერადოვნებაა აქტუალური, ასევე, ოქროსფერი და ვერცხლისფერი, რომელიც ძალიან უხდება გარუჯულ სხეულს.

> ჩემს კოლექციებში ყოველთვის ჭარბობს მუქი ფერი. მე თვითონ ძალიან მიყვარს შავი, მაგრამ ზაფხულში მაინც ფერადოვნება გამოვიყენე. ცისფერი საკმაოდ ტენდენციურია წელს

ოქროსფერი, ვერცხლისფერი აქსესუარებია ძალიან ტენდენციური, ასევე, ფერადი ქვებითა და თვლებით გაწყობილი აქსესუარები.

**– საცურაო კოსტიუმებზე რას მეტყვით, რა ტენდენციებია და როგორი კოსტიუმებია ამ სეზონზე უფრო მოდური?**

– ეგ უფრო ინდივიდუალურია, ზოგს მთლიანი მოსწონს, ზოგს – ცალ-ცალკე, ზოგისთვის უფრო დახურული, „მოშორტო" კოსტიუმია მისაღები. თუმცა გააჩნია, როცა გასარუჯად მივდივართ, ამ შემთხვევაში, უფრო პრაქტიკულია ცალ-ცალკე საზღვაო კოსტიუმის ჩაცმა, თუ აუზზე მიდიხართ და იქ შეიძლება, კოქტეილ-ივენთიც იყოს, უფრო გამოპრანჭვა ჯობია და გირჩევთ, მთლიანი საცურაო კოსტიუმი ჩაიცვათ. ფერებში აქაც სიჭრელე და სიმკვეთრეა აქტუალური.



ძალიან აქტუალური და ტენდენციურია წელს შლაპები. მე ძალიან მომწონს, ბევრად უფრო ელეგანტურს და ქალურს ხდის ნებირმიერ ქალბატონს. მიხარია, რომ ქართველმა დიზაინერებმაც დაიწყეს ამ შლაპების კეთება. საკმაოდ ფართო არჩევანია და ძალიან ლამაზ და ხარისხიან პროდუქტსაც ქმნიან ქართველი დიზაინერები.

**– რაც მთავარია, მოსახლეობამაც ძალიან აიტაცა შლაპები. ხომ მართალია?**

– კი, ასეა. საერთოდ, ქართველები ჩემი აზრით, ძალიან მიჰყვებიან მოდის მსოფლიო ტენდენციებს და თანამედროვე მსოფლიო მოდის სიახლეები ყოველთვის აქტუალურია საქართველოში, რაც ძალიან მახარებს.

**– ამჟამად რაზე მუშაობთ?**

– სულ ახლახან გავაკეთე ახალი კოლექცია ბათუმისა და თბილისის მაღაზიებისთვის. ბათუმში ზაფხულში, მოგეხსენებათ, ბევრი ტურისტია და საკმაოდ დიდი მოთხოვნაა ბოლო პერიოდში ქართველი დიზაინერების პროდუქციაზე, რაც ძალიან მახარებს. გავაკეთე მაისურები ბათუმის და თბილისის თემაზეც. ასევე, ზღვის პრაქტიკული ჩანთები, ეგრეთ წოდებული „პლაჟის ჩანთები" და საზაფხულო ფეხსაცმელები. ამ ეტაპზე ვაპირებ, დასვენებას, რადგან ძალიან დავიღალე. სექტემბერში აუცილებლად მექნება ახალი კოლექცია, უკვე შემოდგომა-ზამთრის.

**– ვისთან ერთად და სად ისვენებთ?**

– მთელი წლის განმავლობაში საკმაოდ დატვირთული გრაფიკი მაქვს. მიწევს ძალიან ბევრი მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მიყვარს ჩემი საქმე და დიდ სიამოვნებას მანიჭებს, მაინც დამღლელია. ცოტა განტვირთვა მჭირდება. დასვენებას, რა თქმა უნდა, ვაპირებ ჩემს შვილთან ერთად. ახლა წამოვედით ბაკურიანში, სადაც სახლი გვაქვს. ვართ მე, ჩემი მეგობრები, ჩემი შვილი და მისი მეგობრები. ვაპირებთ, კარგად დავისვენოთ, თუმცა ბოლომდე მაინც ვერ ვახერხებ. წამოღებული მაქვს: სახატავები, ფანქრები, ფურცლები, პატარ-პატარა ჩანახატებს ვინიშნავ, ბოლომდე ვერ ვწყდები საქმეს, უკვე ვფიქრობ, სექტემბრის კოლექციაზე *(იცინის)*.

**ეკა სალაღაია**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# როდის იწყებს სხვადასხვა ენაზე ლაპარაკს ერთ დროს ერთმანეთზე შეყვარებული ცოლ-ქმარი



**დავეთანხმოთ მამაკაცებს, რომლებიც ამბობენ, რომ მათ უმრავლესობას სიყვარულის უნარი არა აქვს და შესაბამისად, ერთგულებიც ვერ იქნებიან?! ბუნებრივია, გამონაკლისები ყოველთვის იარსებებენ, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ცვლის. არიან მამაკაცები, რომლებიც აღიარებენ, რომ სიყვარული საერთოდ არ შეუძლიათ. რაც შეეხება ქალებს, მათაც აქვთ ერთგულების პრობლემა. თუმცა, ასეთ დროს ისინი ამტკიცებენ, რომ არ შეხვდათ მამაკაცი, რომელიც ერთგულების სურვილს გაუჩენდათ. ამ ტიპის ქალები იშვიათად ქმნიან სრულფასოვან ოჯახს... წვალობენ, ეძებენ და ბოლოს მარტონი რჩებიან.**

**როდის არიან ისინი ბედნიერები, ან არიან კი საერთოდ?!**

**ლილიკო** *(41წლის):* მიკვირს, როგორ გამიჩნდა თქვენთან საუბრის სურვილი ამ თემაზე. ვერიდები ხოლმე, რადგან არ ესმით ჩემი არც ქალებს და არც კაცებს. რა ვქნა?! – ნამდვილად არ მაქვს ქვიშაში თავი წარგული სირაქლემასავით. ვერასოდეს ვიტყვი, რომ ყველაფერი იდეალურად არის. პირიქით, ძალიან რთულია ცხოვრება. ბრძოლა გვიწევს მუდმივად პარტნიორებთანაც და საკუთარ თავთანაც. მეც რომ არ ვარ იდეალური, ესეც ფაქტია...

**– ანუ, მთავარი პრობლემა ისაა, რომ მამაკაცები არასტაბილურები და მოღალატეები არიან?**

– რა თქმა უნდა. თუმცა, მთლად ისეც არ არის საქმე, როგორც ქალების უმრავლესობას გვგონია. ანუ, არსებობს შემთხვევები, როცა კაცს უნდა, იყოს ერთგული და არ გამოსდის.

**– „არ გამოსდის“, რას ნიშნავს?**

– იმას, რომ არსებობს გარემოებები, ფაქტორები, რის გამოც კაცს არ გამოსდის, მთელი ცხოვრება ერთი ქალის ერთგული იყოს. შეხვედრის პირველ დღეს რომ ვითომ სიყვარულია, ეგრე არ არის. მე მჯერა, რომ კაცებსაც უნდათ ნორმალური ოჯახი და ხანგრძლივი, ბედნიერი ურთიერთობა ერთ ქალთან. მე ვერ წარმომიდგენია, ვის შეიძლება სიამოვნებდეს სკანდალი, ჩხუბი და გამიშვი-დამიჭირე, ეს ხომ აბსურდია?! ორჯერ მაქვს დანგრეული სერიოზული ურთიერთობა და ვიცი, რას ნიშნავს ეს. ძალიან განვიცადე ორჯერვე. კაცი არ ვარ, მაგრამ მეც მქონდა მომენტი, როცა ვერ გავუძელი ცდუნებას. პირველად მიღალატეს, მეორედ მე ვუღალატე. ერთ შემთხვევაშიც დავზარალდი და მეორე შემთხვევაშიც. მართლა არ მინდოდა, ვინმესთვის გული მეტკინა. ახლაც ვერ ვეუბნები ჩემს ქმარს, მორჩა ყველაფერი, აღარ მინდა შენთან, მივდივარ-მეთქი.

**– მეუღლე გყავთ და არ შორდებით?**

– ვერ ვშორდები, ჩემი პირველი ტკივილი და იმედგაცრუება რომ მახსოვს, მასაც იგივეს ვერ გავუკეთებ. მეცოდება, არ შემიძლია, მწარე სიმართლე მივახალო. ზოგჯერ ტყუილში ცხოვრება უკეთესია.

**– თქვენ რატომ არ იცხოვრეთ ტყუილში – პირველ შემთხვევას ვგულისხმობ, ხომ ვერ აპატიეთ ღალატი?**

– არ ვაპატიე, იმიტომ რომ, ყველაფერი ძალიან სააშკარაო გახდა. ხელისგულზე დაიდო. არ მოერიდა იმას, რომ მე გავიგებდი და გავბრაზდებოდი. დაიკიდა ჩვენი ურთიერთობა ბოლომდე. მე ასეთი უპასუხისმგებლო არ ვარ. შეიძლება, სწორედ ამით განვსხვავდებით ქალები მამაკაცებისგან.

**– კაცებიც მალავენ ხოლმე თავიანთ „კრიმინალურ რომანებს“.**

**ქალებს აქვთ მიზეზი, როცა ფიქრობენ, რომ კაცებს არ უნდათ ნორმალური ოჯახი და ხანგრძლივი, ბედნიერი ურთიერთობა ერთ ქალთან**

– ჩემი პირველი ქმარი მეუბნებოდა, მუხლები მეკეცება ატირებული ქალის დანახვაზეო, მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა, მწარედ ეტკინა გული ჩემთვის. საერთო შვილი გვყავს და როცა ვხვდებით, სურვილი მიჩნდება, მაგრად ვეჩხუბო. იმიტომ არა, რომ მღალატობდა – ახლაც რომ ცდილობს მომატყუოს, იმიტომ. მოდის და მეუბნება, მე ღალატი არ მინდოდაო. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

**– თქვენ ეს გაოცებთ და გაბრაზებთ?**

– არა. არც მიკვირს და არც ვბრაზობ. ნაწყენი კი ვარ... მასთან ბედნიერი ვიყავი, მაგრამ მხოლოდ სამი წელი. თითქმის დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ ჩემი ქმარი პირველი სამი წლის განმავლობაში ერთგული იყო... თუ ჩვენ შორის სიყვარული არ არსებობდა, მაშინ როგორ ცხოვრობდა ჩემთან? რატომ იყო აღფრთოვანებული და ვნებიანი?

**– თქვენც ღალატობთ ქმარს და აგრძელებთ მასთან ცხოვრებას. თუ გიყვართ, რატომ ღალატობთ და თუ არ გიყვართ, რატომ ცხოვრობთ მასთან?**

– ანუ, იმის თქმა გინდათ, რომ მეც ჩემი პირველი ქმარივით ვიქცევი? შეიძლება, მაგრამ სიყვარული არის ჩემსა და ჩემს მეუღლეს შორის. თუმცა, ის საკმარისი იმ რაოდენობით არ არის, რაც მე სხვასთან შეხვედრის სურვილს არ გამიჩენდა. ახლა ვხვდები, რომ არსებობს გარემოებები, რის გამოც კაცს არ გამოსდის მთელი ცხოვრება ერთ ქალთან იყოს და ისე უყვარდეს, როგორც ურთიერთობის პირველ ეტაპზე. მე უკვე საკუთარ თავზე გამოვცადე ეს მიზეზები და გარემოებები. ადამიანი უნდა გინდოდეს თავისი ყველაფრით – გარეგნობით, ხასიათით, პრობლემებით. მის გვერდით უნდა იყო და მაინც გენატრებოდეს. ოთახში ჰაერზე მეტი უნდა იყოს. სული უნდა გიმღეროდეს და დაფრინავდე... ჩემთვის ეს არის სიყვარული, რომელსაც აღარაფერი სჭირდება და რომელიც, სამწუხაროდ, თითქმის არ არსებობს. დარწმუნებული ვარ, ცოლ-ქმარს შორის ასეთი გრძნობა თუ იარსებებს, ღალატზე ლაპარაკიც არ იქნება.

**– თქვენ გქონდათ ასეთი სიყვარული?**

– გამოდის, რომ არ მქონდა. ორმხრივი თუ არ იქნება ეს გრძნობა, მაშინ აზრი ეკარგება ყველაფერს. სხვადასხვა ენაზე იწყებს ლაპარაკს ცოლ-ქმარი. თუმცა, მაინც ჰგონიათ, რომ ერთმანეთი უყვართ და ეს გრძელდება იქამდე, სანამ მათ ცხოვრებაში ვიღაც არ გამოჩნდება და იმ დეფიციტს არ შეავსებს, რომელიც არსებობს, მაგრამ თვალით შეუმჩნეველია.

**– თქვენ რა დეფიციტი გაქვთ მეორე მეუღლესთან.**

– ეტყობა, იმ დოზით არ მიყვარს, რა დოზითაც საჭიროა. როგორც კი მის მიმართ პირველად ვიგრძენი აგრესიის განცდა, ეგრევე მივხვდი, რომ სიყვარულის დეფიციტი გაჩნდა. ის, რომ საყვარელი მყავს, ჩემთვის კომპენსაციაა.

**– ვერ გავიგე?**

– დიახ, კომპენსაციაა. იმიტომ რომ, ჩემთვის ქმართან ურთიერთობას სიხარული არ მოაქვს. ისიც აღარ არის ჩემზე „ჩაფრენილი“, როგორც ქორწინებამდე და ქორწინების შემდეგ ერთი-ორი წლის განმავლობაში იყო... სურვილი აღარ აქვს, რომ მომიაროს და გამანებივროს. მას კი არ ვაბრალებ რამეს, ფაქტის კონსტატაციას ვახდენ. არ ვუყვარვარ ისე, როგორც უნდა ვუყვარდე და შესაბამისადაც იქცევა – საშუალო დონეზე.

**– თქვენც ხომ არ გიყვართ ისე, როგორც უნდა გიყვარდეთ...**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ვინ ეძებს მამას უკრაინიდან საქართველოში და რა მიზეზით სურს უკრაინელ ქალს თავისი ნახევარძმების ნახვა

*45 წლის ლიანა მევლუდის ასული პესჩანაია ეძებს: დაახლოებით 70-75 წლის მევლუდ დავითის ძე ახალაძეს.*

**ისტორია**: ვეძებ მამას – დაახლოებით 70-75 წლის მევლუდ დავითის ძე ახალაძეს. ჩემი დედ-მამა 1972 წელს დაშორდა ერთმანეთს. მას შემდეგ მე და დედა უკრაინაში ვცხოვრობთ. მამის მოძებნა ძალიან მინდა, ვიცი, რომ მყავს სამი ნახევარძმა. მათი პოვნაც მინდა. იმედი მაქვს, დამეხმარებით. ამჟამად უკრაინაში, დონეცკის მხარეში ვცხოვრობ. თქვენი დიდი იმედი მაქვს.

**– როგორ დაშორდით მამა-შვილი ერთმანეთს?**

– დედაჩემი, ლიდია სერგეის ასული ზუბენკო (დაბადებული 1950 წელს) და მამაჩემი მევლუდ დავითის ძე ახალაძე დაშორდნენ ერთმანეთს 1972 წელს. მის შემდეგ მე და დედა საცხოვრებლად უკრაინაში გადავედით. ამჟამად მე ვცხოვრობ დონეცკის მხარის, ამროვსიევსკის რაიონის, სოფელ მეტალისტში. მას შემდეგ, რაც დედ-მამა დაშორდნენ, მე და დედა ვიყავით საქართველოში მამის სანახავად. ეს იყო 1980 წელს. მაგრამ, მამა არ დაგვხდა. სამაგიეროდ, საქართველოში ყოფნისას გავიცანი მამაჩემის ძმები (ანუ ჩემი ბიძები): რუდოლფი, თემური და რამაზი, ასევე, ბებიაჩემი (მათი დედა). ბებიას ვენერა ერქვა. მახსოვს, ძალიან კარგად შეგვხვდა ყველა. მაგრამ, მას შემდეგ საქართველოში აღარ ვყოფილვარ და არც მამის შესახებ ვიცი რამე. მინდა, ნათესავების პოვნა და რა თქმა უნდა, მაინტერესებს მამაჩემის ამბავიც. ამჟამად მამა დაახლოებით 70-75 წლის უნდა იყოს.

**– კიდევ რა იცით მამის შესახებ. მას თუ უცდია როდესმე თქვენი ნახვა?**

– სამწუხაროდ, მის შესახებ არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რომ ჰყავს სამი ვაჟი, ანუ მე მყავს სამი ნახევარძმა, მათი პოვნაც ძალიან მინდა. გადმოცემით ვიცი, რომ ჩემი ნახევარძმებიც საქართველოში ცხოვრობენ. მათი სახელები და ასაკი ჩემთვის უცნობია. ამა წლის ივნისში გადავწყვიტე, მამა აქტიურად მომეძებნა და ჩემი განაცხადი მამის მოძებნის თაობაზე სამძებრო საიტებზეც განვათავსე. გავიგე, რომ საქართველოში ერთმანეთის პოვნაში ადამიანებს თქვენ ეხმარებით და თქვენც მოგმართეთ. იმედი მაქვს, მამას მოვძებნი და ჩემი დაკარგული კავშირიც ნათესავებთან და ნახევარძმებთან, აღდგება. მე ამის მჯერა. თავად მამა თუ მეძებდა, არ ვიცი, მაგრამ, ასე მგონია, ჩემი პოვნა და



ჩემთან შეხვედრა გაუხარდებოდა. ღმერთმა ქნას, ის ჯანმრთელად და ყოჩაღად იყოს, დანარჩენს ყველაფერს მიეხედება.

**– დედამ თუ იცის, მამას რომ ეძებთ და რა აზრის არის ამაზე?**

– დედამ იცის, მან ყოველთვის იცოდა, რომ მამა მენატრებოდა და მისი ნახვა მინდოდა. მან, თავისი მხრიდან რაც იცოდა, ყველაფერი მითხრა. სამწუხაროდ, მეტი ინფორმაცია მამის შესახებ არ გამაჩნია და მხოლოდ თქვენი იმედი დამრჩა. ჩემმა ნახევარძმებმაც ხომ იციან ჩემი არსებობის შესახებ და დარწმუნებული ვარ, მათაც ენდომებათ ჩვენ შორის კავშირის აღდგენა. მაინტერესებს ასევე, ჩემი ბიძების ბედი. მე რომ ბოლოს ისინი ვნახე, ანუ 1980 წელს, საკმაოდ პატარა ვიყავი, მაგრამ ძალიან კარგად დამამახსოვრდნენ, თბილი და მზრუნველი ადამიანები იყვნენ.

**– თუ შეგიცვლიათ საცხოვრებელი მისამართი, ანუ მამათქვენისთვის თუა ცნობილი, ამჟამად სად ცხოვრობთ?**

– მეც და დედაჩემიც, საცხოვრებლად სხვაგან გადავედით, ანუ მამამ ჩვენი ახალი მისამართი არ იცის. მაგრამ, ვფიქრობ, ჩემი პოვნა რომ ნდომოდა, მაინც მიპოვიდა. ანუ, ძველ მისამართზე რომ ექექა, ეტყოდნენ, სადაც გადავედით. სიმართლე გითხრათ, ნაკლებად მაინტერესებს, მეძებდა თუ არა მამაჩემი, ჩემთვის მთავარია, რომ მე მინდა მისი ნახვა და ჯიბრში ვერ ჩავუდგები. კაცები სხვაგვარად დარდობენ ყველაფერს და შეიძლება, მამას არ მოვეძებნე, მაგრამ ვერ დავიჯერებ, ჩემი ნახვა არ ნდომოდა.

**– ამ ყველაფერს მისი პოვნის შემთხვევაში გავიგებთ.**

– დიახ, ახლა მთავარია, ჩვენ ვიპოვოთ ერთმანეთი და თუ მამას სურვილი ექნება, თქვენი დახმარებით დამიკავშირდება. მინდა, იცოდეს, რომ მე ის არასდროს დამვიწყებია და ყოველთვის მახსოვს.

**თუ გაქვთ რამე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

– აღარ მიყვარს. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ჩვენ შორის საერთოდ არც ყოფილა სიყვარული. თუმცა, მე კარგი ცოლი ვიყავი. რომ იტყვიან, სულს ვუბერავდი და მისთვის ვცოცხლობდი.

**– უცნაურია, ამას აკეთებდით და საყვარელი გაიჩინეთ?**

**რაღაც პერიოდი მჭირდება, რომ ძველი გრძნობა, ემოცია ბოლომდე გაცივდეს. ძალების აღდგენა იმიტომ მესაჭიროება, რომ სიყვარული მფიტავს**

– დიახ და ამაში არაფერია გასაოცარი. როცა ვიგრძენი, რომ მისი მხრიდან ღალატის საშიშროება გაჩნდა, დავასწარი – მე ვუღალატე. ეს უკვე არის კომპენსაცია ჩემთვის. ვერ მიმიხვდით? ისე მაინც აღარ დამწყდება და მეტკინება გული. თან, რაღაც პერიოდებიც მჭირდება, რომ ძველი გრძნობა, ემოცია დამიბრუნდეს, რაც ქმრის მიმართ მქონდა. გონებაც უნდა გაცივდეს და გულიც. საყვარელთან ყველანაირად ვისვენებ და ძალებს ვიღდგენ. შეიძლება, სიყვარული მთლიანად გვფიტავს ადამიანებს. არ გამოვრიცხავ, რომ, როცა სიყვარული საკმარისი არ არის, იქ ერთმანეთიც ბეზრდება წყვილს. ჩემდა უნებურად, ვამჩნევ ჩემს ქმარს ისეთ ჩვევებსა და თვისებებს, რაც საშინლად მაღიზიანებს. საყვარელთან ეს ყველაფერი მავიწყდება.

**– ანუ, გაქვთ „ფრენის“ საშუალება?!**

– ირონიას ვიმსახურებ? შეიძლება. არ გამოვრიცხავდი, რომ რეაქცია ასეთი გექნებოდათ. ალბათ, ვიმსახურებ ამ ირონიასაც და მზად ვარ, ჩემი წილი ლანძღვაგინებაც მივიღო. ამით ნამდვილად აღარაფერი დამაკლდება.

**– რატომ დაიწყეთ ერთად ცხოვრება კაცთან ცოლ-ქმრის სტატუსით, თუკი საკმარისი სიყვარული არ იყო თქვენ შორის?**

– რას გეუბნებით, აბა? მაშინ დარწმუნებული ვიყავი, რომ იყო. მიხაროდა, რომ პირველ ურთიერთობაში გადატანილი იმედგაცრუების, ტკივილის შემდეგ, ახლა მაინც გამიმართლებდა... იყო გრძნობა და მიხაროდა. მიჭირს იმის მტკიცება, რომ ეს გრძნობა ნელ-ნელა გაქრა. შეიძლება, საერთოდაც არ იყო და მე მეჩვენებოდა. ადამიანი არაპროგნოზირებადი არსებაა. წინასწარ ვერაფერს დაამტკიცებ. ქმარი უნდა მყავდეს. გაივლის ეს მძიმე პერიოდი და ისევ ძველებურად ვიქნები მასთან. ამის იმედი მაქვს. კაცებიც ხომ ასე იქცევიან. თუ მათ ეპატიებათ – ჩვენც უნდა გვეპატიოს. მით უმეტეს, რომ ვერიდები სერიოზულ განხეთქილებას. ქმარი მაინც სხვა რამეა.

**დალი მიქელაძე**

# რედაქციაში წერილი მოვიდა

**დიდი ხანია, მიყვარს ერთი გოგო და აქამდე დარწმუნებული ვიყავი, რომ მასაც ვუყვარდი. მაგრამ ახლა ვეჭვობ, რომ მიყენებს. მოსწონს, ყველა ახირებას რომ ვუსრულებ, დამყავს ძვირფას კაფეებში, ვჩუქნი ნაირ-ნაირ სუვენირს, სუნამოებს... ვფიქრობ, რაში მჭირდება ასეთი ცოლი, ეს ყველაფერი რომ არ ექნება, მეც დამიკიდებს. უნდა დავშორდე?!**

**გამოხმაურება:** მგონი, ჯერ მაინც უნდა დაელაპარაკოთ. ქალებს უყვართ, როცა მამაკაცები მათ ანებივრებენ. თუ თქვენ ამას გულწრფელად აკეთებთ, არ უნდა განიცდიდეთ... თუმცა, დალაპარაკება მაინც კარგი იქნება.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**არ ვიცი, ვინ რას იტყვის, ამ ფაქტთან დაკავშირებით, არც ის ვიცი, რა შეცდომები ან თუკი შეიძლებოდა, საერთოდ, ასეთი ჰქონოდა დაშვებული ამ ადამიანს, მაგრამ პირადად ჩემთვის, ძალიან ძნელი დასაჯერებლია, მურაზ მურვანიძე, მსოფლიოში აღიარებული ქართველი პროფესიონალი მხატვარ-დეკორატორი, კაცი, რომელიც მსოფლიოს უდიდესი თეატრების სცენაზეა ნამუშევარი და მის ნამუშევრებზე ხალხს მართლაც ყბა უვარდება, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ახალი სამხატრო ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, თეატრის მთავარი მხატვარი აღარ არის.**

# ვინ დაადო ბანკის ვალები და დაუმონტაჟა სახლში მოსასმენი აპარატურა მურაზ მურვანიძეს

**– დავიწყოთ ამ სიახლით, ბატონო მურაზ – რა მოხდა, რატომ მოხდა?**

– რა მოხდა? მოხდა ის, რომ უცებ დაიწერა ბრძანება ჩემი გათავისუფლების შესახებ. მე მიმაჩნია, რომ ერთადერთი ვარ, ვისაც თბილისის ოპერის თეატრის ფეხზე დაყენება შეუძლია. მსოფლიო თეატრები მაქვს მოვლილი, სად არ მიმუშავია და აქ, აშენებენ თეატრს და საერთოდ, აბსოლუტურად, არავითარი კითხვა არ იბადება. როცა რაღაც ახალს ვამბობ და მინდა, განვახორციელო, ყურად არავინ იღებს. დღეს ჩვენი თეატრი დაცემულია და მარტო მე ვხედავ ამას. ამას ვერც მომღერალი, ვერც ოპერის სოლისტი და ვერც ბალეტმეისტერი ვერ დაინახავს. იმიტომ რომ, სულ სხვა საქმე აქვთ მათ.

მას შემდეგ, რაც სამხატვრო აკადემია დავამთავრე, ვფიქრობდი მუსიკალური თეატრის მთავარი მხატვარი გავმხდარიყავი, მაგრამ არ ასრულდა. რამდენიმე ეპოქალური სპექტაკლი მაქვს გაკეთებული, მხოლოდ შტატში არასდროს ვყოფილვარ. შტატში ჩამსვეს მას შემდეგ, რაც მსოფლიო მოვიარე. თქვენ კარგად იცით, ვმუშაობდი „მეტროპოლიტენ ოპერაში", სან-ფრანცისკოს, იტალიის, პარიზის გრანდოპერაში, პოლონეთში, უნგრეთში, მონაკოში, რუსეთში. მსოფლიოში უდიდესი მარინის თეატრის მთავარი მხატვარი ვიყავი. აქ რომ ჩამოვედი ცხონებულ ბადრი პატარკაციშვილთან ერთად დავიწყე მთაწმინდის „ბომბორას პარკზე" მუშაობა. შემდეგ მოხდა ის, რაც მოხდა – ბადრი მოკლეს, მე გამომაგდეს იქიდან. მერე ვიღაცას გავახსენდი და დამნიშნეს ოპერის თეატრში. ჩემს ცხოვრებაში სახელმწიფო სამსახურში არ მიმუშავია. 75 წლის ვარ, პირველად მოვხვდი სახელმწიფო სამსახურიში, ჩემს სანატრელ და სათაყვანებელ ოპერისა და ბალეტის თეატრში. მაგრამ, ოპერის თეტარი იმ მდგომარეობაშია, რომ მისვლა არ მიხაროდა. ვიცოდი, რომ ჩემზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული და მზად ვიყავი, მისი აღორძინებისთვის. მთელს ჩემს ენერგიას დავახარჯავდი, მიუხედავად იმისა, რომ ოცდაათჯერ ნაკლები ხელფასი დამინიშნეს აქ, ვიდრე მქონდა. საერთოდ ხმა არ ამომიღია, ვიცოდი, რომ ჩემი საქმე უნდა მეკეთებინა. დავიწყე კეთება, გავაკეთე საოცარი „აბესალომ და ეთერი", ისეთი რომელიც არასდროს ყოფილა. ახლა, გარდა იმისა, რომ მე გამომიშვეს თეატრიდან, ნამუსი არ ჰყოფნით და გამოაცხადეს კონკურსი „აბესალომ და ეთერის" დადგმაზე – რეჟისორსა და მხატვარზე. იმდენად ტუტუცია, არ იცის, რომ რობერტ სტურუა, თემურ ჩხეიძე, ჭოლა, ვინც მართლა გამოჩენილი რეჟისორები არიან, თუნდაც ჩემი შვილიშვილი – დათა თავაძე, არ მივლენ.



**სულ მინდოდა ფეხსაცმლის მწმენდავი ვყოფილიყავი. ჩვენთან სტუმრები რომ მოდიოდნენ, მაგიდის ქვეშ შევძვრებოდი და ფეხსაცმელებს ვუწმენდდი**

**– რატომღაც მგონია, არის ისეთი რაღაცეები, რის თქმასაც ერიდებით. არადა, დღეს უკვე ყველა ყველაფერზე ღიად ლაპარაკობს.**

– რის თქმაც მინდა, მე ყოველთვის ვლაპარაკობ. დასამალი არაფერი მაქვს და არაფრის მეშინია. არ ვუყვარდი არც ნაციონალებს და არც არავის. ჩემთვის არაფერი მინდა, მთელი ცხოვრება ისე ვარ, პირიქით, იქეთ მიმაქვს. მე მხოლოდ ის მინდა, უფლება მქონდეს, ჩემი ჩანაფიქრი განვახორციელო. დავინახო პერსპექტივაში, რომ რაღაც დაიძრა, რაც ჩვენი საზოგადოების და მომავლისთვის იქნება კარგი. არასდროს, არანაირ რევოლუციასა თუ მიტინგში მონაწილეობა არ მიმიღია. სრულიად აპოლიტიკური ვარ. იმიტომ რომ, ჩემი საქმე არ არის. მე ვარ დიდიოსტატი ჩემს პროფესიაში. 1989 წელს მივიღე მუსიკალური თეატრის საუკეთესო მხატვრის წოდება, ოქროს ჯილდო, ვარ იტალიის, პოლონეთის, საფრანგეთის, ლონდონის ამერიკის წლის ჩემპიონი. არასდროს არავის ჰქონია ასეთი მიღწევები. საქართველოში კარგად არ მიცნობენ, რადგან ამაზე არ ვყვირი, ჩუმად მინდა ცხოვრება და საქმის კეთება. მე დავამთავრე ჩემი გასაკეთებელი კარიერული თვალსაზრისით, ის რაც მინდოდა. მსოფლიოს იმ კვარცხლბეკზე დავდექი, რომელზეც ძეგლი მიდგას – მე თვითონ დავიდგი. აქ კიდევ, ვზივარ სახლში. რამდენიმე ადამიანმა იცის, რომ მე საქმის კეთება შემიძლია უმაღლეს დონეზე და ამ დროს, არ მეძლევა საშუალება. ახალგაზრდებს მოვეხმარები თუ მოვლენ და მთხოვენ, ზედ გადავყვები, მაგრამ სამსახურიდან რომ მხსნიან რა უნდა გააკეთო?!

**– როგორი იყო ამაზე თქვენი პირველი რეაქცია?**

– რეაქცია მქონდა ისეთივე, როგორიც მთელ თბილისს – ყველა იცინის, მართლაც იმდენად სასაცილო ფაქტია. ოქროს ჩარჩო მაქვს დამზადებული, იმაში ჩავსვამ და დავკიდებ, რომ ყველამ ნახოს, მე, მურაზ მურვანიძე ვინმე დავით კინწურაშვილმა მომხსნა. ვულოცავ ბატონ დავითს – ერთი რამ, რითაც ისტორიაში შევა, სხვას ვერაფერს გააკეთებს. ერთმა მეგობარმა დამირეკა და მეუბნება: ეგ იცი, რას ჰგავს?! იესო ეკლესიიდან რომ გამოაძევონო. შაყირია რა, არ შეიძლება ამაზე სერიოზულად იფიქრო. შაყირით არის გავსებული ჩვენი ქვეყანა. თუ იუმორის გრძნობა გაქვს გადარჩები, თუ სერიოზული ხარ, ალბათ, უნდა მოკვდე, ისეთი რაღაცეები ხდება. ეს ყველაფერი ჩაივლის, ჩვენი სიცოცხლეც და რჩება მხოლოდ სახელი. მე მეცოდება ჩვენი დარჩენილი ოპერის მაყურებელი, განსაკუთრებულს ვერაფერს რომ ვერ ნახავს. საოცარი გეგმები მაქვს, მინდა, კლასიკური მუსიკა ისევ დავაბრუნო და შევაყვარო ხალხს, რომლის გარეშეც ცივილიზებულმა ქვეყანამ არ შეიძლება, იცხოვროს. ნერვები მეშლება, რომ ძალიან სწრაფად მიდის დრო, ახალგაზრდა რომ ვიყო, ალბათ არ გავღიზიანდები იმაზე, რაზეც ახლა მეშლება ნერვები – პირად შეურაცხყოფაზე არ ვფიქრობ, მათ თვითონ შეურაცხყვეს საკუთარი თავი. მე სულ სახლში ვზივარ და ვიცდი. გარეთ არასდროს გავსულვარ და არავისთვის მითხოვია სამუშაო მომეცით-მეთქი. მთელ მსოფლიოში ასეა, უცებ ზარი... მოგცემენ პროექტს, ზიხარ და მუშაობ.

**– თქვენს ცხოვრებაში, გარდა იმისა, რაც ახლა მოხდა, ალბათ, ბევრჯერ ყოფილა ცუდი პერიოდი...**

– მძიმე პერიოდი ჯერ კიდევ პატარამ გამოვიარე. მახსოვს მამაჩემის დაღუპვის ცნობა რომ მოვიდა ფრონტიდან, დედა რა დღეში ჩავარდა. მე ძლივს გამომგლიჯეს... მამა ფაშისტებმა მოკლეს, დედა კომუნისტებმა, მე – ნაციონალებმა. ნაციონალებმა მთელი ოჯახი მოგვაქციეს ბლოკადაში. ჩვენი ბინა დღემდე ჩადებულია ბანკში, მაკას ***(ყოფილი მეუღლის, მაკა მახარაძის – ავტორი)*** საბალეტო სასწავლებელიც ჩადებულია და არ ვიცით, როგორ იქნება საქმე. ნელ-ნელა უნდა გამოვძვრეთ იმ ვალებიდან. ჩემზე რომ იტყვიან, ბადრის კაცი იყო და გასაჭყლეტიაო... ჩემი ყურით გავიგე ტელეფონში, უბრალოდ, ველარ ვუთხარი იმ ადამიანს, შემახვედრე ვინც ეს თქვამეთქი. ძალიან შემაწუხეს, მოდიოდნენ: ეს გაზომეს, ის გაზომეს... ეს რატომ არის აქ, ის რატომ არის... არ მომასვენეს, სულ ნერვებს მიშლიდნენ, ინფარქტამდე მიმიყვანეს კინაღამ. მერე ჯოხით გამოვუდექი, დავცხე და გავარდნენ. სხვათა შორის, გოლფის ერთადერთი ქართველი მოთამაშე ვარ, რომელიც ამერიკაში ჩემპიონი გახდა. გეფიცებით, ყველაფრისთვის მზად ვიყავი. დავხოცავ ამათ და წავალ ციხეში-მეთქი, იქამდე მიმიყვანეს.

**– ცუდი მომენტები პირად ცხოვრებაშიც იყო. პირველი მეუღლე, დალი ღოღელიანი ტრაგიკულად დაიღუპა, დაგრჩათ პატარა გოგონა. შემდეგ შეირთეთ მაკა მახარაძე, თბილისში ძალიან ცნობილი და ლამაზი წყვილის, მედეა ჩახავასა და კოტე მახარაძის ქალიშვილი, რომელსაც რამდენიმე წლის შემედეგ დაშორდით.**

– ცხოვრებაში ყველაფერი ხდება და მოხდა ისე, რომ ჩვენი ერთად ყოფნა აღარ შეიძლებოდა. სიბრაზე არც მქონია, რაღაც გაუგებრობები იყო უბრალოდ. ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც ბაბუაჩემი სულ ცუდ ხასიათზე იყო, ბებიაჩემი ეკითხებოდა: კოლია, რატომ ხარ ცუდ ხასიათზეო. სანამ მეცოდინება, რომ მსოფლიოში თუნდაც ერთი ადამიანი მაინც არის მშიერი, სულ ცუდ ხასიათზე ვიქნებიო, – პასუხობდა. აი, ასეთი ადამიანების აღზრდილი ვარ და არ შემიძლია, სხვანაირად ცხოვრება, საკუთარ თავზე ფიქრი. რაც მოხდა, მოხდა, ამან ყველაფერმა ჩაიარა, ცხოვრება გრძელდება. მე არ ვიცი და არც მაინტერესებს, სხვა ქართველი მამაკაცების გაგება. მე ჩემი დამოკიდებულება მაქვს ქალბატონების მიმართ. ჩემს ოჯახში მამაკაცები ამოწყვიტეს, ქალების გაზრდილი ვარ და სულ სხვანაირი დამოკიდებულება მაქვს. ცუდი საქციელი არასდროს ჩამიდენია. ჩვენი გაყრა თუ შეყრა, საზოგადოებას არაფერს დააკლებს. საერთოდ, ხვალინდელ დღეზე უფრო მეტს ვფიქრობ, ვიდრე წარსულზე, ხვალინდელი დღე მენატრება – იქნებ რაღაც ის გავაკეთო, რაც არ გამიკეთებია, თორემ აბსოლუტურად არ მინდა უკან დაბრუნება. მთელი ღამე ვიმუშავე, თვალი არ მომიხუჭავს. ჯუმბერ ლეჟავას უნდა დავუდგა მონუმენტი. მიშას ველოსიპედი უნდა მოვხსნა იქიდან და ჯუმბერ ლეჟავას დავაყენებ, რომ თაობებმა იცოდნენ, ვინ გვყავდა. ეს იქნება ნაციონალების მიმართ ჩემი შურისძიება.

**– მახსოვს, სააკაშვილის ინაუგურაციაზე იყავით მიწვეული, ალლუმი უნდა გაგეფორმებინათ და იქ ისეთი რამ მოხდა, რამაც შემდგომში, ფაქტობრივად, თქვენი ბედ-იღბალი განსაზღვრა. გვიამბეთ, ვინც არ იცის.**

– დამიძახეს ინაუგურაციაზე. მივედი დიდი

**(გაგრძელება 31-ე გვერდზე)**

**მომღერალი ნინო ღავთაძე ყოველთვის გამოირჩევა რესპონდენტის ამპლუაში თავისი სტილითა და საუბრის მანერით. მართალია, ნინო ბავშვობიდან მღერის და უმაღლესი მუსიკალური განათლებაც აქვს მიღებული, მაგრამ მსმენელმა ის მაინც რამდენიმე წლის წინ, პროექტ „ვარსკვლავების აკადემიიდან” გაიცნო. ის ავტორ-შემსრულებელია, მის სიმღერებს მღერიან სხვა ქართველი მომღერლებიც. როგორც საუბრის დროს აღნიშნა ნინომ, მის ცხოვრებაში ხშირად ისეთი რაღაცეები ხდება, თავი ლამაზ სიზმარში ჰგონია. უყვარს საქმე, რომელსაც აკეთებს და ბედნიერია, რადგან უამრავი ადამიანის სითბოთი, სიყვარულითა და ლამაზი სიტყვებით არის განებივრებული.**

# ვისთვის იყო ნინო ღავთაძე ქალი-ვიაგრა, რა პირობას უყენებს იდეალურ მამაკაცებს და ვინ ანებივრებს მას სიყვარულით, ყურადღებითა და ლამაზი სიტყვებით

**– დიდი ხანია, არ გამოჩენილხარ „თბილისელების” ფურცლებზე. რა სიახლეებია შენს ცხოვრებასა და შემოქმედებაში?**

– უპირველესად, მინდა, მივესალმო „თბილისელების” მკითხველს. თქვენს ჟურნალთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს და ყოველთვის სიხარულს მანიჭებს თქვენთან შეხვედრა. ძველებურად ისევ ვმღერი, ვმღერი და ვერ ვიტყვი, რომ არაფერი მაღელვებს. თუმცა, ჩემს აღელვებას ყოველთვის ახალი სიმღერა მოჰყვება. ყველაფერს თავისი პლუსი აქვს. გააჩნია რას ეძებ, დადებითს თუ უარყოფითს.

**– ახლახან კიდევ ერთი ახალი სიმღერა ჩაწერე, რომელმაც რადიოში გაჟღერებისთანავე, დიდი მოწონება დაიმსახურა და მსმენელმა შეიყვარა.**

– მართალია, სიმღერა ახალი ჩაწერილია, მაგრამ ის დიდი ხნის წინ დავწერე. ფაქტობრივად, ეს ერთ-ერთი პირველი სიმღერაა, რომელიც მე დავწერე. მასაც თავისი ისტორია აქვს და რა თქმა უნდა, ჩემს პირველ სიყვარულს ეძღვნება.

**– კი მაგრამ, ამ სიმღერას „ბანკირი” ჰქვია და გამოდის, პირველი სიყვარული ბანკირი გყავდა?**

– კი არ მყავდა, იყო. რომ მყოლოდა, ალბათ, ამ სიმღერას ველარც დავწერდი. თუმცა, როგორც ამბობენ: რაც ხდება, უკეთესობისკენ ხდება.

**ბოლო დროს სიყვარულს ვერიდები. ასე რომ, მამაკაცებო, მაქეთ და მერიდეთ**

**– რას გულისხმობ?**

– ანუ, მაშინ ჩვენი ურთიერთობა რომ შემდგარიყო, ამდენი წლის მერე, შეიძლება, მისგან არაფერიც აღარ დარჩენილიყო. ყველა გრძნობა ნელდება, ცხოვრება კი გრძელდება. იმ გრძნობისგან შეიძლება, არც არაფერი დარჩენილიყო, აქ კი სიმღერა დარჩა. ეს უკვე მომწონს.

**– ვინ იყო ის პიროვნება, ვისაც ეს სიმღერა მიუძღვენი?**

– კონსერვატორიის სტუდენტი ვიყავი, ის კი უკვე პოპულარული და წარმატებული ადამიანი იყო. რა თქმა უნდა, ჩემს გრძნობებს ვმალავდი და მან არც არაფერი იცოდა ამის შესახებ.

**– ამდენი წლის შემდეგ, რა იყო იმის მიზეზი, რომ ეს სიმღერა გააცოცხლე?**

– როგორც იცით, უკვე წლებია, რესტორან „სენატში” ვმღერი. ერთ საღამოსაც ეს ადამიანი ჩვენს რესტორანს ესტუმრა. მისმა დანახვამ ცოტა ხნით წარსულში დამაბრუნა და სურვილი გამიჩნდა, ეს სიმღერა მისთვის მემღერა.

**– ვიცი, რომ უამრავი თაყვანისმცემელი გყავს. შენს გულში რა ხდება?**

– ვერ ვიტყვი, რომ ყურადღება მაკლია, მაგრამ მზეზე გათბობა მირჩევნია.

„მარტო მე არ დავრჩები, ვინმეს ხელში გავთბები,

თუ არ მოხდა ესეც, მე გავთბები მზეზე...“

ასე რომ, ამ ეტაპზე მზეზე ვთბები და ამით ძალიან ბედნიერი ვარ.



„მარტო მე არ დავრჩები, ვინმეს ხელში გავთბები...“

**– როგორ, შენს ცხოვრებაში არავინაა? ვერ დავიჯერებ.**

– მთავარია, გულში იყოს ვინმე, თორემ ცხოვრებაშიც გაჩნდება. სამწუხაროდ, გულამდე ვერავინ აღწევს.

**– როგორი ხარ შეყვარებული?**

– როცა შეყვარებული ვარ, ვგრძნობ, რომ სუსტი და დაუცველი ვხდები. მაგრამ, როცა სიყვარული გაივლის, მერე უკვე ორმაგად ვძლიერდები. ამიტომაც, ბოლო დროს ამ გრძნობას ვერიდები. ასე რომ, მამაკაცებო, მაქეთ და მერიდეთ.

**– როგორ მამაკაცთან არ გექნება არასდროს ურთიერთობა?**

– ვერ ვიტან მონადირე, თვალებცეცება მამაკაცებს. უმჯობესია, საქმე, ლაპარაკის ნაცვლად.

**– მაშინ ის მითხარი, როგორი წარმოგიდგენია იდეალური მამაკაცი, რომელიც შენ გვერდით იქნება?**

– სერიოზული ადამიანი, რომელსაც ენდობი და მის გვერდით მშვიდად იგრძნობ თავს.

**– ასეთი მამაკაცები არიან?**

– სადღაც შეიძლება არიან, მაგრამ მე ჯერჯერობით არ შემხვედრია. ვისაც მიგაჩნიათ, რომ ასეთი ხართ, გამომეხმაურეთ. მხოლოდ ერთი პირობით, ოჯახებს და ურთიერთობებს არ ვანგრევ.

**– მომიყევი შენი სამსახურის შესახებ. ალბათ, ბევრი საინტერესო რამ გექნება გასახსენებელი.**

– მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გადატვირთული გრაფიკი მაქვს, ბედნიერი ვარ იმით, რომ ვაკეთებ საქმეს, რაც ძალიან მიყვარს. სიყვარულით, სითბოთი, ყურადღებითა და ლამაზი სიტყვებით განებივრებული ვარ. ისეთი რაღაცეები ხდება, ხანდახან თავი სიზმარში მგონია.

**– რომელ ფაქტს გაიხსენებ?**

– მაგალითად, ერთ შემთხვევას გავიხსენებ. უამრავი ქალბატონია ვალერი მელაძის თაყვანისმცემელი. სხვათა შორის, მეც მქონდა ოდესღაც იმის სურვილი ჯგუფ „ვიაგრაში” მემღერა. ჩემი მეგობრები, ერთი პერიოდი, ქალ-ვიაგრასაც მეძახდნენ. როცა ეს სურვილი მივიწყებას მიეცა, სწორედ მაშინ, ჩვენს რესტორანს ესტუმრა ვალერი მელაძე. ეს ის შემთხვევა იყო, როცა მე კი არ ვუსმენდი ვალერი მელაძეს, არამედ ის ისმენდა ჩემს ნამღერს...

**– როგორც ვიცი, რევზინიც იყო მასთან ერთად სტუმრად, რომელიც „ახალი ტალღის” დამდგმელი რეჟისორია.**

– სწორედ მის ხელში გაიარეს მთელმა პოსტსაბჭოთა კავშირის მომღერლებმა. მას ყველა მომღერალი იქით სცემს პატივს და ალბათ, არც საჩუქრებს აკლებენ, სიმღერა რომ დავასრულე, ჩემთან მოვიდა, დიდი სითბო გამოხატა და საჩუქარიც გამიკეთა.

**– რა საჩუქარი?**

– ფულადი ჯილდო. ანუ, რესტორან „სენატის“ გრან-პრი მივიღე *(იცინის).* არ ჰგავს ეს ყველაფერი ლამაზ სიზმარს? ერთ საღამოს კი ადრეულ ბავშვობაში დავბრუნდი, სწორედ იმ დროში, როცა ძალიან პოპულარული იყო ინდური ფილმები და „დისკოს მოცეკვავე.” მითხუნ ჩაკრობორტი, ანუ ვინც მთავარი როლი შეასრულა ამ ფილმში, სტუმრად გვეწვია და უამრავი ადამიანი იღებდა მასთან ფოტოს. ამ დროს გამომხედა და დამიძახა: მოდი ჩემთან, ერთად გადავიღოთ ფოტოო. რას წარმოვიდგენდი, რომ დისკოს მოცეკვავეს, ვაკის პარკის ტერიტორიაზე პირადად შევხვდებოდი და თავად მოისურვებდა ჩემთან სამახსოვრო ფოტოს გადაღებას *(იცინის).* უამრავი ასეთი დასამახსოვრებელი ფაქტი ყოფილა ჩემს ცხოვრებაში, პოლიტიკოსებსა და სხვა პროფესიის პოპულარულ ადამიანებზე აღარც ვისაუბრებ. აი, ასე მხიარულად და საინტერესოდ ვცხოვრობ მე და სულაც არ ვგრძნობ თავს მარტო.

**მარიკა ხიდურელი**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**რამდენადაც სულიერია ადამიანი, უფრო მეტად არის უფალთან დაახლოებული. ამ მისტიკურ კავშირს, ალბათ, ყველა მორწმუნე განიცდის და, როგორ განიცდის, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი სულიერების არის თვითონ. რაც შეეხება ზედაპირულ ურთიერთობას, რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ ვხედავთ უფალს, არც ვიცით, როგორია, მაგრამ, პირველ ადამიანებს მასთან არა მხოლოდ სულიერი, არამედ ფიზიკური, ხილული ურთიერთობაც ჰქონდათ – რეალურად აღიქვამდნენ ღვთის მყოფობას და, აქედან გამომდინარე, ჰქონდათ სწორი შემეცნება უფლისა და მისი მყოფობის წესებისა და კანონების შესახებ.**

# როდის მიეწოდება ადამიანს ცოდვა სიკეთის სახით და რა არ ეპატიება მას არც ამ და არც იმ ცხოვრებაში

**მამა საბა (ბიკაშვილი)** *(ვაკის წმიდა გიორგის სახლობის ეკლესიის წინამძღვარი):* პირველმა ადამიანებმა დაარღვიეს მორალური და ზნეობრივი კანონები, გადავიდნენ ღვთის ცნებიდან და გაწყდა ის უხილავი კავშირი, რომელიც ღმერთსა და ადამიანს შორის არსებობდა და არასდროს არ უნდა გაწყვეტილიყო. რადგან ადამიანი მოსწყდა სასუფეველს და დარჩა სასუფეველის გარეშე, მისი სულიერი ძალები, უკვე ათასწლეულების შემდეგ, ის აღარ არის, რაც თავიდან სამოთხეში გააჩნდათ ადამიანებს. გავიდა წლები, ათასწლეულები და ადამიანები ნელ-ნელა დაშორდნენ თავიანთი სულიერებით უფალს. რადგან ადამიანში გენეტიკურად იყო ჩადებული, რომ ის უნდა ყოფილიყო მორწმუნე, რელიგიური და მოსწყდა სწორ შემეცნებას ჭეშმარიტებაში, მასში დამახინჯდა სულიერი ადამიანი. ამიტომ, ეს ყველაფერი მან სხვანაირად აღიქვა და მისი რწმენაც დამახინჯდა. ადამიანი გამუდმებით ეძებს ჭეშმარიტებას და სწორედ ამ დროს მოდის მრავალღმერთიანობაც. როდესაც ადამიანი დაშორდა სამოთხისეულ მდგომარეობას, დამახინჯდა მისი სულიერი მდგომარეობა.



**ადამიანი გამუდმებით ეძებს ჭეშმარიტებას და სწორედ ამ დროს მოდის მრავალღმერთიანობაც. როდესაც ადამიანი დაშორდა სამოთხისეულ მდგომარეობას, დამახინჯდა მისი სულიერი მდგომარეობა**

**– რატომ არის უფრო ადვილი, ადამიანმა ისწავლოს ცრურწმენის წესები, ვიდრე იყოს ჭეშმარიტი მართლმადიდებელი?**

– როდესაც ადამიანი არ უსმენს უფალს, ჩვენი მასწავლებელი ხდება ის დაცემული ძალა, რასაც ეშმაკს ვეძახით. არ შეიძლება, ადამიანი მამონასაც და ღმერთსაც ერთდროულად ემსახურებოდეს, ის ან ერთს ემსახურება, ან – მეორეს და, შესაბამისად, თუ ის ღმერთისგან არ სწავლობს, ავტომატურად, მისი მოძღვარი და მასწავლებელი ბოროტი ძალა ხდება. როდესაც ადამიანი ფიქრობს, რომ ის სხვებზე კარგია – ესეც ერთგვარი ცრურწმენაა, ანუ, არასწორი დამოკიდებულება რეალობისადმი. უფრო ადვილია, ადამიანმა ისწავლოს ცრურწმენის წესები, ვიდრე იყოს ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, რადგან ფიქრობს, რომ ღმერთი მისგან ბევრს ითხოვს და, თავისთავად, ამაშიც ეშმაკის ხელი ურევია. ის არიგებს ადამიანს და ეუბნება, რომ ღმერთი შენგან ისეთ რაღაცეებს ითხოვს, რომლის გაკეთებაც არ შეგიძლია. მეორე მხრივ, როდესაც საქმე ცრურწმენას ეხება, უკვე ადვილია ყველაფერი: შეგიძლია, თუ დილით მარცხენა ფეხით ადგები, გამოასწორო და მერე მარჯვენათი ადგე. შესაბამისად, ადამიანებს ცრურწმენებზე დამოკიდებულება, მათი რწმენა უფრო უადვილდებათ, ვიდრე ქრისტიანული მცნებების დაცვა, რადგან ის უფრო მარტივი და ადვილია.

**– სად სწავლობს ადამიანი გადარჩენის გზას, იმას თუ როგორ უნდა მოიქცეს ამ ცხოვრებაში?**

– ადამიანი ტაძარში სწავლობს გადარჩენის გზას, მას ეძლევა სწორი ორიენტირი, თუ როგორ მოიქცეს ცხოვრებაში. ამას კი ეკლესია სახარების საშუალებით ასწავლის. ამიტომაც, ეკლესიაში მთავარი მაცხოვნებელი დოქტრინა წმიდა წერილია, რა თქმა უნდა, მაცხოვრის, მოციქულთა და მამათა ცხოვრება, დოგმატური კანონები და ასე შემდეგ. ამის გარეშე გადარჩენა და ცხონება შეუძლებელია. ადამიანმა შეიძლება, ის წესები, რასაც ეკლესია ქადაგებს, ეკლესიის გარეთაც დაიცვას, აღასრულოს, მაგრამ მაშინ, ბუნებრივია, ბევრს გაუჩნდება კითხვა – რა საჭიროა ეკლესია, ცხონება გარეთაც შესაძლებელია: ვილოცებ, მარხვას დავიცავ, აღვასრულებ იმ ზნეობრივ და მორალურ მოთხოვნილებებს, რაც ადამიანს უნდა ჰქონდეს ცხოვრების განმავლობაში. ყველაფერი, რაც ეკლესიის წიაღში აღესრულება, თუნდაც საიდუმლოებები, რომლის მეშვეობითაც ადამიანებზე მადლი გადმოდის, თავად ის წესებიც, რაც ეკლესიაშია დადგენილი, – ეს ყველაფერი ერთად აღებული, არ არის ადამიანის ცხონების გარანტია. ეს მხოლოდ გარეგნული საშუალებებია, რომელიც ცხონების გზაზე შემდგარ ადამიანს ეხმარება, ასწავლის, აძლევს სწორ ორიენტირს. მარხვა, ლოცვა, კეთილი საქმეები, ყველაფერი მხოლოდ საშუალებაა, რომელიც ადამიანს აცხონებს, თუკი აღასრულებს თავმდაბლობით, სიყვარულით, იმ შემუსვრილი მდგომარეობის განცდით, რაც ყველა ქრისტიანს უნდა გააჩნდეს. როდესაც სწორ დამოძღვრაზე ვლაპარაკობთ, ცალსახად ნუ ვიფიქრებთ, რომ ეს არის კონკრეტულად რომელიმე მოძღვრის დამოძღვრა. რა თქმა უნდა, არა – ეკლესიის დამოძღვრა და მოძღვრის დამოძღვრა სულ სხვადასხვა რამ არის. ეკლესიამ, როგორც წესი, უნდა გადმოსცეს ეკლესიის მოძღვრება და არა პირადი. ყველა მართლმადიდებელი მოძღვარი უნდა გადმოსცემდეს მამათა მოძღვრებას, სწავლებას, მოციქულთა და მაცხოვარ იესო ქრისტეს სწავლებას, ანუ სახარებისეულ ჭეშმარიტებას. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანს როგორც პიროვნებას, ინდივიდს არ გააჩნდეს ამ საკითხებთან მიმართებაში საკუთარი აზრი. ნებისმიერი ადამიანის, ქრისტიანისა და მოძღვრის ამოსავალი წერტილია, ეფუძნებოდეს ეკლესიას, მამათა სწავლებას. თუ ჩვენ, მოძღვრები ამ სწავლებას ამოვიღებთ ჩვენი ქადაგებიდან და ხალხს იმას ვასწავლით, რაც ჩვენ გვგონია მართებული, დღეს თუ ხვალ აუცილებლად ცდომილებაში ჩავაგდებთ მათ. ყველა ქრისტიანმა, უპირველეს ყოვლისა, ეს უნდა გააცნობიეროს, ამისთვის კი თავად უნდა იყოს განსწავლული. მრევლი არ უნდა კმაყოფილდებოდეს მხოლოდ ეკლესიაში დგომითა და სახარების მოსმენით. რაც უფრო მეტი ცოდნა ექნება, მით უფრო გაუადვილდება გადაწყვეტილების მიღება და სიკეთის ბოროტებისგან გარჩევა. ასევე, იმის გაგება, თუ რას ქადაგებს მისი მოძღვარი ამბიონიდან. თუ ის მიხვდება, აღმოაჩენს სულიერი განათლების გზით, რომ მისი სულიერი მოძღვარი ცდება, ასწავლის თავის პირად სწავლებას, ასეთ მოძღვარს სასწრაფოდ უნდა განერიდოს. იოანე ოქროპირი ბრძანებს: თუ შენი მოძღვარი არ გასწავლის ღვთისას, არამედ გასწავლის თავისას, ასეთი მოძღვრისგან კი არ უნდა ითხოვო კურთხევა, შენდობა იმისთვის, რომ განეშორო, არამედ სირბილით გაიქეცი მისგან, რადგან ცუდმა მოძღვარმა საკუთარი თავი არ ჩააგდოს გეენიაში და შენც არ გაგიყოლოს. ადამიანმა ეს ყველაფერი უნდა ისწავლოს ეკლესიის წიაღში მყოფობით, ურთიერთობით, საიდუმლოებებში მონაწილეობით და შემდეგ ეს საკუთარ ცხოვრებაში გაატაროს. ეს არის ოქროს კომპასი, რომელიც ადამიანს სწორ ორიენტირს აძლევს, გამოჰყავს უდაბური ტყიდან, სწორ გზას აძლევს, პლუს ამას, ის საკუთარ თავზეც უნდა ზრუნავდეს, სწავლობდეს, იზრდებოდეს, მეტი განათლება, შემეცნება მიიღოს: სახარების, სამოციქულოს, წმიდა მამათა ცხოვრების სწავლებით. ეს კი სწორი არჩევნის გაკეთებაში დაეხმარება, მიხვდება, თუ რა არის მისთვის უკეთესი, სწორი და რაც მთავარია, სწორად განვითარდება. ეკლესიაში ვსწავლობთ ერთ მთავარ ჭეშმარიტებას, რის გარეშეც ადამიანის ქრისტიანული, ეკლესიური, რელიგიური, მორალური, ზნეობრივი ცხოვრება გამორიცხული იქნება. ეს არის ცოდვებთან სწორი მიდგომა. ეკლესიაში ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ უნდა დადიოდეს, რომ კარგად გაიგოს და გაარჩიოს ცოდვის არსი. დღეს ბევრი ცოდვა მოგვეწოდება არა ცოდვის, არამედ სიკეთის სახით. არადა, თუ კარგად ჩავეძიებით, გავაანალიზებთ, აღმოჩნდება, რომ ეს სიკეთე კი არა, ცოდვაა და მისი გარჩევა უნდა შეგვეძლოს. მაცხოვარი ამბობს: ადამიანმა რაც უნდა დააშავოს ძის, იესო ქრისტეს მიმართ, მას ყველაფერი ეპატიება, მაგრამ თუ ის სულიწმიდის მიმართ შესცოდავს, ეს არც ამ ცხოვრებაში ეპატიება და არც იმ ცხოვრებაში. იოანე ოქროპირი განმარტავს: ადამიანს არ მიეტევება ის ცოდვა, რომელიც ყველაზე საშინელია დედამიწაზე, რასაც ის საკუთარი თავისუფალი ნებით აკეთებს. როცა ფიქრობს, ფიქრობს და იცის, ეს ცუდია, მაგრამ მაინც აშავებს, შეგნებულად ირჩევს ცოდვიან გზას, სწორედ ეს არის სულიწმიდის გმობა. ადამიანებში არის ორი სახის ბრძოლა: ლტოლვა სიკეთისა და ბოროტებისკენ და როცა შეგნებულად აშავებს, ცოდვას ირჩევს ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, სწორედ ეს არის სულიწმიდის გმობა. არსებობს ადამიანების სულიერებაში ასეთი მდგომარეობაც: როდესაც ადამიანი სჩადის ცოდვას, მაგრამ არა საკუთარი თავისუფალი ნებით, არამედ ის ცოდვას ჰყავს დამონებული. ამ დროს მისი საკუთარი ნება მთლიანად უგულებელყოფილია. ავიღოთ თუნდაც შური – ვიცი, რომ შური ძალიან ცუდია, ყველანაირად ვებრძვი მას, მაგრამ, ვერაფერს ვუხერხებ საკუთარ თავს. ეს მდგომარეობა ნაკლებად ცოდვილი მდგომარეობაა, ვიდრე ის, რომ მე მაქვს იმის შინაგანი პოტენციალი, არავისი მშურდეს, მაგრამ ჩავდივარ ცოდვას შეგნებულად და სწორედ ეს არის სულიწმიდის გმობა, რომელიც ადამიანს არ მიეტევება, რადგან ის ამას საკუთარი შინაგანი მდგომარეობით ირჩევს. თუ ის მთელი თავისი ხორციელი, შეგნებული ცხოვრებით ამ პოზიციაზე იდგება, იმქვეყნადაც სწორედ ამას აირჩევს. როდესაც ადამიანი საკუთარი ნებით იღებს ასეთ გადაწყვეტილებას, შემდეგში ის აუცილებლად დემონება ცოდვას და მისი თავისუფალი ნება მთლიანად ჩაეფლობა ამ მდგომარეობაში.

**ნათია უტიაშვილი**

## ქალწული მარიამის ხელში ომოფორმა ელვასავით გაიბრწყინა

626 წელს იმპერატორ ირაკლის ზეობის ხანაში, სპარსი მხედართმთავარი ხოსრო გრიგალივით შეიჭრა ბიზანტიაში, ააოხრა ქალაქები, სოფლები და დიდძალი მოსახლეობა ამოწყვიტა. ამასობაში სკვითების ხაკანმაც მიაშურა კონსტანტინეპოლს და თავისი საბრძოლო ხომალდებით ზღვიდან ალყა შემოარტყა მას.

სანამ ქალაქის თავი ქალაქის კედლებს ამაგრებდა, პატრიარქი სერგი ჯვრით, ხატებით და ღვთისმშობლის „ოდიგატრიის“ ხატით კედლებს გარს უვლიდა, ცრემლებით ლოცულობდა და ღვთისმშობელს შეწევნას ევედრებოდა.

სკვითები ნაპირზე გადმოსხდნენ და შეტევა იმ ადგილიდან დაიწყეს, სადაც ცხოველსმყოფელი წყაროს ეკლესია იყო. მაგრამ ქრისტიანთა ქომაგმა და მისდამი მსასოებელთა მსწრაფლშემწემ თავისი რჩეული მეომრებით შემუსრა სკვითების სიმრავლე და აჩვენა, რომ ეს დამარცხება საწინდარი იყო მათი საბოლოო დაღუპვისა.

იმ დროს, როდესაც სკვითების ხაკანმა თავისი ხალხით აავსო ყურე, სპარსთა ლაშქარი ქალაქის კედლებს მიადგა დასანგრევად. ხმელეთზე შეტევა მოგერიებულ იქნა, ზღვაზე კი მტერი, რომელიც ვლაქერნის მონასტრის მხრიდან უტევდა ქალაქს, მძვინვარე ქარიშხალმა თავის ხომალდებითურთ უფსკრულში დანთქა.

იმდენად დიდი იყო ძალა სიხარულისა, რომელმაც ხალხში გაიღვიძა და შიში, რომელმაც მოიცვა მტერი, რომ თვით ქალები და ბავშვებიც კი მისდევდნენ მტერს ბოლომდე. როდესაც მზე ჩაესვენა და ჩამოდგა ღამე, ბარბაროსებმა ოთხთვალებით მოგორებული ქალაქის კედლების დასანგრევი მანქანები თავისი ხელით დაწვეს, შემდეგ კი თავლაფდასხმულები და უდიდესი დანაკარგით შეძრულები სიბნელეში გაუჩინარდნენ.

გავიდა 36 წელი. კონსტანტინეპოლს მეორედ მიადგნენ აგარიანელები. მტერმა დიდი ფლოტი მოაცურა ქალაქიდან. მთელი შვიდი წელი აპარტახებდა დედაქალაქის შემოგარენს და ყოველთვის დიდი დანაკარგებით ბრუნდებოდა უკან. ბოლოს გადაწყდა ქალაქის აღება. კონსტანტინეპოლს ალყა შემოარტყეს.

მართლმადიდებელმა ერმა ხელში აიღო მაცხოვრის ცხოველმყოფელი ჯვარი და ღვთისმშობლის წმიდა ხატი, გარს შემოუარა კედლებს და ცრემლით შეევედრა ღმერთს შეწყალებას. და აი, აგარიანელებმა ჯარის ნაწილი მოხსნეს და ბულგარეთის დასაპყრობად გადაისროლეს. მან მწარე დამარცხება განიცადა. სულ მცირე ნაწილმა ჩამოაღწია უკან. აგარიანელთა გემები კი, რომლებიც შემჭიდროებულად იდგნენ კონსტანტინეპოლთან, სასწაულებრივად განადგურდნენ – ნაწილი ქარიშხალმა დალეწა, ნაწილი კი ბერძნებმა დაწვეს. სულ მცირე ნაწილმა გააღწია ეგეოსის ზღვაში და იქაც უმეტესობა ელვისგან დაიღუპა.

ორი საუკუნის შემდეგ კონსტანტინეპოლი ღვთიმსშობლის მეოხებით მესამედ გადაურჩა აგარიანელთა შემოსევას. სკვითებმა და აგარებმა ისარგებლეს იმით, რომ ბიზანტიის მთავარი ძალები არაბეთთან საომრად იყო გადასროლილი და მოულოდნელად, ზღვიდან და ხმელეთიდან ალყაში მოაქციეს კონსტანტინეპოლი. ქალაქი განწირული ჩანდა. ტაძრებში ხალხი დღე და ღამე ლოცულობდა.

ვლაქერნის ტაძარში ღვთისმსახურებას სათავეში ედგა წმიდა პატრიარქი პოლიევქტი. მლოცველთა შორის იყვნენ ანდრია – ქრისტესთვის სალოსი და მისი მოწაფე ეპიფანე. ხალხთან ერთად ლოცულობდნენ იმპერატორი ლეონ ბრძენი და მისი მეუღლე წმიდა თეოფანია. შუაღამისას ღირსმა ანდრიამ და ეპიფანემ იხილეს წმიდანთა დასით გარშემორტყმული ღვთისმშობელი, რომელიც ჰაერში საკურთხევლიდან ხალხისკენ მოდიოდა. შემდეგ ღვთისმშობელმა დაიჩოქა და დიდხანს ლოცულობდა.

ხანგრძლივი ლოცვის შემდეგ ქალწულმა მარიამმა თავიდან ომოფორი (ეპისკოპოსის გრძელი, და ფართო ბაფთა მხრებზე სატარებელი) მოიხსნა და ხალხის თავზე განფინა. ქალწულ მარიამის ხელში ომოფორმა ელვასავით გაიბრწყინა და ტაძარი განათდა. ღირსი ანდრია მიხვდა, რომ კონსტანტინეპოლი გადარჩენილი იყო.

დილით პატრიარქმა, სამღვდელოებასა და ხალხთან ერთად, ლიტანიობის ჩატარებისას, ციხესიმაგრის კედლებს შემოუარა; შემდეგ კი ვლაქერნის ტაძარში შენახული ღვთისმშობლის შესამოსელი ბოსფორის წყლებში ჩაუშვეს. უცებ ზღვაზე საშინელი ქარიშხალი ამოვარდა და სკვითებისა და ავარების ნავები უფსკრულმა შთანთქა. ავართა ხაკანი, რომელიც ხმელეთიდან უყურებდა, როგორ ილუპებოდა მისი ფლოტი და თავად კი ვერაფერს შველოდა, უმწეობისგან გააფთრებული გულში ხელეს იცემდა. მისი ჯარის ნარჩენებმა სასწრაფოდ დატოვეს ბიზანტიის საზღვრები, მაგრამ შინ დაბრუნება ცოტამ თუ მოახერხა.

ასევე, ჩვენს თავზეც უხილავადაა განფენილი ღვთისმშობლის საფარველი მაშინ, როცა ცოდვებს ვინანიებთ და მთელი გულით ღვთისმშობლის იმედი გვაქვს.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: სამწუხაროდ, დავკარგე ნდობა ჩემი მოძღვრის მიმართ. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** მოძღვარზე უარის თქმა ცოდვა არ არის იმ შემთხვევაში, თუ მას არ მიჰყავხართ ქრისტეს გზით, თუ მისი სწავლება ეწინააღმდეგება ქრისტიანულ სწავლებას და უფლის ათ მცნებას. ასევე, მაშინ, თუ გარკვეული მიზეზების გამო პიროვნულად ვერ იხსნებით მასთან აღსარებისას – ასეთ დროს შეგიძლიათ, სხვა მღვდელმსახურს მიმართოთ, უკეთესია, თუ კურთხევას ძველი მოძღვრისგან აიღებთ. რაც მთავარია, ეს არ უნდა გახდეს ეკლესიის მიტევების საფუძველი.

**კითხვა: ძალიან განვიცდი, რომ ჩემი შვილი ცოდვებში ჩაფლულ ადამიანს დაუახლოვდა. მას ჩემი აღარ ესმის. მირჩიეთ რამე.**



**პასუხი:** ყველაზე კარგს, რასაც თქვენი შვილისთვის გააკეთებთ, ეს არის ლოცვა. მშობლის ლოცვა უსათუოდ დაეხმარება ცოდვებში ჩავარდნილ შვილს. ერთ მაგალითს მოგიყვანთ: ნეტარი ავგუსტინე სანამ ღვთის სათნო ცხოვრებას დაიწყებდა, გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა. დედამისი ძალიან განიცდიდა შვილის ამბავს და გამუდმებით ტიროდა. ერთხელ ასე შეწუხებული ეპისკოპოსთან მივიდა და თავისი უბედურების შესახებ უამბო. მან კი დაარიგა, ელოცა შვილისთვის. ასეც მოხდა და ოდესღაც ცოდვილი ავგუსტინე ზეციურ წმინდანთა დასში ამაღლდა.

**კითხვა: დღეს ჩვენ გარშემო ძალიან მომრავლდნენ სხვადასხვა გზით გამდიდრებული ადამიანები. შეიძლება, მდიდარი ადამიანი იყოს „სულით გლახაკი“?**

**პასუხი:** მდიდრებიც შეიძლება იყვნენ „გლახაკნი სულითა“. თუ ისინი შეიგნებენ, რომ ხილული სიმდიდრე ხრწნადია და წარმავალი და ის ვერ შეცვლის სულიერ სიკეთეს. თუ სიმდიდრეს მდიდარი სიკეთით მოიხმარს და მოყვასსაც შეეწევა, სიმდიდრე არ იქცევა მისთვის ტვირთად.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## ის შენზე ადრე შევა ზეციურ სასუფეველში

ერთხელ ღირს სერაფიმე ვირიცელთან (+1949 წელი) მივიდა მისი სულიერი შვილი ოლღა და, გაუზიარა თავისი გულისტკივილი. ოლღას და ვალენტინა, მართლმადიდებელი და მორწმუნე ადამიანი ცოლად გაჰყვა პარტიის წევრსა და თავდადებულ ათეისტს, სახელად ნათან მოისეევიჩს. ვალენტინამ ტაძარში სიარულიც კი შეწყვიტა, რომ ქმარი, რომელიც მაღალი თანამდებობის პირი იყო, ცუდ მდგომარეობაში არ ჩაეგდო. მამა სერაფიმემ ოლღა გვერდით დაისვა და დაარიგა: „შენ განიცდი, რომ შენი დის ქმარი ებრაელია, მაგრამ ძე ღმრთისა, უფალი ჩვენი იესო ქრისტე ხომ ებრაელთა შორის ქადაგებდა და მისი მოწაფეებიც – მოციქულები ებრაელები იყვნენ. ახლა კი მომისმინე, რას გეტყვი და უფალი ჩვენ მოგვისმენს. შენ უკმაყოფილო ხარ სიძით, აგითვალწუნებია, მაგრამ ის შენზე ადრე შევა ზეციურ სასუფეველში. ასეა სათნო უფლისთვის. დიახ, დიახ, ეს მე ზუსტად ვიცი!“

ბერთან შეხვედრის შემდეგ გავიდა ორმოცი წელი. 1987 წელს ვალენტინა გარდაიცვალა და ნათან მოისეევიჩი მარტო დარჩა. მეუღლის სიკვდილმა გადაატრიალა მისი ცხოვრება. იგი დაფიქრდა იმაზე, რომ მომავალ ცხოვრებაში თავის საყვარელ ვალენტინასთან ერთად ყოფილიყო. ოლღამ უთხრა მას: „აბა, როგორ ფიქრობ შენ მასთან ერთად ყოფნას? შენ ხომ ურწმუნო ხარ, კომუნისტი, მოუნათლავი“. უეცრად ნათანმა წამოიძახა: „ოლია, მე ძალიან ბევრი ვიფიქრე. რა იქნება, რომ მოვინათლო? მე ვიქნები მასთან?“

იგი ღირს-იქნა, მიელო წმიდა ნათლისღება ანატოლის სახელით, გარდაცვალებამდე სამი თვით ადრე, 1993 წელს. მაშინ ის ავად იყო და არ შეეძლო ბინიდან გასვლა, ამიტომ ნათლობის საიდუმლო სახლში აღსრულდა. როდესაც მღვდელი მიუახლოვდა, რომ მირონი ეცხო, ანატოლი უხილავმა ძალამ გადააგდო. ის წიგნების კარადას დაეჯახა, მინები ჩაამტვრია და ძირს დაეცა. მღვდელმა თქვა: „ნახე, როგორი გაბოროტებულია ეშმაკი!“

ნათლობის შემდეგ სიძე თითქოსდა თავიდან დაიბადა. სულ ამას ამბობდა: „მე ახლა ვალენკასთან ერთად ვიქნები“.

გარდაცვალების წინ, ანატოლი-ნათანი ქრისტეს წმიდა საიდუმლოებას ეზიარა. მას წესი ალექსანდრე ნეველის ლავრის წმიდა სამების ტაძარში აუგეს.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძე**

# იკერ კასილასი – „რეალის" სიმბოლო და კაპიტანი

*„რეალიდან" მისი წასვლის შესახებ, ბოლო პერიოდია, აქტიურად საუბრობენ. თუმცა, ის ჯერაც მადრიდული გრანდის სიმბოლოდ და კაპიტნად რჩება. საუბარია იკერ კასილასზე, მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვან ფეხბურთელზე.*

* იკერ კასილასი სკოლის მასწავლებლისა და დიასახლისის ოჯახში დაიბადა.

* ექვსი წლის ასაკიდან, ყოველ შაბათს იკერს მამა დილის 6 საათზე აღვიძებდა, რომ მოესწროთ წასვლა მოსტოლესეს საფეხბურთო სკოლაში, მადრიდში.

* იკერის მამა ტოტალიზატორის მოყვარული გახლდათ და ხშირად თამაშობდა. ერთხელ მან იკერს დაავალა, 14 თამაშიდან გადაბმულ ბილეთზე დაედო რამდენიმე პესო. იკერს დაეზარა საბუკმეკერო კანტორაში წასვლა და ფული მეგობრებში დახარჯა. მოგვიანებით, ცნობილი გახდა, რომ იკერის მამამ 14-ივე მატჩის შედეგი გამოიცნო და მას დაახლოებით მილიონი ევროს ოდენობის თანხა შეეძლო მოეგო, რომ არა იკერის სიზარმაცე.



* მადრიდის „რეალის" ექსთავკაცი და ესპანეთის ნაკრების ამჟამინდელი მწვრთნელი, ვისენტე დელ ბოსკე იკერ კასილასმა 11 წლის ასაკში გაიცნო. დელ ბოსკემ თავის კაბინეტში დაიბარა ჭაბუკი კასილასი და მკაცრად გაკიცხა თანაკლუბელთა გაშაყირების გამო.

* 20 წლის ასაკამდე იკერ კასილასს საკუთარი ავტომობილი არ ჰყავდა და „რეალის" ვარჯიშებზე ძირითადად, მეტროპოლიტენით მიდიოდა ან მამის ავტომობილით – „რენო-19-ით".

* იკერ კასილასმა ავტომობილის მართვის მოწმობა მეორე გამოცდიდან აიღო. მისი, როგორც მძღოლის სტაჟი 11 წელია.

* იკერ კასილასი და „ჩელსის" გოლკიპერი პეტრ ჩეხი ერთ დღეს, 20 მაისს არიან დაბადებულნი. უბრალოდ, იკერი – 1981 წელს, ხოლო პეტრი 1982 წელს დაიბადა.

* იკერ კასილასი ზოდიაქოთი კუროა.

* „რეალის" პირველ გუნდში იკერ კასილასი 16 წლის ასაკში მიიწვიეს, 1997 წლის ნოემბერში. ამის თაობაზე იკერს კოლეჯის დირექტორმა შეატყობინა და უთხრა, რომ ეჩქარა, რადგან აეროპორტში ელოდებოდნენ. იკერი ისე, რომ სახლშიც არ გაუვლია, აეროპორტში წავიდა და გუნდთან ერთად ნორვეგიაში გაემგზავრა ჩემპიონთა ლიგაზე „როსენბორგთან" მატჩის სასატარებლად.

* პირველი მატჩი „რეალის" შემადგენლობაში იკერ კასილასმა ბასკური გუნდის, ბილბაოს „ატლეტიკის" წინააღმდეგ ითამაშა.

* იკერ კასილასის მეტსახელებია: „წმინდანი", „იკერმანი".

* იკერის უმცროსი ძმა, უნაი „ბარსელონას" ქომაგია.

* საყვარელი გოლკიპერი – პეტერ შმეიხელი.

* საუკეთესო მეგობრები – სერხიო რამოსი და ჩავი ერნანდესი.

* საყვარელი კერძი – შემწვარი კარტოფილი ერბოკვერცხთან ერთად.

* იკერ კასილასი ესპანეთის ეროვნული ნაკრების რეკორდსმენია ჩატარებული მატჩების რაოდენობით.

* 2007 წელს იკერ კასილასმა, ჩოგბურთელ რაფაელ ნადალთან ერთად, მონაწილეობა მიიღო საქველმოქმედო აქციაში მალარიის წინააღმდეგ. აქციის ფარგლებში ჩატარდა საფეხბურთო და ჩოგბურთის მატჩები.

* 2007 წელს იკერ კასილასმა მონაწილეობა მიიღო მხატვრულ ფილმში „გოლი 2: ცხოვრება როგორც ოცნება", სადაც საკუთარი თავი განასახიერა ეპიზოდურ როლში. ფილმში ასევე, მონაწილეობდნენ: ივან ელგერა, სერხიო რამოსი, რობერტო კარლოსი, რაული, დევიდ ბექჰემი, რონალდო, ზინედინ ზიდანი, გუტი, მაიკლ ოუენი, სტივ მაკმანამანი, ტიერი ანრი, ფრედი ლიუნგბერგი, სესკ ფაბრეგასი და არსენ ვენგერი.

* იკერ კასილასი მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში მესამე გოლკიპერია, რომელმაც მუნდიალზე კაპიტნის რანგში მოახერხა გამარჯვება. მისი წინამორბედი იტალიელები – 1934 წელს გაჩემპიონებული ჯანპიერო კომბი და 1982 წელს გაჩემპიონებული დინო ძოფი არიან.

# რიანა „ლივერპულით" დაინტერესდა

ესპანური პრესის ვერსიით ლათინო-ამერიკელი პოპ-ვარსკვლავი რიანა „ლივერპულის" აქციების შეძენით დაინტერესდა. ჟურნალისტების მტკიცებით, რიანა, რომელიც ფეხბურთის აქტიური ქომაგი აღმოჩნდა, დიდიე დროგბასთან მეგობრობს და სწორედ კოტდივუარელმა ვარსკვლავმა ურჩია მას ერთ-ერთ ინგლისურ კლუბში ფულის დაბანდება. რიანას არჩევანი კი „ლივერპულზე" შეჩერდა. ჯერჯერობით, ოფიციალურად არც რიანას და არც „ლივერპულს" განცხადება არ გაუკეთებიათ. ცნობისთვის, გასულ მსოფლიო ჩემპიონატზე, რიანა აქტიურად ქომაგობდა ფეხბურთელებს და საკუთარ ინსტაგრამზე ფოტორეპორტაჟები მიჰყავდა სტადიონებიდან.

# პელე მესამედ ქორწინდება

ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი – „ფეხბურთის მეფე" პელე მესამედ ქორწინდება. 73 წლის ლეგენდის რჩეული 48 წლის იაპონური წარმოშობის ბიზნესლედი მარსია სიბელე აოკია. ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის შედგება ქორწილის ცერემონიალი. თუმცა, ცნობილია, რომ ახალდაქორწინებულები ბინას სან-პაულოში დაიდებენ. პელე ორჯერ იყო დაქორწინებული - 1966 და 1994 წლებში და ამ ქორწინებებიდან მას ხუთი შვილი ჰყავს.



# ირინა შეიკის კომპრომატებით სავსე ცხოვრება

რუსი ლამაზმანი ირინა შეიკი დიდი ხანია, „რეალის" ვარსკვლავის, კრიშტიანუ რონალდუს ოფიციალური საცოლეა. თუმცა, ეს ფაქტი ხელს არ უშლის მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მაღალანაზღაურებად მოდელს, რომ ინსტაგრამის საკუთარ გვერდზე პიკანტური ფოტოები განათავსოს. სულ ახლახან, ირინამ საკმაოდ გულახდილი ფოტო დადო, მოკლე შორტებში გამოწყობილი ლამაზმანი ნახევრად შიშველ უცნობ მამაკაცთანაა წამოწოლილი. რონალდუსთვის ეს ფოტო მორიგი სარეკლამო ფოტოსესიის ნაწილია და მის ბედნიერებას ირინასთან, არაფერი ემუქრება. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ კრიშტიანუ საკმაოდ ეჭვიანია.

# ოსტეოართროზი განიკურნება

დიდი ბრიტანეთის მეცნიერები ამტკიცებენ, რომ იშვიათი მემკვიდრეობითი დაავადების შესწავლისას, ახლახან მიღებული შედეგები იმედს იძლევა, რომ ადამიანები განიკურნონ დღეს ასე გავრცელებული დაავადების – ართროზისგან.

ლონდონის „დედოფალ მარიამისა" და ლივერპულის უნივერსიტეტების მკვლევრებმა აღმოაჩინეს მექანიზმი, რომელიც მენჯ-ბარძაყის სახსრების ხრტილოვანი ქსოვილის ისეთ დეგენერაციულ ცვლილებებს იწვევს, რომლის შედეგი მძიმეა – ოსტეოართროზი – ტკივილები, სახსრების „ჩაკეტვა", საბოლოოდ კი – ინვალიდობა.

იშვიათი დაავადების – ალკაპტონურიის შესწავლისას, რომლის დროსაც ჰომოგენტიზინის მჟავა სახსრების ხრტილოვან ქსოვილში გროვდება, აღმოაჩინეს აგრეთვე მინერალიზებული პროტრუზიები, ანუ წამონაზარდები, რითაც ორგანიზმი ცდილობს, „შეაკეთოს" დაზიანებული ქსოვილი. შედეგად, ხრტილს წვრილი და ბასრი ნაწილაკები ტყდება, რომლებიც ჯანმრთელ ქსოვილებში „ჯდება" და აზიანებს. აღსანიშნავია, რომ ეს მდგომარეობა მხოლოდ ვეტერინარიაში იყო ცნობილი და ისიც – ცხენებში.

ახალი აღმოჩენა საშუალებას მისცემს მეცნიერებს, მკურნალობის ახალი მეთოდი შეიმუშაონ. დაავადების რისკ-ფაქტორი ზედმეტი წონა და ასაკია. ზოგიერთი მონაცემით, ამა თუ იმ ხარისხის ოსტეოართროზით განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის მესამედი იტანჯება. მხოლოდ ინგლისში, ამ დაავადების შედეგების მკურნალობაზე, ყოველწლიურად 5,2 მილიარდი ფუნტი (8,7 მილიარდი დოლარი) იხარჯება. კეთდება, ასევე, სახსრების ენდოპროთეზირების ათობით ათასი ოპერაცია.

გვერდი მოამზადა
უშანგი რუხაძემ

# 10 ექსცენტრიკული მდიდარი

1. **მარკ ცუკერბერგი, მილიარდერი, სოციალური ქსელის Facebook-ის შემქმნელი (13,3 მილიარდი დოლარი).** დიდი ხნის განმავლობაში ფიქრობნდენ, რომ მისი უცნაურობები შემოიფარგლებოდა მხოლოდ პათოლოგიური სიმორცხვით და დასვენების დღეებში მოწვეულ მეგობრებთან ფარიკაობით. მაგრამ, თავად განაცხადა, რომ გაიტაცა მეცხოველეობამ და მიირთმევს მხოლოდ იმ ცხოველის ხორცს, რომელსაც თვითონ კლავს.



2. **კლაივ პალმერი, ავსტრალიელი ქვანახშირის მაგნატი, კომპანია Minerology-ის მფლობელი (0,8 მილიარდი).** სურდა, ნამდვილი იურიული პერიოდის პარკი გაეშენებინა, კლონირებით აღდგენილი გადაშენებული სახეობებით. თუმცა, მეცნიერებმა სკეპტიკურად განაცხადეს, რომ სიცოცხლისუნარიანი გენეტიკური მასალის ნახვა შეუძლებელია. პალმერი იძულებული გახდა, უფრო რეალური, მექანიკური დინოზავრების პარკი გაეკეთებინა. ამასთან, მილიონობით დოლარი ჩადო „ტიტანიკის“ აღდგენაში, რომელსაც, სავარაუდოდ, 2016 წელს ჩაუშვებენ წყალში.

3. **ალკი დევილი, ინტერნეტმწარმოებელი, საიტ FilmOn-ის შემქმნელი (1,9 მილიარდი).** ის ინტერნეტის მომხმარებლებს მოუწოდებდა, შიშვლებს გაევლოთ ბარაკ ობამას წინ, და ჯილდოდ 100 000 დოლარს დაჰპირდა. მსურველები არ გამოჩნდენ, ამიტომ მაზანდა 1 მილიონამდე გაზარდა. ნიუიორკელმა ხუან როდრიგესმა სცადა, მაგრამ ობამას ნაცვლად პოლიციელებმა შეამჩნიეს.

4. **ნიკოლას ბერგიუენი, საინვესტიციო კომპანია Bergruen Holdings-ის მფლობელი (2 მილიარდი).** 45 წლამდე ნიკოლასი ამქვეყნიური ყველა სიამოვნებით ტკბებობდა. შემდეგ განაცხადა, რომ მატერიალური ფასეულობები სიამოვნებას არ ანიჭებს და გაყიდა ყველაფერი. ახლა ის უსახლკაროდ ითვლება. მოგზაურობს და დისტანციურად მუშაობს.

5. **პოლ ალენი, კორპორაცია Microsoft-ის თანადამფუძნებელი (15 მილიარდი).** მილიონები ჩადო ტელესკოპების განსაკუთრებული სისტემისა და ზემგრძნობიარე ანტენის დაყენებაში, რომელთაც მოაზროვნე უცხოპლანეტელთა სიგნალების მიღების იმედი აქვს.

6. **ინგვარ კამპრადი, კომპანია IKEA-ს დამაარსებელი (3,3 მილიარდი).** ყველაზე მდიდარი შვედი პრინციპულად მგზავრობს საზოგადოებრივი ტრანსპორტით და ყოველთვის იყენებს პენსიონერის ბარათს, რომ ნახევარ ფასად იმგზავროს.

7. **დონალდ ტრამპი, მედიამაგნატი კაზინო TajMahal-ის და კონკურს „მის სამყაროს“ მფლობელი (3,3 მილიარდი).** რესპუბლიკელებს უჭერს მხარს და ძალას და ფულს არ ზოგავს, დემოკრატიული პარტიის კანდიდატ ბარაკ ობამას დისკრედიტაციისთვის.



8. **პიტერ ტილი, გადახდის სისტემის Paypal-ის დამაარსებელი (1,6 მილიარდი).** სურვილი აქვს, შექმნას თავისუფალი საზოგადოება, ადამიანები თავიანთ ბედს თავად გადაწყვეტენ. „თავისუფლების კუნძულები“ მსოფლიო ოკეანეში იდრეიფებენ.

9. **ლეონა ჰელმსლი, სასტუმროთა ქსელ Helnsley Hotels-ის მფლობელი (2,5 მილიარდი).** ისტორიაში „სიძუნწის დედოფლის სახელით შევიდა“. 2007 წელს გარდაიცვალა, ანდერძით ორ შვილიშვილს 5-5 მილიონი დაუტოვა, ორი კი უცენტოდ დატოვა. 12 მილიონი კი საყვარელ ძაღლს, მალტურ ბალონკას, სახელად ტრაბლს დაუტოვა. თუმცა, ნათესავებმა გაასაჩივრეს და ძაღლს 10 მილიონი წაართვეს.

10. **ბრენსონი, კორპორაცია Virjin Group-ის დამფუძნებელი (4,6 მილიარდი).** ცნობილია ეპატაჟური გამოხტომებით, ხან საჰაერო ბუშტით მოგზაურობს, ხან კაიტსერფინგით შიშველ მოდელებთან ერთად, ხან საქორწინო კაბით გამოცხადდება ახალდაქორწინებულთა სალონში. ამას წინათ, სანაძლეოს წაგების გამო, სტიუარდესად გარდაისახა და ძალიანაც იხალისა.

# მხოლოდ ფაქტები

* პატარა, მაგრამ სწრაფმავალი სამხედრო გემებისგან შემდგარ ფლოტს, რომელიც საკმაოდ საშიშ ძალას წარმოადგენდა დიდი ხომალდებისთვის, მოსკიტებს უწოდებდნენ.

* ძველ რომში ნოემბერი მეცხრე თვე იყო.

* ცოტა ხნის წინ რამდენიმე ამერიკელი ბეისბოლისტი და კალათბურთელი დაადანაშაულეს გვერდითი შემოსავლებიდან გადასახადების დამალვაში. გვერდითი შემოსავლები კი ავტოგრაფებში ფულის აღება იყო.

* პოემაში გილგამეშზე „ბიბლიის“ ანალოგიური ისტორიაა მოთხრობილი – ადამიანი უკვდავებას გველის გამო კარგავს.

* ვარვარების ნათურის ვოლფრამის სპირალი-ძაფი პირველად 1909 წელს დაამზადეს.

* პეტრე ჩაიკოვსკიმ „წლის დროები“ მუსიკალური ჟურნალის „ნუველისტის“ შეკვეთით შექმნა, 12 ციკლი თანამიმდევრულად დაიბეჭდა 1876 წლის ჟურნალის თორმეტ ნომერში.

* პლინიუსმა ეთიოპიის ცხოველთა სიაში შეიყვანა სფინქსი; აღწერაში კი მისი მოწითალო-წაბლისფერი ბეწვი, ბრტყელი მკერდი და გამოცანების სიყვარული მიუთითა.

* როგორც ცნობილია, აგათა კრისტი ვერ იტანდა ჭურჭლის რეცხვას. ამბობენ, რომ სწორედ მისმა იდეამ მისცა ბიძგი პირველი ჭურჭლის სარეცხი მანქანის გამოგონებას.

* ტერმინი „ბანანის რესპუბლიკა“ პირველად გამოიყენა ო'ჰენრიმ ნაწარმოებში „მეფეები და კომბოსტო“.

* შვედურ საფეხბურთო კლუბ „ბალკანში“ თამაშობენ მხოლოდ ბალკანეთის ქვეყნების წარმომადგენლები.

* ჩინეთში ხშირად მიირთმევენ პატარ-პატარა, გამომშრალ მიდიებს – მათ ზღვის ბრინჯს უწოდებენ.

* ყველაზე მაღალი სპირალური კიბე ესპანეთის ქალაქ ბარსელონას გარეუბანში, საკვამლე მილის „ბიბლია ალმირალისის“ გარშემოა დამონტაჟებული. ის 217 საფეხურისგან შედგება.

* ძველად ხალხს მიაჩნდათ, რომ ელვა-ჭექის დროს ჯერ ელვას ხედავდნენ და შემდეგ კი ჭექა-ქუხილის ხმა ესმოდათ და ასე იმიტომ ხდებოდა, რომ, თვალები სახის წინა ნაწილში ჰქონდა, ყურები კი – უკან.

* 1932 წელს მეათე ოლიმპიური თამაშებისთვის ლოს-ანჯელესის რაიონში გაჩნდა დასახლება, რომელსაც დღესაც იგივე სახელი ჰქვია – „ოლიმპიური სოფელი”.

# ცნობილები „იგერიებენ“

***უხეში ხუმრობის ლამაზად მოგერიებას, ისე, რომ უხერხულ სიტუაციაში არ ჩავარდეთ, ვერ ისწავლით, თუ ამის ნიჭი არ დაგყვათ. აი, ვის შეეძლო, თავის ადგილზე „მოესვა“ თავხედი და გესლიანი „ხუმარები“ უფრო მახვილგონივრული ხუმრობით:***

*ამერიკის პრეზიდენტი კელვინ კულიჯი VS ქალბატონი ვახშამზე თეთრ სახლში*

ქალბატონი: ბატონო კულიჯ, ჩემს ნაცნობს დავენიძლავე... მითხ რა, რომ ვერ შევძლებდი, თქვენგან ორ სიტყვაზე მეტი „ამომექაჩა“.

კულიჯი: თქვენ წააგეთ.

*უინსტონ ჩერჩილი VS ბერნარდ შოუ*

შოუ: თქვენთვის ორი ბილეთი შემოვინახე – პრემიერაზე მობრძანდით და რომელიმე მეგობარი წამოიყვანეთ... თუ, რა თქმა უნდა, გყავთ.

ჩერჩილი: პრემიერაზე მოსვლას ვერ შევძლებ. მორიგ სპექტაკლზე მოვალ, თუ, რა თქმა უნდა, გაიმართება.

*უინსტონ ჩერჩილი VS ბესი ბრედოკი*

ბესი ბრედოკი: თქვენ ნასვამი ხართ.

ჩერჩილი: მართალია. თქვენ კი – შეუხედავი. მაგრამ, ხვალ დილით მე ფხიზელი ვიქნები, თქვენ კი – ისევ შეუხედავი.

*მსახიობი ქალი ილკა ჩეიზი VS უცნობი მსახიობი*

– მე ისე მომეწონა თქვენი წიგნი... ვინ დაგიწერათ?

– მოხარული ვარ, რომ მოგეწონათ! ვინ წაგიკითხათ?

*ამერიკელი მსახიობი ჯონ ბერიმორი VS ქალების ტუალეტში*

ქალბატონი: როგორ ბედავთ, ეს ხომ ქალბატონებისთვისაა?!

ბერიმორი შემოტრიალდა: ესეც ქალბატონებისთვისაა, ესეც!

*ნილს ბორი VS რეპორტიორი*

რეპორტიორი: თქვენ მართლა გჯერათ, რომ ნალი ბედნიერებას მოგიტანთ?

ბორი: რა თქმა უნდა, არა, მაგრამ, ამბობენ, მას ბედნიერება მათთვისაც მოაქვს, ვისაც ამის არ სჯერა.

*აბრაამ ლინკოლნი VS სენატორი სტივენ დუგლასი*

აბრაამ ლინკოლნს დებატებში სენატორმა სტივენ დუგლასმა ორსახოვანი უწოდა.

ლინკოლნი: შეხვედრაზე მივდივარ... როგორ ფიქრობთ, ამ სახით წავიდე?

*სენატორი ფრიც ჰოლინგსი VS ჰენრი მაკმასტერი*

სენატორს ოპონენტმა ნარკოტიკების ტესტის გავლა ურჩია.

ჰოლინგსი: მე გავივლი ნარკოტესტს, თუ თქვენ IQ-ს ტესტს ჩააბარებთ.

*აბრაამ ლინკოლნი VS უცხოელი დიპლომატი*

დიპლომატი: ბატონო ლინკოლნ, თქვენ თვითონ წმენდთ თქვენს ფეხსაცმელებს?

ლინკოლნი: დიახ. თქვენ კი ვისას წმენდთ ხოლმე?

*როკ-მუსიკოსი ფრენკ ზაპა VS შოუმენი ჯო პაინი*

ჯო პაინს შოუ ერთგვარად გესლიანად მიჰყავდა, ზოგი ამბობდა, რომ ამპუტირებული ფეხის გამო.

პაინი: ვფიქრობ, რომ გრძელმა თმამ ქალად გაქციათ.

ზაპა: თქვენ კი ხის ფეხმა – მაგიდად.

*ოსკარ უაილდი VS ლუის მორისი*

მორისი: ჩემ წინააღმდეგ შეთქმულებაა – დუმილის შეთქმულება. რა გავაკეთო?

უაილდი: შეუერთდი.

**გვერდი მოამზადა**
**ლაშა გაბელიამ**



## უზმოზე ყავის დალევა რეკომენდებული არ არის

ნედლი ყავის მარცვალი ცხიმებს, ცილებს, წყალს, მინერალურ მარილებსა და დაახლოებით ორი ათას სხვა ნივთიერებას შეიცავს. მოხალვის შემდეგ მარცვალი წყლის დიდ ნაწილს კარგავს, მისი შემადგენლობა კი, მოხალვის ხარისხისა და ხანგრძლივობის მიხედვით იცვლება. ყავის მარცვალი მზა სახით შეიცავს 12 პროცენტ ცხიმს, რომელიც ყავის ნალექში მთლიანად რჩება, 25 პროცენტ საქაროზას, ფრუქტოზასა და გალაქტოზას, 8 პროცენტ სხვადასხვა ორგანულ მჟავას. არომატს ყავას ეთეროვანი ზეთი აძლევს, ანუ მასში შემავალი ტერპენები, რომლებსაც ანტისეპტიკური და ანტიმიკრობული მოქმედებაც აქვთ. ქლოროგენის მჟავა ყავას მწკლარტე გემოს აძლევს, თუმცა მოხალვის დროს მჟავის დაახლოებით სამოცდაათი პროცენტი იკარგება. გარდა ამისა, მჟავა აზოტის ცვლას ასტიმულირებს და ცილის მოლეკულის წარმოქმნას უწყობს ხელს. რაც შეეხება ყავის მწარე გემოს, ეს დაკავშირებულია არა კოფეინთან, არამედ ტანინებთან. ამ რთული ორგანული ნივთიერების გასანეიტრალებლად ყავაში რძეს ან ნაღებს ამატებენ.

კოფეინი იწვევს აგზნებას, რომელიც ნელ-ნელა მატულობს და სამ საათს გრძელდება, ორგანიზმში არ გროვდება და ყავის მიღებიდან რამდენიმე საათის შემდეგ გამოიყოფა.

რაც მეტ ყავას სვამს ადამიანი, მით უფრო იშვიათად ფიქრობს თვითმკვლელობაზე – ეს გამოკვლევებმაც აჩვენა. როგორც ჩანს, კოფეინი ტვინის იმ ნაწილებს ასტიმულირებს, რომლებიც ოპტიმალურ განწყობას წარმოქმნის. კოფეინის ძალიან დიდი დოზით მიღება იწვევს ტოქსიკოზს, ადამიანისთვის საშიში დოზა კი მისი ასი გრამია, რაც დღეში ას ფინჯან ყავას უდრის.

ყავა ააქტიურებს გულის მუშაობას და ნივთიერებათა ცვლას, დადებითად მოქმედებს ფილტვების მუშაობაზე, აუმჯობესებს სისხლით მომარაგებას; შეიცავს ვიტამინ PP-სა და მინერალურ ნივთიერებებს; ასტიმულირებს თირკმელების მუშაობას, აჩერებს სისხლდენას, ზრდის ამტანობას, აფხიზლებს გონებას, აუმჯობესებს მეხსიერებასა და კონცენტრაციას, კურნავს გაციებას საწყის ეტაპზე.

ქალები, რომლებიც ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს იღებენ, ყავას უნდა მოერიდონ, რადგან კოფეინი სისხლში სამჯერ უფრო დიდხანს რჩება და გაღიზიანებასა და თავის ტკივილს იწვევს. კრიტიკულ დღეებში კი უმჯობესია, დღეში ერთი ფინჯანი ყავა დალიოთ. ვისაც უძილობა აწუხებს, მან ყავა საერთოდ უნდა ამოიღოს რაციონიდან.

ყავისა და ალკოჰოლის ერთად მიღება არ შეიძლება, რადგან ამ დროს სასმელი ძალიან მალე და ძლიერად მოგეკიდებათ.

უზმოზე ყავის მირთმევა კუჭის ლორწოვანი გარსის გაღიზიანებას იწვევს, რასაც, შეიძლება, გასტრიტის, წყლულისა და საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადების პროვოცირება მოჰყვეს.

ასევე, მოერიდეთ ყავის დალევის პარალელურად, სიგარეტის მოწევას. დადგინდა, რომ ქოლესტერინის დონე ორგანიზმში ყავისა და სიგარეტის ურთიერთმოქმედების შედეგად გაცილებით იმატებს.

## გულ-სისხლძარღვთა სისტემასზე ბურახი დადებითად მოქმედებს

პურის ბურახი მდიდარია B ვიტამინების კომპლექსით, კალციუმით, მანგანუმით, ფოსფორით, ცილებით, ნახშირწყლებით. მასში შედის ათი სახეობის ამინომჟავა და სასარგებლო რძის მჟავა.

ბურახს, გარდა იმისა, რომ წყურვილს კლავს, აქვს კვებითი, მატონიზებელი და ბაქტერიოციდული თვისებებიც. ის აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას, ახდენს ნაწლავების მიკროფლორის ნორმალიზებას და სასიკეთოდ მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე.

ბურახს ჩვენი წინაპრები უძველესი დროიდან იყენებდნენ როგორც შარდმდენ და საფაღარათო საშუალებას. ის, აგრეთვე, სასარგებლოა ნაწლავების აშლილობისა და წყალმანკის დროს.

პურის ბურახის ძირითადი კომპონენტებია პური, საფუარი და შაქარი. თუმცა, მის დასამზადებლად გამოყენებული ინგრედიენტები გაცილებით მეტია, მაგალითად: ქერის ან ჭვავის ალაო, წიწიბურისა და ჭვავის ფქვილი, ქონდარი, თაფლი, კვლიავი, პიტნა, დარიჩინი, ღვია, პირშუშხა, სვია, ჭარხალი, ქიშმიში, კენკრა და ხილი. ამიტომ, პურის ბურახის დამზადების რამდენიმე რეცეპტი არსებობს და ყოველი მათგანი ადამიანის ორგანიზმისთვის ძალიან სასარგებლოა.

## ხახვი პოტენციას ამაღლებს

დღევანდელი დაძაბული სტრესული ცხოვრების ფონზე, პოტენციასთან დაკავშირებული პრობლემა ბევრ მამაკაცს აწუხებს. თუმცა, ამაზე ხმამაღლა საუბარს ერიდებიან და საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვას ამჯობინებენ.

თუ ყოველივე ეს სერიოზული ფიზიოლოგიური მიზეზებით არ არის გამოწვეული, იმედი არ უნდა დაკარგოთ. ყოველ დილით გადაყლაპეთ ერთი კვერცხის გული. ასევე, კარგია კვერცხისა და ხახვის სალათის რეგულარული მიღება.

პოტენციის დაქვეითებისას უძველესი დროიდან არის ცნობილი ხახვის ნაყენი. კერძოდ, ორ ჭიქა წვრილად დაჭრილ ხახვს დაასხით ნახევარი ლიტრი არაყი, გააჩერეთ დაახლოებით, 5-6 დღე ბნელ ადგილას, ოთახის ტემპერატურაზე, თავდახურულ ჭურჭელში. შემდეგ კარგად გაწურეთ და დალიეთ მეოთხედ ჭიქა წყალში გახსნილი თითო ჩაის კოვზი ნაყენი, დღეში ორჯერ, ჭამამდე. დააკვირდით და დარწმუნდებით, რომ უმოკლეს დროში ძალა და ენერგია გაგიორმაგდებათ.

## ლობიოს პარკის ჩენჩოს სამკურნალო თვისებები აქვს

სამკურნალოდ გამოიყენება ლობიოს პარკის ჩენჩო, რადგან ის შეიცავს ტრიგონელინს, ანუ ბეტოინს, არგინინს, ტიროზინს, ლეიცინს, დიზინს, ამინომჟავებს, ასპარანგინსა და ჰოლინს, ასევე, ორმოცდაათ პროცენტამდე ფემიცელულოზას.

რევმატიზმისა და თირკმელების დაავადებით გამოწვეული წყალმანკის დროს, როგორც შარდმდენი საშუალება, კარგია შემდეგი ნაყენი: 30 გრამ დაქუცმაცებულ ლობიოს ჩენჩოს დაასხით 1 ლიტრი წყალი, წამოადუღეთ, გააცივეთ და გადაწურეთ. მიიღეთ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, ნახევარი ჩაის ჭიქა.

წითელი ქარით გამოწვეული ანთების დროს მტკივან ადგილზე დაიყარეთ ლობიოს ჩენჩოს დაფქული მასა.

ლობიოს ჩენჩო მოცვის ფოთლებთან ერთად ჩაყარეთ მომინანქრებულ ქვაბში, დაასხით ერთი ლიტრი წყალი და წამოადუღეთ. ეს ნაყენი კარგია კუჭქვეშა ჯირკვლის სამკურნალოდ, ასევე, შაქრიანი დიაბეტის დროს.

თირკმელების ანთების დროს ლობიოს ჩენჩოსა და სიმინდის ულვაშს დაასხით ნახევარი ლიტრი წყალი, ადუღეთ და ნახარში დალიეთ ყოველი ჭამის შემდეგ, ერთი ყავის ჭიქის ოდენობით.

## დღის რომელ მონაკვეთში აღწევს ორგანიზმის ფიზიკური ძალები მაქსიმუმს

თუ გსურთ, ღრმა სიბერემდე ნათელი გონება, ენერგია და შრომისუნარიანობა შეინარჩუნოთ, აუცილებლად გაითვალისწინეთ ქვემოთ მოყვანილი რჩევები.

კვლევებით დადგინდა, რომ ადამიანის ყველა შინაგანი ორგანო, მათ შორის ტვინიც, მთელი სიცოცხლის განმავლობაში კარგად რომ გემსახუროთ, დღეში სამჯერ მაინც უნდა ივარჯიშოთ. სხვათა შორის, სწორედ დღეში სამჯერ აღწევს ორგანიზმის ფიზიკური ძალები მაქსიმუმს და ასევე, დღეში სამჯერ დგება დაღლილობის პერიოდიც. ეს პერიოდები უნდა იცოდეთ და გაითვალისწინოთ, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში, სწორად დაგეგმოთ ნებისმიერი ნაბიჯი. ეს გარანტირებული ჯანმრთელობის საწინდარია.

თუ ეცდებით, რომ ნერვულ სტრესს აარიდოთ თავი, ორგანიზმი გადაღლილობისგან იხსნათ, შრომის ნაყოფიერება გაზარდოთ და ასევე, საუკეთესო გუნება-განწყობა შეიქმნათ, მაშინ ყველაფერი რიგზე იქნება.

გთავაზობთ რამდენიმე მარტივ რჩევას, რომლებიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ. მაგალითად:

* ადამიანისთვის დღის ორი საათიდან ოთხ საათამდე არ არის რეკომენდებული საქესთან ჯდომა, რადგან ამ დროს ორგანიზმი უდიდეს დატვირთვას განიცდის.

* სწავლის, ინტელექტუალური განვით-

არების და სხვა დატვირთვისთვის საუკეთესო დროა 4-დან ექვს საათამდე.

* ადამიანისთვის ყველაზე აქტიური და შრომისუნარიანი პერიოდი ათიდან თორმეტ საათამდე დგება. ამ დროს კარგია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, პრობლემების მოგვარება, ხელშეკრულებების დადება და პარტნიორებთან მოლაპარაკებები.

* ფიზიკური შრომისთვის კარგია სამიდან ოთხ საათამდე პერიოდი. ამიტომ, ყველაზე მძიმე და მნიშვნელოვანი ფიზიკური სამუშაო სწორედ ამ მონაკვეთში უნდა შეასრულოთ.

* სპორტს დაუთმეთ დღის პირველი ნახევარი. ამ დროს ვარჯიში გაცილებით დადებით შედეგს მოგიტანთ.

* დღის პირველი საათიდან ორ საათამდე აუცილებელია საკვების მიღება. ამით თავიდან აიცილებთ კუჭისა და საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებებს.

* რვიდან ათ საათამდე კი შეგიძლიათ, უყუროთ ტელევიზორს ან იკითხოთ წიგნი. ამით ძილისთვის კარგ პირობას შეიქმნით.

## მოწამვლის დროს დროულად დაეხმარეთ ორგანიზმს

ხანდახან ძალიან რთულია, გამოვიცნოთ, რომელია ჩვენთვის ალერგიული პროდუქტი. ამის გასარკვევად საჭიროა, ისეთი დიეტა შევადგინოთ, რომელშიც გამოვრიცხავთ ყველა მაღალი ალერგიული ქმედებით გამოირჩეულ პროდუქტს. მათი ჩამონათვალი კი საკმაოდ გრძელია და მხოლოდ ზოგიერთს მიგანიშნებთ: ციტრუსები, თხილი, ნიგოზი, თევზეული, ზღვის პროდუქტები, ხორცი, შოკოლადი, ყავა, შებოლილი და დაკონსერვებული პროდუქტი, ასევე, სანელებლები და საკმაზები, მდოგვი, ძმარი, მაიონეზი, თალგამი, ჭარხალი, პომიდორი, ბადრიჯანი, სოკო, რძე, მარწყვი, ნესვი, ანანასი, თაფლი და სხვა. სამაგიეროდ, შეგიძლიათ, თამამად მიირთვათ და აუცილებლად ჩართოთ საკვებ რაციონში საქონლის უცხიმო ხორცი, ბოსტნეულისა და ბურღულეულის სუპები, კარტოფილი, წიწიბურა, შვრია, ბრინჯი, მწვანილი, კიტრი, ვაშლი, საზამთრო, ჩაი, შაქარი; რძის პროდუქტებიდან კი – ყველი, იოგურტი, კეფირი და ხაჭო.



კვებითი ალერგიის ყველაზე სერიოზული და საშიში გამოვლინებაა ანაფილაქსიური შოკი. შოკი ალერგენული პროდუქტის მიღებიდან რამდენიმე წუთში ვლინდება. ადამიანი ამ დროს კარგავს გონებას, ეწყება კრუნჩხვები, აყრის ტანზე, აღენიშნება პირღებინება და უნებლიე შარდვა.

თუ მოიწამლეთ, დალიეთ რაც შეიძლება ბევრი წყალი და, ეცადეთ, გული ძალით აირიოთ. როცა დარწმუნდებით, რომ კუჭი სუფთაა, მიიღეთ წყალში გახსნილი სამი აბი აქტივიზებული ნახშირი. თუ საკვების მიღების შემდეგ, ნაწლავების სპაზმმა შეგაწუხათ, ეს, შესაძლოა, კვებითი ალერგიის გამოვლინება იყოს და სასწრაფოდ მიიღეთ „ნო-შპა“. ეს მდგომარეობას შეგიმსუბუქებთ.

კვებითი ალერგიის დროს, ასევე, ხშირია ფაღარათი. ეცადეთ, მოხარშული კარტოფილი ჭამოთ და ამით უმკურნალოთ კუჭის აშლილობას.

აგრეთვე, ყველანაირი გამონაყარი, სიმშრალე, კანის აქერცვლა ალერგენებისთვის არის დამახასიათებელი. თუ ჭამის შემდეგაც სახის ან ტუჩის ირგვლივ ქავილი დაგეწყოთ, შემდეგ კი ტანზეც გამოგაყარათ, ეს საკვებით მოწამვლაზე მეტყველებს. ამ შემთხვევაში, გამოიძახეთ ექიმი , მის მოსვლამდე, კანზე დამარბილებელი კრემი წაისვით, ბანაობისგან კი თავი შეიკავეთ.

**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# ექიმის რჩევები

**კითხვა: დედა არის 75 წლის. ერთ თვეზე მეტია ყოველ საღამოს ტერფიდან მუხლამდე ტერიტორიაზე შიგნიდან ეწყება საშინელი ტკივილი, გამაყუჩებელიც ვერ შველის. გვყავდა გამოკვლევებზე ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა, გადავუღეთ ფეხზე ყველაფერი, მაგრამ მიზეზი ვერ დაადგინეს. აქვს დიაბეტი და აწუხებს ხერხემლის პრობლემა. იქნებ დაახლოვებით მაინც მითხრათ რა იწვევს ასეთ ტკივილს?**

**პასუხი:** შესაძლოა მიზეზი დიაბეტური ნეიროპათიაა, ის ხშირი გართულებაა ხანგრძლივად მიმდინარე შაქრიანი დიაბეტის დროს; ზიანდება როგორც ცენტრალური, ასევე პერიფერიული ნერვული სისტემა. განსაკუთრებით დამახასიათებელია პერიფერიული ნეიროპათია: ავადმყოფებს აწუხებთ გაბუჟება, ჭიანჭველების ცოცვის შეგრძნება, კრუნჩხვები კიდურებში, ტკივილი ფეხებში, რომელიც ძლიერდება მოსვენებული მდგომარეობის დროს, განსაკუთრებით ღამით და გაივლის სიარულის დროს. აღინიშნება მუხლისა და აქილევსის რეფლექსების დაქვეითება ან სრული გაქრობა, ასევე ტაქტილური, ტკივილის მგრძნობელობის დაქვეითება; ზოგჯერ ვითარდება კუნთების ატროფია ფეხების პროქსიმალურ ნაწილებში. მიმართეთ ენდოკრინოლოგს, რომელიც უკეთ გაერკვევა პაციენტის ჩივილში და შესაბამის დახმარებასაც აღმოუჩენს.

**კითხვა: დედაჩემს აქვს ლავიწის ძვლებთან რაღაცნაირად გამობურცული. რა უნდა იყოს, შეხებით რბილია, ამობერილია უბრალოდ.**

**პასუხი:** დაუყოვნებლივ აჩვენეთ პირველ რიგში ოჯახის ექიმს, გამორიცხეთ ლიმფური კვანძის გადიდება.

**კითხვა: გთხოვთ ამიხსნათ, რას ნიშნავს გარე ორსულობა და ასეთ დროს აუცილებლად აშორებენ ნაყოფს?**

**პასუხი:** ნორმალური ორსულობის დროს განაყოფიერებული კვერცხუჯრედი კვერცხსავალი მილის გავლით საშვილოსნოს ღრუში გადაინაცვლებს და მის ლორწოვან გარსში ჩაიზრდება. საშვილოსნოსგარე ანუ ექტოპიური ორსულობა ისეთი ორსულობაა, რომლის დროსაც განაყოფიერებული კვერცხუჯრედი საშვილოსნოს ღრუს გარეთ ჩაინერგება და იქვე იწყებს განვითარებას. საშვილოსნოს გარეთ ჩანერგილი ემბრიონი, ფაქტობრივად, დასაღუპავად არის განწირული, რადგან არ გააჩნია ზრდისა და განვითარებისთვის საკმარისი სივრცე, ვერ იღებს საკვებს... ვინაიდან ეს ადგილები განაყოფიერებული კვერცხუჯრედის მისამაგრებლად არ არის შექნილი, ადრე თუ გვიან წარმონაქმნი სკდება და იწყება მუცლის ღრუში მასიური სისხლდენა, ამიტომ საშვილოსნოსგარე ორსულობა ზოგჯერ ლეტალური შედეგითაც კი სრულდება.

**კითხვა: მაინტერესებს თუ მოხდა ისე, რომ სხვა ქალაქის საავადმყოფოში მომიწია მშობიარობა (რა თქმა უნდა, ქვეყნის შიგნით) და არა იქ, სადაც აღრიცხვაზე ვარ, მშობიარობა მაინც უფასო იქნება?**

**პასუხი:** დიახ, რასაკვირველია. ქვეყნის შიგნით ერთი და იგივე კანონები მოქმედებს.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მიიღეთ**

**ლაქტო-ჯი**

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# დაქორწინდება თუ არა 77 წლის მსახიობი – გრიგოლ წიტაიშვილი და როგორ აღმოჩნდა საყვარელი გოგონა მისი და

*საზოგადოებაში ის არ არის ცნობილი მრავალრიცხოვანი როლებით. მისი სამსახიობო კარიერა თეატრით დაიწყო და კინოში გაგრძელდა. რითაც მან მაყურებლის ყურადღება მიიქცია, უპირველესად, მაინც მისი მორიდებული, უილბლო კაცის როლები იყო. გრიგოლ წიტაიშვილი დღეს 77 წლისაა. მას ძალიან საინტერესო ცხოვრების ისტორია აქვს: რა გზა გამოიარა დედის გარეშე, როგორ იპოვა დაკარგული და...*

*მოდი, მოვუსმინოთ, რას ყვება ის თავის ცხოვრებაზე.*



**გრიგოლ წიტაიშვილი:** დავიბადე და გავიზარდე ბათუმში. იქ დავამთავრე საშუალო სკოლა. ბათუმელი ბიჭი ვიყავი. სკოლის შემდეგ თბილისში წამოვედი და დღემდე აქ ვარ. ნამდვილად არ მქონდა კარგი ბავშვობა. დედაჩემი რეპრესიებში მოჰყვა, დაიჭირეს და გადაასახლეს. მერე, როცა გამოვიდა, ერთმანეთისთვის უცხოები ვიყავით. მართალია, მამასთან ვიზრდებოდი, მაგრამ არც მასთან მქონდა ძალიან ახლო ურთიერთობა. სხვა ცოლი შეირთო, შვილები შეეძინა... მერე კიდევ სხვა ცოლი შეირთო. ბოლოს მამა ოზურგეთში ცხოვრობდა. მეც მოვხვდი მასთან ოჯახში: პერიოდულად მივდიოდი და მოვდიოდი. ბათუმში ძალიან პატარა ბინა გვქონდა. მარტო ვცხოვრობდი, ნათესავები ჩამოდიოდნენ ხშირად... ძალიან კარგი ბებია მყავდა – დედის დედა, რომელიც გადაყოლილი იყო ჩემზე, მაგრამ ის ცალკე ცხოვრობდა. მამაჩემის მხარე დედის ნათესავებთან ურთიერთობას მიშლიდნენ. მე, რაღაცნაირად, ჩუმად ვახერხებდი მათთან ურთიერთობას. ერთი პერიოდი, უპატრონო ბავშვთა სახლში ვიყავი, მახინჯაურში. დიდი სამამულო ომი იყო და მთელი საბჭოთა კავშირის უპატრონო, ქუჩაში მყოფი ბავშვები იქ იყვნენ თავმოყრილი. იყო ერთი ამბავი ბებიაჩემსა და მეორე ბებიას – მამაჩემის დედას შორის. მამაჩემი იმ პერიოდში ბათუმში მუშაობდა, თანამდებობის პირი იყო. ყველა იცნობდა და ესმოდა, როგორ ლაპარაკობდნენ მის ზურგს უკან: როგორ შეიძლება, ამ კაცის შვილი „პრიუტში“ იყოსო. ერთი ამბავი ატყდა. მახსოვს, იქ, მახინჯაურში მამიდაჩემი ამოვიდა. ბებიას უჩივლია – ან მე მომცეს ბავშვი, მე მოვუვლი და გავზრდი, ან თვითონ წაიყვანოს, აქ რომ ჰყავსო. ამოვიდა მამაჩემიც, თავის ცოლთან ერთად. დამიძახეს დირექტორთან. შევხედე, მამაჩემი და ჩემი დედინაცვალი დგანან. პატარა ვარ. დირექტორი მეკითხება, – შენ ვისთან გინდა, მამაშენთან თუ ბებიაშენთანო. მამაჩემთან-მეთქი. კარგი, წადიო. მაინც დამტოვეს იქ და წავიდნენ. მეორე დღეს ამოვიდა ბებიაჩემი, დედაჩემის დედა, მომკიდა ხელი და წამომიყვანა. ბებიას და მამას სახლი ახლოს იყო ერთმანეთთან. იმის წინ უნდა გაგვევლო და გარედან დაუძახა. მამაჩემი გამოვიდა, დაგვინახა და ძალიან გაბრაზდა. ბებიაჩემმა მითხრა, ადი სახლშიო და თვითონ წავიდა. ამიყვანა მამაჩემმა. ასე დავრჩი მათთან. დედინაცვალს ვერ ვეწყობოდი. ისიც თვითონ გამოუვალ მდგომარეობაში იყო: პატარა ბინაში ცხოვრობდნენ, მამაჩემის მეორე ცოლისგან შეძენილი ბავშვიც მათთან იყო და მე სადღა წავეყვანე, არ იცოდა. თვითონ საერთო შვილი არ ჰყავდათ. სულ ვჩხუბობდი – თავი დამანებე, შენ არ ხარ დედაჩემი-მეთქი... და სულ ასე ვიყავით. სხვათა შორის, ძალიან კარგი ქალი იყო, ძალიან ვუყვარდით ბავშვები. არც ის ბავშვი იყო მისი შვილი. მისი დედა მშობიარობას გადაჰყვა. ჩვენ ორნი ვიყავით და როგორც თავის შვილებს, ისე გვიყურებდა. თუმცა, ჩემმა დამ ძალიან დიდი ხანი არ იცოდა, რომ ის მისი ნამდვილი დედა არ იყო... ჩემს დას უკვე შვილიშვილები ჰყავდა. მამაჩემი რომ გარდაიცვალა, მაშინ გაიგო სიმართლე. მე კი ვიცოდი და სულ ვჩხუბობდი: მას უნდოდა, დედა დამეძახა, მე დედას არ ვეძახდი და ამის გამო ვერ ვრიგდებოდით. ყველანაირად გვივლიდა, გადაყოლილი იყო ჩვენზე, მაგრამ მე ჩემი დედა მინდოდა. მერე, მამაჩემი გადმოიყვანეს თბილისში სამუშაოდ და ყველა აქ გადმოგვიყვანა. აქ ვსწავლობდით, თბილისში. შვიდი თვის შემდეგ კი მამაჩემი ოზურგეთში გადაიყვანეს სამუშაოდ. იუსტიციის სამინისტრომ დროებით მისცა მამას პატარა ბინა – სანამ ბინას მიიღებო, მაგრამ, სანამ ბინა მოუწევდა, ოზურგეთში დანიშნეს და იქ წავიდა, ჩვენც თან წაგვიყვანა. მე შევხედე იქ სიტუაციას და ვუთხარი: მე აქ ვერ ვიცხოვრებ და საერთოდ, ბათუმში უნდა წავიდე-მეთქი. დავჯექი მატარებელზე და ჩავედი ბათუმში. ისევ დავბრუნდი ჩემს სკოლაში, მაგრამ ცუდად ვსწავლობდი. ვინ კითხულობდა საერთოდ ჩემს ამბავს. დამდევდნენ მასწავლებლები, ზღვის პირას და ბულვარში მეძებდნენ.

**– მაინც, როგორ ცხოვრობდით ასეთი პატარა ბავშვი დამოუკიდებლად? გასარეცხი გქონდათ, საჭმელი გინდოდათ, ელემენტარული მოვლა-პატრონობა...**



– ხან დეიდასთან მივდიოდი, ხან მამიდასთან, ხან ბიძასთან, ხანაც ბებიასთან და ასე დავწანწალებდი. ისე, ფულს მაძლევდა ხოლმე მამაჩემი, ოზურგეთში რომ ჩავიდოდი. ადრე დავიწყე სიგარეტის მოწევა, მაშინ პაპიროსი ერქვა და ძირითადად ამაში ვხარჯავდი მთელ ფულს. სხვათა შორის, ასეთი ისტორიაა მამაჩემზე: რომ დაიბადა, მამა აღარ ჰყავდა. ჰყავდა დები და ძმა. მან გაზარდა მამაჩემი, ის იყო მისი მამაც, ძმაც და ყველაფერიც. მთელი ოჯახი ამ ბიჭს დააწვა თურმე კისერზე. მშრომელი, კარგი პატიოსანი კაცი იყო. საცოლე ჰყავდა ნატანებში. იმ საცოლის სანახავად წასულა. სანამ სუფრა გაიშლებოდა, იქვე ეზოში დამსხდარან სტუმრები, ნარდს თამაშობდნენ და დროდადრო არაყს გადაჰკრავდნენ, თხილს შეექცეოდნენ. ეს კაცი არ იყო მსმელი კაცი, ძალიან წესიერი, პატიოსანი, ხათრიანი და მორიდებული ყოფილა. არ უყვარდა ეს არაყი, მაგრამ, რადგან სასიძო იყო, უარი ველარ თქვა და უსვია. იმ არაყმაც მოკლა. გრიშა ერქვა და მერე, მე რომ დავიბადე, მის პატივსაცემად დამარქვეს მისი სახელი. უთქვამთ, მისი დღენი შენ შეგემატოსო. მგონია, მართლა, მისი დღეებით ვცხოვრობ.

**– მე გაგონილი მაქვს, რომ თქვენ, სრულიად შემთხვევით, ძალიან უცნაურად იპოვეთ დაკარგული და. არა ის, ვისთან ერთადაც ცხოვრობდით ოზურგეთში რაღაც პერიოდი დედინაცვალთან, არამედ მისი და, რომელიც მამათქვენს მეორე ცოლთან შეეძინა. ეს როგორ და რანაირად მოხდა?**

– ეს იყო მეათე კლასში. კლასში ერთი გრძელნაწნავიანი, ლამაზი, შავგვრემანი გოგო იჯდა, მომეწონა და მის გვერდით დავჯექი, ფანჯარასთან. რაც მე იმას ვაწვალებდი... ის აღმოჩნდა და, რომელიც იმ დის შემდეგ დაიბადა. მამამ იცოდა, რომ გაშვილებული იყო და ყველამ იცოდა ეს, მაგრამ ასეთი შეთანხმება ჰქონდათ. ლეილა ერქვა, გვარად გოგიავა და ჩვენი სკოლის დირექტორის შვილი იყო – მას უშვილებია. მან ეს არ იცოდა, გვიან გაიგო. იცით, მე როგორ გავიგე? ჩემი დედინაცვალი გარდაიცვალა და ერთმა ჩვენმა შორებელმა ნათესავმა მოყვა ეს ამბავი. მერე მამაჩემის იმ გარდაცვლილი ცოლის სურათი ნახეს, ზუსტად ჰგავდა ჩემს დებს და ასე გასკდა ეს ამბავი. მაშინ აღარც მამაჩემი იყო და აღარც ჩემი დედინაცვალი. მერე იქ შევხვდი ამ გოგოს, გასვენებაში. რა თქმა უნდა, გაოცებული დავრჩი. საშუალო რომ დავამთავრე და თბილისში წამოვედი, მათთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყდა. ყველა წავიდ-წამოვიდა, აღარავინაა და დავრჩი ასე ობლად. თუმცა, მე ყოველთვის ობლად ვიყავი, მარტო. ეტყობა, ადამიანი ყველაფერს ეჩვევა.

თეატრი და კინო მიყვარდა ძალიან, სულ დავდიოდი. ბილეთი არ მჭირდებოდა და არაფერი.. არ ვიცი, რატომ დავდიოდი ამდენს. ეტყობა, შინაგანი მოთხოვნილება მქონდა, რომ ყველაფერი მენახა. კარგი მელოდრამებიც იდგმებოდა მაშინ. რომ ვტიროდი, ბავშვები დამცინოდნენ – მართალი ეგონაო. ამასთან ერთად, ბევრს ვკითხულობდი, სულ გამომქონდა წიგნები ბიბლიოთეკიდან. არასდროს მიფიქრია მსახიობობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მიყვარდა კინოც და თეატრიც, მაგრამ ღმერთმა ასე ინება. აი, იქ უკვე კარგად ვსწავლობდი.

**– თეატრალურში როგორ აღმოჩნდით?**

– სრულიად შემთხვევით. ბათუმიდან თბილისში წამოვედით მე და ჩემი მეგობარი (ახლა უკვე ბათუმის თეატრის წამყვანი მსახიობი) ბედია ინწკირველი. იმან იცოდა, სად უნდა ჩაებარებინა, მე არ ვიცოდი. ჩამოვედით და ერთად დავიწყეთ ამ ინსტიტუტში სიარული. ყველა ინსტიტუტთან გამოკრული იყო, რომელ ფაკულტეტზე რა საგნები ბარდებოდა. შევხედე, ყველგან ფიზიკა-მათემატიკა, ქართული წერია. ყველაზე ხელი ჩავიქნია – ამ საგნებს ვერ ჩავაბარებ-მეთქი. მთელი ინსტიტუტები მოვიარეთ. მერე ეს ჩემი მეგობარი მეუბნება: მოდი, შენც თეატრალურზე შეიტანე საბუთებიო. რა ბარდება თეატრალურზე-მეთქი და ჩამომითვალა. სულ ოთხი საგანი იყო და მთავარი – სპეციალობა. მოკლედ, ორივემ ერთად შევიტანეთ საბუთები თეატრალურში. სანამ გამოცდები დაიწყებოდა, კონსულტაციები მიდიოდა. ისე მომეწონა ეს პროცესი, არც ერთი კონსულტაცია არ გამიცდენია. ძალიან საინტერესო იყო თვითონ ეტიუდები და ამაში კარგად გავვარჯიშდი. დაიწყო გამოცდები. პირველ გამოცდაზე, ვხედავ, ოცდაათი კაცია – ჩვენი ყველა ცნობილი მსახიობი და რეჟისორი. რატომ გადაწყვიტე თეატრალურში ჩაბარებაო. ვუთხარი: რა ვიცი, აი, ჩემი მეგობარი აბარებს და წამოვყევი. გადავწყვიტე, მეც იმასთან ერთად ჩამებარებინა-მეთქი. ასეთი მიამიტი ვიყავი ყოველთვის. ტყუილი არ მიყვარდა არც ეკრანზე, არც სცენაზე და არც ცხოვრებაში. სადმე დრამწრეში ან ისე, ღონისძიებაზე მიგიღია მონაწილეობაო. არა-მეთქი. ძალიან გაუკვირდათ. ლექსი წავიკითხე, მერე იგავი, მერე კიდევ რაღაც... მერე მკით-

ხეს, სიმღერა იციო. არა, არ ვიცი, არასდროს მიმღერია-მეთქი. ცეკვაო, არც ცეკვა ვიცი-მეთქი. აბა, რა გინდა, სიმღერა შენ არ იცი, ცეკვა შენ არ იცი... საერთოდ, რატომ აბარებ, არც ის იცი და აბა, რა გინდა აქ რომ მოხვედიო. მაინც რაღაც დაუკრეს, ავყევი. მერე ტაში დაუკრეს, რიტმის გრძნობა შემიმოწმეს. სმენაც ამომაჩნდა და რიტმის გრძნობაც. კარგი, წადი, წადიო. გამოვედი, ვიფიქრე, მე აქ ვინ მიმიღებს, ამათში – ისეთი გოგო-ბიჭები ისხდნენ, ლამაზები, მაღლები, მღეროდნენ, ლაპარაკობდნენ.. გამოიკრა ტურის შედეგები – სიაში ვარ. მეორე ტურის შედეგები გამოიკრა – ისევ სიაში ვარ, მაგრამ ეს ჩემი მეგობარი არ არის. მესამე ტურის სიაშიც ვარ. მთავარი სპეციალობა იყო, საგნებს იმდენად არ აქცევდნენ ყურადღებას. ის ჩემი მეგობარი იმ წელს ვერ მოხვდა, შემდეგ წელს ჩაირიცხა. დავამთავრე ინსტიტუტი. შემოთავაზება გვქონდა რუსთაველის თეატრში. მაშინ რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და ინსტიტუტში ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელი დიმიტრი ალექსიძე იყო. ასევე, გიგა ლორთქიფანიძემ შემოგვთავაზა მარჯანიშვილის თეატრში, მაგრამ ჩვენ ორივეზე უარი ვთქვით და გორში წავედით. ლილი იოსელიანი წავიდა გორში სამუშაოდ და მას წავყევით.

მერე რუსთაველის თეატრშიც ვმუშაობდი. დამიძახეს კინოში და წავედი. თავიდან კინოსკენ არც ვიყურებოდი. ჩვემი თანაკურსელები, ყველა, უკვე სტუდენტობიდან კინოვარსკვლავები იყვნენ – ბელა მირიანაშვილი, თენგიზ დაუშვილი, იმედო კახიანი, მალხაზ გორგილაძე... მეც მეუბნებოდნენ, წამოდიო, მაგრამ კინოსტუდიის მხარეს არც გამიხედავს. არ წავყოლივარ არავის, რადგან, საერთოდ არ მაინტერესებდა. თეატრი მინდოდა. მერე, რაღაცნაირად, ისე მოხდა, ერთხელ წავედი, მეორედ და მას მერე, სულ მიღებდნენ ფილმებში, ტელესპექტაკლებში. პირველი ფილმი „ცისკრის ზარები“ იყო. მერე „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ და „წუთისოფელი“.



კინოში უფრო მეტის გაკეთებაც შემეძლო. ესეც ჩემი ბრალია. არ ვარ აქტიური, მებრძოლი, რომ საკუთარი თავისთვის ვიბრძოლო. სხვისთვის, შეიძლება, თავიც დავდო, მაგრამ თავის გასატანად არასდროს მიბრძოლია. ასეთი ადამიანი ხელოვნებაში იჩაგრება. უნდა შეგეძლოს ბრძოლა იმ როლისთვის, ამ როლისთვის... რაც ვითამაშე, არც ერთი როლისთვის არ მიბრძოლია. თუ დამიძახებდნენ, დამიძახებდნენ.

**– ცოლი რატომ არ შეირთეთ, არავინ მოგწონდათ, გიყვარდათ...**

– არ ვიცი, ეს ძალიან რთული საკითხია... ასე მოხდა. ხომ იცით, ყველაფერი უფლის ხელშია. ღმერთმა ასე წაიყვანა ჩემი ცხოვრება. როგორ არ მომწონდა და მიყვარდა. ბევრი ისეთი სიტუაცია ყოფილა, როცა შეიძლებოდა, ეს ნაბიჯი გადამედგა, მაგრამ არ მოხდა. ჯერჯერობით მარტო ვარ და მერე ვნახოთ, რა მოხდება. ვფიქრობ ამაზე, აღარ ვაპირებ ასე ცხოვრებას. სანამ ახალგაზრდა ვიყავი, ვმუშაობდი და ცხოვრების ფერხულში ჩართული ვიყავი, ვერ ვგრძნობდი. დედაჩემი ცოცხალი იყო. მარტო იყო და ავადმყოფობდა, მას ვუვლიდი, ვპატრონობდი. ასე წავიდა ეს ცხოვრება. ახლა აღარც სამუშაო მაქვს, აღარც დედაჩემია და აღარც მეგობრები, ნათესაობა. დავრჩი ასე, მარტო. ვნანობ, რომ ბევრი რამის გაკეთება შემეძლო და არ გავაკეთე. არასდროს არაფერზე მიზრუნია – არც პირად ცხოვრებაში, როგორც უკვე აღვნიშნე და არც ქონებასა და ცხოვრებაზე ვყოფილვარ დახამებული... მაშინ, როცა ბევრს დავხმარებივარ, ბევრისთვის ხელი გამიმართავს. ბინაც უკეთესი მექნებოდა და ყველაფერიც, მაგრამ ამაზე არ მიზრუნია. ამ ბინაშიც შემთხვევით მოვხვდი. აქ რეზო გაბრიაძე ცხოვრობდა. თვითონ საბურთალოზე გადავიდა, მე კი, სულ ვქირაობდი ბინებს. ერთხელაც ქუჩაში შემხვდა, ისე, შემთხვევით. მომიკითხა. მერე მკითხა, სად ცხოვრობ ახლაო. ქირით ვარ-მეთქი. აი, გასაღები, შეხვალ და იცხოვრებ, ოღონდ ჩუმად იყავი, არავინ დაგინახოსო. მე მივდივარ აქედან, მაგრამ ამ ბინის ჩაბარებას არ ვაპირებ – სახლმმართველობისთვის უნდა ჩაებარებინა, – შედი და იცხოვრე, თან კინოსტუდიიდან გააკეთე მოთხოვნა, რომ გაგიფორმონო. ასე შემოვედი ამ ბინაში და დავრჩი.

**ეკა პატარაია**

(22-ე გვერდიდან)

პაპკით, ესკიზებით. ყველაფერი გავიარე, რაც საჭირო იყო – ისე არ ხდება, დროშა დაკიდე და ჰიმნი იმღერე... დავსვი მაგარი პროგრამისტები, შევიყვანე ინტერნეტში და ვაჩვენე ყველა ქვეყნის ინაუგურაცია, – პრეზიდენტს რა უნდა ეცვას, პირველ ლედის რა უნდა ეცვას... მეორე დღეს დილით მოვიდნენ მთავრობის ხალხი, ძალოვანები, რეჟისორიც იქ არის. შემოვიდა მიშა, ყველას ჩამოგვართვა ხელი, ვდგავართ ვსაუბრობთ. დავით თევზაძეს ეუბნება: აბა, შენ იცი, ტექნიკა გააწკრიალე და გამოიყვანეო. მე ვუთხარი: ბატონო პრეზიდენტო, თუ შეიძლება, ერთი საინტერესო წინადადება მაქვს, მერე არ ვინანო, რომ არ გითხარით და მომისმინეთ-მეთქი. რაშია საქმეო. იქნებ ვარდების რევოლუცია, რაც მოხდა, უფრო ლამაზად ვაჩვენოთ. არ გვინდა ტექნიკა, მოდი, ყველას ვაჩვენოთ მაგალითი-მეთქი... თევზაძემ, აგაშენათ ღმერთმა, ბატონო მურაზ! ტექნიკა ისედაც არ მყავსო. ისიც გამოაგდეს და მეც *(იცინის)*. ამის შემდეგ, ჩემს შვილს, ნატოს – არც ერთი პრემია, ჩემს შვილიშვილს – არც ერთი პრემია, მაკა გამოაგდეს სასწავლებლიდან... უამრავ საზიზღრობას სჩადიოდნენ. სიგნალიზაცია დავაყენე, რაღაც ბევრი ანტენები გაქვთ და რა არისო, – მითხრეს. ახლა, ახალი მთავრობა რომ მოვიდა, დამირეკეს: თუ შეიძლება, მოვალთ, იქ რაღაც დაგვრჩა და წავიღებთო. მე ვუთხარი, ფული მაქვს გადახდილი ამაში 1 400 ლარი, რას ჰქვია წაიღებთ, მოსმენა აკრძალეს და უნდა მოვხსნათო. თურმე, მოსასმენი აპარატურა დაუმონტაჟებიათ და მე გადამახდევინეს ფული. მოვიდნენ და წაიღეს, ეს იყო შარშან ზამთარში.

**– მოსასმენი აპარატურა, თქვენ?**

– ბადრის სახელზე ლიტერატურული სალონის სტილის კლუბი გავხსენი და ყველა, ვინც ბადრის არ უღალატა, აქ ვიკრიბებოდით. ხედავდნენ, მანქანები რომ ჩამოდგებოდნენ, მაგრამ ჩვენ არ ვიცოდით, თუ მოსასმენი აპარატურა მედგა სახლში.

**– სახელი და პატივისცემა თქვენ არ გაკლიათ, აკეთებთ იმ საქმეს, რაც მოგწონთ, გსიამოვნებთ და ძალიან მაგრად გამოგდით, გაქვთ არაჩეულებრივი ოჯახი, ხართ სიმპათიური,**

# ვინ დაადო ბანკის ვალები და დაუმონტაჟა სახლში მოსასმენი აპარატურა მურაზ მურვანიძეს

**მუდამ ქალების ყურადღების ცენტრში, საინტერესო ადამიანი – რას ნანობთ ყველაზე მეტად, თუ მიიჩნევთ, რომ რაღაც ისე არ უნდა გაგეკეთებინათ?**

– სინანული ყოველთვის ერთი მქონდა, მამა რომ არ მყავდა. სულ მგონია, რაც მაკლია იმის გამო მაკლია, რომ მამის ხელში არ გავიზარდე. სამაგიეროდ მამაჩემის ლეგენდამ გამზარდა. 31 წლის დაიღუპა. იყო მეცნიერების კანდიდატი, მოცურავე, ალპინისტი, ბოქსიორი, უდიდესი ფიზიკური ძალის პატრონი. ბრძოლისუნარიანობა არ მაქვს ისეთი, რაღაც გავიტანო ჩემი სახელისთვის. იმ იდეებს გავიტანდი, რომლებიც აუცილებელია ჩვენი ქალაქისთვის. ქალაქი რომ გამომყვეს, მექად გავხდი – როგორი უნდა იყოს, რა კოზირი აქვს თბილისს, ის, რაც მსოფლიოში არც ერთ ქალაქს არ აქვს. ყველა მარტო წარმოებებზე, სახლებზე, უმუშევრობაზე ლაპარაკობს. რომ ვყოფილიყავი მამაკაცის გაზრდილი, ალბათ, გავიტანდი, მაგრამ რბილი ვარ. საქართველოში ჩემი ხასიათით სულ ყოველთვის ბოლო ადგილზე ვიყავი. როგორც კი ამ ქვეყნიდან წავედი, პირველ ადგილზე დავდექი. მერე, რომ ჩამოვედი, ცოტა პატივისცემა დავიმსახურე, თორემ ისე, აქ ვიყავი, პრაქტიკულად, არარაობა.

**– გახსოვთ, ხატვის გარდა რა გაინტერესებდათ ახალგაზრდობაში?**

– კი, სულ მინდოდა, ვყოფილიყავი საბავშვო ბაღის დირექტორი, იმიტომ რომ, ბავშვებისთვის კარაქი არ მოეპარათ. სულ პატარა რომ ვიყავი, მინდოდა, ფეხსაცმლის წმენდავი ვყოფილიყავი. ჩვენთან სტუმრები რომ მოდიოდნენ, მაგიდის ქვეშ შევძვრებოდი და ფეხსაცმელებს ვუწმენდდი. ქუჩაც გამოვიარე, რასაკვირველია, მაგრამ ჩემი ოჯახის ქალები სულ დამსდევდნენ და ძალიან მეცოდებოდნენ. ჩემ გარდა, ოჯახში მამაკაცი არ დარჩენილა, მყავდა მხოლოდ მამინაცვალი. დედა გათხოვდა რამდენიმე წლის შემდეგ. გადასარევი პიროვნება შემოვიდა ჩვენს ოჯახში. მერე შემეძინა ძმა, რომელიც ძალიან მიყვარს.

**– წარმოსახვაზე მინდა, გკითხოთ. ჩაცმული ქალს შიშველს რომ ხედავთ, ეს თქვენ გინდათ, ასე წარმოიდგინოთ, ის ვინც მოგეწონებათ, თუ, უბრალოდ, გეჩვენებათ?**

– არაფერი არ მეჩვენება, მართლა ვხედავ. ნებისმიერ ქალს შემიძლია, შევხედო და დავხატო შიშველი. ახლა ვაწყნარებ ხალხს, სიბერეში აღარ ვხედავ-მეთქი და უფრო თავისუფლად არიან ჩემთან. მე, საერთოდ, რაღაც მჭირდა ისეთი, რისიც მეშინია, ამიტომ, ერთხელ ავდექი და ავლიპ ზურაბაშვილს მივაკითხე. მაკაც წამომყვა. სასწაული კოლორიტული პიროვნება იყო... მოვუყევი ჩემი ამბავი. მეკითხება: კაცო, ამნაირი ხილვები რომ გაქვს, ახლა შენა, მერე მოგწონსო? მე ვუთხარი კი, საინტერესოა-მეთქი. ჰოდა, მე კიდენა მშურს შენი, წადი და იცხოვრე რა...

**– თქვენთან საუბარი, ალბათ, არასდროს არავის მოსწყინდება. არც მეგონა, თუ ასეთი ლაღი და კარგი იუმორის პატრონი იყავით.**

– მე არასდროს ვარ სერიოზული, გარეგნობა მაქვს სერიოზული თორემ, ცხოვრებაში სერიოზული არ ვყოფილვარ. სულ ბავშვებთან ერთად ფეხბურთს ან რაღაცას ვთამაშობ. დედაჩემს, რატომღაც ეგონა, კულტურის მინისტრი გავხდებოდი ჩემი განათლებით. იტყოდა, მურაზი კულტურის მინისტრი რომ გახდება, მაშინ მაინც დაანებებს თავს ქუჩის ბავშვებთან ფეხბურთის თამაშსო. აი, ახლაც „ბასეინიდან” მოვდივარ პატარა ბავშვთან, ჩემი მეგობრის შვილთან ერთად ვცურავდი და ვყვინთავდი. ყოველ დილით ასე ვარ, ხან ვცურავ, ხან ვვარჯიშობ, ხან ბურთს ვთამაშობ.

**– ათი, ოცი წლის მერეც აპირებთ ასე ცხოვრებას, როგორ წარმოგიდგენიათ მაგ პერიოდისთვის თავი?**

– შეიძლება, გავაგრძელო ხატვა, შეიძლება არა. თქვენ გგონიათ, ძალიან მიყვარს და ვგიჟდები?! ვხატავ იმიტომ, რომ ვიღაცას მივუძღვნა, ვიღაც ვასიამოვნო... მოხუცი არასდროს ვიქნები. ვიცი, რომ სანამ ვიქნები – ახალგაზრდა ვიქნები!

**ეკა პატარაია**

**სამყაროში ბევრი ფაქტი თუ მოვლენა ამოუცნობი რჩება. მათზე აქტიურად მუშაობენ მეცნიერები, მაგრამ ბევრი კითხვა ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია. როგორც ბატონი გია ამბობს, ის გამორჩეული ადამიანია და ეს ბავშვობიდან შეამჩნიეს გარშემო მყოფებმა. მან თურმე საიქიოშიც „იმოგზაურა“, წინასწარმეტყველებაც შეუძლია და წინასწარ გრძნობს მომავალში მოსახდენ ფაქტებს.**

# რაზე მიგვანიშნებს ქვეცნობიერი გულის უეცარი აჩქარებით და რაზე მეტყველებს ადამიანის ქცევასა თუ მდგომარეობაში გარკვეული ცვლილებები

**გია**: ჩემი გამორჩეული ნიჭი, გარშემო მყოფების გაოცებას იწვევს. ეს უნარი, ბავშვობიდან შემამჩნიეს. დაახლოებით, ცხრა წლის ასაკში, იმქვეყნად ვიმოგზაურე. სწორედ ამის შემდეგ დამეწყო უცნაური ხედვა და მოვლენების წინასწარ ამოცნობის ნიჭიც შევიძინე.

**– თუ გახსოვთ, თქვენი იმქვეყნად „მოგზაურობა“ როგორ მოხდა?**

– როგორ არ მახსოვს, გავცივდი, მაღალი სიცხე მომცა, ამაკანკალა და გავითიშე. მთელი ერთი დღე და ღამე უგონოდ ვიყავი და სწორედ მაშინ ვიხილე იმქვეყნიური სამყარო. ვერ წარმოიდგენთ, როგორი სიმშვიდე და ჰარმონია, როგორი ფერთა გამა და სამყაროა იმქვეყნად. მართალია, ჩემი ახლობლები გადავრიე შიშით, მაგრამ თვალი რომ გავახილე, მივხვდი, სულ სხვა ადამიანი ვიყავი, თითქოს მეორედ დავიბადე. სწორედ იმ დღიდან დაიწყო ჩემი უცნაური ნიჭის გამოღვიძება. დღეს შემიძლია, მომავალში მოსახდენი ფაქტებიც წინასწარ განვჭვრიტო და შესაძლო საფრთხეებზეც გავაკეთო უტყუარი პროგნოზი. ჩემი თანატოლებისგანაც, ყოველთვის აშკარად გამოვირჩეოდი. იმათ გააზრებულიც არ ჰქონდათ, რომ წინასწარ ვიცოდი, რას იტყოდნენ და მოიმოქმედებდნენ. ხანდახან, დავჯდებოდი მარტო და ვფიქრობდი იმქვეყნიურ სამოთხეზე. ბევრჯერ მინატრია, ნეტავ, ისევ იქ დამაბრუნა-მეთქი. მაგრამ, ახლა ვხვდები, ასეთ რამეზე არ უნდა მეფიქრა. ყველა ადამიანს ჩვენი დრო და მისია გვაქვს ამქვეყნად. დღეს თუ ხვალ, ყველა იმქვეყნად წავალთ და იმ სასწაულის ხილვას მაინც ვერ ავცდებით, რაც მე ბავშვობაში ვიხილე.

**– არ გეწყინოთ, მაგრამ ბევრი ამბობს, ასეთი ამბების არ გვჯერა და მას თავად ადამიანები იგონებენ, მათი ფანტაზიის ნაყოფიაო.**

– დამიჯერეთ, ცდებიან. არსებობს ისეთი კანონზომიერება, მატერიალურს რომ ცდება და არ ემორჩილება. ამდენად, გასათვალისწინებელია ყველაფერი, რასაც მისტიკას და პარაფსიქოლოგიურ მოვლენებს უწოდებენ. კლინიკური სიკვდილი სასწაულია, რომელიც ადამიანს იმ რეალობაზე მიანიშნებს, რაც მიღმა სამყაროში ნამდვილად არსებობს. იმასაც ამბობენ, კლინიკური სიკვდილი და იმქვეყნიურ სამყაროში დროებით მოხვედრა, მხოლოდ რჩეულთა ხვედრიაო. ვინც ფიქრობს, რომ კლინიკური სიკვდილის შემთხვევა, რჩეულთა ხვედრია, ვეთანხმები, რადგან ადამიანები ამ დროს არამიწიერ მშვენიერებას და გარდაცვლილ ახლობლებს ხედავენ და არც უკან დაბრუნება სურთ. ზოგადად კი, როცა კლინიკური სიკვდილი ზებუნებრივ შესაძლებლობებს იძენს, ჯერ კიდევ კვლევის საგანია და ამ საკითხზე მეცნიერების დისკუსიები დიდხანს გრძელდება. ამიტომ, არ მიკვირს, ზოგს რომ არ სჯერა მსგავსი ფაქტების და ჩემი მონაყოლიც ღიმილს ჰგვრით. მართალია, ეს რთული გასაგები და აღსაქმელია, მაგრამ ეს მე საკუთარ თავზე გამოვცადე. წინათგრძნობა კი მეტ-ნაკლებად ყველა ადამიანს აქვს განვითარებული. ზოგი ამას მეტად აქცევს ყურადღებას, ზოგიც – ნაკლებად. ადამიანების უმრავლესობას კი წინათგრძნობა სიზმარში აქვს, რადგან ტვინში არსებობს ისეთი უჯრედები, რომლებიც მხოლოდ ღამით, ადამიანის ძილის დროს აქტიურდება. ამ უჯრედებამდე კი ინფორმაცია სხვა არხებიდან, კერძოდ, ასტრალური სფეროდან მოდის.

**– მართალია, რომ ასტრალური სფერო დროის ფაქტორს გამორიცხავს?**

– ასტრალური სფერო დროის ფაქტორს აბსოლუტურად გამორიცხავს. ანუ, ის ერთნაირად მოიცავს წარსულს, აწმყოსა და მომავალს. ადამიანის ტვინი ღამით სწორედ ასტრალიდან მომავალ ინფორმაციას იღებს. ამიტომ, როცა სიზმრით ან სხვა ფორმით რამე ინფორმაციას იღებთ, ის მომავალში აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ. არის შემთხვევები, როცა რაღაც მოვლენის შესახებ წინათგრძნობა გამოიხატება უნებური მოქმედებით, მაგალითად, მოუსვენრობით, ჯანმრთელობის ან გუნება-განწყობის გაუარესებით, უეცარი და უმიზეზო ტირილის სურვილით და ასე შემდეგ. მაგალითად, თუ უეცრად გული აგიჩქარდათ, ამ დროს ქვეცნობიერი რაღაც უსიამოვნო ინფორმაციაზე მიგანიშნებთ. ადამიანის ქცევასა თუ მდგომარეობაში გარკვეული ცვლილებების მიზეზი, სწორედაც ქვეცნობიერია. წინათგრძნობა კი, არა მარტო ცუდის, არამედ კარგი ამბისაც აქვს ადამიანს და ამის არ უნდა შეგეშინდეთ.



**სხვა სხეულში მოსვლის დროს, სული ადამიანს აძლევს შანსს, სწორედ იმ სფეროში იყოს ნიჭიერი და წარმატებული, რომელშიც წინა ცხოვრებაში ჰქონდა დაგროვილი მეტი გამოცდილება**

**– გამიგია, რომ, თითქოს ადამიანის პარაფსიქოლოგიური უნარი მუცლადყოფნის დროს, ჩანასახშივე იწყებს განვითარებასო. თუ არის ეს რეალური და რას გვეტყვით ამაზე?**

– ადამიანის სულის სრულყოფილებისკენ სწრაფვა, ჩანასახიდანვე იწყება და დამოკიდებულია მშობლების გენეტიკური კოდის ურთიერთშერწყმასა და მათი ბიოენერგეტიკული ძალების ურთიერთშეთავსებაზე. ადამიანთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ნიჭიერება მემკვიდრეობით გადადის წინაპრიდან შთამომავალზე, მაგრამ ეს ასე არ არის. სხვათა შორის, ადამიანის სულის სრულყოფისთვის დედამიწაზე მხოლოდ ერთი სიცოცხლე არ არის საკმარისი. ადამიანის სული დედამიწაზე რამდენჯერმე მეორდება და განაგრძობს ცხოვრებას. ეზოთერიკულ ცნობებში წერია, რომ ადამიანის ხელახალი განსხეულების შეხედულებათა მიხედვით, ადამიანის სული რამდენჯერმე იბადება ამქვეყნად, ოღონდ არა ერთ, არამედ სხვადასხვა სხეულში. ყოველი ახალი მოსვლის დროს, ის უშვებს შეცდომებს, აგროვებს გამოცდილებას, ემატება ჭკუა, უკეთესად შეუძლია, ამოიცნოს კეთილისა თუ ბოროტის მსურველი გარშემო მყოფებს შორის – ვინ როგორი განწყობითა და ზრახვით არის მის მიმართ და ასე შემდეგ. მოკლედ, სულში დაგროვილი და დალექილი გამოცდილება თანდაყოლილი ნიჭის საფუძველი ხდება. გარდაცვალების შემდეგ, ის კვლავ სული ხდება და ხელახლა გადის მსგავს გამოცდილებას, მერე ხელახლა იბადება და ბრუნდება დედამიწაზე. სხვა ადამიანის სხეულში მოსვლის დროს, მას აძლევს შანსს, სწორედ იმ სფეროში იყოს ნიჭიერი და წარმატებული, რომელშიც წინა ცხოვრებაში ჰქონდა დაგროვილი მეტი გამოცდილება. ამ დროს შესაძლებელია, წარსულ ცხოვრებაში ჩადენილი ცოდვებიც გახდეს ადამიანის გაუბედურების მიზეზი. წარსული ცოდვებისა თუ დანაშაულის სიმძიმეს ადამიანის ფსიქიკა ვერ უძლებს. ამიტომ, ახალ სიცოცხლეში ჩასახლებული სული გვაძლევს არა მარტო კონკრეტულ ინფორმაციას, არამედ წარსულ ცხოვრებაში შეჯამებულ შედეგებს, მაგალითად, მიდრეკილებას, ნიჭსა და ტალანტს. ასევე, ნებისმიერ, ჩვენგან წარმოთქმულ სიტყვას, უდიდესი ენერგეტიკული ძალა აქვს. ამიტომ, უნდა აკონტროლოთ ემოცია და აზრები, რომ უნებურად, რამე არასასურველი არ წამოგცდეთ, რომელიც ბუმერანგივით უკან შემოგიბრუნდებათ და შესაძლოა, ცხოვრებაში უსიამოვნებების მიზეზიც კი გახდეს. აკონტროლეთ ემოციები და სიტყვები, რომელსაც წარმოთქვამთ და იფიქრეთ იმაზე, რა შედეგები მოჰყვება ადამიანის უკონტროლო ემოციებს. სიტყვა, გარკვეული ენერგეტიკის მატარებელია და უდიდესი ზემოქმედების მოხდენაც შეუძლია. თუმცა, ძალა არა თავად წარმოთქმულ სიტყვას აქვს, არამედ იმ ენერგეტიკას, რაც უშუალოდ მას მოჰყვება. საერთოდ, რაც მეტად გაბრაზებული ლაპარაკობს ადამიანი და მძაფრია ემოციური ფონი, მით მეტი ძალა აქვს, ანუ, ის, მეტ ენერგეტიკას იძენს. სიტყვასაც მეტი ზემოქმედება შეუძლია სხვა ადამიანზე და თავად მთქმელზეც. დიდია შანსი, ვიღაცის ემოციური საუბრის შემდეგ, გულის არეში ტკივილი იგრძნოთ. არ არის გამორიცხული, ამას უცაბედი ინფარქტიც მოჰყვეს და ეს ნამდვილად ავი მზერისა და სიტყვის შედეგი შეიძლება, იყოს. არ შეიძლება, წარმატებული ადამიანი უცბად გახდეს წარუმატებელი – უბრალოდ არაფერი ხდება, ყველაფერს თავისი კანონზომიერება აქვს და ეს კანონზომიერებები ჩვენზეც მოქმედებს – ზოგზე დადებითად, ზოგზე კი, უარყოფითად.

**ნონა დათეშიძე**

## გაკვეთილები მულტფილმებიდან!

ვინ არ მოხიბლულა მულტფილმების ჯადოსნური სამყაროთი. მაგრამ გვიფიქრია, რა გაკვეთილის მიღება შეიძლება მათგან? მით უმეტეს, რომ ქალებს განსაკუთრებით გვხიბლავს ყველაფერი ჯადოსნური...

**გაკვეთილი №1.** სიყვარული ერთი ნახვით – თითქოს ჩვეულებრივი რამ, რაც თითქმის ყველა მულტფილმში საოცარი მომხიბვლელობით არის აღწერილი.

ბანალურად მოგეჩვენებათ, მაგრამ ჭეშმარიტი სიყვარულისთვის დრო აუცილებელია. მას სჭირდება წინააღმდეგობები, კრიტიკული და სულელური სიტუაციები, ცრემლი, განშორება და მონატრება... მხოლოდ ამ ყველაფრის გავლის შემდეგ, შეიძლება ირწმუნო, რომ შენ გვერდით ნამდვილად ის არის, რომელიც ყველაზე მეტად გჭირდება. მხოლოდ ზღაპარში შეეძლო, კონკიას ერთი ნახვით შეეყვარებინა უფლისწული – მამაკაცი, რომელსაც თითქმის არ იცნობდა.

**გაკვეთილი №2.** მათ იპოვეს ერთმანეთი და ცხოვრობდნენ დიდხანს, ბედნიერად...

იმ ერთადერთის პოვნისთვის, რომელთანაც დიდხანს და ბედნიერად იცხოვრებ, შეიძლება, რამდენიმე მცდელობა იყოს საჭირო. თუ პირველივესთან გაგიმართლებთ, ეს დიდი ბედნიერებაა და სამწუხაროდ, იშვიათი გამონაკლისიც. ზღაპრებშიც კი, პრინცესები მაშინვე ვერ პოულობენ თავიანთ პრინცებს, მაგრამ ეს მათ დეპრესიაში არ აგდებთ – ძებნას აგრძელებენ.

**გაკვეთილი №3.** ცხოვრება უკეთესობისკენ რომ შეცვალო, საკმარისია, იოცნებო ამაზე...

ნურას უკაცრავად! კეთილი ფერიები მხოლოდ ზღაპრებში არსებობენ. რომლებიც ჯოხის ერთი აქნევით გვისრულებენ ოცნებებს. გახსოვდეთ, რომ მხოლოდ თქვენ ხართ საკუთარი თავის კეთილი ფერია. ჯადოსნური ჯოხი კი მონდომება და თავდაუზოგავი შრომაა.

**გაკვეთილი №4.** გინდა იყო ბედნიერი? – ნუ მოუსმენ ნურავის. მათ რა იციან, რა გჭირდება სინამდვილეში.

... რა თქმა უნდა, ზოგჯერ მშობლებიც ცდებიან, მაგრამ მათი თანადგომა და რჩევა დასაფასებელია. ხშირად სრულ სიმართლესაც ამბობენ, მაგალითად, შეიძლება, შენზე ადრე მიხვდნენ, რომ ეს არ არის ნამდვილი სიყვარული და არც ის კაცია სანდო, შენ რომ ცხოვრების მთავარი გმირი გგონია.

**გაკვეთილი №5.** ლამაზი უნდა დაიბადო. მხოლოდ ლამაზებს ერგებათ ნამდვილი უფლისწულები (ანუ, საუკეთესო მამაკაცები).

ტყუილია. ვინ გითხრათ, რომ კონკია ძალიან ლამაზი იყო? ზღაპარში არსად წერია ეს. არც ქალთევზას დაუბრმავებია სილამაზით თავისი უფლისწული. სილამაზის გასაღები ყველა ქალშია. უნდა იცოდე, როგორ გამოაჩინო შენი ინდივიდუალური ხიბლი. მახინჯი იხვის ჭურჭელი ბოლოს გედად იქცა. მთავარია, ირწმუნო საკუთარი თავის...

## სისუსტე აუცილებელია, როცა...

ამბობენ, ქალის ძლიერება მის სისუსტეშიაო... როდის და როგორ სიტუაციაში უნდა იყო სუსტი და აჩვენო მამაკაცს ის, რაც გინდა, რომ ნახოს?!

მაგალითად, ქალმა კაცს თავისი სისუსტე აუცილებლად უნდა დაანახვოს მაშინ, როცა უნდა, რომ მას საკუთარი თავის რწმენა გაუძლიეროს, ანუ, ზოგჯერ აუცილებლად უნდა უთხრათ კაცს, რომ მის გარეშე პრობლემას ვერ გადაჭრით, თუნდაც სინამდვილეში ასე არ იყოს.

როცა ჭეშმარიტად გტკივათ და გწყინთ – იტირეთ, ცრემლებით ჩამოირეცხეთ დარდი. ასეთ დროს მამაკაცი წუხს და განიცდის, რომ ასეთ სუსტ, დაუცველ არსებას აწყენინა. თუმცა, სინდისი ნუ შეგაწუხებთ, თქვენ ტირილის უფლება გაქვთ. მაგრამ, ცრემლები აუცილებლად გულწრფელი უნდა იყოს. მამაკაცებს ზედმეტად აღიზიანებთ ქალის სიყალბე და მანიპულაციები.



თუ გინდათ, მამაკაცს გაუღვიძოთ სურვილი, რაღაც გაჩუქოთ, მაშინაც უნდა გამოიყენოთ თქვენი სისუსტე – ეს კარგი და ბუნებრივი იარაღია, რომელიც პირველი ქალისგან – ევასგან გადმოგვეცემა გენეტიკურად. რომ არ გვჭირდებოდეს, ასე არ მოხდებოდა. თქვენი სისუსტით უნდა მიანიშნოთ მამაკაცს, რომ გასამხნევებლად მისი სიყვარულის დასტური გჭირდებათ, რაც საჩუქრითაც შეიძლება გამოიხატოს. ვერც ერთი მამაკაცი ვერ რჩება გულგრილი, როცა ქალი მიამიტი ბავშვივით ულიმის და ენის მოჩლექით ეტიტინება... ანუ, ისწავლეთ, როდის არის უკეთესი, იყო სუსტი!

## ჩვევები და ახირებები

ყველა ადამიანს აქვს თავისი ინდივიდუალური და განუმეორებელი ახირებები, რომლებიც სხვისთვის ზოგჯერ საერთოდ მიუღებელია. თუმცა, რადგან უერთმანეთოდ ვერ ვძლებთ და მარტო ცხოვრებაც არ შეგვიძლია, უნდა შევეგუოთ ამას. ოღონდ ერთი პატარა აუცილებლობის გათვალისწინებით: შევეგუოთ და მოთმინებით მოვეკიდოთ სხვის ჩვევებს და ახირებებს, ხოლო საკუთარი ჩვევებისა და ახირებების გამოსწორებას შევეცადოთ. მით უფრო, ისეთის, რითაც სხვებს – უახლოეს და საყვარელ ადამიანებს აღიზიანებთ.

გარდა ამისა, არსებობს აქსიომა! მეტი ახირებები და ჩვევები ზღუდავს თავისუფლებას. რადგან ნელ-ნელა აყალიბებს კომპლექსებს.

ახირებები გვართმევენ არჩევნის თავისუფლების, ხელს გვიშლიან პიროვნულ წინსვლასა და განვითარებაში... ვართ შეზღუდულები ქმედებებში... თუმცა, არსებობს ისეთი ჩვევებიც, რომლებიც, უნდა მოახერხოთ და თქვენი პიროვნების იდენტიფიკაციისთვის, ინდივიდუალურობის გამოსახატად გამოიყენოთ.

არასოდეს დაგავიწყდეთ მარტივი ჭეშმარიტებაც. გარშემო მყოფები აღგვიქვამენ ჩვენ მთლიანად... ჩვენი ღირსებებით, ნაკლით, ჩვევებით, სიარულის მანერით, ასევე, ახირებებითა და კომპლექსებითაც. ეჩვევიან კიდეც მათ და თუ უცებ, რაღაცას არ გააკეთებთ, რისი მოლოდინიც აქვთ, გაუკვირდებათ. ამით იმისი თქმა გვინდა, რომ ძალიანაც ნუ დაკომპლექსდებით თქვენი ახირებებისა და ჩვევების გამო. უბრალოდ, ისწავლეთ მათი ლამაზად მიწოდება. ქალს აქვს უნარი, მოიხდინოს ნაკლიც კი. უბრალოდ, ამას ცოდნა სჭირდება.

გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძე

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# დიეტა სახის კანისთვის

ძალიან ხშირად, ქალების უმრავლესობა დიეტას იცავს მხოლოდ გახდომის მიზნით. მათ ჰგონიათ, რომ, მთავარია, წონაში დაიკლონ, მაგრამ, ავიწყდებათ, დაფიქრდნენ, რას სწირავენ მსხვერპლად ამას, ანუ, რის ხარჯზე აღწევენ მიზანს. არადა, ნამდვილად ღირს დაფიქრებად, რადგან, სახის კანის ჯანმრთელი ვიზუალი სწორედ გონივრულ დიეტაზეა დამოკიდებული.

ბებიებმა იცოდნენ თქმა, კანის სილამაზე კუჭ-ნაწლავის ჯანმრთელობაზეა დამოკიდებულიო. ეს მართლაც ასეა. იკვებებით თუ არა სწორად, ამაზე რამდენიმე დღეში „მიგითითებთ" სახის კანი – კვების რეჟიმის დარღვევა ან შემადგენელი პროდუქტების შეუსაბამობა, მომენტალურად აისახება სახეზე. ამიტომ, სახის კანზე ზრუნვა სწორი კვებით უნდა დაიწყოთ.



ზღვის თევზი A და D ვიტამინებისა და ომეგა 3-ის მჟავების საბადოა. ის უზრუნველყოფს კანის უჯრედების აღდგენასა და სიმკვრივეს. შესაბამისად, აუცილებელია, კვირაში 3-ჯერ ჩართოთ ის თქვენს რაციონში, ოღონდ, მხოლოდ მოხარშული სახით.

ქვავის ფაფა უხვად შეიცავს B ჯგუფის ვიტამინებსა და ბოტინს. პასუხს აგებს სახის ჯანმრთელ ფერსა და კანის ელასტიკურობაზე.

ფაფა მოხარშეთ წყალში უშაქროდ და უცხიმოდ, მინიმალური რაოდენობის მარილით. მიირთვით ყოველ დილით 200 გრამი.

ხაჭო და რძე კალციუმისა და H ვიტამინის წყაროა. აუცილებელია კანის უჯრედების ზრდისა და ელასტიკურობისთვის. დილით მიირთვით 1 ჭიქა უცხიმო რძე, შუადღესა და სალამოს კი – 100-100 გრამი უცხიმო ხაჭო (ორივე უშაქროდ).

კომბოსტო, ჭარხალი, სტაფილო, ბოლოკი, ისპანახი, კიტრი, პომიდორი, მწვანილი – შეიცავს თითქმის ყველა ვიტამინსა და მიკროელემენტს, რომლებიც აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, წმენდს ორგანიზმს ტოქსინებისა და წიდებისგან, რაც პირდაპირ აისახება სახის კანზე. ეს პროდუქტები შეგიძლიათ მიირთვათ სალათების ან ფხალეულის სახით, უმი ან ოდნავ მოთუთქული, დღეში ერთხელ (მონაცვლეობით).

ნებისმიერი ხილი (თუ დიაბეტი არ გაქვთ, სეზონის მიხედვით, მიირთვით დილით, შუადღესა და სალამოს (19 საათამდე), 200-300 გრამის ოდენობით. შეგიძლიათ, მოიმზადოთ ხილის ასორტი და მოასხათ უცხიმო კეფირი ან მაწონი.

კვება უნდა იყოს მინიმუმ ოთხჯერადი, ყოველ კვებამდე ნახევარი საათით ადრე დალიეთ 1 ჩაის ჭიქა უშაქრო მწვანე ჩაი (ნელთბილი), კვებიდან ნახევარი საათის შემდეგ კი – 1 ჩაის ჭიქა გაზგასული მინერალური წყალი.

ჩაისა და მინერალურის გარდა, დღეში უნდა დალიოთ მინიმუმ 2 ლიტრი ჩვეულებრივი სასმელი წყალი.

ამ დიეტის პარალელურად, პიტნის, ოხრახუშის, ნიახურისა და გვირილის ნახარშებისგან მომზადეთ ყინულის კუბიკები და დილასაღამოს მსუბუქად დაიმასაჟეთ სახე (მონაცვლეობით), რომ შეგაშრებათ, წაისვით შესაბამისი მკვებავი კრემი.


**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მ ი ი ღ ე თ**

**ლაქტო-ჯი**

**www.laqto.ge**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.


# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: ვიცი, რომ არსებობს თანამედროვე ტექნოლოგიები, რომელთა მეშვეობითაც ხდება კანიდან დეფექტების მოშორება. თუ შეიძლება, მოკლედ მიამბეთ ამ ტექნოლოგიების შესახებ.**

**პასუხი:** თანამედროვე აპარატული ტექნოლოგიები (მაგალითად, ლაზერით ან ულტრაბგერით ზემოქმედება) ეხმარება დერმატოლოგებს კანის დეფექტების რადიკალურად მოშორებაში.

ელოს-ტექნოლოგია დაფუძნებულია სხივისა და ბიპოლარული რადიოსიხშირის ენერგიების ერთობლივ ზემოქმედებაზე. ეს პროცედურა სასიამოვნოდ მოქმედებს ორგანიზმზე და აჩქარებს კანის განახლების ბუნებრივ პროცესებს. შედეგად, ქრება სისხლძარღვთა „ვარსკვლავები" და კუპეროზის სხვა ნიშნები, კანი იძენს ჯანსაღ ფერს. ამ მეთოდით შეიძლება, მოიშოროთ პიგმენტური ლაქები, აკნეს შემდეგ დარჩენილი ნაწიბურები, ფორების გაგანიერება, სახის ჭარბცხიმიანობა, მოდუნება და ჩამოკიდება.

ულტრაბგერითი თერაპია არეგულირებს კუნთების ტონუსს, აფართოებს სისხლძარღვებს, აწესრიგებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში; აკეთებს ქსოვილის მიკრომასაჟს და აქრობს ნაწიბურებს.

ულტრაბგერაზეა დაფუძნებული ულტრაბგერითი მასაჟი, ფონოფორეზი, კავიტაციური ლიპოლიზი და სახის ულტრაბგერითი გაწმენდა.

**კითხვა: რა სახის პროცედურაა კოლაგენ-მაინდუცირებელი თერაპია?**



**პასუხი:** როლერის მიკრონემსი შედის კანის სიღრმეში, ასტიმულირებს უჯრედებს და უზრუნველყოფს ვიტამინებისა და აქტიური კომპონენტების უფრო ღრმად შეღწევას. შედეგად, ხდება კოლაგენის სინთეზის ბუნებრივი აქტივაცია, კანის განახლება და დაჭიმვა.

**კითხვა: მაინტერესებს, რა არის კონკრეტული მიზეზი იმისა, რომ ასაკის მატებასთან ერთად, კანი დუნდება და ჩნდება ნაოჭები?**

**პასუხი:** ზოგადად, კანის მოდუნება და ნაოჭების გაჩენა, შეიძლება, უამრავმა მიზეზმა გამოიწვიოს (არასწორი კვება, სიგარეტი, სტრესები და ასე შემდეგ), მაგრამ, ასაკის მატებასთან ერთად, კანის მოდუნებასა და ნაოჭების გაჩენას იწვევს კანში ტენიანობის შემცირება. ცნობილია, რომ ახალგაზრდა კანი შეიცავს 70 პროცენტ წყალს, ასაკის მატებისას კი, ეს პროცენტული მაჩვენებელი მცირდება, კანი კარგავს ტენიანობას და მასთან ერთად, სიმკვირვესა და ელასტიკურობას. ამიტომაც არის აუცილებელი, დამატენიანებელი კრემების სისტემატური გამოყენება 25 წლის ზემოთ.

**კითხვა: ჟოლო რომ უნიკალური ხილია ჯანმრთელობისთვის, ყველამ იცის, მაგრამ, მაინტერესებს, რატომ იყენებენ მას კოსმეტოლოგიაში, რითაა ის სასარგებლო კანისთვის?**

**პასუხი.** ჟოლოში შემავალი ვიტამინებისა და მიკროელემენტების წყალობით, ფერხდება კანის „ჭკნობა" და აღდგება მისი ელასტიკურობა, სიმკვრივე. ეს კენკრა, ასევე, საუკეთესო მატონიზებელი საშუალებაა.

**კითხვა: მართალია თუ არა, რომ ბოტოქსის ნემსების განმეორებით გაკეთება არაეფექტურია?**

**პასუხი:** პაციენტების 30 პროცენტი, რომელმაც გაიკეთა პირველი თაობის ბოტულოტოქსინის ნემსები, აცხადებს, რომ მეორედ გაკეთების შემდეგ, ან ძალიან ხანმოკლე შედეგი მიიღეს, ან საერთოდ არ ჰქონიათ არანაირი შედეგი. მაგრამ, ახლახან ბაზარზე გაჩნდა ახალი, ეგრეთ წოდებული „სუფთა" ბოტულოტოქსინი, რომელიც ასპროცენტიან შედეგს იძლევა.

**მოამზადა
თამრიკო ზამთარაძემ**

# ინტიმური საუბრები

### ჩემი ბიძაშვილის ქმარი მშობლებმა სახლიდან გააგდეს

ერთი ბიძაშვილი მყავს, თეიკო, რომელთან ერთადაც გავიზარდე. ძალიან ჩუმი და წყნარი იყო ბავშვობაში და დიდობაშიც ასეთი დარჩა. ისე მოხდა, რომ 16 წლისა მოტყუებით წაიყვანა ახალგაცნობილმა ბიჭმა, დაქალის ძმის მეგობარმა, გეგამ, რომელიც მაშინ 25 წლის იყო. კერძო სასწავლებლის სადარბაზოსთან დაუდარაჯდა მანქანით, ვითომ შემთხვევით შეხვდა და უთხრა, ნინოსთან და მის ძმასთან მივდივარ



სახლში და, თუ გინდა, შენც წამოდიო. ესეც ენდო, ჩაუჯდა მანქანაში და ორი საათის შემდეგ ნინოს ნაცვლად სადღაც რაიონში წაიყვანა ნათესავთან. მშობლებმა რომ მიაკითხეს, აღარ წამოჰყვა, რადგან, გეგა მუხლებზე დაჩოქილი უხსნიდა სიყვარულს და თვალებზე ცრემლმომდგარი იფიცებოდა, თუ წახვალ, თავს მოვიკლავო. სინამდვილეში არც კი იცოდა, უყვარდა თუ არა, რადგან იმ ბიჭს წესიერად არ იცნობდა და, თანაც, არ იყო ასეთ რამეებში გამოცდილი თავისი ზოგიერთი დაქალივით. მოკლედ, თეიკო გათხოვდა. დედამთილ-მამამთილმა ძალიან კარგად მიიღო რძალი და, რომ იტყვიან, ორივეს ხილისგულზე დაჰყავდა, მაგრამ გეგას თავისი სიყვარულის ფიცი ნახევარ წელიწადში დაავიწყდა და ცოლს, პრაქტიკულად, არანაირ ყურადღებას არ აქცევდა. იჯდა საწყალი გოგო მთელი დღეები სახლში და ქმარს ელოდა, ის კი ხან ძალიან გვიან ბრუნდებოდა, ხანაც ზედიზედ რამდენიმე ღამეს სხვაგან ათევდა. ყველაფერთან ერთად, გეგა უსაქმური, უხასიათო და სერიოზული ნარკომანი აღმოჩნდა. თეიკომ ეს რომ გაიგო, ისე ინერვიულა, მუცელი მოეშალა, მაგრამ თავის მშობლებს მაინც არაფერი უთხრა და ასე გულში იკლავდა დარდსა და ტკივილს. დედმამა და ორი გათხოვილი და, თავიანთი ქმრებიანად, ძალიან ეჩხუბებოდნენ გეგას, მაგრამ იმას ყველა და ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. ერთადერთი, რასაც ცოლისგან მოითხოვდა, შვილების გაჩენა იყო და სამი შვილი (სამივე ბიჭი) ზედიზედ გააჩენინა, თუმცა, არც ამან მოაბრუნა ოჯახისკენ. რამდენიმე წლის შემდეგ კი ისიც გაირკვა, რომ თურმე, საყვარლებიც ჰყავდა, თან, თეიკოს კარგი ნაცნობები. მოკლედ, საწყალ გოგოს ცხოვრება ჯოჯოხეთად ექცა და, ერთ დღესაც, დედამთილმამამთილს უთხრა, მივდივარ და ბავშვებიც თან მიმყავსო. ამის პასუხად დედამთილმა ჩაულაგა თავის შვილს ჩემოდანი და, პრაქტიკულად, სახლიდან გააგდო. რძალსა და შვილიშვილებს კი მამამთილმა ცალკე ბინა უყიდა, ყველანაირად მოუწყო და დღემდე თან ჰყვება.

თეიკომ ახლახან გაიგო, რომ გეგას შერიგება უნებებია და ძმაკაცებს სთხოვს ამ საქმეში შუამავლობას, მაგრამ, იმათაც უარი უთხრეს – შენ ასეთი ცოლ-შვილის ღირსი არ ხარო. შვილებმაც კი არ მოისურვეს მამასთან შეხვედრა – ამდენი წელია, ერთხელ არ მოუკითხავს ჩვენი ამბავი და ახლა არც ჩვენ გვაინტერესებს, თვითონ როგორ არისო. უფროსი ბიჭი 13 წლის არის, შუათანა – 11-ის, უმცროსი კი – 10-ის. არც ისეთი პატარები აღარ არიან, ვინმემ თავის ჭკუაზე ატაროს. თეიკოს ვატყობ, თუკი ბავშვები მოინდომებენ მამის დაბრუნებას, მზად არის, ყველაფერი აპატიოს ქმარს, რაზეც ჭკუიდან ვიშლები. ყველაზე მეტად კი ის მაგიჟებს, რომ ერთადერთხელ მიაკითხა გეგამ ბავშვებს და მაშინაც ის ბოზი ეჯდა მანქანაში, ვის გამოც ცოლშვილი მიატოვა. სხვათა შორის, ის ქაჯი საკმაოდ ცნობილი ოჯახის შვილია, ეგრეთ წოდებულ ელიტაში გასული და, მით უფრო მიკვირს, რა ჯანდაბად უნდა უწიგნური, გაუნათლებელი, უსაქმური და უკაპიკო ნარკომანი გეგა?!

**სალომე, 30 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

(18-ე გვერდიდან)

## რატომ იწერს ჯვარს გიო გაბუნია ყველა რელიგიის მიხედვით და რით გაუმასპინძლდა ბუდისტი მღვდელი მას კატმანდუში

იერებასთან  ცოტა ვერ ვარ კარგად და ვერც ჩამოწერა ვისწავლე, თუ რა უნდა წავიღო. ჩვევა მაქვს ასეთი – ხმამაღლა ვიმეორებ, ეს ჩავდე, ის ჩავდე. წამლები, ბინტი, სამოსი, წიგნი, ანკესები, რა ვიცი, ბევრი რამ მიმაქვს თან. ყოფილა მოგზაურობა, სადაც ანკესი მითრევია სულ ტყუილად. ანკესები წავიღე ბასკეთში, სადაც კარგი მდინარეები, ტბებია და კარგადაც ვითევზავე. აეროპორტიდან უკვე სხვა ადამიანი ვხდები. იქ იწყება ჩემი „ფილოსოფია" დროსთან. როცა ჩავდივარ დანიშნულების ადგილას, პირველი დღე „იწელება". მაქვს შეგრძნება, რომ იქ უკვე ხუთი დღეა, რაც ვარ. მეორე დღესაც ცოტა ვერ ვარ, მესამე დღეს კი, ჩვეულებრივ რეჟიმში ვდგები და ვეწევი ჩემს ბიოლოგიურ დროს. მოგზაურობის ბოლო დღეებში დრო ჩქარდება, გეწყება სახლის, ოჯახის მონატრება. ისტორიაც მეორდება – როგორც მე ველოდი, ასე მელიან მეც და ასე მეორდება ყველაფერი. თუმცა, ჩემი მშობლებისგან განსხვავებით, მე ამ მხრივ განსხვავებული ვარ. ადრე ვის ახსოვდა საჩუქრები, მარტო დროსტარებაზე ვფიქრობდი. ახლა, არ ვიცი, სიბერის ბრალია, თუ რისი, მაგრამ ბოლო დროს ძალიან სენტიმენტალური გავხდი. უკვე ხშირად მახსენდება, რომ ვიღაცას რაღაც უნდა წავუღო. ამას შოპინგის ფორმა კი არ აქვს – არა, ვიყიდი დანას, ან ბუდას ფიგურას, ან რამე უცნაურს. შოპინგი, კბილის ექიმი და პროფილაქტიკა, ეს არის სამი არასასურველი თემა ჩემს ცხოვრებაში.

**– რამდენი ქვეყანაა შენს „ანგარიშზე"?**

– სიმართლე გითხრათ, არ ვითვლი, აეროპორტებშიც არ ვჩექინდები ***(იცინის).*** ძალიან მინდა, მოვხვდე ავსტრალიაში, მაინტერესებს ალასკა, ორაგულების მდინარეები, სადაც ათი ათას მილს გადიან, ადიან იქ, მაღლა, ქვირითობენ და მერე კვდებიან, რომ ახალგამოჩეკილი ლიფსიტები თავისი ხორცით გამოკვებონ. მერე ლიფსიტები მოუყვებიან მდინარეს და თავიდან იწყება ყველაფერი. მინდა, ამის შემსწრე გავხდე, ჩემი თვალით ვნახო, როგორ იჭერენ დათვები ორაგულებს.

ერთხელ ერთ სუფრაზე ვიღაცამ თქვა: „მეგრელი ლუდი ბალოტა". ჩემთვის კაცის იდენტიფიკაცია არ ხდება იმით, მეგრელი ხარ თუ თბილისელი. მაგრამ, მერე გავაცნობიერე და დავაფიქსირე, რომ ბავშვობიდან მაქვს უცნაური სწრაფვა ჭაობების მიმართ. უცნაურია, მაგრამ ასეა – ჭაობის ყურება მამშვიდებს. მთელი საქართველოს ჭაობები ზეპირად ვიცი. ჩათრევის მცდელობაც მქონია. საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი, როგორ უნდა დაუძვრე ჭაობს, რომ არ ჩაგითრიოს.

**– ბოლო პერიოდში პატრიოტულ ნოტზე გადაერთე და საქართველოს ულამაზესი ადგილები „მოგვატარე".**

– პატრიოტული მოტივიცაა და ყველაფერი ერთად, დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან მქონდა კონტრაქტი, ექვსი გადაცემა გადავიღეთ. ურაპატრიოტულ ყვირილში არ ჩამითვალოთ, მაგრამ ყველას ვურჩევ, ჯერ საქართველო ნახოს და მერე წავიდნენ სხვაგან - ჯერ წავიდნენ კავკასიონზე და მერე ჰიმალაებში. შენი სამშობლოს მიწა, მთა და ბარი მართლა სხვაა. ძნელად გამახსენდება საქართველოში ადგილი, ნამყოფი რომ არ ვიყო. მაიაკოვსკი მევასება ძალიან და სულ მახსენდება მისი სიტყვები: „კავკასიონზე რომ შევდგი ფეხი, მე გამახსენდა, რომ ქართველი ვარ". სხვაგან, სადაც არ უნდა იყო, რაღაც რომ მოხდეს, უმწეობის შეგრძნება გექნება. აქ კი, რაც არ უნდა დაიკარგო, მაინც არ დაიკარგები..

**– „ბოლო გაჩერება" სადაა?**

– არ ვიცი, ალბათ კინოში, რომელიც ჯერ არ დამთავრებულა ჩემს ცხოვრებაში, პირიქით, ახლა იწყება. როცა ამ თემაზე მიფიქრია, ალბათ, მაინც კინოთი დავამთავრებ და დიდ ავიაციას – დიდ კინოს დავუბრუნდები.

**თამუნა ნიჟარაძე**

# რომელი ადგილებია ჩვენს დედაქალაქში ბიოლოგიურად საშიში და როგორ ავიცილოთ მათგან გამოწვეული სავალალო შედეგები

*ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან ადამიანები ცდილობდნენ, ამოეცნოთ ის იდუმალი სამყარო, რაც მიწის ენერგიას ახლავს. მეცნიერებამ, მიწა დადებით და უარყოფით პათოგენურ ზონებად დაყო. თუმცა, თანამედროვე ადამიანსაც საკმაოდ დიდი ინტერესი აქვს იმ ყველაფრის მიმართ, რაც ერთი შეხედვით, არ ჩანს.*

*მიწას აქვს თავისი ძალა და ენერგია. სხვადასხვა ადგილას მიწას განსხვავებული ძალა აქვს – უარყოფითი, ან დადებითი. ეს განპირობებულია მათი მდებარეობით, თუ რომელ გეოპათოგენურ ზონაშია მიწა. ბუნებრივ პათოგენურ ზონას მიეკუთვნება ადგილები, სადაც გეოლოგიური ნაპრალებია, რომელთა ირგვლივაც ჩნდება ანომალიური ზონები, ასევე მიწისქვეშა მდინარეების ხეობები. ასეთ ადგილებში მიწას, ძირითადად, უარყოფითი ენერგია აქვს. ასეთივე ენერგია აქვს მიწას იქ, სადაც აგებულია ტექნოგენური ნაგებობები, გვირაბები, მეტრო, საბადოები. მიწას დადებითი ენერგია აქვს თუ უარყოფითი, ამისი მიხვედრა მარტივადაც შეიძლება. ადამიანი დადებით ადგილზე კომფორტულად გრძნობს თავს, ბიოლოგიურად საშიშ ადგილას კი, შფოთვა ეწყება.*

*თუ რომელი საცხოვრებელი ზონაა საქართველოში გეოპათოგენური და საშიში და როგორ ავიცილოთ მისგან გამოწვეული საშიში შედეგები, ამასთან დაკავშირებით, კომენტარი ვთხოვეთ, უფოლოგ* **ერეკლე შონიას**, *რომელმაც საკმაოდ დასაფიქრებელი და გასათვალისწინებელი ინფორმაცია მოგვაწოდა.*

**ერეკლე შონია:** სახლის ან ეკლესიის ასაშენებლად, ჩვენი წინაპრები ხანგრძლივად ეძებდნენ და არჩევდნენ იმ ადგილს, რომელიც გეოპათეგონური არ იყო. მას, ვაზის ლერწმის საშუალებით ეძებდნენ, რათა ასეთი ადგილი, მათთვის დასვენებისა და ჯანმრთელობისთვის პოზიტიური ყოფილიყო. გავიდა წლები, განვითარდა მეცნიერება და დედამიწის ქერქის შესწავლა უფრო მაღალ დონეზე მოხდა. დღეს, არსებობს სპეციალური ბიოლოკაციური ხელსაწყოები, რომელთა მეშვეობითაც, ადვილად დგინდება, რომელი ადგილია დედამიწაზე ბიოლოგიურად უსაფრთხო და რომელი საშიში. თუმცა, დღეს, ამას სათანადოდ აღარ ექცევა ყურადღება, ღრმად არ იკვლევენ დედამიწის ქანებს და მხოლოდ იმაზეა გაკეთებული აქცენტი, რამდენად მყარად აშენდება ამ ტერიტორიაზე საცხოვრებელი მრავალსართულიანი სახლი. იმაზე კი არავინ ფიქრობს, მომავალში, იქ მცხოვრები ადამიანის ჯანმრთელობაზე როგორ იმოქმედებს ის ენერგია, რომელიც მიწიდან ამოდის. არადა, სამწუხაროდ, უამრავი ქალაქია აშენებული ბიოლოგიურად საშიშ გეოპათოგენურ ზონაში, სადაც ხშირია მიწისძვრები, შიდა ქანებიდან ამოიფრქვევა ნეგატიური ენერგია და ასე შემდეგ. ერთ-ერთი ასეთი ადგილია იქ, სადაც ქალაქი სპიტაკია აშენებული და მოგეხსენებათ, იქ დედამიწის ბიოლოგიურმა რღვევამ, წლების წინ, რა შედეგები მოიტანა მიწისძვრის სახით. თუმცა, არსებობს ქვეყნები, სადაც მსგავს გეოპათოგენურ კვლევებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და ამ მხრივ საშიშ ადგილას, არათუ საცხოვრებელ სახლს, სკვერებსაც კი არ გააშენებენ.

ერთი სიტყვით, მიწისქვეშა ნაპრალებისა და იქ გამავალი წყლების შესწავლის გარეშე, ქალაქის კი არა, უბრალოდ, საცხოვრებელი სახლის აშენებაც კი სახიფათოა. ასეთ ადგილას ადამიანი განიცდის გამოსხივების ზემოქმედებას და ხანგრძლივად იქ ყოფნის დროს, როგორც კლინიკური, ისე ფსიქოლოგიური პრობლემებიც იჩენს თავს. დეპრესია, სტესი, ფსიქოზი, თვითმკვლელობა და სხვა ნეგატიური მოვლენები, მათ შორის, სულებისა და მოჩვენებების ხილვა, ხშირად ფიქსირდება იმ ადგილებში, სადაც დედამიწიდან ნეგატიური ენერგია მოდის.



**ვარაზის ხევისა და ვაკის პარკის ტერიტორიის სიღრმეში რომ ჩავიხედოთ, იქ გადის დიდი რაოდენობით მიწისქვეშა წყლები, დაძაბული გეოლოგიაა და დედამიწის ქერქიდან იფრქვევა რადიოაქტიური გამოსხივებები**

**– საქართველოში, მსგავსი გეოპათოგენური ზონები ბევრია?**

– საქართველოში, გეოფიზიკოსები წლებია, გეოპათოგენურ ზონებს სწავლობენ და თბილისის მიდამოებში, საშიშ ზონად ითვლება ორთაჭალის ნაწილი, სადაც გოგირდოვანი წყლებია; ასევე, იოსებიძის ქუჩის გარკვეული ზონა, რომლის ქვეშაც გადის მიწისქვეშა წყლები, გროვდება ქანებში და თუ კარგად დააკვირდებით შენობებიც კი დაზიანებულია. ასევე, კოსტავას ქუჩის ნაწილი, სადაც მიწისქვეშა წყლები დიდი რაოდენობით გროვდება, აგრეთვე მთაწმინდა-ვერის გარკვეული ნაწილი და დიდი დიღომი, რომელიც გაშენებულია, ისეთ ადგილას, სადაც მტკვრის ხეობა გადის და მიწა გაჯერებულია მარილიანობით და მინარევებით. აქ დიდხანს ყოფნა სასურველი არ არის.

**მიწას დადებითი ენერგია აქვს თუ უარყოფითი, ამის მიხვედრა მარტივადაც შეიძლება**

**– ვინც იქ ცხოვრობს, მათთვის ეს რამდენად საშიშია?**

– მაგალითად, ვინც დიდი დიღმის დასახლებაში ცხოვრობს, მათთვის აუცილებელია, დღის განმავლობაში, ამ ტერიტორიას მოცილდნენ, ისეირნონ ბაღებში, სკვერებში და დაიმუხტონ ბუნების დადებითი ენერგეტიკით. მაგალითად, ვარაზის ხევისა და ვაკის პარკის ტერიტორიის სიღრმეში რომ ჩავიხედოთ, იქ გადის დიდი რაოდენობით მიწისქვეშა წყლები, დაძაბული გეოლოგიაა და დედამიწის ქერქიდან იფრქვევა რადიოაქტიური გამოსხივებები. ეს ჩვენმა წინაპარმა იცოდა და ამიტომაც გააშენა ასეთ ადგილას ხეები და სკვერები. ბიოაქტიურ ადგილას აშენებული სახლები არ არის მყარი სეისმოლოგიური მოვლენებისთვის.

**– თავი რომ დავანებოთ ჯანმრთელობას, გამიგია, რომ გეოპათოგენურ ზონაში ცხოვრება, ადამიანის ხასიათსა და მის გონებრივ შესაძლებლობაზეც მოქმედებს. ეს რეალურია?**

– რასაკვირველია, გეოპათოგენურ ადგილას ცხოვრება, გარკვეულ საშიშროებას უქმნის ადამიანის არა მარტო ჯანმრთელობას, არამედ მის გონებრივ შესაძლებლობებსა და გუნება-განწყობასაც. თუმცა, გეოპათოგენური ზონა, ადამიანში ასევე ავითარებს ზებუნებრივ ნიჭს, თვითგანვითარებას უწყობს ხელს და ასეთ დაძაბულ ადგილას მყოფი ადამიანი, არ არის გამორიცხული, ნიჭიერებით გამოირჩეოდეს. ანუ, კოსმოსიდან წამოსულ ენერგიას გაცილებით ადვილად იღებენ გეოპათოგენურად აქტიურ ზონაში მცხოვრები ადამიანები.

**– ძველი ხალხისგან ისიც გამიგია, რომ გეოპათოგენურ ზონას კარგად გრძნობს ცხოველი და თუ ის გარკვეულ ადგილას ვერ ისვენებს, ის გეოპათოგენური და საშიში ზონაა, ხოლო სადაც მშვიდად და კომფორტულად გრძნობს თავს, ეს პოზიტიური და ნებისმიერი ჩვენგანისთვის უსაფრთხო ადგილია. ამაზე რას გვეტყვით?**

– ეს მეთოდი, საქართველოში ოდითგანვე არსებობდა. კერძოდ, სახლში შეუშვებდნენ კატას ან ძაღლს და სადაც ის კომფორტულად მოკალათდებოდა, იმ ადგილას დგამდნენ საწოლს ან სავარძელს. მიაჩნდათ, რომ ეს ადამიანისთვის უსაფრთხო ადგილი იყო, ხოლო, სადაც ცხოველი ვერ ისვენებდა და შფოთავდა – გეოპათოგენური და საშიში. სოფლის განაშენიანების დროსაც, ხშირად, ამ მეთოდს იყენებდნენ ჩვენი წინაპრები ან ტრადიციული ბიოლოკაციური ჩარჩოებით ირჩევდნენ ასეთ ადგილებს და პოულობდნენ დედამიწაში ჩამალულ წყლებს – მაგალითად, ვაზის ლერწმის საშუალებით. ასე რომ, მიწას თავისი აურა აქვს და მისი გათვალისწინება აუცილებელია, თუ გინდათ, მშვიდად, კომფორტულად და ჯანმრთელად იცხოვროთ დიდი ხანი.

**ნონა დათეშიძე**

---

(17-ე გვერდიდან)

მწვარი. ის, რაც გააკეთა, უკვე სენსაცია იყო საქართველოში, ამიტომ, ვთხოვე, ცურვა გაეჩერებინა. ძლივს ამოვიყვანე წყლიდან.

**რუსუდანი:** ღამით ცურვა იყო საოცრება. ზოგჯერ ნაპირიდან 20 კილომეტრში ვცურავდი. ნეიტრალურ წყლებში, სადაც ზღვის სიღრმე 500 მეტრს აღემატებოდა. იყო სრული სიბნელე და სივრცე ზღვასა და ცაში, მეტი არაფერი. ჩემგან 500-700 მეტრში დგებოდა გემი, პროჟექტორი ანათებდა და იმ სინათლეს მივყვებოდი. ყველაზე ლამაზი და ჯადოსნური ის იყო, ცურვისას წყალზე ხელს რომ ვუსვამდი, მწვანე ვარსკვლავები ცვიოდა წყალში, როგორც ცეცხლის ნაპერწკლები. ეს იყო ყველაზე ლამაზი რამ, რაც კი ოდესმე მინახავს. ეს ფოსფორი იყო, რომელსაც ზღვის წყალი შეიცავს, მაგრამ მე მას

# როგორ იცავდნენ შავ ზღვაში დელფინები რუსუდან გორდეზიანს დღისით და ღამით და როგორ გახდა ის პირველი ქართველი გოგონა, რომელმაც სარფიდან ფოთამდე 73 კილომეტრი 25 საათის განმავლობაში გადაცურა

ყველა იმ ადამიანის სულად აღვიქვამდი, ვინც საქართველო დღემდე მოგვიტანა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ყოველი ხელის მოსმაზე ათობით ასეთი ნეპერწკალი ცვიოდა და მათ მივყვებოდი – ეს იყო ზღაპრული რამ...

**– ასეთ სიფრიფანა, ნაზ გოგონას, საიდან გაქვს ამდენი ძალა და ენერგია?**

– არ ვიცი, საიდან მაქვს ეს ენერგია. ერთხელ, ჩემი ოთახი დავალაგე და ისე დავიღალე, ორი დღე მეძინა. გაცურვის წინა დღეს მესამე სართულზე რომ ავედი, ვთქვი: ვაიმე, დავიღალე-მეთქი. დედამ მითხრა: მოგკლავ ახლა, ამდენი ხალხი შეყარე, მესამე სართულზე ადიხარ და ვაის იძახიო. წყალში საერთოდ არ ვიღლები, ვერ ვგრძნობ დაღლას.

**– ახლო მომავალში რას გეგმავ?**

– მინდა, მსოფლიო რეკორდი დავამყარო – 250 კილომეტრი გავცურო. კაცებში არსებული რეკორდი 235 კილომეტრია და, მინდა, 15 კილომეტრით გადავაჭარბო. ასევე, მინდა ლამანშის სრუტის გადაცურვა, რომლის სიგრძეც 33 კილომეტრია. კიდევ, უნდა გავიმეორო ის მარშრუტი, რომელიც ახლახან დავფარე, ოღონდ, ანაკლიაში უნდა ჩავიდე.

**ნათია უტიაშვილი**

# როგორ იქცეოდა სტალინი მეგობრებთან ქეიფის დროს და უყვარდა თუ არა მას საქართველო



1946 წლის ოქტომბერში სოჭში დასასვენებლად ჩასულ სტალინს ორიოდე დღით სტუმრად მიუწვევია თავისი სიყრმის მეგობრები და ცნობილი ქართველი მსახიობები.

პურობისას თამადას საქართველოს სადღეგრძელო წარმოუთქვამს და ხაზგასმით აღუნიშნავს, რომ ჩვენს სამშობლოს განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის მსოფლიოს წინაშე, იმით, რომ კაცობრიობას სტალინი მისცაო.

სტალინი სიტყვას აწყვეტინებს თამადას:

– მოიცა, მოიცა, მაშ, ის ქვეყნები, რომლებსაც სტალინი არ მიუციათ კაცობრიობისთვის, დღეგრძელობის ღირსი არ არიან? მერედა, მარტო მე რომ განსაკუთრებულად მახსენებ საქართველოს შვილად, დავით აღმაშენებელს რაღას ეუბნები ან სხვები რად დაივიწყე?!

ერთი სიტყვით, თამადას სიტყვა ჩამოართვა და განაგრძო:

– გაუმარჯოს საქართველოს ხალხს და მის ბუნებას, მის წარსულს და მომავალს, მის ბარაქას და სილამაზეს, ყველაზე უცნაურ მხარეს დედამიწის ზურგზე. განა აუცილებლად ყველაზე უკეთესს და ლამაზს? არა, თავისთა ვად კარგსა და თავისებურად განუმეორებელს!

ცოტა ხანში მრავალჟამიერიც წამოიწყეს და სტალინმაც არ დააყოვნა:

– აი, აგაშენოთ ღმერთმა! დღეს, როგორც ვატყობ, პურის ჭამა გამოგვივა, სიმღერა ქართული სუფრის მადლი და ეშხია, ურომლისოდ ქართული სუფრა აღარ არის.

აკაკი ვასაძის მოგონებით, სტალინი ანდამატური ძალით იზიდავდა სტუმრების გულს და აიძულებდა ყოველ მათგანს, ისეთივე უშუალო, უბრალო და პირდაპირი ყოფილიყო, ქცევასა და სიტყვაში ბუნებრივი დარჩენილიყო ალალი გულისა და ფიქრის ამარა.

სპარტაკ ბაღაშვილი „ბატონობით" მიმართავს და სტალინი სიცილით აჩერებს: შე კაი კაცო, ორმოცდაათი წელიწადი ბატონებს იმიტომ ვებრძოდი და ვებრძვი, რომ ახლა ბატონო დამიძახოო?

სპარტაკ ბაღაშვილი მოკრძალებით პასუხობს, რომ „ბატონო" ქართული ზრდილობის სიტყვად მიაჩნია და ვერ შეელევა. ამ ახსნა-განმარტების შემდეგ, სტალინს აღარაფერი უთქვამს და მოთმინებით უსმენდა მისთვის უჩვეულო მიმართვას.

შემდეგ სიტყვა ჩამოვარდნილა ძველ თეატრზე და აკაკი ვასაძე სინანულით შენიშნავს, რომ ლადო მესხიშვილს „ნევრასტენიკს" უწოდებენო. სტალინი იხსენებს მესხიშვილის შესრულებულ როლებს: ურიელ აკოსტას, ჰამლეტს, ხიმშიაშვილს. ამბობს, კარგად თამაშობდაო და მერე დასძენს: „ყველა თეატრმცოდნეს ყური არ უნდა დაუგდო, იქაც ერთი-ორი თუ შეგხვდება ნამდვილი მცოდნე. ეს „ყველაფრის მცოდნენი" კი, უმეტეს შემთხვევაში, სქემებითა და პირადი სიმპათია-ანტიპათიებით ჭრიან და ზომავენ ხელოვნებას".

სპარტაკ ბაღაშვილს „ოტელოდან" წაუკითხავს მონოლოგი. სტალინი მთელი გულისყურით უსმენდა და მოულოდნელად უთქვამს:

– არ შეიძლება, რომ სპარტაკმა თეატრში „ოტელოს" როლი ითამაშოს?

უთქმელი რეპლიკა: – მაგრამ, აკაკი ხორავას რაღას უშვებით?

სტალინი განაგრძობს:

– რატომ არ შეიძლება თქვენებურად რომ გამოვთქვა – სპარტაკმა თავისი „ტაქტიკით" ითამაშოს?

მერე ბაღაშვილს მიმართავს:

– დასვენება გჭირდება, სერიოზულ როლს რომ მოჰკიდო ხელი.

ბაღაშვილი პასუხობს, ჯერ „აკაკის აკვანში" უნდა ვითამაშოო.

სტალინი: გაიგე, რომ შენ „აკვანზე" მეტი გაქვს გასაკეთებელი. მაგ ნიჭის გამოვლენას ძალა, გამძლეობა სჭირდება და ამიტომაც, უნდა დაისვენო!

მერე უშანგი ჩხეიძე მოაგონდათ. შესჩივლეს სტალინს, სცენას ვეღარ ეკარება, სახლიდან ვერ გამოდისო:

– რა დაემართა?

– ექიმები რომელიღაც ფსიქიკურ სნეულებას ვარაუდობენ. მატერიალურადაც გაუჭირდაო.

– როგორც ვხედავ, საქართველოში ნიჭიერები ქუჩაში გიყრიათ... ალბათ, ამხანაგებსაც მიტოვებული ჰყავთ ის საცოდავი.

– არაო, – არწმუნებენ. ახლო მეგობრები დროდადრო ვაკითხავთო.

– თქვენ აკითხავთ... უფროსებს, ალბათ, არ სცალიათ. მაგათ კარგად მყოფებისთვისაც არ სცალიათ. თორემ ავადმყოფებს რას გაიხსენებენ? მერე დასძენს: ექიმი არ მოაკლოთ, ორგანიზაციების საშუალებით დაეხმარეთ.

აკაკი ვასაძე იხსენებს, სტალინმა ყოველივე ეს იმგვარი რისხვით თქვა, რომ ხმა ვერავინ ამოიღოო.

შემდეგ სტალინმა გაიხსენა, რომ ირანში ყოფნისას საბჭოთა საელჩოში კინოფილმი „გიორგი სააკაძე" უჩვენა რუზველტს, ჩერჩილს და ირანის თავკაცებსაც. დიდად მოსწონებიათ, მაგრამ ირანელები განსაკუთრებით შაჰ-აბასით მოხიბლულან (ამ როლს აკაკი ვასაძე თამაშობდა). აი, შაჰიც ეგეთი უნდა, მოგვეცით ეგ შაჰი ჩვენო.

– გურულო, რამე რომ იყოს, ხომ არ წახვიდოდი შაჰად ირანში? – ხუმრობით უთქვამს სტალინს?

– არა, ამხანაგო სტალინ. რა მინდა ირანში, საკუთარ სახლში შაჰიც ვარ და შაჰინ-შაჰიცო.

– მეც ეგრე ვუთხარი. ვასაძე თქვენს შაჰობას არ დათანხმდება-მეთქი, – თვალი ჩაუკრავს და გულიანად გაუცინია სტალინს.

მერე ამიერკავკასიის რუკა მოითხოვა, მრგვალ მაგიდაზე გაშალა და კანდიდ ჩარკვიანს უთხრა:

– აბა, კანდიდ, აგერ ფანქარი და მოხაზე ახლანდელი საქართველოს საზღვრები.

კანდიდ ჩარკვიანს ფანქრის გადატარება დაუპირებია ჩრდილოეთის საზღვრებს იქით, მაგრამ შეყოვნებულა და ფანქარი მხოლოდ ჰაერში გაუვლია.

– ნუ გეშინია, მოხაზე, მოხაზე ფანქრით, რუკას როგორმე კიდევ ვიშოვით.

და კანდიდ ჩარკვიანს ახლა ზუსტად და მკაფიოდ შემოუხაზავს საქართველოსთვის ომის შემდგომ ხანებში შემომატებული ტერიტორია.

– აი, ეს მესმის, – თქვა სტალინმა, – ქლუხორის მხარეც საქართველოს საზღვრებში მოექცა. ესეც პასუხად იმათ, ჩვენშიც და უცხოეთშიც, ვინც გვსაყვედურობდა, საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს ტერიტორია შეამცირაო. რამდენი უნდა ებრძოლა მეფე ერეკლეს ამოდენა ტერიტორია რომ შემოეერთებინა საქართველოსთვის.

სტალინის ყრმობის მეგობარს, მიხეილ ტიტვინიძეს უთქვამს, – სხვისი მიწა რად გვინდა, ნეტავ, ჩვენი რაც იყო, ის დაგვაბრუნებინაო. ტიტვინიძის გულუბრყვილო ნათქვამმა სტალინი და სხვებიც გააცინა.

მცირე დუმილის შემდეგ სტალინმა ასე უთხრა ტიტვინიძეს: „შენს ორმხრივ ნათქვამსაც მიგიხვდი, ჩემო ძმა; რაც შეეხება პირველს, ის შეცდომა იყო და მე მასში მონაწილეობა არ მიმიღია. უჩემოდ მოაგვარეს ეს საქმე ისე, რომ მე არც შემეკითხნენ თვით ქართველი ამხანაგებიც. ახლა კი ლენინის ხელმოწერილი დოკუმენტის შეცვლა, ცოტა არ იყოს, უხერხული გამოგვივა... რაც შეეხება მეორეს – საბაბს არ გვაძლევს მიმტაცებელი, ჩვენი მიწები რომ დავიბრუნოთ და მარტო საქართველოს კი არა, საბჭოთა კავშირს კანონიერად შემოვუერთოთ, თორემ საბაბი რომ იყოს ყარსსა და არდაგანს ტრაპეზუნამდე, მთელ მიწებს უკან ჩავიბარებდით.

შემდეგ მსმენელებს მოუთხრო იმდროინდელი პერიპეტიების შესახებ, როდესაც ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების პერიოდში, კავკასიის ფრონტის ჯარებს არზრუმი არ ჰქონდათ დატოვებული და დიპლომატიას ხიშტებით უმაგრებდნენ ზურგს:

საბჭოთა რუსეთის საზავო კომისიის თავმჯდომარედ ტროცკი იყო დანიშნული, ხოლო სტალინი კონსულტანტად მიავლინა ლენინმა, როგორც ეროვნულ საქმეთა კომისარი. ამიერკავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკებს თავიანთი წარმომადგენლები არ გამოუგზავნიათ. და კაცი არ გამოჩნდა, რომ მათი სასაზღვრო ინტერესები დაეცვათ. ოსმალეთის დელეგაცია კი, ყარსსა და არდაგანს ვინ ჩივის, ბათუმსაც ეპოტინებოდა. სტალინს ოსტატურად მოუგვარებია ეს ფრიად დახლართული საქმე, დასრულებულად მიუჩნევია თავისი მისია და მოსკოვს გამგზავრებულა. გზაში ტიფი შეყრია, ორისამი კვირით ლოგინად ჩავარდნილა, როდესაც ლენინს გამოუძახებია ახალ სასაზღვრო ხელშეკრულებათა გასაცნობად. სტალინი სახტად დარჩენილა: ტროცკის ხელი მოუწერია საზღვრების დანაწილების ვარიანტისთვის. მთელი მსოფლიოს რევოლუციურ ხანძარში გახვევის მქადაგებელს საქართველო რაში ენაღვლებოდა!

სტალინის სიტყვით, „როგორც გამოირკვა ქიაზიმ-ბეის უსარგებლია ჩემი არყოფნით და გაქნილ დიპლომატს კარგა ლაზათიანად გაუცურებია ჩვენი თავმჯდომარე ტროცკი. რაღას ვილონებდი, ლენინსაც უკვე ხელი ჰქონდა მოწერილი ხელშეკრულებაზე".

სტალინმა განაგრძო: „ერის ტერიტორიის დათმობისა და გაჩუქების უფლება არავის აქვს. ომის შემდეგ კი გადავუკარი ერთი-ორი სიტყვა და ზუსტად მივანიშნე ოსმალებს – საზღვრების ამბავი არ დამვიწყებია-მეთქი. საპასუხოდ, ხმას არ იღებენ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ჩვენი ევროპელი და ოკეანის გადაღმელი ძმები მხარს იმათ უჭერენ, თუმცა აშკარად არაფერს ამბობენ ამაზე. ჯერჯერობით არ ვაპირებ არც პოზიციების დათმობას და არც დადუმებას, ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს გზასაც და გამოსავალსაც".

ამასობაში აკაკი ვასაძე ლექსების კითხვის იშტაზე მოსულა და აკაკი წერეთლის „განთიადი" დაუწყია. როგორც ჩვეული იყო, ისე კითხულობდა. წარმოთქვა პირველი ტაეპები და უცებ სტალინის რეპლიკა მოესმა:

– თუ ძმა ხარ, აგრე ნუ წაიკითხავ, თორემ ავტირდებით (ალბათ, სიზმარშიც არ გინახავთ ატირებული სტალინი).

მსახიობმა მყისვე შეცვალა ინტონაცია:

– აი, ეს მესმის, ქართულ ენას, ქართულ

**(გაგრძელება 50-ე გვერდზე)**

# ეძიე კაცი

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №31-33(712)**

* * *

ნათია 6 საათზე უკვე მზად იყო. ძალიან ნერვიულობდა. კარგა ხანს იტრიალა სარკის წინ და კრიტიკული თვალით შეათვალიერა ჩაცმულობაც, მაკიაჟიც და ვარცხნილობაც. მთლად მარტო რომ არ ყოფილიყო ასეთი მნიშვნელოვანი გამოცდის წინ, მიას დაურეკა და მისვლა სთხოვა.

– ძალიან მაგარი ხარ! – შეაქო მიამ მეგობარი, – შენს ქმარს ასი თვალი და ასი ყურის გამოსხმა დასჭირდება, თორემ, ცხვირწინ ააცლიან ცოლს.

– მაგის გარანტია თუ ექნება, შეიძლება, იჩალიჩოს კიდეც, რომ ასე მოხდეს, – წამოსცდა ნათიას და ენაზე იკბინა, მაგრამ მია მაშინვე მიხვდა, რომ დაქალი რაღაცას უმალავდა.

– რას ამბობ! აბა, თვალებში შემომხედე!

ნათიამ ცრემლები ველარ შეიკავა და ქვითინით ჩაეხუტა. გოგოებიდან არც ერთისთვის არ მოუყოლია, რაც მის თავს ხდებოდა ბოლო წლების განმავლობაში და ახლა ძალიან შერცხვა.

მიამ ფრთხილად მოსწმინდა ცრემლი, თავის წინ დასვა და საკმაოდ მკაცრად უთხრა:

– ახლა კარგად მომისმინე, რასაც გეტყვი: არც ერთი მამაკაცი ქალის ერთ ცრემლადაც არ ღირს და ეს ყოველთვის გახსოვდეს. თუ არ გინდა, ნურაფერს მეტყვი, მაგრამ, ვხვდები, რაც გაქვს გადაწყვეტილი და, რადგან გადაწყვიტე, ბოლომდე მიიყვანე, უკან არ დაიხიო.



– დღეს ან ხვალ აპირებს სახლიდან წასვლას... – სლუკუნით თქვა ნათიამ, – არასაინტერესო ქალი ხარო... მამაკაცის გაოცების უნარი არ გაქვსო...

– ესე იგი, მაინცდამაინც დღეს აქვს წასვლა გადაწყვეტილი? ქორწინების ათი წლისთავზე? – აღშფოთდა მია.

– იცი, ასე კი მითხრა, მაგრამ ზუსტად არა ვარ დარწმუნებული, მართლა მიდის თუ გადაიფიქრა, რადგან, პიჯაკს რომ ვუმზადებდი, ჯიბეში პატარა კოლოფი ვიპოვე ბრილიანტის ბეჭდითა და წერილით, რომელშიც ზუსტად ის სიტყვები ეწერა, მე რომ მეუბნებოდა ხოლმე. მგონი, გადაიფიქრა წასვლა, ან, სულაც, გამომცადა, რა რეაქცია მექნებოდა ამაზე. ან, მიხვდა, რომ გული მატკინა და საიუბილეო თარიღზე საჩუქარი გამიკეთა.

– მერე, რატომ არ მოგცა? – დაეჭვდა მია.

– ჯერ არც მოსულა სახლში. ჩემი აზრით, ან იქ მაჩუქებს, წვეულებაზე და პატიებასაც მთხოვს, ან, რომ დავბრუნდებით, მერე.

– ღმერთო ჩემო! – წამოიძახა მიამ, – ისევ თორმეტი წლის ასაკში ხარ ჩარჩენილი!

– რატომ გგონია, რომ ვცდები? – ისევ ცრემლები წამოუვიდა ნათიას.

– კარგი, შეწყვიტე ტირილი, თორემ, ჩამოგერეცხა მთელი მაკიაჟი, – მიამ თვალები ხელსახოცით შეუმშრალა და მაღალ სკამზე დასვა, – ახლა თავიდან დაგხატავ – ხომ იცი, ამის სპეცი ვარ.

– კარგი, – დაემორჩილა ნათია, – თან, რაღაცას მოგიყვები. აქამდეც მინდოდა, თქვენთან მაინც მომეოხებინა გული, მაგრამ, იმდენად ინტიმურია ეს ყველაფერი, რომ, მრცხვენოდა.

– თუ გინდა, ახლაც ნუ მომიყვები, თითქმის ყველაფერი გასაგებია.

– რა არის გასაგები? – გაუკვირდა ნათიას.

– ის, რომ, შენმა ქმარმა ვიღაც გაიჩინა და, თავისი საქციელი რომ გაამართლოს, ათასნაირი პრეტენზია წამოგიყენა. არასაინტერესო ქალი, გაოცების უნარის არქონა, უგემური სადილი, ცუდი ხასიათი... – ეს ყველაფერი მოღალატე ქმრების რიჟა ბაზარია... არადა, როგორ მიყვარდა რეზო, როგორ მომწონდა და პატივს ვცემდი, იმიტომ რომ, მეგონა, ბედნიერი იყავი მასთან.

– ვიყავი, მაგრამ, დიდი ხნის წინ... თუმცა, მხოლოდ მის გვერდით ყოფნითაც ბედნიერი ვიქნები... ვინც უნდა, ის გაიჩინოს საყვარლად, ოღონდ კი სახლიდან არ წავიდეს... – ნათიას ხმა აუკანკალდა და ისევ ტირილი დააპირა.

მიას გული დაეწვა სიბრალულით. უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ, მიხვდა, რომ ახლა შეგონებებს აზრი არ ჰქონდა და, ამიტომ, მოფერებისა და დაყვავების ნაცვლად, კარგად დაუტატანა, რომ გამოფხიზლებულიყო და ისევ გული არ ასჩუყებოდა:

– მოდი, ერთ რამეზე შევთანხმდეთ: გეყო ფშლუკუნი და, რადგან შენი ქმრის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოგიდგენია, ისე მოიქეცი, რომ დაიბრუნო.

– „გეყო ფშლუკუნი“ ადვილი სათქმელია შენთვის... – ამოიკვნესა ნათიამ.

– მე მეუბნები, გოგო, მაგას?! შენ რამდენიმე წელი მაინც იყავი ბედნიერი და უამრავი ლამაზი დღე გაქვს გასახსენებელი, მე კი ორივე ქმრის ხელში ქორწილის მეორე დღიდან სიკვდილს ვნატრობდი და ძლივს მოვიშორე თავიდან... ერთმა ბარიგობა დაიწყო, თან, სახლიდან ყიდდა წამალს; მეორემ კი ჩემ ჩუმად გადაიფორმა ჩემი საკუთარი ბინა, მამაჩემმა რომ მიყიდა და გაყიდვას აპირებდა, მე და ბავშვები აგარაკზე რომ გაგვისტუმრა, მაგრამ, ბედად, მყიდველი ჩემი თანამშრომელი აღმოჩნდა, რომელსაც ერთი-ორჯერ ნანახი ჰყავდა ჩემი ქმარი, თან, ჩემთანაც იყო რამდენჯერმე ნამყოფი და, ბინის ნახვის შემდეგ მაშინვე დამირეკა. ეჭვი კი არ შეჰპარვია რამეში, უბრალოდ, საყვედური მითხრა – ხომ იცოდი, ბინას რომ ვეძებდი და, თუ შენს ბინას ყიდდი, რატომ არ მითხარიო. ასე შემთხვევით გასკდა ეს ამბავი. თუმცა, რას გიყვები, ხომ იცოდით ყველამ, რაც მოხდა და რის გამოც გავეყარე. ასე რომ, ჩემო კარგო, მარტო როცა ვრჩები საკუთარ თავთან და ვცდილობ, წარსულიდან რამე ლამაზი გავიხსენო, აღმოჩნდება ხოლმე, რომ გასახსენებელიც არაფერი მაქვს, გარდა იმ ორი დღისა, როცა შვილები გამიჩნდა. ამას რომ ვაცნობიერებ, ხმამაღლა ყმუილი მინდება ხოლმე, მაგრამ, თუ ატყობ, ფარ-ხმალს მაინც არ ვყრი, ვცდილობ, ყოველთვის კარგ ხასიათზე ვიყო და, არც შვილები და მშობლები დავთრგუნო ჩემი მოთქმა-წუწუნით და არც ახლობლები და მეგობრები „დავვგრუზო“ ბედზე ჩივილით. ის, რაც მოხდა, როგორც ჩანს, უნდა მომხდარიყო.

– და მაინც როგორი ხალისიანი და მხიარული ხარ, კაცს ეგონება, ცხოვრებაში არანაირი პრობლემა არ ჰქონიაო. გამოგიტყდები და, თეთრი შურით მშურს შენი, – ნათიამ ერთიც ამოისლუკუნა, მერე უცებ გასწორდა და სახის გამომეტყველება შეეცვალა, – იცი, აი, ამ წუთას გადავწყვიტე, რომ შენ მოგბაძო.

– ჰოდა, ძალიან კარგი, – გადაწყვეტილება მოუწონა მიამ, – ოღონდ, თუ დამიჯერებ კიდეც, უკეთესი იქნება. ხომ იცი, ცუდს არაფერს გირჩევ.

– ყველაფერს დაგიჯერებ, – გადაწყვეტით თქვა ნათიამ, – დღეიდან, აი, ამ წუთიდან, უნდა შევიცვალო და დავუმტკიცო ჩემს ქმარს, რომ ჩემისთანა ქალები ქუჩაში არ ყრია.

– ყოჩაღ, მაგრამ, თუ გინდა, რომ ეს შენს ქმარს დაუმტკიცო, თვითონ უნდა იყო ამაში დარწმუნებული, ანუ, ჯერ საკუთარ თავს უნდა დაუმტკიცო.

– ასეც ვიზამ. დღეს მე ვიქნები ყველაზე ლამაზი, ყველაზე მიმზიდველი, ყველაზე მხიარული, ყველაზე საინტერესო და...

– ყველაზე ვნებიანი, – შეაწყვეტინა მიამ.

– ჰო, ყველაზე ვნებიანი ქალი იმ წვეულებაზე, – თქვა ნათიამ და თვალებში უცნაური სხივი გაუკრთა.

– კიდევ ერთი შესწორება: იმ წვეულებაზე

კი არა, მთელ საქალეთში, – გამამხნევებლად გაუღიმა მიამ, მერე კი ცოტა დაეჭვებით ჰკითხა: – აქ კი იქადნები, მაგრამ, იქ არ დაიბნევი?

– აღარსად და აღარასოდეს აღარ დავიბნევი. ნეტავი შეიძლებოდეს, შენც წამოხვიდე, რომ ამაში დარწმუნდე.

– ისე, კაცმა რომ თქვას, არ არის ცუდი აზრი, – გამხიარულდა მია, – ჟურნალისტი ტყუილად ვარ? ვითომ სიუჟეტის გასაკეთებლად მოვედი.

– მერე, შენი უფროსი რას იტყვის? თანაც, ვის რაში აინტერესებს ჩვენი ფირმის ამბები?

– რა უნდა მითხრას, ყველაზე უარეს შემთხვევაში, სიუჟეტს არ გაუშვებს. თანაც, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვის რა აინტერესებს, მთავარია, რომ შემოსვლის მიზეზი მექნება.

– ოპერატორი რომ არ გახლავს?

– ჩემი პატარა კამერა სულ ჩანთით დამაქვს და ოპერატორიც თვითონ ვიქნები.

– აუ, რა მაგარია! მეც უფრო თავდაჯერებულად მოვიქცევი... მაგრამ, რეზო ხომ გიცნობს და, არ მიხვდეს, ჩემ გამო რომ იქნები მოსული.

– ვერ მიხვდება. მე ცოტა გვიან შემოვალ დარბაზში და, რეზოს და შენ რომ დაგინახავთ, ძალიან გავიკვირვებ.

– ღმერთო, რა საინტერესო ყოფილა ინტრიგები! – ტაში შემოჰკრა ნათიამ, მერე კი საათს დახედა და უცებ წამოიყვირა: – ვაიმე, დამაგვიანდა! რვაზე იქ უნდა ვყოფილიყავი, ახლა კი უკვე ათი წუთი უკლია რვას. რა ვქნათ?

– ნუ ნერვიულობ. ნახევარი საათით დაგვიანება სწორედ იმ ეფექტს მოახდენს, რომელიც ჩვენ გვჭირდება. აბა, დამენახვე, ხომ ყველაფერი რიგზე გაქვს...

– შენ? შენ რომ არ გაცვია საღამოს კაბა? – შეწუხდა ნათია.

– გოგო, მე იქ ჟურნალისტი უნდა ვიყო და არა დაპატიჟებული საპატიო სტუმარი; ამიტომ, ძალიანაც შესაფერისად მაცვია, მხოლოდ ცოტა მეაკიაჟს დავიმატებ.

თხუთმეტი წუთის შემდეგ დაქალები მიას მანქანაში ჩასხდნენ და რესტორნისკენ აიღეს გეზი.

ზუსტად ცხრის ოც წუთზე მიადგნენ რესტორანს. ფრთხილად მიუახლოვდნენ კარს და შეიჭყიტეს. ჯერჯერობით განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა. ზოგიერთები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ შამპანურის ფუჟერებით ხელში, ზოგი კი წყვილ-წყვილად მისხდომოდა პატარა მაგიდებს და საუბრობდნენ. გამოპრანჭული ქალები განაზებული სახეებით მიდი-მოდიოდნენ დარბაზში და კეკლუცი ღიმილითა და თვალების ფახულით ცდილობდნენ კაცების ყურადღების მიპყრობას.

– რეზოს ვერ ვხედავ... – თქვა ნათიამ და დაიძაბა.

– მოიცა, მოვძებნო, – მიამ დარბაზის თვალიერება განაგრძო, მერე უცებ ხელი ხელში ჩაავლო დაქალს და დარბაზის მარცხენა კუთხისკენ გაახედა, – აქ ბრძანდება ვაჟბატონი, ვიღაც ტიპთან ერთად უზის მაგიდას და, მგონი, კონიაკს მიირთმევს.

– უკვე შევიდე? – ნათია აშკარად ვეღარ ფლობდა თავს.

– ჯერ არა, მე როცა გეტყვი, მაშინ შეხვალ, – მკაცრად უთხრა მიამ, – როგორც ჩანს, ოფიციალური ცერემონია ჯერ არ დაწყებულა, მანამდე კი, ძალიან გთხოვ, ძალები მოიკრიბე. შენ ახლა სრულად უნდა გამოაბრწყინო არა მხოლოდ შენი ქალური მომხიბვლელობის რესურსები, არამედ, ნებისყოფა და სიძლიერე – ამაზეა დამოკიდებული შენი მომავალი. გაიგე?

– ჰო, გავიგე, – ცოტა უფრო მხნედ უპასუხა ნათიამ და ღრმად ჩაისუნთქა, – შენ როდის შემოხვალ?

– შენი შესვლიდან მაქსიმუმ ოც წუთში, მაგრამ, ამაზე ნუ ფიქრობ. გახსოვდეს, რომ უნდა იყო თამამი, ლაღი, მხიარული და ცოტა თავხედი.

– მახსოვს, – უკვე ეშმაკური ღიმილით თქვა ნათიამ.

– აი, ეს უკვე მომწონს, – გაუხარდა მიას, – ახლა კი კარგად მოემზადე, რამდენიმე წუთში უნდა შეხვიდე...

* * *

რეზო და ტომასი განაპირა მაგიდასთან ისხდნენ, ვისკის წრუპავდნენ და თან ქალებს აყოლებდნენ მზერას.

– რამდენი ლამაზი ქალი გყოლიათ სამსახურში, – მსუნაგი სახით თქვა ტომასმა.

– ესენი ძირითადად ჩვენი თანამშრომლების ცოლები არიან, ჩვენს ოფისში არც ისე ბევრი ქალი მუშაობს, – თქვა რეზომ, საათს დახედა და გაუკვირდა – უკვე ცხრის ნახევარი ხდებოდა, ნათია კი არ ჩანდა.

„ალბათ, გადაიფიქრა მოსვლა“, – გაიფიქრა და გულში გაუხარდა კიდეც, რომ სხვების დასანახავად ცოლთან ფლირტაობა აღარ მოუწევდა.

– თქვენი ცოლი რატომ არ გამაცანით? – ჰკითხა უცბად ტომასმა, – და, საერთოდაც, რატომ არ არის ის თქვენ გვერდით?

– ჩემი ცოლი თვითონ უნდა მოსულიყო, მაგრამ, რატომღაც, არ ჩანს, – მობოდიშებით უთხრა რეზომ, – ისე, ჩემთვისაც დიდი პატივი იქნება თქვენი მეუღლის გაცნობა.

– ამჯერად მარტო ჩამოვედი. ერთი თვის წინ გავეყარე ცოლს – ველარ გაუძლო ჩემს ტემპერამენტს. ასე რომ, სრულიად თავისუფალი ვარ, – ხმამაღლა გაიცინა ტომასმა, – ცუღლუტობაში ხელის შემშლელი გვერდით აღარ მეყოლება.

– ყოველი შემთხვევისთვის, ფრთხილად იყავით, მისტერ ტომას, აქ მყოფი ლამაზი ქალების უმრავლესობა გათხოვილია და ქართველ ქმრებს ისიც კი არ უყვართ, როცა მათ ცოლებს ძალიან დახვეწილ კომპლიმენტს ეუბნება უცხო მამაკაცი.

– გმადლობთ, გავითვალისწინებ, – სიცილით უპასუხა ტომასმა, მერე რეზოს ჭიქა ჭიქაზე მიუჭახუნა და ვისკის საკმაოდ დიდი ყლუპი მოსვა. რეზო გაჩუმდა და რატომღაც ნათიაზე დაიწყო ფიქრი. გულის სიღრმეში აინტერესებდა, რატომ არ მოვიდა.

– თქვენ ლამაზი ცოლი გყავთ? – ჰკითხა ტომასმა ღიმილით.

– ბატონო? – რეზო უცბად ვერ მიხვდა, რას ეკითხებოდა ამერიკელი პარტნიორი.

– თქვენ ლამაზი ცოლი გყავთ-მეთქი? – კითხვა გაუმეორა ტომასმა.

რეზო რამდენიმე წამს დაფიქრდა და აბსოლუტურად გულწრფელად უპასუხა:

– სიმართლე გითხრათ, არ მახსოვს.

– ეგ როგორ გავიგო? – გაუკვირდა ამერიკელს, – არ გახსოვთ, ლამაზია თუ არა თქვენი ცოლი?

სტუმრის ხმაში გამოჟონილმა ირონიამ რეზოს, ცოტა არ იყოს, დააბნია, მაგრამ, სასმელს უკვე დაწყებული ჰქონდა მის ტვინში ხელის ფათური, ამიტომ, მორიდებისა და ეტიკეტის დაცვის გარეშე, ისევ გულწრფელად უპასუხა:

– ჰო, რა არის გასაკვირი? დღეს ათი წელი შესრულდა, ყოველდღე ვუყურებ და, ისე შევეჩვიე მის სახეს, რომ, აღარ მახსოვს, ლამაზია თუ არა.

– არ გეპატიებათ, ჩემო კარგო, არ გეპატიებათ... ანუ, ისე გამოდის, ახლა აქ რომ შემოვიდეს, შეიძლება, ვერც კი იცნოთ?

რეზოს არ ესიამოვნა ტომასის სითამამე და ძლივს შეიკავა თავი, რომ რამე უკმეხი არ ეთქვა, მაგრამ, უცებ დარბაზის შუაგულში რეზოს ფირმის დირექტორი გავიდა მიკროფონით ხელში და გამოაცხადა:

– ძვირფასო მეგობრებო! პატივცემულო სტუმრებო და პარტნიორებო! გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი წვეულება არ ჰგავდეს არც ერთ სხვა კორპორაციულ საღამოს და ამიტომაც მოგეცით ნახევარი საათი „მოთელვისთვის“, ანუ, ერთმანეთის გასაცნობად და მოსაკითხად; ახლა კი, კვლავ ორიგინალურები რომ დავრჩეთ, სანამ სტუმარმასპინძლობის ტრადიციულ ქართულ წესებზე გადავალთ, ვაცხადებთ „თეთრ ვალსს“, ანუ, ქალბატონები საცეკვაოდ პატიჟებენ კავალრებს!

ამ განცხადებამ მხიარული აჟიოტაჟი გამოიწვია, რა თქმა უნდა, ძირითადად ქალებში. მათ ჯერ ტაშით დააჯილდოეს დირექტორი, შემდეგ კი თავიანთი რჩეული მამაკაცებისკენ დაიძრნენ. ის იყო, შტრაუსის ერთ-ერთი ვალსის ულამაზესი ჰანგები გაისმა, რომ, უცებ კარი გაიღო და დარბაზში ნათიამ შეაბიჯა. იქ დამსწრეთათვის ისეთი მოულოდნელი იყო მისი გამოჩენა, რომ უცბად ყველა გაჩუმდა და მას მიაჩერდა. ის კი მიაბიჯებდა ამაყად თავაწეული, საკუთარ სილამაზეში დარწმუნებული და სახეზე მაცდუნებელი ღიმილი დასთამაშებდა. მისი ჩაცმულობა იყო საკმაოდ თამამი, მაგრამ, არა ვულგარული. ოდნავ ღრმა დეკოლტე და მუხლს ზემოთ კაბა ხაზს უსვამდა მისი სხეულის სილამაზეს. ზეციდან ჩამოსულ ქალღმერთს ჰგავდა. უმრავლესობამ ვერც კი იცნო. ისეთი ლამაზი იყო, ქალები ცუდად დაფარული შურით შესცქეროდნენ, მამაკაცები კი – დაუფარავი აღფრთოვანებით. მერე რამდენიმე წუთით ყველა კაცს დაავიწყდა, რომ მათ გვერდით ცოლები იდგნენ, ერთმანეთთან შეუთანხმებლად გააკეთეს ცოცხალი დერეფანი და ტაში დაუკრეს, თან გულში ყველას აინტერესებდა, ვის გაიწვევდა პირველ ცეკვაზე მოულოდნელად გამოჩენილი ფერია, რომელიც ყურადღებას არ აქცევდა პირდაღებული მამაკაცების აღფრთოვანებულ მზერას და დარბაზის კუთხეში მდგარი მაგიდისკენ მიემართებოდა ტანის ავაზისებური რხევით. რეზო და ტომასი წამოდგნენ და მათკენ მიმავალ ქალს თვალებდაჭყეტილები შეაჩერდნენ. თავიდან რეზომ ვერც კი იცნო ცოლი. მხოლოდ მაშინ მიხვდა, ვინ



მოდიოდა მისკენ, როცა ნათია ათიოდე ნაბიჯზე მიუახლოვდა.

– აი, მესმის ქალი! – აღფრთოვანება ვერ დამალა ტომასმა და წინ ერთი ნაბიჯი წადგა იმ იმედით, იქნებ მე გამიწვიოს საცეკვაოდო, ქალი კი რეზოს შეჰყურებდა თვალებში და მისკენ მიდიოდა. მაგრამ, ნათიას პარალელურად, რეზოსკენ მიემართებოდა კიდევ ერთი ქალბატონი, რომელიც ცდილობდა, დაესწრო ნათიასთვის და პირველს გაეწვია საცეკვაოდ გაოგნებული კაცი. დარბაზში მყოფებმა აშკარად იგრძნეს და დაინახეს კიდეც, რომ ორ მდედრს შორის უცებ გაიმართა უსიტყვო ბრძოლა და ახლა სიტყვა რეზოზე იყო – არავინ იცოდა, როგორ არჩევანს გააკეთებდა ორი მეტოქე ქალის (თუმცა, ორივეს ღიმილის ნიღაბი ჰქონდა სახეზე აფარებული) სამიზნე ერთი მამაკაცი.

ისე მოხდა, რომ ნათია და ის მეორე ერთად მიუახლოვდნენ რეზოს, მისგან ორ ნაბიჯზე შეჩერდნენ და, ის იყო ნათიას საცეკვაოდ უნდა გაეწვია ქმარი, რომ იმ მეორე ქალის ხელზე სწორედ ის ბეჭედი შენიშნა, რომელიც დილით შემთხვევით ნახა რეზოს ჯიბეში და რომელიც მასთან შერიგებისა და ქორწინების ათი წლისთავის საჩუქარი ეგონა. ისე დამცირებულად იგრძნო თავი, კინაღამ გაიქცა იქიდან, მაგრამ, სწრაფად მოვიდა გონს და გადაწყვიტა, ქმარი რომც დაეკარგა, ამ ბრძოლიდან გამარჯვებული თვითონ უნდა გამოსულიყო. ამ ელდის გადატანასაც და გადაწყვეტილების მიღებასაც სულ ორი-სამი წამი დასჭირდა: ნათია მომხიბლავი ღიმილით შებრუნდა რეზოს გვერდით მდგარი უცნობი მამაკაცისკენ, ხელი ჩაჰკიდა და დარბაზის შუაგულისკენ წაიყვანა. გახარებულმა ტომასმა მაშინვე წელზე მოხვია ხელი და ისინი პირველები „შეცურდნენ“ საცეკვაო მოედანზე, მერე კი სხვებმაც მიჰბაძეს. რეზო მექანიკურად გაჰყვა იმ მეორე ქალს, ირმას, რომლის გამოც ოჯახიდან წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ, მთელი ცეკვის განმავლობაში ცოლისკენ იყურებოდა და არც კი ესმოდა, რას ეუბნებოდა ირმა, რომელიც ძალიან ცდილობდა, გამოეფხიზლებინა გაოგნებული კაცი, მთელი სხეულით ეკვროდა და ვნებიანად სასიყვარულო სიტყვებს ჩასჩურჩულებდა ყურში.

– რა ბედნიერებაა, – ჩურჩულებდა ქალი, – ხვალიდან სულ ერთად ვიქნებით და ვეღარავინ შეუშლის ხელს ჩვენს სიყვარულს. ხომ ასეა, ჩემო საყვარელო?

– რა არის ასე? – გამოფხიზლდა რეზო.

– რა და, ხვალიდან რომ სულ ერთად ვიქნებით, უფრო სწორად, ამ წვეულების შემდეგ.

– არ ვიცი, ამაღამ, ალბათ, არ გამოვა ჩემი წამოსვლა, – ორჭოფულად უპასუხა კაცმა.

– რატომ? თავისი ზიზილ-პიპილებით გაგაოგნა? არ მეგონა, ასე თუთიყუშივით მოკაზმული ქალები თუ მოგწონდა, – გაგულისებულმა ირმამ ისეთი შხამი გამოაყოლა ამ სიტყვებს, რომ რეზომ იგრძნო, როგორ მოიწამლა მის გარშემო ჰაერი.

– მოდი, ერთ რამეზე შევთანხმდეთ, – უთხრა უცბად ირმას ძალიან უხეშად და ცეკვა შეწყვიტა, – არასდროს, გესმის? არასდროს აღარ გაბედო ჩემი ცოლის ხსენება, არც ავად და არც კარგად. მე შენთვის ეს არაერთხელ მითქვამს, მაგრამ, რატომღაც ვერ უშვებ მაგ ტვინში. ახლა კი კატეგორიულად გიკრძალავ და, თუ ასე არ მოიქცევი, სამუდამოდ დამკარგავ, იცოდე, გასაგებია?

– გასაგებია, მაპატიე, – უკან დაიხია ირმამ, – ნუ შეწყვიტე ცეკვა, ყველა ჩვენ გვიყურებს...

ნათია და ტომასი ისე ცეკვავდნენ, ყველას ყურადღების ცენტრში მოექცნენ.

– მშვენიერო ქალბატონო, ინგლისურად ლაპარაკობთ?

– დიახ, – გაიღიმა ქალმა.

– რა გქვიათ?

– ნათია.

– მე ტომასი ვარ, ამერიკელი ბიზნესპარტნიორი.

– საისამოვნოა. მსმენია თქვენზე.

– მართლა? კარგი თუ ცუდი?

– ალბათ, უფრო ნეიტრალური, – გაეცინა ნათიას.

– ძალიან გიხდებათ სიცილი, მაგრამ, სევდასა და ტკივილს ვხედავ თქვენს ლამაზ თვალებში, – რაღაცნაირი, მამაკაცური თანაგრძნობით უთხრა ტომასმა.

– სულაც არა, მე ახლა საოცრად კარგ ხასიათზე ვარ და ძალიან ბედნიერადაც ვგრძნობ თავს, – ნათია შეეცადა, გულწრფელობა ჩაექსოვა ამ სიტყვებში.

– მე ვერ მომატყუებთ, – გაეღიმა ტომასს და საუბრის თემა შეცვალა, რადგან, მიხვდა, რომ ქალმა უხერხულობა იგრძნო, – გათხოვილი ხართ?

– დიახ, უკვე დიდი ხანია.

– თვალებში გეტყობათ, რომ გიყვართ ქმარი, – ტომასმა, რატომღაც, არ ჰკითხა, ვინ იყო მისი მეუღლე და რატომ არ ცეკვავდა მასთან ერთად, – მეც მიყვარდა ჩემი ცოლი, მაგრამ, ზოგადად ქალებიც ძალიან მიყვარდა. იმანაც, ითმინა, ითმინა და ბოლოს ვეღარ მოითმინა, აღარ მაპატია ამდენი ღალატი და, სწორედ საქართველოში წამოსვლამდე ერთი თვით ადრე, ოფიციალურად გამეყარა.

– სამწუხაროა, – ზრდილობის გამო თქვა ნათიამ და მუსიკაც შეწყდა.

ის იყო, ტომასს უნდა ეთხოვა, ჩვენს მაგიდასთან დაბრძანდითო, რომ ახლა სხვა მუსიკა გაჟღერდა. წყვილს მაშინვე მიუახლოვდა ფირმის დირექტორი და ნათიას თავი დაუკრა:

– მხოლოდ ერთი ცეკვა, მეტად არ შეგაწუხებთ.

ქალმა ღიმილით გახედა ტომასს და ახლა დირექტორს გაჰყვა დარბაზის შუაგულისკენ ბზრიალ-ტრიალით.

ტომასი თავის მაგიდას დაუბრუნდა და თვალით რეზო მოძებნა. ის იქვე, ფანჯარასთან იდგა ვიღაც ქალთან ერთად და უყურადღებოდ უსმენდა მის ლაპარაკს, თან ცალი თვალით მოცეკვავეებისკენ იყურებოდა. ბოლოს ბოდიში მოუხადა – ცოტა ხნით უნდა დაგტოვო, სტუმარი მყავს მისახედიო და ტომასისკენ გაემართა.

– ასეთი ქალი იშვიათად მინახავს, – მაშინვე გაუზიარა ამერიკელმა თავისი ემოცია, – რაღაცნაირი სილამაზე აქვს – ჩუმი, დახვეწილი, არამყვირალა, და, საოცარი თვალები – ვნებიანი, მაგრამ, ჩამქრალი; ეტყობა, ცეცხლფარეში არ უვარგა.

– ცეცხლფარეში რა შუაშია? – ვერ მიხვდა რეზო, რომელსაც სასმელი და ემოციები ერთნაირად ჰქონდა მოკიდებული.

– ცეცხლფარეში ყველა ქალს სჭირდება, – ეშმაკური ღიმილით აუხსნა ტომასმა, – თვალებში ნაპერწკლების გასაღვივებლად. აი, ნათიას კი აშკარად არ უვარგა ცეცხლფარეში, არადა, ჰყოლია ქმარი, რომელიც ძალიან უყვარს.

– ეს თვითონ გითხრათ?

– ქმარი რომ ჰყავს, თვითონ მითხრა, მაგრამ, ძალიან რომ უყვარს, მე დავინახე მის თვალებში. ისე, სიმართლე გითხრა, ძალიან მაინტერესებს, როგორი ქმარი ჰყავს. შენ იცნობ? – რატომღაც, უცებ „შენობით“ მიმართა ტომასმა.

– ჰო, ძალიან კარგად.

– შეგიძლია, გამაცნო?

– რაში გაინტერესებს? – რეზომაც გადაწყვიტა, რომ „თქვენობითი“ ფორმა აღარ უხდებოდა მათ ურთიერთობას.

– ისე, მხოლოდ მამაკაცური ცნობისმოყვარეობის გამო. გამაცნობ?

– გაგაცნობ, ოღონდ, წინასწარ გაფრთხილებ, რომ ცოტა ფიცხი ხასიათი აქვს, განსაკუთრებით – როცა ნასვამია და, ზედმეტი არაფერი წამოგცდეს მის ცოლზე, ქებაც კი, თორემ, შეიძლება, ყველა და ყველაფერი ფეხებზე დაიკიდოს და უსიამოვნება შეგამთხვიოს.

– გასაგებია. პირობას გაძლევ, ძალიან კორექტული ვიქნები.

რეზომ ჭიქები სასმლით შეავსო, ამერიკელს მიუჭახუნა და უხმოდ დალია. ტომასმაც იგივე გააკეთა და ქართველ პარტნიორს მოლოდინით შეაცქერდა:

– როდის გამაცნობ იმ კაცს?

– ის კაცი შენ წინ ზის და არ იცის, როგორ მოიქცეს.

– ასეც ვიცოდი! – შეჰყვირა ტომასმა, – მივხვდი, მაგრამ, დარწმუნებული არ ვიყავი. თუ არ გეწყინება, გკითხავ: ცოლთან უსიამოვნება გაქვს?

– ეს საკითხი არავისთან არ განიხილება, – აიფოფრა რეზო.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



**რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი**

# როგორ რეაგირებს ადამიანის ორგანიზმი პლანეტების გეომაგნიტურ ზემოქმედებაზე

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან".*

**კურტ ვონეგუტი**

*ასტროლოგია, როგორც ოკულტური საიდუმლო მეცნიერება, უძველესი დროიდან არის ცნობილი. მისი მეშვეობით კაცობრიობა სწავლობს პლანეტებისა და ვარსკვლავების ვიბრაციებს და მათ გეომაგნიტურ ზემოქმედებას ბიოლოგიურ ორგანიზმებზე. ასტროლოგიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა ასტრომედიცინა, რომლის პრინციპებიც, ასევე, მრავალი ათასი წლის წინათ შეიქმნა. სამედიცინო ასტროლოგია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მზის, მთვარის, მზის სისტემის პლანეტების, ზოდიაქოს ნიშნების, ვარსკვლავებისა და კოსმიური გამოსხივების ზემოქმედებას ადამიანზე. უძველესი დროიდან იქნა შემჩნეული, რომ ერთი ზოდიაქოს ნიშნის მქონე ადამიანებს, რომლებიც მთვარის ერთსა და იმავე ფაზაში დაიბადნენ, აქვთ ერთნაირი დაავადებებისადმი მიდრეკილება. მაგალითად, ვერძთა უმრავლესობისთვის, რომლებიც დაიბადნენ სავსემთვარეობისას, დამახასიათებელია შაკიკი და თირკმლის პრობლემები; კუროთა უმრავლესობაც, ვინც, ასევე სავსემთვარეობისას დაიბადა, უფრო ხშირად ავადდება ყელისა და შარდ-სასქესო სისტემის ინფექციით.*

### ვერძი

ამ ნიშნით დაბადებული ადამიანების კლასიკური დაავადებები დაკავშირებულია თავის არესთან. მათთვის დამახასიათებელია შაკიკი, ნევრალგია, ნერვული სტრესები, უძილობა, ჰიპერტონია; აქვთ შედარებით სუსტი კბილები და ძვლოვანი სისტემა. ამიტომ, შეიმჩნევა მიდრეკილება მოტეხილობისა და დამწვრობისკენ. სხვა დაავადებები, როგორც წესი, ხანმოკლეა, თუმცა ძლიერი ციებ-ცხელებით აღინიშნება.

### კურო

ხშირია ყელ-ყურ-ცხვირთან, ენდოკრინულ სისტემასა და ფარისებრ ჯირკვალთან დაკავშირებული დაავადებები; ასევე, ჰაიმორიტი და ზედა სასუნთქი გზების დაავადებები, კუნთების დაჭიმვა... უსისტემო კვების შედეგად, მათ უჩნდებათ გარკვეული სირთულეები წონასთან დაკავშირებით, რაც, თავის მხრივ, ზღუდავს გულის სწორ ფუნქციონირებას.

### ტყუპები

დამახასიათებელია ფილტვებთან დაკავშირებული დაავადებები: ბრონქიტი, ასთმა, ასევე, სხვადასხვა სახის ნერვიული დეპრესია, ენის ბორძიკი, ხელების სხვადასხვა დაავადება, უძილობა, თავის ტკივილი... ისინი მძაფრად რეაგირებენ სისხლის დაავადებებზე. ხშირია სეფსისის შემთხვევებიც, დიდხანს არ უხორცდებათ ჭრილობები.

### კირჩხიბი

ამ ნიშნისთვის დამახასიათებელია, უპირველესად, კუჭთან დაკავშირებული დაავადებები, სხვადასხვა სახის შეშუპება, ფსიქოსომატური დარღვევები. მაგალითად, ფილტვების დაავადებისას, ხშირად შეიმჩნევა მანიისა და აგზნებადობის ფსიქოსომატური სინდრომი; ღვიძლის დაავადებისას ხშირად უჩნდებათ აზრები თვითმკვლელობაზე. ახასიათებთ აზრის აკვიატება, რის გამოც, ძალუძთ, გაიჩინონ დაავადება გადამეტებული ფანტაზიის, შიშისა და არასტაბილური ფსიქიკის მეოხებით.

### ლომი

დამახასიათებელია გულისა და მკერდის არესთან დაკავშირებული დაავადებები, სტენოკარდია, ინფარქტი, აორტის ანევრიზმა, სისხლძარღვოვანი დაავადებები, ჰიპერტონია. ხშირია ხერხემალთან დაკავშირებული ტრავმები და დაავადებები.

### ქალწული

დამახასიათებელია კუჭ-ნაწლავთან დაკავშირებული დაავადებები, ჩირქოვანი აპენდიციტი, პერიტონიტი, მუცლის ღრუსთვის დამახასიათებელი სხვა დაავადებები. წარმატება პროფესიულ საქმიანობაში პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია მათი დაავადებების წარმოქმნასთან, რასაც ხელს უწყობს მეტად ლაბილური ფსიქიკა.

### სასწორი

ამ ნიშნით დაბადებული ადამიანების დაავადებები დაკავშირებულია თირკმელებთან და შარდსასქესო სისტემასთან. ხშირია რადიკულიტი, ურემია, ნეფრიტი, აგრეთვე ნერვულ სტრესებთან და ფსიქიკასთან დაკავშირებული დაავადებები.

### მორიელი

დამახასიათებელი დაავადებებია: ბუასილი, სწორი ნაწლავის დაავადებები, გინეკოლოგიური და შარდ-სასქესო სისტემასთან დაკავშირებული ინფექციური დაავადებები. ხშირია ენდოკრინული სისტემისა და საკვების ასიმილაციის დარღვევა.

### მშვილდოსანი

ხშირად ავადმყოფობენ ნერვული სისტემის არასწორი ფუნქციონირებით გამოწვეული დაავადებებით. ხშირია მყესების განყვეტით გამოწვეული ტრავმები, ძვლის მოტეხილობა, რევმატიზმი, რადიკულიტი, ღვიძლის ფუნქციის მოშლასთან დაკავშირებული დაავადებები და შინაგანი სისხლდენები.

### თხის რქა

მათ აწუხებთ ძვლოვან სისტემასა და ხერხემალთან დაკავშირებული დაავადებები: ოსტეოქონდროზი, მარილების დაგროვება და ნივთიერებათა ცვლის დარღვევა. სახსრების ანთება, სისუსტის შეგრძნება საერთოდ, კანის დაავადებები.

### მერწყული

ამ ნიშნის ადამიანისთვის დამახასიათებელია ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ტრომბოფლებიტი, ართრიტი, სისხლის დაავადებები, თვალებთან დაკავშირებული დაავადებები. გონების გადაღლის გამო, მათ ესაჭიროებათ ხშირი ძილი.

### თევზები

მათთვის დამახასიათებელია ღვიძლის ფუნქციის მოშლა, ანემია, წამლების მიმართ გადამეტებული მგრძნობელობა, კანის დაავადებები: ეგზემა, ფსორიაზი, ასევე, ფეხებთან დაკავშირებული პრობლემები.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1998 წლის 2 ივლისს. გთხოვთ, მირჩიოთ, რომელ სფეროში მოვსინჯო ძალები, რომ წარმატებებს მივაღწიო?**

**პასუხი:** პროფესიებიდან თქვენთვის სასურველი და წარმატების მომტანია: საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო საქმის ფართო სპექტრი, პოლიტიკის სფერო, საათების ბიზნესი ან შემოქმედება, პედაგოგიური მოღვაწეობა ან ბიზნესი, სამხედრო სტრუქტურები, სამართალდამცავი ორგანოები, უშიშროების სფერო, მშენებლობისა და მედიცინის ფართო სპექტრი, განსაკუთრებით – ტრავმატოლოგია; ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო, საგამომცემლო ინდუსტრია, ლინგვისტიკა, სოციოლოგია, ავტომატიკა, ტელემექანიკა, კავშირგაბმულობის ფართო სპექტრი. ყველა ამ ჩამოთვლილ სფეროში წარმატების შანსი გაცილებით მეტი გაქვთ.

**კითხვა: დავიბადე 1989 წლის 31 ოქტომბერს. მინდა, წავიდე უცხოეთში და იქ მოვსინჯო ჩემი ძალები. თუ მირჩევთ გამგზავრებას და კონკრეტულად რომელი ქვეყნებია ჩემთვის ასტროლოგიურად მისაღები და წარმატებების მომტანი?**

**პასუხი:** გეტყვით, რომ უცხოეთი თქვენთვის არც ცუდია და არც კარგი, ანუ საშუალოა. ამიტომ, გარკვეული დროით იქ გამგზავრება და ძალების მოსინჯვა ნამდვილად ღირს. ქვეყნებიდან კი მეტად მისაღები და წარმატების მომტანია: ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთი ნაწილი, ჰოლანდია, შოტლანდია, თურქეთი, საფრანგეთი, ჩინეთი, ახალი ზელანდია, ინდოეთი, იტალიის ვენეციის მხარე, აფრიკის ჩრდილო და დასავლეთი მხარე, უზბეკეთი, გერმანია, მალაიზია, სირია, კუბა, მექსიკა, ნორვეგია და უნგრეთი. თუ მომავალში უცხოეთში აპირებთ წასვლას, გირჩევთ, ეს ქვეყნები წამოწიოთ წინა პლანზე, რათა ადვილად გადალახოთ პრობლემები და წარმატებებს მიაღწიოთ.

**კითხვა: დავიბადე 1996 წლის 29 აგვისტოს. რომელ პროფესიებში მელის წარმატება?**

**პასუხი:** პროფესიებიდან თქვენთვის მისაღებია: სცენარისტობა, დრამატურგია, რეჟისურა, კომპიუტერული ტექნოლოგიები, აუდიო და მობილური სისტემების ბიზნესი, საკომუნიკაციო სისტემები, ჟურნალისტიკა, ტელევიზია, პრესა, რადიო, სარეკლამო და საგამომცემლო საქმიანობა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, საკონსტრუქტორო საქმე, დიზაინი, არქიტექტურა, ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, ფსიქოლოგია, ფილოსოფია; მედიცინიდან კი – პედიატრია.

## ორშაბათი 25 აგვისტო

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული სამყარო" **09.30** ან./ფ "კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები** **14.00** "სამოთხის ვაშლები" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** **17.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **18.30** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.00** "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ტრ.) **23.00** მხ/ფ **"აფრიკიდან"** (რ.რედფორდი) **01.30** დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული სამყარო".

**08.00** სერ. **"შურისმაძიებელი"** **09.00** ღამის შოუ (გ/ჩ) **10.00** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა. **11.15** სერ. **"სილა"** **13.00** კულინარიული დუელი **14.40** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.45, 19.03** სერ. **"ბამბის ველი"** **20.55** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00, 23.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **00.00** სერ. **"20 წუთი"** **01.00** მხ/ფ **"კარგ კომპანიაში"** **02.45** სერ. **"კენედები"** **2** სერ.

**07.00** სერ. **"არ დამივიწყო"** **08.00, 12.30** ქ.მხ/ფ. **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **14.00** ქ.სერ. **"მეზობლები"** **16.00** სერ. **"ეზელი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"კარადაი"** **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **23.00** სერ. **"ჟამი ყვავილობისა"** **23.30** უკანასკნელი გმირი **00.00** მხ/ფ. **02.00** კურიერის დაიჯესტი **02.30** მხ/ფ.

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" **06.45** მხ/ფ **"არდადეგებზე"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** დ/ფ "მსოფლიო საგანძური" **08.40, 18.25** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" **10.00** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **11.50** ქვიშით ნაამბობი **12.05** მხ/ფ **"არასერიოზული კაცი"** **13.35** კონცერტი -კონტრაპუნქტი - მ. შუღლიაშვილი I ნაწ. **15.05** ზღვარზე **15.25** სპექტაკლი - **"საქართველოს უკანასკნელი დედოფალი"** **17.00** დ/ფ "ბრინჯაოში გამოძერწილი საქართველოს მატიანე" ზ. წერეთელი **18.10** "დიდ ხარ შენ,უფალო" მოციქულები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"ნინო"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** პატერიკი **21.30** ღვთის სახლი **21.45** დ/ფ "უფლისციხე" **22.25** დ/ფ "საქართველოს ეკლესიის წმინდა მღვდელმთავარნი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "მემენტო მორი" ტერენტი გრანელი **00.35** განთიადის სიუჟეტი **01.00** მხ/ფ **"თხუნელა"** **02.15** ირაო.

**7.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **8.10** სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) **8.40, 22.00, 1.40** "ყოველდღიური ა(მ)ბები" ვასიკო ოდიშვილისგან (ანეკდოტების ნაკრები) გ/ჩ" **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) **10.05, 11.05 სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **12.30** TV **11** მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) **13.05, 14.05 სერიალი "ასი"** **15.40, 16.03, 17.03 სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 19.03, 20.07 სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი" (საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე **22.15, 23.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.30** გადაცემა "კომბილაივი" (კაზანტიპი) პ/ე **0.30** ბრძოლა წესების გარეშე (სპორტული შოუ) **1.20** გადაცემა "**60** კითხვა ინტერიერში"(გამ.) **2.20** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება"(გამ).

## სამშაბათი 26 აგვისტო

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **09.30** ან./ფ "კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** **14.00** "გურმანია" **14.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** **17.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **18.30** "შეხვედრები მწერალთა სახლში" **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.40 ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგის პლეიოფი (პ/რეპ) **00.40** მხ/ფ **"მარტოხელა გმირი"** **01.30** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა".

**08.00** სერ. **"შურისმაძიებელი"** **09.00** ღამის შოუ (გ/ჩ) **10.00** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა. **11.15** სერ. **"სილა"** **13.00** კულინარიული დუელი (გ/ჩ) **14.40** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.45, 19.03** სერ. **"ბამბის ველი"** **20.55** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00, 23.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **00.00** სერ. **"20 წუთი"** **01.00** მხ/ფ **"ქალების ქვეყანაში"** **02.40** სერ. **"კენედები"** **3** სერ.

**07.00** სერ. **"არ დამივიწყო"** **08.00, 12.30** ქ.მხ/ფ. **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **14.00** ქ.სერ. **"მეზობლები"** **16.00** სერ. **"ეზელი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"კარადაი"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**(გ/ჩ) **23.00** სერ. **"ჟამი ყვავილობისა"** **23.30** სოციალური ცელი **00.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **00.30, 03.00** მხ/ფ. **02.30** კურიერის დაიჯესტი.

**06.10** საგალობელი **06.15** ქვიშით ნაამბობი **07.25** სპექტაკლი - "საქართველოს უკანასკნელი დედოფალი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** დ/ფ "მსოფლიო საგანძური" **08.40, 18.25** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** დ/ფ "უფლისციხე" **11.00** დ/ფ "მემენტო მორი" ტერენტი გრანელი **11.35** პატერიკი **11.40** ღვთის სახლი **12.10** მხ/ფ **"ნინო"** **13.30** კონცერტი -კონტრაპუნქტი - მ. შუღლიაშვილი II ნაწ. **14.55** შვიდგზის ლოცვა **15.05** ზღვარზე **15.25** დ/ფ "სამშობლო მოდის შენთან" **16.00** მხ/ფ **"ოროპტრიალი"** **18.10** "დიდ ხარ შენ,უფალო" მოციქულები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მოკ./ფ **"ქვევრი"** **19.50** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** "ჩვენი ამბავი" **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** წმინდა მაქსიმე აღმსარებელი **23.30** ჩვენი ფონდი **00.35** განთიადის სიუჟეტი **00.50** მხ/ფ **"ო, რა ტკბილია განშორების ეს ნაზი სევდა"** **02.15** ირაო.

**7.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **8.20** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) **8.40, 22.00, 1.40** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან (ანეკდოტების ნაკრები) გ/ჩ" **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) **10.05, 11.05 სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **12.30** TV **11** მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) **13.05, 14.05 სერიალი "ასი"** **15.40, 16.03, 17.03 სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 19.03, 20.07 სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე **22.15, 23.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.30** გადაცემა "კომბილაივი" (კაზანტიპი) პ/ე **0.30** ბრძოლა წესების გარეშე (სპორტული შოუ) **1.20** გადაცემა "ID"(გამ) **2.20** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება"(გამ).

გაგრძელება 47-ე გვერდზე

## კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი“**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**25–31 აგვისტო**

*დარბაზი 1*

14.15, 17.20 - **„კუ ნინძები” 3D;** *ხანგრძლივობა 1სთ და 30 წთ.;*
20.10, 22.30 - **„ქარიშხალი”;** *ხანგრძლივობა 1სთ და 40 წთ.;*

*დარბაზი 3*

14.00 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი” 3D;** *ხანგრძლივობა 1სთ და 40 წთ.;*
16.45 - **„ჰერკულესი” 3D;** *ხანგრძლივობა 1სთ და 40 წთ.;*
19.45, 22.30 - **„კუ ნინძები” 3D;** *ხანგრძლივობა 1სთ და 30 წთ.;*

*დარბაზი 4*

14.15 - **„ვიდეო დიდებისთვის”;** *ხანგრძლივობა 1სთ და 35 წთ.;*
17.15, 20.00, 22.30 - **„გალაქტიკის მცველები” 3D;** *ხანგრძლივობა 2სთ.;*

*დარბაზი 5*

14.30, 17.30 - **„ქარიშხალი”;** *ხანგრძლივობა 1სთ და 40 წთ.;*
20.00, 22.30 - **„ვიდეო დიდებისთვის”;** *ხანგრძლივობა 1სთ და 35 წთ.;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი”**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

14.30, 17.30 - **„კუ ნინძები” 3D;** *ხანგრძლივობა 1სთ და 30 წთ.;*
20.00, 22.30 - **„ქარიშხალი”;** *ხანგრძლივობა 1სთ და 40 წთ.;*

*დარბაზი 2*

14.15 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი” 3D;** *ხანგრძლივობა 1სთ და 40 წთ.;*
16.30 - **„ქარიშხალი”;** *ხანგრძლივობა 1სთ და 40 წთ.;*
19.30, 22.30 - **„კუ ნინძები” 3D;** *ხანგრძლივობა 1სთ და 30 წთ.;*

*დარბაზი 3*

14.30 - **„კუ ნინძები” 3D;** *(ინგლისურად) ; ხანგრძლივობა 1სთ და 30 წთ.;*
17.30 - **„ნაბიჯით წინ” 3D;** *ხანგრძლივობა 1სთ და 50 წთ.;*
20.00, 22.30 - **„ქარიშხალი”** *(ინგლისურად) ; ხანგრძლივობა 1სთ და 40 წთ.;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.



# პოლონური ფუნთუშები



**საჭირო ინგრედიენტები:** 3 ჭიქა ფქვილი, 2 სადილის კოვზი შაქარი, 2 სადილის კოვზი მარგარინი, 2 ცალი კვერცხი (მოზრდილი), 0,5 ჭიქა შემთბარი რძე, 0,25 ჭიქა შემთბარი წყალი, 0,3 ჩაის კოვზი მარილი, 1 ჩაის კოვზი მშრალი საფუარი, 1 ჩაის კოვზი ტკბილი ვანილი, ნებისმიერი ჯემი, შაქრის პუდრი, ცოტა ზეთი.

**მომზადების წესი:** საფუარი გახსენით თბილ წყალში და გააჩერეთ 10-15 წუთი, სანამ ზედაპირზე ქაფი არ გაუჩნდება. ჯამში ჩაყარეთ მთლიანი ფქვილის რაოდენობის ნახევარი, შაქარი და ჩაასხით საფუარიანი მასა, წყალი, რძე, ოდნავ ათქვეფილი კვერცხი, მარილი, ვანილი და აურიეთ კარგად. დაუმატეთ დარბილებული მარგარინი და ეცადეთ, თანაბრად განაწილდეთ მთელ ცომში. ნელ-ნელა დაუმატეთ დარჩენილი ფქვილი და მოზილეთ რბილი ცომი. შეიძლება, ფქვილი ცოტა მეტი, ან ცოტა ნაკლები დაგჭირდეთ. ცომის მოსაზელად 10 წუთი დაგჭირდებათ. გააჩერეთ ცომი თბილ ადგილას იქამდე, სანამ არ გაფუვდება. მზა ცომი გააბრტყელეთ 1 სანტიმეტრის სისქეზე. ჭიქით ამოჭერით რგოლები. სასურველია, ამ რგოლების დიამეტრი 7 სანტიმეტრს არ აღემატებოდეს. ერთი საათით კიდევ თბილ ადგილას იყოს, მერე კი ძალიან ცხელ ზეთში შეწვით. ტაფაში ჩასხმული ზეთი ხუთი სანტიმეტრის სიმაღლეზე უნდა იყოს. ძალიან მაღალ ცეცხლზეც არ დადგათ, რომ შუაგული უმი არ დარჩეს. მზა ფუნთუშები დააწყვეთ ქაღალდის ხელსახოცებზე. როცა ოდნავ გაცივდება, შუაგულში ჯემი ჩაუდეთ და მოაყარეთ შაქრის პუდრი.

# ღორის ხორცი ფარშით



**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამი ღორის ხორცი, 4 კბილი ნიორი, 1 კონა ოხრახუში, 1 ნაჭერი თეთრი ან შავი პური, 3 სადილის კოვზი გახეხილი, მაგარი ყველი, ცოტა მარილი, 2 სადილის კოვზი ზეთი, 2 ცალი კვერცხის გული, ფქვილი, შავი პილპილი.



**მომზადების წესი:** მიქსერით ან ბლენდერში ათქვიფეთ ჯერ შიგთავსის ინგრედიენტები: შებრაწეთ მშრალ ტაფაზე დაჭრილი პური და მერე მოათავსეთ დასაფქვავად, ჩაუმატეთ ნიორი, მწვანილი, ყველი. ასევე, დაუმატეთ 2 სადილის კოვზი ზეთი, მარილი – გემოვნებით და კვერცხის გულები.

ხორცი დაჭერით ულუფებად. თითოეულ ნაჭერზე გააკეთეთ ჩანაჭერი ჯიბე. ჩატენეთ შიგ ცოტა სატენი და შეუკარით პირი კბილის საწმენდი ჩხირით.

ერთმანეთში შეურიეთ მარილი, პილპილი და ცოტა ფქვილი. ამ ნარევში სათითაოდ ამოგანგლეთ ხორცის ნაჭრები და შეწვით ზეთში, ყველა მხრიდან. დაასხით ტაფაზე ცოტა მდუღარე წყალი, ბულიონი ან ღვინო. სითხე რომ ამოშრება, ხორციც მზად იქნება. ან შეგიძლიათ, ხორცი აირღუმელში შეწვათ 20 წუთის განმავლობაში. მიირთვით, არომატული, გემრიელი, შესანიშნავი ხორცი, ლიმონთან და მწვანილთან ერთად.

* მიკროტალღურ ღუმელში დადგით წყლით სავსე ღრმა თეფში. ცხელი ორთქლი დაალბობს წარმოქმნილ ჭუჭყსა და ცხიმს და მას უპრობლემოდ გაწმენდთ.

ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები

# „პერლოვკის“ ფლავი





**საჭირო ინგრედიენტები:** 250 გრამი „პერლოვკა“, 200 გრამი ქამა სოკო, 200 გრამი (1 ცალი მოზრდილი) სტაფილო, 100 გრამი ხახვი (1 ცალი საშუალო ზომის), ზეთი, მარილი, პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ბურღული ძალიან კარგად გარეცხეთ გამდინარე წყალში. შემდეგ ოდნავ მოხალეთ მშრალ ტაფაზე. დაასხით მდუღარე და აცალეთ, გაფუვდეს. სოკო გაარჩიეთ და ჯერ მარილიან წყალში ჩაალბეთ, მერე ცივი წყალი გადაავლეთ. დაჭერით ფირფიტებად. შეგიძლიათ, გამოიყენოთ დაკონსერვებული სოკოც. მოშუშეთ სოკო ზეთში. უყავით მარილი და პილპილი.

სტაფილო გახეხეთ მსხვილკბილა სახეხზე ან ძალიან წვრილ ჩხირებად დაჭერით. ხახვი დააქუცმაცეთ. და მოშუშეთ ზეთში. დაუმატეთ სტაფილო და შუშეთ ერთად. გაფუებული „პერლოვკა“ გადაიტანეთ ცეცხლგამძლე ჯამში და დაასხით მდუღარე. დადგით ცეცხლზე და მიიყვანეთ ადუღებამდე. უყავით მარილი და მოხარშეთ ძალიან დაბალ ცეცხლზე. თუ წყალს ბოლომდე არ შეიწოვს, გადაწურეთ. სქელძირიან ქვაბში ჩაასხით ცოტა ზეთი. მოათავსეთ მასში „პერლოვკა“, დაუმატეთ მოშუშული სტაფილო და სოკო. აურიეთ. ცოტა ხანი ძალიან დაბალ ცეცხლზე დადგით და შუშეთ 30 წუთი. სუფრასთან მიტანის წინ მოაყარეთ დარჭილი მწვანილი ან მწვანე ხახვი.

# ყვავილოვანი კომბოსტო ქათმის ხორცით







**საჭირო ინგრედიენტები:** 600 გრამი ქათმის ფილე, 1 კილოგრამი ყვავილოვანი კომბოსტო, 100 გრამი მაგარი ყველი, 3 კბილი ნიორი, 1 ცალი ბულგარული წიწაკა, 2 ცალი პომიდორი, 3 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, 1 თავი ხახვი, ცოტა შაქარი, ზეთი, პილპილი, მწვანილი, მარილი.

**მომზადების წესი:** ყვავილოვანი კომბოსტო დაშალეთ. ჩაუშვით მდუღარე მარილწყალში, გააჩერეთ 5 წუთი და შემდეგ გადაიტანეთ საწურზე. ნახარში გადაასხით, და მხოლოდ 1 ჭიქა შეინახეთ სოუსისთვის.

ქათმის ფილე დაჭერით, უყავით ცოტა მარილი, პილპილი და მოათავსეთ ცხელ ტაფაზე. დაასხით ცოტა ზეთი და ყველა მხრიდან დაბრაწეთ. ცხიმწასმულ ფორმაში მოათავსეთ კომბოსტოს მთელი მასის ნახევარი. მეორე ფენად მოათავსეთ ქათმის ხორცი.

**მოამზადეთ სოუსი:** წვრილად დაჭრილი ხახვი და ნიორი ოდნავ მოშუშეთ. დაუმატეთ დაჭრილი პომიდორი, წვრილად დაჭრილი ბულგარული. შუშეთ ხუთი წუთის განმავლობაში. ჯამში აურიეთ ტომატ-პასტა, 1 ჭიქა ნახარში, მარილი, პილპილი და ცოტა შაქარი. შეგიძლიათ, ჩაუმატოთ ცოტა არაჟანი, – 3 სადილის კოვზი ან 100 გრამი ნაღები. აურიეთ ეს ყველაფერი და ჩაუმატეთ ბოსტნეულს. 1-2 წუთი შუშეთ. ამ სოუსის ნახევარი ზემოდან წაუსვით ხორცს. შემდეგ მოაყარეთ მეორე ფენად კომბოსტო. ზემოდან წაუსვით დარჩენილი სოუსი. მოაყარეთ გახეხილი ყველი და წვრილად დაჭრილი მწვანილი. მოათავსეთ ცხელ აირღუმელში 180-190 გრადუს ტემპერატურაზე. 30 წუთის შემდეგ მზად იქნება. ძალიან კარგია.

# ისპანახის სალათა ნუცა შანშიაშვილისგან



*მიყვარს გემრიელად ჭამა, თუმცა, უპირატესობას, ბოსტნეულს და ჯანსაღ კვებას ვანიჭებ. ვფიქრობ, ყველა ასე უნდა მოიქცეს, თუ სურს, დიდხანს შეინარჩუნოს სილამაზე და ახალგაზრდობა. ისპანახის სალათა, ჩემი საყვარელი, მსუბუქი საჭმელია, მით უმეტეს, ზაფხულის ცხელ სეზონზე და გირჩევთ, თქვენც დააგემოვნოთ.*

**საჭირო ინგრედიენტები:** 3 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, 2 სადილის კოვზი თხელი თაფლი, 0,5 სადილის კოვზი დაფქული წიწაკა, 2 სადილის კოვზი დაფქული ძირა, 5 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 1,5 სადილის კოვზი ქიშმიში, 1 ქილა დაკონსერვებული მუხუდო, 100 გრამი ახალი ისპანახი, 100 გრამი ყველი, მარილი.



**მომზადების წესი:** ლიმონის წვენი და თაფლი გახსენით 1 სადილის კოვზ წყალში. დაუმატეთ დაფქული წიწაკა, მარილი და ძირა – ეს სოუსია. ცალკე მორევისას წვრილი ნაკადით შეურიეთ ზეთი. მუხუდო გადაწურეთ და ჩაყარეთ ჯამში, აურიეთ ქიშმიში, გარეცხილი და გამშრალი ისპანახის ფოთლები, ყველი და მოასხით სოუსი.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# თევზი ატმით, ჩილითა და კარით

**საჭირო ინგრედიენტები:** 800 გრამი კალმახის ფილე, 3 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, 1 ჩაის კოვზი დაფქული წითელი წიწაკა, 0,5 სადილის კოვზი კარის ფხვნილი, 4 ცალი ატამი, 4 ცალი პომიდორი, 1 კონა მწვანე ხახვი, 2-3 ღერი შაშკვლავი, 3-4 სადილის კოვზი თეთრი ღვინის ძმარი, 2 სადილის კოვზი ზეთი, მარილი, პილპილი და შაქარი გემოვნებით.

**მომზადების წესი:** თევზი გარეცხეთ, გააშრეთ და ოთხად გაჭერით. ლიმონის წვენი, წიწაკა და კარი აურიეთ და თევზის ნაჭრებს წაუსვით. ატმები გარეცხეთ, გაჭერით და კურკა ამოაცალეთ. პომიდორი გარეცხეთ, ოთხად გაჭერით და თესლი ამოაცალეთ. ატამი და პომიდორი პატარა კუბებად დაჭერით. მწვანე ხახვი და შაშკვლავი წვრილად დაჭერით. ძმარი, მარილი, პილპილი და მწიკვი შაქარი აურიეთ. შეურიეთ ზეთი, დაჭრილი პომიდორი, ატამი, მწვანე ხახვი და შაშკვლავი. თევზის ნაჭრები გრილზე შეწვით და სალათასთან ერთად მიირთვით.



# გარგარის მუსი ჟოლოს სოუსით

**საჭირო ინგრედიენტები:** 2 ცალი ჟელატინი, 4 ცალი მწიფე გარგარი, 250 გრამი 20-პროცენტიანი ხაჭო, 2 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, 4 სადილის კოვზი შაქარი, 1 შეკვრა ვანილი, 150 მილილიტრი სქელი ნაღები, 250 გრამი ჟოლო, შაქრის პუდრი მოსაყრელად.

**მომზადების წესი:** ჟელატინი ცივ წყალში დაალბეთ. გარგარი ჩაყარეთ ადუღებულ წყალში, გადაწურეთ, გააცალეთ კანი, გაჭერით შუაზე და კურკა ამოაცალეთ. შემდეგ წვრილად დაჭერით. ხაჭოში აურიეთ ლიმონის წვენი, 3 სადილის კოვზი შაქარი და ვანილი. შეურიეთ დაჭრილი გარგარი. ჟელატინი გაადნეთ, ჯერ 3 სადილის კოვზი ხაჭოს მასას შეურიეთ, შემდეგ კი მთლიანად აურიეთ ხაჭოს მასაში. ნაღები ათქვიფეთ და შეურიეთ ხაჭოსა და ჟელატინის მასას, შემდეგ ჩადეთ ფორმაში, დაახურეთ სახურავი და 4 საათით მაცივარში დადგით. ჟოლოს 2/3 ნაწილი და 1 სადილის კოვზი შაქარი ბლენდერით დააქუცმაცეთ და საცერით გაცხრილეთ და შემდეგ დანარჩენი ჟოლო შეურიეთ. მუსი ჟოლოს სოუსთან ერთად ამოიღეთ თეფშზე და შაქრის პუდრი მოაყარეთ.



ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები

# მარტივი და სასარგებლო



ამ სანათით ყველა მოიხიბლება. დაგჭირდებათ რამდენიმე კოლოფი: ერთი – მიწის თხილის, სამი ცალი პატარა, თხევადი იოგურტის, ერთიც, შედარებით დიდი, ნებისმიერი პროდუქტის შესაფუთი – მაგალითად, დიდი არაჟნისაც გამოდგება. დააკვირდით სურათებს და მიეცით თქვენს ფანტაზიას თავისუფლება. ჯერ სანათის ძირი ააწყვეთ. წებო სილიკონის შეარჩიეთ. შემდეგ „ხუფიც“ გაალამაზეთ. გადააკარით ნებისმიერი ქსოვილი. მორთეთ მაქმანებით და მძივებით. ძირი შეღებეთ თეთრად ან შავად. თუ ელექტრობაში ერკვევით, თქვენ სანათს სადენი და ნათურაც დაუმაგრეთ, თუ არა და დეკორატიულ ნივთადაც ძალიან ლამაზია.

## შარფი ძველი კაბიდან

შეგიძლიათ, ძალიან ლამაზი შარფი გააკეთოთ ძველი კაბიდან, ან მაისურისგან. ქსოვილის ფაქტურას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, დაჭრისას არ ირღვეოდეს. დააკვირდით სურათებს და ნახავთ, რომ საკმაოდ ადვილია. მთავარია, ფოჩებზე კვანძები ზუსტად ისე გააკეთოთ, როგორც ეს შესაბამის სურათზეა ნაჩვენები.



* მიმწვარი ჭურჭელი ჩაალბეთ წყალში, დაუმატეთ ჭურჭლის სარეცხი საშუალება და მარილი. გააჩერეთ ცოტა ხანს და შემდეგ გარეცხეთ.

42-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 27 აგვისტო

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **09.30** ან./ფ "კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი" 12.00, 16.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები" 14.00** "სამოთხის ვაშლები" (გ/ჩვ.) **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი" 17.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა" 18.55 კალათბურთი. საქართველო – პორტუგალია** (პ/რ) დიდ შესვენებაზე: "მოამბე" **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.40 ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგის პლეიოფი (პ/რეპ) **00.40** მხ/ფ **"მიწისძვრა".**

**08.00** სერ. **"შურისმაძიებელი" 09.00** ღამის შოუ (გ/ჩ) **10.00** სერ. **"ბედის ანაბარა" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა. **11.15** სერ. **"სილა" 13.00** კულინარიული დუელი (გ/ჩ) **14.40** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა" 17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე" 18.45, 19.03** სერ. **"ბამბის ველი" 20.55** სერ. **"შავი ვარდი" 22.00, 23.00** სერ. **"შუა ქალაქში" 00.00** სერ. **"20 წუთი" 01.00** მხ/ფ **"უკვდავები: ღმერთების ომი" 02.50** სერ. **"კენედები" 4** სერ.

**07.00** სერ. **"არ დამივიწყო" 08.00, 12.30** ქ.მხ/ფ. **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **14.00** ქ.სერ. **"ალუბლების ქუჩა" 16.00** სერ. **"ეზელი" 18.45** სერ. **"სტამბოლის ცა" 19.45** სერ. **"კარადაი" 22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** (გ/ჩ) **23.00** სერ. **"ჟამი ყვავილობისა" 23.30** გააცინე და მოიგე (ძველი გ/ჩ) **00.00** კიმონო **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ. (ტიტ.).

**06.10** საგალობელი **06.15** ქვიშით ნაამბობი **06.25** მხ/ფ **"ო, რა ტკბილია განშორების ეს ნაზი სევდა" 08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** დ/ფ "მსოფლიო საგანძური" **08.40, 18.25** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** თეთრიდან თეთრამდე **10.40** ლექსით ქებათა ქება **10.45** ქრისტიანული ხელოვნება **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** მოკ./ფ **"ქვევრი" 13.25** ქვიშით ნაამბობი **13.30** კონცერტი - ლიზა ბაგრატიონი **14.45** "ჩვენი ამბავი" **15.05** ზღვარზე **15.30** მხ/ფ **"ხანუმა" 16.50** კვირიაკე **18.10** "დიდ ხარ შენ,უფალო" მოციქულები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქრისტიანული სწავლება **19.35** დ/ფ "ულმერთოთა ღამე" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** "ივერიის ეკლესია" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "გზა მაცხოვრისა" **00.35** განთიადის სიუჟეტი **01.00** მხ/ფ **"ნაზარის უკანასკნელი ლოცვა" 02.15** ირაო.

**7.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **8.15** გადაცემა "უცნობი ისტორიები" გ/ჩ **8.40, 22.00, 1.40** "ყოველდღიური ა(მ)ბები" ვასიკო ოდიშვილისგან (ანეკდოტების ნაკრები) გ/ჩ" **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) **10.05, 11.05 სერიალი "სიყვარული და ღირსება" 12.30** TV **11** მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) **13.05, 14.05 სერიალი "ასი" 15.40, 16.03, 17.03 სერიალი "1001 ღამე" 18.40, 19.03, 20.07 სერიალი "ქუზეი და გუნეი" 21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე **22.15, 23.45 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.30** გადაცემა "კომბილაივი" (კაზანტიპი) პ/ე **0.30** ბრძოლა წესების გარეშე (სპორტული შოუ) **1.20** გადაცემა "უცნობი ისტორიები"(გამ.) **2.20** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება"(გამ).

## ხუთშაბათი 28 აგვისტო

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" **09.00 "მარიამობა"** (პ/ტრ სიონის საკათედრო ტაძრიდან) **13.00** დ/ფ "სიწმინდეები გვიხმობენ" – სალიტანიო ანჩისხატი **14.00** "გურმანია" (გ/ჩვ) **14.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი" 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **17.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა" 18.30** "შეხვედრები მწერალთა სახლში" (გ/ჩვ) **22.00** "არენა" (პ/ტრ) **23.00** მხ/ფ **"ვაჟიშვილები" 00.50** მხ/ფ **"სიზმრები".**

**08.00** სერ. **"შურისმაძიებელი" 09.00** ღამის შოუ (გ/ჩ) **10.00** სერ. **"ბედის ანაბარა" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა. **11.15** სერ. **"სილა" 13.00** კულინარიული დუელი (გ/ჩ) **14.40** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა" 17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე" 18.45, 19.03** სერ. **"ბამბის ველი" 20.55** სერ. **"შავი ვარდი" 22.00, 23.00** სერ. **"შუა ქალაქში" 00.00** სერ. **"20 წუთი" 01.00** მხ/ფ **"წვრილფეხა თაღლითები" 02.35** სერ. **"კენედები" 5** სერ.

**07.00** სერ. **"არ დამივიწყო" 08.00, 12.30** ქ.მხ/ფ. **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **14.00** ქ.სერ. **"ალუბლების ქუჩა" 16.00** სერ. **"ეზელი" 18.45** სერ. **"სტამბოლის ცა" 19.45** სერ. **"კარადაი" 22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** (გ/ჩ) **23.00** სერ. **"ჟამი ყვავილობისა" 23.30** ფორტ ბოიარდი (ქართული) **00.00** მხ/ფ. **02.00** კურიერის დაიჯესტი **02.30** მხ/ფ. (ტიტ.).

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "გზა მაცხოვრისა" **07.05** დ/ფ "დედაო ღვთისა" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჟურნალისტის დღიური - "ვლაქერნას სამოსელი" **08.55** შვიდგზის ლოცვა **09.00** მიძინება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა (ტრანსლაცია) **12.10** დ/ფ "ულმერთოთა ღამე" **13.30** ივერიის ეკლესია **13.40** კონცერტი - თამარ ჭოხონელიძე **15.05** დ/ფ "გემღერებოდეს დედაო" **16.20** მხ/ფ **"იავნანა" 17.35** ჩვენი ფონდი **18.10** პატრიარქის ქადაგება **18.25** დეკორატიული ფლორა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** "პორტრეტები" **20.15** მოკ./ფ"ადგილის დედა" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.40** ლექსით ქებათა ქება **21.45** მიძინება ყოვლად წმინდა ღვთისმშობლისა **22.25** "საუფლონი" გიხაროდენ სასუფეველსა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "დედა ღვთისმშობელი" **01.00** კონცერტი "სხვა საქართველო სად არის".

**7.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **8.10** სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) **8.40, 22.00, 1.40** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან გ/ჩ" **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) **10.05, 11.05 სერიალი "სიყვარული და ღირსება" 12.30** TV **11** მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) **13.05, 14.05 სერიალი "ასი" 15.40, 16.03, 17.03 სერიალი "1001 ღამე" 18.40, 19.03, 20.07 სერიალი "ქუზეი და გუნეი" 21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე **22.15, 23.45 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.30** გადაცემა "კომბილაივი" (კაზანტიპი) პ/ე **0.30** ბრძოლა წესების გარეშე (სპორტული შოუ) **1.20** გადაცემა "ურბანსპორტი"(გამ.) **2.20** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება/(გამ).

## პარასკევი 29 აგვისტო

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **09.30** ან./ფ "კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი" 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები" 14.00** "შემოძახილი" **14.30** დ/ფ"დიდებული სასახლეები" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი" 17.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა 18.30** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.00** მხ/ფ **"კუდის ქიცინი" 23.50** "უცნობი მუსიკა" **01.30** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო".

**08.00** სერ. **"შურისმაძიებელი" 09.00** ღამის შოუ (გ/ჩ) **10.00** სერ. **"ბედის ანაბარა" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა. **11.15** სერ. **"სილა" 13.00** კულინარიული დუელი **14.40** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა" 17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე" 18.45, 19.03** სერ. **"ბამბის ველი" 20.55** სერ. **"შავი ვარდი" 22.00, 23.00** სერ. **"შუა ქალაქში" 00.00** სერ. **"20 წუთი" 01.00** მხ/ფ **"ბოროტების სავანე" 02.40** სერ. **"კენედები" 6** სერ.

**07.00** სერ. **"არ დამივიწყო" 08.00, 12.30** ქ.მხ/ფ. **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **14.00** ქ.სერ. **"ალუბლების ქუჩა" 16.00** სერ. **"ეზელი"**

18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"კარადაი"** 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** (გ/ჩ) 23.00 სერ. **"ჟამი ყვავილობისა"** 23.30 ბრავო 00.00 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 საგალობელი 06.15 მიძინება ყოვლად წმინდა ღვთისმშობლისა 06.30 მხ/ფ **"იავნანა"** 07.50 "ჩვენი ამბავი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 დ/ფ "მსოფლიო საგანძური" 08.40, 18.25 დეკორატიული ფლორა 09.05 დ/ფ "დედა ღვთისმშობელი" 10.00, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 "საუფლონი" გიხაროდენ სასუფეველსა 10.05 ღვთის სახლი 11.20 ისტორიის გაკვეთილი 12.10 პორტრეტები 13.05 მოკ./ფ **"ადგილის დედა"** 13.30 კონცერტი -ორი ნანა და კვარტეტი 15.05 ზღვარზე 15.30 მხ/ფ **"როცა აყვავდა ნუში"** 16.55 კვირიაკე 18.10 ერთი წვეთი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"ლომა, დავიწყებული მეგობარი"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "წმინდა მამა ანტონ მარტყოფელი" 23.30 დ/ფ "დიდმოწამე დედოფალი ქეთევანი" 00.35 განთიადის სიუჟეტი 00.55 მხ/ფ **"წარსული ზაფხული"** 02.00 ირაო.

7.00 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი 8.20 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) 8.40, 22.00, 1.45 "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან გ/ჩ" 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 მაესტრო 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 ახალი ამბები 9.30 "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) 10.05, 11.05 **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** 12.30 TV 11 მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) 13.05, 14.05 **სერიალი "ასი"** 15.40, 16.03, 17.03 **სერიალი "1001 ღამე"** 18.40, 19.03, 20.07 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე 22.15, 23.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30 გადაცემა "კომბილაივი" (კაზანტიპი) პ/ე 0.30 ბრძოლა წესების გარეშე (სპორტული შოუ) 1.20 გადაცემა "უცნობი ისტორიები"(გამ.) 2.20 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება/(გამ).

## შაბათი 30 აგვისტო

08.00 საბ. ან./ფ "კრიპტო სუპერ ძაღლი" 09.00 მხ/ფ **"ბინგო-ბონგო"** 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე 11.00 ტ/სერ. **"მაგდა ემი"** 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 13.30 "სპექტაკლის დრო" 15.00, 21.00 ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** 16.30 დ/ფ"დიდებული სასახლეები" 17.00 ტ/სერ. **"ჭორიკანა"** 18.00 მხ/ფ **"ბუმი"** (ს.მარსო) 22.00 "წითელი ზონა" 23.00 მხ/ფ **"ალისფერი და შავი"** 01.30 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები".

07.30 ან/ფ "სპანჯბობი" 08.00 მხ/ფ **"ტყეში დაკარგულები"** 10.15 ეკოვიზია 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა. 11.15 ვაკანსია 12.00 სერ. **"მერლინი"** 13.00 კულინარიული დუელი 14.35 ორი ვარსკვლავი 16.30 იდენტიფიკაცია 17.35 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 18.45, 19.03 სერ. **"ბაბის ველი"** 20.55 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00, 23.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 00.00 სერ. **"20 წუთი"** 01.00 მხ/ფ **"მეოთხე დონის კონტაქტი"** 02.40 სერ. **"კენედები"** 7 სერ.

08.30 კურიერის დაიჯესტი 09.00, 12.30, 15.30 ქ.მხ/ფ. 10.00 კომედი შოუ (3 თვის წინანდელი) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00 კურიერი 14.00 იღბლიანი ბორბალი 17.00 ქ.სერ. **"ალუბლების ქუჩა"** 18.45 "ექიმები" 19.45 "ვინ დაამარცხებს ვასოს" 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** (გ/ჩ) 23.00 სერ. **"ჟამი ყვავილობისა"** 23.30 რა სად როდის (ბოლო სეზონის გ/ჩ) 01.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.30, 03.30 მხ/ფ.

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" 06.40 დ/ფ "ყველაზე, ყველაზე" 07.30 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 მხ/ფ **"წარსული ზაფხული"** 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართ. მულტფილმი 10.50 კვირიაკე 11.50 ქვიშით ნაამბობი 12.10 მხ/ფ **"ლომა, დავიწყებული მეგობარი"** 13.30 სადვთისმეტყველო საუბრები 14.05 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05 ზღვარზე 15.30 ოპერა - **"ნორმა"** 17.55 შვიდგზის ლოცვა 18.10 დიდი ტბელი მობრძანდება 18.35 ქვიშით ნაამბობი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ქრისტიანული ხელოვნება 22.25 "ჩვენი ამბავი" 22.35 წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სიმღერის კვალდაკვალ 00.35 დროის ჩანაწერები 01.20 მხ/ფ **"პიანისტი"** I ნაწ.

7.00, 0.10 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი 8.20, 0.25 დჰფ "სწრაფი ზოლი" 9.40, 1.45 იუმორისტული შოუ -"4X4" 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 11.00, 13.05, 16.00 **სერიალი "ღრუბლებს მიღმა"**(გამ.) 12.00, 15.00, 18.00, 21.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 12.30 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 12.50 გადაცემა "60 კითხვა ინტერიერში" 15.30 NX სპიკერი 18.30 გადაცემა "უცნობი ისტორიები" 19.00 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** 21.45, 23.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30 გადაცემა "კომბილაივი" (კაზანტიპი) პ/ე 1.25 გადაცემა "60 კითხვა ინტერიერში"(გამ.).

## კვირა 31 აგვისტო

08.00 ან./ფ "კრიპტო სუპერ ძაღლი" 09.00 მხ/ფ **"ფანტომის დაბრუნება"** 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. **"მაგდა ემი"** 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 13.30 ქართ. მხ/ფ **"ლაზარს თავგადასავალი"** 15.00, 21.00 ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** 16.30 "ვაშინგტონი დღეს" 17.00 ტ/სერ. **"ჭორიკანა"** 18.00 მხ/ფ **"ბუმი-2"** 20.30 "ტელებლოგი" (გ/ჩვ.) 22.00 **კონცერტი**: ირმა სოხაძე – ვარსკვლავის გახსნა 00.05 მხ/ფ **"შერლოკ ჰოლმსი"** 02.10 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები".

07.30 ან/ფ "სპანჯბობი" 08.30 მხ/ფ **"უფლისწული ვალიენტი"** 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა. 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 სერ. **"მერლინი"** 13.00 EMERGENCY — სასწრაფო დახმარება 14.35 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 17.35 სერ. **"სიყვარულის სეზონი"** 8 სერ. 20.00 შალვა რამიშვილის შოუ 21.00 იუმორინა (გ/ჩ) 22.00, 23.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 00.00 სერ. **"20 წუთი"** 01.00 მხ/ფ **"აუხდენელი ოცნებები** 02.40 სერ. **"კენედები"** 8 სერ. 03.25 მხ/ფ **"ბრილიანტის ამბავი"** (ტიტ.).

08.30 კურიერის დაიჯესტი 09.00 ქ.მხ/ფ. 10.30 ეკი ვოკი 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ვინ დაამარცხებს ვასოს 14.00 სოციალური ცელი (26 აგვ.) 14.15 სიცილის ზონა 15.30 ექიმები 23 აგვ. 16.30 ქ.მხ/ფ. 18.50 იღბლიანი ბორბალი 20.00 გააცინე და მოიგე 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**(გ/ჩ) 23.00 სერ. **"ჟამი ყვავილობისა"** 23.30 უკანასკნელი გმირი 6 00.00, 02.30 მხ/ფ.

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" 06.40 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 საკვირაო სახარების განმარტება 08.40 წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი 09.05 მხ/ფ **"ძაღლი"** 10.10 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 ივერიის ეკლესია 10.55 სიმღერის კვალდაკვალ 11.30 ქართული ალბომი 11.50 ქვიშით ნაამბობი 12.10 მხ/ფ **"მაისი თოვლი"** 13.25 ქრისტიანული ხელოვნება 14.10 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.05 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.20 სადვთისმეტყველო საუბრები 18.30 "ჩვენი ამბავი" 18.40 დროის ჩანაწერები 19.25 მხ/ფ **"ეი, მაესტრო"** 21.30 განთიადის სიუჟეტი 21.40 კვირიაკე 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "მტკიცედ და ერთად" 00.30 პორტრეტები 01.30 მხ/ფ **"პიანისტი"** II ნაწ.

7.00, 0.10 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი 8.40, 0.25 დჰფ "სწრაფი ზოლი" 9.40, 1.45 იუმორისტული შოუ -"4X4" 10.30, 2.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 11.00, 13.05, 16.00, 21.40, 23.45 **სერიალი "ღრუბლებს მიღმა"**(გამ.) 12.00, 15.00, 18.00, 21.00 მაესტრო 12.30 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 12.50, 1.25 გადაცემა "ID" 15.30 NX სპიკერი 18.40 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** 23.30 გადაცემა "კომბილაივი" (კაზანტიპი) პ/ე 2.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.).

## ვერძი

ცხოვრებისეული გეგმების განსახორციელებლად, მიზნების მისაღწევად და ოჯახური იდილიის შესანარჩუნებლად, აუცილებელია ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება. ჯობია, ხელმომჭირნედ ხარჯოთ ფული. მეგობრები არაერთი პრობლემის დაძლევაში დაგეხმარებიან. სასიყვარულო ურთიერთობაში კი ნუ იბრძოლებთ პირადი თავისუფლების მოსაპოვებლად.

## კურო

წინასწარ დაგეგმეთ საქმეები. გააანალიზეთ დაშვებული შეცდომები და აღადგინეთ ძველი კავშირები. საყვარელ ადამიანთან, არ არის გამორიცხული, სიტუაცია დაიძაბოს და ურთიერთობა გაცივდეს. ამიტომ, იყავით უფრო დამთმობი და ლმობიერი.

## ტყუპები

გაგიჭირდებათ მიმდინარე საკითხებში გარკვევა და პრობლემების დაძლევა. გაუწიეთ დახმარება სხვებს. კარგია მოგზაურობა, ახალი ურთიერთობები, დასვენება. ეს თქვენს ჯანმრთელობას სასიკეთოდ წაადგება და პირად ურთიერთობებსაც ადვილად მოაგვარებთ.

## კირჩხიბი

გონებამახვილობით და დაკვირვებით ყველა საქმეს ადვილად მოაგვარებთ. გაითვალისწინეთ გავლენიანი ადამიანების აზრი და რჩევები. დროებით უარი თქვით სასიყვარულო კავშირებზე, რადგან დიდია შეცდომის დაშვების ალბათობა. მოგზაურობისას კი ეცადეთ, საქმიანი შეხვედრებიც დაგეგმოთ.

## ლომი

აქტიური და შემოქმედებითი პერიოდია თქვენთვის. ახალი იდეების განხორციელება თამამად დაიწყეთ. არ გაგიჭირდებათ ბევრი სამუშაოს შესრულება. იმოქმედეთ დამოუკიდებლად და მშვიდად. სასიყვარულო ურთიერთობაში კი იყავით სამართლიანი. კარგია მოგზაურობა.

## ქალწული

მერყევი განწყობა და სიზარმაცე მიზნების მიღწევაში შეგიშლით ხელს. დაიძაბება სიტუაცია საყვარელ ადამიანთან. არ დაკარგოთ იმედი და მეტად უსმინეთ ოჯახის წევრებს. კარგია ახალი ნაცნობობა, ის მომავალში ავტორიტეტის ამაღლებაში დაგეხმარებათ.

## სასწორი

პირადი მიღწევებისა და კარიერაში წინსვლის პერიოდია. გაგიადვილდებათ მოქმედება, თუ ინტუიციას მიჰყვებით. ასევე, გაგიადვილდებათ ადამიანების დაყოლიება და მართვა. არ ჩაიდოთ წყენა გულში და არ იეჭვიანოთ საყვარელ ადამიანზე. გაითვალისწინეთ სხვების აზრები და რჩევები.

## მორიელი

მოქმედებებისას დაეყრდენით ინტუიციას. თავშეკავება და ნებისყოფა გამოიჩინეთ ნებისმიერ საკითხში. დაიცავით თანამოაზრეთა ინტერესები. მოგზაურობა კი დაგეხმარებათ სამომავლო მიზნების უკეთ გააზრებაში. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში კი იყავით მხიარული, ოპტიმისტი, მოსიყვარულე და თბილი.

## მშვილდოსანი

საკუთარი ინტელექტი, შრომისუნარიანობა და პრაქტიკულობა დაგეხმარებათ მიზნის მიღწევაში. ყაირათიანად ხარჯეთ ფული. არ არის გამორიცხული, ამ პერიოდში გაიცნოთ ადამიანი, რომელთანაც მომავალში დიდი სიყვარული დაგაკავშირებთ. იყავით მხიარული და გამჭრიახი.

## თხის რქა

შარმისა და დიპლომატიის გამოყენებით ადვილად მოხიბლავთ კოლეგებს და გარშემო მყოფებს. კარგია ახალი საქმის დაწყება. გამოიყენეთ ყველგან თქვენი პროფესიონალიზმი და გამოცდილება. ოჯახის წევრები ყველაფერში დაგეხმარებიან. პირად ცხოვრებაში კი რომანტიკული შეხვედრებისთვის დრო ნაკლებად დაგრჩებათ.

## მერწყული

გაგიჭირდებათ პროფესიული და საოჯახო საქმეების ერთდროულად მოგვარება. გაიზრდება მოვალეობები და ვალდებულებებიც. ჯობია, კოლეგებთან მეტი დიპლომატია გამოიჩინოთ. კარიერაში რთული პერიოდი დგება, თუმცა თუ მშვიდად მიუდგებით, პრობლემებს აიცილებთ.

## თევზები

ერთგულება, ვალდებულების გრძნობა და მიზანდასახულობა, დაგეხმარებათ წარმატებების მიღწევაში როგორც კარიერაში, ასევე პირად ცხოვრებაში. იმოქმედეთ დამოუკიდებლად. კარგია მოგზაურობა. სასიყვარულო ურთიერთობაში ცვლილება დაძაბულობას გამოიწვევს. ამიტომ, ნურაფერს შეცვლით.

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 25 აგვისტო, 14 სთ: 30 წთ.**

### ორშაბათი
### გეომაგნიტური დღე

ამ დღეს ახალმთვარეობაა – მძიმე, დაძაბული დღე. შეინიშნება სასიკეთო კოსმიური ენერგიების ნაკლებობა, რაც მეტად განაპირობებს ტრავმებს, ავარიებს, აგრესიას, კონფლიქტებს, შეცდომებს, ჯანმრთელობის გაუარესებას და სხვა ნეგატიურ მოვლენებს. იყავით ფრთხილი და წინდახედული. მოერიდეთ ფინანსურ გარიგებებს, ხელშეკრულებების დადებას, სასიყვარულო კავშირებს, ადგილსამყოფლის შეცვლას, სულსწრაფობას. ატარეთ ყვითელი, მწვანე, ნარინჯისფერი ან თეთრი სამოსი; ქვებიდან კი – გიშერი, მალაქიტი, ყვითელი ან მწვანე იასპი, აქატი ან ქარვა. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ თმის შეჭრას. სუსტდება გულსისხლძარღვთა სისტემა, ნაწლავები, კუჭქვეშა ჯირკვალი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე

არ ვარგა იურიდიული საქმეები და მოლაპარაკებები. მოერიდეთ ახალ ნაცნობობას, სასიყვარულო კავშირებს, გამოცდების ჩაბარებას, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას. ატარეთ მწვანე, ყვითელი, ნარინჯისფერი, ვერცხლისფერი ან ოქროსფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, ოპალი, ონიქსი, ზურმუხტი ან მალაქიტი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. აკონტროლეთ ემოციები. კარგია დასუფთავება-დალაგება, საფინანსო-საბანკო ოპერაციები, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის.***

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღე

გართულდება სასიყვარულო ურთიერთობები, მოსალოდნელია კონფლიქტები და გაუგებრობები. არ ვარგა რომანტიკული შეხვედრები, ბიზნესის დაწყება. ატარეთ ყავისფერი, ყვითელი, ნარინჯისფერი, მწვანე ან ვერცხლისფერი სამოსი, ქვებიდან კი ყვითელი ან მწვანე იასპი, აქატი, მალაქიტი ან ქრიზოპრაზი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. არ ვარგა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია საფინანსო-საბანკო ოპერაციები, ვაჭრობა, დიეტის დაწყება, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### ხუთშაბათი

მეტი დრო დაუთმეთ ახლობლებს, ქველმოქმედებას, კონტაქტებს. გამოხატეთ გრძნობები საყვარელ ადამიანთან. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, მწვანე ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, სარდიონი ან ფირუზი. კარგია სასიყვარულო შეხვედრები, გართობა, შემოქმედებითი მუშაობა, ექიმებთან კონსულტაცია და მკურნალობის დაწყება. სუსტდება ყელი, თირკმელები, კანი, ენდოკრინული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღე

გართულდება სასიყვარულო კავშირები. მოერიდეთ ახალი საქმის დაწყებას, მოგზაურობას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სესხის აღებას. ატარეთ ლურჯი, წითელი, ყვითელი, მწვანე ან კრემისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლაზურიტი, ჟადეიტი, ნეფრიტი, ოპალი ან ტოპაზი. ნუ მოუყვებით სხვებს დღევანდელ სიზმრებს. კარგია სამეცნიერო კვლევა, მანქანის ყიდვა-გაყიდვა, შემოქმედებითი მუშაობა, თმის შეჭრა. სუსტდება შარდსასქესო სისტემა, რეპროდუქციული სისტემა, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის.***

### შაბათი

სიყვარულისა და პატიების დღეა. მოერიდეთ ილუზიებს. ნუ აჰყვებით გრძნობებს და ფანტაზიებს. გაუფრთხილდით პარტნიორულ ურთიერთობებს. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ყვითელი, ნაცრისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ლაბრადორი ან აკვამარინი. სიზმრების ახდენა საეჭვოა. კარგია გართობა, საყიდლებზე წასვლა, შემოქმედებითი მუშაობა, ხელოვნებასთან კონტაქტი. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, კანი, თირკმელები.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის.***

### კვირა

ამ დღეს სიტყვებსა და აზრებს დიდი ძალა აქვს. მოერიდეთ ტყუილს. აკონტროლეთ ხასიათში სარკაზმი, ეგოიზმი, ეჭვიანობა და ემოცია. არ ვარგა ახალი საქმის დაწყება, მოგზაურობა, ადგილსამყოფლის შეცვლა. ატარეთ წითელი, შინდისფერი, შავი, ყვითელი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, ქრიზოპრაზი, ამეთვისტო ან ჰელიოტროპი. ყურადღება მაიქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია გეგმების დასახვა, თვითშემეცნება, ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვა, თმის შეჭრა. სუსტდება შარდ-სასქესო სისტემა, რეპროდუქციული სისტემა, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ხეჩიკაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ხეჩა**.

1666 წლის ნასყიდობის წიგნში მოიხსენიება მამასახლისი მასელა **ხეჩიკაშვილი**.

ამავე ძირისაა გვარები: **ხეჩიაშვილი, ხეჩინაშვილი, ხეჩუაშვილი.**

საქართველოში 258 **ხეჩიკაშვილი** ცხოვრობს: კასპში – 162, თბილისში – 78, გორში – 18.

### ჯანგირაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ჯანგირა.**

**ჯაჰანგირ** სპარსული სიტყვაა და ქვეყნის მპყრობელს ნიშნავს.

1871 წელს დუშეთის ოლქის სოფელ დიხჩოდან სოფელ ლასტისციხეში საცხოვრებლად გადასულა პაპია **ჯანგირაშვილი.**

საქართველოში 882 **ჯანგირაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 375, დუშეთში – 228, თიანეთში – 78. არიან სხვაგანაც.

### ჭოტიაშვილი

გვარის ფუძეა მეტსახელი **ჭოტა, ჭოტი**.

1721 წელს სოფელ წინწყაროში, საბარათაშვილოს საბატონეთში, გაგუა **ჭოტიაშვილი** მოიხსენიება.

საქართველოში 21 **ჭოტიაშვილი** ცხოვრობს: თელავში – 19, თბილისში – 2.

### ბედენაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ბედენა, ბედანა.**

„ერტისში მცხოვრებ გიორგი **ბედენას** ძე **ბედენაშვილს** და რჯულიერსა ცოლსა მისსა ელენე თევდორეს ასულს, 1831 წელს ეყოლათ ვაჟი – ივანე. სახელი გაუნათლა და ნათლისცემა სრულყო მღვდელმა გრიგოლ ნატროშვილმა. მიმრქმელი იყო თავად გრიგოლ ყაფლანიშვილის ყმა, ღოუბანში მცხოვრები დიმიტრი კენკებაშვილი".

საქართველოში 424 **ბედენაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 118, გურჯაანში – 88, ამბროლაურში – 67. არიან სხვაგანაც.

### გულდამაშვილი

გვარი ნაწარმოებია საკუთარი სახელიდან **გულდამანა**, რომელიც მომდინარეობს სპარსულიდან და ვარდისტანას (ვარდი + სხეული), ნიშნავს.

საამისა და ედიშერ აბაშიშვილების მამულში, სოფელ დვალეთში, 1621 წელს მოიხსენიება ადუა **გულდამაშვილი.**

**გულდამაშვილები** მარაბდაში დვალეთიდან უნდა იყვნენ გადმოსულები.

საქართველოში 115 **გულდამაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 52, თეთრი წყაროში – 25, გარდაბანში – 12. არიან სხვაგანაც.

### დემურაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **დემური**, რომელიც თურქულ-მონღოლური წარმოშობისაა და ქართულად რკინას ნიშნავს. სახელი 1677 წელს მოიხსენიება მამულის და შალუმა ბერუაშვილების ნასყიდობის წიგნში.




1843 წელს პატარა თონეთში მოიხსენიება ვახტანგ **დემურაშვილი**, იგივე თორისაშვილი.

ამავე წარმოშობისაა გვარი **დემურიშვილი.**

საქართველოში 318 **დემურაშვილი** ცხოვრობს: ბოლნისში – 162, თბილისში – 55, თელავში – 35. არიან სხვაგანაც.

### სუთიაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **სუთია**.

1721 წელს, წინწყაროში, საბარათაშვილოში, ბატონის სახასოში მოიხსენიება ალავერდა **სუთიაშვილი.**

საქართველოში 184 **სუთიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 67, მცხეთაში – 54, გორში – 6. არიან სხვაგანაც.

### ასლამაზიშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ასლამაზა.**

საქართველოს ბევრ კუთხეში ცხოვრობენ **ასლამაზიშვილები**. ზოგან ისინი რუსული დაბოლოებით **ასლამაზოვებად** ჩაუწერიათ.

ზაზა სოლომონაშვილის მოურავი **ასლამაზა** მოიხსენიება მებატონის მიერ ზერელა ზურაბიშვილისადმი მიცემულ თავდახსნილობის წიგნში.

**ასლამაზიშვილები** ადრე **ლამაზიშვილები** ყოფილან. ამ ფორმით გვარი მოიხსენიება მეთხუთმეტე საუკუნეში. მოგვიანებით, მეთვრამეტე საუკუნეში, მეტსახელმა **ასლამაზმა** აწარმოა გვარი **ასლამაზიშვილი.**

„აზნაური **ლამაზიშვილის** წინაპარნი ესახლნენ კახეთსა შინა, ლაბიანად წოდებულნი ივრის ხეობაზედ, რომელთაც ეწოდნენ ლამიანის ძეებად, დროსა გიორგი მეფისასა 1587 წელს. ხოლო ამათნი შთამომავალნი იყო ყმა ფრიად მშვენიერი, რომელსა სახელად ეწოდეს ლამაზსა და მის გამო გაუგავრდათ შვილთა მათთა ლამაზიშვილობა და არიან ესენიცა მოხსენიებულნი ტრაქტატსა შინა".

**ასლამაზიშვილების** ერთი შტო ბარათაშვილებისგან მომდინარეობს.

ისტორიულ დოკუმენტში გვარი **ასლამაზაშვილი** გვხვდება 1615 წელს.

გვარის ზოგიერთი წარმომადგენელი სომხურ ეთნოსს მიეკუთვნება. ამ გვარს აქვს შტოგვარები: ზურაბიშვილი, რამაზაშვილი, ფეიქრიშვილი.

1843 წლის აღწერის ისტორიულ მასალებში, პატარა თონეთში მოიხსენიება ბადალა არუთინაშვილი, იგივე **ასლამაზიშვილი**, **რამაზაშვილი**, მოიხსენიება **ასლამაზიშვილად.**

საქართველოში 429 **ასლამაზიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 231, დმანისში – 46, კასპში – 30. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

---

(37-ე გვერდიდან)

მეტყველებას აღმოსავლური დაშაქვრა არ სჭირდება... შენ ეს, ისედაც გულში ჩამწვდომი ლირიკული ლექსი, ისე გულისგამაწვრილებლად წაამღერე, შენი საკუთარი ცრემლიც ისე გაური-ე, რომ შევწუხდი, უკვე თვითონ ლექსის შინაარსს, ლექსის გრძნობას ველარ ალვიქვამდი. კითხვის დროს ლექსს თავისი უნდა დაუტოვო, ლექსს უნდა დაემორჩილო კაცი..."

პეტრე შარიას კახელებზე ჩამოუგდია სიტყვა: მოგეხსენებათ, საქართველოში განსაკუთრებით კახელები გვყავს პატივისცემაში. ათაბაბიდან მათაც ღირსეულად, პატივში უყვართ ყოფნა და გვაინტერესებს, კახეთში თუ ყოფილხართ?

– სამწუხაროდ, არ ვყოფილვარ. რამდენჯერ მოვინდომე, ისე მოეწყო საქმეები, ვერ მოვხვდი კახეთში, იმერეთშიც 1905 წლის შემდეგ არ ვყოფილვარ.

* * *

ორი დღის სტუმრობის დროს არც რიწის ტბაზე ასვლა დავიწყებიათ, არც ომში დაღუპული შვილები, არც ვაჟა-ფშაველა და გიორგი ლეონიძე, არც ყმობის დროინდელი თავშესაქცევი ამბები, არც ჩვენში ჩვეულებად გადაზრდილი ხუმრობები საქართველოს სხვადასხვა კუთხის მკვიდრთა შესახებ, არც „გაფრინდი, შავო მერცხალო" (გასაგებია, ვინც წამოიწყებდა) და არც გურული „ხელხვავი", ქუთაისის ციხეში რომ უსწავლია სტალინს, არც მახობელა პური და ციმორი.

## როგორ იქცეოდა სტალინი მეგობრებთან ქეიფის დროს და უყვარდა თუ არა მას საქართველო

კრემლის მბრძანებელი ღამით მეზობელ ოთახში შედის და მძინარე პეტრე კაპანაძეს გადახდილი საბანს უსწორებს.

დამშვიდობებისას კი, ყოველ სტუმარს ეუბნება, რაც სათხოვარი გაქვთ გულში, პირდაპირ მითხარითო.

ყრმობის მეგობარი სოსო ცერაძე თავის დისწულის სიცოცხლეს სთხოვს. 21 წლის სტუდენტს დახვრეტა ჰქონია მისჯილი. ოქრო-ვერცხლის მაღაზიის გაძარცვა უცდიათ და ხსენებულ დისწულს თავდასხმის დროს დარაჯი შემოჰკვდომია.

სტალინს ირონიულად წარმოუთქვამს:

– რა საოცარია ეგ ქართული ზმნა, როგორ არ მიმოაქცევს ქართველი კაცი ამ ზმნას! პირდაპირ თქვი, მოკლაო! ჰმ, შემოკვდომია... ასეთ ფორმას, ყველა ენა რომ დაჩხრიკო, ალბათ, ვერა ნახავ. ამ სიტყვის მეშვეობით ქართველ კაცს შეუძლია, მკვლელობა თვით მოკლულს გადააბრალოს... საოცარი არ არის?

სიყრმის მეგობარს მშვიდად და მტკიცედ მიმართავს: მე არც სიცოცხლის ჩუქება, არც მინიჭება შემიძლია. მთავრობაში იჩივლეთ და იქნება, რამე ილონონ და მერე დასძენს: „ნუ ღელავ, ჩემო სოსო, უსაშველო არ არის რა ამქვეყნად. შენ ისა თქვი, იმ მოკლულს აღარ ეშველება".

ხანმოკლე სტუმრობა დამთავრდა.

– მაშ, წავსულვართ, – უთქვამს სტალინს.

– დროა უკვე, – უპასუხა პეტრე კაპანაძემ, – ისედაც ბევრი შეგაწუხეთ.

– დიდად შემაწუხეთ, ძალიან შემაწუხეთ, ისე შემაწუხეთ, რომ წამით ისევ ნაღველი ჩაუდგა თვალებში და ალერსით გაულიმა სტუმრებს, – რა გიყოთ, რაკი არ გინდათ ჩემთან დარჩენა...

**კარლო ცქიტიშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ვაკო თამაზაშვილმა**

# ფერები გეტყვიან!

*ფსიქოლოგებმა უკვე დიდი ხანია, დაადგინეს კავშირი ფერების მიმართ ადამიანების დამოკიდებულებასა და მათ ხასიათს შორის.*

*რომელია თქვენი საყვარელი ფერი?! შეარჩიეთ გულწრფელად.*



**წითელი** – ადვილად ღიზიანდებიან, მგრძნობიარეები და ემოციურები არიან. ხიბლავთ გარეგნული ბრწყინვალება. შექმნილ სიტუაციას მომენტალურად აფასებენ და გადაწყვეტილებასაც სწრაფად იღებენ. მათი ცხოვრების მთავარი მიზანი წარმატების მიღწევაა.

**ყავისფერის** მოყვარულები საშინლად ჯიუტები არიან, ასევე, ენერგიულები და თამამებიც. კისერს მოიტეხენ, მაგრამ თავისას მაინც მიაღწევენ. იუმორის გრძნობა შესანიშნავად აქვთ განვითარებული.

**მწვანე** ფერისკენ ლტოლვა იმას ნიშნავს, რომ მათ გაწონასწორებული ხასიათი აქვთ; ასევე, კეთილსინდისიერი და ცოტათი მარტოსული ადამიანი არიან. ვინც მათ კარგად არ იცნობს, გულცივები და უემოციოები ჰგონიათ.

**ცისფერი** და **ლურჯი** მოსწონთ? – მათ ბევრი ღირსება აქვთ. წესით, ცხოვრებაში პრობლემები არასოდეს არ უნდა შეექმნათ. ზომიერების გრძნობა არასდროს ღალატობთ და ურთიერთობას განსაკუთრებით უფრთხილდებიან. ერთადერთი ნაკლი აქვთ – ზოგჯერ ზედმეტად სერიოზულები არიან.

ისინი, ვისაც **ყვითელი** უყვართ, კარგად განვითარებული ფანტაზია აქვთ. მომხიბვლელები და საზოგადოების სული და გული არიან, მაგრამ, ძლიერი მიდრეკილება აქვთ ავანტიურიზმისკენ. უჭირთ შესაფერისი პარტნიორის მოძებნა.

**შავი** ფერის მოყვარულები ისეთები არ არიან, როგორებადაც მათ სხვები წარმოიდგენენ ხოლმე – ისინი, რატომღაც, ქარაფშუტები, არასერიოზულები და სპონტანურები ჰგონიათ. შეიძლება, ამის მიზეზი მათი უცნაური იდუმალება იყოს... უბრალოდ, უნდა შეეცადოთ და გაუგოთ.

და, ბოლოს **თეთრი** – ვისაც თეთრი ფერი უყვარს, დადებითი ადამიანია, პოზიტიური და პატიოსანი. ყველა ნორმალურ ადამიანს ანიჭებს სიამოვნებას თეთრი ფერი.

ვისაც არ უყვარს მწვანე ფერი, მას არც ნებისყოფა აქვს და თავს მუდამ მარტოსულად გრძნობს. თუ თავს ხელში არ აიყვანენ, ცხოვრებას ვერასოდეს აიწყობენ.

იმათ კი, ვისაც ყვითელ ფერზე ეუფლება უსიამოვნო განცდა, ზედმეტად პრაქტიკული ჭკუა აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ცხოვრებისგან სიამოვნებას ვერ იღებენ.

# ათი ყველაზე საშიში

***არსებობს მსოფლიოში ადგილები, სადაც ექსტრემის მოყვარულთა ყველაზე ავანტურისტ ტურისტსაც კი არ ვურჩევდით მოგზაურობას. ეს ადგილები ძალიან საშიშად არის მიჩნეული.***

რეიტინგში ისინი ასე გადანაწილდა...

**მე-10 ადგილი: დიდი ნაგვის ლაქა წყნარ ოკეანეში...** აქ ნაგვის მთელი გორაკებია. პლასტმასის ბოთლებიდან დაწყებული, დამხრჩვალთა გვამებით დამთავრებული. ყოველწლიურად ნაგვის ლაქა დიდდება და გაცილებით საშიში ხდება. დღეს ის 700 ათასი კვადრატული კილომეტრისაა. სიღრმითაც რამდენიმე ათეულ მეტრეა ჩაწოლილი.

**მე-9 ადგილი**: შოტლანდიურ სოფელ მილტონში არის **ხიდი – ოვერტოუნი**. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან აქ უცნაური ამბები ხდება. ძაღლები მოულოდნელად ხტებიან პარაპეტზე და თხუთმეტი მეტრის სიღრმიდან ძირს ვარდებიან. თუ რომელიმე ცოცხალი გადარჩა, ისევ ხიდზე ძვრება და იგივეს აკეთებს. ვერავინ ახსნა ძაღლების თვითმკვლელობის ფენომენი ზუსტად ამ ადგილას. ექსტრასენსებმა კი აღნიშნეს ამ ადგილის უჩვეულო ენერგეტიკა და თქვეს, რომ ზუსტად ამ ხიდზე გადის საზღვარი მკვდრებისა და ცოცხლების სამყაროს შორის.



**მე-8 ადგილი**: **პრიპიატი – ქალაქი ჩერნობილის ოლქის მახლობლად,** რომელიც 1986 წელს, რამდენიმე საათში დატოვა ათობით ათასმა ადამიანმა. დღეს ქალაქი-მოჩვენება ცარიელია და უამრავი ნივთი ისევეა მიტოვებული, როგორც გაქცევის დღეს... ქარი აჭრიალებს ცარიელ საქანელებს... ზოგიერთი ადგილი ახლაც კი სასიკვდილოდ რადიოაქტიულია. სხვათა შორის, ტურისტები იქ მაინც ჩადიან...

**მე-7 ადგილი**: **იტალიურ კუნძულ პოვეგლიაზე** მეთოთხმეტე საუკუნეში შავი ჭირით დაავადებული ადამიანები ჩაჰყავდათ. მათ გვამებს შემდეგ სპეციალური რაზმი წვავდა. კუნძულის ნიადაგი არაჩვეულებრივად ნაყოფიერია. ეს იმიტომ, რომ ნახევრად ადამიანის ფერფლისგან შედგება. 1922 წელს პოვეგლიაში ფსიქიატრიული კლინიკა ააშენეს. ავადმყოფები ჩიოდნენ, რომ მათ სისტემატურად აკითხავდნენ გარდაცვლილთა აჩრდილები. კლინიკის მფლობელი, ექიმი-ფსიქიატრი ფანჯრიდან გადახტა და თავი მოიკლა. მას შემდეგ კუნძული უკაცრიელია.

**მე-6 ადგილი**: **ალიკიგახარა – იაპონური ტყე** თვითმკვლელებისა, რომელიც ფუძიამას წმინდა მთასთან მდებარეობს. ადამიანები აქ სიცოცხლესთან გამოსამშვიდობებლად მიდიან. ტყეში 35 კვადრატული კილომეტრის ფართობზე ყოველდღიურად 70-100 ჩამომხრჩვალს პოულობენ. ადგილობრივი ხელისუფლება წელიწადში ერთხელ ტყეში მოხალისეებს გზავნის, იქაუროობის გვამებისგან გასაწმენდად.

**მე-5 ადგილი**: თურქმენეთში არის უზარმაზარი, **გიგანტური გაზის კრატერი**. ადგილობრივები მას „ჯოჯოხეთის კარიბჭეს" უწოდებენ. კრატერი ყველა ცოცხალი ორგანიზმისთვის მავნე გაზს გამოყოფს. გეოლოგებმა სცადეს, მისთვის ცეცხლი წაეკიდებინეთ და ამ გზით გაენეიტრალებინათ, მაგრამ შეცდომა დაუშვეს. რამდენიმე ადამიანი დაიღუპა. კრატერი კი დღემდე ბოლავს...

**მე-4 ადგილი**: ეთიოპიის ჩრდილოეთით, **უდაბნო დანაკილი** – არანორმალურად საშიშია. ეს არის „ჯოჯოხეთი დედამიწაზე". ორმოცდაათგრადუსიანი სიცხე, თითქმის გამდნარი ქვები ფეხქვეშ, გავარვარებული ქვიშით სავსე ორმოები... ერთი სიტყვით, ნამდვილი ჯოჯოხეთია.

**მე-3 ადგილი**: ამერიკის შეერთებული შტატები, ლუიზიანას შტატი, **მანჩაკის ჭაობი**. ის 1915 წელს საშინელი ქარიშხლის შემდეგ წარმოიქმნა. ბევრს სჯერა, რომ მის გაჩენაში ვუდუს ჯადოქრების ხელი ურევია. ჭაობის გარშემო კოშმარული ხმები ისმის. ისეთი, რომ ძარღვებში სისხლი გაგეყინება.

**მე-2 ადგილი**: **„სიკვდილის გზა"** – ბოლივიაში. აქ ყოველწლიურად 200-300 ადამიანი მაინც კვდება. ძალიან ვიწრო გზაზე ერთი მანქანისთვისაც კი არ არის ადგილი. 1930 წელს, როცა ეს გზა გააკეთეს, ვარაუდობდნენ, რომ სილამაზე, ტერასა ტურისტებს მიიზიდავდა. ასეც არის, მაგრამ ძალიან საშიშია – ან გაივლი მას, ან გადაიჩეხები.

**პირველი ადგილი**: ბირმის ნაპირების სიახლოვეს მდებარეობს **კუნძული პამრი**. პლანეტაზე ყველაზე საშიში ადგილია. აქ ყველგან ჭაობებია და თანაც, შენიღბული. ეს ჭაობები კაციჭამია ნიანგებითაა სავსე... ამით ყველაფერი ნათქვამია.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძე**

# როცა ქალს უყვარს...

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №27-33(712)**

თიკომ ჯერ სათვალთვალოში გაიხედა, მერე უკმაყოფილო სახით გააღო კარი და ზღურბლზე მდგარ კაცს არც მისალმებია, ისე შებრუნდა ოთახში. კოტემ კარი დაკეტა და ფეხდაფეხ მიჰყვა საყვარელს, საფირმო პაკეტებით დატვირთული.

– რატომ მოხვედი? – თიკო სავარძელზე დაჯდა და წარბი შეიკრა.

– აუ, დაიწყე ისევ? – ამოიოხრა კოტემ, – ხომ შევრიგდით უკვე.

– ვინ მოგახსენა? ეგ გითხარი, ბოლოს რომ დამირეკე?

– არა, მაგრამ სიტყვებს რა მნიშვნელობა აქვს, ფისო? – მოფერება სცადა კაცმა და ენა მოუჩლიქა, მაგრამ თიკო უფრო გაანჩხლდა.



– ახლავე წადი აქედან... ახლავე! აღარ მინდა შენი დანახვა.

– კარგი რა, თიკო... იმდენი რაღაც მოვიტანე... დატრიალდი შენებურად, გემრიელად ვივახშმოთ და მერე მეტყვი, როგორ გამოვისყიდო დანაშაული.

– ანუ, აღიარებ, რომ დამნაშავე ხარ? – თვალები წყრომით მიაშტერა ქალმა.

– იძულებულს მხდი, რომ ასე ვთქვა, თორემ მართლა ვერ ვხვდები, რას მერჩი. რა ჩავიდინე ამისთანა. ჩემს ცოლთან რომ გავატარე ღამე? კარგი რა, ფისო, ცოლქმრული მოვალეობა შევასრულე, მეტი არაფერი.

– როგორი იდიოტი ხარ, ან ცდილობ, თავი ასეთად მომაჩვენო. სახლიდან სხვანაირად გამომაგდე? არასოდეს გაპატიებ ამას.

– ფისო, გეყოფა. შენ ხომ არ გინდა, ჩვენი ურთიერთობის შესახებ ლენუკამ გაიგოს. მითხარი, ხომ არ გინდა?

– ეგ მე კი არა, შენ არ გინდა, – მიახალა თიკომ, – შენ კანკალებ ნაცემი ლეკვივით ცოლის წინაშე, თორემ მე პრობლემა არ მაქვს. გაიგებს და გაგშორდება ან სკანდალს მოგიწყობს და გაპატიებს. ოღონდ ეგ კარგად ძვირი დაგიჯდება. ის კი არა, შეიძლება, მეც მაპატიოს.

– შენ რა, გაგიჟდი, სერიოზულად ამბობ ამას? – გაშრა კოტე.

– ძალიან სერიოზულად ვამბობ, – გაიბუსხა თიკო, – ასე რომ, შეგიძლია, მიბრძანდე აქედან.

კოტემ ამოიოხრა. პარკები და პაკეტები იატაკზე დააწყო და თიკოს გვერდით მიუჯდა.

– ნახე მაინც, რა მოგიტანე...

– არ მაინტერესებს... საერთოდ... ხომ გითხარი, შენი აღარაფერი მინდა-მეთქი.

– ფისო, ვერ გადავიტან ამას. ჩემი გული ვერ გაუძლებს.

– შენი გული ყველაფერს გაუძლებს და თავს ნუ მაცოდებ. ძალიან ვარ გაბრაზებული, ძალიან... და კიდევ უფრო ვცოფდები, როცა ამას არ იმჩნევ.

– ვიმჩნევ... ვხედავ, რომ გაბრაზებული ხარ. მაგრამ რაღა გავაკეთოთ?

– ჰმ, ეგეც მე გიკარნახო? ჩინური კერძებით და ეგზოტიკური ხილით გინდა გახვიდე იოლას?! არ გამოგივა.

კოტემ ისევ ამოიოხრა. მიხვდა, ქალს საუბარი საითკენაც მიყავდა.

– სიმართლე გითხრა, საჩუქრის ყიდვასაც ვაპირებდი, მაგრამ ვერ გავრისკე. არ ვიცოდი, რა უფრო გაგიხარდებოდა – საყურე თუ ბეჭედი...

– რა, საქორწინო ბეჭდის ყიდვას ხომ არ აპირებდი? – დასცინა თიკომ.

– დამცინი?

– მე კი არა, შენ დამცინი. როდესმე ჩემს ხელზე ბეჭედი გინახავს?

– ჰოდა, ხომ არც გიყიდე... ჩემი ფისუნია, ასე ძალიან როგორ გაგაბრაზე? – კოტემ ქალს მხარზე მოხვია ხელი და მკერდზე მიიხუტა. თიკო ამჯერად აღარ გაუძალიანდა. პირიქით, გაინაზა და მართლა ფისოსავით აკრუტუნდა.

– ანუ, მზად ხარ ის მიყიდო, რაც მინდა?

– ჰო. ოღონდ აგარაკი არ მომთხოვო აუზით. მაგდენს ვერ გავქაჩავ.

– შეხედე, უკვე წუწუნებს... სიტყვაზე ვერ გენდობა ადამიანი. მოკლედ, არაფერი გამოვა ჩვენი შერიგებიდან, ასე ვატყობ.

– არა, არა, შევრიგდეთ. მითხარი, რა გინდა.

– იცი, ადრეც ვაპირებდი მეთქვა... სესხს კი ავიღებდი, მაგრამ მაგხელა შემოსავალი არ მაქვს...

– ვაიმე, აშკარად აგარაკს უმზინებ... – ახარხარდა კოტე ნაძალადევად.

– არა, მაგდენიც არ დაგიშავებია, – აჰყვა სიცილში თიკო, – ახლა მანქანაც საკმარისი იქნება.

კოტეს სიცილი „შეეყინა".

– გაგიჟდი, გოგო? შარშან არ გიყიდე ეს მანქანა?

– მერე, რამდენი წლის არის? გამოგეყვანა მაღაზიიდან და ხმას არ ამოვიღებდი. თან, არც მომწონს. ისეთი მინდა, ლენუკას რომ ჰყავს. ეს გავყიდოთ, ცოტა დამიმატე და ეგ იქნება.

– „ცოტა დაუმატე", – გამოაჯავრა კოტემ, – იცი, ეგ ცოტა რამდენია? არა, დაივიწყე. მართლა მაგდენიც არ დამიშავებია... ევროპაში გაგიშვებ სამი დღით „შოპინგზე" და გეყოფა.

– მაგას ისედაც გააკეთებ, იმიტომ რომ, ადრე დამპირდი. რაც შეეხება მანქანას, ძალიან მინდა და თუ ჩემთან ურთიერთობა რამედ გიღირს, ამ თხოვნაზე უარს არ მეტყვი.

– გოგო, უარს კი არ გეუბნები, ფული არ მაქვს... ფული...

– ფულის მეტი რა გაქვს. არ გრცხვენია, რომ მეწუწუნები?

– ვაიმე, ეგ ლენუკამ გითხრა? მაგასაც ჰგონია, რომ დოლარები ხეს ასხია ფოთლებივით და ეს ხე მე მიდგას სახლში.

– ანუ, არ მიყიდი? ასეც ვიცოდი. კიდევ ერთხელ ამტკიცებ, რომ არაფრად გიღირვარ.

– როგორ არ მიღირხარ, თიკუნა, საყვარელო, მაგრამ შენც გამიგე. ახლა რთული პერიოდი მაქვს. ვერ ხედავ, ქვეყანაში რა სიტუაციაა? უჭირს ხალხს და ცოტა მეც გამიჭირდა. თანაც, სანდროა ისე ატეხილი, ეგ იქ აღარ გაჩერდება. ლონდონში სწავლა კი გაცილებით ძვირი ღირს.

– ძალიან გთხოვ, ერთი მანქანის გამო გლობალურ ეკონომიკაზე ნუ წამიკითხავ ლექციას. არც ის მაინტერესებს, სანდროში რამდენ ფულს ხარჯავ... მეც რთული პერიოდი მაქვს და ახალი მანქანა მინდა... ან მიყიდი და გაპატიებ შენს გუშინდელ ვირულ საქციელს, ან არა! – ხმა გაიმკაცრა თიკომ.

კოტემ ხელები გაშალა.

– გიყიდი, ოღონდ ახლა ვერა...

– არა, მე ახლა მინდა.

– ღმერთო, ეს რა უაზრო სიჯიუტეა. ხომ არ გეუბნები, საერთოდ არ გიყიდი-მეთქი. ორი-სამი თვე რომ მოიცადო, რა მოხდება?

– არაფერი. შენც ორი-სამი თვე მოგიწევს მოცდა.

– ეს ულტიმატუმია?

– როგორც გინდა, ისე გაიგე. ახლა ჩემი ბინის გასაღები დატოვე და წადი.

კაცს სახეზე უკმაყოფილება გამოესახა.

– თიკო, მტკივნეულ ადგილზე ფეხს რატომ მაჭერ? შენ რა, ლენუკაზე უარესი ხარ? მე იმიტომ მიხარია შენთან ყოფნა, რომ არ მეჩხუბები და ულტიმატუმებს არ მიყენებ. ყოველ შემთხვევაში, აქამდე არ მიყენებდი. მთლად კაპასი ცოლივით ნუ მოიქცევი ახლა, თორემ მეც გავბრაზდები.

– გაბრაზდი მერე და ცივი წყალი დალიე. შენ ჩემზე საერთოდ არ ფიქრობ. ცხოვრების საუკეთესო წლები შენ უნდა შემოგწირო. მაშინ მოდიხარ, როცა გაგიხარდება... როცა მოგინდება, სახლიდანაც მაგდებ...

– თიკო, მაგაზე ხომ მოგიხადე ბოდიში.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

– დამაცადე, ჯერ არ დამიმთავრებია... არანაირ პასუხისმგებლობას არ გრძნობ ჩემ წინაშე და მეც არაფერს გთხოვ... ისიც კი არ გინდა, ზოგჯერ გამახარო... შენ გგონია, საყვარლის როლში ყოფნა ადვილია? არც გიფიქრია, რად მიღირდა ჩემი მეგობრის ქმართან გამება რომანი... რამდენს მეხვეწებოდი, ესეც ხომ გახსოვს?!

– გეხვეწებოდი იმიტომ, რომ არანორმალურად მომწონხარ. ეს არაფერს ნიშნავს? – სიტყვას მოებღაუჭა კაცი.

– უყურე ახლა ამას?! იცი, რამდენ მამაკაცს მოვწონვარ? წარმოდგენაც კი არ გაქვს.

– ჰო, მართლა, – კოტეს ერთბაშად ცოლის სიტყვები გაახსენდა, რომ ეუბნებოდა, თიკოს, მგონი, ვიღაც ჰყავსო, – ლენუკამ მითხრა, თიკოს სერიოზული თაყვანისმცემელი გაუჩნდაო. ამაზე რას იტყვი? მე რა ვიცი, იქნებ შენც მღალატობ და ჩემს ზურგს უკან ვიღაცას ხვდები.

თიკო გაცხარდა.

– ეს რა, გამოღმა მედავები? საზიზღარო! შენ დამირეკე და რა მეთქვა ლენუკასთვის, შენი ქმარია და შეხვედრას მთხოვსმეთქი? – ქალმა სახეზე ხელები აიფარა და ასლუკუნდა. კოტე ვერ იტანდა, ქალი რომ ტიროდა. ლენუკაც ყოველთვის ცრემლებით აღწევდა ხოლმე მიზანს – ამჯერადაც ნერვებმა უმტყუნა...

– კარგი, გავყიდოთ შენი მანქანა და ვიყიდოთ ახალი. მაინცდამაინც ლენუკასნაირი გინდა? სხვა რომ შევარჩიოთ?

– არა. ეგეთი მინდა. შენთვის რა მნიშვნელობა აქვს?

– პრინციპში, არანაირი, – მხრები აიჩეჩა კაცმა და ამოიოხრა, – მაინც შენი გაიტანე. ვინც თქვენ სუსტი სქესი დაგარქვათ, იმას რა ვუთხარი მე! ეს ჩვენ, კაცები ვართ სუსტები, რაც გინდათ, იმას გვაკეთებინებთ.

თიკომ გადაიკისკისა და პარკები გახსნა. თითქოს კოტეს ნათქვამი არც გაუგონია.

– ერთი ვნახო, რა მოიტანე?

– რაღა აზრი აქვს, გაცივდა ყველაფერი, – აბუზღუნდა კაცი.

– ჭამის მადაც ხომ არ დაგეკარგა? – ირონიულად ჰკითხა თიკომ, – ამას კი ახლავე შევათბობ...

* * *

დევიდი და ანა უზარმაზარი, ძველებური ბუხრებით დამშვენებულ, სასტუმრო დარბაზში ისხდნენ და მასპინძლების მირთმეულ ნამდვილ ირლანდიურ ვისკის წრუპავდნენ. დევიდმა პატარა ყლუპი მოსვა, სითხე ენის წვერზე გაიჩერა და კმაყოფილმა წარმოთქვა:

– შესანიშნავია! ვილი, ხომ არ აპირებ კარდიოლოგობას თავი დაანებო და ამ საქმეს უფრო სერიოზულად მოჰკიდო ხელი.

ვილიმ, ჭეშმარიტი ირლანდიელის აღნაგობის მამაკაცმა, გულითადად გაიცინა და თავი გადააქნია.

– არა. საოპერაციოს სუნის გარეშე ვერ გავძლებ. ეს კი ჩემი ჰობია. ჩვენი გვარის ყველა წარმომადგენელი აყენებდა ვისკის და ეს უფრო გენეტიკურია. მეც მიყვარს, როცა ჩემს სტუმრებს კარგი, თანაც ჩემი მეთვალყურეობით დამზადებული ვისკით ვუმასპინძლდები. ჩემმა შვილებმაც არ მოინდომეს ამ საქმეს გაჰყოლოდნენ. ბიჭი იურისპრუდენციამ მოხიბლა, გოგომ, საერთოდ, ხელოვნების ექსპერტობა გადაწყვიტა. ვშიშობ, მე ვიქნები ჩემს გვარში უკანასკნელი, ვინც ვისკის დაყენების ამ მეთოდს ფლობს... ძალიან გამიხარდა, რომ ჩამოხვედით. სიმართლე გითხრა, არც გელოდით. კარგი ქენით, რომ ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტეთ ჩამოსვლა. ორი კვირით შვებულება ავიღე. ვითევზავებთ, სანადიროდ ვივლით... მოგეწონება...

დევიდმა ხელები გაშალა.

– მე ყოველთვის მინდოდა, ხომ იცი, მაგრამ ისიც იცი, ჩვენი საქმე როგორია. შენი არ იყოს, ვერც მე ვძლებ საოპერაციოს სუნის გარეშე. თან, ანასაც არ ეცალა.

– ხვალ ლინა და დიანაც ჩამოდიან. ახლა დავურეკავ და ვეტყვი, რომ თქვენც აქ ხართ. გაუხარდებათ, – ვილიმ ტელეფონისკენ გაიწოდა ხელი.

– არა! – თქვა უცებ ანამ, – ნუ დაურეკავ. მინდა, სიურპრიზი იყოს. მთავარია, კარგად არიან.

– ჰო. თითქმის ყოველ საღამოს ვურეკავ. მარიაც ერთხელ იყო ჩასული. ლინას ძალიან მოსწონს დიანა. გაუგეს ერთმანეთს. კარგი ქენი, დიანა აქეთ რომ გამოაგზავნე. ყოველთვის მინდოდა, ჩვენს შვილებსაც ისე ემეგობრათ, როგორც ჩვენ ვმეგობრობთ.

– რა თქმა უნდა. მეც მინდოდა, დეას ქვეყანაც ენახა და ლინაც გაეცნო. ბრაიანი ისევ ამერიკაშია?

– ჰო. არც კი ფიქრობს აქეთ ჩამოსვლას, რასაც მე განვიცდი. დედამისს კი მიაჩნია, რომ ასე უფრო ადვილად იპოვის ადგილს ცხოვრებაში.

– ამ შემთხვევაში, მარიას ვეთანხმები, – თავი დაუქნია დევიდმა, – ანას სულ ვეუბნები, დეას მეტი თავისუფლება უნდა მივცეთ-მეთქი. მაგრამ მაინც ძალიან ნერვიულობს... ვერ ისვენებს...

ანამ ნაძალადევად გაიღიმა.

– ასეა, როცა ერთი შვილი გყავს, – თქვა ხმადაბლა და ქმარს უკმაყოფილოდ შეხედა.

დარბაზში ძალიან ლამაზი, სლავური გარეგნობის ქალი შემოვიდა.

– სადილი ერთ საათში იქნება. მანამდე ბუტერბროდებს მოგვართმევენ ვერანდაზე. ვილის უყვარს, როცა ყველაფერი ტრადიციების მიხედვით ხდება. სახლის გადაკეთების უფლებაც არ მომცა. მხოლოდ რამდენიმე ოთახში განვაახლე ინტერიერი. ძირითადი ოთახებისთვის ხელის ხლება ამიკრძალა. სულ მგონია, რომ ჩემ გვერდით ამ ციხე-კოშკის მოჩვენებები ცხოვრობენ, – საყვედურით წარმოთქვა მარიამ და ქმარს ლოყაზე აკოცა.

– ხუმრობს, თორემ, თვითონაც ძალიან მოსწონს ეს კოშკიც და მისი აჩრდილებიც, – ბოხი ხმით გადაიხარხარა ვილიმ, – თავს პრინცესად გრძნობ, ჩემო სიხარულო... სადილად ხომ ჩემი ნანადირევი იხვი შეუკვეთე... ჩვენი მზარეული ისე ამზადებს, თითებს ჩაიკვნეტთ... შემწვარი ვაშლით... მმმ... როგორია... – ვილიმ მსუბუქად გააწკლაპუნა ტუჩები და ხელები მოიფშვნიტა. მერე უცებ შეწუხდა, – რამდენს ვლაპარაკობ. ანა კი, ისეთი დაღლილი ჩანს. ვერ გავითვალისწინე, რომ ნამგზავრები ხართ. გავიდეთ ვერანდაზე, მივირთვათ ბუტერბროდები. სადილის შემდეგ კი, ჩემს



ტბაზე გეპატიჟებით, ნავებით გავისეირნოთ.

* * *

ლინამ ჩემოდანი დახურა და გაიღიმა.

– აჰა, მგონი, ყველაფერი ჩავტიე... კიდევ ერთი ჩანთა დამჭირდება ჩემი მოსართავებისთვის და ეგ არის.

დიანას სიცილი აუტყდა.

– შენ შემხედვარეს, ასე მგონია, ერთი თვით მივდივართ... ლამის ყველაფერი მიგაქვს თან.

– ჰო. წინასწარ ხომ არ ვიცი, რა დამჭირდება?! შენ არ იცნობ მამაჩემს. ამ სამ დღეში საკუთარ თავს აჯობებს. სანადიროდაც წაგვიყვანს, სათევზაოდაც და გრანდიოზულ წვეულებასაც მოგვიწყობს. შესაფერისი ტანსაცმელი ხომ დამჭირდება?!

დიანა შეიჭმუხნა.

– წვეულება მეტისმეტია. არ მიყვარს ბევრი ხალხი და ხმაური. მერჩივნა, ეს რამდენიმე დღე სიმშვიდეში გაგვეტარებინა, რომ ფიქრის საშუალება მქონოდა.

ლინამ ჩაიცინა.

– სანდროზე ფიქრის?

– არა მხოლოდ სანდროზე. იცი, რა მითხრა, ლონდონში გადმოვალ სასწავლებლადო. მამამისისთვის უკვე უთქვამს..

– მე ვიცოდი. ტომასმა მითხრა. ეგ ბიჭი, მგონი, სერიოზულად არის შეყვარებული შენზე და პირადად მე, არ მიკვირს. საოცარი გოგო ხარ. ტომასმაც აღნიშნა.

– არ მითხრა, რომ ისიც შეყვარებულია ჩემზე...

– არა. ტომასს აშკარად მე მოვწონვარ. კარგი ახლა, იმყოფინე ალექსანდრე და საშუალება მომეცი, ტომასთან ცოტა გავერთო... – აკისკისდა ლინა და დიანას ჩაეხუტა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

**ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.**

**გოეთე**

კითხვა: **სად შეიძლება, მოვათავსო ქლოროფიტუმი?**

**პასუხი:** ეს ოთახის მცენარე ძალიან პოპულარულია. თუ სათანადო პირობებს შეუქმნით, ქლოროფიტუმი ორჯერ უფრო ლამაზი იქნება. შეგიძლიათ, ეს მცენარე დადგათ მაღალ ტუმბოზე, უმზეო ოთახში.

კითხვა: **ბარაქის ხე მილპება, რის ბრალია?**

**პასუხი:** საერთოდ, ეს ერთ-ერთი ყველაზე გამძლე ოთახის მცენარეა. მისი მთავარი მტერი ზედმეტი წყალია. ალბათ, მორწყვა მეტი მოგივიდათ. ამიტომ, წყალი შეუმცირეთ, იქნებ გადაარჩინოთ. თუ გსურთ, რომ უხვად დაიტოტოს, ტოტებს წვეროები წააჭერით და ფოთლებიდან მტვერი მოაცილეთ. ასე უფრო ლამაზი სანახავია.

კითხვა: **როგორ გავახარო სპარსული ია?**

**პასუხი:** სპარსული ია, ანუ ეკზაკუმი შეგიძლიათ, თესლით გაახაროთ. უნდა დათესოთ ადრიან გაზაფხულზე და შემდეგ გადარგოთ. მართალია, ახალგაზრდა ეკზაკუმი კოხტა და კომპაქტურია, მაგრამ თანდათანობით იშლება და ფორმას კარგავს. ამიტომ, გირჩევთ, ზრდასრული მცენარე შეიძინოთ.

კითხვა: **რთული მოსავლელია თუ არა ჰოვეა?**

**პასუხი:** ჰოვეა პალმის ერთ-ერთი სახეობაა. თუმცა, მათთან, ერთი დიდი უპირატესობა აქვს: ის ძალიან გამძლე მცენარეა და მოუვლელობასაც იტანს. იზრდება დაბალი ტენიანობის პირობებში. თუ სინათლეზე დადგამთ და ცოტას დაატენიანებთ, უკეთეს ჰოვეას მიიღებთ.

კითხვა: **ოთახის პირობებში ვზრდი ზეთის ხილის ხეს, რომელმაც იყვავილა და შემდეგ ნაყოფი მოისხა, მაინტერესებს, თუ შეიძლება ამ ნაყოფის დაგემოვნება?**

**პასუხი:** ოთახის პირობებში გაზრდილმა ზეთისხილის ხემ დაყვავილების შემდეგ შეიძლება, მართლაც მოისხას მცირე ზომის ნაყოფი, მაგრამ ეს ნაყოფი სპეციალური დამუშავების გარეშე არ იჭმევა.

კითხვა: **როგორ უნდა მოვიქცე, რომ დეკემბერამ უხვად იყვავილოს?**

**პასუხი:** ეს ჩვენთვის ნაცნობი კაქტუსი შლუმბერგერას ორი სახეობის ჰიბრიდია. მისი ღეროები ლამაზად დაკიდებული დიდი ზომის ყვავილებით ბოლოვდება. ბოტანიკოსებმა მრავალწლიანი შრომის შედეგად მიიღეს ახალი ფორმები – წითელი, თეთრი, ვარდისფერი, ყვითელი და ნარინჯისფერი ყვავილებით. თუ ამ მცენარის უხვი ყვავილობა გსურთ, დასვენების პერიოდში აუცილებლად სიმშრალესა და სიგრილეში უნდა ამყოფოთ და თქვენ წინ დეკემბერა ლამაზი ყვავილებით გადაიშლება.

კითხვა: **ბინაში ჰემიგრაფისს ვზრდი, იქნებ მირჩიოთ, რა პირობებში ვამყოფო, რომ უკეთ გამოიყურებოდეს?**

**პასუხი:** ჰემიგრაფისი მარადმწვანე მცენარეა. კაშკაშა სინათლე ხელს შეუწყობს ფოთლების სიხასხასესა და ყვავილობას. თაკარა მზეს მოარიდეთ და ზამთარში მინიმუმ 12-13 გრადუსზე ამყოფეთ. მოსწონს ოთახის ტემპერატურა 18-24 გრადუსი. ამ მცენარეს ძალიან უყვარს სხვა მცენარეების მიერ შექმნილი ტენიანი მიკროგარემო. რაც უფრო მაღალია ტემპერატურა, მით მეტი ტენიანობა სჭირდება. ზაფხულში, აქტიური ზრდის პერიოდში, მცენარე რეგულარულად მორწყეთ. ზამთრობით მორწყვის სიხშირე შეამცირეთ, ოღონდ მიწას ნუ გამოაშრობთ.

კითხვა: **ვერაფრით ვზრდი პუანსეტიას, როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** პუანსეტია ძალიან რთულად იზრდება. ახლა ის დროა, როცა მცენარე სრულ სიბნელეში უნდა ამყოფოთ. ეს უნდა მოხდეს რვა კვირის განმავლობაში მაინც, რათა მცენარეს ყვავილები და ყლორტები ამოუვიდეს და შემდგომ უხვად იყვავილოს. მას ზრდის ყველა ეტაპზე უყვარს კაშკაშა, გაბნეული შუქი, თაკარა მზე კი ვნებს.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ

კითხვა: **გთხოვთ, განმიმარტოთ, რას ნიშნავს აღნაგობა და აქვს თუ არა უფლება აღნაგობის უფლების მქონეს, გაასხვისოს აღნაგობა?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ აღნაგობის უფლების არსებობისას, მიწის ნაკვეთი შეიძლება სხვა პირს გადაეცეს ვადიან სარგებლობაში ისე, რომ მას ჰქონდეს ამ ნაკვეთზე ან მის ქვეშ რაიმე ნაგებობის აღმართვის უფლება; ასევე, ამ უფლების გასხვისების, მემკვიდრეობით გადაცემის, თხოვების, გაქირავების უფლება. აღნაგობის უფლება შეიძლება გავრცელდეს მიწის ნაკვეთის იმ ნაწილზე, რომელიც არ არის აუცილებელი აღნაგობისათვის, მაგრამ იძლევა ნაგებობით უკეთ სარგებლობის შესაძლებლობას.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, რა ვადით შეიძლება გაიცეს აღნაგობის უფლება და შესაძლებელია თუ არა აღნაგობის უფლების სამუდამოდ გაცემა?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ აღნაგობის უფლების ვადა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით და არ უნდა აღემატებოდეს 99 წელს. შესაბამისად, აღნაგობის უფლების სამუდამოდ გაცემა დაუშვებელია.

კითხვა: **გთხოვთ, განმიმარტოთ, 2010 წლის გადასახადებით დაბეგვრისას, შესაძლებელია თუ არა დღეს მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის რედაქციის გამოყენება?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ გადასახადებით დაბეგვრისათვის გამოიყენება საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დღეისათვის მოქმედი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა.

კითხვა: **ვართ დღგ-ის გადამხდელები. საგადასახადო შემოწმების დროს ჩვენ მიერ დაზუსტებული იქნა, რომ 2007 წელს ზედმეტად გადახდილი გვაქვს დღგ-ის გადასახადი. გთხოვთ, გვიპასუხოთ: იმის გამო, რომ დიდი დროა გასული, საგადასახადო ორგანოს რომ მოვთხოვოთ ზედმეტად გადახდილი თანხა, ჩაგვეთვლება თუ არა დამატებითი ღირებულების გადასახადში?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ 2007 წელს ზედმეტობით გადახდილი დღგ-ის გადასახადი ჩაგეთვლებათ მხოლოდ დამატებითი ღირებულების გადასახადში.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, რა სახის საგადასახადო სანქციები შეიძლება დაუწესდეს გადასახადის გადამხდელ პირს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობისთვის?**



რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*

**ანატოლ ფრანსი**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა იწვევს პირის დაჯარიმებას რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის პერიოდში განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრავი ოპერაციების (გარდა გათავისუფლებული ოპერაციებისა) თანხის 15 პროცენტის ოდენობით.

# რას აზიანებს არეული „რაზვალი“ სავალ ნაწილში

*„რაზვალი" ჩემთვის გაღუნულ საბურავს და საჭის რომელიმე, ერთ მხარეს თვითნებურ სვლას ნიშნავს. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ჩემი, ალბათ, ისე როგორც ნებისმიერი არაპროფესიონალი მძღოლის წარმოდგენა, მცდარი გამოდგა.* **მევლუდ მელაძისგან** *შეიტყობთ, თუ რა ტიპის „რაზვალი" არსებობს და როდის მიმართავენ პროფესიონალი მრბოლელები სპეციალურად „რაზვალს":*

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

არაპროფესიონალი მძღოლისთვის სიტყვა „რაზვალი", აერთიანებს ძალიან ბევრ გაუმართაობას, რომელიც სავალ სისტემაში ხდება. რეალურად „რაზვალი" სამი სახის არსებობს. ერთი, ეს არის ეგრეთ წოდებული „სხაჟდენიე", რაც ნიშნავს ბორბლების ერთმანეთთან სისწორეში, გარეთ ან შიგნით, გაშლას. ამას კი დავინახავთ, თუ ავტომობილს შორიდან პირდაპირ შევხედავთ. ანუ, თუ ბორბლები „დაელმებულია“, ეს ნიშნავს, რომ მას „სხაჟდენიე" აქვს. არსებობს „რაზვალი", რაც ნიშნავს, რომ თუ ბორბლებს ზემოდან დავხედავთ, დავინახავთ, რომ მას ძირი გაწეული აქვს. არსებობს მესამე ფორმა – „კასტერი“, რომელსაც ჩვენ ასევე „რაზვალს" ვუწოდებთ. ეს ნიშნავს, რომ ფორმა აქვს შეცვლილი ზემოდან დაშვებულ ძელს, რომელზეც ბორბლის ღერძია დამაგრებული. ეს ძელი წინ ან უკანაა გადახრილი და რომელ მხარეს იხრება, ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ყველაფერი არსებითად ცვლის ავტომობილის მართვას იმის მიხედვით, თუ რა სირთულის მოსახვევს გავდივართ. შეიძლება, მართვის დროს საჭეს ხელი გავუშვათ და ის მაინც სწორად წავიდეს, რადგან ეს გადახრილობა-გადმოხრილობა ისე დაემთხვეს ერთმანეთს, საჭემ სისწორე დაიცვას. მაგრამ, შეუძლებელია, „რაზვალის" სამივე ტიპი ვერ იგრძნოთ მოსახვევში – საბურავები წივილს დაიწყებს. თუ დახედავთ, ნახავთ, რომ საბურავები შიგნით არის გაცვეთილი და გარე მხარე მთელი აქვს, ან პირიქით. ეს ნიშნავს, რომ რომელიმე პარამეტრი დაირღვა. სხვათა შორის, „მერსედესს" სპეციალურად აქვს გადახრილი ძელი უკანა მხარეს, რისი წყალობითაც, საბურავი მოსახვევში შესვლისას, წვება, იკეცება და მას იდეალურად შეუძლია ერთი მოსახვევის გავლა. მაგრამ, ამის გამო, „მერსედესს" ერთდროულად რამდენიმე მოსახვევის გავლა უჭირს. მისთვის რთულია „სლალომის" გავლაც.

**– რა შეიძლება, „რაზვალის" სამივე ტიპმა დააზიანოს ავტომობილში?**

– უამრავი რამ სავალ სისტემაში. უპირველესად, საბურავები, შემდეგ უკვე ეგრეთ წოდებული „პაჩებნიკი", საკისარი და სხვა. მაგრამ ყველაზე საშიში ამ შემთხვევაში, უსაფრთხოების დარღვევაა, რაც ნიშნავს, რომ „რაზვალმა" შეიძლება, თქვენც დაგაზიანოთ. ის, რაც მანევრში ავტომობილს შეიძლება, დააკლდეს, ვთქვათ, მოუხვიეთ როგორც ყოველთვის, მაგრამ ამ შემთხვევაში, მოხვევა არ გეყოთ, ან არასწორად შევიდა მანქანა მოსახვევში, ეს კატასტროფას გამოიწვევს. „რაზვალი" და მთელი ეს არეულ-დარეულობები შეიძლება, დაიწყოს რომელიმე სავალი დეტალის დაზიანებით და ის იყოს გამოსაცვლელი. მაგალითად, ეგრეთ წოდებული „რაზვალნი ვტულკა", ანუ რეზინის გამჭედი, რომელიც უზრუნველყოფს ძელების მდგომარეობის შენარჩუნებას, ასევე „შარავოი", „ნაკანეჩნიკი", „ტიაგა" და სხვა. რომელიმე ამ ნაწილის მწყობრიდან გამოსვლა ავტომატურად იწვევს „რაზვალს", რადგან მათი მოჭიმულობის, გადახრა-გადმოხრის დონით, რეგულირდება „რაზვალი". შესაბამისად, თუ სავალ ნაწილში რაღაც კაკუნობს, ეს ნიშნავს, არის „ლუფტი" და რამხელაცაა ეს „ლუფტი", ზუსტად იმდენია საბურავებს შორის ცდომილება. თან, ეს არასტაბილური ცდომილებაა – მუხრუჭზე, გაზის მიცემაზე ავტომობილი აბსოლუტურად არასტანდარტულად რეაგირებს, რამაც შეიძლება, ოდნავ მაღალ სიჩქარეზე მძღოლი დააბნიოს. თუ ადრე კონკრეტულ მოსახვევს ოთხმოცი კილომეტრსაათში სიჩქარით გადიოდით, „ლუფტით" – სამოცდაათითაც გაგიჭირდებათ. „რაზვალს" ჩვეულებრივ ცხოვრებაში თითქოს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ, მაგრამ ამას უდიდესი როლი აქვს მართვისას. პროფესიონალები კონკრეტული ავტოდრომის, გზის საფარის, მოსახვევების მიხედვით ვცვლით ბორბლების მდგომარეობას, ანუ ვრევთ „რაზვალს" და გზის საფარს ვარგებთ საბურავების დახრილობას.



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი
მევლუდ მელაძე

**ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: ძალიან მინდა, ფრანგული ბულდოგის შეძენა. ზოგმა მირჩია ამის გაკეთება, ზოგმა კი – პირიქით. მის შესახებ ყველაფერი მაინტერესებს, მაგრამ იქნებ მითხრათ, რა აქვთ სუსტი ამ ჯიშის წარმომადგენლებს?**

**პასუხი**: პირდაპირ გეტყვით, ცხვირი. ცხელ ამინდში მათი ბევრი სირბილი არ შეიძლება. ასევე, არ არის მიზანშეწონილი ძალიან ცივ ამინდში მათი გარეთ ყოფნა. მოკლებეწვიანია და ზამთარში ხშირად ნახავთ ტანისამოსით. იმის გამო, რომ ძაღლი დიდთავაა და ასეთი ცხვირით კარგად ველარ სუნთქავს, ორგანოების განვითარება ისე არ ხდება, როგორც უნდა მომხდარიყო. ამიტომ, დედალ ბულდოგებს მშობიარობა უჭირთ და ხშირად საკეისროს გაკეთება ხდება საჭირო. ეს გახლავთ თანამედროვე სელექციის უარყოფითი მხარე, რომელსაც დღესდღეობით ებრძვიან.

**კითხვა: რამდენიმე სიტყვით, იქნებ მითხრათ, ძაღლის ყურის ჰიგიენის შესახებ. ანუ როგორ უნდა დავიცვათ ის?**

**პასუხი**: ძაღლის და ადამიანის ყური ერთნაირი აგებულებისაა. ყურს სჭირდება გამოწმენდა და სისუფთავე. ზოგ ძაღლს იმხელა ყურები აქვს, საჭმლის ჭამის დროს უკრავენ, რომ არ დაესვაროს. დასვრილი ყურებიდან ინფექცია შიგნით გადადის. თუ ძაღლს ჩამოყრილი ყურები აქვს, კვირაში ან ორ კვირაში ერთხელ ჩხირით უნდა გაუწმინდოთ. მოუვლელობის გამო, ძაღლებს ყურის ტკივილი ეწყებათ და თავის ქნევას იწყებენ. ამიტომ, როცა ძაღლი თავს იქნევს, ყურის ძირზე ხელი უნდა მიაჭიროთ და მაშინვე იგრძნობთ, რომ მას რაღაც აწუხებს. არის სპეციალური ხსნარი, რომელსაც ძაღლს ყურში ჩააწვეთებთ პროფილაქტიკის ან მკურნალობის მიზნით. შესაბამისად, ძაღლს ველარ ერევა ინფექცია. თმიანი ყურები შიდა მხრიდან უნდა ამოიკრიჭოს, რომ ყური არ ჩაახუროს. ამას ძაღლი თავიდანვე უნდა შევაჩვიოთ.

**კითხვა: ძაღლი ცოფზე მყავს აცრილი 10 თვის წინ. არის თუ არა საშიში ეს პერიოდი, თუ ვინმეს უკბინა? ანუ, იმას ვგულისხმობ, რომ ვაქცინის უმეტესი დრო გასულია.**

**პასუხი:** ცოფზე აცრიდან, ვაქცინით იმუნიტეტი უმეტესად 12 თვეს გრძელდება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახალმა აცრილმა ძაღლმა თუ ვინმე დაკბინა, ის საშიში არ არის. აცრა არ იძლევა 100%-იან გარანტიას. დაკბენის შემთხვევაში, აუცილებელია, ძაღლი მოვაქციოთ ვეტერინარული ზედამხედველობის ქვეშ, ხოლო დაკბენილმა აუცილებლად უნდა მიმართოს რაბიოლოგს. საგულისხმოა და გასათვალისწინებელი ასევე, ის ფაქტორი, თუ რა ვითარებაში მოხდა დაკბენა. ხშირად ხდება ისე, რომ ცხოველი არანაირ აგრესიას არ ავლენს, არ აღენიშნება ცოფის ნიშნები, მაგრამ თამაშის დროს შეიძლება, დაკბინოს, ან დადორბლოს ადამიანი. ასევე, ცხოველის გაბრაზების შემთხვევაში, აუცილებელია, ცხოველებთან მოქცევის წესების დაცვა. ყველა დაკბენის და დადორბვლის შემთხვევაში, აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმ რაბიოლოგს, მიუხედავად იმისა, აცრილია თუ არა ცხოველი.



რუბრიკას უძღვება
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
ზაქრო ბაჯიაშვილი

> **ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**
> **ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# კაცობრიობის გადასარჩენად

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №29-32(711)

კირსანოვმა დაცინვა არ შეიმჩნია და ორი ახალგაზრდა ქალისკენ მიმითითა, რომლებიც მაგიდასთან ისხდნენ და რაღაცაზე საუბრობდნენ.

– ის ქერათმიანი გოგო ჩემია! – ჩავჩურჩულე მეგობარს უფრო ახალგაზრდასა და ლამაზზე.

– რა თქმა უნდა, შენ ხომ „მხოლოდ“ 35 წლის ხარ, – მაინც გამკრა კბილი.

– ეი, შენ! – ჩავლილ მიმტანს თითით ვანიშნე მოგვახლოებოდა, – იმ ორ ლამაზმანს ჩვენგან ერთი ბოთლი ფრანგული შამპანური მიართვი!

10 წუთის მერე მაგიდას ოთხნი ვუსხედით და კოპაკაბანას ნახევრად ნუდისტურ პლაჟებსა და სასიყვარულო თავგადასავლებზე ვსაუბრობდით. ეს სრულიად უაზრო ლაპარაკი, რომელიც უფრო მომავალი, რომატიკული ღამის პრელუდიას ჰგავდა, დარბაზის შუაგულში ატეხილმა ჩხუბმა შეგვაწყვეტინა. ორი ახალგაზრდა გოგოს გამო წაეკიდა ერთმანეთს. ხელჩართულმა ბრძოლამ მაგიდებისკენ გადმოინია. ერთ-ერთმა მაგიდაზე დადგმულ ბოთლს სტაცა ხელი და მეორეს თავზე გადაამტვრია. მალე ის ორი „ექსტრემალი“, რომლებიც უწმაწური სიტყვებით კვლავ ერთმანეთისკენ იწევდნენ, ორმა კუნთმაგარმა და მაღალმა ტიპმა იქიდან გაიყვანა და ცეკვა კვლავ განახლდა ისე, თითქოს არაფერი მომხდარა.

– ახლა ხომ ხვდები, რა განსხვავებაა ორ რუსეთს შორის? – ჩამეკითხა მიხაილი.

– გინდაც მომკალი, მიხაილ, მაგრამ ასე მგონია, შენი „მიშლენისტი“ სერგეი შერემეტიევიც სიამოვნებით გადამამტვრევდა ბოთლს თავზე, რომ არა იქ შეკრებილი საზოგადოება... რა თქმა უნდა, თუ ამის საშუალებას მივცემდი.

– კარგი, კარგი... – თავი გაიქნია მიხაილმა, – ცოტა სიფიცხის მოთოკვა არც შენ გაწყენდა.

მივხვდი, რასაც გულისხმობდა და საუბარი სხვა თემაზე გადავიტანე.

– ჩვენ წავედით! – გადმომიჩურჩულა ცოტა ხანში მიხაილმა.

– სად? – ვკითხე თუ არა, მაშინვე ვინანე, რადგან ირონიულად ჩაეცინა.

– რა თქმა უნდა – სასტუმროში, „ყმაწვილო“!



– თუ ასეა, კეთილი მგზავრობა, მოხუცო ლაველასო! – ხმადაბლა გამოვემშვიდობე კეთილშობილ რუსს და გადავწყვიტე, მეც მისთვის მიმებაძა.

სასტუმროს მოსაძებნად შორს არ წავსულვართ... ფეხით რამდენიმე მეტრი გავიარეთ და ჩემმა გოგონამ, რომელიც 19-ისაც ძლივს იქნებოდა, კერძო, მდიდრულად მორთულ სასტუმროში შემიყვანა. ადმინისტრატორს საუკეთესო ნომერი და ტკბილეული შევუკვეთე, რომელიც ნომერში უნდა ამოეტანათ ჩაცივებულ შამპანურთან ერთად და მექანიკურად ხელი ჯიბისკენ წავიღე. დავმშვიდდი, რადგან ფული ადგილზე დამხვდა.

დილით მობილურის ზარმა გამაწყვეტინა „ახალდაწყებული“ სიზმარი.

– აბა, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, როგორ ხარ? – ვიცანი კირსანოვის ხმა.

– თავი უძილობისგან მიბრუის და „ქისაც“ შემითხელდა, – ვუპასუხე მოწყენილად.

– ეგ არაფერი, მთავარია, შენი მისია არ დაივიწყო.

– რას ამბობ! მახსოვს – შაბათს, ათ საათზე!

– ჰოდა, ძალიან კარგი, მაშ, შაბათ საღამომდე.

– დროებით! – დავემშვიდობე და სასტუმროს ნომერს მოვავლე თვალი. წუხანდელი ფარვანა არსად ჩანდა. ბალიშზე პატარა ბარათი იდო, რომელზეც ტელეფონის ნომერი და სახელი „ტანია“ ეწერა.

– ჰო, მართლა, ტანია სად არის? – წამოვდექი და იმაში დასარწმუნებლად, რომ გოგონა მართლაც წავიდა, სააბაზანოში შევიხედე – სექსის პატარა ჯადოქარი სადღაც გამქრალიყო.

* * *

შაბათს 9-ის ნახევარზე გამეღვიძა. სასწრაფოდ ჩავიცვი და ზუსტად ერთ საათში ქალაქის გარეუბანში, თეთრად გადახურულ, დიდ საკალათბურთო დარბაზს მივადექი. წინა სკამები მთლიანად შევსებული იყო, უკანა რიგში დავიკავე ადგილი და მოედანზე ამაღლებულ ადგილას მდგომ რამდენიმე ადამიანს დავაკვირდი – ცენტრში თეთრ შარვალსა და პიჯაკში გამოწყობილი მაღალი მამაკაცი იდგა. გვერდით თავმოხოტრილი, მასზე ახოვანი და დაკუნთული ტიპი ედგა, რომელიც აქეთ-იქით იყურებოდა. ალბათ, ეს არის კაბანი, გავიფიქრე და უფრო დაკვირვებით შევათვალიერე: სპორტული, თხელი ტყავის ქურთუკი ეცვა, გადაღეღილ გულზე მსხვილი ოქროს ჯაჭვი უელავდა. მართალია, ნაკვთები ვერ გავარჩიე, მაგრამ შორიდან ბორნეოს ორანგუტანგივით დიდი მომეჩვენა.

10 წუთში თეთრებში ჩაცმულმა მამაკაცმა მიკროფონი მოიმარჯვა და იქ შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა, რასაც ოვაციები და ტაში მოჰყვა. გამართული რუსულით მეტყველებდა, თავდაჯერებული ჩანდა. ჯგუფში, რომელიც მის უკან იდგა, ორი ქალიც შევნიშნე.

– ეს კაცი ვინ არის? – გადავუჩურჩულე წინ მჯდომ ქალბატონს, რომელმაც დაუფარავი გაკვირვებით შემომხედა და მიპასუხა:

– ეს სახალხო მკურნალი და ხალხის მამა ვლად რიმსკია! თქვენ რა, პირველად ესწრებით მის ქადაგებას?!

– დიახ. გმადლობთ! – სასწრაფოდ წელში გავსწორდი და ორატორის სიტყვას დავუგდე ყური.

„სახალხო მკურნალის“ შესავალმა ფრაზებმა მარქსისტული მოძღვრება გამახსენა. ის ოსტატურად აგებდა თავის სიტყვას ხალხთა თანასწორობაზე, იდეოლოგიურ ცხოვრებაზე, რომელიც აქ, მიწიერ სამოთხეში უნდა განხორციელებული. აღთქმული ქალაქიც ახსენა, რომელსაც ის მოსკოვიდან მოშორებით აშენებდა და რომელშიც ყველაზე ერთგულ და თავდადებულ მრევლს დაასახლებდა. იქ მცხოვრებთ კი კარგ კვებას, ჩაცმა-დახურვასა და თბილ, ადამიანურ გარემოს ჰპირდებოდა. ვისაც აღთქმულ ქალაქში, ანუ რიმგოროდში, ცხოვრება უნდოდა, მთელი ქონება, შემოსავალი თუ პენსია, „წითელი კარვისთვის“ უნდა შეეწირა, თანაც ანგარიშზე კი არა – ხელზე აკრეფით.

„ეს ხომ სოციალისტურ მოძღვრებას ჰგავს?“ – გავიფიქრე თუ არა, ვლად რიმსკი ღმერთზე ალაპარაკდა; იმ მისიაზე, რომელიც თურმე უზენაესმა მას დააკისრა, რათა თავისი რჩეულები ცალკე გამოეყო და მათთვის აქვე, ამ სოფელში მიენიჭებინა სიხარული – ერთად შრომით, თანასწორობით, უზრუნველი ყოფითა და თბილი გარემოთი, რომელიც მათ ერთმანეთისთვის უნდა შეექმნათ. „სახალხო ტაძრის“ დამფუძნებელმა საკუთარი თავი ღვთის რჩეულად, მის მიერ წარმოგზავნილად გამოაცხადა. ბოლოს, ორივე ხელი მაღლა შემართა და ხალხს მოუწოდა, წამომდგარიყვნენ და ხმამაღლა გაემეორებინათ მისი წარმოთქმული სიტყვები. ხალხი წამოიშალა, მეც, რა თქმა უნდა, ფეხზე წამოვდექი.

– ერთობა! შრომა, თავისუფლება! ღმერთი! – სათითაოდ წამოიძახა და ბრბომაც მას მიბაძა. „ეს რაღაც მოძღვრება ძალიან ჰგავს ერთ ცნობილ ლოზუნგს, – ვფიქრობდი გაოგნებული, – „ძმობა, ერთობა, თავისუფლება!“ ოღონდ ცრუმეტყველმა „ღმერთი“ დაამატა!“ ლამის პირდაღებული შევცქეროდი იქ მყოფი ადამიანების შთაგონებულ სახეებს, რომლებიც ანგარიშმიუცემლად ღრიალებდნენ მათი სულიერი წინამძღოლის მიერ წარმოთქმულ ფრაზებსა და სიტყვებს. ალბათ, ასევე ღრიალებდნენ სოდომ-გომორელები, როცა მათ ღმერთმა ციდან ცეცხლის წვიმა მოუვლინა. „ასეთი არაფერი მინახავს და არც გამიგონია. როგორ შეიძლება ამ აბსურდით, ანუ რაღაც რელიგიურ-მარქსისტული მოძღვრებით თუ სამოციქულო სოციალიზმით, გააბრუო ამდენი ადამიანი?“ – სასოწარკვეთილი ვიმეორებდი გონებაში, – „ეს რაღაც სისულელეა, თეთრისა და შავის ნაზავი, რომელიც ჯამში, რაღაც რუხ, გაურკვეველ ფერს იღებს... როგორ ახერხებს ეს კაცი ამ უტოპიური მოძღვრებით ამდენი ზრდასრული ადამიანის მოხიბვლას და გადაბირებას!“

როგორც იქნა, მასა ღრიალს მორჩა და

მე კვლავ ჩემ წინ მდგომ ქალბატონს შევეხე.

— ქალბატონო! — ის ისეთი ბრაზით მომიტრიალდა, რომ გავბედე და ყურადღება კვლავ გავუფანტე და რაც შემეძლო თბილად გავუღიმე, — ძალიან მომეწონა ქადაგება და თქვენი წინამძღოლი.

— მამა! მკაცრად შემისწორა.

— დიახ, მაპატიეთ — „მამა“, — სწრაფად გამოვასწორე „შეცდომა“. ძალიან მინდა, უფრო ახლოს გავეცნო მის იდეებს...

— თუ ასეა, ყოველ შაბათს ამ დროს აქ უნდა მობრძანდეთ! — მშრალად მიპასუხა და თავი მიიბრუნა, მაგრძნობინა, რომ ჩემთან საუბარი დაასრულა.

ერთი სული მქონდა, როდის დავტოვებდი იქაურობას. თუმცა რიმსკი ჯერ კიდევ თავის ადგილზე იდგა და რამდენიმე კაცს რაღაცაზე ესაუბრებოდა. მის წინ ნამდვილი ზედახორა დადგა, რომელსაც „მამა“ ვლადის გარემოცვამ გადაუჭრა გზა. მივხვდი, „სახალხო მკურნალს“ საყოველთაო განკურნების ცერემონიალი უნდა ჩაეტარებინა და მეც თვალთვალი განვაგრძე: რიმსკიმდე დაახლოებით 10-11-მა ადამიანმა მიაღწია. თითოეული მათგანის არატრადიციული მეთოდით „განკურნებას“ „სახალხო მკურნალი“ 2-2 წუთს მოუნდა. ხელებს თავიდან ფეხებამდე ჩააყოლებდა და ააყოლებდა, მერე უცნაურ რკალებს ხაზავდა ჰაერში, თითქოს მათგან ავადობას დევნიდა. განკურნების დანარჩენი მსურველები რიმსკის გარემოცვამ შეაჩერა და უკან გამოაბრუნა. ისინიც, რა თქმა უნდა, ცხვრებივით დამორჩილდნენ. გაკვირვებული ვიდექი და თვალყურს ვადევნებდი ამ უცნაურ რიტუალს და მიკვირდა ამდენი ადამიანის, რბილად რომ ვთქვა — გულუბრყვილობა.

ამ სანახაობითა და ვლად რიმსკის ქადაგებით გუნებამოწამლული, საღამომდე გაბრუებულივით ვიყავი. მთელი დღე იმ „ბაბილონის გადაღებებზე“ ვფიქრობდი. ასეთ მდგომარეობაში ვიყავი, მიხაილი რომ მოვიდა. მასთან საუბარმა ოდნავ დამამშვიდა. თითქმის ერთი ბოთლი კონიაკი გამოვცალე, მაგრამ გუნება მაინც ვერ გამოვიკეთე. მიხაილი ორი საათის შემდეგ წავიდა, მე კი გადავწყვიტე, ვარვარა ანტონოვნასთან დამერეკა, თუმცა მას მობილური გამორთული ჰქონდა. კვირას შუადღისთვის თვითონვე დამიკავშირდა.

— ვარვარა ანტონოვნა! — მისი ხმის გაგონებაზე ისე შევძახე, თითქოს ყველაზე სასიხარულო რამ მომესმინოს ამქვეყნად.

— როგორ მინდა გნახო... მაგრამ არ შემიძლია, დღეს ეგორთან უნდა ვიყო. ხვალ შუადღის მერე დაგირეკავ და საღამოსთვის შევხვდეთ, — მითხრა და ტელეფონი სასწრაფოდ გამორთო, ალბათ, ვინმესი შეეშინდა.

„ძალიან ფრთხილობს, ეტყობა, ეგორ კაზაკოვი ძალიან ეჭვიანია... მით უარესი მისთვის!“ — გავიფიქრე და ტანიას მიერ დატოვებულ ბარათს დავუწყე ძებნა, მაგრამ ვეღარ ვიპოვე. მთელი ცხოვრება ასეთი დაუდევარი ვიყავი, თუ საქმე ძალიან სერიოზულ საკითხს არ ეხებოდა. ამიტომ, კვირის სიმშვიდეში გატარება გადავწყვიტე, რათა კარგად გამეანალიზებინა, ვისთან და რასთან მქონდა საქმე და როგორ უნდა მოვქცეულიყავი შემდგომში.

კვირამ უინტერესოდ ჩაიარა. დილით ცივი შხაპი მივიღე და ამან ჩემი ცხოვრების ბოლო ერთი წელი გამახსენა, როცა დღე-ღამეში მხოლოდ 5 საათს მეძინა. ყოველდღე 4 საათი ჩემი მომავალი „სალაპარაკო ენისთვის“ უნდა მიმეძღვნა, რათა ნამდვილი ინგლისელივით მესაუბრა. თუმცა, განვლილი პერიოდი ძალიან წამადგა და, თუ ადრე დაღლილობას ადვილად ვგრძნობდი, ახლა მხნედ და აბსოლუტურად ჯანმრთელად მიმაჩნდა თავი.

ვარვარამ პირობა არ დაარღვია და ორშაბათს 2 საათზე დამირეკა. რატომღაც ჩინურ რესტორანთან დამითქვა შეხვედრა. ერთ საათში კალანჩევსკაიას ქუჩაზე ვიყავი „ოქროს დრაკონის“ წინ. ანტონოვნა 10 წუთის დაგვიანებით მოვიდა ტაქსით.

— რატომ მაინცდამაინც ჩინური რესტორანი? — ვკითხე ვარვარას, როცა ტაქსის მძღოლს ანგარიში გავუსწორე და ვარვარა ხელკავით „ოქროს დრაკონის“ შესასვლელისკენ წავიყვანე.

— ბევრი მიზეზი მქონდა...

— მაინც?

— მაგიდასთან დავსხდეთ და გეტყვი.

— კარგი.

— აბა, რა მიზეზზე საუბრობდი, ვარა? — ვკითხე, როცა განცალკევებით მდგომ მაგიდასთან დავიკავეთ ადგილი.

— დღეს აღმოსავლური სამზარეულო პოპულარულია და ასეთ რესტორნებში სიარული კარგ ტონად ითვლება; მეორეც, ძალიან მიყვარს თევზეული... და ყველაზე მნიშვნელოვანი: ეგორი ვერ იტანს უმ თევზეულს და ჩინურ და იაპონურ რესტორნებში არ დადის... ამიტომ აქ მშვიდად ვიგრძნობ თავს.

— მე კი ვერ ვიტან ბრინჯს, საკეს და ამ ოჩოფეხებს, — ღიმილით და ნახევრად ხუმრობით ვუთხარი და გრძელ ხის ჩხირებს ქაღალდის პაკეტი შემოვხსენი.

— თუმცა, ძალიან ოსტატურად გიჭირავს ხელში.

ვარვარამ შეუკვეთა ზვიგენის ფარფლებით დამზადებული წვნიანი და ბოსტნეული ბამბუკში, მე — კრევეტების გუმბაო და თევზი ლოტოსის ფოთოლში. 10 წუთში მიმტანმა კერძები მოგვიტანა და, ჩემდა გასაოცრად, ვარვარა ისე მადიანად შეუდგა წვნიანის ხვრეპას, თითქოს ამაზე უკეთესი ცხოვრებაში არაფერი გაესინჯოს. მე კი უგემურად დავღეჭე ერთი ლუკმა და ჩვენებური, ქართული სუფრა გამახსენდა. ისე არაფერი მენატრებოდა, როგორც ქართული სიტყვა, სადღეგრძელო, მაყვლისფერი ღვინო, თონეში შებრაწული გოჭი, ყველით აჭიპჭიპებული ხაჭაპური და მაყალზე შემწვარი ცვრიანი მწვადი. თითქოს ჩემი ფიქრების პასუხად მკაფიო ქართული აქცენტით წარმოთქმული სიტყვები შემომესმა და ანაზდეულად გვერდითა მაგიდისკენ გავიხედე, რომელსაც შავგვრემანი ახალგაზრდა კაცი და ქერა, სლავური გარეგნობის ქალი უსხდნენ. კაცი, მართლაც, ნაკვთებით ქართველს ჰგავდა და რუსულად არცთუ გამართულად მეტყველებდა. თავიდან შევცბი, მაგრამ მალევე დავმშვიდდი, რადგან ამ ჩაცმულობით, ვარცხნილობით და მას თუ დავამატებთ ინგლისურაქცენტიან ჩემს გამართულ რუსულ მეტყველებას — დედაჩემსაც რომ ვენახე, იტყოდა: ეს ინგლისელი როგორ ჰგავს ჩემს სანდროსო. როგორც მივხვდი, ქართველი მამაკაცი სლავ ქალბატონს „ინისა და იანის“ თავისებურებებსა და მათი ურთიერთობის შესახებ უყვებოდა რაღაც სისულელეს.

— ალექსანდრ, დარწმუნებული ვარ, მამა ვლადის ქადაგებამ შენზე შთაბეჭდილება მოახდინა, — ფიქრი ვარვარას სიტყვებმა გამიფანტა.

— ასეთი ჭეშმარიტება არასდროს მომისმენია. ეს ნამდვილად ღვთის კაცის სიტყვა იყო! — წარმოვთქვი და გავიფიქრე, რომ ასეთი ჰიპერბოლა, შესაძლოა, საეჭვოც კი ყოფილიყო, ამიტომ დავამატე: — თუმცა, არარეალურად მეჩვენება დედამიწაზე სამოთხის დამკვიდრება, სადაც თანასწორუფლებიანი ადამიანები ერთნაირად ბედნიერად იცხოვრებენ.

— სულ ტყუილად! — დამაჯერებელი ხმით წარმოთქვა ვარვარამ და ბოსტნეულის სალათა პირისკენ გაიქანა. როცა ლუკმა გადაყლაპა, კვლავ განაგრძო: — სამაგიეროდ უკვე შენდება... მამა ვლადმა მიწა შეისყიდა და მოსკოვიდან აღმოსავლეთით, სულ რაღაც, 5 საათის სავალზე ხის კოტეჯები შენდება. მალე რიმგოროდში ყველაზე ერთგულნი ჩასახლდებიან და ბედნიერად იცხოვრებენ.

სახეზე ურწმუნო ღიმილი თავისით, ჩემდა უნებურად გამომესახა.

— არ გჯერა?! ასეთი სახლები მოსკოვშიც ხომ არის?! ექსპერიმენტმა გაამართლა! და ახლა მოძღვარი დიდ ქალაქს აშენებს.

— მეც რომ მოვინდომო იმ „აღთქმულ ქალაქში“ ცხოვრება, როგორ უნდა მოვიქცე?

— ეს ძალიან ადვილია — რჩეულთა შორის უნდა მოხვდე!

— ეს როგორ უნდა მოვახერხო? — ჩავეკითხე და გავიფიქრე, რომ ამას, ალბათ, მინიმუმ 1 წელი მაინც დასჭირდებოდა, მე კი დასაკარგავი დრო არ მქონდა.

— ქადაგებებზე დასწრებით, შემოწირულობებით და გულმხურვალე მხარდაჭერით ჩვენი მოძღვრისადმი, — ჩამოარაკრაკა ვარვარამ.

— ეს ხომ დროის ფაქტორთან არის დაკავშირებული... მე კი მეგონა, რომ შენ დამეხმარებოდი და... თუმცა, ეგორ კაზაკოვი „სახალხო ტაძარს“ აღარ გაკარებს, — როგორც იქნა, მთავარ სათქმელს მივუახლოვდი. მაგრამ ვარვარა ეგორის ხსენებაზე ისე შეიჭმუხნა, თითქოს ტყვიისფერი, საწვიმა-

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.



რი ღრუბელი დაენახოს.

ამ ქალს ვერაფერს ვუხერხებდი, როგორც კი საქმე კაბანზე მიდგებოდა, ყოველთვის მრავალმნიშვნელოვან დუმილს მიმართავდა. ეს კი უკვე გამაღიზიანებელი იყო ჩემთვის და გადავწყვიტე, ამისთვის წერტილი დამესვა. ამიტომ, პირდაპირ შეტევაზე გადავედი:

– ვარვარა, ძალიან მომწონხარ, – წამოვიწყე და პირდაპირ თვალებში შევხედე. შენ გამო ნასტიას დავშორდი.

– ნუთუ მართალს ამბობ?! – ისე შემომხედა, მომეჩვენა, რომ ბოლომდე არ მენდობოდა.

– გეფიცები! – თამამად დავიფიცე, რადგან ჩემს სიტყვებში იდო ჭეშმარიტების კარგა მოზრდილი მარცვალი – მე ხომ ნასტენკასთან ურთიერთობა დროებით შევწყვიტე, რათა ვარვარას უფრო მეტად დავახლოვებოდი.

– კი მაგრამ, ჩვენ ხომ არც ისე დიდი ხანია, ერთმანეთს ვიცნობთ, – ანტონოვნა გაწითლდა. მივხვდი, ჩემმა სიტყვებმა სიამოვნება მოჰგვარა, ამიტომ თამამად გავაგრძელე:

– შეიძლება, არც დამიჯერო, მაგრამ, დაგინახე თუ არა, მაშინვე გავიფიქრე, რომ შენ ის ქალი იყავი, ვისთანაც ურთიერთობა ძალიან მინდოდა. როცა ახლოს გაგიცანი, ეს სურვილი უფრო გამიძლიერდა... მაგრამ...

– მაგრამ რა?! – უფრო მეტად წითლად „ავარვარდა“ ვარვარა ანტონოვნა.

– მაგრამ ის, რომ, სანამ სერიოზულ ურთიერთობებს ავაწყობდეთ, მინდა ვიცოდე, ვინ არის და შენთვის რას წარმოადგენს ეგორი?

– ეგორ კაზაკოვი? – ვარვარას სიწითლე გაფითრებამ შეცვალა. ცოტა ხანს ჩაფიქრდა და დაიწყო: – დედა 10 წლის წინ გარდაიცვალა... სულ მარტო დავრჩი, მთლად ახალგაზრდა. ცხოვრება დაუნდობლად მომექცა – მამაკაცს შევხვდი, რომელიც მთელ ქვეყნიერებას მპირდებოდა... ორ წელს ვიყავით ერთად. მერე კი აღმოვაჩინე, რომ თურმე ცოლშვილიანი ყოფილა და ოჯახი სხვა ქალაქში ჰყოლია... მიყენებდა, მოსკოვში, ჩემს ბინაში ცხოვრობდა. დათრგუნული ვიყავი და რწმენადაკარგული... როცა ეგორი გამოჩნდა. 5 წელია, ვხვდები. პირველი 2 წელი მიყვარდა, მეორე 2 წელი მისი სიყვარულის გამო ვუძლებდი, ხოლო ერთი წელია, ცხოვრება ჯოჯოხეთად მექცა.

– როგორ?! – მართლა გამიკვირდა, რადგან ასეთ მოულოდნელ აღსარებას არ ველოდი, თანაც ხანგრძლივი დუმილის მერე, – ნუთუ დაშორება გინდა და მისი გეშინია?!

– ეგორს არ იცნობ, ის ნამდვილი მტაცებელია. თუ რამე თავისად დაიგულა, მოკვდება და ხელიდან აღარ გაუშვებს. მიუხედავად იმისა, რომ მამა ვლადს ის მე გავაცანი, ბოლოს „სახალხო ტაძრის“ შეკრებებზე სიარულიც ამიკრძალა. მე უკვე „წითელი კარვის“ წევრი ვიყავი, ანუ – მამა ვლადის ნდობით აღჭურვილი პირი.

– მიკვირს, რომ ვლად რიმსკის არ შეუძლია, გავლენა მოახდინოს მასზე, – წარმოვთქვი თუ არა, რუსულად ამეტყველებული ქართველის ცალკეულმა ფრაზებმა მოაღწია ჩემამდე – ცოლთან განქორწინების დეტალებს „აცნობდა“ დიდი ყურადღებით მსმენელ ქალბატონს.

– საქმეც ეს არის, რომ ეგორი არავის ემორჩილება და მას მამა ვლადიც კი ვერაფერს უხერხებს.

– რას გულისხმობ? – ჩავეძიე, რადგან კვანძის ბოლომდე გახსნა მინდოდა.

– თუნდაც იმას, რომ „სახალხო ტაძრის“ წევრებს ალკოჰოლიანი სასმლის მიღება ეკრძალებათ, თუმცა ეგორი ამას არად დაგიდევს...

– ვარა, ცოტა არ იყოს, დავიბენი – როგორც ცნობილია, ეგორი მამა ვლადთან დაახლოებული პირია, მისი პირადი მცველი და ის, იმავდროულად, არაფრად აგდებს ვლად რიმსკის შეგონებას?! თუ ეს ასეა, მაშინ, რის გამო იტანს მას მოძღვარი თავის რჩეულთა რიგებში... ხომ შეუძლია, რომ „სახალხო ტაძრიდან“ გამორიცხოს?!

– საქმე ის არის, რომ ეგორი ძალიან კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას და ძლიერიც არის... მისი შემცვლელის პოვნა ჩვენს სულიერ წინამძღოლს გაუჭირდება, – მივხვდი, რომ ამ უსუსური ფაქტორით ვარვარას სურდა, რაღაც მნიშვნელოვანი დაემალა.

– გამოდის, რომ შენ გარემოების ტყვე ხარ – ეგორ კაზაკოვის იძულებითი საყვარელი და თანაც, მისი ბრძანებების უსიტყვოდ შემსრულებელი! ამას როგორ ეგუები, ვარა... ძლიერი ქალი მეგონე!

ვარვარა ანტონოვნა ყურებამდე გაწითლდა, კითხვა უპასუხოდ დატოვა და, ცოტა ხნით გავალო, – ბოდიში მომიხადა. გასვლა იმიტომ მოიმიზეზა, რომ პასუხისთვის თავი აერიდებინა. მეც გადავწყვიტე, მეტად აღარ ჩავძიებოდი და, ცოტა არ იყოს, ნირწამხდარმა, სათითესავით თიხის ჭიქით ბრინჯის არაყი ხახაში ჩავისხი. გუნება წამიხდა და იმდღევანდელი დღე ჩავარდნილად ჩავთვალე. ამ უსიამოვნო ფიქრში ვიყავი, როცა ჩემი ყურადღება მეზობელ მაგიდასთან მსხდომმა წყვილმა კვლავ მიიქცია.

– ნუთუ ქართველი ქალები ასეთი ეგოისტები არიან? – ჰკითხა ქალმა.

– არა მარტო ეგოისტები... ისინი მომთხოვნი, აგრესიული და ამბიციურები არიან და კარგ გუნებაზე მხოლოდ მაშინ დგებიან, როცა საფულე სქელია, კაცის მოთმინება კი – გრძელი... და არა მარტო მოთმინება!.. – ქალბატონის კისკისს იმ ვიგინდარა ქართველის ხვიხვინიც შეუერთდა, რომელიც, ალბათ, მისი სიცილის მანერა იყო. „ამან სულ გააჭენა, დროა, ჭკუა ვასწავლო!“ – გავიფიქრე თუ არა და წამოდგომა დავაპირე, ბედზე, ვარგვარა გამოჩნდა. მის დანახვაზე ჩემი დავალება გამახსენდა. ამიტომ, ბრაზი ურჩი ცხენივით მოვთოკე და ვარვარას შემხვედრი ღიმილით დავხვდი.

– იცი, ალექს, ახლა გამახსენდა... „სახალხო ტაძრის“ ოფისის კარისკაცს, ალექსეის კარგად ვიცნობ, ყოველთვის თბილად მექცეოდა... იქნებ დაველაპარაკოთ და შენი რჩეულების კრებაზე შეშვება ვთხოვო... საშვის გარეშე!

– შესანიშნავი იქნებოდა! მაგრამ სად არის ეს ოფისი, ვარა?

– არც ისე შორს არის მოსკოვის ცენტრიდან. ძველი სინაგოგის შენობაა, რომელიც ჩვენმა „ტაძარმა“ თავისი ხარჯებით შეიძინა, გაარემონტა და იქ ახლა „სახალხო ტაძრის“ ძირითადი ოფისია და დარბაზიც, რომელშიც დახურული შეკრებები იმართება. მამა ვლადი სწორედ იქ ხვდება თავის აქტივს, რჩეულებს... ყველას არ უშვებენ, მაგრამ ალექსეის დაველაპარაკები და იქნებ რამე გავაწყო.

– ძალიან ძვირფასი ხარ! – ვარვარას ხელზე ხელი მოვუჭირე და მაგიდიდან წამოვდექი, რათა ანგარიში გამესწორებინა. ისის იყო, გამოსასვლელისკენ გავემართეთ, რომ შევამჩნიე, ჩემი „ნაცნობი“ ქართველი წამოდგა და საპირფარეშოსკენ გაემართა. ვარვარა მანქანაში ჩავსვი, მოვუბოდიშე, რესტორანში რაღაც დამრჩა-მეთქი და უკან შევბრუნდი.

საპირფარეშოს კარი ხმაურით შევაღე... იქაურობა მოვათვალიერე – რამდენიმე ჩამწკრივებული კაბინიდან მხოლოდ ერთი იყო დახურული. მივხვდი, ის ნაბიჭვარი იქ ბრძანდებოდა. ხელსაბანთან მივედი და წყალი მოვუშვი. ცოტა ხანში ის ვაიქართველი კაბინიდან „გამობრძანდა“ და კარისკენ ისე გაემართა, ჩემთვის არც შემოუხედავს. კარის სახელურს შეავლო თუ არა ხელი, ჩემმა ქართულმა სიტყვამ ერთ ადგილს მიალურსმა.

– მოიცადე!

– შემოტრიალდა და განცვიფრებით მიაჩერდა კაცს, ანუ მე, რომელიც, ალბათ, ინგლისელი ეგონა – მან კი სუფთა ქართულით მიმართა:

– ხელების დაბანა „დაგავიწყდა“!

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მ ი ი ღ ე თ**

**ლაქტო-ჯი**

**www.laqto.ge**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# საშიში ცოლი

## ერილ დირლი

სტენლიმ კარი გააღო, თუ არა მისკენ მიშვერილი რევოლვერის ლულა და ცოლის ავად მოელვარე თვალები დაინახა.

– ისევ იმ კახპასთან ეგდე... მითხარი, ვინ არის?

– არ გინდა, როზა, სისხლი კარს მიესხმევა და ველარ გაწმენდ, – სცადა ხუმრობა სტენლიმ და გულში ინანა, ცოლს თავის დროზე რევოლვერის მოხმარება რომ ასწავლა...

– მითხარი, ვინ არის... მითხარი, რომ ისიც მოვკლა... მე ვიცნობ? ისევ ჩემს რომელიმე მეგობართან გააბი რომანი?

– როზა, აბა, რას ამბობ? ვმუშაობდი. ხომ იცი, პოლიციელს როგორი სამუშაო რეჟიმი აქვს. განსაკუთრებული დავალება მქონდა...

როზამ ბოროტად გაიცინა და რევოლვერის ჩამრთველი გაატკაცუნა. სტენლი უკვე მოემზადა სიცოცხლესთან გამოსამშვიდობებლად და თვალებიც კი დახუჭა... მაგრამ ტკივილი არ უგრძნია... გაისმა მძიმე ნივთის იატაკზე დავარდნის ხმა, რასაც ქალის სლუკუნი მოჰყვა. სტენლიმ თვალები გაახილა. როზას სახეზე აეფარებინა ხელები და ქვითინებდა.

– შენ ვერ მოგკლავ, სტენლი, ძალიან მიყვარხარ, მაგრამ გავიგებ, ვინ არის ის კახპა და სიცოცხლეს გამოვასალმებ.

სტენლი ცოლთან მივიდა და მოეხვია.

– როზა, საყვარელო, მინდოდა, უფრო ადრე მოვსულიყავი, მაგრამ მართლა ძალიან მძიმე ღამე მქონდა. თუ გინდა, დარეკე ჩემს მეწყვილესთან და ჰკითხე. შენ ისეთ დღეში გაქვს ნერვები, უნდა იარო ფსიქოთერაპევტთან. რატომ ამბობ უარს, ესტუმრო უიტნის?! ჩვენი მეზობელია, კარგი სპეციალისტი... მახსოვს, მოგწონდა და თითქმის მეგობრობდი კიდეც.

– ვმეგობრობდი, სანამ შენ მშიერი თვალებით არ დაუწყე ყურება! – იყვირა როზამ, – იქნებ ეგ არის კიდეც შენი საყვარელი, უიტნისთან მღალატობ, ხომ?!

– ნუ ყვირი, როზა... ლამის თენდება, მეზობლებს სძინავთ... გაიღვიძებენ, უხერხულია... ისმის ყველაფერი.

– ისმოდეს! მაინც არ მჯერა შენი და შენი „საგანგებო დავალების“. ადრე თუ გვიან აუცილებლად გავიგებ, ვინ არის შენი საყვარელი და გავუსწორდები. თუ ეს უიტნია, ეშინოდეს... არ მაინტერესებს, ერთ დროს ვმეგობრობდით თუ არა... სხვის ქმარს კისერზე არ უნდა ჩამოჰკიდებოდა....

– უიტნი არაფერ შუაშია, დამიჯერე... დავიძინოთ, როზა, ძალიან დავიღალე. დილითაც ადრე ვარ ასადგომი...

სინამდვილეში, სტენლის მართლა ჰყავდა საყვარელი და ღამის ნახევარი მასთან გაატარა. კეროლი ორი სართულით ზემოთ ცხოვრობდა და სტენლი უკვე ნახევარი წელი ხვდებოდა მას. ჩამოვიდა კეროლისგან, ცოლს რომ ეჭვი არ აეღო, გარეთ გავიდა, ცოტა ხანს წვიმაში იბოდიალა, დასველდა და სახლში ისე დაბრუნდა... მეორე დღეს კეროლთან ერთად უნდა ესადილა პატარა რესტორანში, მაგრამ ქალი არ მივიდა. სტენლიმ დაურეკა და მიზეზი ჰკითხა.

– მე აღარ მოვალ პაემანზე. დავიღალე დამალობანას თამაშით. თანაც, გავიგონე, წუხელ როგორ ყვიროდა... მეშინია, რომ ერთ დღეს მოგკლავს. ძალიან მეშინია... გაეყარე და ორივე ბედნიერი ვიქნებით.

სტენლიმ ამოიოხრა.

– რატომ არ გესმის, რომ როზა არასდროს დათანხმდება განქორწინებაზე. ისეთ სკანდალს მომიწყობს, პოლიციიდან ამორალური საქციელის გამო გამომაგდებენ და მშვიდობით, პენსიავ...

– არ ვიცი. რამე მოიფიქრე... არ მინდა, შენი გიჟი ცოლის მსხვერპლი გავხდე, – კეროლმა ტელეფონი გათიშა. სტენლის ძალიან არ მოეწონა საყვარლის პრეტენზიული ტონი. ეტყობა, ყველა ქალი ერთნაირიაო, გაიფიქრა და საკუთარ თავს პირობა მისცა, როზას თუ მოიშორებდა, ცოლს აღარასდროს შეირთავდა... საყვარლისგან წასვლა ყოველთვის გაცილებით მარტივია, ვიდრე ცოლისგან... სტენლიმ ყავა დალია.



მისი გონება გამალებით მუშაობდა და უცებ როზასგან თავის დახსნის გენიალური გეგმა მოიფიქრა. პოლიციელის ნიჭს დააბრალა ეს და გადაწყვიტა, იმავე დღეს მოეყვანა სისრულეში...

უიტნი სახლში იყო. გამჭვირვალე, მოკლე ხალათი ეცვა და მაკიაჟის გარეშე კიდევ უფრო სექსუალური ჩანდა. სტენლიმ აღფრთოვანებით შეხედა.

– სტენლი, რამე მოხდა? როზას დაემართა რამე? – ჰკითხა ქალმა.

სტენლიმ ამოიოხრა.

– სულ გადაირია. იქნებ დალაპარაკებოდი. შენ შეძლებ ამ აკვიატებული ეჭვებისგან გაათავისუფლო... წამოდი, რა...

– ახლა?

– ჰო... – სტენლიმ ქალს ხელი ჩასჭიდა და დერეფანში გამოიყვანა. მეორე ხელით ჯიბეებში იქექებოდა, – უჰ, გასაღების წამოღება დამვიწყებია... სტენლიმ ზარი დარეკა და აკანკალებულ უიტნის მოეხვია – შეგცივდა? პირდაპირ ხალათით რომ გამოგიყვანე, ჩაცმა არც დაგაცადე... უცებ კარი გაიღო და ზღურბლზე როზა აღიმართა თავისი რევოლვერით. უიტნიმ ვერაფრის თქმა ვერ მოასწრო. ამჯერად იარაღმა გაისროლა, უიტნის ლამაზ მკერდზე სისხლიანი ლაქა გაჩნდა, რომელიც ნელ-ნელა დიდდებოდა...

***

პოლიციელები თანაგრძნობით უყურებდნენ სტენლის და ოხრავდნენ. უიტნის გვამი პროზექტურაში წაიღეს. როზა წაიყვანეს...

– ცოტას მოვწესრიგდები და მოვალ ჩვენების მისაცემად, – უთხრა სტენლიმ გამომძიებელს. მან გაგებით დაუქნია თავი.

სახლში შევიდა თუ არა, კმაყოფილმა სტენლიმ ვისკი დაისხა და კეროლს დაურეკა.

– საყვარელო, იცი, რა მოხდა... როზამ უიტნის ესროლა და მოკლა. ახლა უნდა დავისვენო და მერე ყველაფერს მოგიყვები.... მერე-მეთქი...

სტენლი დივანზე წამოწვა, მაგრამ დიდხანს არ დასცალდა მშვიდად ნებივრობა. მისმა მობილურმა დარეკა. „თუ ეს კეროლია, ძალიან ადრე დაიწყო ტვინის ბურღვა“, – გაიფიქრა, მაგრამ შეცდა. პოლიციიდან ურეკავდნენ – ფილი იყო, მისი მეწყვილე.

– სტენლი, ცუდი ამბავი გვაქვს... შენი ცოლი გაიქცა და რაც ყველაზე ცუდია, იარაღიც აქვს... ჩემი უჯრიდან ამოიღო.

– რა?! – მთელი ხმით იბღავლა სტენლიმ, – რა უნდოდა ჩემს ცოლს შენს ოთახში ან როგორ გაგექცა?

– მომისმინე, სტენლი... ფანჯრიდან გადაძვრა, როცა მე მისთვის ყავის მოსატანად გავედი. ხომ გესმის, მაინც პოლიციის თანამშრომლის ცოლია და ქურდებთან, ნარკომანებთან ვერ გამოვკეტავდი... პროფესიული სოლიდარობის პონტში. მან კი ჩემი რევოლვერი აიღო და ღია ფანჯარაში გადაძვრა. ფრთხილად იყავი, ჩვენც უკვე გამოვდივართ...

* * *

პოლიციამ დააგვიანა... მართალია, სტენლი ცოცხალი გადარჩა, მაგრამ ქალები მას უკვე აღარასდროს დასჭირდებოდა. როზამ შეუცდომლად ისროლა. სტენლი კიდევ დიდხანს ინანიებდა იმას, რომ ცოლს იარაღის მოხმარება და მიზანში სროლა ასწავლა...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მიიღეთ**

**ლაქტო-ჯი**

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# მაფიის შვილობილი

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-33(712)**

გულის სიღრმეში, თამარს ეწყინა მერაბის ასეთი პასუხი. მაგრამ არ შეიმჩნია, გაუღიმა და უთხრა:

– თუ ასეა, წავედით. დრო არ ითმენს.

მერაბს არ გამოპარვია თამარის განწყობა. მანქანა ადგილიდან დაძრა და უთხრა:

– ნუ მიწყენ, თამარ. ხვალ, როგორც კი გავთავისუფლდები, სახლში მოგაკითხავ. ქალბატონ მართასაც მოვინახულებ და საერთოდ, საქმე მაქვს.

– რა საქმე?

– ამას ხვალ გეტყვი. ახლა კი ყველა საქმე გადავდოთ და სოჩაში გავემგზავროთ.

ლამაზმა წყვილმა ერთი საათი ისეირნა სოჭში და ღია კაფეში ნაყინიც მიირთვეს. თორმეტის ნახევარზე მერაბმა თამარი სახლში მიიყვანა და ასთამურთან დაბრუნდა.

მასპინძელმა სტუმარს გაშლილი სუფრა დაახვედრა. ივახშმეს. სამ-სამი ჭიქა ღვინოც დალიეს და მერაბმა ასთამურს უთხრა:

– ძია ასთამურ, თქვენთან ერთი თხოვნა მაქვს.

– გისმენ, შვილო.

– ხვალ ქალბატონ მართას თამარის ხელი უნდა ვთხოვო და წამომყვებით?

– რა თქმა უნდა, წამოგყვები, – სიხარულით მიუგო მაიორს გოლიათმა მეტყევემ, ღვინით სავსე ჭიქა ასწია და თქვა:

– შენი და თამარის სიყვარულს გაუმარჯოს! ღმერთმა ბედნიერები გამყოფოთ.

დილით, მერაბმა გულბათს მიაკითხა სახლში და მილიციელები სოხუმში გაემგზავრნენ.

– აღარ მეტყვი, მერაბ, რას მიპირებ? – გაუღიმა მარგიანმა მაიორს.

– გაგრასა და გაგრის რაიონში შენ და შენს ბიჭებს მილიციის უფროსზე მეტი უფლებამოსილება და გავლენა გექნებათ, – აუხსნა მერაბმა გულბათს და გააგრძელა, – თქვენი კურატორი სოხუმში იჯდება. ის კი მხოლოდ ჩემ წინაშეა ანგარიშვალდებული.

– ესე იგი, მხოლოდ თბილისს დავემორჩილებით?

– ფორმალურად, არა მხოლოდ თბილისს, ფაქტობრივად კი – მხოლოდ თბილისს.

– რა უნდა გავაკეთოთ?

– განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა ჯგუფებთან ბრძოლა, ბანდიტებთან და ყაჩაღებთან, ნარკოტიკებით მოვაჭრეებთან, ავტორიტეტული ქურდების ჯგუფებთან... ერთი სიტყვით, სამი ან მეტი ადამიანის ჯგუფი თუ შენდამი რწმუნებულ ტერიტორიაზე მსგავს დანაშაულს ჩაიდენს, უნდა ამხილო და დააპატიმრო. უკეთესი იქნება, თუკი დანაშაულის პრევენციას მოახდენ.

– პრევენცია რას ნიშნავს, არ ვიცი, მაგრამ აზრს ვხვდები. თუ დანაშაულს არ ჩავადენინებ, ხომ?

– კი, მასეა, – დაუდასტურა მერაბმა, – მოკლე მონახაზს მოგცემ და შენ თვითონ განავრცე. უნდა გყავდეს საზრიანი გამომძიებლები და ყოჩაღი, დაუზარელი ოპერები. გაითვალისწინე, რომ შენმა ოპერებმა თვალდახუჭულებმა უნდა იცოდნენ თქვენდამი რწმუნებული ტერიტორიის ყველა წერტილი და შავ სამყაროს ზედმიწევნით კარგად იცნობდნენ. ანუ, შენნაირი ოპერები უნდა შეკრიბო. ამ საქმეში ერთ-ერთ მთავარ როლს აგენტურული ქსელი თამაშობს და განსაკუთრებით გაითვალისწინე ეს. მაგრამ, გაფრთხილებ, რომ ამ ქსელში მოზარდებისა და პატიოსანი ხალხის ჩაბმაზე არც კი იფიქრო. ასეთი კატეგორიის ადამიანებისგან ინფორმაციის მიღებას არ გიკრძალავ, მაგრამ, მათ, როგორც აგენტებს, ისე ნუ მიუდგები.

– გასაგებია, მერაბ.

– განსაკუთრებით ძვირფასი აგენტებისთვის სპეციალური ფონდი გექნება და საჭიროების შემთხვევაში, ფულს გადაუხდი მათ.

– გასაგებია.

– ჩვენს საქმიანობაში უფრო მნიშვნელოვანი დანაშაულის პრევენციაა, ვიდრე უკვე მომხდარი დანაშაულის გახსნა და ამ კუთხით განსაკუთრებით ინტენსიურად იმუშავე. ეცადე, რომ ყველა შემოსული ინფორმაციიდან სწორი დასკვნები გააკეთა და მოსალოდნელი დანაშაული ჩანასახშივე აღკვეთო.



– გასაგებია.

– ახლა, თვით დანაშაულზე ვილაპარაკოთ. ვთქვათ, მოხდა მძიმე დანაშაული, მაგრამ თავიდან არ იკვეთება, ის ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი თუ არა. ამიტომ, ყველა მსგავსი ფაქტი მოინიშნე, კონტროლზე აიყვანე და თუკი ორგანიზებულობის ნიშნები გამოიკვეთება, მაშინვე ჩაერთე. ზოგადად კი, რაც მეტი დანაშაული გექნება კონტროლზე აყვანილი, მით უფრო გაგიადვილდება მუშაობა.

– გასაგებია, მერაბ.

– ახლა კადრების შესახებ გეტყვი. პროფესიონალიზმის გარდა, ისეთი ხალხი უნდა შეარჩიო, რომ ლაყბობა არ უყვარდეს და ენაზე კბილის დაჭერა შეეძლოს. თვით ჩვენს კოლეგებთანაც კი არ არის საჭირო საკუთარ საქმიანობაზე ლაპარაკი. ჩვენი სპეციფიკა ისეთია, რომ ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ინფორმაციის გაჟონვამაც კი, შეიძლება ჩაგვიფუშოს საქმე. ამიტომ, ესეც გაითვალისწინე.

– გავითვალისწინებ.

– რაც შეეხება უზრუნველყოფას, ტრანსპორტსა და ტექნიკურ საშუალებებს, სულ ახალთახალს მიიღებთ და ეს ორ კვირას არ გადასცდება. შეიარაღება გაქვთ და თუ დაგჭირდათ, დაგიმატებთ. აგენტურულ ქსელთან სამუშაო ფულის რაოდენობას დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე გამოგიგზავნი. ახლა ხელფასები: ხელფასები, დადგენილი ტარიფებით, იგივე გექნებათ, რადგან ასე გადაწყვიტა საკავშირო მინისტრმა. იმიტომ, რომ სხვა განყოფილებები არ განაწყენდნენ. სამაგიეროდ, პრემიები დაგირიგდებათ ყოველთვიურად და ფაქტობრივად, ორმაგ ხელფასს აიღებთ. მაგრამ, ჩემო გულბათ, თავდაუზოგავად უნდა იმუშაოთ.

– თავს არ დავზოგავ, ჩემო მერაბ და ისეთ ბიჭებს შევკრებ, თავს რომ არ შეირცხვენენ.

– მე მჯერა შენი, – უთხრა გულბათს მერაბმა და თან, ჰკითხა, – ჰო, მართლა. ტიტე კალანდიას საქმეში ახალი ხომ არაფერია

– ჯერჯერობით არაფერი. ნესტორი და მისი ბიჭები დღე-ღამეს ასწორებენ, მაგრამ ვერავისზე გავიდნენ.

– არც სერგის საქმეშია წინსვლა. ვალიკო ჟღენტიც ინტენსიურად მუშაობს, მაგრამ უშედეგოდ.

– რუზგენ ჩოჩიანი და დაურ ბუთბა რომ ციხიდან გაიქცნენ, გეცოდინება, ალბათ, – უთხრა გულბათმა მერაბს.

– კი. ვიცი.

– გამორიცხული არ არის, რომ დაური აფხაზეთში გამოჩნდეს და ყურადღებით ვართ. ნურც ჩოჩიანის გამოჩენას გამორიცხავ აქ და საერთოდ, შეიძლება, ერთიც და მეორეც ჩვენი კომპეტენციის სფეროში შემოვიდნენ.

– შენი აზრით, ბუთბა და ჩოჩიანი ორგანიზებულ დანაშაულში არიან ჩართულები? – იკითხა მარგიანმა და თავადვე უპასუხა, – ჩოჩიანი არ მგონია, მაგრამ დაური, შეიძლება. მას რამდენიმე ჯგუფური ყაჩაღობა აქვს ჩადენილი.

– ჩოჩიანსაც მდიდარი ბიოგრაფია აქვს. ერთი სიტყვით, ყურადღებით იყავი.

– კარგი. გასაგებია.

– ცხრას თხუთმეტი წუთი აკლდა, მერაბმა რომ „ვოლგა“ სამინისტროსთან გააჩერა და გულბათთან ერთად შენობაში შევიდა. მარგიანი კართან შეყოვნდა და ხუთიოდე მეტრით ჩამორჩა გამრეკელს. მინისტრი ფოიეში ელოდებოდა მერაბს. შეეგება და ხელი ჩამოართვა. გულბათი რომ დაინახა, კოპები შეკრა და ჰკითხა:

– რისთვის გარჯილხართ, კაპიტანო, რამე საქმე გაქვთ აქ?

შემცბარმა გულბათმა მერაბს შეხედა. გამრეკელმა კი მინისტრს უთხრა:

– ამხანაგო გენერალო, კაპიტანი გულბათ მარგიანი თათბირზე დასასწრებად მოვიდა.

– კაპიტანი – თათბირზე? კი, მაგრამ რატომ?

– ამხანაგო გენერალო, მოგახსენებთ, რომ კაპიტანი გულბათ მარგიანი, ჩვენი ახალი განყოფილების გაგრის ქვედანაყოფს უხელმძღვანელებს, – მშვიდი, ოფიციალური ხმით აუწყა მერაბმა მინისტრს.

გენერალს გულბათისთვის არც კი შეუხედავს. გამრეკელი გვერდით გაიხმო და უთხრა:

– მერაბ, ჩემო კარგო, მარგიანის ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნა არ შეიძლება.

– რატომ, ამხანაგო გენერალო?

– გაუწონასწორებელია. თანაც, არც გონება უჭრის მაინცდამაინც, – გაეცინა მინისტრს, – მე მესმის შენი. ღირსეულმა კაცმა გთხოვა, ალბათ, მისი დაწინაურება, მაგრამ გარწმუნებ, ამის გაკეთება ნამდვილად არ შეიძლება.

მერაბ გამრეკელი მშვენივრად მიხვდა მინისტრის მინიშნებას. გენერალი ასთამურ შამბას გულისხმობდა პროტექტორში, მაგრამ დააზუსტა:

– ვის გულისხმობთ, ამხანაგო გენერალო. ვის უნდა ეთხოვა ჩემთვის ეს?

– ჩემთან დასამალი რა გაქვს, მერაბ, – მინისტრმა მხარზე მეგობრულად მოუთათუნა ხელი, – ერთ დიდ საქმეს ვემსახურებით ორივე. სწორედ ამ საქმის სასიკეთოდ გირჩევ, რომ გადაიფიქრო და სხვა არჩევანი გააკეთო.

– ბოდიშს გიხდით, ამხანაგო გენერალო, მაგრამ მაინც ვინ მიგაჩნიათ კაპიტან გულბათ მარგიანის პროტექტორად? – ჰკითხა მერაბმა მინისტრს.

– ასთამურ შამბა. მოკლული სერგი შამბას მამა. მარგიანი მისი ნათლულია, შენ კი მისი სტუმარი, – დააკონკრეტა გენერალმა და დაამატა, – სხვათა შორის, მარგიანის ბრალია, საცოდავი სერგი რომ მოკლეს. მიატოვა ქუჩაში და თვითონ სახლში შევარდა. შემდეგ ისტერიკა მოაწყო. მიწას თავი ურტყა, მაგრამ მოკლული მილიციელი ვეღარ გაცოცხლდებოდა.

მინისტრი გენერლის სიტყვები მერაბ გამრეკელმა უკიდურეს უსამართლობად მიიჩნია და სურვილი გაუჩნდა, სილა გაეწნა მისთვის. მაგრამ, არ შეიმჩნია და გენერალი კულტურულად გალანძღა: – ცდებით, ამხანაგო მინისტრო. ძია ასთამური ღირსეული კაცია და ასეთ რამეს არასოდეს იკადრებს. მას ჩემთვის მსგავსი არაფერი უთქვამს. მილიციის კაპიტანი გულბათ მარგიანი კი გამორჩეული ოპერმუშაკია და არაერთი რთული დავალება აქვს შესრულებული. ვერც მის დაბალ გონიერებაში დაგეთანხმებით. მე საგულდაგულოდ გავეცანი მის პირად საქმეს და გადაწყვეტილება საფუძვლიანი განსჯის შედეგად მივიღე.

აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი არ იყო ჩვეული ასეთ ალიყურებს თავისზე დაბალჩინოსანი კოლეგებისგან. მერაბის ადგილზე რომ სხვა ყოფილიყო, გენერალი მეხივით დაატყდებოდა გაკადინერებულ კოლეგას. გამრეკელთან კონფლიქტისგან კი თავი შეიკავა. თუმცა, ამისთვის დიდი ძალისხმევა დასჭირდა. მერაბს გაუღიმა და უთხრა:

– კეთილი, მაიორო. თქვენი საქმე თქვენ იცით. მობრძანდით. ხალხი უკვე შეიკრიბა ჩემს კაბინეტში და გელოდებიან.



მერაბმა გულბათს დაუძახა და ისინი ერთად გაემართნენ მინისტრის კაბინეტისკენ. გენერალი კი მაჩანჩალა ადიუტანტივით უკან აედევნა მათ და გულში მერაბზე ბრაზობდა, აგინებდა.

თათბირი ოთხ საათს გაგრძელდა. მერაბმა რომ ყველა საკითხი ამოწურა და თავისი განყოფილების აფხაზეთის სტრუქტურებიც დააკომპლექტა, თავის ახალ თანამშრომლებს წარმატება უსურვა, გამოემშვიდობა მათ და გულბათთან ერთად, გაგრისკენ გაემგზავრა.

– გამლანძღა, ხომ, მინისტრმა? – ჰკითხა მერაბს გულბათმა, როდესაც მაიორმა „ვოლგა" ადგილიდან დაძრა.

– მასე რატომ ფიქრობ? – კითხვითვე უპასუხა მერაბმა.

– მაგას რა დიდი მიხვედრა უნდა, მერაბ. ზედაც არ შემომხედა. შენ გვერდზე გაგიყვანა და გელაპარაკა. რაო, რა გითხრა, მაინც? მითხარი, ძმობას გაფიცებ. არ დანიშნოო, ხომ?

– სხვა კანდიდატურა ჰყოლია შერჩეული გენერალს გაგრაში.

– მაინც ვინ?

– არ მიკითხავს და არც მას უთქვამს. რომ ვუთხარი, გაგრაში მარგიანი იქნებამეთქი, გაჩუმდა.

– იმდენი შენ რა გითხარი, მერაბ, – გაეცინა გულბათს, – მაინც ვერ ვხვდები, რას მერჩის ეს კაცი.

– გეყოფა. სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, – უთხრა მერაბმა მარგიანს.

– რაზე ვილაპარაკოთ მეტი?

– თუნდაც, ის მომიყევი, თუ როგორ გადაარჩინე სერგის ცემისგან ნესტორ პესკასელი.

– ძლივს, ძლივს გადავარჩინე ნესტორი. სერგიმ რომ საყელოში ჩაავლო მარცხენა ხელი, თითქმის ნახევარი მეტრით მოწყვიტა იატაკს. ბურთივით გატყორცნიდა, მე რომ წელზე არ ჩამოვკიდებოდი საცოდავ ნესტორს. შემეცოდა პესკასელი, თორემ ღირსი ნამდვილად იყო. სერგის თავზე არ უნდა გადახტომოდა და მის გარეშე არ უნდა მისულიყო თამარის ხელის სათხოვნელად.

– არ გაუმართლა ნესტორს, – გაეცინა მერაბ გამრეკელს, – დღეს მე უნდა ვცადო ბედი.

– რა ბედი უნდა სცადო? – ვერ მიხვდა გულბათი.

– თამარის ხელი უნდა ვთხოვო ქალბატონ მართას.

– მართლა? – გაუხარდა გულბათს, – გილოცავ, ძმაო. ქორწილი არ გამომაპარო.

– თუ ქორწილამდე მივიდა საქმე, მაშინ შენ და ლონდა დაპატიჟებულები ხართ.

გულბათ მარგიანი გაგრის მილიციასთან ჩავიდა და სანამ მერაბს დაემშვიდობებოდა, უთხრა:

– ჩვენი იმედი გქონდეს, მერაბ. მე და ჩემი ბიჭები თავს არ დავზოგავთ და არ შეგარცხვენთ.

– აბა, თქვენ იცით. წარმატებებს გისურვებთ.

– ქორწილში მოვილხენთ, – თქვა გულბათმა და მერაბს გადაეხვია, – ახლა კი წავედი. ნახვამდის.

– ნახვამდის, – დაემშვიდობა მერაბიც და გულბათი დინჯი ნაბიჯით, უკანმოუხედავად შევიდა გაგრის მილიციის შენობაში, რომ ახალი მოვალეობის შესრულებას შედგომოდა. მერაბი კი „ვოლგაში" ჩაჯდა და ასთამურის სახლისკენ გაემართა.

გოლიათი მეტყევე საზეიმოდ გამოწყობილი დახვდა შვილობილს, ღია ფერის პერანგსა და პიჯაკში. წვერი მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი. შვილის დაღუპვის შემდეგ, ასთამურმა პირველად გაიხადა შავები, რა-


## ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.



დგან მიაჩნდა, რომ ნიშნობაზე შავი სამოსით მისვლა შეუფერებელი საქციელი იყო.

– ხომ არ ღელავ, შვილო? – ჰკითხა მასპინძელმა მერაბს.

– რა დაგიმალოთ და ცოტას – კი.

– ყველაფერი კარგად იქნება. დარწმუნებული ვარ, რომ დღეს თამარს დანიშნავ და მალე ქორწილიც გექნებათ.

– შენს პირს შაქარი, ძია ასთამურ, – მიუგო მერაბმა მამობილს.

მაიორი ლამაზად გამოეწყო და ასთამურთან ერთად, „ვოლგით“ გაემართა თამარის ხელის სათხოვნელად.

მართა დედაშვილურად შეეგება მერაბს. თბილად მოიკითხა და სტუმრები გაშლილ სუფრასთან მიიპატიჟა, რომელსაც ჩიტის რძეც არ აკლდა. სულ მალე ლია და მერაბ მხეიძეც მოვიდნენ. მაიორი მიხვდა, რომ ყველამ იცოდა, რა საქმისთვის იყო მისული ის ანჩაბაძეებთან.

სუფრას ასთამური თამადობდა. პირველ ალავერდს რომ მაიორთან გადავიდა, მერაბი ფეხზე წამოდგა და დიასახლისს მიმართა:

– ქალბატონო მართა, არ მინდა, ნასვამმა ვთქვა ჩემი სათქმელი. ამიტომ ჯერ ვიტყვი, შემდეგ დავლევ.

– თქვი, შვილო. ყურადღებით გისმენ, – გაუღიმა მართამ მაიორს. თამარი კი თავჩაღუნული იჯდა და ნერვიულად აწვალებდა ბრილიანტისთვლიან ბეჭედს, რომელიც მერაბმა აჩუქა გაგრის რკინიგზის სადგურზე.

– ქალბატონო მართა, თამარის ხელს გთხოვთ და მინდა, ცოლად გამატანოთ, თუ, რა თქმა უნდა, თამარიც თანახმაა, – თქვა მერაბმა და მართას გაუღიმა. შემდეგ თავჩაღუნულ თამარს გახედა და კვლავ მართას მიაპყრო მზერა.

– ღირსეული ვაჟკაცი ხარ და დასაწუნი არაფერი გაქვს. მე თანახმა ვარ და სიტყვა თამარზეა, – მიუგო მართამ მერაბ გამრეკელს და თავის ქალიშვილს მიუბრუნდა:

– რას იტყვი, თამარ. შენს პასუხს ველოდებით.

თამარმა თავი ასწია. ფეხზე წამოდგა და თვალებგაბრწყინებულმა მტკიცედ თქვა:

– მეც თანახმა ვარ!

ლიამ და მერაბ მხეიძემ სიხარულით ტაში შემოჰკრეს. მერაბ გამრეკელმა კი ჯიბიდან ბაჯაღლო ოქროსგან დამზადებული ნიშნობის ბეჭედი ამოიღო და თამარს თითზე გაუკეთა, შუბლზე აკოცა საცოლეს და თქვა:

– ახლა კი ალავერდსაც დავლევ.

მაიორის გასაოცრად, ასთამურ შამბა საკმაოდ მხიარული და ენამოსწრებული ადამიანი აღმოჩნდა. მან ისე წარმართა სუფრა, რომ წამითაც არავის მოუწყენია. ანჩაბაძეების სახლში დიდი ხნის წინ მივიწყებული მხიარულება სუფევდა.

– შენ შემოგევლე, ჩემო ასთამურ, – მიეფერა მართა ბიძაშვილს, – ასეთს რომ გიყურებ, გულს უხარია. ჩემს სახლში ბედნიერება დაბრუნდა.

შუა ქეიფის დროს გაირკვა, რომ ლია და მერაბ მხეიძეც დაქორწინებას აპირებდნენ და სუფრა კიდევ უფრო მეტად გამხიარულდა.

– ერთად ხომ არ გადავიხადოთ ქორწილი? – თქვა ლიამ და დეიდაშვილს შეხედა.

– კარგი აზრია, – მიუგო თამარმა და დაამატა, – ჩვენი კავალრები რას იტყვიან?

– მე თანახმა ვარ, – თავაუწევლად თქვა მერაბ მხეიძემ, რომელიც გიტარის აწყობით იყო გართული.

გოგონები მაიორს მიაჩერდნენ. მერაბმა კი ღიმილით თქვა:

– წინააღმდეგი არც მე ვარ, კარგი აზრია. მაგრამ უფროსებსაც დავეკითხოთ. ძია ასთამურს, ქალბატონ მართას და ლიას მშობლებს.

– ხომ კარგი აზრია, ასთამურ, რას იტყვი შენ? – ჰკითხა მართამ ბიძაშვილს.

– მე მომწონს, – მიუგო ასთამურმა.

– მეც, – თქვა მართამ და განაგრძო, – მგონი, არც ჩემი და და სიძე იქნებიან წინააღმდეგნი, მაგრამ, მაინც დაველაპარაკები.

– მაინც, როდის აპირებთ ქორწილს, შვილებო? – იკითხა ასთამურმა.

– პრემიერიდან ერთ კვირაში, – დაუფიქრებლად წამოიძახა ლიამ, – შვიდ სექტემბერს „რომეო და ჯულიეტას“ ვითამაშებთ.

– ესე იგი, თოთხმეტში. მშვენიერი თარიღია. რას იტყვით? – ასთამურმა მაიორს და მართას გადახედა და ორივემ მოიწონა ლიას აზრი. მერაბ გამრეკელმა კი თქვა:

– შვიდში პრემიერაზე ჩამოვალ და ერთი კვირა აქ გავჩერდები. თოთხმეტში კი მანქანებით თბილისში გავემგზავრებით ყველანი და ვიქეიფებთ. ხვალ რომ თბილისში დავბრუნდები, საქორწილო მზადებას დავიწყებ. დარბაზსაც შევარჩევ და სტუმრების სიასაც ჩამოვწერ. თქვენ თქვენი სტუმრების სიაც მომაწოდეთ და შევჯერდებით.

ღამის ორი საათი სრულდებოდა, ასთამურმა ბოლო სადღეგრძელო რომ დალია და ქეიფი დაასრულა. ყველა სტუმარი ანჩაბაძეებთან დარჩა და გოგოებმა საწოლები გაუშალეს შექეიფიანებულ კაცებს. შემდეგ თამარის საძინებელში შეიკეტნენ, კარგა ხანს ილაპარაკეს და გამთენიისას ჩაეძინათ.

მაიორს რომ გაეღვიძა, ასთამური უკვე ფეხზე იყო, მერაბ მხეიძეს კი, ჯერ კიდევ ეძინა. შუადღეზე ყველამ ერთად ისადილა. დღის ორ საათზე კი, მერაბ გამრეკელი თბილისში გაემგზავრა.

– აბა, შენ იცი, შვილო. ფრთხილად იარე. თავს გაუფრთხილდი და დედა მომიკითხე, – უთხრა მართამ სასიძოს და გადაკოცნა.

– პრემიერაზე გელოდებით, მერაბ, – ერთდროულად თქვეს მსახიობებმა და მაიორს სათითაოდ გადაეხვივნენ.

– ყოჩაღად, მერაბ. აბა, შენ იცი! ისეთი საქმე გაქვს ჩაბარებული, რომ მტერი და ავისმოსურნე გაგიასმაგდება. ამიტომ, ასი თვალი და ასი ყური გამოიბი. ნახვამდის, შვილო, – უთხრა ასთამურმა შვილობილს და გადაეხვია. შემდეგ თამარს დაუთმო გზა, რომელიც საქმროს მიუახლოვდა და უჩურჩულა:

– მიყვარხარ, მერაბ. თავს გაუფრთხილდი და მალე ჩამოდი.

მაიორმა საცოლეს შუბლზე ეამბორა. „ვოლგაში“ ჩაჯდა, დაქოქა და სანამ წავიდოდა, გამცილებლებს უთხრა:

– ნახვამდის, ჩემო ძვირფასებო. ყველაფრისთვის დიდი მადლობა. მალე შევხვდებით.

მერაბი შებინდებისას ჩამოვიდა თბილისში, მაგრამ მაინც ძალიან ცხელოდა. აგვისტოს მზისგან ადუღებულ ქალაქში ჩახუთული ჰაერი იდგა და ნიავიც არ იძროდა. მერაბი ოფლად იღვრებოდა. ერთი სული ჰქონდა, აბაზანაში შესულიყო და ცივი შხაპი გადაევლო ტანზე.

– შენ შემოგევლოს დედა. როგორ ხარ, შვილო, – შეეგება მაიორს დედა და ჩაეხუტა.

– შენ როგორ ხარ, დედი?

– რა მიჭირს, შვილო. ვახშამს გაგიწყობ, მოშიებული იქნები.

– მგელივით მშია. სანამ სუფრას გაშლი, შხაპს მივიღებ, თორემ მთელი ტანსაცმელი ოფლმა დამისველა, – თქვა მერაბმა. ტანსაცმელი გაიძრო და სააბაზანოში ტრუსისამარა შევიდა.

– კოტე სოხაძემ დაგირეკა და ასე მითხრა, რომ ჩამოვა, დამირეკოსო, – შესძახა აბაზანაში მყოფ მერაბს დედამ.

მერაბი რომ სააბაზანოდან გამოვიდა, ტელეფონი სამზარეულოში გაიტანა. ჩანგალზე შემწვარი ხორცი წამოაგო, ჩაკბიჩა და თავის მოადგილეს ბინაში დაურეკა.

– მერაბ, შვილო, კოტეს ნახევარი საათის წინ დაურეკეს საავადმყოფოდან და გადარეულივით გავარდა. ჭამდა და ვაშხამიც კი არ დაასრულა, – უთხრა მერაბს კოტე სოხაძის დედამ.

– სად საავადმყოფოში, დეიდა ეთერ, ვინმე გიწევთ? – ჰკითხა მერაბმა სოხაძის დედას.

– არა, შვილო, ჩვენ არავინ გვყავს ავად. ვიღაც ბანდიტი დაჭრეს დღეს დილით და მე მგონი, მასთან გაიქცა.

– ხომ არ იცით, რომელ საავადმყოფოში წავიდა კოტე?

– მგონი, არამიანცში, – თქვა კოტე სოხაძის დედამ და დაამატა, – მე მგონი კი არა, ნამდვილად არამიანცში. ვინც კოტეს დაურეკა იმას უთხრა, ახლავე მოვდივარ

არამიანცშიო და გაიქცა.

– გმადლობთ, დეიდა ეთერ. ნახვამდის, – თქვა მერაბმა, ყურმილი დაკიდა. ჩანგალზე წამოცმული, ჩაკბეჩილი ხორცის ნაჭერი თეფშზე დადო და ჩაცმას შეუდგა.

– სად მიდიხარ, შვილო, – ჰკითხა მერაბს დედამისმა.

– სასწრაფო საქმეზე, დედი, არ ინერვიულო.

– ჭამა მაინც დაგესრულებინა.

– დრო არ მაქვს, დედი, მეჩქარება, – მიუგო მერაბმა. ფეხსაცმლის ზონრები შეიკრა, დედას აკოცა და სახლიდან გავიდა.

ათი წუთის შემდეგ, მერაბი უკვე არამიანცის საავადმყოფოსთან იყო. „ვოლგა“ გარეთ გააჩერა და ეზოში შევიდა. მან შორიდანვე შენიშნა რეანიმაციულ განყოფილებასთან შეჯგუფული ფორმიანი რიგითები და ნაბიჯს მოუჩქარა. გზაში მას თეთრხალათიანი სანიტარი შეხვდა. გააჩერა და ჰკითხა:

– რა ხდება, მეგობარო, ამდენი მილიციელი რატომაა შეკრებილი?

– რეანიმაციაში ვიღაც ავადმყოფი მოკლეს და იმიტომ, – მიუგო სანიტარმა და გზა განაგრძო.

– შეჩერდი, მოქალაქევ! იქით გასვლა არ შეიძლება, – გზა გადაუღობა მერაბს ოციოდე წლის ფორმიანმა რიგითმა მილიციელმა და ხელები გაშალა.

მერაბმა მაიორის საბუთი გადაუშალა ახალგაზრდა კოლეგას და გზის გაგრძელება დააპირა. მან კი ხელით შეაჩერა გამრეკელი და მრისხანედ უთხრა:

– შენ რა, არ გესმის, რომ იქით გასვლა არ შეიძლება?

– კითხვა არ იცი, რიგითო? – უთხრა მერაბმა მილიციელს. წიგნაკი ხელმეორედ გაუშალა და დაამატა, – წაიკითხე რა წერია, – მილიციის მაიორი მერაბ გამრეკელი. ეს მე ვარ. გამატარე.

რიგითი არ შეეპუა გამრეკელს და შეუტია:

– რა ვიცი, მართლა მაიორი ხარ თუ გენერალი. მკვლელსაც შენნაირი წიგნაკი ჰქონდა. შეიპარა პალატაში, მოკლა კაცი და აორთქლდა. ნაბრძანები მაქვს, არავინ გავატარო. განზე გადი და ხელს ნუ გვიშლი მუშაობაში.

„ამ ბრიყვს დამიხედე ერთი“, – გაიფიქრა გუნებაში მერაბმა და ძალით გასვლა დააპირა, რომ თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ოცდაექვსი კომისრის რაიონის მილიციის უფროსი გამოჩნდა და რიგითს უბრძანა:

– ფულუსური, „სმირნა!“

მილიციის რიგითი მთელი სხეულით გაიჭიმა და ადგილზე გაქვავდა. მილიციის უფროსმა კი მრისხანე სახით თითი დაუქნია მას.

მერაბს უნებლიეთ გაეცინა. მილიციის უფროსმა ხელკავი გამოსდო მაიორს, გვერდით გაიხმო და უთხრა:

– ბოდიში, მერაბ, რიგითი ფულუსური ჩვენი ახალი მუშაკია და ბრძანებას პირდაპირი გაგებით ასრულებს. ვუბრძანე, იქით არავინ გაატარო-მეთქი და ამიტომ არ გიშვებდა.

– ეგ არაფერი, – გაეცინა მერაბს და მილიციის უფროსს ჰკითხა:

– რა მოხდა, ვინ მოკლეს?

– ამ დილით რომ ჩვენებმა ძებნილი დაჭრეს, ისაა მოკლული.

– როგორ მოკლეს?

– როგორ და, ვიღაც მილიციის საბუთიანი მოსულა. ჩემმა ბიჭებმა კი ის გაატარეს. ერთი კაცი ქვემოთ, კართან მორიგეობდა,

მეორე კი – პალა
ტაში. ძოწენიძე ქვე
მოთ იდგა. მკვლე
ლმა მას უფროს
ლეიტენანტის საბ
უთი რომ უჩვენ
ზემოთ აუშვა. დე
ვაძე კი ძლივს გა
დაურჩა სიკვდილ
მკვლელმა მას არ
მატყუის ნაჭერ
ჩაარტყა თავში
ტვინი შეურყია დ
გათიშა. შემდეგ ი
ნაოპერაციები ბან
დიტი ბალიშით გა
გუდა და მშვიდა
და აუღელვებლა
დატოვა აქაურობა.



– გასაგებია, – თქვა მერაბმა და მილიციის უფროსს ჰკითხა:

– კოტე სოხაძე უნდა იყოს აქ.

– კი. ზევითაა, გამოგყვე?

– გმადლობთ. თვითონ ავალ, – მიუგო მერაბმა მილიციის უფროსს და შენობაში შევიდა. კოტე სოხაძეს მერაბმა მორიგე ექიმის კაბინეტში მიაგნო. კოტე ზემდეგ ბესო ძოწენიძეს ჰკითხავდა და მაიორი რომ დაინახა, ფეხზე წამოდგა. მერაბმა ხელით ანიშნა, განაგრძეო. თვითონ კი სკამზე ჩამოჯდა, რომ დაკითხვისთვის მოესმინა.

– განაგრძეთ, ძოწენიძე, – მკაცრად უთხრა სოხაძემ ზემდეგს და მილიციელს თვალი თვალში გაუყარა.

– იმას გიყვებოდით, ამხანაგო მაიორო, რომ ჩემს საცოლესთან ტელეფონზე ლაპარაკი დავამთავრე და ყურმილი დავკიდე. ამ დროს კარზე დააკაკუნეს. ფანჯარა გამოვაღე და იმ კაცმა მითხრა, – სოხუმელი ოპერი ვარ და მურღულიას სურათები უნდა გადავუღო, რომ საქმეში ჩავაკრაო. შემდეგ მილიციის საბუთი მანახვა. მე კარი გავუღე და ზევით ავუშვი. ხუთ წუთში უკან დაბრუნდა. დამემშვიდობა და წავიდა. ათი წუთის შემდეგ კი მორიგე ექთანმა ჩამოირბინა და მითხრა, მურღულია მკვდარია, დევაძე კი გათიშული გდიაო. აბა, მე რა ვიცოდი, თუ მკვლელი იყო, თორემ ადგილზე ავიყვანდი, – უთხრა ძოწენიძემ კოტე სოხაძეს და დაამატა, – კიდევ კარგი, რომ მიშა დევაძე გადარჩა, თორემ მის სიკვდილს საკუთარ თავს არ ვაპატიებდი.

– არც ეგ დაუდევრობა გეპატიება, ძოწენიძე. ხომ გაგაფრთხილეს, ზევით არავინ აუშვაო. შენ კი მკვლელი გაგეპარა.

– დამნაშავე ვარ, ამხანაგო მაიორო, მაგრამ, რას წარმოვიდგენდი, თუ ის მკვლელი იყო. საბუთი გულდასმით შევუმოწმე და მხოლოდ ამის მერე ავუშვი ზევით, – თქვა ძოწენიძემ.

– იმ საბუთში რა ეწერა? – ჰკითხა სოხაძემ ძოწენიძეს.

– რა ეწერა და, სოხუმის მილიციის საქართველოს ოპერრწმუნებული, უფროსი ლეიტენანტი გულბათ მარგიანი.

გულბათ მარგიანის ხსენებაზე მერაბი შეცბა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და თავის მოადგილეს უთხრა:

– თუ სწორად მივხვდი, პალატაში მოკლული ნაოპერაციები დაჭრილი გასტონ მურღულიაა, ხომ?

– კი. ეგ არის, – დაუდასტურა სოხაძემ მერაბს.

– რუზგენ ჩოჩიანის ფოტოები თან გაქვს?

– კი.

– გაშალე მაგიდაზე და ძოწენიძემ დაათვალიეროს. ეგ ხომ არ იყო აქ.

სოხაძემ ძებნილი რუზგენ ჩოჩიანის ფოტოები მაგიდაზე გაშალა და ძოწენიძეს უთხრა:

– კარგად დააკვირდი ამ ფოტოებს. ეს კაცი ხომ არ ყოფილა?

ძოწენიძემ დახედა თუ არა რუზგენ ჩოჩიანის ფოტოებს, კატეგორიულად განაცხადა:

– არა, ამხანაგო მაიორო, ეგ არ ყოფილა. ეგ რომ მოსულიყო, გენერლის საბუთიც რომ წარმოედგინა, ისეთი სახე აქვს, ადგილზევე დავაპატიმრებდი. არა, ნამდვილად არ ყოფილა. იმას სულ სხვა სახე ჰქონდა, თანაც, ძალიან დამაჯერებლად ლაპარაკობდა. ერთი სიტყვით, მოვტყუვდი და დამნაშავე ვარ.

– ძოწენიძე, თავისუფალი ხართ. წადით და დაისვენეთ. დილით კი სამინისტროში მოდით, პატაკი დაწერეთ მაიორ კოტე სოხაძის სახელზე და რაც ახლა მოგვიყევით, ყველაფერი დაწვრილებით აღწერეთ.

– არის! – გამოეჯგიმა ძოწენიძე მერაბს და მორიგე ექიმის კაბინეტიდან გავიდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მიიღეთ**

**ლაქტო-ჯი**

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# რის გამო დააპატიმრეს 11-ჯერ ქართველი ქალი და რატომ ეკრძალებათ ქალებს კანონიერი ქურდობა



***1999 წლის 1 იანვარს, რუსეთის ქალაქ კრასნოდარში, 79 წლის ასაკში ცნობილი ქართველი ქურდი ქალი, ციცინო თელია გარდაიცვალა. ბოროტმოქმედთა სამყაროს ეს ლეგენდარული პიროვნება სხვადასხვა დანაშაულისთვის, თერთმეტჯერ გახლდათ ნასამართლევი და მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ არ აღიარეს კანონიერ ქურდად, რომ ქალი იყო. ქურდული კანონების თანახმად, ქალის კანონიერი ქურდობა დაუშვებელია. მიუხედავად ამისა, ციცინო თელია, მეტსახელად „ციცკა", დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ცნობილ ქურდებს შორის და არც გაგებითა და პროფესიონალიზმით ჩამოუვარდებოდა მათ...***

### პირველი „სროკი"

პირველი სამწლიანი პატიმრობა 17 წლის ციცინო თელიას 1937 წელს მიუსაჯეს. მას მერე, რაც ამ ულამაზესი გოგონას დედ-მამა ხალხის მტრებად გამოაცხადეს და დახვრიტეს, ციცინო უპატრონო ბავშვთა სახლში გაამწესეს. იქ მან სულ რაღაც სამი თვე დაჰყო და შემდეგ გაიქცა. ორკვირიანი ხეტიალის შემდეგ, მშიერ-მწყურვალი და დაუძლურებული გოგონა, თბილისის ერთ-ერთი პურის ქარხნის დირექტორმა მძინარე აღმოაჩინა თავისი სადარბაზოს კიბის ქვეშ. 41 წლის ვარლამ გულაშხია უცოლო იყო და ლამაზი, ტანწერწეტა გოგონა თვალში მოუვიდა. მან სახლში აიყვანა ის და ავახშმა. შემდეგ ბანაობა შესთავაზა და თავისი დის სამოსში გამოაწყო, რომელიც იმ დროს სოფელში იყო.

ორი დღის განმავლობაში, მასპინძელი კარგ კაცად აჩვენებდა თავს სტუმარს და ზედმეტი არაფერი უკადრებია. მესამე საღამოს კი, როდესაც გოგონა შხაპს იღებდა, სამსახურიდან დაბრუნებული, პურის ქარხნის დირექტორი სააბაზანოში შეუვარდა და გაუპატიურება მოუნდომა. გოგონა არ დაბნეულა და ოდნავადაც არ შეშინებია მოძალადის. პირიქით, მან ვარლამ გულაშხია, ჯერ სასტიკად სცემა სველი პირსახოცით, შემდეგ კი რკინის ძელზე მიაბა. მხოლოდ ამის მერე ჩაიცვა ტანთ და სანამ სახლიდან გავიდოდა, მასპინძელი პირწმინდად გაქურდა.

პურის ქარხნის დირექტორმა მილიციაში იჩივლა და ციცინო თელია ერთი თვის შემდეგ ქუთაისში დააპატიმრეს, თბილისში ჩამოიყვანეს და გაასამართლეს. როგორც არასრულწლოვანს, მხოლოდ სამწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს და ქალთა ციხეში გაამწესეს.

სასამართლოს დასკვნით სხდომაზე, რომელსაც დაზარალებული გულაშხიაც ესწრებოდა, ციცინომ პურის ქარხნის დირექტორს დარბაზშივე უთხრა:

– ჩემი პირველი „სროკი" შენ ძალიან ძვირად დაგიჯდება და ჯერ კიდევ გაიგებ, თუ ვინ არის ციცინო თელია...

### დედა იზა

ციცინო თელიას 18 წელი ქალთა საპყრობილეში შეუსრულდა და №9 საკანში ჩასვეს, სადაც განსაკუთრებით საშიში ბოროტმოქმედები იხდიდნენ სასჯელს. ოცადგილიან საკანში გამოუცდელ, ტანწერწეტა, ლამაზ გოგონას მხიარულად შეხვდნენ პატიმარი ქალები და დაჩაგვრა მოუნდომეს. თუმცა, ამაყი და დაუდგრომელი ხასიათის ციცინომ ორი რეციდივისტი ქალი თმებით ითრია. აშკარა იყო, რომ მას ამ თავხედობას არავინ აპატიებდა და მთელი საკანი მის წინააღმდეგ ამხედრდა.

– გეყოფათ „ბალამუტი" და „კოზლები" (უკანალი) „ნარებზე" დაატიეთ! – უბრძანა თანასაკნელებს ოცდათხუთმეტი წლის იზოლდა გედევანიშვილმა. შემდეგ ციცინო თავისთან იხმო, ხელი მხარზე მოხვია და პატიმარ ქალებს განუცხადა:

– ვინც ამ გოგონას დაჩაგვრას მოინდომებს, ჩემთან ექნება საქმე. აბა, ვის გსურთ ჩემთან დატაკება?

იზოლდასთან, რომელსაც პატიმრები დიდი ავტორიტეტის გამო, დედა იზას ეძახდნენ, საქმის დაჭერა არავის უნდოდა და ახალბედა პატიმარ გოგონას თავი დაანებეს.

დედა იზა, ცნობილი ქურდის, კოტე ბახტაძის ქვრივი იყო და მკვლელობისთვის იხდიდა სასჯელს. მისი მეუღლე ერთმა ბანდიტმა მოკლა. დედა იზამ კი ქმრის მკვლელს სამაგიერო გადაუხადა. სახლთან დაუდარაჯდა და ხანჯლით ორი სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა გულში. ამ დანაშაულისთვის იზოლდა გედევანიშვილს თორმეტი წელი ჰქონდა მისჯილი.

სამი წლის განმავლობაში დედა იზა შვილივით ზრდიდა და თავს ევლებოდა ციცინოს. გოგონას მან შავი სამყაროს ანა-ბანა შეასწავლა და როდესაც 21 წლის ციცინო თელია, იგივე „ციცკა" ციხიდან გამოუშვეს, უკვე მდიდარი, თეორიული კრიმინალური ცოდნა გააჩნდა.

გამომშვიდობებისას დედა იზამ ასე დამოძღვრა შვილობილი:

– გახსოვდეს, ციცკა, რომ არც სხეულით და არც ენით არ იბოზო. წესიერ კაცს ნუ დაჩაგრავ. მოპარე იმას და გააბითურე ის, ვინც ამას იმსახურებს. შენ საკმაო ჭკუა გაქვს, რომ შავი და თეთრი გაარჩიო...

ექვსი თვის შემდეგ დედა იზა ციხეში გარდაიცვალა. ციცკა კი თავისი დედობილის შეგონებას პირნათლად ასრულებდა და მთელი თავისი კრიმინალური კარიერის განმავლობაში, ერთი წესიერი ადამიანიც კი არ გაუნაწყენებია.

**სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა დაადგინა, რომ ოთხჯერ ნასამართლევი, 32 წლის ქურდი ქალი ქალწული იყო**

ციხიდან გამოსვლიდან ორი თვის თავზე, ციცინო თელიამ ვარლამ გულაშხიას ბინა ისე გაქურდა, ნემსიც კი არ დაუტოვა. მანამდე კი ტელეფონით დაურეკა, „ჩეკაში" დაიბარა და შემდეგ, დაქირავებულ ქურთ მუშებს, რომლებსაც უთხრა, რომ სხვა ბინაში გადადიოდა, ყველაფერი გამოაზიდვინა იქიდან....

### შეუდარებელი „ნატურშიცა"

დიდი სამამულო ომის დროს, 1941-1945 წლებში, ციცინო თელია ექთნად მუშაობდა თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში და ფრონტზე დაჭრილ მეომრებს უვლიდა. იმ ოთხი წლის განმავლობაში მას ყველაზე უმნიშვნელო დანაშაულიც კი არ ჩაუდენია და განსაცდელში მყოფ ქვეყანას გვერდში ედგა.

1945 წლის მაისში, როდესაც ომი დასრულდა, ციცინო თელია 25 წლის იყო და გადაწყვეტილი ჰქონდა, თავის წარსულს სამუდამოდ დამშვიდობებოდა. მას ექიმობა სურდა და საბუთებიც შეაგროვა, რომ სამედიცინო ინსტიტუტში შეეტანა. თუმცა, ბედისწერამ მორიგი განსაცდელი მოუვლინა. ტანწერწეტა ექთანი გოგონა ერთ სახელოვან მფრინავს მოეწონა და თანაცხოვრებას სთხოვდა. ციცინომ რომ შეიტყო, მფრინავი ცოლშვილიანი იყო, მას ზურგი აქცია. ამბიციურმა პოდპოლკოვნიკმა გოგონას ეს არ აპატია და საბრძოლო ორდენების ქურდობა დააბრალა. ციცინო დააკავეს და გამოძიება დაიწყო. გაირკვა ციცინოს წარსული – ყოველგვარი ფაქტის გარეშე, ის დააპატიმრეს და ხუთწლიანი ციხე მისცეს.

1947 წელს ციცინო თელიას საქმე ხელახლა განიხილეს. ცილისმწამებელი მფრინავი ღალატში იქნა დადანაშაულებული და გამომძიებელს ორდენების ვითომდა დაკარგვის ეპიზოდიც მოუყვა. ამიტომ, უდანაშაულო ციცკა გაათავისუფლეს.

გარეთ გამოსულმა, 27 წლის ახალგაზრდა ქალმა უკვე აღარ ისურვა პატიოსანი ცხოვრება და დარჩენილი სიცოცხლე კრიმინალურ საქმიანობას მიუძღვნა. მას შემდეგ ციცკა კიდევ 9-ჯერ მისცეს პასუხისგებაში და თავისი 79-წლიანი ცხოვრებიდან 19 წელი ციხეში გაატარა.

ქურდი ქალის კრიმინალური პროფესია იყო ქურდობა თაღლითობის გამოყენებით, ანუ, ციცკა ჯერ მოტყუების სხვადასხვა გზით ნდობაში შედიოდა მომავალ დაზარალებულთან, შემდეგ კი, გაქურდავდა და უჩინარდებოდა. ნდობას ციცინო თელია თავისი პირმშვენიერებითა და იდეალური ქალური აღნაგობით ახერხებდა. ციცკა „ნატურშიცად" ასაღებდა თავს და ფულიან მამაკაცებს სახლში მიჰყვებოდა. ისინი კი, თავის მხრივ, ციცკას ატყუებდნენ და ზოგი მხატვრად, ზოგი კი მოქანდაკედ ასაღებდა თავს. ციცინო ამ „მხატვარ-მოქანდაკეებს" ძილის წამალს უყრიდა სასმელში, აძინებდა და შემდეგ ამ „ხელოვანებს" ფულს, ძვირფასეულობასა და ანტიკვარულ ნივთებს ჰპარავდა. საგულისხმო ფაქტია, რომ, როდესაც 1952 წელს ციცკა კვლავ დააპატიმრეს და ერთ-ერთი დაზარალებული მას მეძავობაში სდებდა ბრალს, თელიას ექსპერტიზა ჩაუტარეს. აღმოჩნდა, რომ 32 წლის, ოთხჯერ ნასამართლევი ქურდი ქალი ქალწული იყო.

მეოთხე პატიმრობიდან ციცინო თელია ერთ წელიწადში გათავისუფლდა და ცნობილ ქურდთან, სევე სოკოლოვთან რომანი გააბა. შემდეგ კი ვაჟი გააჩინა. სოკოლოვი ერთ-ერთი შეტაკების დროს მილიციამ მოკლა. ციცკა მარტო ზრდიდა შვილს და როდესაც მას იჭერდნენ, პატარა პაშკას, დედა იზას ქალიშვილი, ქეთევან ბახტაძე პატრონობდა.

ციცკა ბოლო პატიმრობიდან 1986 წელს, 66 წლის ასაკში გათავისუფლდა და კრასნოდარის მხარეში დასახლდა. სიცოცხლის ბოლომდე მას კავშირი არ გაუწყვიტია კრიმინალურ სამყაროსთან და მის სახლში ხშირად იმართებოდა ქურდული „სხოდკები".

ციცინო თელიას შვილიშვილი ანდრო სოკოლოვი დღეს წარმატებული ბიზნესმენია და რუსეთსა და ევროპაში მოღვაწეობს...

**ნიკა ლაშაური**

# სიძე-სიდედრის ოჯახური კონფლიქტის სისხლიანი დასასრული – სიძე და დაჭრილი ცოლისდა გისოსებს მიღმა ერთად მოხვდნენ

სიდედრისა და ცილისდის მკვლელობის მცდელობისთვის სიძეს რვა წლით პატიმრობა მიესაჯა. ცოლის სახლში ჩასიძებულ ბრალდებულს ორ ქალზე შურისძიება წინასწარ რომ არ ჰქონდა დაგეგმილი, ამას ადასტურებდნენ მოწმეები, რომლებიც ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის შემთხვევის ადგილზე აღმოჩნდნენ. ინციდენტი იმ სადავო ბინაში მოხდა, რაც ოჯახური კონფლიქტის და ხუთწლიანი დაპირისპირების მიზეზი გახდა. სამართალდამცველებმა დანაშაულში ეჭვმიტანილი ვლადიმერ, ლადო ყ-შვილი ინციდენტიდან ერთი თვის შემდეგ, ტყეში დაიჭირეს. მისი განმარტებით, ის არა გამოძიებას, არამედ სიდედრის შურისძიებას დაემალა, რომელიც გამოჯანმრთელების შემდეგ, დაემუქრა, რომ მის შვილზე თავდასხმას არ აპატიებდა.

საქმის მასალების მიხედვით, ლადო ყ-შვილმა ვენერა ჭ-ძის ქალიშვილი, შორენა ცოლად ქმართან გაყრის შემდეგ შეირთო და საცხოვრებლად მათ ბინაში გადავიდა. შორენას პირველი ქორწინებიდან ჰყავდა ერთი შვილი, მეორე კი ლადოსთან შეეძინა. ვენერა ჭ-ძე უსახლკარო სიძის მიმართ თავიდანვე ცუდად განეწყო, მაგრამ საბოლოოდ, მის ჩასიძებას დათანხმდა. მას ჰქონდა მეორე ბინაც, სადაც ვენერა ჭ-ძე მეორე ქალიშვილთან ერთად ცხოვრობდა. ახალგაზრდა ცოლ-ქმარს სამომავლოდ ბევრი გეგმა ჰქონდათ, მაგრამ სიდედრის აქტიურობით, მათ შორის ურთიერთობა ძალიან მალე გაფუჭდა. ქორწინებიდან სამი წლის თავზე, შორენამ ქმარს განუცხადა, რადგან ვალები გვაქვს, შენ კი უმუშევარი ხარ, თურქეთში უნდა წავიდე სამუშაოდო. ამას ლადო ყ-შვილისგან პროტესტი მოჰყვა, თუმცა ქალმა მაინც მოახერხა ჯერ თურქეთში, შემდეგ კი საბერძნეთში წასვლა. მამაკაცი ორ ბავშვთან ერთად ცოლის კუთვნილ ბინაში დარჩა, თუმცა რამდენიმე თვეში მას სიდედრმა განუცხადა, ბინა უნდა დავაგირავო, ბავშვებს მე წავიყვან, შენ კი შენი გზა მოძებნეო. სწორედ ამ მიზეზით დაიწყო კონფლიქტი სიძესა და ორ ქალს – სიდედრსა და ცოლისდას შორის. ეს დაპირისპირება თითქმის ხუთი წელი გაგრძელდა, რისი მოწმეც მათი მეზობლები, მეგობრები და უამრავი სხვა ადამიანი იყო. ლადო ყ-შვილს სიდედრი ხან აგდებდა ბინიდან, ხან კი უკან დაბრუნების საშუალებას აძლევდა. მოწმეთა განმარტებით, ლადო ყ-შვილს სიდედრისთვის ათი ათასი დოლარი ჰქონდა გადახდილი, რასაც ქალი არ ადასტურებდა. მოგვიანებით, დაკავებულმა ლადო ყ-შვილმა სამართალდამცველებთან განაცხადა: სიდედრთან ბინა სადავო რომ არ ჰქონოდა, მას ათი ათასი დოლარი გადაუხადა, რისთვისაც მშობლებისეული სოფლის სახლი გაყიდა. ფული სიძემ სიდედრს ხელზე გადასცა, მოწმე მხოლოდ ვენერა ჭ-ძის მეორე ქალიშვილი, მარეხი იყო, რომელიც ამ ფაქტს დედის მსგავსად, არ ადასტურებდა. ხუთი წლის განმავლობაში მამაკაცსა და ქალებს შორის არაერთი ხელჩართული კონფლიქტი მოხდა, რაშიც საბოლოოდ, სამართალდამცველებიც ჩაერივნენ. მამაკაცი ბინიდან წასვლას მხოლოდ ფულის დაბრუნების შემდეგ ფიქრობდა, თუმცა მისთვის ფულის გადამხდელი არავინ იყო. ვენერა ჭ-ძის ერთ-ერთი მეზობლის განცხადებით, ფიზიკურ ზეწოლას ქალების მხრიდანაც ბევრჯერ ჰქონდა ადგილი. „ერთხელ ვენერას ეზოში შევედი, არ მელოდნენ. საკუთარი თვალით დავინახე, როგორ სცემდნენ სიდედრი და ცოლისდა ლადოს, შემეცოდა ის ბიჭი, ჩემს ქმართანაც კი ვთქვი, იცოდე, ეს ბიჭი ამ ორი გადარეული ქალის გულისთვის ციხეში მოხვდება-მეთქი“.

**დამნაშავის განცხადებით, ტყეში სიდედრის შურისძიებას დამალა**

როგორც სამართალდამცველებისთვის გახდა ცნობილი, ინციდენტის დღეს, როცა ლადო ყ-შვილმა მძიმე დანაშაული ჩაიდინა, ის შემთხვევის ადგილზე, სიდედრთან სალაპარაკოდ მივიდა. ბრალდებულის განცხადებით, სიდედრმა თვითონ დაიბარა, გზად მიმავალმა მამაკაცმა გაიგო, რომ ქალმა ბინა გაყიდა და ბეც აიღო, რაზედაც ძალიან აღშფოთდა. მოგვიანებით მან განაცხადა გამოძიებასთან: „მივხვდი, რომ მეც და ჩემს შვილსაც უსახლკაროდ გვტოვებდნენ. ძალიან გავმწარდი. ცოტა ნასვამი ვიყავი და გავთამამდი, ჩემს ნათესავთან მივედი, მისი ბინიდან წამოვიღე დანა, რომელიც აღმომაჩნდა შემთხვევის ადგილზე. ქალებზე თავდასხმა არ მიფიქრია, თავდაცვისთვის უფრო მჭირდებოდა, რადგან ჩვენი ყველა შეხვედრა ხელჩართული ჩხუბით მთავრდებოდა. როცა სიდედრთან მივედი, მასთან ეზოში ორი მეზობელი ქალი დამხვდა. ჩემი ცოლისდა მარეხიც იქვე იყო. სწორედ მან წამოიწყო კონფლიქტი და ჩემზე გამოიწია. ნასვამ მდგომარეობაში ვიყავი და გავთამამდი – მარეხს ხელი გავარტყი. ამის დანახვაზე ჩემი სიდედრი ზურგზე შემომახტა, სულ შემომახია ტანსაცმელი. ძლივს მოვიშორე ზურგიდან, ხელი ვკარი. იქვე, ძირს დავარდა და თავი ყვავილების რკინის ქოთანს ჩამოარტყა. აი, მანდ დაიწყო ყველაფერი – მარეხი და ვენერა მეცნენ და ცემა დამიწყეს. ყველაფერი მეზობლების თვალწინ ხდებოდა. ისე გამოვედი მდგომარეობიდან, არ ვიცი, რას ვაკეთებდი. მაშინ კი, როცა მარეხმა თავში ქვა ჩამარტყა, შარვლიდან დანა ამოვიღე, ჯერ მარეხს დავარტყი, მერე – ჩემს სიდედრს. შემთხვევის ადგილიდან მეზობლებმა გამარიდეს. ერთი თვე ვიმალებოდი ტყეში, რადგან გამოჯანმრთელებულმა ვენერამ შემომითვალა, ჩემი ხელით უნდა გამოგჭრა ყელიო. ამის გამკეთებელი ნამდვილად იყო.”

მარეხ ჭ-ძე და მისი დედა, ვენერა ჭ-ძე საავადმყოფოში სხეულის დაზიანებებით მიიყვანეს. მარეხს ორი ჭრილობა გულ-მკერდის არეში ჰქონდა მიყენებული, ვენერა ჭ-ძე მუცლის არეში იყო დაჭრილი. შემთხვევის ადგილიდან იქნა ამოღებული დანა, რომელიც დანაშაულში ეჭვმიტანილის ნათესავის კუთვნილება იყო. სამართალდამცველებმა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით დაადგინეს დანაშაულში ეჭვმიტანილის მდებარეობა. ის დააკავეს სოფლის მახლობლად, ტყეში, სადაც ერთი თვე იყო გახიზნული. დაკავებულმა ჩადენილი დანაშაული აღიარა. მან თავი დამანშავედ ცნო. სასამართლო პროცესზეც მოინანია დანაშაული და პროკურატურის მიერ წარდგენილი სასჯელის შემსუბუქება ითხოვა. მისი განცხადებით, დანაშაულისკენ ქალებმა თავად უბიძგეს და რომ არა მათი ქმედებები, ასეთ მძიმე დანაშაულს არ ჩაიდენდა. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ლადო ყ-შვილი ორი მცირეწლოვანი ბავშვის მეურვე იყო და მას რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრა და საპროცესო გარიგება შედგა განსასჯელის ცოლისდასთან, მარეხ ჭ-ძესთან, რომელიც გამოჯანმრთელების შემდეგ, ასევე აღმოჩნდა გისოსებს მიღმა ბრალდებით, რომლის მიხედვითაც სიძეს თავის არეში დაზიანება მიაყენა, რაც დადასტურდა სამედიცინო ექსპერტიზით.

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

### 25 აგვისტო

1718 – ფრანგმა კოლონისტებმა დააარსეს ქალაქი ნიუ-ორლეანი (ამერიკის შეერთებული შტატები).

1875 – კაპიტანი მეთიუ უები გახდა პირველი ადამიანი, ვინც გადაცურა ლა-მანშის სრუტე.

1944 – ფაშისტებისგან გათავისუფლდა ქალაქი პარიზი.

1950 – ეკრანებზე გამოვიდა აკირა კუროსავას ფილმი „რასემონი“.

### 26 აგვისტო

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 55 – გაიუს იულიუს კეისარმა თავის არმიით მოაღწია ბრიტანელთა ნაპირებს. ეს იყო „ცივილიზებული მსოფლიოს“ პირველი გაცნობა ამ კუნძულთან.

1071 – მანაცკერტის ბრძოლაში თურქსელჩუკებმა გაანადგურეს ბიზანტიელები და წაართვეს მათ სომხეთი და მცირე აზიის უდიდესი ნაწილი.

1498 – მიქელანჯელომ დაიწყო მუშაობა სკულპტურულ კომპოზიციაზე „პიეტა“.

1813 – დრეზდენის ბრძოლა – ნაპოლეონის უკანასკნელი გამარჯვება.

1883 – ვულკან კრაკატაუს უძველესი ამოფრქვევა (ინდონეზია) ითვლება უძლიერეს ამოფრქვევად ჩვენს ათასწლეულში.

1970 – ჯიმი ჰენდრიქსის უკანასკნელი გამოსვლა სცენაზე.

### 27 აგვისტო

1859 – ედვინ დრეიკმა ამერიკაში გათხარა პირველი ჭაბურღილი ნავთობის მოსაპოვებლად.

1912 – გამოქვეყნდა ედგარ ბეროუზის „ტარზანის თავგადასავალი“.

1939 – პირველი რეაქტიული თვითმფრინავის, „HE-178-ის“ პირველი გაფრენა (გერმანია).

1955 – გამოვიდა გინესის რეკორდების პირველი წიგნი.

### 28 აგვისტო

476 – არსებობა შეწყვიტა რომის იმპერიამ.

1963 – 200 000-ზე მეტმა ამერიკელმა მიიღო მონაწილეობა მარტინ ლუთერ კინგის მიერ ზანგების დისკრიმინაციის წინააღმდეგ მოწყობილ მარშში.

1996 – პრინც ჩარლზისა და პრინცესა დიანას განქორწინება.

### 29 აგვისტო

1526 – ოსმალეთის იმპერიის საომარი მოქმედებების შედეგად, შეწყვიტა არსებობა უნგრეთის სამეფომ.

1758 – ნიუ-ჯერსიში შეიქმნა ინდიელთა პირველი რეზერვაცია.

1825 – ბრაზილია გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

1883 – თომას აპერნმა (კანადა) გამოიგონა პირველი ელექტროღუმელი.

1929 – დირიჟაბლმა „გრაფ ცეპელინმა“ პირველად შემოუფრინა დედამიწას.

### 30 აგვისტო

ძველი წელთაღრიცხვით 30 – თავი მოიკლა ეგვიპტის დედოფალმა კლეოპატრამ.

1918 – ფანი კაპლანი თავს დაესხა ლენინს.

1983 – ამერიკელი გაიონ ბლუფორდი გახდა პირველი შავკანიანი, რომელმაც კოსმოსში იფრინა.

### 31 აგვისტო

1914 – სანკტ-პეტერბურგს გადაარქვეს სახელი და უწოდეს ლენინგრადი.

1935 – ალექსეი სტახანოვმა პირველად დაამყარა თავისი შრომითი რეკორდი.

1955 – უილიამ კობმა (ჩიკაგო) პირველად წარუდგინა საზოგადოებას ავტომობილი მზის ბატარეებზე.

1997 – ავტოკატასტროფაში დაიღუპა დიდი ბრიტანეთის პრინცესა დიანა.

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. მუზარადით დაიწყეთ მელაფილმის გმირის ხატვა
2. მიახატეთ თვალები და ცხვირი
3. დაასრულეთ თავის ხატვა
4. მიახატეთ საყელო და ჯვარი
5. შემდეგ – ტანი
6. ტანს მიახატეთ ხელი
7. შემდეგ მეორე ხელი და ფეხები
7. დაასრულეთ ნახატი
8. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191



# იპოვეთ 10 განსხვავება





# დათვალეთ ერთნაირი ფერის ბუშტები



# დაეხმარე გზის გაკვლევაში



# ძაღლი და მისი პატრონი (იგავ-არაკი)

კაცს ერთი ძაღლი და ერთი ვირი ჰყავდა. ძაღლი ძალიან უყვარდა და სულ მას ეთამაშებოდა. როცა წვეულებიდან დაბრუნდებოდა ხოლმე, ძაღლი წკმუტუნით შეახტებოდა მკერდზე, რადგან პატრონს მისთვის ნაირ-ნაირი საჭმელი მოჰქონდა. ვირი ხედავდა ამას და შურდა. ერთხელ პატრონს ისიც ყროყინით მივარდა და მკერდზე შეახტა. პატრონი განრისხდა და ბრძანა, ვირი მეწისქვილესთვის მიეცათ ტვირთის საზიდად.

ეს არაკი იმაზეა ნათქვამი, ვინც ძმობასა და ერთგულებას პურ-მარილის ხათრით გთავაზობთ.

# რიცხვრებუსი

3, , ,   , 5, ,   , , 0





- დროის აღმრიცხველი
- ევროპელი ჯუჯა
- იმერეთის მდინარე
- იხილე ფოტო - რა უნდა გაწყდეს მამაკაცების ცქრიალას აზრით?
- ინგლისური საზომი
- სიმებიანი საკრავი
- ფრანგული მანქანა
- დაბა მარნეულის რნ-ში
- მტკვრის მარჯვენა შენაკადი
- ქვიშა, ინერტული მასალა
- აფხაზეთის მარგალიტი
- განთიადი
- ქალა, ილაჯი
- არის ასეთი კანფეტი
- სამსონის მითოლოგიური სატრფო
- ავტომობილი
- ხაფანგი
- კაზაკების სოფელი
- აზერბაიჯანშია
- შინაური ცხოველი
- (.....) ხვიტია
- სამოსი
- აგულის ნაბოლარა
- კაცის უნგრული სახელი
- აუქციონის ცნება
- (......) კასპაროვი
- დოლარის მეორე სახელი
- ისრაელის რეგიონი
- ვერდის ოპერა
- კლდე ასეთიც არის
- სახელური
- ძველი ფრანგი ფეხბურთელი
- ლენინის ახალი ეკონ.პოლიტიკა
- ბერძენი გოლიათი
- (.......) კუინი
- იანვრის ძველი სახელი
- სიტყვიერი წინააღმდეგობა
- ონის რ-ნ სოფელი
- კაენმა მოკლა
- თელავის რ-ნ სოფელი
- თამბაქოში ბევრია
- მსგავსი არსება
- იზაბელას ღვინო
- ხის ნაწილი
- ყავის სახეობა
- თავხედი ფოტოგრაფი
- „ვინი-პუჰის“ ავტორი
- გაფრინდაშვილი
- ბალთა-ს ნახევარი
- დათვის ნაშიერი
- ძველ ბერძენი დრამატურგი
- სამკითხაო ყვავილი
- ბანქოს ქალი
- ყაზახეთის ქალაქი
- ესპანელი აზნაური
- ცხელი სასმელი
- ადიგენის რ-ნ სოფელი
- ფრანგი მწერალი ქალი
- ბულგარეთის მთები
- ძველი ქუთაისი
- სოხუმთანაა
- ირიბად მზირალი
- სარეცხს ალურჯებს
- ლატვიაშია
- პირველი ჩვენი ქალი ელადაში
- მუსლიმანი ღვთისმსახური
- ბალკანეთის ისტ. მხარე
- სამხრეთ ამერიკის მდინარე
- დას.ქართული ღვინო
- ბევრი სხივი ერთად
- მთიელთა სოფელი
- დიდი კბილი
- განის დედაქალაქი
- ცხენოხნების შეჯიბრი
- ზღარული ცხენი
- მაუგლის პითონი / საფრანგ. ქალაქი
- მწვერვალი / პროლეტარი
- მიდამო
- თამარის კნინობითი ვარიანტი
- (.......)-თურქი
- მართალი პატიოსანი
- ფეხბურთელი
- თავის ტკივილი
- იაპონური არაყი
- კონცერტის საშვი
- წყალი ხმელეთში / დიდი რელიგია
- მეტყველების საშუალება
- რანდა / ხალხი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | 1 | | | | 1 | | | | 1 | | | | | | | | |
| | | | | | | | | | 1 | 1 | 1 | | 1 | 1 | 1 | | 1 | 1 | 1 | | 1 | | | | | | | | |
| | | | | | | | | | 2 | 2 | 1 | | 2 | 2 | 1 | | 2 | 2 | 1 | | 2 | | | | | | | | |
| | | | | | | | | 1 | 2 | 2 | 2 | | 2 | 2 | 2 | | 2 | 2 | 2 | | 2 | 1 | | | | | | | |
| | | | | | | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 5 | 1 | | | | | | |
| | 2 | | 1 | 1 | 1 | 6 | 4 | 3 | 1 | 1 | 5 | 13 | 1 | 1 | 5 | 13 | 1 | 1 | 5 | 13 | 1 | 3 | 4 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | |
| 23 | 2 | 1 | 14 | 10 | 8 | 6 | 8 | 6 | 2 | 3 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | 2 | 3 | 10 | 8 | 1 | 3 | 2 | 23 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | 28 |
| | | | | | | 2 | 2 |
| | | | | | | 1 | 1 |
| | | | | | 1 | 1 | 1 |
| | | | | | 1 | 1 | 1 |
| | | | | | 1 | 2 | 1 |
| | | | | | 1 | 3 | 1 |
| | | 1 | 4 | 3 | 3 | 3 | 1 |
| | | 1 | 5 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | | | | | 1 | 20 | 1 |
| | | | | | 1 | 21 | 1 |
| 1 | 5 | 1 | 1 | 1 | 3 | 1 | 1 |
| | | | | 1 | 4 | 20 | 1 |
| | | | 1 | 3 | 19 | 1 | 1 |
| 1 | 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 |
| 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 |
| | | | 1 | 1 | 17 | 2 | 1 |
| 1 | 3 | 2 | 2 | 2 | 1 | 2 | 1 |
| | | | | 1 | 17 | 2 | 1 |
| | 1 | 3 | 2 | 2 | 2 | 3 | 1 |
| | | | | 1 | 4 | 4 | 1 |
| | | | | | 1 | 16 | 1 |
| | | | | | 1 | 12 | 1 |
| | | | | | | 2 | 2 |
| | | | | | | 1 | 1 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | 7 | 4 | 2 | 3 | | 5 | |
| 5 | | | 7 | | 9 | 6 | | 4 |
| | 4 | 1 | | 5 | | 2 | 7 | |
| | 5 | | 9 | | 2 | 3 | 4 | 1 |
| 4 | | 9 | 5 | | | 8 | | 7 |
| 1 | 2 | | | 4 | 7 | | 9 | |
| 9 | 6 | 4 | | 3 | | 7 | | 2 |
| 2 | | 3 | 8 | | 6 | 4 | | |
| | 1 | | 2 | 7 | | | 6 | 3 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | | | | | | 4 | |
| | 1 | 5 | | 9 | | 2 | | 7 |
| 6 | | | 7 | | 8 | 9 | 1 | |
| | 7 | | | 2 | | | | |
| 5 | | | | 1 | 3 | | 2 | |
| 3 | 2 | | 9 | | | 4 | | 1 |
| | | | | | | | 8 | |
| | 5 | | 8 | | 2 | | 3 | 4 |
| 2 | | 4 | 5 | 3 | | 1 | | |

**პირველი „მის საქართველო" ნუკა კაციტაძე დღეს უკვე სიდედრია. მისმა ქალიშვილმა, ქეთევანმა, ერთი წლის წინ დაუკავშირა თავისი ცხოვრება მსახიობ შოთა ქრისტესაშვილის ვაჟს – გიორგის. შეიძლება ითქვას, მათი ურთიერთობა სამსახურებრივი რომანით დაიწყო. ინტერვიუში ნუკამ სიამოვნებით გაიხსენა, როგორ თხოვდებოდნენ მისი თაობის გოგოები, როგორ გათხოვდა თვითონ, წლების შემდეგ კი – მისი ქალიშვილი.**

# როგორ გათხოვდა პირველი „მის საქართველო" ნუკა კაციტაძე მომავალი მეუღლის გაცნობიდან სამ დღეში და რატომ დაინგრა მისი ოჯახი 13 წლის შემდეგ

**ნუკა კაციტაძე:** ჩვენს პერიოდში კარგად გათხოვება იყო სიყვარულით გათხოვება და კარგ, თბილისურ ოჯახში შესვლა. ადრე ითვლებოდა, რომ კარგი ოჯახი იყო ინტელიგენტების, ექიმების ოჯახები; თუ ოჯახში ერთი პროფესორი მაინც იყო, ეს უკვე იყო კარგი ვარიანტი; თუ ამას ისიც დაემატებოდა, რომ ბებია ან ბაბუა აკადემიკოსი ეყოლებოდა, ეს უკვე საუკეთესო ვარიანტი იყო. სკოლის ასაკში გოგოებს ძველი ბიჭები მოგვწონდა ***(იცინის).*** რაც უფრო მოღრეცილად იდგა ბიჭი და რაც უფრო მონგრეულად დადიოდა, მით უფრო „კარგი ტიპი" იყო ჩვენს თვალში. მერე შეიცვალა დამოკიდებულება, რადგან, ვინც ასეთს გაჰყვა იმ პერიოდში, უმრავლესობამ სისულელე ჩაიდინა – ცოტანი შერჩნენ ბოლომდე ერთმანეთს, უმეტესობას მალევე დაენგრა ოჯახი. მეც მქონდა ასეთი მომენტი – შემიყვარდა ჩემი მომავალი მეუღლე.

**– გაიხსენებთ თქვენი გათხოვების ამბავს?**

– მაშინ 21 წლის ვიყავი. თეატრალურ ინსტიტუტს ვამთავრებდი და ახალციხეში მქონდა გადაღება. რეზო ჩხეიძის „დონ-კიხოტს" იღებდნენ; რასკვირველია, ჩვენ, სტუდენტები, მასობრივ სცენებში ვმონაწილეობდით. ზაფხული იყო. ახალციხის გადაღებიდან მორიგი ჩამოსვლის შემდეგ, მეგობრებთან ერთად შევიკრიბეთ ერთ-ერთ კლუბში. მაშინ, ძირითადად, ოჯახებში ვიკრიბებოდით, არ იყო ამდენი რესტორნები და კაფეები. სწორედ ამ კლუბში გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე, რომელიც იმ დღეს შეყვარებულთან ერთად იყო მოსული. ბევრნი ვიყავით, ალბათ, 25 გოგო-ბიჭი. იქ გავიცანი და, მოხდა ისე, რომ სამ დღეში გავყევი ცოლად. ძალიან მომხიბლა: არაჩვეულებრივი მოსაუბრე იყო, უაღრესად სიმპათიური, ჩემზე 15 წლით უფროსი, საოცარი იუმორის გრძნობით. მაშინ რაღაც წრე იყო ხოლმე მოდაში, მაგალითად, გოგა ფიფიას წრე, ზურა ყიფშიძის, კოტე ყუბანეიშვილის და, ყველას იქ უნდოდა მოხვედრა, იმიტომ, რომ კარგ დროს ატარებდნენ, არაფერს იკლებდნენ. ამ წრეში იყო ჩემი მეუღლეც.



სკოლის ასაკში ძველი ბიჭები მოგვწონდა. რაც უფრო მოღრეცილად იდგა ბიჭი და რაც უფრო მონგრეულად დადიოდა, მით უფრო „კარგი ტიპი" იყო ჩვენს თვალში

**– არადა, მსმენია, რომ თითქოს თქვენი მეუღლე კანონიერი ქურდი იყო.**

– არა, ჩემი მეუღლე არასდროს ყოფილა კანონიერი ქურდი, უბრალოდ, მეგობრები ამ წრიდანაც ჰყავდა, ისევე, როგორც მეგობრობდა მინისტრებთან, მსახიობებთან, რეჟისორებთან, მხატვრებთან და ასე შემდეგ. იყო ძალიან კომუნიკაბელური ადამიანი, ბავშვთან – ბავშვი და მოხუცთან – მოხუცი.

**– მალევე დაშორდით?**

– არა, ჩვენ 13 წელი ვიყავით ერთად. ჯერ თბილისში, შემდეგ კი მოსკოვში ვცხოვრობდით. გაიარა დრომ და, ალბათ, ჩვენი სიყვარულიც გაქრა.

**– როცა ცოლად გაყევით, უკვე იყავით „მის საქართველო"?**

– დიახ, უკვე ვიყავი „მის საქართველო".

**– გაშორდით და კვლავ თბილისში დაბრუნდით?**

– დავბრუნდი და ბავშვებიც გადმოვიყვანე ქართულ სკოლაში. რასაკვირველია, თავიდან ძალიან გაგვიჭირდა. იმ პერიოდში ჩამოვედით, როცა საერთოდ არ იყო არც სინათლე და არც გაზი. უკვე ყველას ჰქონდა რაღაცეები ნაყიდი „კომფორტისთვის" და ჩემმა მეზობლებმა ეს „კომფორტი" გამინაწილეს. ქეთიმ, ჩემმა ქალიშვილმა, სამედიცინო ინსტიტუტში განაგრძო სწავლა. ლადო რომ გაიზარდა, მოსკოვში გავუშვი მამამისთან. იქ დაამთავრა სკოლა, მერე კი – სურიკოვის სასწავლებელი, მხატვარია.

**– ამჟამად რა სფეროში მოღვაწეობს ლადო?**

– ახლა დიზაინისა და ბიზნესის სფეროშია; პარალელურად რაღაც გადაღებები აქვს, როგორც კინოს მხატვარს. ძალიან ამაყი ვარ, რადგან, მითხრა, რომ დღეს მე ვარჩენ მამაჩემსო.

**– ახლა რამდენი წლის არიან თქვენი შვილები?**

– ლადო 24 წლისაა, ქეთი 27 ხდება. ერთი წელია, რაც გათხოვდა და მშვენივრად მოვირგე სიდედრის როლი. ძალიან საყვარელი ყოფილა სიძე.

**– ალბათ, ძალიან მაგარი შეგრძნებაა, სიდედრი „მის საქართველო" რომ გეყოლება...**

– სიდედრებზე ბევრ რამეს ყვებიან, იცინიან...

ჩემი შვილი ძალიან უცნაური გოგო იყო. ყველა მშობელი სახლში რომ ეძახდა გოგოებს – ჩქარა მოდითო, ქეთის იმას ვეხვეწებოდი, სახლიდან გასულიყო. რომ წავიდოდა კლუბში მეგობრებთან ერთად 12 საათზე, პირველის ნახევარზე უკვე სახლში ბრუნდებოდა. ვეუბნებოდი, შენს ასაკში, ჩემს დროს, დისკოთეკა რომ ყოფილიყო, ვერ გამომათრევდნენ იქიდან და შენ რა გჭირს-მეთქი.

**– ასეთი ხასიათის ფონზე როგორი შეყვარებული იყო?**

– ერთხელ ვიღაცამ მითხრა, სიძე ძალიან არ გეყვარებაო და, ვფიქრობდი, ქეთი რომ გათხოვდეს და სიძე რომ არ შემიყვარდეს, რა მეშველება-მეთქი – წინასაწარ ვნერვიულობდი. ვიცოდი, რომ ჩემი შვილი ცოლად აუცილებლად ცისფერთვალებას გაჰყვებოდა, იმიტომ, რომ მამამისს აქვს ცისფერი თვალები და ქეთი მამამისზე აფრენს. ქეთი ონკოლოგიურში მუშაობს და სწორედ იქ გაიცნო გიორგი.

**– მათ ქორწილზეც მიამბეთ.**

– არაჩვეულებრივი მშობლები ჰყავს გიორგის. ჯერ მოვაწყვეთ ნიშნობა. მე არ მქონდა ნიშნობა და ქორწილი და, მინდოდა, ჩემს შვილს ჰქონოდა; მერე იყო ქორწილისთვის მზადება – კაბა, ყვავილები, მუსიკა, სუფრის მენიუ და სხვა. ქორწილი გადავიხადეთ თბილისის ზღვის კლუბში. ყველაფერმა ძალიან ლამაზად ჩაიარა. ქეთი და გიორგი აფრიანი ნავით მოვიდნენ, ქორწილზე ქეთის მამაც ჩამოვიდა. ყველა ძალიან კმაყოფილი და ნასიამოვნები დარჩა. შემდეგ საქორწინო მოგზაურობაში წავიდნენ.

**ყველა მშობელი სახლში რომ ეძახდა გოგოებს – ჩქარა მოდითო, ქეთის იმას ვეხვეწებოდი, სახლიდან გასულიყო**

**– ერთწლიანი გამოცდილების შემდეგ რა დასკვნას გააკეთებთ, როგორი ყოფილა სიდედრობა?**

– ძალიან კარგი ყოფილა სიდედრობა, არაჩვეულებრივი სიძე მყავს. საერთოდ, ნათქვამია, სიძე და რძალი ძალიან არ უნდა აქოო, მაგრამ, არ შემიძლია ***(იცინის)...*** ღმერთმა მაჩუქა ეს ადამიანი – წყნარი, მშვიდი, არაჩვეულებრივი პროფესიონალი, ცისფერთვალება, მოსიყვარულე.... მგონი, მეც არ უნდა ვიყო ცუდი სიდედრი. ერთი სიტყვით, ბედნიერი დედა და ბედნიერი სიდედრი ვარ.

**ეკა სალაღაია**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**ვიქტორია პლეშაკოვას სამოდელო კარიერა წლების წინ თბილისში დაიწყო. 15 წლის ასაკში კი, ერთ-ერთ კონკურსში გამარჯვების შემდეგ, კონტრაქტით ნიუ-იორკში გაემგზავრა, სადაც დღემდე მისი კარიერა წარმატებულად გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში ვიქტორია არაერთი ცნობილი ბრენდის სახე გახდა და მისი ფოტოები იბეჭდებოდა ისეთი ჟურნალებში, როგორიცაა GQ, Harper's bazaar, Cosmopolitan და არაერთხელ გამოსულა ნიუ-იორკის „ფეშენ-ვიქზე." მშვენიერი გარეგნობის ვიქტორია ცოტა ხნის წინ დასასვენებლად თბილისში ჩამოვიდა და შემოდგომაზე კვლავ ნიუ-იორკში დაბრუნებას და კარიერის გაგრძელებას აპირებს.**

# ვინ დაპატიჟა ვიქტორია პლეშაკოვა ბილ კლინტონის ქალიშვილის ქორწილში და როგორ გახდა ქართველი გოგონა ცნობილი ბრენდების სახე

**ვიქტორია პლეშაკოვა**: მოდელობა წლების წინ, თბილისში დავიწყე. იმ პერიოდში სხვადასხვა ჩვენებებში ვმონაწილეობდი – მაკა ასათიანთან, ავთო ცქვიტინიძესთან, მახსოვს, „თოლიას" რეკლამაშიც გადამიღეს. ჯერ ვიყავი „ქართული მოდის სახლის" მოდელი, შემდეგ კი კონტრაქტი სოფო ჭყონიას სააგენტოსთან „ამსასთან" დავდე. ერთ დღეს თბილისში ჩატარდა კონკურსი „მის მეტროპოლიტენი", რომელსაც ატარებდა ტომას ზოიმერი. ის ნიუ-იორკში ერთ-ერთი წარმატებული სამოდელო სააგენტოს ხელმძღვანელია. კონკურსს ესწრებოდა სუპერმოდელი, რომელიც „შანელთან" მუშაობდა და მათ ჩემზე გააკეთეს არჩევანი, გავიმარჯვე. ავიღე პრიზი – 175 ათასი დოლარი და დამიდეს კონტრაქტი ნიუ-იორკში ერთ-ერთ წარმატებულ სააგენტოსთან. იქ ჩასულს ტომას ზოიმერის ქართველი პარტნიორი გიორგი რცხილაძე დამხვდა. ასე რომ, თავიდან მარტო არ ვიყავი. 15 წელია, ნიუ-იორკში ვცხოვრობ და ვმუშაობ საკმაოდ წარმატებულად. თავიდან გარკვეული სირთულეები იყო, მაგრამ ნიუ-იორკში უკვე მომზადებული ჩავედი, რადგან ვიცოდი, რა უნდა მეკეთებინა. ნელ-ნელა დაიწყო ჩემი კარიერა. დავდიოდი ქასთინგებზე, სამუშაოზე. ჩემთვის სიახლე ყოველთვის საინტერესოა და ამიტომაც, ძალიან მომწონდა ჩემი საქმე – ის არ წარმოადგენდა სერიოზულ სირთულეს. ნიუ-იორკში ჩასვლიდან დაახლოებით, ერთ კვირაში, დავიწყე ფოტოების გადაღება, მუშაობა. 2005 წელს კი სამოდელო სააგენტომ „ელიტი" შემომთავაზა მათთან მუშაობა, მეც მოვაწერე კონტრაქტს ხელი და მას მერე ვთანამშრომლობთ.

**– ამ ხნის განმავლობაში რა იყო შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო სამუშაო?**

– თითქმის ყველაფერი საინტერესო იყო. ამ ხნის განმავლობაში, დაახლოებით 30 ბრენდთან ვიმუშავე, რამდენიმეს სახეც ვიყავი. ესენია: „პანტინი", „ევონი". შარშან SATYA JEWELRY-ის სახე ვიყავი და ასევე, საქორწილო კაბების ბრენდ Demetrios სახეც. ხშირად გამოვდივარ ნიუ-იორკის „ფეშენ-ვიქზე". გოტექსი – ეს არის საცურაო კოსტიუმების საკმაოდ ცნობილი და ძალიან კარგი დიზაინერი, მის ჩვენებებზე ხშირად გამოვდივარ. მასთან მუშაობა ძალიან საინტერესოა. ზოგადად, საკმაოდ საინტერესო ცხოვრება მაქვს, სამუშაოს გამო ხშირად მიწევს ადგილის შეცვლა: ლონდონშიც ვიყავი, პარიზშიც, გერმანიაშიც. ასევე, ხშირად ვარ მაიამიზე, სადაც ჩვენებებზე გამოვდივარ, გადაღებები მაქვს. მიყვარს მაიამიზე ყოფნა: თან ვმუშაობ, თან ვისვენებ. ვმუშაობდი ირინა შაბაევასთან, ნეიმან მარკუსთან, მქონდა „ვალენტინოს" ჩვენება, „შანელის" პომადას ვუკეთებდი რეკლამას. ასევე, ვითანამშრომლე ჟურნალებთან: GQ, Harper's bazaar, Cosmopolitan-ში „პანტინს" ვუკეთებდი რეკლამას. ლამაზი თმა მაქვს და გადაღებებისთვის რას არ მიკეთებენ. GQ-სთვის გადაღებისას „ქელვინ ქლაინის" სამოსი მეცვა; დაიბეჭდა ჩემი ფოტოები „ნიუ-იორკ თაიმსში". ასე რომ, ცოტ-ცოტა ყველაფერი მაქვს გაკეთებული.







**ავიღე პრიზი – 175 ათასი დოლარი და დამიდეს კონტრაქტი ნიუ-იორკში ერთ-ერთ წარმატებულ სააგენტოსთან**

**– ერთ-ერთ საკმაოდ პოპულარულ ამერიკულ სატელევიზიო შოუშიც მონაწილეობდი, ძალიან ბევრ ცნობილ ადამიანთან ერთად.**

– კი და ეს იყო ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და წარმატებული სამუშაო. ეს იყო შარშან, სატელევიზიო პროექტი – project runway, რომლის წამყვანიც ჰაიდი კლუმია. ვიმუშავე ისეთ ადამიანებთან ერთად, როგორებიც არიან: ნინა გარსია ჟურნალ „მერი ქლერის" დირექტორი, ასევე ძალიან ცნობილი სტილისტი – თიმ განი. მათთან მუშაობა ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო. შოუში ცნობილი დიზაინერებიც მონაწილეობდნენ. მათ შორის ერთ-ერთი იყო ზექ ფოუზენი. ეს პროექტი ერთგვარი კონკურსია დიზაინერებისთვის. რეალითი შოუა, ყველანი ერთ სახლში ცხოვრობენ და მათ აძლევენ დავალებას, რომელიც აუცილებლად უნდა შეასრულონ. ამისთვის კი ძალიან ცოტა დრო აქვთ, თან სახლში არიან ჩაკეტილები, არც ტელეფონი აქვთ, რაც კომპიუტერი, არაფერი. მე ამ შოუში ვმონაწილეობდი როგორც მოდელი და ჩემი დიზაინერი იყო ზექ ფოუზენი. საკმაოდ რთული აღმოჩნდა. კამერებთან მუშაობა არ მიჭირს, მაგრამ ფოტოგადაღება სულ სხვაა და ეს – სულ სხვა რამ. თუმცა, პროფესიონალები მონაწილეობდნენ, ამიტომ ყველაფერს ძალიან მალე იღებდნენ. უბრალოდ, დიზაინერებისთვის იყო საგიჟეთი. ჩვენ, მოდელები მოსასინჯად მათთან სახლში მივდიოდით ცოტა ხნით და შემდეგ ისინი აგრძელებდნენ მუშაობას. ჩვენ მეხუთე ტურშიც გადავედით. ჩემმა დიზაინერმა კინაღამ გაიმარჯვა, უბრალოდ, შოუ მოულოდნელად დატოვა, გაქრა. შესაბამისად, მეც მომიწია შოუს დატოვება. მოდელი, რომელიც შოუდან ვარდება, აქვს შანსი, სხვა დიზაინერმა აირჩიოს და დააბრუნოს შოუში. ერთ-ერთმა დიზაინერმა მითხრა: როგორ მინდოდა, შოუში შენი დაბრუნება, მაგრამ ველარ მოხერხდაო.

**– როგორია შენი გრაფიკი?**

– ყოველ დილით გაღვიძებისთანავე „იმეილს" ვამოწმებ, შემდეგ მივდივარ ან ქასთინგზე, ან სამუშაოზე. 5 საათზე მუშაობას ვამთავრებ, 6 საათისთვის მივდივარ იოგაზე, ვვარჯიშობ. საღამოს მივდივარ ივენთზე, შემდეგ ვახშამზე. შაბათ-კვირას, როცა არ ვმუშაობ ქართველ მეგობრებთან ერთად ვარ. ზოგჯერ სახლში ვიკრიბებით, ვმღერით, ლექსებს ვკითხულობთ. ზოგჯერ ტყეში პიკნიკზე მივდივართ, გიტარაზე ვუკრავთ. ათასში ერთხელ შეიძლება, კლუბშიც წავიდეთ, გადაღებების მერე, ცოტათი, რომ გავერთოთ და დავისვენოთ.

**– ფოტოებში ბევრ ცნობილ ადამიანთან ერთად გაქვს გადაღებული, მათ შორის არის ბილ კლინტონი, ჯესიკა პარკერი...**

– ცნობილ ადამიანებს ნიუ-იორკში ბევრგან შეხვდები, ქუჩაში მოსეირნობენ ხოლმე. ვინ დიზელს ვიცნობ, მისაუბრია კიდეც მასთან, დიკაპრიოსაც ვიცნობ და მასთანაც ბევრი მისაუბრია. ვიცნობ ჯენიფერ ენისტონს, კიმ კარდაშიანს. ჯენიფერ ენისტონი ძალიან უბრალო და საყვარელია. ქუჩაში შეიძლება, ჩაგეხუტოს და გითხრას: რა კარგი, ლამაზი გოგო ხარო. როდესაც მეგობრები ივენთზე გვპატიჟებენ, იქ მოდიან ცნობილი ადამიანები. კიმ კარდაშიანსაც ივენთზე შევხვდი. რაც შეეხება სარა ჯესიკა პარკერს, მას ტანსაცმლის ბრენდი აქვს, რომელზეც ერთხელ ვიმუშავე. თვითონაც მოვიდა თავის სტუდიოში, ვიფიქრე: ვნახავ, ჩავეხუტები-მეთქი. მაგრამ, იმდენი ვიპრანჭე, ისე დავაგვიანე, რომ გამოვედი, უკვე წასული დამხვდა. შემდეგ კლინტონის ქორწილში ვნახე, ვუთხარი, მის ბრენდზე რომ ვმუშაობდი და ვერ მოვახერხე მასთან შეხვედრა. ძალიან საყვარელი და კარგი ადამიანია, სამახსოვრო ფოტოც გადავიღეთ.

**– როგორ აღმოჩნდი კლინტონების ქორწილში?**

– ჩემი სააგენტოს პრეზიდენტი მეგობრობს ბილ კლინტონის ოჯახთან და მასთან სახლში ხშირად გვეპატიჟებიან დაბადების დღეზე, კონცერტზე და ასე შემდეგ. თითქმის ყოველ წელს დავდივართ ერთად US open Tennis-ზე თამაშების საყურებლად. ბილ ქლინტონის შვილის ქორწილშიც ვიყავით, 30 კაცამდე იყო სტუმარი. ძალიან ლამაზ პარკში ჩატარდა, უმშვენიერეს გარემოში. ბილ კლინტონსაც ვიცნობ და ჰილარისაც, ხშირად გვისაუბრია. იციან, ქართველი რომ ვარ. ჰილარიმ, რომ გაიგო ქართველი ვიყავი, ძალიან გაუხარდა, მითხრა: ქართული ღვინო მიყვარსო. აგვისტოს ომის დროს, ჰილარი საქართველოში რომ იყო ჩამოსული, ჩვენ ქართველები ამერიკაში ძალიან ვნერვიულობდით, ყველაფერს განვიცდიდით. ჰილარი რომ ჩამოვიდა ამერიკაში, ვნახე და დიდი მადლობა გადავუხადე. ასე მითხრა: რუსეთთან ურთიერთობა ძალიან რთულია და ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ მას რამე გავაგებინოთ, მაგრამ ეს არ არის ადვილიო. ბილ ქლინტონიც საინტერესო რაღაცეებს მიყვებოდა ხოლმე.

**ნათია უტიაშვილი**

**ევროპის მეტწილ ქვეყნებში, საგრძნობლად შეიმჩნევა ტემპერატურის მატება და, მათ შორის არც საქართველოა გამონაკლისი. ამ მომატებული ტემპერატურის ფონზე, გაიზარდა მთელი რიგი სეზონური დაავადებების რისკიც. თუ რომელი დაავადებებია მეტად საშიში და სიცოცხლისთვის სახიფათო პაპანაქება სიცხეში და როგორ დავიცვათ თავი მათგან, ამ საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ბიოუსაფრთხოების და განსაკუთრებით საშიში პათოგენების სამმართველოს უფროსს, ბატონ შოთა ცანავას.**

# როგორ აღმოვუჩინოთ პირველადი დახმარება სიცხისგან დაუძლურებულ და გონებადაკარგულ ადამიანს და რომელი დაავადებები მწვავდება ამ პერიოდში

**შოთა ცანავა:** სიცხეში, იმატა მთელი რიგი დაავადებების გავრცელების რისკმა. გარემო ტემპერატურის მატებას, მოსახლეობის ხშირად გასვლას ბუნებაში, ბანაობას და სხვა, თან სდევს ნაწლავთა ინფექციები, ასევე სხვადასხვა ცხოველისა და მწერის მიერ ადამიანის დაკბენა-დაკაწვრა-დადორბვლის საფრთხე, გულ-სისხლძარღვთა და ასე შემდეგ დაავადებების გამწვავება, ამიტომ, აუცილებელია, გაითვალისწინოთ ის რჩევები და რეკომენდაციები, რომლებიც ამ სეზონზე უნდა დაიცვათ, რომ საკუთარი ჯანმრთელობა სასწორზე არ დადოთ.

სიცხეში მკვეთრად იზრდება რისკი გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე ადამიანებისთვის, რადგან მათი გულ-სისხლძარღვთა სისტემა იძულებულია, უფრო დიდი დატვირთვით იმუშაოს, რომ სხეული გრილად შეინარჩუნოს. საერთოდ, გარემოს მაღალ ტემპერატურასთან დაკავშირებულ დაავადებათა რისკ-ჯგუფებს მიეკუთვნებიან: ჩვილები და 4 წლამდე ბავშვები, 60 წელს გადაცილებული ადამიანები, ჭარბი წონის მქონე პირები. განსაკუთრებული ყურადღება კი, სიცხეში იმ პირებმა უნდა გამოიჩინონ, ვისაც გულ-სისხლძარღვთა დაავადებები აწუხებთ და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ნებისმიერ ცვლილებას, რომ საკუთარ სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე არ შეუქმნან. ასევე, სიცხეში იზრდება ორგანიზმის გამოფიტვის და რესპირატორული პრობლემები. ჰაერის მაღალი ტემპერატურა ზრდის ოზონის კონცენტრაციას ატმოსფეროს ქვედა ფენებში. ოზონის არსებობა ზედა ფენებში კი აძნელებს დედამიწის ზედაპირამდე ულტრაიისფერი რადიაციის შემოღწევას, რაც ჯანმრთელობისთვის ძალიან სახიფათო და საზიანოა. კონკრეტულად, ის აზიანებს ფილტვის ქსოვილს და პრობლემას უქმნის მათ, ვისაც აქვს ფილტვის პრობლემები და აწუხებს ასთმა. ორგანიზმის შესაძლებლობებს, განახორციელოს ტემპერატურის თვითრეგულაცია ექსტრემალურად ცხელი ამინდის პირობებში, ზღუდავს რამდენიმე ფაქტორი.

**– რომელი ფაქტორებია ესენი და რას გვირჩევთ, რა გავითვალისწინოთ ამ დროს?**

– ჰაერის მაღალი ტემპერატურა ზღუდავს და ხელს უშლის ორგანიზმიდან ოფლის გამოყოფასა და თერმორეგულაციას. სხვა გარემოებებს კი, რომელიც ზღუდავს თერმორეგულაციას მიეკუთვნება: ხანდაზმულობა, სიმსუქნე, ცხელება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, ნარკოტიკებისა და ძლიერ ალკოჰოლიანი სასმელების მიღება. გარემოს მაღალი ტემპერატურის პირობებში ნუ დაელოდებით, სანამ მოგწყურდებათ, აუცილებლად მიიღეთ დიდი რაოდენობით სითხე. თუ იცავთ სამკურნალო დიეტას, რომლის დროსაც გეკრძალებათ დიდი რაოდენობით სითხის მიღება, მიმართეთ მკურნალ ექიმს და ზუსტად დაადგინეთ, რა რაოდენობით შეგიძლიათ, დალიოთ წყალი. უარი თქვით კოფეინის შემცველ სასმელებზეც. გაზარდეთ მარილებისა და მინერალების მოხმარება, რადგან ზაფხულში ორგანიზმიდან ოფლის ჭარბ გამოყოფას, თან ახლავს მარილებისა და მინერალების ნაკლებობა. აუცილებელია დანაკარგის შევსება და საკვებ რაციონში მათი შემცველობის გაზრდა. აგრეთვე, ატარეთ ცხელი დღეების შესაფერისი, ბუნებრივი ქსოვილისგან შეკერილი ტანსაცმელი, დაიხურეთ ქუდი, რომელიც დაგიცავთ გადახურებისგან. გამოიჩინეთ სიფრთხილე სიცხეში მუშაობის დროს.

**– ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ, ზოგადად, რომელი დაავადებების დროს იკრძალება მარილის მოხმარება, რომ გავითვალისწინოთ და, ასეთ შემთხვევაში როგორ მოვიქცეთ?**

– მართალია, სხვადასხვა დაავადება მარილის მოხმარებას ზღუდავს, ანუ ზოგიერთი დაავადების დროს იკრძალება ზედმეტი მარილის მიღება და ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ. მაგალითად, ასეთებია, ჰიპერტონია და თირკმლის ქრონიკული დაავადებები. ასევე, თუ მიხვდით, რომ სიცხე აუტანელი ხდება და თავს შეუძლოდ გრძნობთ, სასწრაფოდ შეწყვიტეთ ყოველგვარი აქტიური მუშაობა, მონახეთ გრილი ადგილი ან ჩრდილი და ეცადეთ, დაისვენოთ. ეს განსაკუთრებით მაშინ არის საჭირო, როცა გრძნობთ თავის ტკივილს, სისუსტეს, გონების გაფანტვას. სიცხეში, აუცილებლად უნდა ჭამოთ მსუბუქი კერძები, ხშირად იბანაოთ კონტრასტული შხაპით.



**სიცხეში უარი თქვით კოფეინის შემცველ სასმელებზე, გაზარდეთ მარილებისა და მინერალების მოხმარება, რადგან ორგანიზმიდან ოფლის ჭარბ გამოყოფას თან ახლავს მარილებისა და მინერალების ნაკლებობა**

**– სპეციალისტები ხშირად საუბრობენ სითბურ დაუძლურებაზე. რა სიმპტომები ახასიათებს მას და რამდენად საშიშია ის ადამიანის სიცოცხლისთვის?**

– სითბური დაუძლურება ადამიანის ორგანიზმის საპასუხო რეაქციაა დიდი რაოდენობით სითხისა და მარილების დაკარგვაზე. ეს ხშირად ვლინდება ასაკოვნებში, არტერიული ჰიპერტენზიის მქონე პირებში და ცხელ გარემოში მუშაობის ან ვარჯიშის დროს. მისი დამახასიათებელი სიმპტომებია: ოფლიანობა, სილურჯე ანუ ციანოზი, კუნთების ფრიგიდობა, საერთო სისუსტე, თავის ტკივილი, თავბრუხვევა, გულისრევა, წნევის დაცემა. ამ დროს კანი ცივდება, პულსი ხან აჩქარებულია, ხანაც მინელებული, სუნთქვა კი ჩქარი და ზედაპირული. თუ სითბური დაუძლურებისას ადამიანს არ აღმოუჩინეთ დროული დახმარება, შესაძლოა, განვითარდეს სითბური დაკვრა. ასეთ დროს დაზარალებულს უნდა დაალევინოთ ცივი სითხეები, შემოახვიოთ ტანზე ცივ წყალში დასველებული ქსოვილი, დაუნიავოთ. სითბური დაკვრის დროს კი, აღინიშნება სხეულის მაღალი ტემპერატურა, კანი წითლდება, ხურდება, პულსი ხშირდება, ადამიანს აწუხებს ძლიერი, აუტანელი თავის ტკივილი, თავბრუხვევა, გულისრევა. ამ დროს, შესაძლოა, ადამიანს გულიც წაუვიდეს და გონება დაკარგოს. გაუზომეთ სხეულის ტემპერატურა და, თუ დაზარალებულს აქვს მზეზე დამწვრობის ნიშნები ან გამონაყარი, დაადეთ ცივი კომპრესი, კანი კი ლოსიონით დაუმუშავეთ. საერთოდ, ჩემი რეკომენდაციაა, თუ გადააბიჯეთ საშუალო ასაკს და ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები გაწუხებთ, ხართ ორსულად ან იტარებთ მედიკამენტურ მკურნალობის კურსს, მოერიდეთ მზეს, რადგან ამ დროს მზის მცხუნვარე სხივებისადმი მგრძნობელობა იზრდება.

**თუ შეატყვეთ, რომ მზეზე ხანგრძლივად ყოფნის შემდეგ, ცუდად გძინავთ და გულის ჩივილები გაწუხებთ, საერთოდ ნუ მიიღებთ მზის აბაზანებს**

**– ზოგი ვერ იტანს მწველ სიცხეს და ცხვირიდან უცაბედი სისხლდენა აღენიშნება. რამდენად საშიშია ეს და როგორ გავუწიოთ ამ დროს ადამიანს პირველადი დახმარება?**

– მაგალითად, თუ ბავშვმა გაიჭრა ხელი, ნატკენი ადგილი ჩამობანეთ ანტისეპტიკური საპნიანი წყლით, შემდეგ წყალბადის ზეჟანგით დაუმუშავეთ, ბოლოს იოდი ან ბრილიანტის მწვანე წაუსვით და ჭრილობა აუცილებლად დაამდება. თუ ჭრილობა ღრმაა, აჯობებს, დამუშავების შემდეგ ბაქტეროიდული პლასტირი დააკრათ. თუ ბავშვს ცხვირიდან წასკდა სისხლი, საშიში არაფერია, ეს პატარებს ხშირად ემართებათ, რაც უმეტესად ემოციების, მღელვარების, მზეზე დიდხანს ყოფნის ბრალია. ამ დროს ბავშვი დასვით და თავი წინ გადაუწიეთ, რათა სისხლი არ გადაეყლაპოს ან სასუნთქ გზებში არ გადასცდეს. ეცადეთ, არ ილაპარაკოს, არ შეისრუტოს, არ დაახველოს. შემდეგ ცხვირის კეხზე დააფინეთ ცივ წყალში დასველებული ბამბის ან ბინტის ტამპონი, შეიძლება ნაჭერში გახვეული ყინულის დადებაც. სისხლდენის შეჩერებიდან დაახლოებით ოთხი საათის განმავლობაში, ეცადეთ, ბავშვმა ბევრი არ იმოძრაოს. იგივე რეკომენდაციები უნდა გაითვალისწინოთ მოზრდილ ადამიანზეც. თუ მან გონება დაკარგა, ეს იმის ბრალია, რომ ბევრ დროს ატარებს მზეზე ან ჟანგბადით ღარიბ გარემოში. გონების დაკარგვისთანავე ის, ისე დააწვინეთ, რომ ფეხები მაღლა ჰქონდეს. ეს თავში სისხლის მოდინებას უწყობს ხელს. თავი გვერდულად დაადებინეთ, შეუხსენით ტანსაცმელი და ცივი წლით დაუზილეთ სახე, კისერი, ხელები და გულმკერდი.

**ნონა დათეშიძე**

**ქართველმა ქალმა, რომელიც 12 წლის წინ მოსკოვში კაცად გადაკეთდა, 5 წლის წინ გერმანიაში ცოლი მოიყვანა, ერთი თვის წინ კი, საქართველოში შვილის გასაჩენად, ხელოვნური განაყოფიერებისთვის ჩამოვიდა, ინტერვიუს ბოლოს აღმოჩნდა, რომ ჩვეულებრივი აზიატი მამაკაცია, რომელიც ცოლზე ეჭვიანობს და წინააღმდეგია მეუღლის ბუნებრივი გზით დაფეხმძიმებისა.**

# რატომ გადაწყვიტა კაცად გადაკეთებულმა ქართველმა ქალმა წლების შემდეგ ცოლის საქართველოში ჩამოყვანა და რისი ეშინია მას

**– თავიდანვე მინდა, გითხრა, რომ ვერაფრით დავიჯერე, როცა შენზე მითხრეს, ადრე ქალი იყო და კაცად გადაკეთდაო.**

– ქალობა არასდროს მეტყობოდა. ბიჭებისგან მხოლოდ სასქესო ორგანოთი განვსხვავდებოდი და მაშინ ვხვდებოდი ამას, როცა თანატოლ ბიჭებთან ერთად, ქუჩაში მოშარდვას ვერ ვახერხებდი.

**– თანატოლებთან ურთიერთობას როგორ ახერხებდი?**

– დავიწყოთ იქიდან, რომ ასეთი დავიბადე და შესაბამისად, ვერასდროს ვხვდებოდი, როცა მეუბნებოდნენ გოგოსავით მოიქეციო, ეს რას ნიშნავდა. როცა სკოლაში შევედი, მერე დაიწყო ჩემი პრობლემები, პიროვნული ჭიდილი საკუთარ თავთან და საზოგადოებასთან. გოგოები თავის „სასტავში" არ მიიღებდნენ და ბიჭები იმიტომ არ მიძმაკაცდებოდნენ, რომ გოგო ვიყავი.

**– თავად გოგოების „სასტავში" გინდოდა ყოფნა თუ ბიჭების?**

– რა თქმა უნდა, ბიჭების. ვაკეში დავიბადე და ჩემი კლასელები ძალიან პრანჭიები იყვნენ, ერთმანეთს ათას სისულელეს ახარბებდნენ და ემარიაჟებოდნენ. მე კიდევ მაგრად არ მაინტერესებდა ვილაცის მაქმანებიანი კაბა. ერთი სული მქონდა, როდის ჩავიცვამდი კედებს და ფეხბურთს ვითამაშებდი. კაბაში სუფთა საფრთხობელას, ჩუჩელას ვგავდი *(იცინის).*

**– როდის გაგიჩნდა ქალებთან ურთიერთობის სურვილი?**

– პატარა რომ ვიყავი, გაუთვითცნობიერებლად გოგოებს სულ ვაწვალებდი. ეს, ერთის მხრივ, სექსუალური ლტოლვაც იყო და იმის ინტერესიც, რა გვქონდა საერთო. სულ მაინტერესებდა ისინი შიშვლები მენახა, რომ გამეგო როგორები არიან გოგოები.

**– ბიჭების მიმართ არ გქონდა იგივე ინტერესი?**

– რა თქმა უნდა, მათ მიმართაც მქონდა, რადგან სულ მიკვირდა ფეხზემდგომელა როგორ ფსამდნენ და მე რატომ არ შემეძლო ასე. ბევრჯერ ვცადე მიმებაძა, მაგრამ ყოველი მცდელობა კრახით დასრულდა *(იცინის).* პირველად რომ დავინახე განმასხვავებელი ნიშანი, მაშინ მივხვდი, რაშიც იყო საქმე.

**– წელან საკუთარ თავთან პიროვნული ჭიდილი ახსენე და დიდხანს გაგრძელდა?**

– იქამდე, სანამ ოპერაცია არ გავიკეთე. ეს საზოგადოებასთან ჭიდილი უფრო იყო, ვიდრე საკუთარ თავთან. მაგრამ, საკუთარ თავს სწორედ საზოგადოების გამო ვებრძოდი. მე კი ვიცოდი რომ მე, მე ვიყავი და ისეთი მომწონდა საკუთარი თავი, როგორიც ვიყავი, მაგრამ სხვებს არ მოვწონდი და ამის გამო, უამრავი დამცირება ავიტანე.

**– გოგოობის პერიოდში ბიჭთან სექსი გქონდა?**

– კი. სხვათა შორის პატარა ასაკშივე, რადგან როგორც გითხარი, გაცხოველებული ინტერესი მქონდა ყველას და ყველაფრის მიმართ.

**– ახლა, როცა უკვე კაცი ხარ, გეი ურთიერთობაც გაქვს?**

– არა. მაშინ, როცა ბიჭთან მქონდა ურთიერთობა, სულ მინდოდა, რომ კაცის როლში მე ვყოფილიყავი. მაგრამ, დიდი მცდელობის მიუხედავად, ეს არ გამომდიოდა. თუმცა, ხშირად დომინანტი მე ვიყავი, ისევე როგორც ქალებთან სექსის დროს.

**– იმ დროის თბილისში არ გიჭირდა პარტნიორის მოძებნა?**

– იმ დროს კი არა, მგონი, დღესაც ჭირს საქართველოში არატრადიციული ურთიერთობისთვის პარტნიორის მოძებნა, მაგრამ ყველაზე მეტად ზაფხული მიყვარდა, რადგან სოფელში მივდიოდი დასასვენებლად, სადაც ერთი შეყვარებული გოგო მყავდა. მძულდა აგვისტოს ბოლო, როცა იძულებით მომათრევდნენ თბილისში.

**– შენი სოფლელი შეყვარებული ახლა სად არის?**

– როგორც ვიცი, გათხოვდა და შვილებიც ჰყავს. ალბათ, უვლის ქმარს და ცხოვრობს ბედნიერად, თუმცა დარწმუნებული ვარ, იმას, რასაც გაუცნობიერებლად ბავშვობის ასაკში ვაკეთებდით, მასზე გარკვეულ კვალს დატოვებდა.

**– ოჯახი როგორ შეხვდა შენს გადაწყვეტილებას ბიჭად გადაკეთების თაობაზე?**

– საკმაოდ ლოგიკური იყო ჩემი გადაწყვეტილება და მათგანაც – ბუნებრივი რეაქცია. განათლებული, კარგად აღზრდილი და ადეკვატური მშობლები მყავს და მათ უფრო მაპატიეს, ვიდრე მე საკუთარ თავს. მათი დახმარებით შევძელი საკუთარი პიროვნების პოვნა და ადამიანად დარჩენა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მე საკუთარ თავს და ისინი შვილს დაკარგავდნენ.



**მე კაცი ვარ და არ დავუშვებ ჩემმა ცოლმა სხვა კაცისგან ბუნებრივი გზით გააჩინოს შვილი**

**– რატომ გადაწყვიტე ოპერაციის მოსკოვში გაკეთება?**

– 10-12 წლის წინ, საქართველოში ეს წარმოუდგენელი იყო. თუ არ ვცდები, პირველი ოპერაცია ბიჭის ქალად გადაკეთების მას შემდეგ გაკეთდა, რაც მე მოსკოვში გამოვიცვალე სქესი. ამის შემდეგ მოსკოვში დავრჩი და იქ დავიწყე ახალი ცხოვრება. მოგვიანებით, გერმანიაში გადავბარგდი, სადაც ჩემი მომავალი მეუღლე გავიცანი და ცოლად მოვიყვანე.

**– მეგონა, მეუღლე რუსი იყო.**

– კი რუსია, მაგრამ ისიც ემიგრანტი.

**– ბანალური კითხვაა, მაგრამ როგორ გაიცანით ერთმანეთი? უფრო სწორად, როგორი იყო მისი რეაქცია, როცა გაიგო, რომ ადრე გოგო იყავი?**

– ჩვენ კლუბში გავიცანით ერთმანეთი და იმ საღამოსვე გვქონდა სექსი. მაპატიე, ასეთ სიტყვებს რომ ვამბობ, ეს ხომ ქართული პრესაა – დაწერეთ, რომ დავამყარეთ მჭიდრო კონტაქტი. ზოგადად, ეს თემა ჩემთვის დახურული იყო და არავის ვეუბნებოდი ადრე რომელი სასქესო ორგანოთი ვმოძრაობდი. თან, ხამი მექალთანე ვიყავი და არც ერთ ლამაზ გოგოს ხელიდან არ ვუშვებდი. მაგრამ, როცა ჩვენი ურთიერთობა სერიოზულ ფაზაში შევიდა, მერე მოვუყევი და უფრო მეტად შევუყვარდი. თანაც, ჩვენ, საბჭოთა კავშირი გვაერთიანებდა და გვიმყარებდა ურთიერთობას, ერთ ენაზე ვსაუბრობდით ამის პირდაპირი მნიშვნელობით. რაც შეეხება მის რეაქციას, ყველაზე მაგარი სექსი სწორედ იმ ღამეს გვქონდა, როცა ყველაფერი მოვუყევი და ვუთხარი, ადრე ქალი რომ ვიყავი.

**მე ღალატის წინააღმდეგი ვარ. არ აქვს მნიშვნელობა ქალი იქნება თუ კაცი – ღალატი ღალატია. მით უმეტეს, ბავშვი ღალატის შედეგად, ჩემთვის დაუშვებელია**

**– შვილის ყოლის სურვილი არ გაქვთ?**

– ახლა სწორედ ამ მიზეზით ვართ ჩამოსულები თბილისში. გვინდა, ინვიტრო განაყოფიერებით გავაჩინოთ შვილი. ორი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა და ხომ იცი, როგორც საქართველოში ამბობენ, ღმერთი სამობით არისო.

**– თბილისში რატომ გადაწყვიტეთ შვილის გაჩენა?**

– აქ გაცილებით იაფია და თან ევროპული სტანდარტებით კეთდება. გადანერგვა პირველად გერმანიაში გაიკეთა ჩემმა მეუღლემ და შესაბამისად, ვამჯობინეთ, ახლა თბილისში გვეცადა ბევრი, მაგრამ ისეთი მოხიბლულია საქართველოთი და ქართველი კაცებით, მეშინია, ბუნებრივი გზით არ დაფეხმძიმდეს *(იცინის).*

**– ეჭვიანი ხარ? ასე რატომ ფიქრობ?**

– ისე, ხუმრობა იქით იყოს და რაც ჩამოვედით, სულ ვეჭვიანობ, დაძაბული ვარ. ვცდილობ, არ შევიმჩნიო, მაგრამ ვხვდები, რომ ყურები სპილოსავით გამეზარდა და თვალებიც ფართოდ გავახილე, რომ რამე არ გამომეპაროს. არადა, ეჭვიანი არასდროს ვყოფილვარ. იმ დღეს ხუმრობით მითხრა, უცნობის სპერმის ყიდვას, არ ჯობია ვინმე ჯანმრთელი მამაკაცი ვნახო და ჩუმად მისგან გავაჩინოო, რაზეც საშინელი რეაქცია მქონდა. 2 დღე არ ველაპარაკებოდი.

**– გამოდის, ტიპური აზიატი მამაკაცივით აზროვნებ?**

– მე არ ვიცი, აზიატი მამაკაცივით თუ ევროპელი ქალივით ვაზროვნებ, მაგრამ რაოდენ გასაკვირადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, მე ჩემი პრინციპები მაქვს ცხოვრებაში. მე კაცი ვარ და არ დავუშვებ, ჩემმა ცოლმა სხვა კაცისგან ბუნებრივი გზით გააჩინოს შვილი. მესმის, რომ გადანერგვა რთული პროცესია და დიდ ენერგიას თუ მოთმინებას მოითხოვს, მით უმეტეს, როცა ორი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. ისიც მესმის, რომ ძალიან უნდა დედა გახდეს, მაგრამ იმას არავითარ შემთხვევაში, არ დავუშვებ, რომ ბავშვი ღალატის გზით ჩაისახოს.

**– გამაკვირვე!**

– ჩემი ცოლიც გაკვირვებული დარჩა, ისეთი რეაქცია მქონდა მის უკბილო ხუმრობაზე. აი, ხომ ხედავთ, ახლაც სახე და ინტონაცია შემეცვალა, რომ გამახსენდა.

**– იმ აზრსაც ხომ არ იზიარებ, კაცმა შეიძლება უღალატოს და ქალმა არაო, რომ ამბობენ.**

– მე ღალატის წინააღმდეგი ვარ. არ აქვს მნიშვნელობა ქალი იქნება თუ კაცი – ღალატი ღალატია, მით უმეტეს, ბავშვი ღალატის შედეგად, ჩემთვის დაუშვებელია.

**რომან საყვარელიძე**

**ავტორ-შემსრულებელი გიგა კვენეტაძე უკვე წლებია, რუსეთში ცხოვრობს და იქაურ შოუ-ბიზნესში იკიდებს ფეხს. მართალია, მის სიმღერებს ბევრი ცნობილი მომღერალი მღერის, მაგრამ, მისი თქმით, უკვე დროა, საკუთარ მუსიკალურ კარიერას მიხედოს და ამისთვის თავდაუზოგავადაც შრომობს.**

# რატომ ვერ ბრუნდება გიგა კვენეტაძე საქართველოში და რა სიახლეს უმზადებს ის რუს და ქართველ მსმენელებს

**გიგა კვენეტაძე:** ბევრ რამეს ვსაქმიანობ ერთად: ჩემს რუსულენოვან ალბომს ვამთავრებ და სექტემბრიდან ცოცხალ ბენდთან ვიწყებ მუშაობას; ნელ-ნელა რუსეთის სხვადასხვა რეგიონში წავალ კონცერტებზე. სხვათა შორის, ცოცხალ ბენდთან ერთად, ახალი ალბომის გარდა, უნდა გავაკეთო ყველა ჩემი საავტორო სიმღერა, რომლებიც ცნობილი გახდა რუსეთში, რომ მოისმინოს მსმენელმა.

**– ანუ, უკვე მომღერლის კარიერაც დაიწყე?**

– უკვე დროა, ცოტა დავაგვიანე კიდეც.

**– ამის პარალელურად, ალბათ, სიმღერების წერას განაგრძობ სხვა მომღერლებისთვის.**

– რა თქმა უნდა. კატია ლელისთვის ვაკეთებ ამჟამად ერთ სიმღერას, რომელიც ძალიან კარგი გამოდის და, იმედი მაქვს, ქართველი მსმენელიც შეაფასებს სათანადოდ.

**– კონცერტები თუ არის უკვე დაგეგმილი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებ?**

– ცოცხალ ბენდთან მექნება ძალიან დიდი სამუშაო ჩასატარებელი – 14-15 სიმღერაა და, ალბათ, სამ თვეს მოიცავს სამუშაო პროცესი. მე და ჩემი პროდიუსერი, რომლის სახელიც ჯერ არ მინდა გავაჟღერო, ახალი წლიდან ჩავერთვებით სხვადასხვა ტურნეში. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ამასთან ერთად, ერთ კლიპსაც გადავიღებ, რომელიც ოქტომბრიდან მინდა გავუშვა „რასკრუტკაზე" როგორც რუსეთში, ასევე, საქართველოში.

**– მომავალი პროდიუსერის ვინაობას ისე ასაიდუმლოებ, ეჭვი მაქვს, ცნობილი ადამიანი უნდა იყოს.**

– ქართველი მსმენელისთვის, მგონი, ცნობილია, მაგრამ, რუსეთში ძალიან წარმატებული პროდიუსერია და დღესდღეობით საინტერესო პროექტებს ხელმძღვანელობს.

**– ქართველია?**

– არა.

**– გარდა სამუშაო რეჟიმისა, ზაფხულს როგორ ატარებ?**

– მეგობრებთან ერთად აგარაკზე გავდივარ ხოლმე. საქართველოში ველარ ჩამოვაღწიე. ტელეფონით არ გამოდის საქმიანი მოლაპარაკებები და, ამიტომ, იმედი მაქვს, მალე ჩამოვალ. თან, მინდა, ჩემი ჩამოსვლა შემოქმედების მხრივაც ნაყოფიერი იყოს. ამიტომ, მირჩევნია, სექტემბერში ჩამოვიდე, სხვადასხვა გადაცემაშიც მივიღო მონაწილეობა და მაყურებელს თავი შევახსენო. ძალიან მომენატრა ჩემი მსმენელი და, იმედი მაქვს, მათაც მოვენატრე.

**– გიგა, ქართულად საუბარი მგონი უკვე გიჭირს, რადგან, რუსულად აზროვნებ.**

– სამწუხაროდ, ასეა, მაგრამ, სულით და გულით ქართველი ვარ.

**– საქართველოში დაბრუნებაზე არ გიფიქრია?**

– სამწუხაროდ, არა. იმდენად მწირი ბაზარია საქართველოში, რომ მანდ მე ვერ გავძლებ. როცა ადამიანი რუსეთში ცნობილი ხდება და რაღაც კონდინციამდე მიდის, მას უკვე უზრუნველყოფილი აქვს ცხოვრება.



**არავინ თქვას, რომ რუსეთში ვინც მუსიკალურ პროექტებში გავიდა მხოლოდ ნიჭის წყალობით მოახერხა ეს. ზუსტად ვიცი, რომ ყველას თანხა აქვს გადახდილი**

**– რა დონეზე გაქვს ცხოვრება უზრუნველყოფილი?**

– ჯერჯერობით საშუალოდ.

**– რა თანხაა საჭირო დღეს რუსეთში მომღერლის პოპულარიზაციისთვის?**

– გარდა იმისა, რომ თანხა გაქვს, აუცილებლად უნდა გყავდეს წრე, რომელიც ამ თანხის სწორად დახარჯვაში დაგეხმარება. ამისთვის კი საჭიროა, 200 000 ევროდან ზევით.

**– და თუ ეს თანხა სწორად ვერ დახარჯე, შესაძლოა, შედეგი ვერ მიიღო?**

– რა თქმა უნდა! ბევრი შემთხვევა ვიცი ასეთი. ამიტომ, მხოლოდ ფული არ არის საკმარისი. ყველაფერი ასჯერ უნდა გაზომო და ერთხელ გაჭრა. აქ, რუსეთში, არის კომპანიები, რომლებიც იღებენ ნახევარ მილიონ დოლარს და გპირდებიან, რომ ერთ წელიწადში პოპულარულ სახედ გაქცევენ, მაგრამ, მე ასეთი კომპანიების არ მჯერა, ვერ ვენდობი.

**– პოპულარობისთვის ძალიან ხელსაყრელია სხვადასხვა მუსიკალური პროექტი, რომლის საშუალებითაც მომღერალს ეძლევა შანსი, ფართო მასისთვის გახდეს ცნობილი. შენ არ გიცდია, რომელიმე შოუში მიგეღო მონაწილეობა და იმ 200 000 ევროს დახარჯვის გარეშე გამხდარიყავი კიდევ უფრო ცნობილი?**

– მიცდია და გამიკითხავს კიდეც, მაგრამ, ეს ყველაფერი მაინც თანხებთან არის დაკავშირებული. არავინ თქვას, რომ, ვინც მსგავს პროექტებში გავიდა, მხოლოდ ნიჭის წყალობით მოახერხა. ზუსტად ვიცი, რომ ყველას თანხა აქვს გადახდილი. მიხვიდე, ქასთინგი გაიარო და შედეგი მიიღო – ასე არ ხდება. ეს პროექტები რუსეთის ცენტრალურ არხზე კეთდება, რომელიც შენს ფეისს „არასკრუტკებს,“ რაც იმას ნიშნავს, რომ ხვალ გექნება კონცერტები, გექნება ფული და ასე შემდეგ.

**– ბევრ ქართველ მომღერალს მიუღია მონაწილეობა, მაგალითად, უკრაინულ „ვოისში“ და ასე შემდეგ. გინდა თქვა, რომ ყველას ფული აქვს გადახდილი?**

– უკრაინა და სხვა ქვეყნები არ მაინტერესებს, არ ვიცი, მე ვამბობ, რაც რუსეთში ხდება.

**– რამდენი თანხაა საჭირო, მაშინ, ის მითხარი.**

– 50 000 ევროდან იწყება, გააჩნია.

**– ანუ, რა ეტაპამდე უნდა მიხვიდე?**

– რა თქმა უნდა. ფინალზე ზედმეტია საუბარი – იქ უკვე სხვა თანხებია.

**– გამოდის, რომ უფულოდ ვერაფერს ვერ იგებ?**

– უფულოდ არასდროს არაფერი გამოსულა და არც გამოვა. შენ ფულს ხარჯავ იმაში, რომ ცნობილი სახე გახდე და ამით ხვალ გაცილებით მეტი ფული იშოვო. ლამაზი თვალებისთვის და იმისთვის, რომ ნიჭიერი ხარ, არაფერი ხდება და ეს ყველამ იცის. როგორ მიგიღებს საზოგადოება, მოეწონება თუ არა შენი რეპერტუარი – ეს უკვე მეორე ეტაპია და შენზეა დამოკიდებული. პოპულარული აქ ზვერევიც არის, მაგრამ, სხვა მიმართულებით, თორემ, მისი სიმღერები არავის არც უნდა და არც მოსწონს. ის სამოდელო სფეროშია პიპულარული და იქ უფრო მეტი პლუსები აქვს, ვიდრე მუსიკალურ სფეროში.

**– შენ თუ გიცდია სხვა სფეროში მოგესინჯა შესაძლებლობები?**

– არა, ვფიქრობ, არც არის საჭირო. დამატებით შემოსავალზე არ მიფიქრია.

**მარიკა ხიდურელი**

ჰომეოპათიური საშუალება
სედოსანი SEDOSAN




ბუასილის სამკურნალო ბუნებრივი ეფექტური საშუალება

* მიიღება წვეთების სახით.
* იძლევა სწრაფ შედეგს ბუასილის გამწვავების დროს.

გამოიყენება ჰემოროიდული კვანძებით და თანმხლები ანთებითი პროცესებით გამოწვეული მოვლენების დროს; ტკივილი და წვა სწორი ნაწლავისა და უკანა ტანის არეში, ლორწოვანი გამონადენი და სისხლდენა დეფეკაციის დროს, შესივებისა და დაწოლის შეგრძნება უკანა ტანის არეში.

გამოიყენება ყველა ასაკობრივ ჯგუფში

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# რატომ არ დაიხურა ავთო ხურციძემ ასპარეზობისას ცნობილი ბრენდების ქუდები და რაზე თქვა უარი მიზანთან ახლოს მისულმა

**ავთანდილ ხურციძე** *ორგზის მსოფლიოს ჩემპიონია კრივში. მან 21 წლის ასაკში დაწყებული კარიერა მიზნამდე მიიყვანა, თუმცა, მისი გზა ია-ვარდით არ ყოფილა მოფენილი. უამრავი დაბრკოლება ხვდებოდა სპორტსმენს, რომელის გადაჭრაშიც არავინ ეხმარებოდა. დღეს ავთო ხურციძე ლოს-ანჯელესში იმყოფება და საქართველოს სახელით ასპარეზობს.*

**ავთანდილ ხურციძე:** დავიბადე ქუთაისში, ვცხოვრობდი გორაზე. დღემდე მაქვს იქ სახლი, სადაც ჩემი მშობლები ცხოვრობენ. მყავს და-ძმა, ორივე დაოჯახებულია. ვსწავლობდი მე-6 საშუალო სკოლაში. სპორტზე როდესაც მივედი პატარა ვიყავი, 5 წლის. ჩემი ძმა ვარჯიშობდა კრივში და მერე მეც წამიყვანა. 12 წლისამ საერთოდ დავანებე ვარჯიშს თავი. ძალიან თავისებური ვიყავი, არ მომწონდა მწვრთნელების მითითებები, ის ვალდებულებები, რომლებიც მაშინ მქონდა. მწვრთნელი ჩემს ჭკუაზე ხომ არ ივლიდა, ამიტომაც, საერთოდ უარი ვთქვი და წამოვედი. 21 წლისამ მიზნად დავისახე, ჩემპიონი გავმხდარიყავი. დიდი შესვენება გამომივიდა, ამიტომ, შედეგისთვის რომ მიმეღწია, ბევრი ვიშრომე. 21 წლის ასაკში ყველაფერი თავიდან დავიწყე. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს მწვრთნელს, მურთაზ ბებიას.

კრივში დაბრუნება რომ გადავწყვიტე, თავიდან პრობლემები მქონდა, ვგულისხმობ მწვრთნელებს – ასაკიდან გამომდინარე, არ მიმიღეს, მამაშვილურად რომ გეტყვიან, ისე მითხრეს, რომ არაფერი გამომივიდოდა და აქედან დაიწყო ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი: გამიჩნდა მიზანი – მჯეროდა, რომ შევძლებდი და კარგი სპორტსმენი ვიქნებოდი, ამის პოტენციალს ჩემს თავში ვხედავდი. მქონდა ცხრაწლიანი პაუზა, 12 წლის შემდეგ სახლში ვვარჯიშობდი ხოლმე. როდესაც კრივში უარი მითხრეს, დავიწყე კინგ-ბოქსში ვარჯიში. კინგ-ბოქსში გავხდი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი.

**– როგორ მოხვდი კინგ-ბოქსიდან კრივში?**

– საქართველოს ჩემპიონატი ტარდებოდა კრივში და მეც მივიღე მონაწილეობა. კინგ-ბოქსის წარმატების შემდეგ, ქუთაისელმა მწვრთნელებმა თვითონ გამოთქვეს სურვილი, რომ გავსულიყავი და მეასპარეზა და პირდაპირ კრივის ტატამზე აღმოვჩნდი. ამ ჩემპიონატზე 3 ბრძოლა მოვიგე. ამის შემდეგ კიდევ დავანებე ვარჯიშს თავი *(იცინის)* – კვლავ არ მომწონდა რაღაცეები

**– კონკრეტულად რას გულისხმობ? უკვე რამდენი წლის იყავი კიდევ რომ შეწყვიტე ვარჯიში?**

– კრივში ასპარეზობისას პრიორიტეტულია პირველი ადგილი, თუ ამ პოზიციაზე არ ხარ, არ გაქვს დაფინანსება, შეკრებებზეც არ მიჰყავხარ არავის. მე კი, როგორც სპორტსმენს, ეს მჭირდებოდა, თუმცა, მწვრთნელები ამის საშუალებას არ მაძლევდნენ. ამიტომ, ტყუილუბრალოდ ვარჯიშს, კვლავ წამოსვლა ვარჩიე.

**– ამის შემდეგ რა მოხდა? ამერიკაში როგორ აღმოჩნდი?**

– ამერიკაში გავგზავნე ჩემი ბრძოლები, რომ ენახათ. მაინტერესებდა, თუ მოვეწონებოდი, თუ დაინტერესდებოდნენ ჩემით და მიმიწვევდნენ. ეს იყო ჩემი ინიციატივა. მივიღე მოწვევა და მეც გავემგზავრე; დებიუტიც ამერიკაში მქონდა და პირველივე ბრძოლა მოვიგე. სულ 9 ბრძოლა მქონდა და აქედან 6 წარმატებით დავასრულე. ამის შემდეგ საქართველოში ჩამოვედი დროებით, დასასვენებლად. უკან ველარ დავბრუნდი – ვიზა აღარ მომცეს და ასე დავრჩი საქართველოში.

**– შემდეგ რა მოხდა?**

– ამის შემდეგ წავედი უკრაინაში, ისევ ჩემი ინიციატივით. როდესაც უკრაინაში მივდიოდი, ვფიქრობდი, რომ რაღაც განსაკუთრებული დარბაზი დამხვდებოდა, თუმცა, მსგავსი არაფერი ყოფილა, ერთ უბრალო, ჩვეულებრივ დარბაზში ვვარჯიშობდით. შეჯიბრებების შემდეგ მოვეწონე მწვრთნელს და წამიყვანა პრომოუტერთან. ერთი სიტყვით, უკრაინის „კამანდაში" მოვხვდი.

**– უკრაინის სახელით ასპარეზობდი?**

– არასდროს არც ერთი ქვეყნის სახელით არ გამოვსულვარ, გარდა საქართველოსი. ნათქვამია, სადაც ჩახვალ იმ ქვეყნის ქუდი უნ-



საქართველოში „დაკარგვის" მეშინია, რომ ჩამოვიდე

და დაიხუროო, მაგრამ, მხოლოდ ჩემი ქვეყნის ქუდი მეხურა. რადგან ქუდი ვახესენე, დავამატებ, რომ „ნაიკის," „პუმასა" და სხვა ბრენდების წარმომადგენლები მთავაზობდნენ, მათი ქუდი დამეხურა ასპარეზობისას, ფულსაც მპირდებოდნენ, მაგრამ, ყოველი ბრძოლის დროს ჩემი ქვეყნის ქუდით გამოვდიოდი, რომელზეც საქართველოს დროშა იყო გამოსახული და დღესაც ასეა.

**– უკრაინაშიც და ამერიკაშიც საკუთარი სახსრებით წახვედი, ეს არ იქნებოდა მცირე თანხებთან დაკავშირებული...**

– არ მინდა ამ დეტალებზე საუბარი, რომ წაიკითხავენ, იტყვიან, წუწუნებსო. რა თქმა უნდა, ეს არ იყო მცირე თანხებთან დაკავშირებული და ძალიან რთული პერიოდიც გადავლახე. ვიდრე უკრაინული საზოგადოება გამიცნობდა და დამაფასებდა ჩემი სახსრებით მიწევდა ცხოვრება. უცხოურმა მედიამ დიდი გავლენა იქონია ჩემს კარიერაზე – პირდაპირი ეთერით აჩვენებდნენ ბრძოლებს, რაც დამეხმარა იმაში, რომ კარგად გამიცნო საზოგადოებამ. რამდენიმე ბრძოლის შემდეგ დაინტერესდნენ კიდეც ჩემით ჟურნალისტები, მაგრამ, მსგავსი რამ არ ყოფილა საქართველოს მხრიდან. ჩემს წარმატებებს საქართველო ყველაზე ბოლოს იგებს. ხანდახან მრჩება შთაბეჭდილება, რომ საერთოდ არ მიცნობენ საქართველოში. როდესაც ამერიკაში გავემგზავრე, სტამბულში გადაჯდომა მქონდა, იქ მიცნეს ჟურნალისტებმა, მათ მისურვეს წარმატება და ამაზე ლამის ვიტირე – ჩემს ქვეყანას არ გავახსენდი.

**– ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოდან მხარდაჭერა არ გქონია?**

– ამ მხრივ თუ გავაგრძელებთ საუბარს, მომიწევს იმის თქმა, რომ საქართველოზე გული მწყდება. სადაც არ უნდა ვიყო, ხალხისგან მხარდაჭერა სულ მაქვს, ემიგრანტები არიან თუ უბრალოდ, მოქალაქეები. მეუბნებიან, რომ ამაყობენ ჩემით და უხარიათ ჩემი წარმატებები. არ მახსოვს, საქართველოში რამე ჩაეტარებინოთ და ჩემთვისაც ეთქვათ, ან ერთ „ზბორზე" მაინც გავეშვი. არანაირი ინიციატივა არ ყოფილა არასდროს. უბრალოდ, მინდა, რომ ახალგაზრდა მოკრივეებმა გამიცნონ, რჩევები მივცე. ამერიკაში ან უკრაინაში რომ ჩავდივარ, აეროპორტიდანვე ყურადღების ცენტრში ვექცევი, ჩემს ქვეყანაში და ჩემს ქალაქში კი ისე ჩამოვდივარ, ვითომ არაფერი.

**– უკრაინაში რატომ დაგბლოკეს?**

– პრომოუტერთან უსიამოვნება მომივიდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, „ელიტ ბოქსის" ხელმძღვანელს, სტეფან ჩერნავეცკის შევხვდი, რომელმაც მითხრა, რომ ბოლო ბრძოლა იტალიაში უნდა გამემართა და ნაკლებად ძლიერ მოწინააღმდეგეს უნდა შევხვედროდი; თანხაც დაასახელა, რამდენს გადამიხდიდნენ. ბრძოლის მოახლოებასთან ერთად, თანხაც შეიცვალა და, ამის გამო, მოვითხოვე ბრძოლის კონტრაქტი, რომლის ჩვენებაზეც უარი განმიცხადეს. მაშინ მივხვდი, რომ მატყუებდნენ – ჩემთან უნდოდათ სიტყვიერი შეთანხმება, ბრძოლის კონტრაქტს თვითონ მოაწერდნენ ხელს, იტალიელი პრომოუტერები კი ვერაფერს მიხვდებოდნენ. მთავარი იყო, ბრძოლა ჩატარებულიყო ზედმეტი კითხვების გარეშე. ასე დაიწყო ჩემი კარიერის შეჩერება, თითქოს გამათავისუფლეს კონტრაქტიდან. ამ დროს უკვე მსოფლიოს ჩემპიონი ვიყავი, ბევრი მეგობარი მყავდა, მაგრამ, როგორც კი ჩემმა პოპულარობამ იკლო, ყველა ჩამომშორდა და ამ პრობლემას მარტო შევრჩი. ეს საკითხი დღემდე გადაუწყვეტელია – კონტრაქტი ვითომ ძალაშია, მაგრამ, დარღვეულია. საქმის უფრო ჩაძიება არ ღირს, რადგან, დიდი კომპანიაა, ძალიან ძლიერი იურისტები ჰყავთ და ვერაფერს გავხდები. ერთი, რაც ვერ შეძლეს ჩემთან, ის იყო, რომ ვერ გადამაგდებინეს საქართველოს დროშა. როცა საფრანგეთში მივდიოდი, განმიცხადეს, აუცილებლად უკრაინის სახელით უნდა გავსულიყავი, წინააღმდეგ შემთხვევაში, სპონსორები დაფინანსებაზე უარს იტყოდნენ. მაშინ დავაყენე საკითხი: ან გამოვიდოდი საქართველოს ჰიმნითა და დროშით ან საერთოდ არ ვიასპარეზებდი, იმ დათმობაზე წავედი, რომ გავიტანდი უკრაინის დროშას, მაგრამ, ჰიმნი აუცილებლად ქართული იქნებოდა. ბოლოს მაინც ჩემი გავიტანე, შევინარჩუნე საქართველოს მოქალაქეობა, რაც მეამაყება. ჩემი ყველა ბრძოლა საქართველოს ეძღვნება. უკრაინიდან წამოსვლის შემდეგ, მსოფლიოს თითქმის ყველა ორგანიზაციას აცნობეს, რომ მე არალეგალურად ვასპარეზობდი. თუ ვინმე დაინტერესდებოდა ჩემით, ურეკადნენ და ეუბნებოდნენ, რომ მე მათი მოკრივე ვიყავი და ჩემთან მოლაპარაკება არ გაემართათ. არც ის უნდოდათ, მათთან მეასპარეზა და არც სხვაგან მაძლევდნენ ვარჯიშის საშუალებას. ერთი სიტყვით, სამი წელი მომიწია ასეთ სიტუაციაში ყოფნა. ასე გამიმეტეს, უჩემოდ მიიღეს გადაწყვეტილება. ეს იყო ძალიან დიდი განსაცდელი. ცუდია, როდესაც უსამართლობის წინაშე აღმოჩნდები, მაგრამ, დღეს ისევ ვასპარეზობ და ეს არის ჩემი გამარჯვება ამ სამწლიან ჭიდილზე.

**– 35 წლის ხარ. კიდევ რამდენ ხანს აპირებ კრივში დარჩენას?**

– ვფიქრობდი, რომ 35 წლამდე ვიასპარეზებდი, მაგრამ, ჯერ ბოლო მიზნამდე არ მიმიღწევია. ალბათ, სამი წელი კიდევ ვიქნები. კიდევ დამრჩა მოსაგები ბრძოლები, შემდეგ კი საქართველოში ჩამოვალ, ჩემი ბოლო მაინც მანდ არის. თან, უკვე ოჯახის შექმნაზეც ვფიქრობ და ქართველი ქალის გარდა ცოლად არავის მოვიყვან. მინდა დავამატო, რომ გავრცელდა ცრუ ინფორმაცია, თითქოს 5 მილიონი დოლარი მომცეს ერთ-ერთი ასპარეზობისას. ეს არის ტყუილი, ამხელა თანხა ჩემთვის არასდროს გადაუხდიათ.

**ეთო ხურციძე**

# რატომ შეასწავლა ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი მაკედონელმა თავის შვილებს ქართული ენა

822 წელს კახეთში დაიბადა ქართული და ბერძნული ეკლესიის მომავალი წმიდანი, საკვირველმოქმედი ილარიონ ქართველი. მისი მამა მდიდარი აზნაური ყოფილა. მართალია, ილარიონ ქართველის ცხოვრების არც ერთ რედაქციაში გვარი მითითებული არაა, მაგრამ ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, მათი ოჯახი დონაურთა ცნობილი გვარიდან ყოფილა. დონაურების გვარი დიდი მეომრები იყვნენ. ამ გვარის წარმომადგენელი, სამუელ დონაური კახეთში ქორეპისკოპოსი ზუსტად ილარიონის ჭაბუკობისას გახდა. დონაურების მეთაურობით ქართველებმა სოფელ გავაზთან სასტიკად დაამარცხეს არაბთა სარდალი ხალიბ იბნ-იაზიდი, რომელმაც 840-842 წლებში ილაშქრა საქართველოში და ჯავახეთში ჰპოვა სიკვდილი.

შემდეგ დონაურებმა და კახელებმა, წანარებმა, გარდაბნელებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს ბუღა თურქს, არ შეუშვეს არაგვის ხეობაში და ფეხი არ მოაკიდებინეს კახეთის საქორეპისკოპოში.

მომავალი სიამაყე ქართველი ერისა პატარაობაში ძალიან დიდ ნიჭს ავლენდა თურმე. 6 წლის ასაკში მამამ ის თავისი დაბის მღვდელს მიაბარა აღსაზრდელად და პატარა ილარიონიც ბეჯითად სწავლობდა. მამა ძალიან კმაყოფილი იყო და გადაწყვიტა, შვილი ღმერთისთვის შეეწირა. დაიწყო მონასტრის მშენებლობა. მალე მონასტერში 16 ბერი შეიკრიბა.

14–15 წლის ასაკში ილარიონმა გადაწყვიტა გაცლოდა მშობლის ყურადღებას, ქრისტეს მოწოდების შესაბამისად, დაეტოვებინა მამა, დედა, აეღო ჯვარი და ნამდვილად შედგომოდა ქრისტეს გზას. ამ მიზნით, წავიდა გარეჯის მონასტერში და ერთ მღვიმეში დაემკვიდრა. გარეჯის მამათა შორის მალე დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა და 11 მოწაფე გამოუჩნდა კიდეც.

მამა ილარიონის სიწმინდის შესახებ ცნობილი გახდა და უამრავი ხალხი მიდიოდა მის მოსანახულებლად. ამიტომ, თავის მაგიერ მისივე მოწაფე დაადგინა მღვიმის წინამძღვრად და თავის ერთ მოწაფესთან ერთად, იერუსალიმს გაემგზავრა, რათა განრიდებოდა დიდებას.

ნეტარმა მოილოცა იერუსალიმი, თაბორის მთა, ბეთლემი, იორდანის უდაბნო, საბაწმიდის მონასტერი და სხვა. გადმოცემით, წინასწარმეტყველ ელია თეზბიტელის მღვიმეშიც იყო დაყუდებული ერთხანს.

ერთხელაც წმიდა ილარიონს გამოეცხადა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და თორმეტი ნათლით მოსილი კაცი. ყოვლადწმიდამ უბრძანა სამშობლოში გამომგზავრებულიყო.

სამშობლოში დაბრუნებულმა შეიტყო, რომ მისი მამა და ძმა გარდაცვლილიყვნენ. დედამ მამისეული ქონება გადააბარა და უთხრა, როგორც უნდოდა ისე განეკარგა.

მამა ილარიონმა ააშენა დედათა მონასტერი და იქ დამკვიდრდნენ მისი დედა და და. ააშენა მამათა მონასტერიც. ასე შეასრულა ღვთისმშობლის დანაბარები. დარჩენილი ქონება გლახაკებს გაუყო.

მას დიდი წინააღმდეგობა გაუწია დედის ძმამ, რომელიც ითხოვდა წილს ქონებიდან და ნახშირით შეურაცხმყოფელ სიტყვებს წერდა მონასტრის კედლებზე. იმუქრებოდა, რომ დაწვავდა მონასტერს, ილარიონს კი მოკლავდა.

ილოცა მამა ილარიონმა ბიძისთვის, რომელიც ხმამაღლა გაჰყვიროდა და მიწაზე გორაობდა. განიკურნა ნეტარის ბიძა და ფეხებში ჩაუვარდა საამაყო ნათესავს მონანიების სიტყვებით და თავისი ქონებაც მონასტერს შეწირა.

განითქვა წმიდა ილარიონის ამბავი ქართლის ქვეყანაში და უამრავი ადამიანი მიდიოდა მის სანახავად. სთხოვდნენ, ეპისკოპოსობა მიეღო...

კვლავ გაერიდა დიდებას ნეტარი და ორ მოწაფესთან ერთად კონსტანტინოპოლს გაემგზავრა, სადაც არავინ იცნობდა. გზად ულუმბის მთაზე ავიდნენ მოსალოცად. პატარა ეკლესია იპოვეს და იქ გაჩერდნენ. ყველიერის შაბათს, წმიდა ილარიონმა ეკლესიაში კანდელის ასანთებად მოსულ ბერს სთხოვა სეფისკვერი და ზედაშე. მოართვა ბერმა და აღასრულეს ქართველებმა წმიდა ჟამისწირვა, ქართულ ენაზე. ეს ამბავი შეიტყო მონასტრის მამასახლისმა, აღშფოთდა და ბრძანა მათი გაძევება, რადგან არ იყო დარწმუნებული მათ მართლმადიდებლობაში.



იმ ღამეს მამასახლისს სიზმარში გამოეცხადა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი:

– როგორ არ შეიწყნარებ უცხოებს? ქართველები ხომ არიან ამ მთაზე, განა არ იცი? ვინც მათ არ შეიწყნარებს, ჩემი მტერია, რადგან ჩემი ძის მიერ ჩემთვის არიან ისინი ჩაბარებულნი, ჩემი წილხვდომილები არიან შეურყეველი მართლმადიდებლობის გამოო!

ატირებული მამასახლისი გაემართა წმიდა ილარიონისკენ, ფეხებში ჩაუვარდა შენდობის თხოვნით და აფიცებდა, დარჩით აქ, არ წახვიდეთო, რათა ღვთისმშობელს შური არ ეძია მასზე.

– „იყოს ნება შენი, მამაო“! – უთხრა ქართველმა წმიდანმა.

რამდენიმე ხანში, ილარიონ ქართველმა კანდელის ზეთის წასმით სასწაულებრივად განკურნა მამასახლისის ნათესავი ბერი, რომელიც სიყრმიდან მარჯვენა ფეხს იტკიებდა

**დიდი მოკრძალებით სთხოვა ბიზანტიის იმპერატორმა სამ ქართველ ბერს მასთან მიბრძანება და გაუგზავნა საიმპერატორო გემი – დრომონი**

და სთხოვა, არავისთვის ეთქვა ეს ამბავი. მაგრამ, განითქვა მისი სასწაულმოქმედების შესახებ და მრავალი ადამიანი მოდიოდა მის სანახავად.

მოვიდა სამი ქართველი ბერიც. მამა ილარიონმა ულუმბოს მთაზე ქართველთა მონასტერი დააარსა. თუმცა, ქართველები იქ მანამდეც შეიძლება იყვნენ, როგორც ჩანს მამასახლისის სიზმრისეული გამოცხადების ტექსტიდან. მასთან მოდიოდნენ მოქალაქეებიც და სთავაზობდნენ დახმარებას, მაგრამ ის ყველას უარით ისტუმრებდა, ღვთისმშობელი განგვაძღობსო. თვითონ მუშაობდნენ ფიზიკურად და ასე ირჩენდნენ თავს.

ხუთი წელი იყო ნეტარი მამა ულუმბოზე. განითქვა ილარიონ ქართველის სასწაულმოქმედების, სიწმიდისა და უპოვარების ამბავი და კიდევ უფრო მეტმა ადამიანმა ისურვა მისი ნახვა.

ილარიონ ქართველმა თავის მოწაფეები დატოვა ულუმბოს ქართველთა მონასტერში, თან იახლა ერთი მოწაფე და გაემგზავრა კონსტანტინოპოლს ძელიცხოვლის სახილველად და მოსალოცად. შემდგომ რომში გაემგზავრა, პეტრესა და პავლეს საფლავთა მოსალოცად.

კონსტანტინოპოლიდან 12 დღის სავალზე, ერთ ქალაქთან ახლოს, ნახა ერთი ვენახი, რომლის შესასვლელთან კოჭლი კაცი იჯდა. სთხოვა ქართველმა, ერთი მტევანი მომიწყვიტეო. კოჭლმა უპასუხა: – 13 წელია, სიარული არ შემიძლია, მას მერე, რაც ფეხები მოვიტეხე. ამ ვენახის პატრონი მარჩენს... მიბრძანდი და მოკრიფე რამდენიც გენებოსო.

– უფალი გიბრძანებს, ადექი და მომიტანე მტევანი! – განუცხადა ქართველმა წმიდანმა კოჭლს. მართლაც, უმალ განიკურნა მისი ფეხები და სიხარულით გამოუტანა ვენახიდან სასწაულმოქმედ ბერს მტევანი სრულიად ჯანმრთელმა. მაგრამ ბერი იქ არ დახვდა.

ხელში მტევნით ეძებდა ბედნიერი ადამიანი ქალაქში მის განმკურნებელს. კოჭლის სასწაულებრივმა გამოჯანმრთელებამ კი დიდი სიხარული გამოიწვია მთელ ქალაქში და ერთად ეძებდნენ ბერს, მაგრამ ვერ იპოვეს, რადგან მამა ილარიონი სხვა გზით წავიდა.

ორი წელი რომში გაჩერდა წმიდა ილარიონ ქართველი და მოილოცავდა იქაურ სიწმიდეებს, თან უამრავი სასწაული მოახდინა იქ. შემდეგ დიმიტრი თესალონიკელის საფლავის მოსალოცად გაემგზავრა. დიდი ქალაქის, თესალონიკის (სალონიკის) მთავრის სასახლის ჭიშკართან იხილა მსახური ქალი, რომელმაც 4 წლის უძლური ბიჭუნა მზეზე დააწვინა.

ქართველმა წმიდანმა სთხოვა მსახურ ქალს, წყალი მომიტანეო. მხევალი წყლის მოსატანად რომ წავიდა, წმიდა ილარიონი მიუბრუნდა პატარა ავადმყოფს, ჯვარი გადასწერა და უთხრა:

– სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისათა ადექი ჯანმრთელი და წადი შენს დედიკოსთან!

გამოჯანმრთელებული ბავშვი ადგა და გაიქცა. როცა ბავშვის გადია მობრუნდა, პატარას სრულიად განკურნებულს შეხვდა. სიხარულით გაიქცა მხევალი და აუწყა ბავშვის დედას, თესალონიკის მთავრის მეუღლეს სასწაულის შესახებ.

მთავრის ბრძანებით, ქალაქის კარიბჭეები დაკეტეს და სასწაულმოქმედი ბერის ძებნას შეუდგნენ. ქალაქგარეთ, აღმოსავლეთ კარიბჭესთან იპოვეს ილარიონ ქართველი, ფეხებში ჩაუვარდნენ წმიდანს და აუწყეს მთავარს. მიიჭრა ბერძენი დიდებული ქართველ მწირთან, მუხლებში ჩაუვარდა და ფეხებს უკოცნიდა. ნეტარმა წამოაყენა და დალოცა ბედნიერი მამა. თესალონიკის მთავარი ევედრა ილარიონ ქართველს დარჩენილიყო მათთან და შეჰპირდა, რომ ეკლესიას აუშენებდნენ, სადაც ისურვებდა. წმიდანი დათანხმდა. მხოლოდ ითხოვა, ხმელი ორცხობილისა და დამბალი ცერცვის მეტი არაფერი მიეტანათ მისთვის და მისი თაყვანისცემა არ დაეწყოთ.

875 წლის 19 ნოემბერს, 53 წლის ასაკში მიიცვალა დიდი ქართველი წმიდანი თესალონიკში. მთავარმა მარმარილოს ლუსკუმაში ჩაასვენებინა წმიდანის ცხედარი და დაკრძალეს იმ ეკლესიაში, სადაც მოღვაწეობდა. სნეულები მიდიოდნენ მის საფლავთან და იკურნებოდნენ.

ერთხელ მთავრის ვაჟი ავად გახდა. დაუსივდა სარცხვენელი და მუცელი. მთავარმა

(გაგრძელება 86-ე გვერდზე)

# როგორ ექცეოდნენ მსხვერპლად შესაწირ ადამიანს ძველ საბერძნეთში

ერთ-ერთი წეს-ჩვეულება, რომელიც ათენსა და იონიის მსხვილ სავაჭრო პორტებში ძველი წელთაღრიცხვის თითქმის მეხუთე საუკუნემდე შემორჩა, იყო, ეგრეთ წოდებული ფარმაკის მსხვერპლად შეწირვის ჩვეულება. „ფარმაკი" იგივეა, რაც „განტევების ვაცი". ფარმაკად აცხადებდნენ დაბალი წრის ადამიანს ან დამნაშავეს, რომელსაც სასიკვდილო განაჩენი ჰქონდა გამოტანილი. ეპიდემიის, შიმშილობის ან სხვა განსაცდელის დროს ფარმაკი ცხადდებოდა პასუხისმგებლად თანამოქალაქეთა ყველა ცოდვაზე და მას მსხვერპლად სწირავდნენ ღმერთებს. ყველაზე ხშირად ფარმაკს ქვებს უშენდნენ, მაგრამ ამას წინ უძღოდა განსაზღვრული რიტუალი. ზოგიერთ ადგილებში მას წინასწარ კვებავდნენ ლეღვით, ქერის კვერებითა და ყველით, შემდეგ კი როზგის ქვეშ მოატარებდნენ მთელ ქალაქს, ბოლოს, შვიდჯერ ურტყამდნენ წკეპლას სასქესო ორგანოზე, კლავდნენ, წვავდნენ და ფერფლს ზღვაში მოაფრქვევდნენ. ზოგიერთ რეგიონში ფარმაკს ცოცხლად ტოვებდნენ, ოღონდ, ქვების დაშენით ატოვებინებდნენ ქალაქს. ათენში ორ ფარმაკს ირჩევდნენ – ქალსა და მამაკაცს. მათ ლეღვის ტოტების გვირგვინებით რთავდნენ და რიტუალური მსვლელობის შემდეგ აძევებდნენ ქალაქიდან.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მერვე საუკუნის მეორე ნახევარში, იმ დროს, როდესაც საბერძნეთი „ბნელი საუკუნეების" პერიოდის შემდეგ კულტურულ აღორძინებას განიცდიდა; როდესაც ჰომეროსისა და ჰესიოდეს პოემები იქმნებოდა; როდესაც სპარტაში უკვე ლიკურგის კანონები მეფობდა, ხოლო ათენელებს საუკუნეზე ნაკლები რჩებოდათ სოლონის კანონმდებლობამდე, სპარტასა და ახლომდებარე მესენიას შორის ომი გაჩაღდა. პავსანია წერს, რომ მესენიის მეფემ, ტრადიციულად, რჩევა სთხოვა დელფოსის ორაკულს და პასუხად მიიღო, რომ ქვესკნელის დემონისთვის ქალწული ეპიტის სისხლი შეეწირათ მსხვერპლად; ხოლო, თუ ეს მსხვერპლშეწირვა არ შესრულდებოდა, მაშინ ვინმე სხვას, ოღონდ, თავის ნებით, უნდა გაეღო შესაბამისი მსხვერპლი.

ეპიტიდების სამეფო საგვარეულოდან ყველა ქალიშვილი ელოდებოდა წილისყრის შედეგს, რაც ვინმე ლიკისკის ქალიშვილს ერგო. მაგრამ, წინასწარმეტყველმა ეპებოლმა უარყო ქალიშვილის კანდიდატურა იმის გამო, რომ ის ნაშვილები იყო და არ ჰქონდა სისხლისმიერი ნათესაობა ეპიტიდებთან. სანამ საკითხი ირკვეოდა, ლიკისკმა, ყოველი შემთხვევისთვის, თავისი ქალიშვილი მოქიშპე, მტრად მოკიდებულ სპარტაში გადაიყვანა. მაშინ მესენიის სხვა მცხოვრებმა – არისტოდემ, რომელიც იმავე გვარს ეკუთვნოდა, თავისი ნებით, წილისყრის გარეშე შესთავაზა მსხვერპლად შესაწირად თავისი ქალიშვილი. მაგრამ მსხვერპლშეწირვა ახლა სხვა წინააღმდეგობას წააწყდა – ქალიშვილის საქმრომ განაცხადა, რომ ქალიშვილზე მას უფრო მეტი უფლება ჰქონდა, ვიდრე მამამისს. როდესაც ამან არ გაჭრა, მაშინ სასიძომ განაცხადა, რომ ქალიშვილი მისგან ბავშვს ელოდებოდა. შვილის უწესო საქციელით განრისხებულმა არისტოდემ მოკლა ის; მაგრამ, ჩატარებულმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ქალიშვილი მართლაც ქალწული იყო. თუმცა, ქალიშვილის სიკვდილმა არ დააკმაყოფილა წინასწარმეტყველი ეპებოლი. მან განაცხადა. „არ არის არავითარი სარგებელი იმისგან, რომ არისტიდების ქალიშვილი მოკლულია; ის მამის მიერაა მოკლული და არა მსხვერპლად შეწირული იმ ღმერთებისთვის, ვისთვისაც პითიამ ბრძანა ამის გაკეთება. მან ახალი მსხვერპლის გაღება მოითხოვა. განრისხებულმა მოქალაქეებმა საქმროს მოკვლა მოინდომეს, თუმცა, ეს არ აკმაყოფილებდა პითიას მოთხოვნებს, მაგრამ, შემდეგ მესენიის მეფე ევფაიმ დაარწმუნა თავისი ქვეშევრდომები, რომ, რადგანაც ქალიშვილი უკვე მკვდარი იყო, ამით უკვე აღსრულდა ღმერთების ნება და, ის, რაც არისტოდემ გააკეთა მათთვის, დამაკმაყოფილებელია. ეპიტიდების გვარის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მეფე მართალი იყო. ყველამ, იმის შიშით, რომ წილისყრა მათ ქალიშვილზე არ შეჩერებულიყო, ერთხმად დაუკრა კვერი მეფის განცხადებას, რის შემდეგაც კრება დახურეს და ზეიმი განაგრძეს.



გარკვეული აზრით, ქალიშვილის მოკვლამ მართლაც უშველა მესენიის მცხოვრებთ სპარტასთან არსებულ ომში: სპარტელებმა, გაიგეს რა წინასწარმეტყველებისა და იმის შესახებაც, რომ მსხვერპლი იყო გაღებული, საომარი მოქმედებების გაგრძელება შეეშინდათ და ხუთი წლის განმავლობაში პელოპონესის მიწაზე მშვიდობამ დაისადგურა, თუმცა, შემდეგ ომი ისევ გაჩაღდა და მესენიის მდგომარეობა კრიტიკული გახდა. არისტოდეს, რომელიც იმ დროს ქვეყნის მმართველი გახდა, სიზმარში გამოეცხადა შავებით მოსილი ქალიშვილი, რომელიც მახვილით დაჭრილ თავის მკერდსა და მუცელს აჩვენებდა... მაშინ არისტოდემ საკუთარ თავსა და ჩადენილ საქმეებზე დაიწყო ფიქრი, მიხვდა, რომ სულ ტყუილად იქცა შვილის მკვლელად და, ხედავდა რა, რომ ქვეყნის გადარჩენის არავითარი იმედი აღარ რჩებოდა, მის საფლავზე თავი მოიკლა.

პლუტარქე აღწერს, თუ როგორ სწირავდა მსხვერპლს ღმერთებს ათენელი სტრატეგი თემისტოკლე მეხუთე საუკუნის დასაწყისში, ბერძენ-სპარსელთა ომის დროს, საზღვაო ბრძოლის წინ სალამინთან. ამ დროს მას მიჰგვარეს სამი სპარსელი ტყვე, გარეგნობით ძალიან ლამაზები, მდიდრულად შემოსილები და ოქროთი შემკულები. როგორც ამბობდნენ, ისინი სპარსეთის მეფის ძმისშვილები იყვნენ. პლუტარქე წერს: როდესაც ისინი წინასწარმეტყველმა დაინახა, სამსხვერპლოებიდან დიდი ნათელი ალი ავარდა და, იმავდროულად, მარჯვნივ ვიღაცამ დააცემინა, რაც, ასევე, კეთილი ნიშანი იყო. მაშინ ევფრანტიდემ ხელი გაუწოდა თემისტოკლეს და უბრძანა, მსხვერპლად გაეღოთ ახალგაზრდები და ლოცვის შემდეგ ისინი დიონისე ომესტესთვის (რომელიც უმი ხორცით იკვებებოდა) დაეკლათ – მხოლოდ ამ შემთხვევაში ეშველებოდათ და ეღირსებოდათ ელინებს გამარჯვება. თემისტოკლეს თავზარი დაეცა ამ საშინელი და შემზარავი წინასწარმეტყველებით, მაგრამ, ის მაინც აიძულეს, ჩაეტარებინა მსხვერპლშეწირვა ისე, როგორც ეს წინასწარმეტყველმა ბრძანა.

ელინებმა მართლაც ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს სალამინთან, სპარსელების წინააღმდეგ, თუმცა, ეს მოხდა თემისტოკლეს წინდახედულებითა და მისი მხედართმთავრობის წყალობით. რაც შეეხება დიონისესგან დახმარებას, სრულიად გაუგებარია, როგორ შეეძლო ამ ღმერთს, რომელსაც არავითარი ურთიერთობა და შეხება „არ ჰქონდა" არც ომთან, არც ზღვაოსნობასთან, გავლენა მოეხდინა მოვლენების მსვლელობაზე.

**რევაზ ტომარაძე**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | უ | რ | ი | ე | ლ | ი | | ფ | ხ | ა | |
| | | | | | ბ | | | ს | | ს | პ | ა | რ | ტ | ა |
| | | | | | ა | ლ | ბ | ო | მ | ი | | ს | | ი | მ |
| | | | | | დ | ი | ა | ხ | | ა | ზ | ი | ა | ტ | ი |
| | | | | | ლ | | დ | | ც | | ო | | ი | | ლ |
| | | | | | ო | ნ | ა | ბ | ა | | ნ | ი | ც | ა | |
| ბ | ა | ს | კ | ი | | ი | ლ | ა | რ | | ა | ტ | ი | ლ | ე |
| | ნ | | ლ | | | ს | ი | რ | ი | ა | | ა | ტ | უ | |
| გ | ა | რ | ა | ნ | ტ | ი | | დ | ე | მ | ი | რ | ე | ლ | ი |
| | პ | | რ | | | ა | | ო | ლ | ა | ტ | ი | პ | | ს |
| ს | ა | მ | ა | ს | ი | | ნ | | ტ | ო | რ | პ | ე | დ | ო |
| ა | | ი | | ა | რ | ს | ე | ნ | ა | | ო | | რ | | რ |
| კ | ო | ლ | ო | დ | ი | | ვ | | რ | ი | კ | | | | ტ |
| ა | | ე | | ლ | ა | ბ | ა | ბ | ი | | ს | ი | ლ | ვ | ა |
| ნ | ა | რ | ჩ | ე | ნ | ი | | ი | ე | მ | ე | ნ | ი | | ბ |
| ი | მ | ი | ო | გ | | რ | ვ | ა | ლ | ი | | ა | ლ | ი | ლ |
| | რ | | ხ | რ | ა | მ | ი | | ი | რ | ი | მ | ე | დ | ა |
| | ი | ლ | ე | ძ | ბ | ა | ს | | | ბ | | ქ | | რ | |
| კ | | ი | ლ | ე | დ | | ი | | რ | ი | ბ | ა | | ა | მ |
| ა | ი | ც | ი | ლ | ა | გ | | ი | ა | ს | ა | მ | ა | ნ | ი |
| ლ | | ე | | ო | უ | ე | ნ | ს | ი | | თ | | დ | | მ |
| ა | ნ | უ | ი | | ბ | რ | უ | ნ | ო | | უ | ს | ა | მ | ი |
| ძ | | მ | | ი | დ | ა | ც | ა | ნ | | მ | ა | ნ | | ნ |
| ე | მ | ი | ლ | ი | ა | | ა | ნ | ი | რ | ი | | ი | ბ | ო |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 6 | 4 | 5 | 2 | 9 | 7 | 1 | 3 |
| 1 | 9 | 3 | 4 | 7 | 8 | 5 | 2 | 6 |
| 7 | 2 | 5 | 3 | 6 | 1 | 4 | 8 | 9 |
| 5 | 1 | 9 | 8 | 3 | 7 | 2 | 6 | 4 |
| 3 | 8 | 2 | 6 | 4 | 5 | 9 | 7 | 1 |
| 4 | 7 | 6 | 9 | 1 | 2 | 3 | 5 | 8 |
| 2 | 5 | 8 | 1 | 9 | 3 | 6 | 4 | 7 |
| 6 | 3 | 1 | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 2 |
| 9 | 4 | 7 | 2 | 8 | 6 | 1 | 3 | 5 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9 | 4 | 7 | 5 | 8 | 2 | 3 | 6 |
| 5 | 2 | 7 | 6 | 9 | 3 | 1 | 4 | 8 |
| 6 | 3 | 8 | 4 | 2 | 1 | 9 | 7 | 5 |
| 8 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 | 6 | 5 | 7 |
| 7 | 6 | 2 | 3 | 4 | 5 | 8 | 9 | 1 |
| 9 | 5 | 1 | 8 | 6 | 7 | 3 | 2 | 4 |
| 3 | 8 | 6 | 5 | 7 | 2 | 4 | 1 | 9 |
| 4 | 1 | 5 | 9 | 3 | 6 | 7 | 8 | 2 |
| 2 | 7 | 9 | 1 | 8 | 4 | 5 | 6 | 3 |

**„თუ გამოიცნობთ" რუბრიკის პასუხები: 1. არაყს. 2. ადამიანზე ექსპერიმენტების ჩატარების წესს. 3. კაზინოებში – რულეტკა. 4. რძის პროდუქტი და ხორცი ერთად არ არის ქაშერული საკვები და ებრაელებისთვის მიუღებელია. 5. შემოსაზღვრულ სივრცეში ბოლი რომ არ დადგეს. 6. ურანი – ახალაღმოჩენილი პლანეტის. 7. მეზღვაურებს ფორმები არ ეცვათ. 8. მაიმუნად. 9. ბაირონი და შლიმანი. 10. ტიტების მინდვრები.**

**ნანა ნებიერიძის სახლში უსაყვარლესი ჯეკ რასელ ტერიერის ჯიშის ძაღლი ცხოვრობს, სახელად მეილო. ერთი შეხედვითაც მიხვდებით, რომ გატუტუცებული და განებივრებული ჰყავს მის დედობილს. ნანა, ძალიან თბილი და მოსიყვარულეა, მაგრამ მაილოც არანაკლებ მის მიმართ. ასე რომ, დედობილსა და შვილობილს შორის, ისეთი ურთიერთობაა, ნამდვილ დედა-შვილს რომ შეშურდება. რატომ ვერ გაყიდა შვილიშვილები ნანა ნებიერიძემ, საიდან მოხვდა მაილო მის ოჯახში და რატომ დაესწრო მის მშობიარობას, ამაზე თავად მოგიყვებათ.**

# რა სასწაულებს აკეთებს ნანა ნებიერიძის ოქროს თევზი კიკი და რატომ ვერ გაყიდა მან შვილიშვილები

**ნანა ნებიერიძე:** ბავშვობიდან მყავდა ცხოველები სახლში – ძაღლებიდან დაწყებული, ქათმებით, კატებით, კუთი, ზღვის გოჭითა და თევზებით დამთავრებული. მათთან ერთად ვიზრდებოდი. ფრინველები დიდად არ მიყვარს, თუმცა ისინიც მყოლია. ბოლოს მყავდა „ბოქსიორის" ჯიშის ძაღლი და ვგიჟდებოდით მასზე – აფონია ერქვა, უჭკვიანესი იყო. ძალიან მივეჩვიეთ, შეგვიყვარდა, მაგრამ, სამწუხაროდ, კიბო დაემართა და ვერ ვუშველეთ. იმდენი ტრაგედია მაქვს გადატანილი ჩემი ცხოველების გამო, მიკვირს, კიდევ როგორ შემრჩა ნერვები. ჩვენს სახლში ცხოველს როგორც ოჯახის წევრს, ისე ვუყურებთ და მათი სიკვდილი, ნამდვილი ტრაგედიაა. სამიოთხი ძაღლი მოგვიკვდა და რაც მაშინ ვიტირე და განვიცადე, იგივეს ალბათ, ველარ გადავიტან. მათი სასაფლაოც მაქვს და დავდივარ ხოლმე. კოჯრის გზაზე არიან დასაფლავებულები და სულ ვნერვიულობ, მშენებლობა არ წამოიწყონ იმ ადგილას და არ დავკარგო ჩემი ოთხფეხა ოჯახის წევრთა საფლავები. ბავშვობაში მუსიკაზე დავდიოდი, თავს არ ვიქებ, მაგრამ, საკმაოდ ნიჭიერი გახლდით და კარგი პერსპექტივებიც მქონდა ამ მხრივ. სახლში მყავდა უჯიშო ძაღლი, სახელად ჩარლი. ეს სახელი იმიტომ დავარქვით, რომ ჩარლი ჩაპლინივით, სასაცილოდ დადიოდა *(იცინის).* დედა და მამა მუშაობდნენ, არ ეცალათ რომ გამყოლოდნენ და მუსიკაზე მარტო დავდიოდი. ჩარლი კი, სულ მაცილებდა, მელოდებოდა და მერე უკან მომყვებოდა. მოკლედ, მუსიკაზე ერთად დავდიოდით. ტრამვაიშიც ჩემთან ერთად მგზავრობდა. ნამდვილი კავალერი იყო ჩემთვის. სამწუხაროდ, დაბერდა და მოკვდა. არ დამავიწყდება, ასე მეგონა, სამყარო ჩამოიქცა, მის გარეშე როგორ უნდა მეცხოვრა, ვერ წარმომედგინა. მაგრამ, გავიდა დრო და შევეგუე მის გარეშე სიარულსაც და ცხოვრებასაც.

**– დღეს, უსაყვარლესი ძაღლი ცხოვრობს შენთან. თქვენს ურთიერთობას რომ ვაკვირდები, ვხვდები როგორი გათამამებული და განებივრებული გყავს. ხომ ასეა?**

– ნამდვილად ასეა. დღეს, უსაყვარლესი ძაღლი – მაილო მყავს. ის ჩემი მეორე შვილია *(იცინის).* დედაჩემს საკუთარი სახლი აქვს, მაილოს უყვარს ეზოში თავისუფლად ნებივრობა და ამიტომ, დედასთან მყავს დატოვებული. როცა ცუდ ხასიათზე ვარ, გავრბივარ, მაილოს ვეხუტები, ვეთამაშები, ველაპარაკები და ცუდი განწყობაც ქრება. ისეთი პოზიტივია მაილო, ვერ გეტყვით.

**– როგორ მოხვდა მაილო შენთან?**

– მამა „ავჩარკის" ძაღლების ფანი იყო, გიჟდებოდა მათზე და ძირითადად, ისინი გვყავდა სახლში. მაილოსნაირი პატარა ძაღლი, არასდროს გვყოლია. ფილმი „ნიღაბი" რომ ვნახე, გადავწყვიტე, შემეცვალა სტერეოტიპი და ისეთი ძაღლი მიმეყვანა სახლში, როგორიც ამ ფილმშია. ჯეკ რასელ ტერიერი პოზიტიური, ენერგიული ძაღლის ჯიშია. ჩემს ხასიათში ზის და ზუსტად ასეთი მაილო მჭირდებოდა *(იცინის).* ეს ძაღლი არ არის, ჩემი ნამდვილი შვილია. ვამბობ ხოლმე, მე ორი გოგო მყავს სახლში-მეთქი. იმაზე ფიქრიც კი არ მინდა, რომ ამას რაიმე შეიძლება, დაემართოს და დავკარგო. ჩემი მაილო ორი წლის წინ, მეგობარმა მაჩუქა დაბადების დღეზე და უბედნიერესი ვიყავი. ახლა ორი წლის და სამი თვისაა, პირველად რომ ვნახე თვე-ნახევრის იყო, ნამდვილი ბურთი, უსაყვარლესი, გიჟი, არანორმალური და უთბილესი. საქართველოში, ჯეკ რასელ ტერიერის ჯიშის ძაღლები იშვიათია. მაილოს და-ძმაც ჰყავდა, მაგრამ ისინი გააშვილეს. მშობლები კი ასაკოვანი იყვნენ და ამიტომ, გადავწყვიტე, მე ვიყო მისი დედიკო *(იცინის).*

**სიძე სოფლელი მყავს და ახლა ვეძებ ნაღდ თბილისელს**

**– მაილო ბიჭის სახელია, შენი შვილობილი კი გოგოა. რატომ გადაწყვიტე, გოგოსთვის ბიჭის სახელი დაგერქმია?**

– მართალია, გოგოა, მაგრამ რადგან ფილმში მაილო ჰქვია, მეც გადავწყვიტე, ბიჭის ეს სახელი დამერქმია. დედა ბერძენი ჰყავს, მამა კი – რუსი, ასე რომ, სერიოზული ნაჯვარია. თავისი ექიმიც ჰყავს და სულ კონტროლზე ვართ. ცოტა ცანცარაა და სიარული კი არ იცის, მარტო დარბის. იცით როგორ მიირთმევს?

**– როგორ?**

– მაგიდასთან აქვს თავისი ადგილი, სკამზე ახტება, მოკალათდება და ნამდვილი ადამიანივით ჭამს სუფრასთან. თან, თვალებში გიყურებს, იჭყიტება, ვინ რას მივირთმევთ *(იცინის).* ისე გავათამამეთ, რომ ჰგონია, ყველაფრის უფლება აქვს სახლში. კატაც მყავს, თათულია და მაილო და თათულია დაქალები არიან. თათულიას მამაჩემის ფეხებთან სძინავს ღამით, მაილოს კი – დედაჩემთან.



**იმდენი ტრაგედია მაქვს გადატანილი ჩემი ცხოველების გამო, რომ მიკვირს, კიდევ როგორ შემრჩა ნერვები**

**– ესე იგი, მესამე გოგოც გყავს?**

– არა, თათული ჩემი გოგო არ არის, უბრალოდ, ჩვენი ოჯახის წევრია. ის ძალიან გიჟმაჟია, მაგრამ მაილოს კარგად უგებს და მისი დაქალია. არ დაგიმალავთ, თათულია ისე არ მიყვარს, როგორც მაილო და ეს მან იცის.

**– მაილო გოგოა და ალბათ, ბევრი თაყვანისმცემელიც ჰყავს, არა?**

– სასეირნოდ რომ გავდივართ მე და ჩემი გოგო, ძალიან პოპულარულია და მას ყველა ცნობს, ეფერება. შვილებიც ჰყავდა – სამი უსაყვარლესი ლეკვი, ერთიი ბიჭი და ორი გოგო, ანუ ჩემი შვილიშვილები. მირეკავდნენ და მეკითხებოდნენ, ქალბატონო ნანა, ყიდვა გვინდა და რამდენად მოგვყიდით ლეკვებსო. მე კი ვპასუხობდი, შვილიშვილებს არ ვყიდი-მეთქი *(იცინის).* ბევრი მეხვეწებოდა, მაგრამ არ გამიყიდია, გავაჩუქე.

**– სიძე როგორ მოძებნეთ?**

– სიძე სოფლელი მყავს და ახლა ვეძებ, ნაღდ თბილისელს *(იცინის).* სხვათა შორის, ერთი შვილიშვილი მამას ვაჩუქეთ. ასეთი წესი ყოფილა, რომ ერთი შვილი აუცილებლად მამას უნდა მისცე. ისე ვინერვიულეთ მაილოს ორსულობასა და მერე მშობიარობაზე... ნამდვილი კოშმარი გადავიტანეთ. როგორც გითხარით, ამ ჯიშის ძაღლები ძალიან ენერგიულები არიან და მთელი ორსულობა, ანუ ორ-თვენახევარი დარბოდა და დახტოდა. სამი-ოთხი დღე რომ გადასცდა მშობიარობას, ავტეხეთ პანიკა და საკეისრო გავუკეთეთ. არ დამავიწყდება, ექიმმა მითხრა, დაესწარი საკეისრო კვეთას, შენი დახმარება დაგვჭირდებაო. ცოტა შევშფოთდი, რადგან სისხლის დანახვისაც კი მეშინოდა, მაგრამ მაილოს ვჭირდებოდი იმ მომენტში და ეს შიში გადავლახე. ეს იყო ნამდვილი ადრენალინი და არ ვფიქრობდი შიშზე. რთულად გადავიტანე მაილოს ნარკოზი და მშობიარობა, თან ახალდაბადებული ლეკვებიც ვერ იყვნენ კარგად და ვლოცულობდი – ღმერთო, გადამირჩინე ჩემი გოგო და შვილიშვილები-მეთქი. ჩემი გოგო ხასიათით და ცხვირით ძალიან მგავს *(იცინის).* ჩემსავით ენერგიული და მოძრავია, უყვარს ურთიერთობები. სახლში რომ მოვდივარ და თვალებში ჩავხედავ, ზუსტად ვხვდები, რა უნდა, რა უჭირს და როგორ ხასიათზეა. ამას წინათ, მივედი სახლში და რომ შევხედე, დედას ვუთხარი, რაღაც სჭირს მაილოს-მეთქი. გაეცინა, ჰო, ვერ ეძინა კარგად და შენ საიდან მიხვდიო *(იცინის).* ზუსტად ვიცი, როდის სტკივა მუცელი, როდის უნდა მოფერება, გასეირნება და ასე შემდეგ. სხვათა შორის, ოქროს თევზიც მყავს სახლში.

**– ოქროს თევზი, სურვილებს რომ ასრულებს ისეთი?**

– *(იცინის).* სურვილებს არ მისრულებს ჩემი ოქროს თევზი, მაგრამ რომ მელაპარაკება, ფაქტია. სასწაულებს აკეთებს, რომ მოგიყვეთ, ბევრი არ დაიჯერებს, იფიქრებენ, ნებიერიძე გაგიჟდაო. ხომ ამბობენ, თევზი არ ლაპარაკობსო? ჩემი თევზი კი სულ მელაპარაკება. რომ დამინახავს ხტუნავს, გავივლი, მომყვება, გამოვივლი, ისევ მომდევს და თან პირს ამოძრავებს, თითქოს მეუბნება რაღაცეებს, მიყვება.

**– რა ჰქვია შენს მოლაპარაკე ოქროს თევზს?**

– კიკი ჰქვია. იცით, ამას წინათ რა იკადრა? სახლში დაღლილი მივედი, არ მქონდა მასთან საუბრის თავი და სავარძელში იქვე, ახლოს დავჯექი. კიკი ახტა, კუდი მოიქნია და წყალი მომასხა, ანუ მაგრძნობინა, მელაპარაკეო *(იცინის).* სასწაული ვინმეა და აკვარიუმში კი არა, ვაზაში ცხოვრობს. ასე უფრო კომფორტულად გრძნობს თავს. ზღვის გოჭიც მყავდა, სახელად რატატუი. ისეთ ხმას გამოსცემდა, გვაოგნებდა. რატატუი, მაილოს მეგობარი იყო. დალოლავდა ოთახებში და თუ მაცივრის კარის ხმას გაიგებდა, კი არ მოდიოდა, მოფრინავდა, მეც მაჭამეთ რამეო *(იცინის).* აი, ასეთი – ადამიანების, ცხოველებისა და თევზების იდილიაა ჩემს ოჯახში დღესაც.

**ნონა დათეშიძე**

**პრომოუტერი, რომლის სახელსაც უკავშირდება საქართველოში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან დიჯეების ჩამოყვანა და რომელიც არაერთი ფესტივალის ორგანიზატორია, გახლავთ ბიკო ბირბიჩაძე, რომლის სახელს შეიძლება, მივაკუთვნოთ საქართველოში ელექტრონული მუსიკის განვითარება და ამ კუთხით პუბლიკის გაზრდა. მას დღემდე 200-ზე მეტი დიჯეი ჰყავს ჩამოყვანილი ქართული კლუბებისა თუ ბარებისთვის. ბიკო დღეს ჩვენი რუბრიკის სტუმარია.**

# რას კურირებდა პირველად საქართველოში „კაზანტიპის“ რესპუბლიკის კომუნიკაციების მინისტრი და რაზე მოუწია ბიკო ბირბიჩაძეს დუბლინში „თბილისური ტყუილების“ თქმა

**– ბიკო, უპირველეს ყოვლისა, უნდა გკითხო, როგორ მოხვდი „კაზანტიპის“ მინისტრებს შორის?**

– დიდი ხანია, ვმუშაობ პრომოუტერად. ჩამომყავს დიჯეები უცხო ქვეყნებიდან. შესაბამისად, მათთან კარგი ურთიერთობა მაქვს. როდესაც გადაწყდა, რომ „კაზანტიპი“ საქართველოში უნდა ჩატარებულიყო, პრომოუტერობა შემომთავაზეს და მეც უარი არ მითქვამს. ძალიან გამიმართლა, რომ შემარჩიეს.

**– ანუ, პირველად ხარ „კაზანტიპის“ ორგანიზატორებს შორის?**

– კი, პირველად.

**– „კაზანტიპის“ გარდა, რით ხარ დაკავებული?**

– მაქვს სხვადასხვა პროექტი. ერთ-ერთი მათგანია „ლისი ვუდ”, რომელსაც ჩემს მეგობარ ბაჩოსთან ერთად ვახორციელებ. ეს არის ძალიან კარგი პროექტი, რომელიც რამდენიმე წელია, არსებობს.

**– აქამდე როგორ მოხვედი?**

– დავიბადე თბილისში, მყავს მშობლები და ძმა. ვცხოვრობდი პეკინზე და ფალიაშვილზე, სკოლაშიც ფალიაშვილზე დავდიოდი. უნივერსიტეტი ჯერ ინგლისში, შემდეგ თურქეთსა და საქართველოში დავამთავრე. ჩვენთან ვსწავლობდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საერთაშორისოზე.

**– უცხოეთში რას სწავლობდი?**

– პიარს.

**– რატომ ელექტრონული მუსიკა, როდიდან დაინტერესდი ამ სფეროთი?**

– ბავშვობაში ძალიან მინდოდა, გამოვსულიყავი მსახიობი. ბედნიერი ვარ, რომ ამ კუთხითაც ვცადე ბედი. 4 ფილმში გადამიღეს. მუსიკა ყოველთვის მომწონდა. გამუდმებით ვუსმენდი. მიმაჩნია, რომ ბავშვობიდან ხარისხიან მუსიკას ვეცნობოდი. ძალიან კარგად მახსოვს ის დღე, დუბლინში სასწავლებლად რომ ჩავედი. შაბათი იყო. ჩასვლისთანავე ჯგუფებად დაგვყვეს და სახლებში გაგვანაწილეს. მაშინ ვიყავი 15 წლის. ჩემს ჯგუფში იყო კიდევ 2 პოლონელი გოგო. საღამოს მომივიდა იდეა, ღამის კლუბში წავსულიყავი. ჩავიცვი შავი ჯინსი, მუხლზე გადავხიე, მაისურს საყელო მოვაჭერი, უფრო თავისუფლად რომ ვყოფილიყავი და შევუარე ახლად გაცნობილ მეგობებს. ესპანელი ბიჭის კარზე რომ დავაკაკუნე, თვალცრემლიანმა გამიღო – ჯერ არ ჩამოსულს ოჯახი ენატრებოდა, მშობლებთან უნდოდა. რუსს ეძინა, ხოლო პოლონელი გოგონები თამაშობდნენ თავისთვის. მივხვდი, რომ ამათთან ღამის კლუბის ხსენებაც კი, სისულელე იყო. იმიტომ კი არა, რომ ინფორმაცია არ ჰქონდათ მის შესახებ, უბრალოდ, ჯერ კიდევ პატარები ვიყავით. გადავწყვიტე, მარტო წავსულიყავი. ძალიან სასაცილო იყო დაცვის რეაქცია, როცა მივედი. მკითხეს ასაკი და მომთხოვეს პირადობა. ვუპასუხე 18 წლის ვარ, პირადობა კი, თან არ მაქვს-მეთქი. თბილისურად დავიწყე მოტყუება *(იცინის).* მათ მითხრეს, რომ აქ 21 წლიდან უშვებდნენ ახალგაზრდებს. თუმცა, ჩემი ჩაცმულობით თუ იმსჯელებდნენ, კლუბში შეშვება შეიძლებოდა. იქვე, იყო ერთი გოგონა, რომელსაც ეცინებოდა ჩემზე, კლუბში შესვლის ასეთი სერიოზული ამბიცია რომ მქონდა. ამ გოგონამ აიღო პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე და დაცვასთან დიდხანს საუბრის შემდეგ, კლუბში შემიყვანა. თუმცა, რასაც ვფიქრობდი, ის გარემო და სიტუაცია იქ არ დამხვდა. კომერციული ხასიათის და არასწორი მუსიკა იყო. მომეწონა, რომ მე ამას მივხვდი. მაშინ ბევრად უფრო გემოვნებიანი მუსიკოსების შემოქმედებას ვუსმენდი, როგორებიცაა: კასიუსი, ესი ჯაზი. მომწონდა როდესაც იყო ბრეინგ-დაენი და მუსიკა შემდეგ შედიოდა. აქედან დამებადა სურვილი, ამ სფეროს გავყოლოდი. ბევრად მეტი ვიცოდი და მესმოდა, ვიდრე დუბლინის იმ კლუბში უსმენდნენ. შემდეგ, ძმასთან ერთად ვიყავი ინგლისსა და თურქეთში. იქაც ძალიან ხშირად დავდიოდით კლუბებში. საქართველოში რომ ჩამოვედი, პირველ ფესტივალზე მიმიწვიეს. ვკურირებდი მუსიკოსებს და ასევე, მოდების ჩვენება მევალებოდა. მაშინ საკმაოდ პატარა ვიყავი, 17 წლის. ამას დაემატა „ყინულის ფესტივალი,“ რომელიც გუდაურსა და ბაკურიანში ტარდებოდა. აქ ვმონაწილეობდი, როგორც პროდიუსერი, მხოლოდ მუსიკალურ მხარეს ვკურირებდი. მივხვდი, რომ ეს იყო ის, რაც მინდოდა. მომწონდა, რასაც ვაკეთებდი ამიტომ, მივყევი ამ სფეროს ბოლომდე. პირველი, რამაც ჩემში ასე ვთქვათ, გადატრიალება მოახდინა, იყო „ბუქა შეიდი“. ამ პერიოდში, ასევე, ვმუშაობდი ნავთობისა და გაზის კორპორაციაში, მაგრამ მუსიკას სულ სხვა ადგილი ეკავა ჩემს ცხოვრებაში. შემდეგ უკვე, თვითონ დავიწყე თბილისში დიჯეების ჩამოყვანა.



**მყავს მეგობარი გოგონა – მატილდა, რომელიც ფრანგია**

**– კონკრეტულად, რომელი კლუბისთვის ჩამოგყავდა თბილისში ეს ხალხი?**

– 2008 წლიდან დღემდე ჩამოყვანილი მყავს 200 დიჯეიზე მეტი. ვმუშაობდი „სვიჩში“, „ფეშენ-ტივის“ ბარისთვის, ბათუმში კლუბ „ტარაბუასთვის“ და სხვა ბევრ ადგილზე. იყო შემთხვევა, მეგობრებთან ერთად ვგეგმავდი ფესტივალის ჩატარებას, მაგრამ ომის პერიოდი დაემთხვა და სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა. თუმცა, შემდეგ არაერთი პროექტი განვახორციელეთ, რამაც ჩვენც გაგვზარდა და ჩვენი მსმენელიც. აუცილებლად უნდა ვახსენო ლისის ტბის პროექტი, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული ენერგეტიკითა და აურით. ამ ფესტივალს, შეიძლება ითქვას, ვიწრო წრეში ვატარებთ, შეზღუდულია დასწრება. დღეს ჩამომყავს დიჯეები კაფე „გალერისთვის“ და მტკვარზე.

**თუ „დამისტვენენ,“ აუცილებლად წავალ. ამ პროექტის ორგანიზატორებიდან ზოგი რუსია, ზოგიც ლიტველი და უკრაინელი. რატომაც არა, ეს იქნება საუკეთესო შემოთავაზება ჩემთვის**

**– დუბლინში ჩასვილსას, რატომ შეიცვალე იმიჯი?**

– სიმართლე გითხრა, ახლა მეც მაგაზე ვფიქრობდი. არ მახსოვს, ალბათ, ფილმი ვნახე და მივბაძე რომელიმე გმირს. სულ ვუსმენდი მუსიკას, ამანაც გავლენა იქონია. ახლაც მეცინება, რომ მახსენდება. შარვალი მესმის კიდევ, მაგრამ მაისურს რატომ მოვაჭერი საყელო, ამას ვერ ვხვდები *(იცინის).* მაშინ ასე არავინ დადიოდა, მით უმეტეს, საქართველოში.

**– ხშირად მოგზაურობ. ახლახან ჩამოხვედი ბარსელონიდან. უცხოეთში ვიზიტები შენს კარიერას ეხება თუ უბრალოდ, როგორც ტურისტი, ისე დადიხარ?**

– ბარსელონაში ახლახან ვიყავი და მინდა ვთქვა, ეს იყო საუკეთესო მოგზაურობა, რომელიც კი ოდესმე მქონია. „რეალობად ქცეული ზღაპარი” დავარქვი *(იცინის).* პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ისეთ ადამიანთან ვიყავი ჩასული, რომელიც ძალიან ძვირფასია ჩემთვის – ყველაზე მაგარი მეგობარია. ეს არის სოფო სუხიაშვილი. სოფო არის პიროვნება, რომელთან მეგობრობაც მხოლოდ კარგი კი არაა, ძალიან საინტერსოა. გოგო რომ ვყოფილიყავი, ვიქნებოდი სოფო სუხიაშვილი *(იცინის).* ასეთი კარგი მოგზაურობა, ჯერ მართლა არ მქონია. ეს, რა თქმა უნდა, ჩემს სფეროსაც ეხება, დავდივარ სხვადასხვა ფესტივალზე, კლუბებში და ასე შემდეგ. მაგრამ, არც ტურისტული თვალსაზრისით ვიკლებ სიამოვნებას. ძალიან მაინტერესებს მათი კულტურა და ისტორია, მაგრამ უფრო ვცდილობ, ჩემს საქმეს მოვარგო ყოველი ქვეყანა.

**– პირად ცხოვრებაზე რას გვეტყვი?**

– მოდი, ზოგადად ვისაუბრებ. იმდენ საქმეში ვარ ჩართული და თითოეულს ძალიან ბევრ დროს ვუთმობ, ხშირად ვმოგზაურობ, ამიტომ, ძირითადად, აქცენტი აღებული მაქვს გართობაზე, სერიოზულად ჯერ არაფერს ვფიქრობ. დროც არ მრჩება ამისთვის. მყავს მეგობარი გოგონა, მატილდა, რომელიც ფრანგია. მაგრამ, როგორც ასეთი, სერიოზული ურთიერთობა არ მაქვს.

**– როგორ ფიქრობ, რა დონეზეა საქართველოში ელექტრონული მუსიკა?**

– ჩემი აზრით, ჩვენთან, ელექტრონული მუსიკა საკმაოდ განვითარდა და ახლა უკვე მაღალ საფეხურზე დგას. ამას არ ვფიქრობ მხოლოდ მე, ასე მიიჩნევენ, აქ ჩამოსული დიჯეებიც. როდესაც „კაზანტიპის“ პრეზიდენტი, ნიკიტა მარშუნოკი მყავდა წაყვანილი სხვადასხვა ფესტივალზე, ძალიან მოეწონა. უკვე განვითარებულია ჩვენი პუბლიკა და ღამის კლუბები.

**– თუ „კაზანტიპი“ უკრაინაში დაბრუნდება, შენც გაჰყვები?**

– თუ „დამისტვენენ“ აუცილებლად წავალ. ამ პროექტის ორგანიზატორებიდან ზოგი რუსია, ზოგიც ლიტველი და უკრაინელი. რატომაც არა, ეს იქნება საუკეთესო შემოთავაზება ჩემთვის. ეს ღონისძიება საქართველოში მინიმუმ 10 წელზეა გათვლილი. პროექტის პრეზიდენტი, ნიკიტა მარშუნოკი, თავად ისეთი პიროვნებაა, რომ გამორიცხულია, ეს ღონისძიება ცუდი იყოს. ვფიქრობ, ჩვენთან აუცილებლად გაამართლებს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა საქართველოსთვის. ყველამ ხელი უნდა შევუწყოთ, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიაროს.

**ეთო ხურციძე**

**ეთნიკური ჯგუფი ისტორიულად ჩამოყალიბებული ადამიანთა მდგრადი ერთობაა, რომელიც არსებობს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე და დანარჩენი მოსახლეობისგან განსხვავდება ადათ-წესებით, ენით, კულტურითა და რელიგიით. საქართველოში, განსაკუთრებით კი თბილისში, ჭარბად შეხვდებით სხვადასხვა ეროვნების ხალხს: სომხებს, ოსებს, ქისტებს, აფხაზებს, აზერბაიჯანელებსა და სხვა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ისტორიკოს მიხეილ ბახტაძეს გავესაუბრეთ.**

# როდიდან ჩნდებიან საქართველოს ტერიტორიაზე ოსები, ქისტები, აფხაზები, სომხები და რა იყო მათი ჩამოსახლების რეალური მიზეზი

**– ბატონო მიხეილ, როდის დაიწყო საქართველოში ოსების, ქისტების, სომხების, აფხაზებისა და აზრბაიჯანელების მასშტაბური მიგრაცია?**

– საქართველოში ოსების თავდაპირველი შემოსვლა მონღოლთა და თემურ ლენგის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ველებზე ოსების დარბევამ და განადგურებამ განაპირობა. ამ შემოსევების შედეგად, ოსები იძულებულნი გახდნენ, მიეტოვებინათ თავიანთი საცხოვრებელი ადგილები და თავი ცენტრალური კავკასიონის ხეობებში შეეფარებინათ. ოსები, დაახლოებით, მე-13 საუკუნიდან იწყებენ საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსვლას, თუმცა ეს არ იყო მასშტაბური ხასიათის. ამ პერიოდში ძალიან მცირე ნაწილი გადმოდიოდა საქართველოს ტერიტორიაზე. დავით ულუს დროს, მე-13 საუკუნის 60-იან წლებში ოსების ორმა ტომმა გადმოლახა ჩვენი ქვეყნის ტერიტორია. მონღოლებმა დავით ულუ აიძულეს, რომ ისინი საქართველოს ტერიტორიაზე დაესახლებინა. ოსების ჩამოსახლება საქართველოში, ეს იყო ჩვეულებრივი პროცესი, ეგრეთ წოდებული, „მთის ჩამოწოლა ბარში,“ მათ დაიკავეს გორი. ამ ყოველივეს ხელს უწყობდა, ცენტრალური ხელისუფლების სისუსტე. გიორგი ბრწყინვალე იყო პირველი მეფე, რომელმაც გორი გაათავისუფლა ოსებისაგან. მე-19 საუკუნიდან კვლავ დაიწყო მათი მიგრაცია. თუმცა ეს პროცესი უკვე სხვა მხრივ წარიმართა. ქართველმა მებატონეებმა ისინი საკუთარ სამფლობელოებში დაასაქმეს. ეს განპირობებული იყო იმით, რომ ბრძოლების შედეგად, საქართველოს მოსახლეობა შემცირდა. აკლდათ მუშახელი, ჯარისკაცი და ასე შემდეგ. აქედან დაიწყო მათი მასშტაბური დასახლება. ისინი ძირითადად მთისწინეთში ცხოვრობდნენ, ბარში მცირე ნაწილი ბინადრობდა. 1921 წელს, საქართველოს საბჭოთა კავშირში შესვლის შემდეგ, შეიქმნა ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომლის ცენტრად ცხინვალი გამოცხადდა. აღსანიშნავია, რომ იმ დროისთვის ცხინვალში, ოსების ძალიან მცირე ნაკადი ცხოვრობდა. მოსახლეობის ძირითად ნაწილს ქართველები შეადგენდნენ. ცხინვალი გამოაცხადეს ოლქის დედაქალაქად, მაშინ, როცა იქ 3 თუ 4 ოსი იყო სულ. ოსებმა ბარში ჩამოსახლება საბჭოთა კავშირის დროს დაიწყეს. ქისტებთან ურთიერთობა ყოველთვის გვქონდა იმიტომ, რომ კავკასიელი ხალხია. ისინი პანკისში დაახლოებით მე-18 საუკუნეში სახლდებიან. გადმოდიან ჩეჩნეთიდან და ბინას იდებენ ჩვენს ტერიტორიაზე, მაგრამ, ძირითადად, მათ საცხოვრებელ ადგილს პანკისის ტერიტორია წარმოადგენდა. სომხები, რთული საკითხია იმიტომ, რომ ისინი სამხრეთიდან გვემეზობლებიან, ხოლო სამხრეთის საზღვარი საქართველოში ხშირად იცვლებოდა. მიუხედავად იმისა, ჩვენ ძლიერები ვიყავით თუ სუსტები, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ყოველთვის შერეული მოსახლეობა იყო. მაშინ კონკრეტულ ხაზს ვერ გავავლებდით საქართველოსა და სომხეთის გასამიჯნად. რაც შეეხება სომხების დასახლებას არასასაზღვრო რეგიონში, მაგალითად, გორში, მათ დასახლებას საფუძველი დავით აღმაშენებელმა ჩაუყარა. ვინაიდან ისინი იყვნენ ვაჭარი ხალხი. ქართველები ვაჭრობას ნაკლებად ვეძალებოდით. იმ პერიოდში ეს სათაკილო საქმედ მიგვაჩნდა, სომხები კი პირიქით – არსებობის წყაროდ მიიჩნევდნენ. ქვეყანას სჭირდებოდა მოვაჭრეები და დავითმაც შექმნა მათი ქალაქი. კონკრეტულად, როდის დასახლდნენ სომხები საქართველოს ტერიტორიაზე, ვერ ვიტყვით. ეს არის რთული საკითხი. დღეს სომხები, ძირითადად, დასახლებულნი არიან ჯავახეთის ტერიტორიაზე, ახალქალაქის რაიონში, აქ ისინი გაჩნდნენ მე-18 საუკუნის 30-იან წლებში. რუსეთმა გააკეთა ყველაფერი, რომ ამ ტერიტორიიდან ქართველები წასულიყვნენ და სომხები ჩამოსახლებულიყვნენ. ქართველებს სურდათ, ჯავახეთში ზემო იმერეთიდან ჩამოესახლებინათ ხალხი, თუმცა ეს სურვილად დარჩა. ჯავახეთი, ვითომ ეს იყო ძველი სომხური მიწა და ასე შემდეგ, ზღაპარია. ის არასდროს ყოფილა სასაზღვრო ტერიტორია და ყოველთვის ჩვენს ფარგლებში შემოდიოდა. ასევე, დავამატებ, რომ ჯავახეთში შერეული მოსახლეობა არ არსებობდა. სომხების ჩამოსახლება, ეს იყო რუსების გეგმა. მათ უნდოდათ საქართველოში ეთნიკური დემოგრაფიის შეცვლა. ამიტომ, სხვადასხვა ეროვნების ხალხი ჩამოასახლეს და შეურიეს ქართველებს. ესენი არ იყვნენ მარტო სომხები, მათ რიცხვში შედიოდნენ: პოლონელები, გერმანელები, სექტანტები და სხვა.



**სომხების ჩამოსახლება, ეს იყო რუსების გეგმა. მათ უნდოდათ საქართველოში ეთნიკური დემოგრაფიის შეცვლა**

თბილისში, რომ სომხური ბურჟუაზია იყო ძლიერი, ამას თავისი მიზეზებიც ჰქონდა. რუსებს ერჩივნათ, საქართველოში სომხური ბურჟუაზია ყოფილიყო, ვიდრე – ქართული. ბურჟუაზია ყოველთვის იყო ეროვნული მოძრაობის მედროშე, შესაბამისად, ქართული ბურჟუაზია, ადრე თუ გვიან, გახდებოდა ეროვნული მოძრაობის ლიდერი, რაც რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა. ამ ყოველივემ განაპირობა, რომ სომხების როლი თბილისში ძლიერი იყო.

**– გავაგრძელოთ, აფხაზებსა და აზერბაიჯანელებზე რას გვეტყვით?**

– ქართველი მეცნიერები დღემდე არ ვართ შეთანხმებულები, აფხაზების დასახლებასთან დაკავშირებით. კონკრეტულად, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, ის აფშირებია, რომლებიც ანტიკურ წყაროებში მოიხსენიება თუ აბაზგები, რომლებიც ქართულ წყაროებში წერია. ასევე, არსებობს მოსაზრება, რომ ისინი საერთოდ სხვა ხალხია. ქართველი მეცნიერების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ანტიკურსა და ქართულ წყაროებში მოხსენიებული ხალხი ერთი და იგივეა. აქედან გამომდინარე, ვერ გეტყვით, თუ როდის ჩამოვიდნენ ისინი საქართველოს ტერიტორიაზე. მეორე შეხედულების მიხედვით, დღევანდელი აფსუები, ადამიანები, რომლებიც აფხაზეთში ცხოვრობენ და თავიანთ თავს აფსუებს უწოდებენ, არ არიან შთამომავლები ძველი აფშირებისა. უკანასკნელი მოსაზრება, თავის დროზე პავლე ინგოროყვამ გამოთქვა, ანალოგიურს ფიქრობდა ნიკო ბერძენიშვილიც. ამის გამო დაიწყეს მათი დევნა და წიგნების განადგურება. ეს იყო კომუნისტების დროს, ნიკო ბერძენიშვილის წიგნი საერთოდ დაჭრეს. იმ ადგილებს იღებდნენ წიგნიდან, სადაც საუბარი იყო აფხაზებზე. ამ თეორიის მიხედვით, მე-17 საუკუნეში, აფხაზეთის ტერიტორიაზე ხდება ადიღედან, ჩრდილოეთ კავკასიიდან, ადიღეური ტომების ჩამოსახლება. აქაც იგივე პროცესია, რაც ოსების შემთხვევაში, ანუ „მთის ჩამოწოლა ბარში.” მთა ვერ იტევს მოსახლების დიდ რაოდენობას, ამიტომ მიგრაცია ბუნებრივი პროცესია. ადამიანთა ჩამოსახლება ხდება ყოველთვის დაბლობისკენ, ბარისკენ. აფხაზეთის ზღვისპირეთის დაცარიელების ერთ-ერთი მიზეზი იყო მუდმივი ბრძოლები, ოსმალთა შემოსევები, მათი ბატონობა... ისინი განსხვავდებიან იმ აფხაზებისგან, რომლებიც იყვნენ, დავუშვათ, მე-8 საუკუნეში. პირადად, მე პავლე ინგოროყვას მოსაზრებას ვემხრობი, თუმცა ეს არაფერს ნიშნავს. შეიძლება, ვცდები და პირველი მოსაზრებაა სწორი. აფხაზებს, პავლე ინგოროყვას სახელის ხსენებაც არ უნდოდათ. ეს ორივე არის მეცნიერთა თეორია, რომლებზეც დღემდე არ არსებობს კონსენსუსი. აზერბაიჯანელები, ძირითადად ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ცხოვრობენ. იმ მხარეს ბორჩალოს ვეძახით, მათი ჩამოსახლება უკავშირდება შაჰ-აბასს. მან გიორგი მეათეს, მე-17 საუკუნის დასაწყისში, ქვემო ქართლის ტერიტორია ჩამოართვა. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო მათი ჩამოსახლება.

**– როგორ ფიქრობთ, დღევანდელი გადმოსახედიდან, ისტორია რა როლს ასრულებს პოლიტიკაში?**

– ისტორიაში ყველაფრის ცოდნაა სავალდებულო: ვინ სად მოვიდა, რატომ მოვიდა და ასე შემდეგ. მაგრამ, ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს გამოყენებული პოლიტიკური საკითხების გადასაწყვეტად. ისტორიული საკითხებით პოლიტიკური პრობლემები არ გვარდება. ჩვენ ვერ ვეტყვით ვერც სომხებს, ვერც ოსებს, წადითო. ისინი თაობებია, უკვე საქართველოში ცხოვრობენ და შეეზარდნენ ჩვენს ადათ-წესებს, უბრალოდ, მათ უნდა იცოდნენ, რა და როგორ იყო. საიდან აღმოჩნდნენ ჩვენს ტერიტორიაზე, ამის ცოდნა მხოლოდ სხვა ეროვნების ხალხს არ მოეთხოვება. ეს, უპირველესად, ქართველმა უნდა იცოდეს.

**– მიგრაციების დროს, საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, განსაკუთრებით რომელ პერიოდში იყო კრიზისული?**

– მათი ჩამოსახლება საქართველოს ტერიტორიაზე ძირითადად ხდება მე-17 საუკუნიდან, არ ვგულისხობ აფხაზებს. ეს ის პერიოდი გახლდით, როდესაც ჩვენი ქვეყანა ყოველმხრივ სუსტი იყო. ეს მიგრაციაც ქვეყნის სისუსტემ განაპირობა. თუ ქვეყანა ძლიერია და ეკონომიკურად განვითარებულია, მაშინ მშვიდად ხარ და მოსახლეობის საკმაო რაოდენობაც გყავს, ადგილი აღარ გრჩება სხვა ერის ჩამოსასახლებლად. საქართველოს უჭირდა იმ პერიოდში. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ცუდები ვიყავით, პირიქით, ძალიან კარგები ვართ და ყველას იმიტომაც უნდა ჩვენს ტერიტორიაზე ცხოვრება, არასოდეს არავის ვდევნიდით, ვინც კი თავს შეგვაფარებდა. ის ხალხიც აფასებდა ამას. ისინიც იბრძოდნენ ჩვენთან ერთად, როცა საჭიროება მოითხოვდა და გვერდში გვედგნენ.

**ეთო ხურციძე**

**ბევრს აინტერესებს, როგორ შეიძლება, ადამიანმა თავისი კონკრეტული ქმედებებით შეიქმნას მომავალი, რა გავლენას ახდენს მასზე ციური სხეულები, მოქმედებს თუ არა პლანეტები, და მათზე მიმდინარე პროცესები ჩვენს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, ჯანმრთელობაზე, ბედ-იღბალზე, და შეგვიძლია თუ არა, ნეგატიური ენერგიის პოზიტიურად გარდაქმნა. ამ კითხვებით მივმართეთ, ასტროლოგ თორნიკე ბიძინაშვილს, რომელიც საქართველოში, ერთადერთი ასტრო-ეზოთერული ცენტრის ხელმძღვანელია.**

# როგორ ქმნის ადამიანი სახლში აურას და როგორ მოქმედებს ის ჩვენს ბედ-იღბალზე

**თორნიკე ბიძინაშვილი**: ასტროლოგია ეს არის გზამკვლევი იმისა, რომ ადამიანმა გააცნობიეროს ცხოვრებისეული სირთულეები და წარმატების მოპოვების გზები. ყველა უნდა იცნობდეს პირად ჰოროსკოპს, რათა ღრმად შეიცნოს საკუთარი პიროვნება, გააცნობიეროს დადებითი და უარყოფითი მხარეები, მოახერხოს მატერიალურ სამყაროში რეალიზება და შეასრულოს თავისი კარმული მისია. რელიგია და ასტროლოგია ძველად განუყოფელი იყო. ისტორიულად ცნობილია, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები ინიშნებოდნენ ასტროლოგიურად. ყველა ჩვენს დიდ მეფეს ჰყავდა პირადი ასტროლოგი. დავით აღმაშენებლის აკადემიაში კი ვარსკვლავთმრიცხველობაც ისწავლებოდა. აქვე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ასტროლოგია არ ეწინააღმდეგება რელიგიას. ის არ არის მკითხაობა ან ცრურწმენა. ასტროლოგია მიგვითითებს იმ პოტენციალზე, რაც ადამიანს დაბადებისას აქვს. მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის თავის შეცნობის ერთ-ერთი ფორმა, სამყაროს გარკვეულ კანონზომიერებებში გარკვევა.

**– ცნობილია, რომ ადამიანზე მოქმედებს ყველანაირი გარემო, ამას ყველა გრძნობს. მაგალითად, ზოგი სახლში თავს აფორიაქებულად გრძნობს, ზოგი კი – მშვიდდება, მაგრამ ამის გაცნობიერება და ახსნა, არ შეუძლია. რატომ?**

– ყველაზე დიდ დროს ადამიანი სახლში ატარებს. თუ არ ატარებს, მის ცნობიერებაში სახლი მაინც ძირითადი საყრდენია – პირველი ყველაზე ახლო სამყაროა, რასაც ის ეხება თავისი აღქმით. და გასაგებია, რომ სწორედ სახლი თავისი ავეჯით, ნივთებით, იმ ენერგიებით, რასაც ეს ნივთები გასცემს, მოქმედებს ადამიანზე. კედლებიც კი, ცნობილი ფრაზებია: „კედლებს ყურები აქვს;" „კედლებს რომ ლაპარაკი შეეძლოთო"... სინამდვილეში, ეს ლოგიკას მოკლებული გამონათქვამები არაა. სწორედ კედლებია მიმღები და შემნახავი იმ ადამიანების ემოციებით გაცემული ენერგიებისა, მასში მცხოვრებნი რომ გასცემენ. არის სახლები, რომელშიც სიმშვიდე და სიმყუდროვეა, არის სახლები, სადაც მძიმე აურაა და იქ დიდხანს ვერ ჩერდება ადამიანი. ამ სახლის აურას ქმნიან ადამიანები, მაგრამ იმას უკვე ველარ ფიქრობენ, რომ ეს აურა ყველაზე იმოქმედებს, ვინც კი მათ სახლში აღმოჩნდება. სინამდვილეში ეს მართლაც ასეა. ხდება ხოლმე, როცა ოჯახი გაყიდის სახლს და სხვაგან გადავა, მათი ცხოვრება მოულოდნელად იცვლება უკეთესობისა და უარესობისკენ.

**– ნათქვამია, სახლის გამოცვლამ, ბედის გახსნა იცისო...**

– დიახ, უძველესი დროიდან არსებობს ასეთი გამონათქვამი. კერძოდ, უძველესი დროიდან ეს ცოდნა არსებობს, ბევრ ადამიანს აქვს ბებიისგან და წინაპრებისგან ნასწავლი, ზოგიც ინტუიციურად ხვდება. მაგრამ, რომ გააცნობიეროს და თავად განსაზღვროს, რა, სად და როგორ ჯობია, ეს უჭირს. მაგალითად, ადამიანმა სახლში, ნახევარ წელიწადში ერთხელ მაინც უნდა შეცვალოს ავეჯი და განაახლოს ინტერიერი. ამის გაკეთება ნამდვილად კარგად და განმაახლებლად მოქმედებს ოჯახის წევრებზეც.

**– იქნებ უფრო ზუსტად დაგვიკონკრეტოთ, როგორ მოქმედებს სახლში არსებული ნივთები ადამიანზე?**

– გამოვიყენებ ერთ ფსიქოლოგიურ ტერმინს, რომელსაც „ღუზას" უწოდებენ, ანუ მასტიმულირებელს, რაც ქვეცნობიერში აღწევს თავად ადამიანის მიერვე, გაუცნობიერებლად და მოქმედებს მასზე. ეს არის დიდი და რთული სისტემა, მაგრამ შეგვიძლია, წარმოდგენა, როგორ მუშაობს. ის, ყოველი ნივთის აღქმის აქტივაციის მომენტში ირთვება და აქტიურდება ყველაფერი, რასთანაც ეს საგანი ასოცირდება. მაგალითად, იასამნის სურნელი და ფერი ასოცირდება კარგთან, სასიამოვნოსთან, სასიხარულოსთან, გაზაფხულთან; დამჭკნარი და უსუნო ყვავილი კი – ნეგატიურთან. გამარჯვებისას მოპოვებული თასი ან მედალი იმ გამარჯვებას და სიამაყეს, წარმატების გრძნობას გვახსენებს, რაც იმ მომენტში განვიცადეთ. დაჟანგებული და გამოუსადეგარი, დიდი ხნის გადასაყრელი საგნები კი, რომელიც არავის სჭირდება, ბუნებრივია, ცუდად იმოქმედებს. დიდი ძალა აქვს ფოტოსურათებსაც. შეიძლება, დიდი და ლამაზი ბუნების პეიზაჟმა სრულიად შეცვალოს ოთახის აურა, რადგან მისი შემხედვარე, შენში იმ ბუნებასთან დაკავშირებული ყველა ემოცია იღვიძებს. გარდაცვლილი ადამიანის ფოტო კი, 40 დღეზე მეტი არ უნდა იყოს სახლში. ფოტოებს ადამიანების გამოსახულებით, ფრთხილად უნდა შერჩევა. ყოველი შეხედვისას ის ადამიანი მოქმედებს როგორც „ღუზა," ანუ როგორც მასტიმულირებელი ემოციებისა. გარდაცვლილის ფოტო რომ დიდხანს ეკიდოს და ყოველ შეხედვაზე ადამიანს ახლობლის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი გაახსენდეს, გააგრძელოს გლოვა, ეს იქნება ნამდვილად არასწორი და არანაირად გამართლებული. გამართლებულია ცხოვრების ბედნიერი მოვლენების ამსახველი ფოტოები. მაგალითად, ბავშვის დაბადება, მეგობრებთან ბედნიერად გატარებული დღე, შვილის წარმატება ან ქორწილი. მხატვრული ტილო, ფერწერა, სურათი ან კედლის მხატვრობა სახლში, ხელს შეუწყობს სილამაზესა და ჰარმონიას მიმდებარე სივრცეში. მაგრამ, ასეთივე წარმატებით შეიძლება, რომელიმე ცნობილი მხატვრის აღიარებულმა შედევრმა დაამახინჯოს სახლის ენერგეტიკა. კარგი ფერწერა განსაკუთრებული სიმსუბუქითა და პოზიტივით ავსებს სახლს, აღვიძებს კეთილ აზრებს და დადებითი ენერგეტიკით მუხტავს გარემოს.



სახლი თავისი ავეჯით, ნივთებით, იმ ენერგიით, რასაც ეს ნივთები გასცემს მოქმედებს ადამიანზე

**– ძველი ჩინური სწავლების მიხედვით, ადამიანის ცხოვრებაში, სახლში ყველაზე მნიშვნელოვანი ოთახი საძინებელია. ადამიანი თავისი ცხოვრების სამ მეოთხედს სწორედ იქ ატარებს, ეთიშება გარე სამყაროს თავის საზრუნავებითა და პრობლემებით და ისვენებს, იძინებს და იკრებს ძალებს ახალი დღისთვის. როგორ მოვაწყოთ ეს ოთახი სწორად, რომ მომავალი დღე მშვიდი და წარმატებული იყოს?**

– ჯანმრთელი ძილი, ეს ისაა, რაც აუცილებელია ყველა ადამიანისთვის. ჩვენს ეპოქაში ეს ბევრისთვის ფუფუნებაა, სამუშაო გრაფიკისა და სხვადასხვა ღამის გასართობების გადამკიდე. თუმცა, გავიხსენოთ, როგორ ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები. ნებისმიერი თანამედროვე ახალგაზრდა ინატრებდა იმ ენერგიის ნახევარს, რაც მათ ჰქონდათ. ისინი, დაბნელებისას იძინებდნენ და მამლის ყივილთან ერთად დგებოდნენ. ეს არის სწორი ძილის გრაფიკი. თუ გავითვალისწინებთ, რამდენად ირღვევა ჩვენი ჯანმრთელობა კომპიუტერთან ჯდომით და დროისა და გარემოს არაჯანსაღი მოწყობით, უნდა გვიკვირდეს, კიდევ როგორ შემოგვრჩა ის ენერგია, რაც გვაქვს. დღევანდელ გარემოსა და პირობებში, საძინებელი ოთახი მაინც უნდა იყოს ჰარმონიული და მშვიდი – ადგილი, სადაც დავისვენებთ. რაც შეეხება მის სწორად მოწყობას, მოგაწვდით მარტივ რჩევებს, კერძოდ, საძინებლის მოწყობა დაიწყეთ კოსმეტიკური დასუფთავებით. იზრუნეთ, რომ არ იყოს კედელზე ახეული ქაღალდი, ლაქები ან სხვაგვარი დაზიანება, თუნდაც წვრილმანი. ჭაღი უნდა იყოს სუფთა და ყველა ნათურა ინთებოდეს. გადამწვარი ნათურები და მკვდარი მწერები, რაც დროთა განმავლობაში ილექება ჭაღში, ნეგატიური ენერგიის დამგროვებელია. კარადიდან კი, ნუ დაგეგნანებათ და გადაყარეთ ძველი, უსარგებლო ნივთები. თუ თქვენი ძალისხმევა მიმართულია წარმატებისა და მატერიალური უკეთესობისკენ, მაშინ საძინებელში არ უნდა იყოს კუთხოვანი ტუმბოები ან სხვა ავეჯი. ყველა საგანს უნდა ჰქონდეს მომრგვალებული კუთხე. საწოლი უნდა იდგას კედელთან თავით, რომ ორივე მხრიდან საკმარისი ადგილი იყოს სამოძრაოდ. ფანჯარა კი, რომლიდანაც შემოდის სინათლე, უნდა იყოს სუფთა. მის რაფაზე მოათავსეთ ქოთნის ცოცხალი მცენარე, უმჯობესია, თუ თქვენს ზოდიაქოს ნიშანს ესადაგება.

ზოგჯერ, სახლში გვხვდება წვრილი და გრძელი დერეფნები. ეს კი ნეგატიური ენერგიის გასვლას, ხოლო დადებითის შემოსვლას უშლის ხელს. ჩვენ უნდა ვეცადოთ, გავაფართოოთ ვიზუალურად მაინც ეს ოთახი. ამისთვის კი, შეიძლება, გამოვიყენოთ შემდეგი მეთოდები: კედლები შეღებეთ ღია ფერებში. თუ ბუნებრივი არ გაქვთ, ხელოვნური განათება უნდა იყოს მუდმივად, რომ დერეფანი განათდეს. ეს დადებითად იმოქმედებს ენერგეტიკაზე. კედელზე აუცილებელია სარკის დაკიდება, ეს გაწმენდს ნეგატივს და დაეხმარება დადებით ენერგიას ცირკულირებაში.

მერწმუნეთ, თუ ამ სასარგებლო რჩევებსა და კანონებს გაითვალისწინებთ, საგრძნობლად შეიცვლება გარემო თქვენ გარშემო. ჩემი რჩევაა, ყველამ იცოდეს, რა გარემოში ცხოვრობს თვითონ და მისთვის ძვირფასი, საყვარელი ადამიანები – ისინი, ვისზეც პასუხისმგებლობა აკისრია და უნდა, რომ ბედნიერად ჰყავდეს.

**ნონა დათეშიძე**

**ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია**

აგრძელებს მიღებას გიდის; ინტერნეტტექნოლოგის (კომპიუტერი); კორესპონდენტისა და მუსიკოს–რეპეტიტორის პროგრამებზე.

დიპლომი სახელმწიფოა, სწავლის ღირებულება ხელმისაწვდომი.

მოქმედებს შეღავათები.

**მისამართი: კოსტავას N 47 (ფილარმონიასთან)**
**ტელ.:2936603; 599188924; 2935430; 2999626.**

**წლებია, დათო ოქიტაშვილი კულტურის სფეროში ტრიალებს და, ალბათ, დამეთანხმებით, რომ მას წარდგენა ნაკლებად სჭირდება, თუმცა, ცოტას მაინც დავამატებ: დღეს ის საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტია და მის სახელთანაა დაკავშირებული უამრავი ვარსკვლავის ჩამოყვანა საქართველოში. როგორც თავად ამბობს, საქმიანობა, რომელიც სიამოვნებას ანიჭებს, არ შეიძლება, ჰობის დონეზე ჩაითვალოს.**

# როგორ ითანხმებს კულტურის პალატა ვარსკვლავებს საქართველოში ჩამოსაყვანად და რა ურთიერთობა აქვს დათო ოქიტაშვილს ალა პუგაჩოვასა და ვალერი მელაძესთან

**– ცოტა ხნის წინ ჩამოხვედით იტალიიდან. საქმიანი ვიზიტით გაემგზავრეთ ევროპაში თუ, უბრალოდ, ისვენებდით?**

– ჩემი გამგზავრება საქმიან ვიზიტს ეხებოდა. არ მინდა ამ პროექტზე წინასწარ საუბარი, ის მომავალ წელს განხორციელდება და, შესაბამისად, ახლა ამაზე არ ვილაპარაკებ. არ ვარ ის ადამიანი, რომელიც რაღაცას იტყვის და შემდეგ არ ასრულებს. ვფიქრობ, რომ ეს პროექტი გამოვა და ეს იქნება საქართველოს ზეიმი.

ყოველთვის ვმუშაობ ერთი პრინციპით: საქართველოში არასდროს ჩამოვიყვან ისეთ ხელოვანს, რომელსაც არ უყვარს ჩემი ქვეყანა, ქართული კულტურა. ყოველთვის ვცდილობ, ჩამოვიყვანო ის, ვისაც უყვარს საქართველო და ჩემი ხალხი.

**– როგორ ითანხმებთ ვარსკვლავებს?**

– ეს დიდი ხნის შრომის შედეგი და ნდობის ფაქტორია. მიხარია, როდესაც მირეკავენ და მეკითხებიან, კულტურის პალატის პროექტია თუ არა კონკრეტული პიროვნების ჩამოყვანა, ანუ, ხალხი დაინტერესებულია ჩვენი საქმიანობით. მაგალითად, წელს, დეკემბერში, ვიღაცას ჩამოჰყავს რებსი და მთელი საქართველო ჩვენ გვირეკავს. სინამდვილეში, ეს არაა ჩვენი პროექტი, მარტო ჩვენ არ ჩამოგვყავს მუსიკოსები. გული მწყდება, როდესაც გაურკვევლობის დროს მოგვმართავენ – ვგულისხმობ იმ გარემოებას, როდესაც უნდა ჩამოსულიყო რომელიმე ვარსკვლავი და ბოლო წუთებში ვერ მოხერხდა ამ პროექტის განხორციელება. ეს საკითხი ჩვენ არ გვეხება, ჩვენ არ ვართ ყველაფერში ჩართული და არცაა საჭირო, ყველაფერი დათო ოქიტაშვილმა და კულტურის პალატამ გააკეთოს. ყველას აქვს იმის უფლება, რაც უყვარს იმ საქმეში იყოს ჩართული. არ შეიძლება მოსახლეობის მოტყუება და ნდობის დაკარგვა. წლებია, ჩვენ ამ ბაზარზე ვმუშაობთ და ჯერ მაყურებელი არ მოგვიტყუებია, მათთვის იმედები არ გაგვიცრუებია. ამიტომ, მსგავსი შემთხვევების დროს ჩვენ ნამდვილად არ უნდა მოგვმართონ.



ჩემი სიდედრიც რუსია, ამიტომ, რა ვქნა, მოვკლა? ბევრ ქართველს მირჩევნია

**– რა მოთხოვნები აქვთ ვარსკვლავებს, სანამ კონტრაქტს დათანხმდებიან?**

– შავი ღვინო, ხინკალი და ხაჭაპური – მეტი აბსოლუტურად არაფერი. ყოველთვის მეკითხებიან ჰონორარს. ქართული ჰონორარი განსხვავდება იმ ანაზღაურებისგან, რასაც სხვა ქვეყნებში იღებენ. ეს არის უფრო მეგობრული ურთიერთობა. ყველამ იცის ჩემი დამოკიდებულება ქალბატონ ალასთან და ვალერი მელაძესთან – იმ ადამიანებთან, რომლებსაც სიტყვა ეთქმით შოუ-ბიზნესში. შეიძლება, მკითხოთ, რატომ ვარ მარტო რუსულ შოუ-ბიზნესზე ორიენტირებული. ყოველთვის ვამბობ და ახლაც გავიმეორებ, რომ ამ კუთხით კარგად მუშაობს ინსთერპრომოუშენი. ისინი ჩემი მეგობრები არიან, ამიტომ, ყოველთვის შეთანხმებულად ვაკეთებთ ყველა ღონისძიებას. შოუ-ბიზნესში არის გაწერილი კანონები, რომლებსაც ვემორჩილებით. ჩვენ უკვე დიდი ხანია ამ სფეროში ვმუშაობთ.

**– რა თანხებთანაა დაკავშირებული მომღერლების ვიზიტი საქართველოში?**

– გააჩნია, ყველა მომღერალს თავისი მოთხოვნა აქვს. ვარსკვლავების ჩამოყვანა და ზოგადად ჰონორარი არის ძალიან დაბალი: 10 000, 20 000, 30 000 – გააჩნია მომღერალს.

**– რომელიმე მათგანს ხომ არ დაგვიკონკრეტებდით?**

– არ შეიძლება ამის თქმა, გამიბრაზდებიან. მაგალითისთვის გეტყვით ვალერი მელაძეს – მას არაფერი არ აუღია ჩვენგან.

**– ვალერი მელაძე ქართველია და გასაკვირიც არაა, რომ არ აიღო თანხა. უცხოელებზე რას მეტყვით?**

– ლეონიდ აგუტინისა და ანჟელიკა ვარუმის ჰონორარი ჩვენთან იყო 25 000 დოლარი, სხვა ქვეყნებში კი მათ 60 000, 50 000-ს უხდიან. ლაიმა ვაიკულეს 15 000 დოლარი გადავუხადეთ. ისეთ თანხებს მეუბნებიან, სხვა ქვეყნებში სამმაგ და ოთხმაგს რომ ითხოვენ. იმდენად უყვართ საქართველო, რომ ისინი ყველაფერზე მოდიან.

**– პრივატული საღამოებისთვის თუ ჩამოგყავთ ვინმე?**

– არა, მსგავს რაღაცეებს არ ვაკეთებ. მხოლოდ ერთხელ მთხოვა „სოკარმა" და დავეხმარე – დავაკავშირე სასურველ პიროვნებასთან. მსგავს საქმეებში არ ვერევი. საერთოდ, გული გვწყდება, რომ საქართველოს კულტურის პალატა მარტო კონცერტები და რუსული შოუ-ბიზნესი ჰგონიათ. ჩვენ ძალიან ბევრ რამეს ვაკეთებთ. ახლალხან დავამთავრეთ ელისო ბოლქვაძის ფესტივალი და ვიწყებთ ლიანა ისაკაძის ღონისძიებას. სპეციალურად ამ პროექტისთვის მსოფლიოში ცნობილი 50 მუსიკოსი ჩამოდის, რომლებიც სხვადასხვა ინსტრუმენტზე უკრავენ. აქედან გამომდინარე, ჩვენი საქმიანობა მრავალფეროვანია.

**– 50 მუსიკოსს როდის უმასპინძლებს საქართველო?**

– 26 აგვისტოდან პირველი სექტემბრის ჩათვლით, ეს იქნება ბათუმში მე-6 საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი. 3 სექტემბერს კი თბილისში გაიმართება დასკვნითი საღამო. რაც შეეხება მუსიკოსებს, შეგნებულად არ ვასახელებ, რადგან, ისინი ბევრნი არიან და, არ მინდა, ვინმე გამომრჩეს. თითოეული მათგანი გამორჩეული და ძალიან დიდი ხელოვანია. ესენი არიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები: ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და ასე შემდეგ. ქალბატონ ლიანას ბევრი მეგობარი ჰყავს მსოფლიოს მასშტაბით. ბედნიერი ვარ, რომ მაქვს შესაძლებლობა, ვიყო ისეთი ფესტივალების ორგანიზატორი, როგორებიცაა ელისო ბოლქვაძის პიანისტთა კონკურსი და ლიანა ისაკაძის „ღამის სერენადები."

**– ბათუმში როგორ ჩაიარა „სუხიშვილების" კონცერტმა?**

– როგორც ყოველთვის, მაღალ დონეზე ჩატარდა. ძალიან ბევრი ტურისტი ესწრებოდა. ვფიქრობ, რომ „სუხიშვილები" საქართველოში არის სავიზიტო ბარათი. ხალხის ოვაციები და ემოცია არ წყდებოდა. „რამიშვილები," კულტურის პალატის ინიციატივით, გავიყვანეთ რეგიონში, თუმცა, როგორც პროექტი, „სილქნეტს" ეკუთვნის. ბათუმში ორი დღე „სუხიშვილების" იყო და ორი დღე – „რამიშვილების".

**– კულტურის პალატა რას გვთავაზობს უახლოეს მომავალში?**

– ჩვენ ვატარებთ კონკურსს, რომელიც მალე დაიწყება. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ხელოვნებათმცოდნე ნინო მეტრეველს, მასთან თანამშრომლობით ვატარებთ კონკურსს – „ქართული ჟურნალისტიკა – ქართული კულტურისათვის". ვფიქრობ, საზოგადოებამ უნდა გაიგოს, ვინ მუშაობს ქართულ კულტურაში ჟურნალისტიკის განხრით და ვინ უწევს მას პოპულარიზაციას. ეს სფერო ძალიან არეულია და ბევრი ვერ გარკვეულა, რა ხდება კულტურის შიგნით. დაგეგმილი გვაქვს კულტურის დღეები ქვეყნის ფარგლებს გარეთ – საფრანგეთსა და აზერბაიჯანში; ამერიკაში ვგეგმავთ გამოფენას. კულტურა არამომგებიანი დარგია – ამას კარგი გაგებით ვამბობ; მას სჭირდება ხელის შეწყობდა და დახმარება.

**– საქართველოში ჩამოსულ ვარსკვლავებს ჩვენი სამზარეულოს გარდა კიდევ რა იზიდავთ? ეცნობიან თუ არა ქართულ კულტურას?**

– ყველაფერი მოსწონთ, გაოცებულები არიან ჩვენი სტუმართმოყვარეობით. მართლაც ზედმეტად ვიცით ქართველებმა სტუმრის პატივისცემა და ყოველთვის აღნიშნავენ ამას. ვცდილობთ, ვანახვოთ მათ ის ყველაფერი, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანი და ღირებულია. ყველა ჩამოსულ სტუმარს იღებს პატრიარქი. ბედნიერი ვარ იმით, რომ ეს ადამიანები აქედან დატვირთული ემოციებით მიდიან. ეს არაა მხოლოდ ჩემი წარმატება და ბედნიერება. ისინი იმას კი არ ამბობენ, რომ დათო ოქიტაშვილია მაგარი, არამედ, საქართველოზე საუბრობენ როგორც ულამაზესსა და საუკეთესო ქვეყანაზე. მინდა დავამატო და გავმიჯნო ერთმანეთისგან კულტურა და პოლიტიკა – კულტურა სხვა თემაა. მერე რა, რომ რუსები ჩამოგვყავს, ისინი ხელოვანები არიან, რომლებსაც გულწრფელად უყვართ ჩვენი ქვეყანა, უყვართ ქართული ხელოვნება. ჩემი სიდედრიც რუსია, ამიტომ, რა ვქნა, მოვკლა?! ბევრ ქართველს მირჩევნია. არასოდეს არ ჩამოვიყვან არც ერთ მომღერალს, რომელსაც არ უყვარს საქართველო და განსხვავებული შეხედულებები აქვს ჩემს სამშობლოზე. არც ისინი ჩამოვლენ – იციან, რომ ქართველი მაყურებელი არ მიიღებს.

**ეთო ხურციძე**

# „რუსსკოე მორეს“ ხიზილალის უმაღლესი ხარისხი ყველა ლაბორატორიამ და კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა

2014 წლის პირველ ივლისს საქართველოს ბეჭდვით მედიასა და ინტერნეტსივრცეში, მასობრივად გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შპს „რუსსკოე მორეს“ წითელ ხიზილალაში, „სურსათის ეროვნულმა სააგენტომ“, მიკრობიოლოგიური დარღვევა აღმოაჩინა.

როგორც წყარო („სურსათის ეროვნული სააგენტო“) იტყობინებოდა, ნიმუშის ლაბორატორიულმა კვლევამ (23.06.2014 წ. ოქმი №366) აჩვენა, „რუსსკოე მორეს“ მიერ (დამზადების თარიღი 26.08.2013, ვარგისიანობის ვადა - 20.08.2014) წარმოებული წითელი ხიზილალა მიკრობიოლოგიურად დაბინძურებულია და არ შეესაბამება ნორმატიულ მოთხოვნებს. კერძოდ: 1,0 გრამ პროდუქტში აღმოჩნდა კოლიფორმები, St. Aureus და სულფიტმარედუცირებელი კლოსტრიდიები, ასევე, მეზოფილური აერობები და ფაკულტატური ანაერობები 2,5 X 104 კწე/გ და საფუარის სოკოები 60 კწე/გ.

**როდესაც საქმე ეხება ისეთ სავაჭრო მარკას, როგორიცაა „რუსსკოე მორე“, ნებისმიერი სახის კვლევები, მხოლოდ და მხოლოდ, ისევ მის უმაღლეს ხარისხში გვარწმუნებს და მისი იმიჯის გამყარებას, შესაბამისად კი ლოიალობის ამაღლებას უწყობს ხელს**

მიუხედავად იმისა, რომ „რუსსკოე მორეს“ პროდუქციის ექსკლუზიური იმპორტიორი, დისტრიბუციისა და ლოჯისტიკის კომპანია „კანტის“ მენეჯმენტი დარწმუნებული იყო, რომ გაუგებრობა მოხდა, პრობლემის გარკვევამდე, აღნიშნული პროდუქციის რეალიზაცია გააჩერა და მთლიანი პარტია ამოიღო ქსელიდან. აღნიშნულ ფაქტს შპს „კანტის“ გენერალური დირექტორი შემდეგნაირად ხსნის:

– სავაჭრო მარკა „რუსსკოე მორე“ თითქმის ყველა იმ ევროპულ ქვეყანაში იყიდება, სადაც სურსათის ხარისხის მიმართ არსებული მოთხოვნები, მოცემულ ეტაპზე, გაცილებით უფრო მკაცრი, ხოლო მისი კონტროლი ბევრად უფრო მაღალ დონეზეა, ვიდრე საქართველოში. „რუსსკოე მორეს“ პროდუქცია მთელ მსოფლიოში სწორედ იმითაა ცნობილი, რომ არასდროს მიდის კომპრომისზე ხარისხთან მიმართებაში და თუ მომხმარებელს უმაღლესი დონის ზღვის პროდუქცია უნდა, ის სწორედ აღნიშნული სავაჭრო მარკის შეფუთვებშია მოთავსებული. გამომდინარე აქედან, ცნობის მიღებისთანავე, ჩვენ ზუსტად მივხვდით, რომ საქმე სულ სხვა პრობლემასთან გვქონდა. მაგრამ, იმის დასამტკიცებლად, რომ ადგილობრივი მომხმარებლის ჯანმრთელობის უსაფრთხოება ჩვენთვის ყველაზე მთავარია, კომპანია შეგნებულად წავიდა დიდ ზარალზე და გაუგებრობის გარკვევამდე, შეწყვიტა აღნიშნული პროდუქციის რეალიზაცია და ამასთანავე, ქსელიდან მთლიანი პარტიის ამოღება უზრუნველყო. ჩვენ მიგვაჩნია, რომ თუ არსებობს თუნდაც მიკროსკოპული რისკი, რადგან საქმე ადამიანის ჯანმრთელობას ეხება, ნებისმიერი კომპანია ვალდებულია, ეს რისკიც დააზღვიოს.

პროდუქციის რეალიზაციის დროებითი შეწყვეტის შემდგომ, იმავე პარტიის იგივე პროდუქტი, წავიღეთ სწორედ იმ საგამოცდო ლაბრატორიაში, რომელმაც პირველი ნიმუში შეამოწმა და დარღვევები აღმოაჩინა. შედეგი როგორც ჩვენთვის, ისევე მომწოდებელი კომპანიისთვის (შპს„რუსსკოე მორე“) მოსალოდნელი იყო: იმავე პარტიის, იგივე დასახელების პროდუქტში, ამჯერად საგამოცდო ლაბორატორიამ ვერანაირი დარღვევა, ცდომილება ვერ აღმოაჩინა. აღნიშნული გამოცდის ოქმი (09.07.2014 წ. ოქმი №415-1), ჩვენთან ინახება და მოთხოვნისამებრ, გადავუგზავნით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

**იმავე პარტიის, იგივე დასახელების პროდუქტში, ამჯერად საგამოცდო ლაბორატორიამ ვერანაირი დარღვევა, ცდომილება ვერ აღმოაჩინა**

ჩვენ არც აღნიშნულზე გავჩერებულვართ და მომწოდებელ კომპანიას (შპს „რუსსკოე მორე“) ხსენებული პროდუქტის შემოწმება, საერთაშორისო ლაბორატორიებში მოვთხოვეთ. რამდენიმე დღეში მათგან, არბიტრაჟული ნიმუშების (იმავე პარტიის იგივე პროდუქტი) ლაბორატორიული გამოცდის ოქმი მივიღეთ. ბუნებრივია, არც აღნიშნული ოქმის თანახმად დაფიქსირებულა პროდუქტში რაიმე დარღვევა (აღნიშნული დოკუმენტაციაც, მოთხოვნისამებრ, შეგვიძლია მივაწოდოთ, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს). აღნიშნულიდან გამომდინარე, ყველანი ერთად მივედით დასკვნამდე, რომ პირველი ნიმუშის ლაბორატორიაში ტრანსპორტირებამდე, სასურსათე მაღაზიაში (რომლიდანაც მოხდა პირველი ნიმუშის ამოღება) დარღვეული იყო პროდუქტის შენახვისთვის აუცილებელი ტემპერატურული რეჟიმი.

**მომწოდებელ კომპანიას (შპს „რუსსკოე მორე“) ხსენებული პროდუქტის შემოწმება საერთაშორისო ლაბორატორიებში მოვთხოვეთ. რამდენიმე დღეში მათგან, არბიტრაჟული ნიმუშების (იმავე პარტიის იგივე პროდუქტი) ლაბორატორიული გამოცდის ოქმი მივიღეთ. ბუნებრივია, არც აღნიშნული ოქმის თანახმად დაფიქსირებულა პროდუქტში რაიმე დარღვევა**

ჩვენი სადისტრიბუციო კომპანია უზრუნველყოფს პროდუქტის შენახვისთვის საჭირო ტემპერატურულ რეჟიმს (ამ შემთხვევაში -6:-2$^0$C) ლოჯისტიკის მთელი ციკლის განმავლობაში: პროდუქციის იმპორტი ხდება შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის კონტეინერებით; კომპანიის სასაწყობო მეურნეობა უზრუნველყოფილია, ჩვენს პორტფელში არსებული ყველა პროდუქტისათვის, საჭირო ტემპერატურული რეჟიმით; პროდუქციის მიწოდება სურსათის სარეალიზაციო წერტილებში, ხდება ასევე შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის სატვირთო ავტომობილებით; რაც შეეხება საბოლოო გასაყიდ წერტილებს (სურსათის სარეალიზაციო წერტილები), პროდუქტის შესყიდვისა და მიღების შემდგომ, საჭირო ტემპერატურული რეჟიმის უზრუნველყოფა უკვე მათი ვალდებულება და პასუხისმგებლობაა. ჩვენ მუდმივად ვაწვდით მათ მითითებებსა და რეკომენდაციებს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. მომხმარებელსაც ასევე მუდმივად უნდა ახსოვდეს, რომ აუცილებელია პროდუქტის ეტიკეტზე დატანებული ინფორმაციის გაცნობა. როგორც მაგალითად რძის ყიდვა არ შეიძლება მშრალი თაროდან, ასევე დაუშვებელია ხიზილალის ყიდვა პლუს რეჟიმის სამაცივრე დანადგარებიდან.

**„რუსსკოე მორეს“ პროდუქცია მთელ მსოფლიოში სწორედ იმითაა ცნობილი, რომ ის არასდროს მიდის კომპრომისზე ხარისხთან მიმართებაში და თუ მომხმარებელს უმაღლესი დონის ზღვის პროდუქცია უნდა, ის სწორედ აღნიშნული სავაჭრო მარკის შეფუთვებშია მოთავსებული**

გამომდინარე აქედან, როდესაც საქმე ეხება ისეთ სავაჭრო მარკას, როგორიცაა „რუსსკოე მორე“, ნებისმიერი სახის კვლევები, მხოლოდ და მხოლოდ, ისევ მის უმაღლეს ხარისხში გვარწმუნებს და მისი იმიჯის გამყარებას, შესაბამისად კი, ლოიალობის ამაღლებას უწყობს ხელს. ჩვენ ისევ განვაახლეთ აღნიშნული სავაჭრო მარკის რეალიზაცია და „რუსსკოე მორეს“ უმაღლესი ხარისხის ზღვის პროდუქტები კვლავ ხელმისაწვდომია ადგილობრივ ბაზარზე.



# ბრძნული აზრები

**ლაროშფუკო:** ჩვენ თითქმის ყოველთვის მოწყენილები ვართ იმ ხალხის გვერდით, რომელთა საზოგადოებაშიც მოწყენილობა დაუშვებელია.

**პუბლიუსი:** მთავარი ის კი არ არის, თუ რად გთვლიან შენ, არამედ ის, თუ ვინა ხარ სინამდვილეში.

**არისტოტელე:** ადამიანი საზოგადოების გარეშე ან ღმერთია, ან – ცხოველი.

**შვეიცერი:** ადამიანისთვის, რომელიც უკვე სამოცს გადასცდა, ერთი რეცეპტი არსებობს: შრომა და კიდევ უფრო მეტი შრომა.

**ციცერონი:** მძლავრი, მოკლედ გამოთქმული აზრები ბევრად უწყობს ხელს ცხოვრების გაუმჯობესებას.

**ფრანკლინი:** დაე, პირველი გაკვეთილი ბავშვებისთვის იყოს მორჩილება, ხოლო მეორე – რასაც შენ საჭიროდ ჩათვლი.

**ფაბრი:** სკოლა, რომელშიც კარგადაა ორგანიზებული თამაშები, უფრო ფართოდ უღებს ბავშვებს სამყაროს ფანჯრებს, ვიდრე კითხვა.

**ლიხტენბერგი:** ნუ შეიქმნი ძალიან ბრძნულ წარმოდგენას ადამიანზე, განსაჯე ის უბრალოდ – ნუ ჩათვლი მას ნურც ძალიან კარგად და ნურც ძალიან სულელად.

**სენეკა:** კამათში, ისევე, როგორც ყველაფერში, ჩვენ თავშეკავებულობა გვტანჯავს.

**ფოიერბახი:** კარგი და ზნეობრივი ერთი და იგივეა, მაგრამ, კარგი მარტო ის არის, ვინც სხვებისთვის კარგია.

**პასკალი:** ადამიანისთვის, რომელსაც მარტო საკუთარი თავი უყვარს, ყველაზე არასასიამოვნო საკუთარ თავთან მარტო დარჩენაა...

**ლაკანი:** ენის ფუნქცია ინფორმაცია კი არ არის, არამედ, წარმოდგენების შექმნა.

**მაკარენკო:** ადამიანის სიცოცხლის ნამდვილი სტიმული არის ხვალინდელი დღის სიხარული.

**კორნელი:** მხოლოდ სულდიდ ადამიანს თუ შეუძლია, შურისძიებას სიყვარული რომ ანაცვალოს, მაგრამ, იგია უფრო მეტად დიდსულოვანი, ვინც ღირსებასა და სიამაყეს სამშობლოს სწირავს.

**კარნეგი:** განსჯისა და განქიქების ნაცვლად, შევეცადოთ, გავუგოთ ადამიანებს; შევეცადოთ, მივხვდეთ, თუ რატომ იქცევიან სწორედ ასე და არა სხვაგვარად. ასეთი ცდა გაცილებით უფრო სასარგებლოა და საინტერესოც, ვიდრე პრაქტიკა. ის ადამიანს უვითარებს მოთმინების, თანადგომისა და კეთილმოსურნეობის გრძნობას. ყველაფრის გაგება ყველაფრის შენდობას ნიშნავს.

**თეკერეი:** თუ კაცს ცხოვრებაში ფეხი წაუცდა, მისი შეცდომების საქვეყნოდ სააშკარაოზე გამოტანისთვის მე არ მეგულება მის საკუთარ ნათესავებზე უფრო თავგამოდებული ზნეობის მოქადაგენი.

**უაილდი:** ქალები წარმოადგენენ მატერიის ტრიუმფს სულზე, მამაკაცები კი – სულის ტრიუმფს მორალზე.

**რემარკი:** ქალი სიზმარს ჰგავს – არასდროსაა ისეთი, როგორის ხილვაც გსურს.

# თუ გაგიცნიათ

1. მეთექვსმეტე საუკუნის ევროპაში მისი მიღება ფარმაცევტების პრეროგატივა იყო. იმდროინდელი ექიმების მტკიცებით, მას: „ორგანიზმიდან გამოაქვს შლაკები, აცოცხლებს გულს, არჩენს ჩხვლეტებს, წყლულებს, დამბლას, ციებ-ცხელებას, აყუჩებს კბილის ტკივილს და იცავს შავი ჭირისგან". **რას ახასიათებდნენ ასე?**

2. მეცნიერებაში დღესაც ძალაშია 1946 წელს მიღებული „ნიურნბერგის კოდექსის" დადგენილება. **რას შეეხება ეს კოდექსი?**

3. მრავალი ცნობილი მეცნიერი ცდილობდა მუდმივი ძრავის შექმნას. არც დიდი ბლეზ პასკალი აცდა ამ თემას. მუდმივი ძრავის ერთ-ერთ სახედ ის განიხილავდა ტვირთს, რომელიც მძიმე, მბრუნავ მხარზე იყო დამაგრებული. სხვა პერპენტუუმ-მობილეების პროექტებისგან განსხვავებით, პასკალის შექმნილი „მუდმივი ძრავა" პრაქტიკაში გამოიყენება. თუმცა, არა იმ მიზნით, რისთვისაც ავტორმა ჩაიფიქრა. **სად შეიძლება ვნახოთ პასკალის პერპენტუუმ-მობილე?**

4. კომპანია „მაკდონალდსის" ქსელი ფართოდაა გაშლილი მსოფლიოში. ძნელია, დაასახელოთ განვითარებადი ქვეყნებიც კი, სადაც მისი აბრა არ შეგხვდეთ. ისრაელში მისი რესტორანი გასული საუკუნის 90-იან წლებში გაიხსნა. თუმცა აქ, სხვებისგან განსხვავებით, არ არის „მაკდონალდსის" საფირმო ნაწარმი – „ჩიზბურგერი". **რატომ?**

5. ამერიკაში ყველაზე ცნობილი ავტორბოლა „ინდი 500-ია", რომელიც ქალაქ ინდიანაპოლისში იმართება. ყველასთვის ცნობილი „ფორმულა 1-ისგან" განსხვავდება იმით, რომ მრბოლელები გრძელ ტრასაზე კი არ ეჯიბრებიან ერთმანეთს, არამედ – წრეზე, რომლის სიგრძე დაახლოებით 1 მილია და ჩვეულებრივ სტადიონზეა მოწყობილი. და კიდევ, საწვავად ბენზინის ნაცვლად მეთანოლი გამოიყენება. **რატომ ბენზინი არა?**

6. 1789 წელს გერმანელი ქიმიკოს-ანალიტიკოსი კლაპროტი წერდა: ძველი ხალხი ფიქრობდა, რომ როგორც ლითონი, ისიც შვიდი იყო. ამიტომ, ახალაღმოჩენილ ლითონს, ტრადიციის მიხედვით, 8 წლის წინ გერშელის მიერ აღმოჩენილის სახელი დაერქვაო. **რისი სახელი დაარქვეს მის მიერ აღმოჩენილ ლითონს?**

7. მეორე მსოფლიო ომის წინ სევასტოპოლში გაიხსნა მემორიალური ქანდაკება, რომელიც რევოლუციონისთვის დაღუპულ მეზღვაურებს მიეძღვნა. თუმცა, ძალიან მალე ქალაქის კომენდანტის პირადი განკარგულებით, ქანდაკება აიღეს, სკულპტორი სამაგალითოდ დასაჯეს და მოქანდაკეთა ჯგუფი აიძულეს, გადაეკეთებინათ. **რატომ გამოიწვია ქანდაკებამ ასეთი რეპრესიები?**

8. ინდური ლეგენდის თანახმად, ბუდის ხუთას ორმოცდაათი გარდასახვიდან, ის 83-ჯერ იყო წმიდანი, 58-ჯერ – მეფე, 24-ჯერ – ღვთის მსახური... **რად გარდაისახა ბუდა 18-ჯერ?**

9. ბერძნებს, მითოლოგიურის გარდა, სხვა უამრავი გმირიც ჰყავთ, მაგრამ საბერძნეთის ისტორიაში ეროვნული გმირის სტატუსი მხოლოდ ორ უცხოელს ერგო, რომლებიც მეცხამეტე საუკუნეში მოღვაწეობდნენ. **დაასახელეთ ისინი.**

10. უმაღლეს ნაცისტურ ხელმძღვანელობას ჰქონდა მშვენიერების შეგრძნების უნარი. მაგალითად ჰოლანდიაში შესვლისას, პირადად გერინგმა გასცა ბრძანება – ავიაციას არ დაებომბა რიგი ობიექტებისა, რომლებიც მას ესთეტიკურ ტკბობას ანიჭებდა. **დაასახელეთ რომელი ობიექტები გადაარჩინა გერინგმა დაბომბვას.**

*პასუხები იხილეთ 77-ე გვერდზე*

# რეკორდები მსოფლიო ისტორიაში

* ყველაზე დამანგრეველი ომების ჩამონათვალში ისევ მეორე მსოფლიო ომია. ამ ომის დროს მიყენებული მატერიალური ზარალი ბევრად აღემატება ყველა სხვა ომების მიერ მიყენებულ ზარალს, ერთად აღებულს: ის შეადგენს 1,5 ტრილიონ დოლარს. საბჭოთა კავშირის ზარალმა შეადგინა 2 500 მილიარდი მანეთი, ამერიკისამ – 530 მილიონი დოლარი, დიდი ბრიტანეთისამ – 34 მილიარდი ფუნტი სტერლინგი, რაც დაახლოებით ხუთჯერ აღემატება პირველი მსოფლიო ომის ხარჯებს და 159-ჯერ – ბურებთან ომისას.

* ყველაზე სისხლისმღვრელ ომად კაცობრიობის ისტორიაში მეორე მსოფლიო ომი ითვლება. საერთო მსხვერპლმა, როგორც სამხედრო მოსამსახურეებს, ისე მოსახლეობას შორის, შეადგინა 54,8 მილიონი ადამიანი. მათ შორის იყო 25 მილიონი საბჭოთა კავშირის მოქალაქე, 7,8 მილიონი კი – ჩინელი. ყველაზე მეტად დაზარალდა პოლონეთი, რომლის 35,1-მილიონიანი მოსახლეობიდან დაიღუპა 6 მილიონზე მეტი ადამიანი, ესე იგი მთელი მოსახლეობის 16,2 პროცენტი. მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ სამხედროთა რიცხვმა შეადგინა 15,6 მილიონი ადამიანი. პირველ მსოფლიო ომში 6,7 მილიონი დაიღუპა.

* ყველაზე სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი იყო ტაიპინელთა აჯანყება ჩინეთში, რომლის დროსაც მიწის სამხრეთი დინასტიის მომხრე გლეხები იბრძოდნენ მანჯურიელთა სამთავრობო ჯარების წინააღმდეგ (1851-1864 წლები). აჯანყებას სათავეში ედგა შეშლილი ხუნ სიუციუნი, რომელიც თავს იესო ქრისტეს უმცროს ძმად აცხადებდა (ის შემდეგ სიკვდილით დასაჯეს). ყველაზე ზუსტი გამოთვლებით, დაიღუპა 20 მილიონამდე ადამიანი. მარტო 1864 წლის 19-21 ივლისს ნანკინის შტურმისას სამთავრობო ჯარებმა 100 ათასი აჯანყებული მოკლეს.

* უძველესი დროის ყველაზე დიდი ბრძოლებიდან გამოირჩევა პლატეასთან ბერძენ-სპარსელთა ბრძოლა (ძველი წელთაღრიცხვით 479 წელი) დაიღუპა 250 ათასი ადამიანი. ჰუნებისა და რომაელების ბრძოლაში, რომელიც გაიმართა საფრანგეთში, კატალაუნის დაბლობში (451 წელი), ერთ დღეში დაიღუპა 200 ათასი ადამიანი. თუმცა, თანამედროვე ისტორიკოსები ეჭვის თვალით უყურებენ ამ ცნობებს.

# შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი: 1. ეc4-d4!**

**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



პატრული ჩასაფრებულია რესტორანთან. გამოიფინენ ნასვამები ყაყან-სიმღერით და მანქანებში განაწილდნენ... ერთი ფეხზე ძლივს დგას და მანქანას უახლოვდება. ჩასაფრებულებმაც სწორედ ის ამოირჩიეს.

– აბა, ჩაბერე!

– ჩაბერა... ფხიზელია!

– ეს როგორ...

– მე დღეს მორიგე ვარ, ყურადღების მიქცევა მევალებოდა...

***

თუ კარგი რამე ხდება, სვამ – რომ აღნიშნო; თუ ცუდი რამე ხდება, სვამ – რომ დაივიწყო; თუ არაფერი ხდება, მაშინაც სვამ – იქნებ რამე მოხდეს.




***

ნუ მიიღებთ ცხოვრებას ძალიან სერიოზულად. მისგან ცოცხალი მაინც ვერ დააღწევ თავს.

***

– ეჰ, 15 წლისამ სულ სხვაგვარად წარმოვიდგინე, როცა მკითხავმა მითხრა, რომ ფულს ქალებზე დახარჯავო... ცოლი და სამი ქალიშვილი მყავს...

***

დასვენების დღეებზე სწრაფად მხოლოდ ფული მთავრდება.

***

ტიპი საყვარელთან მიდის, რომელიც მეჩვიდმეტე სართულზე ცხოვრობს. რატომღაც ლიფტი არ მუშაობს... სიყვარულის ფრთებმა კაცი მეშვიდე სართულამდე აიყვანა. მეთხუთმეტე სართულამდე სულ გინებ-გინებით ავიდა, იმათი მისამართით, ვინც ლიფტის გამორთვა-არჩართვაში იყო დამნაშავე. მეჩვიდმეტეზე კი გულზე ხელდადებული ფიქრობს: „ოღონდ სახლში არ იყოს ეს ბ...ზი..."

***

ისინი ისეთი რომანტიკულები იყვნენ, რომ მათ წერილებზე „კაგებეც" კი ტიროდა.

***

ტიპი სექსოპათოლოგთან მივიდა – ერექცია არ მაქვსო.

– ეშველება, ოპერაცია და მაშინვე ყველაფერი აჟურში ჩადგება – 30 000 ლარი დაჯდება. მეორეც ოპერაციაა, ოღონდ ერთი თვის განმავლობაში, პატარ-პატარა და 10 000 ლარი.

– კარგი ოჯახში მოვილაპარაკებთ.

მეორე დღეს.

– სამზარეულო უნდა გავარემონტოთ, – ამოოხვრით თქვა კაცმა.

***

ახალაშენებულ სახლში მეგობრებმა გვერდიგვერდ იყიდეს ბინები. შევიდნენ.




– ზურა, გესმის ჩემი?!

– ნუ ყვირი, გხედავ...

***

ქალი ემზადება დასასვენებლად: იყიდა რამდენიმე „კუპალნიკი", სარაფანი," „ბასანოჟკები", შორტები, „შლოპანცები", ქუსლიანი ფეხსაცმელი და სალამოს კაბა... ქმარმა მოიჭრა ფრჩხილები ფეხზე... და მზადაა.

***

– როგორ მოხვდით „ეფბიაის" შენობაში?

– მე აგენტი ვარ?

– „კაგებეს" აგენტი?

– არა, კოსმეტიკური ფირმის.

## ცნობილ ადამიანთა იუმორისტული გამონათქვამები

ჯერ არც საადგილმამულო და არც სხვა ბანკებს დაეგოთ მახე სახლებისთვის, რომ ფარსადან ციციშვილმა შემდეგი წინასწარმეტყველური წარწერა გაუკეთა თავის სახლს:

„დღეს ჩემი ხარ, ხვალე სხვისა, შემდეგ, მგონი, არავისა".

***




ჩვენში ცნობილი სვიმონ გუგუნავა, „თამარიანის" გამლექსავი და აკაკი ღამე მიდიოდნენ ერთად. გზაში სვიმონი გამოეთხოვა ამხანაგს და თავის სახლში შევიდა. აკაკიმ კი გასწია ბალახვანისაკენ მარტოდ-მარტომ და ერთ ყრუ და ბნელ ქუჩაში რომ შეუხვია, წინ კაცი გადაუდგა და მიაძახა:

– მოიტა, რაც ფული გაქვს!

– რა გაეწყობა, მაგრამ ერთი პირობით კი – ნახევარს დამჯერდი...

– მე პირობის არ ვიცი რა! მოიტა მალე სულ!

– შენი ნებაა, მაგრამ ჩემი ხელით კი არ შემიძლია, რომ მოგცე და შენ თვითონ ამოიღე.

მოძალადე მივარდა მწერალს, ჩაუყო ჯიბეებში ხელი, ვერა იპოვა რა და გულდაწყვეტით ჰკითხა: რომ ვერ მივაგენიო?

– რა სულწასული ყოფილხარ, – მიუგო აკაკიმ, – მე ჩემს სიცოცხლეში სულ მაგ ჯიბეებში ვყოფ ხელს, ჯერაც არა მიპოვნია, შენ კი ერთ წუთს გინდა იპოვო?

– რომ არა არის რა, რა ვიპოვოო?

– ეგ მეც ვიცოდი და მიტომაც შემოგაძლიე ნახევარი, რომ გულიც ნახევრად დაგწყვეტოდაო. – მოძალადეს გაეცინა და უთხრა:

– წადი და მეორედ აღარ გნახო უფულოდო.

– მადლობელი ვარ! ღმერთმა გისმინოს, რომ უფულოდ მეც აღარ მენახოს ჩემი თავიო, – მიუგო მწერალმა.

ეს ამბავი სვიმონმაც გაიგო. შეწუხდა, რატომ არ გაგაცილეო და სხვათა შორის იკითხა:

– ვინ იყო ის შეჩვენებული, ეჭვი მაინც ვერ აიღეო?

– აქაური არ უნდა ყოფილიყო, ერთი, რომ მე ვერ მიცნო და თუ მიცნო, ჩემი ჯიბის იმედი რომ ჰქონდაო, – უპასუხა აკაკიმ.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# რატომ სცემა მიშა ქორქიამ გულშემატკივარი და რა საჩუქარი მიართვეს ზურა დოიჯაშვილს კონცერტზე ბებიებმა

**იგონებს ნიკოლოზ დერიუგინი**

ყოველთვის ვგრძნობდი სიყვარულსა და პატივისცემას გულშემატკივრებისგან და ჩვენს მოგებაში ხშირად სწორედ მათ შეუტანიათ დიდი წვლილი, თუმცა, ზოგჯერ სხვაგვარადაც ყოფილა საქმე. მაგალითად, მიშა ქორქიას ნაამბობიდან ვიცი, ერთხელ როგორ გამოიყვანა წყობიდან გულშემატკივარმა. თამაშის დროს ვიღაცას ცოლი შეუგინებია მისთვის. მიშას თამაში მიუტოვებია, აჭრილა ტრიბუნაზე, ასი კაციდან ის ტიპი ამოუცნია და კარგად მიუთეთქვავს. ჩვენს დროს ქალებიც ესწრებოდნენ ხოლმე თამაშებს. ერთხელ, ვხედავ, ერთი ქალი წამოხტა სტვენით, ქურქი გადაიხსნა და მკერდი მოიშიშვლა. ისე გავოგნდი, ბურთი სად ვისროლე, არ მახსოვს. ერთ სახალისო ისტორიასაც გავიხსენებ: თამაშისთვის თავი მქონდა დანებებული და ბიჭებს ვავარჯიშებდი. ერთი მშობელი მოვიდა (სვანი) და მეკითხება: ბიჭი სოფელში მიმყავს, არ მინდა, ვარჯიშს მოსცდეს და, მითხარი, ფარი რა სიმაღლეზე დავუმაგრო, რომ ივარჯიშოსო. ვუთხარი, რაც საჭირო იყო. გადის ნახევარი წელი და მოდის ეს მშობელი გაკვირვებული: ბიჭი ფარს ველარ სწვდება, რა მოხდა, ვერ ვხვდებიო. უკაცრავად და, ფარი სად დაამაგრეთ-მეთქი. ხეზეო. მერე, ამ ხნის განმავლობაში ხე არ გაიზრდებოდა-მეთქი?..




**ზურა დოიჯაშვილის საჩუქარი**

ფრუნზეში ვართ გასტროლებზე. კონცერტებზე აუარება ხალხი მოდიოდა. სრული „ანშლაგია“.

მოკუსკუსდა კულისების მხრიდან ერთი „ძერჟინსკის დროის“ ბებერი ქალი და „სინოკ-სინოკის“ ძახილით გადამკონცა.

– რაშია საქმე, „ბაბუშკაჯან“-მეთქი.

– ძალიან მინდა, ერთი რაცხა, – უარი არ მითხრაო, – ჩამირუსულა.

დამასხა სიმწრის ოფლმა, თან ახალცოლმოყვანილ მდგომარეობაში ვარ.

– რაა? – გავაღე პირი.

– მე და ჩემს დაქალს, დუსია კარპოვნას ფული არ გვაქვს, თქვენი კონცერტის ნახვა გვინდა და გვიშველე რამე.

იმწუთსვე შემაშრა ოფლი. მოვძებნე ორი სკამი და კულისებიდან ვაყურებინე ორ „ხლიჩს“ ჩვენი კონცერტი. რაც იმათმა მკოცნეს, არ ვიცი, როგორ გადავრჩი. ჯერ სადაა?

ახლა, მეორე დღესაც მომაკითხეს ამ „პანია ბებრებმა“ (კიდევ გვინდაო). სხვათა შორის, იმ კონცერტს მაშინდელი იქაური რაიკომის მდივანი ესწრებოდა თავისი აპარატით.

ყოველ ნომერზე მოდის თაიგულ-ყვავილების „წვიმა“.

ეს ორი ბებერი კი ზის თავისთვის.

რომ დამთავრდა კონცერტი, ეს ჩემი გულის „მურაზი“ სცენაზე გამოვარდა და „კომსომოლსკაია პრავდაში“ გახვეული რაღაც მომაწოდა.

– ჩტო ეტო, ბაბუშკა, მაია დარაგაია-მეთქი? – შევჩქვიფდი.

– პადაროკ, სინოკ... პადაროკო...

და ახლა სცენაზე ხომ არ გავხსნიდი? კულისებში რომ გავედი და კონცერტი დამთავრდა, გავხსენი...

ჯერ ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილი წავიკითხე:

„მოი დარაგოი პევეც... დარიუ ვამ კარტოშკუ... ცვეტოვ ნე დასტალა... პენსიონერკა...“

დამეწვა გული...

ყურადღების ამბავია, თორემ რაა კარტოფილი?

რაა ბატონო და, მოშიებული ბიჭები, მარილის გამოყენებით ძალიან გემრიელად დავაძეხით იმ კარტოფილს.

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

(76-ე გვერდიდან)

# რატომ შეასწავლა ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი მაკედონელმა თავის შვილებს ქართული ენა

ბრძანა და მისი ვაჟი მამა ილარიონის ლუსკუმაში ჩააწვინეს. ღამით, ძილში გამოეცხადა ილარიონ ქართველი ახალგაზრდას და უთხრა:

– „პროკოპი, უნდა აღმითქვა, რომ წესიერად იცხოვრებ, თორემ ვერ განიკურნები?!“

პროკოპიმ დაიფიცა. მაშინ ქართველმა წმიდანმა მუცელზე დაადო ხელი მთავრის ვაჟს და განკურნა. ილარიონ ქართველის საფლავი სნეულთა განკურნების ადგილად იქცა. ეს ყველაფერი შეიტყო ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი პირველმა (867–886) მაკედონელმა.

– არავინ დარჩა მისი მოწაფეებიდან? – იკითხა იმპერატორმა. მამასახლისმა ამცნო, რომ წმიდანის სამი ქართველი მოწაფე, აწ უკვე მოხუცები, კიდევ მოღვაწეობენ ულუმბოზე.

დიდი მოკრძალებით სთხოვა ბიზანტიის იმპერატორმა სამ ქართველ ბერს მასთან მიბრძანება და გაუგზავნა საიმპერატორო გემი – დრომონი. დიდი პატივით მიიღეს ქართველი მონაზვნები კონსტანტინოპოლის სასახლეში. კონსტანტინოპოლის წმიდა პატრიარქმა ფოტი პირველმა (858–867, 877–886) განაცხადა, რომ დიდი მადლი მიიღო ქართველი ბერებისგან. შესთავაზა ბერებს ბერძენთა მეფეთ-მეფემ, აერჩიათ რომელიმე მონასტერი და მათ დაუთმობდა, მაგრამ ქართველებმა არ იკადრეს სხვისი აშენებულის მისაკუთრება. მაშინ კეისარმა მოაძებნინა ქართველებს კარგი ადგილი სამონასტრედ და წამოიწყო ეკლესიის მშენებლობა. თვითონ ხელმწიფე ეზიდებოდა ქვებს. 7 თვეში გაასრულეს მშენებლობა. პატრიარქმა ფოტიმ აკურთხა ეკლესია და წმიდა ნაწილები გადასცა. იქვე, ააშენებინა ბერძენთა ხელმწიფემ თავისთვის სენაკი.

ასე დაარსდა კონსტანტინოპოლთან ახლოს რომანას (ჰრომანას) ქართველთა მონასტერი.

იმპერატორმა თავისი ვაჟები მიუყვანა ჰრომანაში ქართველ ბერებს – ლეონი და ალექსანდრე და სთხოვა, ესწავლებინათ მათთვის ქართული წერა-კითხვა და აღეზარდათ. ეს მოხდა, ალბათ, 879 წლის მერე, რადგან ამ დროს უფროსი ვაჟი იმპერატორისა, კონსტანტინე უკვე გარდაცვლილი ჩანს.

შემდგომში, 886 წელს ლეონი იმპერატორი გახდა და ეწოდება ლეონ მეოთხე ბრძენი. მის მერე, ტახტზე მისი ძმა, ალექსანდრეც ავიდა (912–913).

ბასილი პირველმა მაკედონელმა მისწერა თესალონიკის მმართველ ეპარხოზს, ყოველგვარი მიზეზის გარეშე თესალონიკიდან კონსტანტინოპოლში გადმოესვენებინათ ნეტარი ილარიონ ქართველის წმიდა ნაწილები.

კეისარმა წმიდა ილარიონ ქართველსაც მისწერა წერილი:

„ბასილი, ცოდვილი მეფე, მონა ღვთისა, გევედრები, მამაო ილარიონ, მოდი დედაქალაქში. არ მეღირსა შენი ნახვა, მაგრამ მომეცი ნება, ვეამბორო შენს წმიდა ძვლებს და გაიხაროს სამეფო ქალაქმა, კონსტანტინოპოლმა“!

როცა იმპერატორის ბრძანება წაიკითხეს თესალონიკში, ადგილობრივებმა ამბოხი დაიწყეს და გადაწყვიტეს მეფის წარგზავნილების ქვებით ჩაქოლვა, რადგან არ ემეტებოდათ მამა ილარიონის წმიდა ნაწილები. მეფის შეშინებულმა ანთიპატრიკიოსმა აღუთქვა არშესრულება მეფეთ-მეფის ბრძანებისა და თავის ხალხთან ერთად გავიდა ქალაქიდან. მერე კი ღონე იხმარა, ერთ ღამეს ამოათხრევინა წმიდა ილარიონის ნაწილები საფლავიდან, ჩაასვენა ლუსკუმაში და წამოიღო, ხოლო საფლავი ისევ ისე დაახურინა.

მეორე დღეს მაინც შეიტყვეს თესალონიკელებმა მომხდარის შესახებ და გლოვას მიეცნენ.

დიდი სიხარულით შეეგება კონსტანტინოპოლში იმპერატორი ილარიონ ქართველის წმინდა ნაწილებს. სამეფო სასახლეში დაასვენებინა ერთ ეკვდერში და ფიქრობდა, აეშენებინა მისთვის სანაწილე.

მესამე ღამეს ნელსურნელება იგრძნეს იმპერატორმა და მისმა მსახურებმა. როცა მიერულა კეისარს, გამოეცხადა ილარიონ ქართველი და აუწყა ბიზანტიის მეფეს, რომ გადაესვენებინათ ქალაქგარეთ.

ასეც მოიქცა ბერძენთა მეფე, ილარიონ ქართველის წმიდა ნაწილები ლიტანიობით გადაასვენეს ჰრომანას მონასტერში.

**გიორგი მახოზეშვილი**


კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.


PHOTO FRED MEYLAN
2014
elite
MODEL LOOK
GEORGIA
CASTING
www.elitemodellook.com/ge
facebook.com/elitemodellookgeorgia
26 JULY RUSTAVI MOVIE THEATRE / 14:00-17:00
27 JULY TELAVI THEATRE HALL / 14:00-17:00
30 JULY GORI MOVIE THEATRE / 14:00-17:00
31 JULY KUTAISI OPERA HOUSE / 14:00-17:00
01 AUGUST OZURGETI THEATRE HALL / 14:00-17:00
02 AUGUST ZUGDIDI ART GALLERY / 14:00-17:00
03 AUGUST BATUMI THEATRE HALL / 14:00-17:00
13 SEPTEMBER TBILISI TBILISI MALL / 12:00-18:00
MODEL MANAGEMENT
MUSIC BOX
FM 95.1
kikala studio
PRO SERVICE
LUXURY
MAX GROUP
PROM
SPORTS COMPLEX arena
MEDI EST
GHN



გვ. 79

რას კურირებდა პირველად საქართველოში „კაზანტიპის“ რესპუბლიკის კომუნიკაციების მინისტრი და რაზე მოუწია ბიკო ბირბიჩაძეს დუბლინში „თბილისური ტყუილების“ თქმა



გვ. 19

მისდევენ თუ არა მოდას ქართველები და რა რჩევებს აძლევს მათ დიზაინერი ანუკა ქებურია



ვინ დააპატიჟა ვიქტორია პლეშაკოვა ბილ კლინტონის ქალიშვილის ქორწილში და როგორ გახდა ქართველი გოგონა ცნობილი ბრენდების სახე

გვ. 71

ISSN 1987-569X
9 771987 569002

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბ… …სი – შიგ …მული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * 25 – 31 აგვისტო … №34 (713) * ფასი 1,50 ლარი